

114
1929



მნათობი

8-9

სახელმწიფო გამომცემლობა
ცვიდისი 1929

ბიბლიოტეკის დირექტორი გ. ჯავახიანი

საქართველოს
საბჭოთაო
ბიბლიოტეკა

მნათობი

8-9

ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული
მეცნიერულ-პუბლიცისტური ჟურნალი

წელაწაღა შექმნა

აბკისცო-საქვამბერი

საბარძნოთო გამომცემლობა
თბილისი 1929



57615
416



მხატვრული ლიბრარია

საქართველოს
ლიბრარია

კოეპიდან „თვრახეატი წელი“

ფრონტაზუმი.

III.

დავით გურამიშვილის მამლები, ნოე კორდანი და მფუძნებელ კრებაში, რუბენ კარახუნის კალარა, დაშნაკელი დეპუტატები, ბოიტანეთის ლომის ტორები, ჯონსონი კასპიისკენ, ბაქოს „სოფდებია“ პანიკა ტფილისში, კაქე „დარბაზი“, ბოლშევიკების აგენტი, საკონცენტრაციო ბანაკი იანვარში, საკართველო—ბალკანეთი, ფრონტის სიმღერები, გლაგოვერში დრო, სერვეტ ბუგ, მონადისენი ქუთაისიდან, ხევსურები ბერდუჯის წყალზე, ერევკეს ხაზინა გურმანიაში, კართველების კამეჩები და სომხების ცხვრები, ეკატერინოპოლელი სალამოს გაზეთები, ოვანესს თუმანიანი, ღამე ტფილისში.

1.

— ვით მამალი
სხეის მამალსა
დამტერდეს და
წაეცილოს.
მას სცემდეს და
თვით იცემდეს.
დაქოჩროს და
წაეცილოს.
რა ორივე
დაღალული
ძაღლმა ნახოს
პირი ჰკიდოს.
ეგრეთ ქართლი
და იახეთი
დარჩა თურქთა
ლეკთა, დიდოს“...

ეს ძველის ძველი
ამბავი არი
შაგრამ იმ დროსთან
მე რომ ვიგონებ
მას აჭეს მსგავსება
ვასაოცარი.

2.

— მოჭალაჭენო!
 ამბობს ჟორდანია.
 დამფუნებელ კრების
 პირველი მაშალი.
 ზაფის და მწიფლობის
 ანოვსწორეთ
 ყველა საშუალება,
 მაგრამ სომხებმა
 იშიწველეს ზმალი.
 — და აი ებლა
 ამას რომ ეამბობ
 სინაინს სომხების
 ჯარი არტყია.
 ჩვენ იმედი გვაქვს
 მოლაღატეებს
 ღირსეულ პასუხს
 გასცენს ჩვენი
 დემოკრატია.
 — ზეურცხვეს ჭალარა
 რუბენ კახაზუნს
 (სწორედ ამ სიტყვებით
 სწყველიდა ნოე
 ახალ ქანს
 მაგრამ მასავეთ ჭალარას)
 სომხების მთავრობის
 თაემჯდომარეს,
 დამფუნებელ კრების
 სხვა წევრებმაც
 დაჰკრეს ნალარა
 ცოფიან რისხვის
 მოვიარდა ქარი
 და ერთ წამში
 სომხების დემოკრატები
 გარეთ ვაძყარა.
 — ზიზლი დაშნაკებს
 დაატყვევეთ ჯაშუშები.
 ვიყები გენახეს
 მართლა დასაბამი,
 სწორეთ ტფილისში
 დამფუნებელ კრებაშია
 დაშნაკების შტაბი.
 ჩვენ სახლში ზიან
 ღულუნებენ
 გუგულუბავით.
 — ერევანში წადით
 და დაეხმარეთ
 თქვენ ქეციან ჰდროს*...

— ერთი კი არა
ასი ჰყვიროს
არ მალავენ ბრახს
და დაშნაკელი
დეპუტატებიც
სტოვებენ შიშით
სასახლის დარბაზს...

ერევანში ამას
სხვა ბამალიც
აძლედა სმას
არა ნაკლები
ყიყლიყოთი.
და წამოიქორჩენ
ერთმანეთზე შეზობლები.
ორივე იმაზე ფიქრობს
თუ რომელმა რომელს
დაასწროს
„მოსისხლე მტერის“
სისხლი დალიოს
ყელი გამოლადროს...

3.

ამ დროს არ იყო
ლეკი და დიდო.
თურქებსაც ორივე
ფეხი ქქონდათ
ძირში მოტეხილი.
და დაღლილ მამლებს
ძალი კი არა
თვითონ დიდი
ბრიტანეთის ლომი
ტორით ტორავდა.
და თუმცა ტორი
დიპლომატიის
ხვერდში ქონდა—
ამ მამლების ქურდს
კუდი მაინც
შორით უჩანდა.
და ხრამის წყალზე
სომეხის და ქართველის
მოკრილი თავი
სულ ერთია
სისხლში გორავდა...

* * *

და სისხლიან გზით
მიდიოდა ჯონსონი
კასპიისაკენ.

აქ მას სხვა ნამულები
 ეგულებოდა,
 ბაქოს ნავთის
 ხანძარი მოდებია.
 აქ შაუშიანს
 და ჯაფარიძეს
 ნავთის მუშებისგან
 დაუარსებიათ
 „სოფლებია“.
 და აქაც დადგა
 სისხლი და ტბორი,
 აქაც მიწედა
 ჯონსონის ტორი.

4.

ტფილისს თავისი
 აქვს სატირალი
 და ამიტომაც
 ასე სტირის:
 — ტყუილია სომხები
 ლაჩრები იყვენ
 დიდებულათ არიან
 შეიარაღებულნი.
 უთუოდ აიღებენ ტფილისს.
 — ვაჰ სირცხვილო
 — ვაჰ თავო დი თავო,
 — ვაჰ საქართველო!..
 — ვის გუგონია
 დუქნის ბიჭების ომი?
 ეს გვარდია კი არა
 თავლაუდასხმაა...
 დაბე რომ ომში
 კიდევ ერჩება...
 უთუოდ შემოვლენ
 ტფილისში სომხები,
 და მთელ ქვეყანაზე
 თავი მოგვეჭრება!..
 — ეს მარტო ერთ კაცის
 არ არის აზრი.
 ასე ფიქრობს
 კაძიე „დარბაზი“...

5.

— რა გინდა ძეგო
 დღეს თუ გინდა
 შენ მოვრიე.
 ხეალ ხომ უთუოდ
 ის მოვერიეა
 და ეს ქვეყანა



ქართული
ენციკლოპედია

სულ ერთია
მიხეც აირევა.
მივაღვეთ, ვეღლიტოთ
ასე ერთმანეთი.
ეს და აკლდა—
გახდა საქართველო
მეორე ბალკანეთი.
— ეს ბოლშევიკების
მოყიდული
აქ რის ლაქლაქებს.
ფიცით თქვენ
როგორ გიყვართ,
ზავი და მშვიდობა.
სხვაგან მიხეც სთქვით
აქ არ ვასაღდება.
ჩვენ აქ სომხებს
სხვა ტომის ხალხს
მიხეც ვებრძვით,
თქვენ კი სახლში
გინდათ ომის
გაჩაღება.
— ჩვენ თუ ვეცადეთ
ერევანში მუშების
გამარჯვებას
სწორედ ოჯახი
აგვიშენდება.
უძალ უნდა მოხდეს
მეორე წარღვნა
რომ იქ ლენინმა
გააჩინოს
პროლეტარიატი.
— მაშ არ ყოფილა
სადმე საშველი.
— რა განსხვავებაა
მენშევიკიც ხომ
დაშნაკელია...
...
იღარ გაათავებინეს,
სტაცეს ხელი.
მოიყვანეს გვარდიელები
და გაგზავნეს
სომხების სენინარიისაში
კარგ დროს გაატარებს
ამ უშეშო იანვარში...

6.

შინ რომ ასე იყო
ჯარიც ფრთხილზე
ამას მღეროდა.

ქართული
გაზეთების

მხოლოდ სიმღერა
ქართულს
არა გაეცნ
ვიღაც უჩინო
თავს ლყრის
და ერთმანეთს აბამს,
— დი მეც არ მინდა
ეს სიმღერა
რომ დავიწყდრო
ასე რუსულად
გალიქსილი
დაგვრჩა ჩვენ ეს დრო.
Главковерх
Армянский Дро
Вместо шашки
Взял ведо...
Журавей,
Журавей!..
Пташечка.

* * *

Прекрасной
Грузии
тебе
Невидать.
Пой,
Сервер-бег.
Пой...
Сердце
Успокой

* * *

ქუთაისიდან
მიდიოდენ
მოხალისენი
წინ გრიგოლი
მიდიოდა
უკან ისენი.
სათითაოდ
ვაიპარენ
მოხალისენი
წინ გრიგოლი
მიუძლოდა
უკან ისინი
ერთი ორი
სამი ოთხი
მოხალისენი.

* * *
— აღსდგე გმირთ გმარო
ნუ გძინავს
მტერთა ისმიან
ხმანი.

გრძლიათ ძილსა
ჩვეულ როდის ხარ,
მოგვიხმე უნჯნი ყმანი!..
ფართ ზოგთა მათვან
მოსული

ზოგთავან ცბრანი ძმანი.

— ეს არ ვეგონოთ
მუშტაიდში
მლეროდეს
კავსადის ზორო.

ეს ნამდვილი
ჰანკისის და
შავ არაგვის
ხევისურებია,
შალვა ქარუმძის
ჩამოყვანილი.

ბერდუჯის წყალზე
ერეკლეს ელიან
უკვირთ რომ გზაზე
ჯერ არსად ხედებათ
მათი ბაირალი

აბრაატს აწვდება.

— აღბად ბევრი ხევისური
უთუოდ გაიოცებს
რომ შალვა ქარუმძემ
ერეკლეს ხაზინა
ბერლინში ვადაიტანა
და დაუზოგავათ
ბეჭდავს და ბეჭდას
რუსულ ჩერვონცებს...

7.

— ცუდათ ჰქონიათ შავ უბედურებს
ომის საღერღელი, ძმაო აშლილი.
კოტა მოიცადეთ, კაცი არ ვიყო.
დგდას უტირებს მაზნიაშვილი.
მეორეს ეტყობა, სხვა სარდალი
უფრო იტაცებს
და თავგამოდებით იცავს
გენერალ კვინიტაძეს.

— არსენას სიზმარი ვნახე წუხელის
მე იმედი მაქვს მარტო ჯუღელის.

— მაისურაძის სისხლს არ შეარჩენს
ლმერთსაც უტირებს, და ლმერთის გამჩენს.

სირცხვილი ძმაო
 მხოლოდ ეს არი.
 ქართველმა თავი რომ გაუყადროს
 მაგ ქეციან ზინვორების ქდროს.
 მალე ნახავენ თავიანთ თამაშს
 თავზე ლაფდასმულ
 ჩათლახ ჟსტაბაშს...

8.

— შიდენიან სომებთა
 ქართველების კამეჩებს,
 შოდენიან ქართველები
 სომებების ცხერებს.
 ვუღელღმა თავის ხელით
 მოჰკლა გვარდიელი
 ჭალის გაუპატიურებისთვის
 მაგრამ ეს მაინც
 სასოწარვეთის ეესტია.
 როცა ოშია
 მსხვერპლს ვინ ეძებს
 ცოტაა თუ მეტია?..
 გააქვს ტყვიის მფრტვეველს
 საშინელი კაკანი
 მოდი და გაარჩიე
 დაშნაკაკანი..

9.

ამაღლების ქუჩა
 ნომერი თვრამეტი.
 პატრიარქივით
 ზის ოჯანესს თუმანიანი
 და თავის ურიცხვს
 შვილებს და ქალიშვილებს
 აფიცებს ომში
 არ ჩაერიონ.
 და ჩემ წერილის
 საპასუხით
 ათავებს წერილს:
 — სირცხვილი არი
 მეზობლები
 ერთმანეთს ელეტდეს
 ეს არ შვენის
 საჭართველოს
 კავკასიის
 საფრანგეთს“...

ბავშვები * * *
 რაც ხმა აქვთ
 გაჰკვივიან.



— ეკატერინოფელდში
იმპრეზებს გეარდია.
ქართველი ჯარები
ჩაეღებ ერევანში.
მწაოე იქნება
ჩვენი რევანში.
— გაზეთი, გაზეთი
Вечерняя газета
Вечерние новости.
Покушайте братьям
— Падение
Советской
Власти...

* * *

ახალ კლუბში
ბრმა სლუცკის
ორკესტრი
რაე ხმა აქვს
გოგონებს
გამპრეზების მარშს
ქალი და კაცი
ტანს უკრავენ
ლეგერის თამაშს...
იმსმის დრიანცელი
მთვრალეების ბროტინი
და მეოე დედის კვინება.
ვათენებამდე
დაღლილ ტფილისს
არ ეძინება...

ჩვენი რწმენა

ვინც კი თვალს გადაავლებს
 ირველივ შრომის ბარებს,
 ბოლო ბურთულებს, კვამლის კაელებს,
 გრდემლებს, ზედადგარებს,
 ჩაქუჩების მწყობრ დაშენას,
 ნამვალთ წყრილს მკაში,
 დინამოთა მძიმე ქშებას,
 ელსადგურებს მთაში.

რკინის ვზათა ქსელის წვეს,
 გემთ მიმოსვლას, ხშირსა,
 პლანერების ცაში რბევას,
 ავტოთ სრიალს ძირსა,
 ქალაქების გუნთთა კუმშვას,
 სოფელთ გაძძლე წოდანს,
 ძველ ნანგრევთა შლას და ფუშვას,
 ახალშენთა ლოდინს,

კედელი რომ კელეს მოსდევს,
 ვით ზვირთს ზღვაში—ზვირთი,
 თითქოს მთიდან მთა ჩამოსდგეს,
 ვით ნანატრი ტვირთი,
 თითქოს მიწით ამოხეთქა
 რალაც ურავანმა,
 თითქოს სიგრძემ კარი ჰფეთქა,
 გაიწია განმა,

თითქოს გული აღარ იტევს
 და აღმოხდა ბოლმა,
 თითქოს რაში რაშს არ იწევს,
 გამატაცა დოღმა,
 და მივქრი წინ, ვით არ როდეს
 ასე არ ქროლილა,
 თითქოს მას მზეც უხაროდეს,
 ისე ატყერტილა,

თითქოს ზღვაც კი კუნთებს გვაწვდის,
 ჰერის დალალებს ქარსი,
 თითქოს ცასაც იბყრობს განცდის
 წუთი უებარი...

აი, ვინც კი ამ სურათებს
 ჩემთან ერთად ხედავს,
 ის გულს, აღზათ, ჩემებრ ანთებს
 და შიგ იმუდს სჭედავს!
 გულში, აღზათ, ისიც მთებს სდგამს,
 რომ აიფსოს სიერცე,
 მომავალიც ჩემსაფით სწამს,
 მომავალი, მტკიცე.

მომონეგანი

ჩაშმელები.

შეც გაფიგი — ტყე-ტყე დახვალთ
და ტყეთ ერთობით;
რომ ძმები ხართ, მთად ნაფიცნი
მშობის, ერთობის.

ერთ დღეს თურმე, ერთ განთიადს,
რძერაეს ნისლიანს—
როცა ღამე ნაბადივით
გადაგისვრიათ.

ჩაფრებს ჩალის ყანებიდან
ჩასაფრებიხართ—
და ბინდამდე ქარს მოჰქონდა
თქვენი თოფის ხმა.

ტეკორიხტი.

თვალშარდ იყო, ტანშარდ იყო,
გზამოვლილ იყო...
შზე შინა და შზე გარეო—
დასირმულიყო.

შაფი თმები, შავად სჩანდა
ყაბალაბიდან
სამშრობამდე ცხენი ება
საბალახოთა.

შემდეგ როცა შებინდდა და
ზე ვერხვს არ გაედა—
საღლაც ღამის მოსახვევში
თოფი გაეარდა.

გუშინ კაცი მოდიოდა

ვკითხე დედას: სოფლის ბოლოს

ცუცხლი რად არი?

— გუშინ კაცი მიდიოდა
ნაფირალარი.

ვკითხე: იგი სად წაყვიდა

ან ებრძოდა რას?

მიპასუხა: შემოსეულს

უაზახების რაზმს.

შკითხა დედამ: დღეს მზიანი

დღე რაით არ არი?

— გუშინ კაცი მიდიოდა

ნაფირალარი,

სიკვდილს სადმე შეხედებოდა

თავს შეაღებდა“

ვფიქრობდი და ფიქრებს იქით

ტყე შრიალეზდა.

1929 წ.

ქართული
ლიტერატურა



აქრე სინათლა, აქრე, მე მაინც აზანთოვ მას!..

(იოზანი ასოს)

84645

4645

ზამთრის ბნელ ღამეს მოეცო ჩრდილოეთის მხარე. მზე დიდი ხნის ჩასული იყო და დაბალ ქოხებიდან მკრთალი სინათლე მოსჩანდა. მომავალი განთიადის მოლოდინში ადამიანები შეძლებისდაგვარად საშუალების არ ზოგავენ, რომ ბედნიერად ეცხოვრათ, მაგრამ ავი ღმერთი სიბნელისა, ღმერთი, რომელსაც დაეპყრო ბნელეთი, ზელს უშლიდა ამ კანონიერ ცდას. ეზოში მიმალული, ის ელოდებოდა სინათლის გამორჩენას, რომ იმას გაეღო კარი და შეეარდნილიყო შიგ-1).

„ფუფუ!“ შეუბერა და ის სულსა და შეუბრალებლად აქრობდა სინათლეს. ვერავინ კი ვერ ბედავდა სიბნელის ღმერთის მიერ ჩამჭრალი ღამპრის ზელ-აბლა ანთებას.

— რაღა უნდა ექნათ ეხლა? გკითხებოდენ ერთმანეთს ამ გაუვალი სიბნელით მოცული (ქვეყნის) ნცხოვრებნი, დაბალი ქოხებისა.

მაგრამ ვაიდა თუ არა სიბნელის ღმერთი პირველი ქოხიდან, იმავე წამში მისი ადგილი დაიკირა ღმერთმა სინათლისამ.

— აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!

თქვა მან და აანთო სტოლზე დადგმული სანთელი.

შემდეგ ამისა მან კვალ და კვალ მისდია ამ გენიოსს სხვა ქოხებში.

და სადაც კი სანთელი ჰქრებოდა იქ კეთილი გენიოსის მიერ სანთელი კვლავ ინთებოდა. მაგრამ მოიხედა რა ავმა ღმერთმა და კვლავ დაინახა სინათლე, ის უკანვე დაბრუნდა და პირველ ქოხს მიაშუო.

„ფუ, ფუ!“ შეუბერა მან და სანთელიც ჩაჭრა.

ვერავინ კი ვერ გაბედა ავი ღმერთის მიერ ჩამჭრალი სანთლების ანთება.

— სანთელიც კი გაგვიქრო, რაღა ექნათ? კითხულობდენ ბნელში მყოფნი. მაგრამ იეავე წამს ავი ღმერთი კარში ვაიდა, მისი ადგილი კვლავ დაიკირა კეთილმა ღმერთმა და ფურჩულით იკითხა—მეყარი ხომ არსად იშონებოა.

კვარი მართლაც მოინახა—ის ძველის ძველად ზელშემომანხულ წინაპარს დაემზადებია და გასაშრობად იატაკს ქვეშ შეენახა.

1) ხაზი ცენზორის მიერა გასმული (ამოშლის მიზნით) პ. გ.

2. ჟურ. „მნათობი“ X 8-9



— ჩაარქვეთ ეს რამეში! სთქვა გენიოსმა და გამოიღო მისი მარჯვენა ხელიდან ცეცხლი... ანათა რა მკვარი ეშმაკურად წაილაპარაკა:

— აქრე, აქრე სინათლე, მე მაინც ავანთებ მას!

და იქ, საცა სინათელი ქრებოდა, მკვარის ალი ბრიალებდა და სიბნელის ღმერთმა დაინახა, რომ იმ ალაგას, სადაც მან ბნელი გაამეფა კვლავ კრთოდა სინათლე. მესამეჯერ დაუბრუნდა ის ქოხებს.

— „ფუ!“ დაუბერა მან, მაგრამ კვარი არ ჰქრებოდა.

„ფუ! ფუ-უ!“ და როცა მან მესამეჯერ დაბერა, მკვარი ჩაქრა.

ვერც ახლა გამოჩნდა ქინძე, რომ სიბნელის ღმერთის მიერ ჩამქრალი მკვარი აენტო.

— რა ვქნათ? გაისმა უიმედო ხმა და უცბად მოისმა ბნელში მომავალი სინათლის ღმერთის ფეხის ხმა.

— გააჩაღეთ მღვიმელში ცეცხლი! წამოიძახა გენიოსმა და იმ წაშში მღვიმელში აგუზგუზდა ბრწყევილა ცეცხლი, ალურსით მიანათა გარემოს, გაანათა გენიოსის შხიარული სახე, რომელიც ამბობდა:

— აქრე, აქრე სინათლე, მე მაინც ავანთებ მას!

და სადაც კი სიბნელის ღმერთი, ხალხთა დასაჩაგრავად, მკვარებს აქრობდა, იქ ღმერთი სინათლისა, კეთილი გენიოსი, ხალხისავე სასიხარულოთ ანათებდა ცეცხლს, და ეს ცეცხლი ანათებდა, ანათებდა არა თუ მარტო ქოხს, არამედ ქოხს გარეთაც სწევდა ხეების მწვერვალებს და იმათ ყინვისაგან გათეთრებულ ტოტებს აპრიალებდა.

გამბოროტდა ბოროტი გენიოსი, ავა ღმერთი სიბნელისა, ბრაზმორეულმა გადაატრიალა თვალები და ქარის სისწრაფით გაეშურა ქოხებისაკენ.

„ფუ! ფუ! ფუ!“ უბერავდა ის, — „ფუ! ფუ-უ! ფუ-უ!“..

მაგრამ რამდენ მეტს უბერავდა, რამდენ მეტს სკდილობდა, იმდენად უფრო და უფრო მატულობდა ალი და ინთებოდა ცეცხლი. ახლა ის სწევდა არა თუ ხეების გაყინულ ტოტებს, არამედ გადიოდა საკვამლეში და იქიდან ისერიდა თავის სინათლეს შორეულსა და მიყრუებულ სოფლებში; ასე რომ იმისი გამოჩნაშუქი ახწევდა უცხო ქვეყნებსაც კი.

ძლიერ სკდილობდა სიბნელის ღმერთი, არ ზოგავდა ძალისა და ღონეს...

არ ვიცი, შესძლებდა ის იმ ეამად სინათლის ჩაქრობას თუ არა, მაგრამ ამ დროს ღამეც გათავდა და შზე ამოვიდა. ახლა აღარ იყო საჭირო ცეცხლი და ამო იყო სიბნელის ღმერთისა გულმოდგინებაც. ეს იმიტომ, რომ დღისით სიბნელის ღმერთებიც უძღურნი არიან და ღამით ხომ ადამიანებს იცავს ღმერთი სინათლისა, კეთილი გენიოსი.

ქოლა ლომთათბერის ეს მოთხრობა, როგორც სჩანს არქივში შენახული საკორექტურო ფურცლიდან, უნდა დაბეჭდილიყო ჟურ. „კვალი“-ს 1902 წლის სექტემბრის ნუმერში, მაგრამ ცენზორმა მასზე წააწერა: „В виду тенденции цензуры напечатание воспретить“.



უკრინული

ყვლის რედაქციას რამდენიმე ხნის შემდეგ ისევე აუწყებდა მისთვის მოთხოვნა და გაუგზავნია საცენზურო კომიტეტის დაბეჭდვის ვიზის მისაღებად, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგივე ბედი სწევდა ჭ. ლომთათიძის მოთხოვნას რაც პირველად: ის ცვლავ აიკრძალა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ—აჭრე სინათლე, აჭრე, მე მაინც ავანთებ მას!—შექმდებოდა არსად დაბეჭდილა, ის კი ოღალა ლომთათიძის, 1925 წელს გამოცემულ ორტომიან თხზულებათა კრებულშიაც არაა მოთავსებული.

„აჭრე სინათლე, აჭრე, მე მაინც ავანთებ მას!“-ის დედანი—საცენზურო ფურცელი ამჟამად ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში.

ლიპი

მშრალი და წყრილი თოვლი მიწაზე ცვივა. თებერვლის ნალვლიანი დილა მძინე ნაბიჯით ახლოვდება.

ხმაურობენ ფურგონები. ისმის ავტოების გუგუნნი და მრავალი ათასი ჩემპის დარტყმა. გამხდარი და მშვიერი ცხენები ჯარისკაცთა დაუზოგველ მათრახების ქვეშ ხენეშით მიათრევენ ტვირთს. გრუხუნით მიდის არტილერია.

შაინც სიჩუმეა.

ხმაური და სიჩუმე ხელი-ხელ გაყრილი მიაბიჯებენ. დადგომიან გზას და არ, იციან ერთმანეთს სად დასცილდებიან.

რამოდენიმე ქალი და ჯალარი კაცი ფურგონზე მოკალათებულია. ფურგონში ჩაყრილია კიდევ კალათები, ჩემოდნები, მაფრანგები.

გამოჩნდა არაგვი, ჩქარი და წმინდა. გაუარეს მცხეთის დათოვლილ სვეტიცხოველს. ქსნის ერისთავთა ციხეს. გადაიარეს ქარელის ველები.

გზადაგზა ჯარისკაცები ეთხოვებიან აზნაანებს. დაუქითხაუთ სტოვებენ გუნდებს და მიდიან თავიანთ სოფლებისკენ. მთიულეები გაჰყვენ გზას მცხეთიდან, ხაშურამდე ქართლელები დაიფანტენ და მხოლოდ იმერლები ჩაჰყვენ ლიხის დასავალს.

უკან დარჩა დედა-ქალაქი.

გაურკვეველის და უცნაურის ზოლოდინში დასტოვეს. ეხლაც თვალწინ არის ტფილისი; ეთხოვებიან ყოველ ქუჩას, ყოველ ნაცნობ სახლს. ოდესმე დაბრუნდებიან? და თუ დაბრუნდენ, ისეთივე დაზვდებათ?

საით მიდიან, თითონ არ იციან. ფურგონში თბილა და ფურგონს მიჰყვებიან. სად შეწყდება გზა? რა საჭიროა ამის შესახებ ფიქრი? რა იქნებოდა ტფილისში რომ დარჩენილიყვენ? ო, ეს ალბად დიდი ბედნიერებაა, იქიდან რომ გამოასწრეს!

წყრილი, ღომის ოდენა მშრალი თოვლი ცვივა ფურგონზე, ველზე, დანისულ მთებზე. მშვიერი ყვავები გუნდებათ დაფრინავენ. ფურგონში მკოფთ ეწვენებათ, რომ ყვავები ქალაქისაკენ მიიშართებიან.

რამოდენიმე ცხენოსანმა ფურგონს გაუსწრო. ცხენებს ოზშივარი ასდით. ცხელი ტანი სითბოს ორთქლად უშვებს. მხედართა პირველ წყებას მიჰყვა მეორე, მესამე.

მხედარის ხმაბალიში სიცილმა ფურგონში მყოფთა ყურადღებზე შეაღწვია. ამდენი გზა გაიარეს და სიცილი პირველად გაიგონეს. ფურგონში უკვე მძღვენი გადისხადა, ახალგაზრდა ქალის სახე გამოჩნდა. მზიარული, ბავშური თვალებით უცქერის ცხენოსანთა იმ წყებას, სადაც ვილაყამ გაიციცა.

— გოგი! — გაისმა ხმა ქურჭიდან.

ცხენოსანმა მოიხედა.

— გოგი! — გამეორდა იგივე ხმა.

ქალმა ქურჭი გადაიძრო. მუხლებზე წამოაჩოქა. ფურგონში სხვებიც გაირყენ. სხვებშიც ამოიხედეს. მხედარმა ფურგონთან ცხენი მიაგდო.

— აქ არ შემოავიხტეს, ჩვენც ძლივს ვეტყვი! — გაიხუპრა ქალმა.

მხედარის ახალგაზრდა სახე ბედნიერი ღიმილით გაიხსნა. თვალები მზიარულნიც იყვენ და გაკვირვებულნიც.

— მაგდა! შენ აქ რა გინდა? ბატონი გიორგიც მანდ არის?

— ჰო, მამა არის.. სძინავს.. ჩვენც მივდივართ. სრულიად უცერად მოხდა. წუხელ არც ვიცოდით, თუ ამ დილით აქეთ გავსწევდით, ისაც ფურგონით. რა მზიარია რომ ვხედავ!

ორივეს უხარია.

— არ ვიცით, სად გავწერდებით. სადაც ჯარი გაჩერდება, ჩვენც იქ ვიქნებით. ისე უცერად წამოვედით, რომ აუცილებელიც დაგვრჩა ბინახე.

უნდათ ბევრი რამ უთხრან ერთმანეთს, მაგრამ სიტყვა არ მოდის. უფრო ერთმანეთს უზიერენ.

წყებას ჩამოცილებული ცხენი ვერ ისვენებს და წინ მიიწევს.

— შე კიდევ გნახავ, კიდევ გნახავ... არ გემშვიდობები...

ლაფში იგრძნო მოშვებული სადავე, თავისით მიტრიალდა და გაქანდა ცხენებისკენ, რომლებიც მოშორებით სწანან.

მაგდა თვალს არ აშორებს ცხენს. ცხენი მიჰქრის და ღონიერი ტორებით ჰერის თოვლსა და მიწას.

ისევ ჩაიფუთნა ქურჭში. უკეთ იგრძნო თავი. რა კარგი იყო გოგი უხრალო ჯარისკაცის ტანსაცმელში! რა ვეცაცური სახე ჰქონდა ამ თითქმის ბავშვს!

უნებურად მოაგონდა მრავალი დღე და საღამო გოგის სახესთან შეერთებული. შემდეგ ეს მოგონება გაიზარდა და მოხვავდა იმ დღეებად, რომელიც წარსულში დარჩა. მებსიერებას შეენახა ისეთი წვრილმანიც, რომელიც შესაძლოა არასოდეს მოკონებოდა... დღეიდან იქ სულ სხვა ცხოვრება იწყება. ვინ იცის რა ხალხი დაეპატრონება ქალაქს, ქალაქში მიტოვებულ ოთახებს! ვინ იცის სად მიაგდებენ ყველა იმ ნივთებს, რომელიც ოთახებში დარჩა მიფანტული.

აღბად დასციინებენ იმ პატარა ხატს, რომელიც საძინებელ ოთახში დასტოვა და რომელსაც დამშვიდობებისას ჩააბარა ყველა საყვარელ საგნების ბედი... განა მართლა სწამდა ხატის ძლიერება? არა, უყვარდა როგორც უწყინარი ნივთი, რომელსაც ისეთ ძალას აწერდენ ისინი, ვისგანაც დალოცვით მიიღო...

დარჩეს საყვარელ ნივთებთან როგორც იმედი, თუმცა საეჭვო, მაგრამ მაინც იმედი.

თოვლი, წერილი და მშრალი თოვლი, ათეორებს მიწას. ვეფხველი — ეფხრება ველს და რუხ ფარაჯებს, რომელთა გაყინული ხელები ძლივს მოაწერს ფარაჯს. გაბაწრულან რუხი ლანდები. გრძელია, ძალიან გრძელია ლანდების წყება. წინ მრავალი მიდის, უკან მეტი ათასი.

გაბაწრულან მატარებლებიც, დატვირთულნი ბარგით, ზარბაზნებით, ხალხით. მატარებლები ქვინავენ და ვერ იჩქარებენ.

შესაძლოა უფრო ბედნიერი იყვენ ისინი, რომელნიც ვაგონებში ჩაწყობილან. მაგრამ არც იმდენათ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რამოდენიმე საათით ადრე ჩაულენ არჩეულ ადგილს.

მაგდა არ შენატროდა მათ ბედს. თბილოდა მას და სულ ერთი იყო, ვა რამდენხანსაც გაგრძელდებოდა. შესაძლოა კიდევ ურჩია ისე... მეტი დრო ვაივლის...

ისევ გოგი მოაგონდა. მასთან ერთად დეიდა თავლო, მარინე, — საყვარელი, ძვირფასი მეგობარი.

რა საკვირველი იყო ეხლა ტფილისი!.. მხოლოდ რამოდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული, უცრად ვახდა ისეთი საოცნებო და წარმოუდგენელი! თითქო არასოდეს ენახა, თითქო მხოლოდ ზღაპრად გაეგონა. მართლა არ სებობს ეს ქალაქი, თუ მხოლოდ მოჩვენებაა და მთელი თავისი სიცოცხლე სცხოვრობს ამ ფურგონში და მიჰყვება მას დათოვილ, დაუსრულებელ გზით? შეიძლება მართლაც არ არსებობს ტფილისი, არც მეგობარი მარინე და ათასი სხვა? შეიძლება ყველაფერი სიზმარია!

II.

მეოთხე ღამემ ხაშურში მოუსწროთ.

მაგდა ხედავდა აქა-იქ დანთებულ ცეცხლს, რომელსაც გარშემო ჯარისკაცები უსხდნენ. მაღალი ცეცხლის ალზე ირხეოდნენ ადამიანების და საზიდავების სილუეტები. კიბეინებდნენ ბნელში ერთმანეთს დატაკებული ცხენები. ისძოდა ყვირილი. რამოდენიმე ხნით ყველაფერი წყნარდებოდა, შემდეგ კი ისევ უცრად იფეთქებდა და ახმაურდებოდა. თითქო ნაცრის ქვეშ დაფარულ ნაკვერჩახლს ვიღაც ქექდა და არ ასვენებდა. გაბოროტება ასულდგმულება ამ ღამეებს. განადირებული ადამიანები ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ. ამ პატარა ქალაქში, რომელიც თითქო შემთხვევით დაბუდრებულია ტიტველ, გადამწვარ ველზე, ადამიანი ისევ უბრუნდებოდა პირველყოფას, ისევ იღვიძებდა მასში ის მიმალული სისხლი, რომელიც ძველიდან ბუდობს სხეულში, გერ კიდევ განუდგენელი და ფარული დაღი შისი ველურობის.

ცივი ქარი მოქპროდა ქვიშხეთის ბეობიდან. ცივი ქარი არ აძინებდა მოსვენების მონატრულთ. ერთი საათით თავდავიწყება, ძილი უსიზმროდ — ყველაზე უტკბილეს მოგონებათ და ოცნებათ იქცა. მაგრამ სოველი მიწა, დამძრალი ხელფეხი და შიმშილი, უფრო ძლიერა იყო ამ სურვილზე.

ფხიზლობდა მაგდაც. უფრო იჭერდა ათას ხმას, თვალი ხედავდა ცეცხლს და ცეცხლის გარშემო დაუბრუნებულ ადამიანებს, რომელნიც რიგრიგობით თბებოდნენ.



სადღაც დუქანს ცეცხლი წაეკიდა. შემთხვევით მოხდა ეს, ვინ ვინ ვინ... ამის გაგება არავისთვის იყო საჭირო. ხანძარმა მიიზიდა ბრძანის მფარველსაც ასეთი უცაბედი წყალობა დიდი სიხარული იყო. და განა ცოდვა იქნება გადაიწვეს მწკრივად ჩაწყობილი კოლოფები, თუ კი ამით გაბედნიერდება მრავალი, თუ კი გათბება ათასი ტანი და განათდება ასეთი ბნელი ღამე? აღამიანი ყველაზე უშაღესი არსებაა, ყველაზე უფლებიანი, და რატომ არ შეიძლება მისი ბედნიერებისათვის, თუნდაც ის გაგრძელდეს ერთ წუთს, შეიწიროს ვირთხებით დახრული კედლები, კედლები საესენი ხოკოებით და ბალინჯოებით!..

ხანძარი იზრდებოდა. მალალი აღის გადაღმა ბნელში გადმოიხედეს თერთად ამართულმა კლდეებმა.

ცეცხლი ემუქრებოდა მეზობელ კოლოფებსაც და რომ არ გადასულიყო, ამტრედენ დუქანებს. გაჭვარტლულ და ფულუროიან ფიცრებს იტაცებდენ. შემდებ ანთებდენ და ჯგუფებად გარშემო უსხდებოდენ. მალე მრავალ ადგილას გაჩაღდა და თითქმის ყველას ეყო ვასათობად.

მაგდას ართობდა ცეცხლი და უხაროდა, რომ მრავალს მიეცა სხეულის გათბობის საშუალება. ჩამოხვდარი ფურგონზე, მხიარულად უცქერდა ამ სურათს. არ უშეღდა სურვილს თავის თავსაც, თორემ უნდოდა უფრო გადიდებულიყო ცეცხლი, კიდევ მრავალი დუქანი გადამწვარიყო და გამთბარიყო ეს ნოტიო ღამე.

თითქმის ფურგონის გვერდით ჯარისკაცთა პატარა ჯგუფმა ცეცხლი გააჩაღა და მოიკალიათა. მაგდა ხედავდა მათ გახარებულ სახეებს. რამოდენიმეხნის წინად გაბორბტებული აღამიანები ეხლა უფრო კეთილი სჩანდენ. უკვე არავინ ერეკებოდა მათ, ვისაც უნდოდა დიდხანს და ახლოს ყოფნა ცეცხლთან. ეხლა ყოველ ახალ მოსულს სიხარულით იღებდენ. რომელიღაც ჯგუფში ამღურდენ კიდევ.

ღამეში, სრულიად მოულოდნელად, გამოჩნდა ცეცხლით განათებული გოგის სახე.

ერთი წუთით მაგდას ეს მოჩვენება ეგონა.

— მაგდა! ვიცოდი იქ იქნებოდი სადმე... რამდენი ხანია დაგეძებ!

ქალი ფურგონიდან გადმოხტა. ჩიტვით მიეფართხალა. ეაქი მოშორდა ფურგონს და ქალიც უნებურად გაჰყვა. ისე მოხდა, თითქო წინასწარი დათქმა ჰქონდათ.

რამდენათაც საშუალებას აძლევდათ შეჯგუფული ჯარისკაცები, ისინი სწრაფად მიდიოდენ. ყველა ქუჩა, ყველა ჩიბი საესე იყო ჯარით. ცხენებით, საზიდავებით. სადგურზე შეხვდათ ვიღაც დედაკაცი. დედაკაცმა გაოცებით შეხედა მაგდას და გაჰყვა უკან, როცა ისინი სურამისკენ მიმავალ ლიანდაგით წავიდენ. მაგდას ეშინოდა არ ატორღილებოდათ ეს სრულიად ზედმეტი არსება. შეიძლება ვინმე ნაცნობი იყო, გადმოხეწილი უცნობ ადგილას, სრულიად პარტო, ეძებდა ნაცნობ სახეს და როცა დაინახა, ვერ დაუჯერა ამ ბედნიერებას, ვერ გაბედა ცხადში მიეღო ეს სიხარული... შეიძლება, მაგრამ ამ წუთში მაგდასთვის ის შაინც უცხო იქნებოდა, თუგინდ წინად, რამოდენიმე დღის წინადაც, ძალიან ახლობელი.

აუჩქარა ნაბიჯს. არ მოიხედა. გრძნობდა, რომ უკან მარჯვენა ხელით ხარბი თვალი. თვალები ზურგში ეკალივით ესვებოდნენ და კარტეჯის მძაბ-ქარებდნენ. სულერთია საით წაყვლენ, ოღონდ მოშორდეს და აღარ გრძნობდეს მისი სახის მამებარ თვალებს..

მაგდას მთალოდ ესმოდა გოგის ლაპარაკი, გონება კი ახრს ვერ იჭერდა. ფიქრობდა მხოლოდ ორ მდევარ თვალზე.

უეცრად იგრძნო სიმბატე. მოიხედა. უცნობი ქალი აღარ იყო. უკან დარჩა სადღაც მატარებლებით დატენილ ლიანდაგებს შორის.

მხოლოდ ესლა დაინახა რა შორს წასულან. შერხრდნენ სადღაც მისრეს კარავთან. შორიდან სჩანდა ჯერ კიდევ ჩაუჭკრალ ცეცხლის აღი და ხანდახან ქარს ნაწყვეტებად მოჰქონდა ჯარის შემავაროვებელ საყვირის ხმა.

გოგი უამბობდა, თუ რა გადახდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთი არ ენახათ. მაგდა უფრო ამ ხმას უსმენდა, ვიდრე მას, რასაც მისი საშუალებით უამბობდნენ. უბაროდა, რომ ხელები, რომელიც შემოაკროდა. იყო ახალგაზრდა გმირის. დე მან კიდევ ათასი რამ საკვირველი უამბოს განვლილ დღეების თავგადასავალიდან, ეს ამ წუთში სულ ზედმეტია. ისედაც დარწმუნებულია, რომ გოგი გმირია, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ნაცადი. ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ მან ისახელოს თავი, მთელი ქვეყანა მის შესახებ ალაპარაკდეს და მხსნელი მასში დაინახონ? შეიძლება ის არის ქართველი ნაპოლეონი, რომელსაც ჯერ შემთხვევა არ ჰქონია გაემტლანა თავისი გენიი. აი, დაჰკრავს მისი საათიც, მდგომარეობა თითონ გაათრევს ფართო ასპარეზზე და შემდეგ დაუფიწყარი შარავანდედით შემოსავს მის სახელს. მაგდას უნდოდა დაერწმუნებია თავი, რომ ამ შარავანდედში მისი წვლილიც არის შეტანილი და შეიძლება ბედმა ისურვოს ისე, რომ ორივეს სახელი შეერთდეს დიდებისთვის და უცდავებისთვის.

— ხომ არ გეშინია?

— არა... შენთან ვარ...

— არასოდეს ასე ტკბილი არ ყოფილა ყველასგან შორს ყოფნა...

— ხელის კანი სიცივისგან დაგზეთქია...

— ესლა უფრო ღონიერი ვარ, ვიდრე ოდესმე... ისევ გიყვარვარ, როგორც წინადა?

ღონიერ ხელებში ვაემა ქალის სახე ჩაიჭირა და დიდხანს კოცნა.

— გამიშვი!

— რა სურნელება აქვს შენს ტუჩებს, შენს სახეს, შენს თმებს!..

— აჰ! გამიშვი!

— ყველაზე ძვირფასო, ყველაზე საყვარელო!

— აჰ!

— რომ შეიძლებოდეს გავშალო შენი თმები...

— გავშლი... შენ თუ გინდა...

— როცა ჩვენ დავბრუნდებით...

— აჰ!

— რა სურნელი აქვს შენს ტუჩებს!..

— მკოცნე... მკოცნე... მკოცნე!..

ნაცრისფერო, ნოტიო დილა მიიტანეს იმ ადგილას, საიდანაც ღამით წამოვიდნენ. ღამე უფრო ღონიერი იყო დილაზე. დღე იწყებოდა მოთენილი და უსიხარულო.

იმავე დღეს ჯარი დაიძრა გვირაბისკენ. ღიზის მაღალი მთა, დასუყებული მსუქანი თოვლით, საბედისწერო ზღუდრით იყო ამართული. შესძლებენ ამ ვეშაპის გადაღაზებას ადამიანები, ქიანპველასავეით რომ შესევინან მის ფერდობებს?

მაგდა და გიორგი მატარებელში მოეწყენ. დასავალზე თითქო პირველად გაიგონეს ორთქლმაგალის თამამი კივილი. ეს გაბედული ხმა ბედნიერ წინასწარმეტყველობად ეჩვენად. ქედმა მეორე მხარეს დასტოვა შიში და გადაუკეტა კარები. ისევ გაცოცხლდა მოგონება განვლილ დღეების. უქანასკნელი ღამეც გადაიქცა შორეულ წარსულად, რომლის მოგონება ასე ტკბილი და საამო გახდა. რა იქნება წინ? რა საჭიროა ამაზე ფიქრი, როცა ჯერ კიდევ განვლილი ნაკვალევი არ ამოესილა? ჯერ კიდევ გზა არ დასრულებულა, ჯერ კიდევ სავალია.

III.

ხევის პატარა ქალაქი იყო უქანასკნელი სადგური, სადაც მაგდა და გიორგი ეავგონიდან გადმოვიდნენ. მატარებლები წავეიდნენ დასავლეთისკენ.

გიორგის და მაგდას ბედი ხედათ. იმავე დღეს იშოვეს ბინა. მაგდას მოსწონდა კიდევ ერთ სართულიან დაბალი სახლი, ცისფერად შეღებილი გარე კედლებით. წინ პატარა ბაღი, რომლის დიდრონი ხეები მოწმობდნენ, რომ ზაფხული ღამაზე კეთხეთ აქცევდა აქაურობას. დიდი, ნათელი ოთახები ალბად უხვად უშვებენ მზეს. რა აღერსიანი იყო ბუნხარი ნოტიო მარტის გრძელ ღამეში!

ბინამ გაუქარა ის ნაღველი, რომელიც ქალაქიდან ჩამოჰყვა. ცდილობდა გაემხნევა მამა. გიორგი შეიღს მწუხარებას არ ამჩნევიანებდა, მაგრამ თავისთავად იხედებოდა ის ყოველ სიტყვაში და მოძრაობაში.

დაღერემილი და შეშინებული ეჩვენათ სახლის პატრონი, შუატანის, შავგერემანის, ხორციანის და ისე ტანჩასკნელი, თითქო მუხის დიდი ჯირკისაგან ნაჯახით გამოთლილი ყოფილიყო. მამაკაცი სჩანდა მრისხანე და დაუნდობი ჯიუტი ნება, დაუდგარი ძალა იხედებოდა მისი თვალებიდან. მაგდა შიშით უკურებდა ამ თვალებს.

— სიმონ! სიმონ! — ხშირად იმეორებდა სახლის პატრონის სახელს და ამ სახელის ბგერაშიც ესმოდა ხმაური მამაკაცის ღონიერი კუნთების.

მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე საათი იყო საჭირო, დაახლოვებოდნენ ისე, თითქო დიდი ხანია იცნობდნენ და მცობრობდნენ კიდევ.

რამოდენიმე დღე წაება ერთმანეთისგან განურჩევლა. სიმონი შინ ვერ ისვენებდა. ხშირად დადიოდა სადგურზე, ელაპარაკებოდა ჯაროსკაცებს, მატარებლებით მიმავალ მოქალაქეთ და შემდეგ ბრუნდებოდა ოთახში, რომ რამოდენიმე წუთის შემდეგ ისევ წასულიყო სახეტილოდ.

საათობით იზრდებოდა დაკეტილ დუქნების რიცხვი. ზუგაძე უმჯობნდა, მაგრამ შიგ არაფერი ეწყო. ვიკრობდენ მხოლოდ პაპიროსხაბ "ტბს" მარხით, რომელსაც არაფერს ყიდულობდა. არ იკეტებოდა მხოლოდ სამიკიტნოები, ყოველ დროს სივსე ჯარისკაცებით.

ღამით ქალაქი იყო ბნელი. შესაძლოა არ სძინავდათ, მაგრამ დარაბები მაინც მიეხურათ. დუქნებიდან სანათურები ჩამოეხსნათ, რამოდენიმე დღის წინად ქუჩის სანათურებშიც ნაფთი გამოიღია და მას შემდეგ არც ჩაუსხამთ. ვინათებული იყო მხოლოდ საღვური. ყველა კუთხეში, სკამებზე და მაგიდებზე ეძინათ ჯარისკაცებს და აღმოსავლეთიდან გადმოხიზნულ მოქალაქეებს. ფერმკრთალნი და მოქანცულნი დადიოდენ ბაჭანზე და დარბაზში ისინი, ვისაც დასაჯდომიც ვერ ეშოვა.

სიმონი ყველაზე უფრო ხშირად თავის ქარხანაში მიდიოდა. ქარხანა კვირაზე მეტია აღარ მუშაობდა.

მდინარის მარცხენა ნაპირას იყო ვაკე ადგილი ბუჩქნარებით და ეკლით. აქედან სწინდა მთელი ქალაქი, პატარა და მკლე. ზაფხულში ეკლებზე მწიფდებოდა მაცვალი. ადიდებული მდინარე ნაპირებს ზღვსავდა ვაჭარს და ყოველ წლებით ათლიდა ნაკვეთს. შემდეგ მდინარე ჩადიოდა ძველ კალაპოტში, გადავლილზე კი სტოვებდა ქვიშას და სილას. სიმონის ღონიერმა ფეხებმა ერთ დღეს დაზომეს ვაჭარი. მსუნავი თვალები, გადმოხურული გრძელი წარბებით ხედავდენ ამ ადგილის მოპავალს.

სამედისწერო თებერვლამდე ნახევარი წლის წინად სიმონმა ააგო აქ კონიკის პატარა ქარხანა.

გამდიდრებულმა უცაბედად, განდიდების სურვილით შეპყრობილმა, თავის სიხარბე რამოდენიმეთ დააცბრო, როცა ქარხნის პატრონი გახდა.

ნუთუ ყველაფერი ზნდა გაქრეს და ისევე უუცრად დასრულდეს ბედნიერება, რა სისწრაფითაც მოეგვინა?! ის, რაც შეძენილია ტანჯით და შრომით, შესაძლებელია შეგზარდეს კაცს, მაგრამ მოულოდნელ ბედნიერებად კარზე მოსულის ხელიდან გამოტაკება და დაკარგვა, ყოველთვის უფრო მწვავეა.

ორმა, თუ სამმა გამგზავრებამ ცოტაოდენი თავგანწირვით, ბედნიერმა სპეკულიაციამ, სიმონის შორეულ ოცნებას ფრთა შეასხა და უუცრად აისროლა მრავალისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე. ეხლა აღარ არსებობდა საზღვარი სურვილების შეჭერებისათვის.

ბედო, ასე ქარივით მოვარდნილო, რამოდენიმე ხნით შეჭრდი აქ, შემდეგ კი ვნაოთ საით გაიწეე და სადამდე გაზრდი შენს საზღვრებს!

თითქო ამის გამო, რომ ეშინოდა სიზმარი არ ყოფილიყო ყველაფერი ეს, არ გამჭკაილიყო, და რომ ამ სიზმარში მაინც მოესწრო პატიემოყვარეობის წყურვილის მოკლა, სიმონი საჩქაროდ შელდვა ქარხნის აკებს. ყოველი ახალი აგური, რომელიც ქვედა აგურზე იდებოდა, ახალ სიხარულს და სრული ბედნიერების მოახლოვებას უდრიდა. სხვებისთვის დაფარულად უალერსებდა კედლებს და უწლქდა ენას, როგორც ყრმას. მის ყურს უკვე ესმოდა კვამლის სადენი მილის გუგუნე. ამ ხმას მთელი ქალაქი გაიგონებს. ეს ხმა, რომელიც სი-

მონის გულის ცემას გაეს, ყოველ წუთს მოაგონებს მოქალაქეებს, რომლებსაც სახელს. დღე და ღამე იმუშავებს ქარხანა, ორთქლი განუწყვეტლივ ეხვეწება არ იქნება წუთი, როცა სიმონის სახელი ქალაქზე არ იხმაურებს. ყველას, ვინც თუნდაც წუთით განმარტოვებს მოინდომებს, ორთქლი გამოადებიზღებს და ჩასახებს სიმონის სახელს. დავვიანებული მგზავრი, ქუჩებში მოარული მოქალაქენი, უნებურად გაიმეორებენ ჭარხის ვეგუნთან ერთად სიმონის სახელს.

ესაა კი ქრება ყველაფერი ეს და მოდიან ისინი, რომელნიც ქარხნებს არ ანგრევენ მაგრამ სიმონს სიზმარს გაუქრობენ.

მოივლიდა თუ არა სადგურს, ქუჩებს, მოედანს, სიმონი გასწევდა ქარხნისკენ. უნდოდა გაეგრძელებია ბედნიერება იმ წუთების, სანამ ქარხანა ჯერ კიდევ მისი არის. უნდოდა ენუგეშებია თავი, ნუგეში მიეცა ქარხნისთვის, მაგრამ ყოველთვის ახალი ტკივილით შორდებოდა მას. ეჩვენებოდა, რომ მუშები, რომელნიც უქმად იყვნენ, მაგრამ ქარხანას მაინც არ შორდებოდნენ. შეთქმულებას აწყობდნენ. რა იყო მათ სახეზე—სიხარული, თუ შიში? სიმონს ვერ გაერკვია. მდუმარე სახეები მოლოდინში იყვნენ. ეს მოლოდინი კი აშინებდა. სიმონი უცდიდა, რომ ქარხანა ხმას ამოიღებდა, ეტყოდა გასახარელს, მაგრამ კედლები ცივი იყო და არავეთარ ნიშანს არ აძლევდნენ.

ღამის სიჩუმეში ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ქარხნის მილი უეცრად ისევ აგუგუნდა. მიუგდებდა ყურს, წუთით აღტაცება იპყრობდა, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ უფრო სასოწარკვეთით ჩარგავდა სახეს ბალიშში, რადგან ქარხნის გუგუნის მაგიერ ესმოდა როგორ ებრძოდა ფანჯრებს მარტის სუსხიანი ქარი. ამ ხმებს კი მოჰქონდა კიდევ სხვა ხმა, ძლიერი და ყველაზე საშიში. ეს ხმა ყვიროდა იმ დაუნდობ ქარტახილზე, რომელიც ახლოედებოდა და წალგვეთ ემუქრებოდა ყველაფერს, რაც ზღუდით დაუდგებოდა.

სასოწარკვეთილ მოლოდინში რამოდენიმე დღემ გაიარა.

სიმონი მოემზადა გასამგზავრებლად.

ყოველთვის, როცა მივიდოდა სადგურზე და დაუწყებდა ლოდინს მატარებელს, უხალავ ხელს ისევ უკან სახლისკენ მიჰყავდა. უნდოდა კიდევ ერთხელ დაეველო ოთახები, კიდევ ერთხელ შეეხედა ქარხნისთვის. და მუდამ, როცა მოიარდა სახლს და ინახულებდა ქარხანას, გაბრუნდებოდა სადგურისკენ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ გაემგზავრებოდა. სადგურიდან კი უხალავი ისევ უკან აბრუნებდა. უნდოდა გაეძლო თვალები, მოესუნა გული ბედისაგან ნაწოქარის მზერით, მაგრამ ვერც ერთხელ გული ვერ გაძლა, ვერც ერთხელ თვალი ვერ დაიღალა,—პირიქით, უფრო შიოდა მათ ახლოს ყოფნა, თვალებით მათი შეხება.

ყოტაოდენმა საზრუნავმა, რომელიც გამოიწვია ორი უცნობი ადამიანის უეცარმა სტუმრიანობამ, საქმე გაუჩინეს სიმონს. ადამიანის ახმაურებამ დადუმებულ ოთახებში დაუბა ტკივილი და დაუცხრო ბრაზი. ხანდახან მოვალეთაც გრძნობდა თავს გაემხნევენა ისინი, მათთან დარჩენილიყო, მათზე ეზრუნა. იყო წუთები, როცა სიმონი გრძნობდა, რომ თითონაც დამშვიდდა და ხალისი მიეცა. ორ უცნობ ადამიანს, შემთხვევით შეხიზნულს მის სახლში, უფრო კი ახალგაზრ-

და ქალს, თითქმის გოგონას, რომლის ბავშური თვალები ბრწყინებულად უსწრებდა სუბილუმს. შეჭონდა მის აფორიაქებულ დღეებში სიწყნარება და სიწყნარების სიღრმე. მაგრამ ეს გრძობა არ იყო მუდმივი, არც ხანგრძლივი. გამახვილებულ ყურს უკვე ესმოდა სულ სხვა გუგუნე, გუგუნე დაუნდობი ქარტეხილის, რომელიც ერეკებოდა მატარებლებს, ხარბაზნებს, ჯარს. ყოველი დღე, ყოველი საათი, უახლოვებდა ხევის ქალაქს ქარტეხილის მოვარდნას. შესძლებს ხევის ქალაქი გამკლავებას? ვერა, ვერ შესძლებს! ხევის ქალაქი პატარაა, ის კი ძლიერი...

როცა წაივინდა უკანასკნელი მატარებელი, როცა სადგურზე ჩამოხსნეს ხარი, როცა ქალაქი მიატოვეს ჯარისკაცთა უკანასკნელმა რაზმებმა, როცა ბნელში გახვეული ქალაქი გაინახა და გაისუფრა უცნაურის მოლოდინში, გულის შემზარავ სიჩუმეში ჯერ შორიდან, შემდეგ ახლო გაისმა ქარტეხილის ნაბიჯები. ახლოვდებოდა მტკიცე, შეურყეველი... ათრთოლდენ ხევის ქალაქში ხის კოლოფები და კოლოფებში გაჩერდა მოშიშართა გულის ფეთქვა.

ახლოვდება. ხევი ძლიერად ახმაურდა მდინარე. აყვავდა პაერი მოტიტელებულ გორაკებზე.

მოვარდა უცრად, ძლიერად. კილამ გაიტაცა ხევის ქალაქი. რა ბედმა დასტოვა უძღურ საბუდარში!

მთელი ღამე სიმონს ესმოდა, ღამე როგორ ყმუოდა. თითქო ცოცხალი არსება ფანჯრებს ხელებს უპოტინებდა და ჩარჩოების შეგლეჯას აპირებდა. ქარი ფანჯრებს აყრიდა წვიმას, თოვლს, ტალახს.

ვინ დადის გარეთ?

შეზობელ ოთახში ვიღაც ჩურჩულებს...

რა იქნება ხეალ?

IV.

გამოიცივლა ხევი ჩახუთული პატარა ქალაქი, ძველისგან დარჩა მხოლოდ სახლები, ქუჩები, თათქმის იგივე ხალხიც. მაგრამ ვისაც შურა აქვს და გრძობა დაუჩლუნგავი, ის დაინახავს და იგრძნობს, რომ ქალაქი ძველი პაერით აღარ სუნთქავს. შესაძლოა ზოგიერთებს უნდოდეს ეს, მაგრამ მაინც ველარ სუნთქავს.

სულ მცირე ხანია, რაც ქალაქმა ფერი იცვალა. წინად კი დიდხანს იყო ერთფეროვანი.

თუ გაივლით ქალაქს თავიდან ბოლომდე—ეს არც ისე დიდი მანძილია და არ დაიღლებით—პატარა, ზოგან ხისა და ზოგან აგურის შენობების დახავსებულ კედლებზე ამოკითხავთ წარსული დღეების ამბავს. ყოველი სახლი ინახავს გარდასულ დღეების საიდუმლოს და მრავალი ოთახი ჯერ კიდევ თრთის იმ წარსულით, რომელიც მოკვდა, მაგრამ რომლის მძორი ჯერ კიდევ არ გაუტანიათ ოთხ კედლიდან.

სახლები და ის ცხოვრება, რომელსაც მასში ეწეოდნენ, ისე ვავდა ერთმანეთს, რომ თუ სანიმუშოდ აიღებთ ორს ან სამ სახლს და აღწერთ იმ დღეებს, რომლის მომსწრენი ისინი არიან, გაიგებთ იმას, თუ როგორ ცხოვრობდა ხევის მოქალაქეთა უმრავლესობა.

უსწორო, ვიწრო ქუჩების ორივე მხარეს ხის დაბალი სახლები ჩაუჭულა. ვაზაფხულზე და ზაფხულის პირველ ხანებში ბატენები, ხზოები, და ბატენები სძოვენ ჩახის ნაპირებზე ამოსულ ბალახს.

ქუჩის ერთ პირას ტარიელის სახლი იყო, პარდაპირ კი ბეკოსი. მხარი რომ ვინმეს შექცევოდა, ბეკოს სახლის შავიერ ტარიელის სახლში შევიდოდა. თითქო ფიცი მიეცათ ერთნაირი აეშენებიათ.

ბეკო და ტარიელი გარეგნობითაც გავლენ ერთმანეთს. ორივე დაბალი და რგვალი. ორივე თავტიტველა და გახუნებულ პიჯაკში.

სახლები ხნიერი იყო, მამაკაცებიც ხნიერი იყვნენ და მეგობრობაც დიდი ხნისა ჰქონდათ.

როცა ჰქმრები მეგობრები არიან, მათი ცოლებიც მეგობრობენ. გულქანმა იცოდა რამდენი ურთი ქეთამი ჰყავდა მარიამს და მარიამმაც იცოდა, რამდენ კერძებზე იჯდა გულქანის კრები. მარიამი ბრაზდებოდა, როცა მის ეზოში სხვისი ურინველი გადავიდოდა; გულქანის ქათმებს კი საკენეს გადაუყრიდა. როცა მარიამს ნათესავი მოუყვდა, გულქანმა თავის სტუმრებს მრავალკამიერი არ ამღერა. როცა გულქანს დედამთილი გარდაეცვალა, მარიამი კირისუფლად დაჯდა და სამძიმრებსაც იღებდა.

ტარიელი და ბეკო სახლებში ერთმანეთთან იშვიითად მივიდოდნენ, მაგრამ დღე ისე, როგორ გავიდა, რომ ლაპარაკით გული არ ეყვებოდათ. აივნებზე გადმომხდარნი ხმამალა მუსაფიომდნენ. უურო ზმირად კი კიშკართან ხედებოდნენ ერთმანეთს და აქ საიღუმლო საუბარიც იმართებოდა.

ბეკოს და ტარიელს ჭალაქის კირ-ვარამზე უყვარდათ ლაპარაკი. ორივეს არა ერთხელ უოცნებია:—რა კარგი იქნებოდა, რომ მდინარეს ცოტათი გააფართოვებდნენ და ნავით გასეირნება შესაძლებელი შეიქნებოდა!

პოლიტიკის შესახებაც იცოდნენ სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ აქ სადაო არაფერი ჰქონდათ. ორივე ერთისა და იმავე აზრის იყო.

ხანდახან ვაზეთსაც წაიკითხავდნენ. განსაკუთრებით სასიამოვნოა ვაზეთი, როცა მზე ჩაეხდა, მეზობლები ჯერ კიდევ არ გამოსულან და ვიდრე დაბინდდებოდნენ, კაცმა შეიძლება ვაზეთითაც თავი გაირთო და მოწყენილი საათები გაათრიო.

თითქმის იმავე ტანსაცმელში, რომელშიაც რამოდენიმე წუთის წინ ოთახში ეძინათ, ბეკო და მარიამი უკან აივანზე გამოვიდნენ.

მიალღ ძელქვას განიერი ჩრდილი დაეფინა.

ცოლი და ქმარი ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულყვენ მზით გახურებულ ოთახში ძილისგან.

მარიამმა გოგოს ცივი წყალი ტაშტით მოატანია და ფეხები ჩასდვა გასაგრილებლად.

ბეკო ისე იყო ძილისგან გაბოროტებული, რომ დაეხარა ეთქვა გოგოსთვის, მისთვისაც მოეტანა. ერთხანს ითმინა და შემდეგ, როცა მარიამმა ფეხები ამოიღო, ცალი ფეხით მოიჩოჩა ტაშტი და თავისი ფეხები ჩასდვა.

— ავიდულებია, ქალო! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბეკომმა ძელქვების ჩრდილი თანდათან გრძელდებოდა. მზე სპილენძის ფერი ნდებოდა. შორიდან მატარებელმა დაიკივლა.

— მატარებელი იყო?

მარიამმა, რომელიც გაზეთის ბოლო გვერდზე სამგლოვიარო განცხადებას კითხულობდა, არ უპასუხა.

კითხვითაც რომ გართული არ ყოფილიყო, ალბად არც მაშინ უპასუხებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბეკომ გარკვევით გაიგონა ორთქლმავლის კივილი.

ბეკომ ერთხანს უცადა პასუხს, დალაპარაკება უნდოდა. ველარ მოითმინა:

— გაზეთს კითხულობ? ვინ მოკვდა?

სამგლოვიარო განცხადება, რომელიც რამოდენიმეჯერ ჰქონდა წაკითხული, მარიამმა ისევ წაიკითხა დაუზარებლად.

— „გაუბედურებულნი და უნუგეზოთ მყოფნი“...

— თითონ მიცვალებული ვინ იყო?

— ვილაც ნოშრევიან დეკანოიძე.

— არ გამიგონია! — გულგრილად სთქვა ბეკომ.

მარიამს ჯერ კიდევ არ დაემთავრებია ქირისუფალთა სახელების წაკითხვა, რომ ბეკომ სამჯერ შეაჩერა.

— დაცა ქალო, ვერ გავიგე, ბიცოლა რომელია?

— რომელია და, მართა.

ბეკომ გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— ჩემი არ იყოს, შენც დავთარი ავრევი... ბიცოლა კი არა დეიდა უნდა იყოს.

— ეს სხვა არის, სხვა. დაუვირღა როცა ვკითხულობ.

— ნუ ცხარობ დედაქალაქო. გაცხარება რა საკადრისია. აი, დახედე რა სწერია: „მესამენი დეიდები ანასტასია, ტუფა, მართა და...“

— ეს სხვა მართაა, გამოტყინებულო! ქვეყანაზე ერთი მართას მეტი არა ვინაა? ვითომ არ შეიძლება ბიცოლა მართა ყოლოდა და დეიდასაც იგივე სახელი ჰქონოდა?

— ეგ კი შეიძლება. ასე სთქვი, მამაცბონებულო. რა გაკვირებს!

ბეკომ უეცრად მოიწყინა. ცოლს შეხედა. ცოლს ცხელოდა. ოვლი სახის ნაოჭების ღარში ჩამოსდიოდა.

— მარიამ! — ჩუნად, ძალიან ჩუმად დაუძახა ბეკომ და თვითონ ხეს მიაჩერდა.

ქალი მეორე სამგლოვიარო განცხადებას კითხულობდა.

— მარიამ, გაწყრა ღმერთი და მომიკვდი... რაღა მეშველება შე უბედუროს? ცოლმა გაკვირვებით გადახედა.

— რაო?

— არა, ისე სიტყვაზე... ღმერთმა ნუ მომასწროს, მაგრამ ესთქვათ მოხდა ასე... წარმოვიდგინოთ... რაღა ექნა მაშინ? ვინ იქნება ჩემი პატრონი?

— მერე და, რა გაგიკვირდება? ცუდი შეილები დაგიჩვენებენ, არა აგერ არ არის?!

ბეკომ შეილას სახელი გაიმეორა. კრილოსანი აათამაშა.

— გაწყრა ღმერთი და მოკვდა ლენტორი!

— ნუ მოესწარი მაგას! — მიიძახა მარიამმა.

— წარმოვიდგინოთ, მოხდა...

— რას ჩერჩვობ, ადამიანო?!

— ვსთქვათ, ისე, სიტყვაზე.

— ვასილი მოგიყვლის...: საიმედო შეილი არ არის, თუ?

— იცოცხლე საიმედო ის იყოს. — დაუდასტურა ბეკომ. — მისი იმედი მართო მე კი არა, ვთელ ქუჩას აქვს...

სადგურის შრიდან ხელმეორედ გაისმა ორთქლმავალის კივილი.

— გაწყრა ღმერთი და მოკვდა ვასილიც! ხომ დავილუპე მაშინ?!

მარიამი გაბრაზებით მიაცქერდა ქმარს.

— ხონ არ გაგიყვდი, ვაჟო? რას გგერჩი, რაღა ამოგვწყვიტე ყველა?!

— არა, ისე, სიტყვაზე...

— თუ ყველა გავწყვდიოთ, შენ რაღა ოხრად გინდა სიცოცხლე? — მააყვირა მარიამმა.

* *

თურმე აზრს მოკლებული არ ყოფილა ბეკოს აბირებული შიში. არც ერთი შეილი არ გამოადგა.

ტარიელსაც იღბალი არ ჰქონია შეილში. ბედმა ამითაც დაამსგავსა მეგობრები.

ორი ვაჟი ჰყავდა ბეკოს, უმცროსი სადაც დაიკარგა უკელოდ. უფროსი ლენტორი კი, ნეტა არც შერჩენოდა. მშობლებისთვის გამჭირების მეტი არაფერი მოუტანია. თავისთვის კი ბედნიერი იყო, თუ კი ბედნიერებად ის ჩაითვლება, რომ ყოველ წუთში სხვას უყურებდე ხელებში, ყური გამახვილებული გქონდეს გაიგო, თუ სად იმართება სადილი ან ვახშამი, სადაც შეიძლება რამეს გაკრა კბილი და წააქნასო, ყველასთან მიდიოდე და არავინ შეამჩნიოს არც შენი მისვლა და არც წასვლა.

შეილში უფრო უბედურია ტარიელი აღმოჩნდა. ერთი ვაჟი ჰყავდა. შინ და ნაცნობები ვანკას ეძახდნენ. ვისაც თვალნი ხედვით ჰქონდა და ყური სმენათ, ის თავიდანვე შეამჩნევდა, რომ ტუტუტუკად იზრდებოდა. ტარიელი ოცნებობდა ვაჟი დიდ კაცად გამოეზარდა, მაგრამ პატარაც არ გამოვიდა.

უსაქმოდ დალაყუნობდა დილიდან დღამეზამდე. თუ ვინმე დაუძახებდა, ისიც სამასხარაოდ, სხვათ არაფრათ სჭიროდათ. ყველამ ხელი ჩააქნია უანკაზე და ბოლოს მშობლებმაც. პაპიროსიც სათხოვრად გაუბდა. ხშირად არც ამას აძლევდნენ. გაწვდილი ხელი ჰაერში ცარიელი რჩებოდა. სხვებს რომ მიაწოდებდნენ, ვანკას ასე უპასუხებდნენ:

— როდემდის უნდა იღლიტო, შე უბედურო? კაცმა რომ გკითხოს, პატიოსანი ოჯახის შეილი ხარ და გამოზრდილიც. შენი პატიოსნებაც შეფარტვინე

და გაზრდილობაც. ქუჩა-ქუჩად დალაყუნობ ამხელა მუტრუკი ამხელა კვანძისა, ქვეყანას შენ ატყუებდე. თავის თავს ატყუებ ბიძია, შეტს არაფრისა!

ასეთებს ვანკა შეჩვეული იყო, მაგრამ მაინც ძნელი ხდებოდა მისთვის ამ ქალაქში დარჩენა. ყველას თავი მოაბეზრა. ისე გაივლიდა მთელ ქალაქს, რომ არაფერი შეამჩნევდა. თითქო უნორცო მოჩვენება ყოფილიყო, მოჩვენება, რომელიც სივრცეს არ იკავებს. ლანდსაც ამჩნევენ. ვანკას კი თავისი ლანდიც დაძვარავდა. ასეთ კაცს, რომ ქვეყანა ფეხებზე არ ეკიდოს, სიცოცხლე ჯოჯობითად გადაექცევა.

მოსაწყენი ხდებოდა ვანკასთვის დრო მზის ჩასვლის შემდეგ. მოიბრუნდა მთელ ქალაქს, გაივლიდა სადგურზე, მატარებელს გააცილებდა და ბოლოს ისევ ქუჩებს ატყუებოდა. დაღმების შემდეგ ქუჩები ზალი ცალიერდებოდა. დარბოდენ მხოლოდ ნაგახები. რა გრძელი, რა დაუსრულებელი ღამეები იცოდა ხევის პატარა ქალაქში! როცა ვანკას ოთახში ყოფნა გაუძნელდებოდა, გარედ გავიდოდა, ქუჩის პირას ჩამოჯდებოდა, მოიტყუებდა ქუჩის რომელიმე ძაღლს, უაღურსებდა და მუცელს უფხანდა, მაგრამ არც ძაღლი ჩერდებოდა დიდხანს; დაინახავდა თუ არა ჯოგად მიმავალ ძაღლებს, ვანკას მიიტოვებდა და ვარბოდა. ქვეყნილის სოროდან ვერცხა უშიშრად ამოდიოდა, ფეხებში გაურბენდა და სადმე დღუქანში შეძვრებოდა. დაგვიანებული მგზავრი ისე ჩაუვლიდა, არც კი შეხედავდა.

— მიცვალეზღად ხომ არ მთვლიან!— ხშირად უფიქრია ვანკას.

და როცა ერთხელ ვიღაც მადლიანმა ხმა გასცა და ურჩია კიდევ:— თავს უშველე, ბიძია, სადმე წადი, ქვეყანას თვალი გადაავლე, შეიძლება ქუჩაში ჩავარდე!— ვანკამ გადასწყვიტა შორს წასვლა დიდი ხნით.

ვინ იცის რამდენ ხანს ვერ შეისრულებდა ამ სურვილს, რომ შემთხვევას არ ეხსნა. არა, შემთხვევას კი არა, აი იმ პატარა ხატს, რომელიც ხის გამურულ კოლოფში იყო ჩასმული და მშობლების ოთახის კუთხეში მალა ეკიდა.

ჩვეულებრივად საღამოს მშვიდი დაბრუნდა ტარიელი. ჩვეულებრივად ვახშამს მოელოდა. ამის მაგიერ ტირილისაგან თვალგბ დასიებული კოლი დახვდა.

— რა იყო დედაკაცო, რა მოხდა?

— ჩვენი უბედურება. ჩვენი წაწყმედა!— აქვითინდა გულქანი.

— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— ჩვენს უბედურებას ვტირი. უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილ შვილს ვსტირი!

ტარიელს არა ერთხელ გაუგონია საყვედური შვილის შესახებ. ყურადღება არ მიაქცია. გაუგვირდა კიდევ, რომ ასე უდროოდ გაიხსენეს დიდი ხნიდან გამოტირებული შვილი. ეხლა ვახშამის დრო იყო. ერთი ცხელი კერძი შვილსაც ერჩია და მთელ ქვეყანასაც.

— ის, რაც დღეს ვნახე, ამბავითაც არ მსმენია. აღამიანო, გაგივია სადმე შინაური ხატის გამარცხა?!

— რაო?— გაოცდა ტარიელი.

— ხატის გამარცხა!— გაიმეორა გულქანმა და თითებით სახე ჩამოიფხოტა.— ნასადილეგს, როცა შენ დღუქანში დაბრუნდი, ერთი წუთით მარიამთან



გადავდი. დაგბრუნდი და, ვაი იმ დღის მოსწრებას, მე რომ დაეინახა რატომ უმალ არ დამიბრმავდა თვალები! იმ წყვეულ ვანკას ჩამოელო ჩემი ღვთისმშობლის ხატი, მუთაქაზე მიეგდო, გაეხსნა ხატის კოლოფი, ამოელო იქიდან გროშები, ხელში კარტი დაეკავებია და ხატს ეთამაშებოდა.

ტარიელმა გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— რას როშავ, დედაბერო? ხატთან კარტის თამაში სად გიგონილა?

— დამიჯერე ადამიანო, კარტს ეთამაშებოდა. ხატის კოლოფიდან ვერცხლის ფული ამოელო, ტახტზე დაეყარა. როცა გვითხე, რას შეები მეთქი, ასე მიპასუხა: — შენს ღვთისმშობელს ხლუტს ვეთამაშებო... ვეცი, მაგრამ ხელი მკრა, ახლოს არ მიმიშვა. მეგონა გაგიჟდა. დავიჩოქე, ხატს შევავედრე უკუნურის თავი. მლოცველი რომ დამინახა, ასე მითხრა: — თუ ხელმა არ მისცა შენი ლოცვა არაფერს უშველის, თავს რად იწუხებო... დაეჯექი და უცქირე. ხატსაც ურიგებდა კარტს და თავის თავსაც. გადაშლიდა კარტს, დაითვლიდა და შემდეგ ხატს ეტყუოდა: — ისევ ჩემია, შენ ბოთური გამოხვედიო. ძალიან მწყინს, რომ აგებ, მაგრამ რა ვქნაო... ასე არიგა, სანამ სულ არ ამოალაგა ყუთიდან ვერცხლი და ჯიბეში არ ჩაიყარა. ბოლოს მე მითხრა: — არ გეგონოს დედა ჩემო, რომ კარტი ჩაწყობილი მქონდა. არ იცის შენმა ღვთისმშობელმა ხლუტის თამაში და რა ჩემი ბრალია. ასწავლე, შემდეგ შეიძლება ამოიგოსო... ეს სთქვა, და იცი წლის განმავლობაში ნაგროვები ფული წაიღო და გზას გაუდგა.

ტარიელს თითქოს ბუზი შეუქვრა, ისე უწიოდა ყურებში. დიდ ხანს იდგა ხმა ამოღლებლად.

— ვარაუდით რამდენი იქნებოდა ყუთში?

— დათვლილი არ მქონია, ისე კი საესე იყო.

მეორე დღეს ახალი ფულით ააესეს ყუთი და ყოველ შემთხვევისათვის დაღუპეს კიდევც.

რამოდენიმე წლის განმავლობაში არ უნახავთ ვანკა მშობლებს არც ხევის მოქალაქეებს. დაბრუნდა მხოლოდ მაშინ, როცა წითლები შემოვიდნენ.

პირველ დღეებში რალაცაეხს ფაფხურობდა, მაგრამ ვანკა ყველგან ძველი ვანკა იყო და მალე ფაფხურის საშუალებაც მოუსპეს. ამის შემდეგ ის მოეპოტინა თვატრს, სკენის მოყვარედ გახდა, სახელი შეიცვალა, გვარად პსევდონიმი არჩია და ძველი ვანკა უან ეინიძეთ მოეჭყენა ხევის ქალაქს.

ასე ირღვეოდა მოხუცების ზედნიერება, სანამ მათთვის საბედისწერო მარტმა სულ არ დაიანგრიო და უკანასკნელი იმედიც თან არ ჩაიტანა.

პირველად ისინი დაფრთხნენ, შემდეგ გაბრაზრენ და ყველაფერზე გარისხებულთ, ერთმანეთიც კი შესძულდათ. დაირღვა მეგობრობა და, რა თქმა უნდა, დარღვეოდა მეზობლობაც. ებლა ისინი კრიკაშიც უდგნენ ერთმანეთს და უბაროდათ, როცა რომელიმე მათგანი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. შეიძულეს ქვეყანა და შეიბულეს ერთმანეთიც. ტარიელს ორი წლის დაუკოდავი მოზვერი ყავდა. წინად ბეკოს ბალახიც კი მოუტანია მისთვის. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ ტარიელისთვის ეამებინა. ებლა კი ამბრაზებდა, რომ კურო ლამაზი იყო და მალალ რქებიანი. როგორც კი ტარიელი მოზვერს ლობზე მიამამდა,

ბეკო ოთახიდან გამოიტანდა წითელ ფარჩას და ააფრიალებდა. ამ დროს აგ-
ეებდა წითელი ფერი, ამსხვრევდა ლობეს, სწყვეტდა ბაწარს და ცოფიანივით
გარბოდა ქუჩებში. ასეთი მტერი შეიქნა ძველი მეგობარი, რომელიც წინათ
სულსაც არ დაიშურებდა. ტარიელიც არ რჩებოდა ჯავრ ამოუყრელი. როგორც
კი სტუმრებს დაინახავდა ბეკოს ივიანზე, გაიბდიდა ტანსაცმელს, დარჩებოდა
მარტო პერანგის ამარა, ამასაც კიბამდე აიწვედა და ასე დადიოდა თავის ეზო-
ში, სანამ ბეკოსთან სტუმრად მისული ქალები არ აწრიაქლებოდნენ და ოთახებ-
ში არ შეიხიზნებოდნენ.

V.

სიმონს ქარხანა შერჩა. ისევ აგუჯუნდა საკვამლე მილი კრამიტის სახუ-
რავზე.

ცვლილებებს, რომელიც ახალმა დრომ შეიტანა ქარხნის ცხოვრებაში, არც
თუ ისე გაუხელებია. იცოდა, რომ ამის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლებოდა.
მხოლოდ ერთხელ, როცა გადამეტებულად ეჭვინა უფლებები, რომელიც ქარხნის
მუშებმა მოიპოვეს, შეეცადა მათ შეზღუდვას, მაგრამ იძულებული გახდა უკან
დაეხია, მოუპოვარი ძალა რომ დაინახა.

— არაფერია!— ფიქრობდა სიმონი, როცა ამ შემთხვევის შემდეგ შინ
ბრუნდებოდა.— ესეც გაივლის. თანდათან დაცხრებიან. ისევ ძველებურად იტ-
რიალებს ჩემი ჩარხი!

სიმონი არწმუნებდა გიორგის:

— თქვენ არ მომიკვდეთ, არც ისე დასაწუნი ყოფილა ეს მთავრობა. თურ-
მე ტყუილად მშინებია. არც ისე საშიშია როგორც გვეგონა. ასეთ ორიმტრიალ-
ში თუ ათასში ათ კაცს ემწარა, ეს არაფერს ნიშნავს. მაშ სხვაგვარად როგორ
იქნება?! მართალი უნდა ვთქვა, არც ასეთი ხელისუფლების წინააღმდეგი ვარ.
ჩემთვის ყველა ერთია. ოღონდ ჩემი საქმე გაკეთდეს, მთავრობა კი როგორიც
უნდათ ისეთი ჰყავდეთ. პოლიტიკაში მე არ ვერევი. ეს ჩემი საქმე არ არის, ამი-
სათვის არ მცალია, ვისაც სცალია, იმისთვის დამითმია. მე საქმის კაცი ვარ,
ხელ დაკრეფილი ვერ გავჩერდები. ცოტას ტუტუცობენ, მაგრამ არაფერია, გაიგ-
ლის. პირველ ხანებში ასე იქნება. შემდეგ თითონ მოეწყინებათ. როცა გული
დაუშვდით, დაამდებიან.

როგორც სიკედილის პირზე მყოფ ავადმყოფს, რომელსაც ერთ დღიას
გაეღვიძა სიცოცხლესთან დაბრუნების იმედით და უსახლვრო ბედნიერება იგრძ-
ნო, ასე უხაროდა სიმონს ქარხნის შენარჩუნება. თითქო განმეორდა ზღაპარი,
რომელიც სამუდამოდ ქრებოდა.

— შეიძლება ამ გრიგალმა იმიტომ გადაიარა, ყველაფერი იმიტომ მოხდა,
რომ ბედი მცდიდა, ან ნაკეთებდა. შეიძლება მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ უფ-
რო ბედნიერი გავხვადე. შეიძლება ჩემთვის მოხდა ყველაფერი!

ამ ბედნიერებაში შესამჩნევი წილი ჰქონდა გიორგის და მავლას მოულოდ-
ნელ სტუმრობას.

სიმონისთვის ცხადი იყო, რომ ის სიბარული, რომელიც ხანდახან იხვეწებოდა, სათავეს იღებდა მაგდას ცოცხალი თვალებიდან.

თავის გარეგნობასაც ყურადღება მიაქცია. ჩვეულებრივზე მეტ დროს ატარებდა სარკის წინ. რამოდენიმე ხელი ტანსაცმელი შეიძინა. ყველაფერი ძვირფასი ქსოვილი იყო და შეკერილი ხევის ქალაქის ფრანტებთან ხანგრძლივი თათბირის შემდეგ. ძალა, რომელიც ამოძრავებდა საამისოდ, იყო მაგდა. სიმონს უნდოდა, რომ ყველა ამასათვის მაგდას ყურადღება მიექცია, მაგდას თვალი შეერებულიყო თუნდაც წუთათ. ამ დრომდე არ ცოცხლობდა მისთვის არც ტანსაცმელი, არც სხვა რაიმე ნივთი. მაგდას უნდა დაენახა და გაერჩია, რომ დილით სხვა აცვია, საღამოს სხვა, სტუმრად კიდევ სხვა. მაგდამ ერთხელ შენიშნა: დიდი წვიალებით გაკეთებულ ახალი ყელსახვევი, რომელიც საბრჩობელას ნასკვეით ჩასჭიდებოდა მსხვილ კისერს, ქალაქში გასასვლელად გამზადებულმა სიმონმა, როგორც კი მოშორდა მაგდას, ეზოს ბოლოშივე მოიხსნა და ჯიბეში ჩაიღია.

იქ, სადაც მაგდას თვალი არ მისწვდებოდა, სიმონისთვის სულ ერთი იყო, როგორ დაინახავდნენ. დანარჩენები თითქო ბრმები იყვნენ.

მაღე მიხედა, რა ძლიერი იყო ის ძალა, რომელმაც ასე შეჰკრა და მარწყვები ჩასჭიდა. სხვა დროს შესაძლოა შეშინებოდა ამისი, მაგრამ ეხლა, დაჯერებულს თავის ძალაში, სწამდა ბრძოლას გამარჯვებით დაასრულებდა. ხშირად კიდევ უსაყვედურებდა თავის თავს გადამეტებულ შორიდებას.

— ეს ქვეყანა იმისია, ვინც გაბედულია. ლაჩარს უფლება არა აქვს ცხოვრებას რაიმე მოსთხოვოს!

სიმონი გრძნობდა, რომ ვერ გადაელახა ის ზღვარი, რომელიც წარსულში არსებობდა მას და მაგდას შორის. ეს ზღვარი ხელშესახები აღარ იყო, მაგრამ მისი ნაკვალევი ჯერ კიდევ არ წაშლილიყო.

იმ დღეს, როცა გადასწყვეტა საიდუმლო გაემეღაენა, დიდ ხანს ატარა გიორგი ჯერ ქარხანაში, შემდეგ ქალაქში და მაინც ისე დაბრუნდა შინ, რომ ვერ გაბედა. და მხოლოდ უკანასკნელ წუთში, როცა ნაეხამეეს გიორგი დასაბინებლად წასვლას აპირებდა, სიმონმა ძალა მოიკრიბა და მოახერხა თქმა.

ქალის ინსტიქტი მაგდას მუდამ ეუბნებოდა, რომ ხევის ქალაქში ჩამოსვლა მისთვის საბედისწერო იყო. ამ ღამეს კი, როცა მეზობელ ოთახიდან მოესმა გიორგის და სიმონის ხმადაბალი ლაპარაკი, რატომღაც ერეენა, რომ მისი ბედისწერა სწორეთ ასეთა ჩურჩულით ლაპარაკობდა, რომ ეს იყო ხმა მისი ბედისწერისა.

ქალმა იგრძნო, რომ სიმონის ხელები, დათვის თათების მსგავსნი, წაეპოტინენ მის სხეულს. იმავე წუთიდან საშიში ვახდა იმ კაცის სახელის გაგონებაც. სახელს კი შეუწყვეტლივ იმეორებდა გონება და უროსავით ურტყამდა ტენს. სულ ერთია, რასაც ეუბნება ეხლა მამა, — ამიერიდან ისიც შორეული გასდა. ორ მამაკაცის ხელებზე ამ წუთში ქალის პატარა გული აგდია და ისინი შეუბრალოდ სერავენ მას დაუნდობელი დოსტაქიოვით.

სიტყვები არ ესმოდა მაგდას, მაგრამ რა საჭირო იყო მათთვის გაგონება, როცა ჩურჩული უფრო მკაფიოთ ამტკიცებდა საშინო საიდუმლოს. დამარცხებული და ეთხოვა ხმამაღლა ელაპარაკნათ. არა იმიტომ, რომ გარკვევით გაეგო ყველაფერი, — იმისთვის, რომ შეესუსტებია ძლიერება ჩურჩულის, რომელიც ხრავდა ხის კედლებს და მორიელივით მოფოფავდა საწოლისკენ.

უცრად ლაპარაკი შეწყდა. რამოდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ მაგდამ მკაფიოთ გაიგონა მამის სიტყვები.

— მე მხოლოდ რჩევის მიცემა შემძლეა... ძალს ვერ დავატან... ჯერ თქვენ უთხარი... შემდეგ მე ვეტყვი...

დაძინების წინ გიორგი შეილთან შევიდა. მაგდამ თავი მოიხშინა. გიორგი შეჩერდა ლოგინთან, ერთხანს უცქირა და მოულოდნელად აკოცა.

იგრძნო მაგდამ, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი აღერსი. რაღაც ტკივილმა შემოიყვანა მოხუცი მამა ოთახში და ამ ტკივილით შეეხებ მისი ტუჩები. ეს კოცნა გამოტირებას გაედა. კოცნა ასე მიიღო მაგდამ და იგრძნო ისიც, რომ უსაფუძვლო არ იყო მამის შიში.

ძილში სიზმარი ნახა: დაქანებულ ფერდობზე წვეტიანი სიპებია. ფეხშიშველი შირბის სიპებზე და მწვერვალს უახლოვდება. ქვევით უფსკრულებში ზამთარია და თოვს, ზევით ზაფხულია და მთის ყვავილები გაშლილან. ერთ ნაპრაღთან ფრთა მოტეხილი ოფოფი დაინახა, ოფოფს სისხლი სდის. გაიშვირა ხელი მის დასაჭერად. წავიდა კიდევ და უცრად ოფოფის მაგიერ ხელში შერჩა გველი ადამიანის თვალებით.

შეშინებულმა გაიღვიძა. ზაფხულის ქარი არხვედა თუთის ხეს და ტოტები თანჯარას ურტყამდნენ. ხმა გაედა ფრთების ფრთხილს. ნერვიულად გაშალა თითები და გაიხედა. მართლა ხომ არ უჭირავს ხელში გველი?!

შეეცადა არ ეფიქრა სიზმარზე. საბანში თავი ჩარგო და თვალები მოკეცა. მაგრამ თვალები, ადამიანის თვალები გველის თავზე, საბანის ქვეშ სიბნელიდან გამოძვრენ და მიაჩერდნენ.

შემჭრთაღმა გადისროლა საბანი და წამოჯდა. როდემდის უნდა იწვალოს ასე? განთიადამდე ჯერ შორსაა!

საღალე მახრა კედელს ხრავდა. აფქარებლად, შეუპოვრად ხერხავდნენ უჩინარი კბილები ხეს. ეს უხილავი ცოცხალი არსება სიმშვიდეს აძლევდა შეშინებულს, თავს მარტოდ აღარ გრძნობდა. მაგდა ფიქრობდა ეხლა მახრაზე და ცდილობდა სმენით დაეჭირა მხარე, სადაც პატარა მხერხავი იყო შემძვრალი.

შეუშინებლად მიიძინა. მაგრამ მეორე სიზმარმა ისევ მალე გამოაღვიძა: სდგას ვზაჯვარედინზე და არ იცის საით წავიდეს. თვალები დახუჭა. დატრიალდა და ბედს შიანდო მიმართულა. გადაადგა რამოდენიმე ნაბიჯი და შეჩერდა, როცა ფეხებში რაღაც გამოეზღანდა. დახედა და დაინახა: ორთავაკვეთილი თავისი სხეული აგდია.

ძილში შეპყვირა და გაიღვიძა. იატაკზე დავარდნილ მთვარის შუქზე დაინახა, რომ სულ რამოდენიმე წუთს სძინებია. სკამის ნახევარს დანათოდა შუქი როცა პირველად გაიღვიძა და მას შემდეგ სხივი არ გადაწყველა.

მეზობელ ოთახში კედლის საათმა ოთხი დარკვა. მაშ დიდმა ხანძარმა დაჩვენია განთიადამდე. გათენებისას კი, ცხადია, გაქრება კოშმარი და კიდევ რომ ვერ დაიძინოს, წვალუბა მაინც აღარ იქნება. ვახსენდა ოდესღაც საღლიც წაყიბული: მეფე დავეითი, როცა სულამიტზე ფიქრები ძილს უფრთხობდენ, წარმოიდგენდა მთის კალთებზე მიყრალ ცხერის ფარას, უთვალავს, ჯეჯილივით ჩამწკრივებულს. ხედავდა ფარას და ითვლიდა სათითაოდ. ტვინი იღლებოდა და ძილი თვალებზე ეფინებოდა.

მაგდამ სციდა წარმოედგინა ფარა, მაგრამ დაინახა რა მთის ფერდობი, იმავე წუთში გაცოქლდა პირველი სიზმარი და გველის თვალებმა ისევ გამოიხედეს. ვისია ეს თვალები? თითქო ნაცნობია, ხშირად ნახული და მართლაც შეუხედავთ მათ მაგდასთვის...

ლაშვას აუციდა, სინათლემ კოშმარები გათანტა და სიმშვიდე დაუბრუნა. ოთახიდან კიდევ გაისმა საათის რეკა...

შეუმჩნევლად, ზარმაცი ნაბიჯით, დაღალულად, თითქო შორის მგზავრობიდან დაბრუნებული, ჯერ ფანჯრებს, შემდეგ იატაკს და მერე კედლებს მოადგა ნაცრისფერი ცისკარი. მოთენთილად გამოიხედეს ოთახში სკამებმა, სურათებმა. სისხლისგან დაკლილ სხეულის უსინათლო ცივი თვალებით შეხედა სარკემ პატარა მაგიდაზე დაყრილ ნივთებს.

როცა სადილის წინ სიმონი და გიორგი ქალაქიდან დაბრუნდენ, მაგდამ, მათთვის მოულოდნელად, განაცხადა, რომ ტფილისში წასვლას აპირებს.

სადილმა მუნჯათ ჩაიარა.

— ეს ჩემთვის აუცილებელია! — მტკიცედ უთხრა მაგდამ გიორგის, რომელიც შეეცადა შვილის გადაწყვეტილება შეეცვალა.

მთელი დღე გიორგი მარტო დადიოდა ოთახებში, ბალში.

— რატომ ასე უეცრად მოუნდა წასვლა? — ვერ გაერკვია მიზეზი. — რატომ გუშინ, გუშინწინ, წინად, ერთხელაც არ უთქვამს? იმასაც არ ამბობს, რა ხნით მიდის! ნუ თუ მიუხედა სიმონის განზრახვას? თუ გაიგო, რატომ არაფერი მითხრა?!

გიორგის უფრო ის აკვირებდა, რომ ყოველთვის მორჩილი და თვალში უნებო ბავში, ასეთი შეურყევე დაინახა.

თითქმის უკანასკნელი მანეთები, რომელიც შერჩენოდა, გიორგი იძულებული გახდა მაგდასთვის მიეცა.

სალამოს, როცა საფურზე წასვლის დრო მოახლოვდა, ქალაქიდან სიმონი დაბრუნდა. მზიარული იყო ისე, რომ მაგდა გაოცდა. თითონ მოიყვანა ეტლი და სადგურზედაც გაჰყვა. თითქო უხაროდა კიდევ მაგდას წასვლა.

სანამ მატარებელი არ გაშორდა ხევის სადგურს და მარტო არ ივრინო თავი, მაგდა ყოველ წუთს შიშით ელოდა, რომ აი აგერ სიმონი გაუშვლდა სურვილს და დარჩენას სთხოვდა. მაგრამ ერთად-ერთი სიტყვები, რომლითაც დაშორდა მაგდას, იყო სურვილი, რომ კიდევ ენახათ ერთმანეთი და მეგობრობა არ დაეკარგათ.

ფინალი მოულოდნელი იყო. ქალის თავმოყვარეობა ოდნავ შელახულიც იყო ამითი.

— იმ დღემაც დამკინა კიდევ! — ბრაზობდა მაგდა.

გაურკვეველი იყო მომავალი ხელიდან, მაგრამ ამაზე ფიქრის საშუალებას არ აძლევდა ხმაური ბორბლის, ტფილისის რომ იმედით უახლოვებდა.

როცა გვირაბში ახმაურდა სანიშნო ხარი და მატარებელი დაქანდა ქართლის ველებზე, საშუდამით დაემშვიდობა ლიხის ვადაღმა მხარეს და ეზიარა მომავალს შეერთებულს მეგობრების და ყველაზე უფრო გოგის სახელთან. რა უსაზღვრო ბედნიერებათ მიიღო უკანასკნელი სადგური, მოედანი სადგურის წინ, ქვით ნაქედი ქუჩები, ნაცრისფერი სახლები, ყველა სახე ყველა უცნობ მოქალაქეთა და ქალაქზე გადმოშორალი ტიტველი რუხი გორაკები..

ქალაქი სადღესასწაულოთ იყო მორთული. მოაგონდა, რომ გუშინ ხევშიც ემზადებოდნენ დიდი დღესასწაულისთვის.

ლამე ნათევს დღით ეძინა. ძილში ხანდახან ესმოდა, როგორ ხმაურობდა ქალაქი ათასი ხმებით. როცა ერთხელ გადმოიხედა, დაინახა ქუჩა საესე დროშებით და ხალხით. დემონსტრანტების უთვალავი ჯარი მდინარედ მიდიოდა ქუჩის ვიწრო კალაპოტში და ტალღებით ხმაურობდა სიმღერა ლონიერ გულებიდან ამოსროლილი.

შხარული და ბედნიერი გამოვიდა საღამოს. ხალხის სიმრავლემ და ელექტრონის სიმრავლემ პირველ წუთში დააფრთხეს. ქალაქი ასეთი არასოდეს უნახავს! დაეაწყდა ნაცნობებთან წასვლა. ბრბომ მიიზიდა და გაჰყვა. ერგენა თავი პატარა ნაფოტათ, რომელიც ადიდებულ მდინარეს მიჰქვს. ტალღებს თავი მიანდო. თითქო იგივე ქუჩებია, იგივე სახლები, ყველაფერი ნაცნობი, მაგრამ შინაც გამოცვლილი და უცნობი. თითქო სხვა ხალხი მოვიდა... სად იყვენ ისინი აქამდღი? ყველა აქაურია, შავგერემანი სახეებით და შინაც პირველად ზედაეს მათ...

ყოველ სიხარულს, რომელიც ათითათს გულს აერთებს და თანაბრად ამოძრავებს, თავისი სიმართლე აქვს. მაგდა ზედაედა ამ სიხარულში გაერთიანებულ უთვალავ ბრბოს, იცოდა, რომ ხალხი ზეიმობდა გამარჯვებას, მოპოებულს სისხლით და თავგანწირვით, მაგრამ გულს ვერ გაეგო და ვერ იზიარებდა. და რომ უფრო დაეგდო თავისი გულისცემისათვის, ამ ხმაურშიც გაიგონებდა, როგორ არა თანაბრად, არა ტაქტში სცემდა. ეს დღესასწაული მიიღო მან მხოლოდ როგორც ფერითული ჩვენება და მიჰყვებოდა ტალღას არა როგორც ნაწილი, არამედ როგორც გატაცებული მყურებელი.

ქეფენილებზე ზოგან ზედაედა მოქალაქეებს, რომელნიც გულგრილად იდგნენ და ბინდგადაკრულ თვალებით აცილებდნენ მათ, ვინც გახარებით მიამიჯებდა და მკერდით აპობდა კიეინით ამომრავებულ პერს.

ამათ შორის მაგდა ეძებდა ნაცნობ სახეებს. აქ შეიძლებოდა ერთეულებს გარჩევა, ბრბოს კი ერთი სახე ჰქონდა, ყველა ერთმანეთს გაედა და თუ ერთი იყო ნაცნობი, ყველა ნაცნობი იქნებოდა.

გვიან იყო, როცა ოთახში დაბრუნდა. დაღლილი ლოგინს მიენდო.

— აი ესეც ტფილისი! — ფიქრობდა მაგდა — ტფილისი, მაგრამ ჩემთვის უცხო... ან ის არის ჩემთვის ზედმეტი, ან მე მისთვის...

მაგდამ ისე იგრძნო თავი, თითქო უცხო კუნძულზე ყოფილიყო განსასროლი. მოწყვეტილი თავისიანებს, იძულებულია მთელი სიცოცხლე მარტოობაში გაატაროს და იყო მზღამ იმის ლოდინში, რომ შემთხვევით გაველილი წაიყვანს ისევ თავის ქვეყანაში.

ლონიერმა ძილმა დილა ხალისიანი გაუთენა. სიმღერით წამოდგა... დღეს ნახავს ყველას, ყველა მეგობარს... თუ ყველას არა, მრავალს მაინც! როგორ გაუხარდებათ, რა ბედნიერება იქნება!

მზე დაცლილიყო ქალაქზე. ქუჩები, სახლები, მიწა ხარბად იზრობდნენ სიმხურვალეს.

ხალისით მიაბიჯებდა მაგდა და ნაცნობ სახეებს ეძებდა. ოპერის თეატრთან სკვერის წინ ჯერ კიდევ შორიდან დაინახა სახე, რომელიც ყველაზე ადრე ენატრებოდა...

ლიმილმა, მაგრამ ცივმა და მხოლოდ თავაზიანმა, უპასუხა ქალის აფრთხილებას.

— განა ეგრე დავიწყება შეიძლება? რატომ ერთხელაც არ მიპასუხე წერილებზე? მარინეს ნახულომ? როგორ არის? რაო? კიდევ უფრო გასულელდა? სად ცხოვრობ? — კითხვას კითხვაზე აყრიდა მაგდა.

— რაძღენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს... შეგონა, სტენაირს გნახვდით... არ გამოცვლილხარ...

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებმა სთქვეს, გულმა კი სხვა უთხრა მაგდას.

გაბარებული შეხედრით მაგდა შეუჩერებლად ლაპარაკობდა, უამბობდა იმ დღეების შესახებ, რომელიც უკანასკნელი განშორების შემდეგ ხევის ქალაქში გაატარა. გაიხსენა კურორტები ხევის მოქალაქეთა ცხოვრებიდან და ბოლოს უამბო იმ გამდიდრებულ ქარხნის პატრონის შესახებ, რომელმაც ყელსახვევის გაყვობა მხოლოდ ეხლა ისწავლა და მაგდა კი ცოლად მოინდომა.

— მდიდარია? — იკითხა გოგამ.

— დათვია, ნამდვილი დათვია! — გაიციინა მაგდამ.

— ცოლად უნდოდი?

— უნდოდი, მაგრამ გავექვეც. დათვის ცოლობა! ეს ხომ სიგიჟე იქნებოდა.

— რატომ?

მაგდამ გაოცებით შეხედა.

— როგორ თუ რატომ? ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს... როგორ უნდა გავხდე ცოლი კაცის, რომელიც არ მიყვარს?

გოგამ გაიციინა.

— მაშ შენ გრძნობა ზედმეტად მიგაჩნია?

— სრულიად ზედმეტად! — კვახეთ წამოისროლა გოგამ — ვერაფერი გამიგია იმ ქალბატონების, რომელნიც ეხლა სიყვარულს ეპოტინებიან. თუ არ გცივა და მძღარი ხარ, იმ შემთხვევაში კიდევ შეიძლება თავი გაართო.

მაგდას რატომღაც ეჩვენა, რომ გოგი მშიერია. პირველად იმ სახეზე, რომელზედაც ჩვეული იყო ეცქირა გულლია ღიმილისთვის და უდარდებლობასთვის, დაინახა უკმაყოფილება და გაბრაზება. არა მარტო სახე, მთელი მისი გარდგნო-

ბა ეუბნებოდა, რომ ის ნაადრევად მოღუწულია და შეიძლება პირველიც. სადღაა ის გოგი, რომელიც რამოდენიმე თვის წინად ახსოვს? ერთხელ მომავალ ნაპოლეონადაც წარმოადგინა!.. გაახსენდა და სიმწარით გაიღიმა. ეხლა გვერდით მიჰქვევა ახალგაზრდა, მაგრამ უძლეა და გაბოროტებული მამაკაცია

— ესეც იმათ შორის არის, რომელნიც გუშინ სალამოს ქვაფენილზე გულგრილ მიყურებლად იდგენ!—გაიფიქრა მაგდამ.

შეხვედრის სიხარული თანდათან ქრებოდა. მთელი დღე და საღამო ერთად გაატარეს. ეს უფრო იყო არა პირველი დღე სანატრელი შეხვედრის, არამედ უკანასკნელი უხერხული საათები სამუდამოთ განშორების წინ.

ორი შემდეგი დღე ტყუილად უკადა გოგის მოსვლას. როცა მესამე საღამოს, უშედეგო სიარულის შემდეგ შინ დაბრუნდა, ფული და წერილები დახვდა. ერთი მამისაგან, მეორე სიმონისაგან.

— „პატივევულო ქალბატონო, — ძლივს არჩევდა სიმონის ნაწერს, — მეორე დღეა დაგეძებთ და ძლივს მოგაგენით. მე იძულებული ვარ ამ ღამით გაებრუნდე ხევში. სამ დღეში ისეე ჩამოვალ. გატოვებთ ფულს. პატივი მეცათ და იყიდეთ, რამდენიც ფულმა აიტანოს, ყოველნაირი ჩასაცემელი ქალისთვის. დასვათხოვებ“...

— და საიდან გაჩნდა? — გოცდა მაგდა. —

— „... დას ვათხოვებ, — განაგრძო კითხვა, — და ამისთვის მჭირია. ოღონდ ყველაფერი აბრეშუმი იქნეს“...

— საიდან გაჩნდა? ასე ამბობდა, აბლობელი არავინ მყავსო... გასათხოვარი და... საკვირველია!..

ფული გადაითვალა. ასეთი დიდი თანხით აბრეშუმის ქსოვილის ყიდვა სიგიჟეთ ეჩვენა. ამდენი აბრეშუმი?!

უეცრად შიშმა აიტანა. ფული კუთხეში მიაგდო. ცხადია, არავითარი და არ არსებობს. ეს მხოლოდ ხაფანგია, მეტი არაფერი!

უნდოდა დაეხია ფული და ფანჯრიდან გადაეყარა. ასეც იზამდა, რომ ძლიერ სურვილს რაც შეიძლება მალე ენახა გოგი და უკანასკნელად გაერკვია ყველაფერი, ოთახიდან არ გაეგდო. ჩაირბინა კიბე და ქუჩაში გავიდა... თუ შინ არ დახვდა, მთელი ღამე ივლის და სადმე იპოვის. ამ ღამეს კი აუცილებლად უნდა ნახოს!..

როცა სახლს მიუახლოვდა, დაინახა — გოგის ოთახში ბნელოდა. სძინავს? ასე ადრე? ალბად ქალაქიდან არ დაბრუნებულა!

აირბინა კიბე და დარეკა.

— არ მოსულა! — ოდნავ გაღებულ კარებიდან უპასუხა უცნობმა მამაკაცმა. — შეიძლება პირდაპირ ბინაში იყვეს. იქ ხშირად დადის...

პირდაპირ ბინაში? ჰო, მართლა, იქ ხომ დეიდა თავლო და მარინე ცხოვრობენ!

ხანში შესული დეიდა აღტაცებით მიეგება. მარინემ შორიდანვე გაუწოდა გრძელი, გამზადარი ხელები, აკოცა თავისი ცივი ტუჩებით, მოხვია მხრებში ხელი და მაგდა დამორჩილებული ჩამოჯდა.

რამდენიმე ძალა დასჭირდა ალერსითვე ებასუხა მათ განაღებენ და არ შეემჩნევიან მლელვარებას...

ღეიდა თაფლო, როგორც ყოველთვის, ეხლაც ლაპარაკის ხასიათზე აღმოჩნდა.

თაფლომ გაინთავისუფლა სკამი ზედ დაყრილ საყვარელებიდან. როგორც ყველა სტუმარს, ისე ეხლა მაგდასაც უამბო, თუ როგორ მუშაობენ, რომ თვალბში სინათლე აღარა აქვთ, მაგრამ გაუძღებენ ვასაჭირს და რომ ოდესმე მზე მათთვისაც ამოანათებს.

— ჩემი მარინე მუშაობას ვაგჩეია. ეხლა ისე აღარ უძნელდება... შეკვეთაც მეტი აქვს...

უჩვენა მაგდას ის შეკვეთები, რომლებსაც მარინე ასრულებდა. ეს იყო პატარა ტიკინები. მარინეს გრძელი, ხმელი თითები, ბუნებისაგან მიცემული თითქო იმისთვის, რომ მხოლოდ ლამაზ ნივთათ ეტარებინა, ეხლა მიჩვეული სათითურს, ნემსს, წვრილ სინებს, ოსტატურად ასრულებდნ საქმეს.

ღელის შექებაზე მარინემ შოკრძალებით გაიღიმა. მაგდას დარცხვნიით ახედა. დიდრონი წაბლისფერი თვალები, სავსენი ალერსით, ამბობდნ, რომ იყო სრული შორჩილი თავისი ბედის. და მართლაც, მის ტუჩებს არასოდეს უთქვამს საყვედური. მარინე თითქო ცოტათი მოიხარა კიდეც მხრებში მას შემდეგ, რაც დღეებსა და გრძელ ღამეებს ტიკინების კეთებაში ათენებდა.

დაცარიელებულ ოთახში, საიდანაც დიდი ხანია ვაეტანათ ყველაფერი, რაც იყო ძვირფასი და სილამაზე, ეხლა დაეჭირა ადგილი მხოლოდ აუცილებელ ავეჯს და კიდეც მას, რაც საჭირო იყო ხელსაქმისათვის. თაროებზე, კუთხეებში, კუთხის პატარა მაგიდაზე ჩამწკრივებული იყო გამზადებული და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტიკინები, ნაწილები ტიკინებისთვის, პატარა ბოხჩა, სავსე ფერადი ნაჭრებით.

მარინეს უყვარდა თავისი საქმე. წინადაც მღუმარე, ეხლა თითქმის გადაჩვეოდა სიტყვას. თუ ხანდახან დაილაპარაკებდა, ან პასუხს გასცემდა, მაშინაც არ აიღებდა თავს და არ მოსცდებოდა სამუშაოს. მარინე ოსტატურად ასრულებდა საქმეს. საკმარისი აღმოჩნდა მხოლოდ ესწავლა ტიკინების გაკეთება, რომ გამხდარიყო დახელოვნებული და თითქმის შემოშქმედიც. ყოველ ტიკინას აძლევდა აზრს და იმ განსაკუთრებულ სიცოცხლეს, რომელიც მკვდარი ნივთების და ბუნების თვისებას შეადგენს.

ოსტატურად აკეთებდა ეზიდებს, სვედიან პიეროებს, კოლომბინებს, ეგზოტიურ თავადებს, ქართველ სოფლელ გოგონებს. ყოველ ტიკინას აძლევდა იმ თავისებურობას, რომელიც ჰქონდა წარმოდგენილი მათი სახით. ყოველი ტიკინა ცხოვრობდა საკუთარი ცხოვრებით, განცლებით და მათ სახეს ჰქონდა ის აზრი და ატარებდნ იმ საიდუმლოს, რომელსაც ჩვეულებრივად ატარებს ყოველი ნივთი ოსტატის მიერ სიყვარულით გაკეთებული.

ტიკინების პატარა სამეფოში თითონ მარინე სჩანდა უფრო დიდ ტიკინად. ის თითქო ჩახვედრილი იყო ნივთების არსების თავისებურობაში, სცხოვრობდა მათი დღეებით, იცოდა მათი საიდუმლო, მაგრამ საიდუმლოთვე ინახავ-

და და არ ამკლავებდა. მისი ერთხილი ნაბიჯები ოთახში ჩივიდა უფრო კუთხიდან მეორე კუთხეში მიდიოდა, განზრახ იყენენ დაყრუბული იმისათვის, რომ არ დაერღვიათ ტიკინების მყუდროება და არ დაეფრთხოთ მათი სიმშვიდე. მარინეს ბავშური ჭკვიანი სახე და მთვარის სიყვითლით შემოვლელი თვალები სავსენი იყვენ ამ საიდუმლოთი.

მარინე ქალაქში იშვიათათ დადიოდა. როცა წასვლა აუცილებელი ხდებოდა, ყოველთვის ცდილობდა შინ მალე დაბრუნებულიყო. აშინებდა დღის სიცხადე, ქუჩების ზმაური. აჩქარებული ნაბიჯით, როგორც დამფრთხალი ნუკრი, მიეშურებოდა თავის ოთახისკენ. მორიდების დალი აჩნდა ყველგან და ყველას წინაშე. მაგდა, რომელმაც იცოდა მარინეს ყოველი წუთი, ყოველი სურვილი, არასოდეს ცდილა დაერღვია მისი მყუდროება.

მარინე ჩვეული იყო, რომ მაგდა დაუჯდებოდა გვერდით და ისე, რომ არ დაარღვევდა მისი წუთების მდინარეობას, უამბობდა ათასგეარ ამბებს ნაცნობების, თეატრების შესახებ, თუ ვის შეებდა, ვინ რა შეიკერა, რომელ ნაცნობისას თავს იყრიან და ცეცხავენ, რა მოხდა აღსანიშნავი ამ დღეებში.

როგორც ყოველთვის, მარინე უცდიდა მორჩილებით მაგდას დალაპარაკებას, — რამდენი ხანია ერთმანეთი არ უნახავთ! — მაგრამ შეაშინია, რომ მგობარი არ გავდა იმას, როგორიც ჩვეულებრივად წარსულში ახსოვდა.

მაგდას სიწუმემ საშუალება მისცა თავლოს შეუჩერებლივ ელაპარაკა. თავლო დაფუსფუსებდა ოთახში, რაღაცას ამზადებდა სავაშშიოდ და შეუჩერებლივ ქაქანობდა. პატარა ტაფაზე, რომელზედაც აცხვლებდა სადილზე მორჩენილ ზორცს, შიშინებდა ქონი და გამაღიზიანებელი სუნი დგებოდა.

— ყოველნაირად ვცდილობ უკეთესად გვევბო მარინე. ძალიან იღლებ. თითონაც ხედავ, ფერი დაკარგული აქვს. ვერხუბები. არაფერი გაბდის. ვერ შევაგნებო. მარინე ძალიან მშვიდია, მაგრამ ამავე დროს ჯიუტი. თუ ერთხელ უარი სთქვა, ვეღარ გადაათქმევინებ. მისთვის კვება პირველი საქმეა. მადლობა ღმერთს, ჩვენი საქმე ესლა გაცილებით უკეთ წავიდა. რა უნდა გვექნა, მარინეს ეს საქმე რომ არ ესწავლა? წინათ ნაცნობები გვამღუვდენ შეგვეთებს, ესლა უცნობებიც მოდიან. ვერ დავემდურები ჩემს გოგონას. თავდაპირველად შეშინოდა საბრალო მამამისის დაუდევრობა არ გამოყოლოდა, მაგრამ საბედნიეროდ ჩემსკენ გადმოხხარა. მამისაგან შოლოდ ჯიუტობა გამოჰყვა. შენს დროს შეილო, ჯანით სავსე ვიყავი, სისხლი სდუღდა ჩემში..

წარსულის მოგონებაზე თავლომ ამოიოხრა. აღერსით გადახედა შეილს და შემდეგ მაგდას მიუბრუნდა:

— მალე ისე გვექნება საქმე, რომ მარინეს საშვალემა მიეცემა რანოდენიმე თვით დაისვენოს და არაფერი აკეთოს. შემდეგ კი...

გადმოილო ტაფა, დასდვა საინი მარინეს წინ და მიუბრუნდა ისევ მაგდას ღიმილით, რომელშიაც ცოტაოდენი ეშმაკობა გამოკრთოდა.

— შემდეგ კი ჩვენ ვიფიქრებთ იმის შესახებ, რომ სრულიად აღარ დასკირდეს თითების ჩხულეტა და სხვისი ბავშვების სახალისოთ ტიკინების კეთება. შენ არ იცი მაგდა, როგორ ენანება მარინეს გამზადებულ ტიკინას გაყიდვა!

ისეთი მოწყენით ვაატანს, თითქო ატკინეს რილაც, თითქო უსაყურადღესა არსება მოსტაცეს...

მაგდა წამოდგა.

— რათ მიღიხარ ქლო?

მაგდა მივიდა მარინესთან და აკოცა.

მარინემ გაკვირვებით შეხედა, გვერდით მიდგა ტიკინა და წამოდგა.

როცა გასასულელ კარებთან მივიდნენ და ხელმეორედ დაემშვიდობნენ, მარინემ ცრემლი შენიშნა მაგდას თვალებში. შეიანერა, მოხვია თავისი გრძელი ხელები და გულზე მიიკრა. არ იცოდა მიზეზი, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მეგობარს ქვენიდა რილაც, აღერსმა მაგდას გული აღუჯუცა. ველარ შეიმიგრა თავი და მეგობარს ჩაკონებული ატირდა. თავფლოს რომ არ ვაეგონა ტირილი, მარინემ ჩააცილა კიბეზე, შეჩერდა ბნელ ადგილას, ჩამოჯდა სათესურზე და გვერდით დასვა მეგობარი.

— ახ, რა სისულელეა... არაფერი გეგონოს... თითონ არ ვიცი, რამ ვამოიწყია ცრემლები... მე ისე იშვიათათ ვიცი ატირება, რომ შენთვის ეს მართლაც გასაკვირალია..

მაგდა ცდილობდა ვაეღიმა. მარინე გრძნობდა ამ ძალდატანებას.

მაგდა მალე წამოდგა, დაჰკოცნა, დაემშვიდობა და ქუჩისკენ ნაბიჯი გადასდგა. მარინეს აღარ შეუწყრებია. როდესაც დაინახა, რომ მაგდა ქუჩაში გავიდა და გაიგონა მისი აჩქარებული ფეხის ხმა, მობრუნდა და ოთახისკენ კიბეს აყვა.

ჯერ კიდევ ასული არ იყო, როცა ხმა შემოესმა.

— მარინე!

მარინე ჩაბრუნდა და იმავე ადგილას, სადაც დაშორდნენ, საფეხურზე ჩამომჯდარი და კალთამდე თავდახრილი მაგდა დახვდა.

— მრცხვენია შენი და ვიცი, ზედმეტია ამის შესახებ ლაპარაკი.. აღბად მიმხედარი იქნები, ვის შესახებ შინდა გელაპარაკო. მე აქედან მიედივარ.. შორს მიედივარ.. უკანასკნელ ღამეს შინდოდა მასთან შეხვედრა.. მაგრამ შესაძლოა უკეთესი იყოს, რომ ვერ ენახე. ის ღირსიც არ არის..

ვილაც შემოვიდა ქუჩიდან. მაგდა წუთით შეკრთა, მაგრამ უცნობმა მდგმურმა უტრადლება არ მიატკია მათ და სწრაფად აირბინა კიბე.

— მაშ შენ შორს მიღიხარ!—თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა მარინემ.

რამდენიმე წუთს ხმაიმოუღებლად ისხდნენ. უეცრად მარინემ ღონიერად მოხვია მაგდას ხელი და დიდხანს კოცნა.

სხვანაირი ეჭვენა კოცნა მაგდას. ის არ იყო მეგობრის აღერსი თანაგრძობის გამოზნატიველი. ბნელში ისიც ვაარჩია, რომ მარინეს ჩამქრალ თვალებში სიხარულმა გაიფლვა. თითქო მადლობას ეუბნებოდა. მაგრამ როსთვის? როსი მადლობელი უნდა ყოფილიყო? ახალმა, გაურკვეველმა, საშინელმა ფიქრებმა დაიკავეს ადგილი.

— აღარც აქ იცხოვრებ?—შეეკითხა მარინე და ახლოს ჩახედა მაგდას სახეში.

ამ ჩახედვამ შეაშინა მაგდა. რას უნდა ნიშნავდეს? შეეცადე შეიკრიბე გულები.. ყველაფერი მიაწერა თავის გალიზიანებულ ნერვებს. რას უნდა ნიშნავდეს?! რა თქმა უნდა, არაფერს!

ებრძოდა ახალ გულებს, არწმუნებდა თავს მათ უსაფუძვლობაში, მაგრამ ამასთანავე გრძობდა, რომ ისინი უფრო და უფრო ღრმად ეჭიდებოდნენ და რატომღაც, უცნობი მიამაკაცის სიტყვები:—„შეიძლება პირდაპირ ბინაში იყვეს. იქ ხშირად დადის“,—ტყუენა ვასალებათ იმ საიდუმლოსი, რომლითაც საესე იყო მარიონეს ყოველი ქცევა და სიხარული იმის გამო, რომ მეგობარი შორს წასვლას აპირებს.

— შე კი მაინც აღრათვერს ველი ცხოვრებისაგან. ჩემი დღეები მაინც ისეთივე ერთფეროვანი იქნებიან, როგორც აქამდე. შენ იცო, ხარბი არა ვარ და მით უფრო არ ვეხარბები ახლობლების და მეგობრების ახალი ცხოვრების დაწყებას. შე აღბათ კიდევ დიდ ხანს უნდა ვიყო ჩემს ოთახში და ვაკეთო ტიკინები უცნობი ბავშვებისთვის. შენ ვერ წარმოგიდგენია და ვერც წარმოიდგენ ვერასოდეს,—შე და შენ ხომ სხვადასხვანაირი ვართ,—როგორი სიამოვნებაა ტიკინებზე მუშაობა, რა დიდი სიხარულია, როცა ჩვეულებრივ საგნებიდან შეგიძლია გააკეთო პატარა არსება, თუმცა უსულო, მაგრამ რომელსაც თავისი გამოხედვა და განუყოფელი სახე აქვს. არასოდეს ვიტყვი საყვედურს ჩემი ცხოვრების შესახებ, მაგრამ შენ მაინც უფრო ბედნიერი ხარ. შენს შესახებ არავინ არასოდეს იფიქრებს, რომ შენთვის მეტი არაფერია საჭირო, რომ შენთვის ბედნიერებათ ისიც კმარა, თუ მთელი ღამეები მდუმარედ ათენე ოთახში, ვერ გაბედე იმის გამხელა, რომ შენც გინდა ბედნიერება, რომ შენშიც ფეთქს ქალის გული. ყველაზე საშინელია ის, რომ ვერ ვავიხედია იფიქრო ბედნიერებაზე, გაბედო გქონდეს სურვილი, რადგან თითონვე დარწმუნებული ხარ, რომ არ გაქვს ამის უფლება და თუ დაფარულად არ ატარე გული, ერთად-ერთი გზა დაგრჩენია—თავი მოიკლა...

კიდევ დიდხანს უამბობდა საკვირველ ამბავს თავის ცხოვრებიდან და თუმცა ის ილუმალებით იყო საესე, მაგრამ მაგდას წინაშე მაინც გადაიშალა საკვირველი და მოულოდნელი სანახაობა.

შეირბა ფარდა, რომელიც მალაედა საოცარს და რომლის გაშლა და იჭით გადახედვა საშინელი იქნებოდა.

დამშვიდობებისას მარინემ ისევ ღონიერად მიიკრა მაგდა და ისევ ჩახედეს მადლობით მისმა უძირო თვალებმა.

გზაში ეს თვალები მაგდას დიდხანს ელანდებოდნენ. მიხედა, რომ შეეხო რალაც საშინელს, აქამდე წარმოუდგენელს. პირველად გაიგონა მან მარინესაგან სიტყვები თავის ცხოვრების შესახებ. ამ სიტყვებში არ ყოფილა ამბოხება, პროტესტი, მაგრამ იყო ერთი და მეორეც. ყველა ამის შესახებაც ის ლაპარაკობდა ჩვეული სიმშვიდით და ამის გამო გრძობიანი კიდევ უფრო ძლიერი სჩანდნენ. საკვირველია, რათ იმეორებდა ასე ხშირად სიტყვას „მაინც“—და რათ მიანდა, რომ „უფლებაც“ არა აქვს იფიქროს ბედნიერებაზე და ვინაა ის, რომე-

ლიც არ გრძნობს და არ ხედავს მასში ქალის გულს? რათ იქნება მარინეს უცხო-
ვრება მას შემდეგ, რაც მაგდა ტფილისიდან წაეა, „მინც ერთფეროვანი“?

ყველა ამ კითხვაზე უძირო სიღრმეიდან გული უპასუხებდა. გული მაგდას
ეკუთვნოდა, მაგრამ იქიდან პასუხს მარინე აღლევდა და მარინესავე ხმით:

— აი შენც დაეკვებულე ხარ ჩემს უფლებებაში მიყვარდეს. ჩვენ ერთი და
იგივე გვიყვარს და ორივე ვეკუთვნოდით მას. ეხლა ორივენი უცხო ვართ მის-
თვის. შენ ბევრს მოითხოვდი მისგან, მე კი მცირედიოაც კმაყოფილი ვიქნები.
აქამდე შენთან მეგობრობა ჩემს სურვილებს საზღვრავდა, შენი წასვლის შემ-
დეგ კი...

ტირილი, მკერდიდან ამოვარდნილი ყველში დაგროვილიყო და სუნთქვას
უშლიდა. ოთახში მისვლისას ტახტზე დამბობილმა დიდხანს იტირა.

უნდა გაიქცეს! გაიქცეს, მაგრამ სად? ანგარიშმიუცემლად მაგიდას მიუჯდა
და წერა დაიწყო. დასწერდა რამდენიმე სტრიქონს, გადაიკითხა და, დახედა.
ეძებდა სიტყვას, რომელიც ამ წუთში სჭიროდა. სწერდა დიდხანს. ფურცლები
მალბილ ივსებოდნენ. თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ გოგის სახელს იმეორებ-
და. ეს იყო ისტერია, შოლოდ კვილი სიყვარულზე, მარტობაზე და შიში
განზორების შემდეგ დღეების წინაშე.

ძლიერმა სურვილმა გაქცეულიყო ტფილისიდან, სადაც ყველა და ყველა-
ფერი უცხო იყო, უკანასკნელად დაახვეინა წერილი და ძალა მისცა. საჩქაროდ
აკრიფა რაც წასაღები ჰქონდა.

— სადგური. რაც შეიძლება ჩქარა!—უბრძანა მეეტლეს.

ქალაქი აფორიაქებული იწვეინა. ყველა ჩქარობდა და თითქო ყველა სად-
გურისკენ. ჩქარობდნენ ტრამვაები, ავტოები და ფეხით მიმავალი მოქალაქენი.
შეიძლება ესენიც გარბიან!

დამშვიდდა როცა ვაგონში შევიდა. კუბეს კუთხიდან მოულოდნელად ნა-
ცნობმა თვალბმა გამოინათეს და სიხარულით გაშლილი სახე მიეგება.

— ბრუნდებით? მე კი მეგონა აქ ჩამოგისწრებდით!—უთბრა სიმონმა.

ღამე დიდი ხნის არის. სიმონს დამშვიდებით სძინავს. ძილმა დაუყარვა
მორიდება და გულალმა გაშოტილი ხერინავს.

— და აი შენ,—უბნება მაგდა თავის თავს,— უძლური ტ უნებო, გაიქეცი იქ,
სადაც ზვალადან ყოველ ღამე და შეიძლება მრავალი, უთვალავი ღამეები უნდა
ისმინო ასეთი ღონიერი ზვრინი. შენ არ შეგძლებია გიბაროდეს იმათთან ერთად.
ისაც გუშინ უხაროდა, ამიტომ უკეთესის ღირსიც არ ყოფილხარ!..

VI

ბეგლარი აფთიაქიდან გამოდიოდა, როცა კარებში ლენტორი შეეფეთა.

— მიღიხარ?

— დილიდან არაეინ შემოსულა... ავად არაეინ ხდება.. ღმერთმა ყველა
კარვად ჩმყოფოს.. საქმე არაფერი მაქვს. ან რას დავეძებ, აფთიაქი ჩემი მინც
ალარ არის!

— კარი მინც გამოკეტე..

როსი უნდა მეშინოდეს? ისეთი მცველი შეავს, რომ..
 ბეგლარმა თავმომწონეთ შეხედა კარების წინ დაკიდებულ გალიაზე მჯდარ თუთიყუშს.

თუთიყუშში მრისხანე თვალებით მისწერებოდა აფთიაქის პირდაპირ ახლად ჩამოკიდებულ აბრას მიკიტანის ღუქანზე და ხანდახან ნისკარტით ფრთებ ქვეშ მოითათურებდა.

— ჭკვიანი ფრინველია. ისე დავტოვებ მთელი საათით აფთიაქს, რომ არა-ფრის შემეშინდება. თუ აქ არა ვარ და ამ დროს ვინმე მოვიდა, ისეთი ხმით გასჭყვივლებს, ქალაქ გარედაც გავიგონებ..

— ასწავლე ქართული?

— ცოტა.

ლენტორმა მორიდებით ახედა თუთიყუშს.

— ხომ არ წყენს აქაური ჰავა?

— პირიქით, უხდება.

— ლენტორმა დიდხანს ათვალეირა თუთიყუშში.

— ბრძენივით იყურება..

— ბევრს აქაურს გაუსწრებს ჭკუაში!

— ღონიერი ნისკარტი აქვს?

— აი მაგის ნაკბენი.. ორი დღე აფუთქული მქონდა.

— სისხლი გადინა?

— კვლამ ტაშტი გავაესე.

— ვერ მქონია კარგი ზნე!

— არ უნდა გაახელო, ხელი არ უნდა მოკიდო. ეწყინება, აბა რას იზამს? ფრინველი პატივისცემას და მორიდებას ნაჩვევია. არ უყვარს ღლაბუცი..

— მართალია. ვერ გამბტყუნებ. მოვა ვილაც ვიგინდარა და დაუბანელ ხელს ფრთებზე გადაუსვამს. ეწყინება, მაშ რა იქნება!

ლენტორი გალიას მიუახლოვდა.

— უკან დაიწი, არ გეცეს!

ბეგლარმა აფთიაქიდან ორი სკამი გამოიტანა. ჩამოჯდა, გულდასმით და-გრიხა თუთუნს და სათუთუნე ლენტორს მიაწოდა. გაწვდილი ხელი ჰაერში შერ-ჩა. ლენტორი უეცრად წამოხტა.

— რა დაგემართა?— გაიკვირვა ბეგლარმა.

— უპ. ღმერთო მომკალი, როგორ შევრჩი ლაპარაკს. შენი ჩიტის ბრალია. უნდა გავიქციე!

— სად მიდიხარ?

— მომკლეს, აღარ ვარ კაცი.. უჩემოდ არაფერი კეთდება. ყველას ვეუბნე-ბი:— ყმაწვილები ხარო, გაინძერით, რჩევას მოგცემო, გზაზე დაგაყენებო, ოღონდ თქვენი სურვილი და ხალისი დამანახებო. ნამეტანს ნუ მიზამთ, მარტო მე ნუ მა-კეთებინებთ ყველაფერს. შენც არ მომიკვდე, ვინ გზოგავს! ვარ ოჩანი ცბენივით გაბმული. ხან აქეთ მიკრავენ თავს, ხან იქით. ყველაფერი მე? აღარ შემძლია,

პატრონი! ყველასთან მოციქულად მე. ყველა მე უნდა მომადგეს. ჩემს მამასთან იმეგზენე, ეს გამიკეთე...

ბეგლარმა დაცინევით შეხედა ლენტორს, სახელოში მოჰკიდა ხელი, სკამზე დააჯინა.

— რათ იწუხებ, ბიძია, თავს, რად გლეჯავ ტყუილად ფეხსაცმელს. შენი ვაკეთებელი საქმე ჯერ არავეის უნახავს. მე მატყუებ? აქ დაჯექი ის სჯობია. ხმის გამცემი მაინც შეყოლება..

ბეგლარმა აფთიაქიდან ბოთლით ღვინო გამოიტანა.

— რაო, მართალია ის ხმები?

ლენტორი მიხედა, რის შესახებ ეკითხებოდნენ.

— მართალია. ძაღლის ბედი აქვს. ქვეყანა დაინგრა, ის კი ძველებურად არის. ცოლი აკლდა და ისიც იღბალმა კარზე მიადევნა. ვინ აღირსებდა უჯიშოს ასეთ ქალს, ეს ამბები რომ არ მომხდარაყუ? წინად კახა მაროს უთვალთვალეზდა და ისიც ცხვირ-აწვეით უჯურობდა.

— გატყუება?

— მეტი რა ძალა აქვს! ხედავენ, ფულით ვატენილია, ოჯახი გამართული. თითონ კი ვახრეკილი არიან. ქალაქში არაფერი აქვთ. საღ უნდა დაბრუნდენ? აქ კაცი ჩიტის რძეს არ აკლებთ. ქალაქნი შიმშილისგან დაიხოცებიან. მე გეტყვი რაიმე საქმის ვაკეთება შეუძლიათ! წიგნის წაკითხვის მეტი არაფერი. მამა არის და, ასე მგონია, წინადაც არაფრის გამკეთებელი იყო. ეხლა ხომ სულ გაბითურებულია. შენ გააგდებ იმას აქედან? ვაუტყება პატრივისკემა, უზრუნველად ყოფნა.. მაგისტანა კაცს მეტი რა უნდა!

— დღეს რატომღაც ახრიანად ლაპარაკობ! — შესცინა ბეგლარმა.

ლენტორი ყოველთვის ყურს არიდებდა საწყენის ვაგონებას. ეხლაც ვითომ არ ვაუგონია.

— სიმონიც ყოველნიარად თავს აწონებთ. რას არ იგონებს მათი გულის მოსაგებად. ერთხანს ისინი ვაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ იმდენი ჰქნა, რომ დაიყოლია დარჩენილიყვენ.

— ქალი ხომ უარზე არ არის?

— შეიძლება არც უნდა, მაგრამ მამა მისის პატრონმა მეტი რა უნდა ჰქნას? ქალაქში რომ დაბრუნდეს, მამა კისერზე უნდა დააწვეს.. ამის თავი სადა აქვს? გიორგიმ კი იცის, რომ ძველ პენსიას ეხლა აღარავეის მისცემს. არ ეყო რაც აქამდე ტყულა სკამი?

ბეგლარმა ცალი თვალით ახედა.

— ბუკო, შენც ხომ არ ვაბოლშევიკებულხარ?

— ბოლშევიკობისაგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ სიმართლის თქმა ვანა არ შეიძლება? ბოლშევიკის მეტს არავეის შეუძლია მართალი თქვას?

— ისე სიმართლით იარე, როგორი სიმართლითაც ისინი დადიოდნენ!

— ვაგაბრაზხეს? კული აგიწვეს? ცხადია არ ვაიმებოდა აფთიაქის ჩამორთმევა!.

ბეგლარმა წარბები შეიკრა.

- ეგ დალიე, გირჩევნია.. არავენ გეკითხება ჩემი კუდრის ქმარსა და ნიშნებსა.
 — რაღა დავლიო, ბოთლში არაფერია.
 ბეგლარმა აფთიაქიდან მეორე ბოთლი გამოიტანა.

VII

ნესტორი დაღამების შემდეგ მივიდა მარიამთან. კარებში აიტუხა. ოთახში შესვლა ვერ გაეუბდა.

— შემოდი!— მიადახა მაგიდასთან მუჯღომმა მარომ.

ნესტორი მიუახლოვდა. მაგიდაზე დაინახა საინი ყველით, წვანილი და ღვინით სავსე კვარტი.

— დაჯექი!

უჩვეულო იყო ნესტორისთვის ასეთი პატივისცემა. დიდი ხანია აღარ ახსოვს ვინმე თავაზიანად მოპყრობოდეს. დიდი ხანია აღარ ახსოვს ვინმეს ადამიანთ ჩაეთვალოს. ხევის ქალაქში რომ ვინმეს ჰქონოდა გამკრიახი თვალი, რომელიც შესძლებდა ჩაეხედა და გაეგო, თუ რა აძლევდა სასიცოცხლო ძალას ამ ნახევრად დამბალ ადამიანის სხეულს, ალბად შემინდებოდა როცა დაინახავდა, რომ ეს პატარა ქუჩები თავის ზედაპირზე ატარებდნენ ადამიანს, რომლის ყოველი ნაწილი გაეღვინებოდა იყო უძლიერესი შხამით, ადამიანს, რომელსაც ჰქონდა უდიდესი სიძულვილი ყველაფრისადმი რაც ცოცხლობს და რაც სასიცოცხლო ძალას იძლევა. ალბად თითონ მისთვისაც არავითარი ფასი არ ექნებოდა სიცოცხლეს და აქამდე კიდევ ჩაიძალღებდა თავს, რომ არ ესულდგმულებია ასეთ ძლიერ გაბოროტებას, რომ ეს გრძნობა არ ყოფილიყო მისთვის ის, რაც სხვისთვის არის მზე, წყალი, გაზარება. თუ ეპოტინებოდა სიცოცხლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ემზირა, როგორ აბრაზებდა ყველას მხრებში მოხრილი მისი ლანდიც კი.

თუ დღეს ჩვეულებრივზე უფრო თამამი იყო და არ უყვირდა თავაზიანობა მაროსი, რომლისგან არასოდეს ადამიანური სიტყვაც არ გაუგონია, ეს იმიტომ, რომ იცოდა— ეხლა საჭირო იყო.

დიდ ქიქაში მარომ ღვინო დაუსხა და წინ დაუდგა.

— რას მომჩერებებიარ? შენია ჩაცეცხლე!

ნესტორმა ლუქა დაღეკა, ღვინო დალია. ალკოგოლით გამომწვარი გული ვერ ინტლებდა. ხველა აუტყდა. დიდხანს ახველა. დაღეკილი ლუქა გადმოაყრევინა.

— რა საზიზღარი ხარ!— თავი ვერ შეიკავა მარომ.

ნესტორმა კარგათ გაიგონა ეს სიტყვები, მაგრამ როგორც სხვა ათას ამის მსგავსისთვის, ყურადღება არ მიუქცევია.

რამდენიმე ქიქა ღვინის შემდეგ ჩაღამებულ თვლებს სიცოცხლე მიეცათ. ნესტორმა კარგათ იცოდა მაროს ამზავი და მიხვდა, რომ ტყუილად არ გაიშუტებდა იმასაც კი, რასაც მაგიდაზე ხედავდა.

— ბედნიერია სიმონი?

ნესტორი პურის შემზარ გულს ღეკდა. არაფერი უპასუხა.



— რა ნახა იმ გამხმარ გოგოში! — თითქო თავისთვის ჩაიღებოდა მარჯომ. ნესტორმა შეხედა და გაიცინა. თითონ დაისხა ლეინო, დასწოლია დასწობდა შეხედა. შემდეგ უეცრად გაიცინა. დიდხანს იცინა. იციროდა და თან გული გჯგბოდა ხელოსგან.

— რა გაიცინებს?

— გამხმარ გოგოშიო! ეგ კარგათ სთქვი.. მართლა გამხმარია, ქალი კი არა, ქალის ლანდია. ფეხები მწვეარის კანკებს მიუგავს. გამხმარ გოგოშიო!

კიდევ დიდხანს იცინა. უეცრად შეჩერდა, გულში ხელი ჩაირტყა. ამღვრეული თვალებით უცქირა მაროს, კიდევ დასცალა ჭიქა და ისევ მაგრათ დაირტყა მკერდზე ხელი.

— გული მეწვეს.. სიმონი შეილივით მიმჩნია. ჭკუა არა აქვს. უფლის თვლივით დატრიალდებოდა შენი ხელი იმ ოჯახში. გამხმარ გოგოშიო!

ისევ გამოსწურა ჭიქა და თვალი აავლო მაროს.

— სად შენ, სად ის! შენ ქალი ხარ, ნამდვილი დედაკაცი!

მარომ დაიჭირა ნესტორის თვალი. ლოთის მსუნავი თვალეში ტკიპასავით მიეგრენ ქალის შალად მკერდს, ტიტველ მზრებს და კისერზე დანაოკებულ ხორცს. ქალს ეტკინა თვალით ნაკენი. ტკიპა სწოვდა სისხლს. უნდოდა ხელით მოეღლიჯა. შეშინდა ხელი გაესვარა. წამოხტა. შალი მოიხურა.

— აქამდე ქუჩაშიაც არ მიკარებდი. ვიცი, გეზიზღები. ერთხელ ისიც მოთხარი, ვერიდები იმ სკამზე დაჯდომას, რომელზედაც შენ იჯექიო. გეზიზღებოდა, თითქო ჩემ შემდეგ ზითი მიეკრა. თითქოს ლოკოკინად გადაიქცა სკამი, სანარეღ მუხლუხით. მარტო შენ კი არ მერიდები! ყველა, ყველა! ხომ მაქვს უფლება გული მეტკინოს? მეც ლეთის დარჩენილი ვარ, თუ არა? მეც კაცი ვარ, თუ არა? ჭიას რომ ფეხს დაატერ, ისიც გაინძრევა. ნუ მკრავ ხელს. გამოვადგები!

— მეგობრობა გაგიწიო?

— მეგობრობას არ გთხოვ. მხოლოდ ამიტანე. მეტი არაფერი მინდა..

სამაგიერო?

ნესტორმა დასცალა ჭიქა და ღონივრად დაარტყა მაგიდაზე.

— ყველაფერი, ყველაფერი შემძლეა! ერთ დროს მეც კაცი ვიყავ. ეხლა ლოკოკინა ვარ, მუხლუხო. ეზარებათ იმ სკამზე დაჯდომა, რომელზედაც მე ვიჯექ. მე კი ყველა სკამზე დავჯდები, ყველა სკამს ჩამოვივლი და ლოკოკინასავით ლორწს მაინც არ დავტოვებ. იმიტომ რომ, ლოკოკინა მატლია, მე კი ადამიანი ვარ, თუ არა? წყალია ჩემს გარშემო, აშშორებული ჭაობი, არაფერია, ვიცურავებ. თუ სხვა არ დამხრჩველა, მე სულ არ დავინძრევი. პატივებით კია არავეს ვაბატივებ. როცა შემხედვება, მაშინ გადაუხდი. არავეს, გესმის, არავეს!

ჯერ კიდევ ნახევარი კვარტი არ დაეცალა. უკვე მთვრალი იყო. ხელეში უკანკალბედენ, როცა ახალ სტაქანს ისხამდა. ლეინო იღვრებოდა მაგიდაზე, ესხმებოდა გულზე, ჩამოსდიოდა ტუჩების ნაპირებიდან.

მარომ ლეინის წალემა დააპირა.

— მიგატქვს?

ნაქვედნი

— თუ გონება დაჰკარგე, რაღათ მინდებხარ!
— დასტოვე... დავლევ, უფრო მოვალ გონზე. ლენინო ანუ შვეიცარია ჩემს ტყინს.
მე ვიცი ჩემი ამბავი.

— რომ დათვრე?

— ისე არ შემოდლია. საქმეს ვერ ჩაუკვირდები, მესხიერება მიღალატებს..
მარომ დასტოვია კვარტი. ნესტორმა კიდე დალია და ახალი დაისხა.

— მაშ საქმის გამოსწორება აღარ შეიძლება?

მაროს არ ჰჭონდა იმედი, რომ ამ კითხვის შინაარსს მთვრალი გაიგებდა
ნესტორი მიუხვდა. მარომ იგრძნო ეს და გაცუებით შეხვდა საზიზღარ მოხუცს,
რომლის თვალეშში ახრის ნატამალი აღარ ისახებოდა. ნესტორს უნდოდა რა-
ღაც ეპასუხა, მაგრამ ხველამ მოუსწრო. ქალმა მოთმინებით დაუცადა. ნესტორ-
მა ვადილორწა მყვრდზე, სახელოზე, დიდ ხანს ახველა, შემდეგ რამოდენიმე
წუთით უმზირა ქალს გაწითლებული აცრემლებული თვალეებით.

— შეიძლება?—ველარ მოითმინა და ხელმეორედ კითხა.

— ესე იგი?

ამ კითხვამ შეაშინა მარო.

— საძაგელი, მიხვდა!—გაიფიქრა მან.

— გამოსწორება ყველაფრის შეიძლება. გამოუსწორებელი არაფერია. გაუ-
სწორებელი რა არის.

მარომ თვითონ დაუსხა ლენინო.

— ნესტორ, დაემეგობრდეთ?

დიდი ხნის ღამე იყო, როცა ნესტორი წავიდა. მთვრალმა ოთახამდე ვერ
მიადწია, საღღაც ეზოში მორს ამოეფარა და ჩაიძინა.

VIII

ქუჩებს, სახლებს, ეზოებს წვიმა რეცხდა. ვაფთვრებით ასხავდა მიწას. ხან-
დახან შეხედებოდა შემთხვევით შერჩენილი მოკიდებული სანათური. სინათლეც
სოველი და ცივი იყო. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ვადიხართ დიდ გვირაბს.
რომელიც მალე უნდა ჩამოინგრეს. გრგვინვისგან ირყეოდა ქუჩა და ქანაობდა
ეტლი.

ჯერ კიდევ გვიან არ იყო, მაგრამ ქუჩებში აღარავინ სჩანდა. დაგუბებულ
წუმბეებში მირიბინობდა ერთი ეტლი. სიცივისაგან და სისოვლისაგან პატარა
ვამზდარი ცხენები მოკუნტულიყვნენ. ცხენები სიამოვნებით ჩაწეებოდენ წუმბე-
ში და კიდევ დაიხრჩობდენ თავს, მაგრამ არ აჩერებდათ მათობის შეუბრალებ-
ელი დარტყმა..

— დაჰკარი! ვააქანე!—ყვიროდა ეტლიდან მკექარე, ძლიერი ხმა.

არც ერთ სახლიდან არ გაუგონიათ, არ დაუნახავთ როგორ ზრივინებდა
ეტლი ოღრო-ოღროებზე და კვებზე. არც ეტლში მსხლამნი ხედავდენ რასმეს.
გზა სჩანდა დაუსრულებელი და ეტლი თითქო მიჰჭონდა დიდ მდინარეს.

ცხენები შეჩერდენ.

— რა იყო?—იკითხა მამაკაცმა ეტლიდან.

მეეტლემ რაღაცა სთქვა, მაგრამ სიტყვები გაიტაცეს ქვეყნის მკვირვარე-
ლეების შხუილმა და ხეების შრიალმა.

კაცმა ეტლიდან თავი გამოჰყო. მთვრალმა თვალებმა დაინახეს მხოლოდ
მეეტლეს შავი ლანდი, რომლიდანაც წვიმა ჩამოდიოდა.

— მივედით!—სთქვა ლანდმა.

კაცმა ეტლიდან მიაყვირა.

— გასწი წინ!

მეეტლემ ბრძანება გაიგონა, მაგრამ მაინც იღვია.

ეტლში ქალის ხმა გაისმა:

— სად უნდა წავიდეთ? მცოვა. ფეხებიც დამისველდა. ასეთ წვიმაში!. მცო-
ვა.. მეშინია!

მამაკაცმა ბრაზი მეეტლეზე იყარა.

— გუბუნები, გასწი! პირდაპირ... სანამ გზა არ დაილიოს. სანამ ეტლი არ
დაიმსხვრეს. მე ბედნიერი ვარ, გესმის თუ არა?! სანამ გზა არ დაილიოს! სანამ
ქვეყნის ბოლოს არ მიაღწევ!

გაბრაზებით ხელი ჰკრა მეეტლეს.

ცხენები ისევ დაიძრენ. ჯერ მძიმე ნაბიჯით, შემდეგ ძუნძულით, რადგან
ამას მათრაზი და შეძახილი მოითხოვდა.

გვრინვა ხანდახან წვიმის ხმასაც სპობდა.

— სად მივდივართ? — იკითხა ქალის ხმამ.

მამაკაცმა მოხვია ღონიერი მკლავები, ფეხები ეტლის საჯდომზე გაუწყო,
გაიხადა ზედა ტანსაცმელი და შეცივებულ ფეხებზე შემოახვია. როცა მამაკაცი
ახლო მიიტანდა სახეს, ქალი სუნთქავდა ღვინოს და თუთუნს. ჯაგარივით ულ-
ვაშები კბენდნენ ნაზ სახეს. დიდი, მსუქანი ტუჩები, როლწიანი პირი, ხანდახან
მოსძებნიდნენ ქალის სახეს და მიედებოდნენ ლოყაზე, ცხვირზე, თვალებზე.

ქალი თავის თავს ეკითხებოდა:

— რა უნდა მას? ის ხომ უკვე ქმარია? როცა ფხიზელია, ზედმეტად თავა-
ზიანია და სიტყვის თქმასაც ვერ ბედავს. ეხლა წინ ბრუნდებიან.. ვინ უშლის
ოთახში კოცნოს და ფინიკ მოიკლას? რა საჭიროა ყველაფერი ეს?

— გარკე! გარკე!

სოველი მათრაზი დაუზოგავად ტლაშუნებდა ცხენების გამზდარ ზურგზე.
მეეტლეს ესმოდა როგორ ხუნწოდნენ ღონემიხდილი ცხენები.

ეტლს ქარი ეკიდებოდა. საფარის აგლეჯა უნდოდა. ტელეგრაფის ბოძები
ჰკიოდნენ შავთულებით. ქარი იხლართებოდა მავთულებში და ბრაზობდა.

ცხენები თითონ შერყრდნენ. ისევ დაიწვილა მათრაზმა, გაისმა შეცივლება და
ვინება.

ცხენები მაინც არ დაიძრენ.

მეეტლემ დაიძახა:

— გზა აღარ არის. ბედი, რომ ნაბიჯი არ გადასდგეს. ხრამში გადავიჩე-
ხებოდით!

პასუხი არ მიუღია. შეიძლება არც გაუგონიათ ეტლში. ეჭვიანობა, ცხენები, წვიმა სახეში ურტყამდა და არ ახედვინებდა.

ხანდახან ელვა ანათებდა გზას და ორივე მხრით ჩაბუდრებულ პატარა ხის სახლებს, რომელნიც წვიმისაგან კიდევ უფრო დაპატარავებულიყვნენ. ქოხები გვეროდენ ერთმანეთს, ემინოდათ მარტოობის და ცდილობდნენ ერთმანეთი გაეზნევიებიათ.

ბნელ ქუჩებში მოხშუოდა წყალი, სადღაც ერთდებოდა ღელეთ და შემდეგ ღრიალით მიიჩქაროდა.

გადარეულის მოჩვენებას გავდა ამ შეუბრალებელ ღამეში ადამიანის ძახილი:

— გარეკე! გარეკე!

მეტლე, არა იმიტომ, რომ ბრძანებას ასრულებდა იმისას, ვინც მისძახოდა ეტლიდან, არამედ იმიტომ, რომ თითონაც გადაიქცა გააფთრებულ სტიქიონის ნაწილად, ჰკიოდა და იქნევედა მათრახს ჰაერში, მათრახით აპობდა წვიმის შეუჩერებელ სვეტებს. ეხლა თითონ უნდოდა ღრიალი. აგვიებდა ზუზუნი მოქნიულ მათრახის, რომელიც აპობდა ქარს და ქარში გახვეულ წვიმას.

— რაც სიზმარში არ მიზახავს, ისა მაქვს და ისა ვარ. მაგდა! ბედნიერი ვარ! გესმის? ხომ ბედავდი დღევანდელ მასპინძელთან შეგროვილთ, რა ხარბად მიყურებდნენ? დამებაბრინ. ამოფევერი მიწიდან, მზეს შევხედე. ეხლა მეც კაცო ვარ, კაცი კაცებში. წინად კი? მძორი—მეტი არაფერი! რა უყოთ, რომ მაინა მიკიტანი მყავდა და ბოთლებში ღვინის გადმოსხმის მეტი არაფერი მასწავლა.. დღეს კაცი ვარ კაცებში.. ხორცი უნდა გესხას, ხელეში ღონე უნდა გქონდეს. სხვა ყველაფერი მოვა. ასე კი არ ვარგა შენ რომ ხარ. ცინდალივით ხარ, ცინდალივით. ხორცი უნდა შეისხა, სხვა ყველაფერი მოვა. თუ არ მოვა, მოვათრევე, ყურით მოვათრევე. ხელეში ღონე უნდა გქონდეს. პირველი აგური მე დაედევ, როცა ქარხანა ავაშენე. აგურის აწევის ღონე სჭირია. ღონე უნდა გქონდეს. მქონდა და დაედევი. მზეზე ამოვედი, მზეს შევხედე და ძირს აღარ ჩავძვრები. წინად მზე თვალს მჭრიდა, ეხლა მხოლოდ მზეზე გამოხედვა შემიძლია. მთვრალი ვარ? ვინ მოგახსენა. მთვრალი კი არა ვარ, ქვეყანა მეცოტავენა, მხრები მაქვს განიერი. მკერდი მაქვს ღონიერი. რომ დავეტაკო, გავიტან გულით. მხოლოდ ეხლა ვიწყებ ცხოვრების, აქამდე არ მიცხოვრია. არ შეგონა, თუ ამოდენა სურვილები მექნებოდა. ეხლა გაუმამლარი ვარ, ყველაფერი მინდა და არაფერი მეზოგება.. გარეკე!

ჯებიდან მუქით ამოიღო ვერცხლის ფული და ქუჩაში გადაჰყარა.

— ვინზე იპოვის, გაუხარდება. სხვადაც გაიხაროს. ერთი საათით სხვაც იყოს ბედნიერი. ვინც ჰკლიანია, მიხედება, რომ ეს სიმონმა ჰქნა. ბავშვები იპოვიან, ტბილს იყიდიან. დიდები იპოვიან, ოჯახს მოახმარენ. სიცოცხლე ასე კარგი ყოფილა. ბნელმა როგორ უნდა შეგაშინოს? ორმოცი წელიწადი ბნელში ვიყავი. გარეთ მზე იყო, მე კი ბნელში. მზე ზევით ამოსვლას მიშლიდა. საროში მერჩია და მივძვრებოდი. ამოქვევრი და აღარ ჩავძვრები. ეს ღამე იმის ნიშანია, რომ ბეალ მზე იქნება. დაგროვდა წვიმა, უნდა ჩამოიტიროს ცაჲ. შემდეგ ისევ შიდარულად ჩამოგვხედავს. ეს ღამე კი არა, ნათელია, ნათელი! სიმონ ფაბრიკანტი!

დღეს ასე მიძახის ყველა.. დღეს შენა ხარ ჩემს გვერდით. ერთხელაც მოსდრატ აყვავდა. აყვავდა და არ დაეაქნობ.. გარეყე!

სახლში დაბრუნებისას სიმონი დიდხანს არ დამშვიდებულა. დადიოდა ოთახებში, ბობლინებდა, ელაპარაკებოდა კედლებზე დაკიდებულ სურათებს. შემდეგ მორთო გრამოფონი და დიდხანს ჟერა. განსაკუთრებით მოსწონდა ის მარშები და ბაიათები, რომელნიც ეხლა მის ხასიათს ეგუებოდენ. ჟერავდა მათ და თან ხმასაც აყოლებდა. სიმღერით გატაცებულს არ შეუმჩნევია, როგორ გავიდა მაგდა საძინებელ ოთახში.

ლოგინის სითბომ მაგდა მალე მიიძინა. აღარ გაუგონია როგორ დაბორგავდა სამონი. ძილის წინ ყური მოჰკრა ნესტორის ლაპარაკს. ნესტორს წვიმიან ამინდში ხშირად ეძინა შემოსასვლელ კარებთან დფრეფანში.

მაგდა გააღვიძა ტანზე შემოხვეულმა სიმონის მკლავებმა. თვალებმა შიშით გამოიხედეს და დაინახეს გაწითლებული სუქანი სახე და ამღვრეული თვალები, რომელშიაც არაერთარი გონიერება არ ისახებოდა. ერთი წუთით მაგდას ეგონა ყველაფერი ეს სიზმარი, უხეირო სიზმარი, მაგრამ სუნთქვა შეუკრეს საღტეთ შემოკრულმა მამაკაცის ღონიერმა კუნთებმა და სამუდამოთ გამოიფხიჭლდა, როცა სახეს მიეკრა ხორციანი ტუჩები.

ზღაპარი და სინაგდვილა *)

თავი მეთექვსმეტი

ზღვის ფსკერზე ქვიშას
 ვინ დაითვლის
 ან ფოთლებს ტყეში,—
 რა მომავლებს,
 რაც მშენია
 და რაც მინახავს,—
 შემომიფელია
 ეს ქვეყანა
 ტანჯვით „შავ დღეში“,
 სწრაფია უსაზღვრო
 და მიზანი
 შორით მისახავს,
 რაზღერ ხიფათებს
 წინ ვუდევს,
 არ დავეროდე,
 რამდენ უცნაურ
 ამბებს გზაში
 გადაფეყარე
 და გაფიარე
 „ბედის წერის“
 რამდენი ხიდი,—
 რამდენჯერ სიკვდილს
 გავიქმეცი
 და გავეპარე...
 გულით კი... გულით
 იმედი და რწმენა

დამქონდა...
 წინ დამესახა
 გმირი დანკო
 ცეცხლიან გულით,
 რომ ჩემი მიზნის
 და ოცნების
 სამყაროს ფლობდა,
 საცა მზით იყო
 ყველაფერი
 გაბრწყინებული.
 ფიქრები ჩემი
 და ოცნება
 ფრთებს შეისხამდა,—
 მწამდა: ხალხის ხსნა
 ვის შეეძლო
 თუ არა რჩეულს,
 ვინც რომ ხალხისთვის
 დანკოსავით
 თავს განწირავდა,
 ვისაც სიკვდილიც
 ვერ მოხრიდა
 ცეცხლად ანთებულს.
 და ერთხელ, სადღაც,—
 ჩრდილოეთის
 ერთ ცივ ქვეყანას,
 საცა დამქროდა

*) იხ. მნათობი № 10—1928 წ.

ტექნიკური მიზეზების გამო ამ პოემის დასასრული იბეჭდება დატვიანებით, რედ-

სუსხიანი
 აფთარი ქარი,
 მოვხვდი შორიდან
 მოწვეალი
 ზღვის შირა ქალაქს,
 საცა ცხოვრება იყო მძაფრი,
 ვით ზღვა მღელღარი.
 ვიდექ ქუჩაში
 და თვალები
 მივაპყარ სახლებს,
 რომ სართულებზე
 სართულები
 ქონდა დამღვარი,—
 ვუცქერდი გამელელთ
 დიდს, პატარას,
 ქალებს და ვაიებს,
 მდიდარს და ღარიბს,
 მექარხნებს და
 მუშას, მღვდელს ჯვარით.
 „ეი, რას დგებარ
 აქ უსაქმოდ?
 არ გესმის, განა?
 აქ სასახლეა
 მეფის და მე
 მისი ვარ მცველი,
 სადაური ხარ?
 რა ეშმაკმა
 აქ მოგიყვანა?
 გასწი, თორემა
 შენთვის მზათ მაქვს
 მათრახის წვერი!“
 და მცველის მათრახს
 ჩემი ზურგი
 უცბად ვერ აცდა.
 ვთქვი: „უგუნურსა
 რა მოვთხოვო“.—
 და შემებრაღა.
 ამ დროს დაეშვა
 ალისფერი
 ჩემს წინ მზის დარღა
 და ჩემს ოცნების

წარმტაც მხარეს
 გადმოეთარა.
 „მეზავრი ლეთისა,
 თქვენი მოსვლა
 იყოს კეთილი“.
 მომესმა მოხუც
 მებადურის
 ხმა კარავიდან.
 შემომეგება
 ქალარა და
 წელში მოხრილი,
 ხელში სანათით,
 ღამის წვედიადს
 რომ შუქს აცრიდა.
 კარავში ცეცხლი
 დაენთო მას
 და სითბო იდგა.
 მოხუცმა სუფრა
 გაშალა და
 გამიმასპინძლდა.
 „იბა, მიაშენ
 ვინა ხარ და
 მოდიხარ სიდანა?“
 მკითხა მოხუცმა,
 რომ მიცქერდა
 და გვერდით მიჯდა...
 „ვინა ვარ? ერთი
 მომაკვდავი
 ხდამიანი!
 უარვყვე ტანჯვის
 ეს ქვეყანა
 და ვარ ეული.
 ჩემი ოცნება
 არის მხარე
 ნათელმზიანი,
 სადაც შშრომელთა
 მარჯვენაა
 გამეთვებული!“
 და მას ვლამბე
 მე ზღაპარი
 ტანჯული ხალხის,

რომ განწირვისგან
 იხსნა დანკომ
 თავის დადებით...
 უფაშე ხალხის ალტაცუბა
 იმ ქვეყნის ნახვით,
 საცა ხარობდა
 ყველაფერი
 მზის სხივთა ფრქვევით.
 მოხუცის სახე
 სიხარულით
 იყო ბრწყინავე,
 და თვალებიდან
 ნაპერწყმები
 ცვიოდა ცეცხლის...
 სთქვა ალტაცებით:
 „არ მინახავს
 მთქმელი შენსავეთ,
 იქნებ ღვთისაგან
 მოგვევლინე
 მხსნელად ამ ქვეყნის!...“
 და თვალთ ვეღარ
 გაეფარებოდა
 ერთი მეორეს,
 იდგა მოხუცი
 სიხარულით
 და გატაცებით.
 ჩემსავეთ მასაც
 იტაცებდა
 ქვეყანა შორე
 და გრძნობდა სიმხნეს
 ახალგაზრდულს
 თავგამებებით.
 „მოხუცო, ეხედავ,
 გული შენი
 ფეთქს სიყვარულით,
 ვერ ჩაუქრია
 შენში ცეცხლი
 ქროლვას დროების,
 მაშ, გექონდეს ერთი
 მიზანი და
 გზა დასახული.

ვიაროთ ერთად
 მთა-მინდვრების
 გადასწორებით.
 თან გვიდევს ჩვენ გზა
 და ვინ იცის
 სად გავიუენებთ.
 დიადი რწმენით
 გავცილდებით
 ამ ქვეყნის საზღვრებს
 აქ თუ ტანჯვა გვაქვს,
 იქ ხომ ღვთის
 ტებობას ვივხვებით,
 თქვენში ვიპოვი
 ალბად კადე
 სხვა თანამგზავრებს...
 და მებაღური
 სიხარულით
 „ცას ზელს აწვდიდა“,
 — მზათა ვარ შენთან
 რომ ვიარო
 ჭირში და ღვთისში,
 თუნდ შუა გზაში
 დავარდე და
 მიმუხთლოს ბედმა,
 თუნდაც სიკვდილმა
 ამომხადოს
 სული ტანჯვაში...
 აქ მრავალია
 მუშებიც და
 როს გაიგებენ
 შენს აქ ყოფნასა,
 ეს კარავი
 მათ ვერ დაიტყვის.
 შენთან წამოვალთ,
 ჩვენ ამ ქალაქს
 ყველა დავტოვებთ,
 ბოლოს მოვუღებთ
 ღარიბთა და
 მშრომელთა ტანჯვებს“.
 სთქვა და მოხუცმა
 ელვასავით

გაფარდა გაჩეო.
 მე კი კარავში
 დავრჩი მარტო
 და დავაითენდა.
 დილით გამოჩნდა
 მოხუცი და
 ავსიხარულდი,
 კარავი ხალხით
 სულ გაივსო და
 გაიჭვდა.
 „ძმებო, გვიღიმის
 ტანჯულთ ბედი,—
 შეეღა მოგვეღას.
 აი, ამ უცხო
 ვინმე მგზავრსა
 უნდა ვუსმინოთ,
 ჟარუყვია
 მას ქვეყანა
 და ყველაფერი,
 ჩვენც მასთან ერთად
 უცხო მხარეს
 უნდა ვიღებინოთ.“
 მიმართა ყველას
 მებაღურმა
 აღფრთოვანებით.
 „ვუსმენთ... ვინ არის?
 მგზავრი? საით?“
 ისმოდა ხმები...
 აზრს ვერ ვიკრეფდი
 უჩვეულო
 ასეთი კრებით,
 და მე დავიწყე:
 „ძმებო, ჩვენა
 ვართ ტანჯულები!
 უნდა განვშორდეთ
 ამ ქვეყანას
 უსამართლობის.
 ვიაროთ ერთად
 და ვიპოვით
 ოცნების მხარეს,—
 ქვეყანას მზიანს,

სიყვარულის,
 ძმობა-ერთობის,
 საღ ვერ იგემებთ
 თქვენ ცხოვრების
 შხამნარეგ მწარეს...
 აბა, მისმინეთ!
 ეხლა გეტყვი
 თქვენ ისეთ ამბავს,
 რომ ამ ქვეყნიურს
 უკუაგდებთ და
 შეიძლებათ,
 და ხორცშესხმულათ
 უცხო მხარეს
 თქვენ დაისახავთ,
 მისთვის თავს დადებთ
 და სიცოცხლეს
 არ დაიშურებთ!“
 და მათ ვუამბე
 მე ზღაპარი
 ტანჯული ხალხის,
 ვუამბე დანკოს
 თავდადებით
 ტანჯულთა შეეღა,
 ვუამბე ხალხის
 აღტაცება
 იმ ქვეყნის ნახვით.
 საღ ყველაფერი
 ყვაოდა
 და ხარობდა ყველა.
 ჩემი სიტყვები
 მოხუცის სულს
 მოედო ალაღ.
 „ძმებო, ხომ გესმით,
 არჩევანი
 არ უნდა იყოს!
 ბედი გვიღიმის
 და იმედმა
 ფრთები გაშალა,
 ვინც ჩვენთან მოდის
 იმან ხელი
 უნდა ასწიოს!“

ასე მიმართა
 მოხუცმა ხალხს
 ბრწყინაივი სახით.
 ამ დროს ხალხიდან
 წინ წამოდგა
 ვილაც უცნობი.
 — ამხანაგებო!
 გადისძახა
 ხალხს მალალი ხმით:
 „თქვენ იცით, მეც ვარ
 ხალხის ტანჯვის
 სასტიკი მგმობი...
 დიახ, ჩვენ შრომით
 და ოფლის ღვრით
 ვახარებთ სხვებსა,
 განა ჩვენ არ ვქმნით
 იმ სიმდიდრეს,
 სხვა რომ იფლავებს?
 განა მდიდარი
 ჩვენი ტანჯვით
 არ იხარებსა?..
 დიახ, ჩვენ უნდა
 გზა უჩვენოთ
 ქვეყნის ტანჯულებს!
 მაგრამ შენ, მგზავრო,
 ვერც ერთ ჩვენგანს
 ვერ გაიყოლებ,
 ჩვენ ნატერულ მხარეთ
 ეს ქვეყანა
 უნდა ვაქციოთ,

ჩვენ ტანჯულებს ლიქონისა
 აქ დაერჩებით
 და აქ ვიბრძობებთ!
 აქ ბრძოლის დროსა
 ცეცხლისფერი
 მალა ავსწიოთ!
 ამხანაგებო!
 ვინც მომხრე ხარო
 ჩემი აზრების,
 სთქვით გაბედულად
 და ასწიეთ
 მალა ხელები!..
 ხმები*ისმოდა:
 „ჩვენ მხნეთ ვართ
 და აქ დაერჩებით,
 რომ ძველ ქვეყანას
 წაუეყიდოთ
 ცეცხლის ალემი“!..
 წუთების შემდეგ
 კარავში ჩვენ
 ვიყავით ორი—
 მე და მოხუცი,
 დილით ქალაქს
 რომ გამოგვიღლით,
 ჩვენ გვიტაცებდა
 თვალწარმტაცი
 ქვეყანა შორით,—
 უგზოთ და უცვლოდ
 მივდიოდით,—
 ოფლს და სისხლს ვღვრიდით.

თავი მესამე

ჩრდილოეთიდან
 სამხრეთის გზით
 და დასავლეთით
 წლები გვითვლია
 ტანჯვის დღეში
 მე და მეზადურს,
 ჩემი ქერა თმა
 შეიმოსა
 უღროვო თეთრით,

ქცობა დაეტყო
 ზამთრის სუსხით
 სახეს დაღარულს.
 მოხუც თანამგზავრს
 დამამორა
 მისმა სიკვდილმა
 (გზაში მას გული
 გაუჩერდა—
 გადაიკვალა).

დაეასაფლავე
 სადღაც ტყეში,
 ვით ლეიძლმა შეიღმა,
 ტანჯვაში ერთი
 მონაწილე
 გამომეცალა.
 და ისევ მარტოს
 აო მიჩანდა
 გზის დასასრული.
 ხშირად ძაღლივით
 მითვეია
 ლამე ქუჩებში,
 მაგრამ ოცნება
 მიტაცებდა
 შორს დასახული
 და მე მეგონა
 ტანჯულ ხალხის
 ვიყავ ნუგეში.
 წელს წელი ცვლიდა
 დრო მიჰქროდა
 და კვლავ ვეძებდი
 უცხო ქვეყანას
 ძმობისა და
 თავისუფლების...
 სულს კი ნისლავედა
 ჩამავალი
 შხის შუტი სევდის
 და იღრღნებოდა
 სული ეჭვით
 უიმედობის,
 ვფიქრობდი: „ნუ თუ
 ეს ცხოვრება
 ისე მიმუხთლებს,
 რომ ვერ ვიპოვი
 ვერსად მხარეს
 ბედნიერების?
 ნუ თუ ამ ქვეყნად
 ზამთრის კარი
 მუდამ იჭროლებს—
 სისხლის და ცრემლის,
 ტანჯვების და

უსამართლობის, ^{უარყოფელი}
 და ამ ფიქრებში ^{განუყოფელი}
 გადიშალა
 ჩემს წინ ნაცნობი
 მხარე, ზღვის პირად,
 ყრმობის ხნიდან
 რომ არ მინახავს,
 სადაც მესმოდა
 მოლდაველთა
 მღერა დამტკბობი,
 სადაც საგანი
 საოცნებო
 მე დამისახავს.
 მეკითხებოდენ:
 — ვინ ხარ? საით?
 ჩვენთან რა გინდა?“
 ვუპასუხებდი:
 — ტანჯვის მხარეს
 ვერ შეფრივდაი
 და ნატერულ ქვეყნის
 განვიზრახე
 ნახვა და მინდა
 ამ ქვეყნის შშრომელით
 იმ მხარესთან
 გაუდო ხიდი“.
 ამ ჩემს განზრახვას
 სისულელე
 უწოდა ყველამ
 და დონ-კიხოტსა
 შეძახოდენ ახალგაზრდები.
 ამბობდენ: „ხალხი
 დატანჯული
 მოითხოვს შეველას
 მტერთან ბრძოლით და
 არა ნატერით—
 ფუჭი ოცნებით“...
 ამ დროს ერთის ხმა
 ტყვიასავით
 გულში მხედებოდა:
 — „შორს ჩვენგან—
 ან და ჩვენი კირი

გაიზიაროს!#
 უცნობი იყო
 ჯანით სავსე
 და ახალგაზრდა,
 შესტრფოდა მზესა
 მომავალის
 და სანეტაროს...
 მისი თვალები
 ნაპერწკლებსა
 აფრქვევდა ცეცხლის,
 გული უფეთქდა
 ახალგაზრდულ
 თავგანუტებით,
 ნატრობდა ხილვას
 მომავალი
 ახალ ცხოვრების,
 ძველი სამყაროს
 ფერულად ქცევას
 ცეცხლის ანთებით...
 — ვინ უნდა იყოს?
 ვფიქრობდი და
 ძლიერს მომიგონდა:
 ის იყო შეილი
 მოლდაველი
 მოხუცი ქალის,
 გატაცებული
 დანკოს ზღაპარს
 რომ მიამბობდა
 და გულს მივსებდა
 ნეტარების
 ცეცხლისა ალით.
 პეტროს ეძახდენ
 ვაჟს სახელად,
 იყო მაღალი,
 ბეჭებ ჩასკენილი,
 არწივისა
 რომ ქონდა მზერა,
 უყვარდა ყველა
 ღარიბი და
 ბედით საწყალი,
 ქვეყნის ძლიერი

შეიქულა —
 გადაიმტერა.
 ჩვენ გაუეცანით
 და ერთმანეთს
 დაუახლოვდით.
 ის იგონებდა
 დედის სიკვდილს
 აღშფოთებული
 და ეს მიამბო:
 „ომში მყავდა
 მამა ორი ძმით,
 დედა კი სახლში
 უპატრონოთ
 დატოვებული.
 მე კი შესამე
 ძმა ვიყავი,
 ყველას უნცროსი
 და ენუშაობდი
 ქარხანაში
 იარაღების,
 სად უსაშიშრეს
 კაცად მთელიდა
 ქარხნის უფროსი,
 და მჭადაგებლად
 მთელიდა ხალხში
 მავნე აზრების.
 და ერთ საღამოს,
 საიდუმლო
 კრება რომ გეჭონდა,
 თავზე დიგვესენ
 და ყველანი
 დაგვატუსაღეს,
 ჯალათებისგან
 ვიცოდი —
 რაც მომელოდა,
 ვიცოდი ჩემთვის
 ამზადებდა
 მტერი სამარეს.
 წამს გამიფლავა
 თავში აზრმა
 ბედზე მინდობის,

ნაქონული
 ხიზლიწონისა

(სიკვდილს ზომ შინც
 მე არაეინ
 ამაწორებდა).
 გაქცევა იყო
 ერთად-ერთი
 შეეღა სიკოცხლის,
 თორემ მცველების
 ტყვია გზაში
 ამაგორებდა...
 და აღარ მახსოვს
 როგორ მოხდა:
 მე გავიქეცი
 და შევეფარე
 მთებს და ტყეებს—
 ვიქეც ფირალი.
 ვიყავი მზნედ და
 უბრძოლველად მტერს
 არ დავნებდი,
 მაგრამ.. დედა კი
 არ მიხილავს
 შემდეგ ცოცხალი ..
 ყაჩაღად ვიყავ
 წოდებული
 და ჩემი თავი
 შეუფასებელი
 იყო იმ დროს
 ათას ოქროთი.
 მეც მტრებთან მჭონდა
 მუდამ ბრძოლა
 და არა ზავი,
 იმათ ბანაკში
 მე შემჭონდა
 ალიაქოთი..
 და მხოლოდ მაშინ,
 ჩრდილოეთს რომ
 ცეცხლი მოედო
 და ოქტომბერში
 პეჩა მების
 ყველგან ისმოდა,
 როცა ტირანი

ჩრდილოეთის
 ქვეყნის ძირს ვეღარ
 და ცეცხლის ქარი
 სანეტარი
 ყველგან დაჰჭროდა,
 ღამით გაუღექ
 გზის მალულად
 და საზღვარს ვავედი,
 და მივალწიე
 ჩრდილოეთის
 ცეცხლიან ქალაქს,
 საცა ბრძოლებში
 მონაწილე
 მაშინ მეც გაეხდი
 და მეც ვესმენდი
 წინამძღოლსა და
 ხალხის ბელადს..
 და შემდეგ პეტრომ
 მოყვა ამბებს
 დიდი ბრძოლების,
 სამოქალაქო
 ომისა და
 ხალხის 'შიშნისის,
 მიამბო: ხალხი
 როგორ ჭედდა
 ახალ ცხოვრებას
 მშრომელთა ქვეყნის,
 სად ნატურული
 სიკოცხლე ფრთებ: შლის...
 და ნიაშობი მოეკიდა
 ჩემს სულს აღებად,
 ჩემი ოცნება
 ახლოს სჩანდა
 და მახარებდა,—
 დღეს სულ სხვა იყო
 ჩემი სწრაფვა
 და გატაცება —
 მწამდა ტანჯული
 შრომის მხარე
 გაიმარჯვებდა...

თავი მეოთხე

სამხრეთი
კოლონიის

შრომის ჩაბმთან
ბებრები და
ქალები როთელოში.
რათ არ მღერიან?
(სიმღერა ხომ
აქ ყველამ იცის)
ახალგაზრდების
ხმები ისმის:
— თოფებით ხელში
დავიცვათ ძმებო
ეს ქვეყანა
ცეცხლში რომ იწვის.
მეფე ფერდინანდს
განუზრახავს ვაგვანადგუროს
და მოლდავიის
რესპუბლიკას
„აუგოს წესი“,
ჩვენ არ დაუთმობთ,
თუნდ ბრძოლებმა
სისხლად დაგვწუროს,
თუნდ მოგველოდეს
სასიკვდილო
ამონაკენისი“...
და დევნილები
მალულ კრებებს
მართავდნენ ყველგან:
ნაფებით ზღაზე,
ტყეში, მთებში,
ბნელ სარდაფებში.
აწვდიდნენ ამბებს
ურთი-ერთსა
ჩრდილოეთიდან,
ბეკლავდნენ ფურცლებს
მოწოდების
ფარულ სტამბებში.
„სფატულ-კერია“
ვერ ამართლებს
მშრომელთ იმედებს
(მეტწილად „ბრწყინავ“

წოდებიდან
აურჩევიათ)
მშრომელთა საბჭო
ვერ დაიცავს
თავის უფლებებს,
რადგან ამ მხარეს
მტერის ჯარი
შემოსევია.
„ძალა აღმართს ხნავს“
და მტრისათვის
რია საზღვარი:
ნაბრძანები აქვს
ავერესკოს:
„ცეცხლი წედებოდეს
ზეცას აღებად
და დგებოდეს
სისხლისა ღვარი,
იღვეს წყვედიანი
ამ ქვეყნად და
არ თენდებოდეს!“

—
პეტრო პირისპირ
უდგა სიკვდილს,
რადგან მფარველი
არის ხალხის და
წინამძღოლი
აჯანყებულთა...
მის დაუსახავს,
რომ ცეცხლს მისცეს
ქვეყანა ძველი,
მზიანი ყოფნა
დაუმკვიდროს
მხარეს ტანჯულთა.
მაგრამ ლალატით
„სფატულ ცერის“
ხალხი დამარცხდა:
„ოფიცოზმა“
პირველ გვერდზე
დაბეჭდა ცნობა:

„აჯანყებული
 ხალხი სასტიკ
 სასჯელს ვერ ასცდა!
 რა წარმტაცია
 ცეცხლში ქვეყნის
 სანახაობა...“
 ბუობდენ: პატიმრებს
 ციხეებში ველარ ჩაეატეეთ!“
 — როგორ მოვიქცეთ?
 — რიერაეისას
 ყველა დაეზერიტოთ!
 მამ ჯალათებო!
 ნუ აყოენებთ,
 ჩქარა დაიწყეთ!
 ბოლშევიკები,
 ვით მხეკები
 უნდა გაეწყვიტოთ!“

ამხანაგებო!
 ჩვენ საკედილის
 არ გეშინებია,
 თორემ ამ ცივ-ბნელ
 საკანშიაც
 არ ვისხდებოდით!
 მტერთან ბრძოლაში
 სისხლი მკერდით
 დაგვდინებია
 და მაინც ბრძოლის
 ცეცხლად ვენთეთ
 და ვიწვებოდით!
 მამ, ძმებო შედგრაღ,
 ვით შეგვეფურის
 თავედადებულებს!
 გეწამდეს: ბრძოლაში
 გამარჯვება
 ჩვენია ბოლოს!
 ეხლა კი, ლექსო
 შენებურად
 მოჰყევი ზღაპრებს,
 ჯერ ის გვიამბე,
 შენ რომ ვიყვარს,

შესახებ დანკოს! —
 ამბობდა პეტროს
 და მისი ხმა
 რეკდა საკანში.
 სხვებიც მას აყვენ:
 — ლექსო შენი
 გვაქვს ჩვენ იმედი,
 მოჰყევი ზღაპრებს,
 მწარე დღენი
 რომ გავატაროთ,
 ეგებ ვინ იცის
 ზღაპრულია
 ეს ჩენი ბედიც!
 შე წამოვდექი
 და დავიწყე
 ნელმით, მღელღარე.
 ზღაპრული დანკო
 იტაცებდა
 შორით ტუსაღებს,
 რამდენი ცრემლსა
 სიხარულის
 აფრქვევდა ცხარეს
 და ფრთებ გაშლილი
 ევლებოდა
 ოცნების მხარეს...
 —

როცა ზღაპარი
 დავასრულე, —
 დადგა სიჩუმე.
 — ამხანაგებო!
 შე განვაგრძე:
 — ამ ზღაპრის გმირმა
 თქვენ გაგიტაცათ
 და მოგხიბლათ
 როგორც წინათ-მე,
 მაგრამ რა არის
 ზღაპრის გმირი
 გმირთან ოქტომბრის?
 მისმინეთ: „ვიყავ
 მეოცნებე —
 მოხეტიალე
 უგზოთ და უკვლოთ

ერთი მხრიდან
 მეორე მხარეში.
 მაგრამ ბურჟუაზია
 გაიფანტა
 გარშემო მალე,
 ვიწამე ცეცხლი
 ავარდნილი
 ოქტომბრის თვეში.
 წინათ მე შწამდა,—
 ეიბილავდი
 სადმე ქვეყანას,
 სადაც ცხოვრება
 იქნებოდა
 თავისუფალი.
 მითქვამს: ჩვენს მიზანს
 ვერ მივალწევთ
 უსუსლოთ კანა?
 რა საჭიროა
 მტრობა, შუღლი,
 აყალ—მაყალი.
 ასეთი იყო ჩემი რწმენა —
 დღეს კი სხვა არის:
 „არ დაგვითხოვენ
 უბრძოლველად
 „ბურთს და მოედანს“
 ქვეყნის ძლიერნი,
 საომრად რომ
 მზათა ყავთ ჯარი,
 სანამ ბრძოლითვე
 არ გამოსჭედს
 ხალხი ბედს ახალს...
 — თქვენ მოისმინეთ
 ზღაპრულ დანკოს
 საკმე გმირული.
 ებლა გაიმბოთ
 ნამდვილ ამბავს
 ოქტომბრის გმირის...
 — ენახე, ის იყო
 მტკიცე რწმენით
 ვატაცებული.
 მას გამოეგლო

ტანჯვის ცეცხლში
 და დიდი კირბლში
 და მე ვუაბე
 მათ ამბავი
 იმის შესახებ,
 რომ ერთხელ, შორე —
 ჩრდილოეთის
 ერთ დიდ ქალაქში,
 მეტეფის ქოხში,
 საცა კრება მოეწყობა
 მუშებს
 მე ენახე უცხო
 კაცი ვინმე
 მუშის ხალათში.
 ის იყო მწრომელ
 ყველა ხალხის
 ბელადი — ლენინ.
 მის ხსენებაზე
 გაუბრწყინდა
 ყველას თვალები.
 ვთქვა: აი „ეხლაც
 მასი სახე
 მიღვას მე თვალწინ,
 ეხლაც მომესმის
 ცეცხლოვანი
 მისი სიტყვები“...

დამძიმებულა
 ეს დუმილი
 დიდი ლოდივით...
 სარკმელის კართან
 ამბავილებს.
 დარაჯი სმენას.
 ეზოდან ჩარი
 ფანჯრის მინას
 თავს ატეხს ოხვრით,
 თითქოს წუხელის
 ამ ციხეში
 მიელოს წყენა...
 პეტრო ივონებს
 წარსულიდან

ოქტომბრის დღეებს;
მეფის სასახლეს,
რომ აწვიმეს
ცხელი ტყვიები:
— „ო, ნეტავ აქაც
ოქტომბერი
ფრთებს დაიბერტყდეს,
მოეწყობოდეს
საბჭოები და კომუნები“.

ეს ხმაურია
დერეფნიდან:
მიდი-მოდიან.
ეს კი მეკარე
აჩხარუნებს
კარზე გასაღებს,
ისმის „ადეკით!“

კარს აღებენ
და შემოდიან,—
ჯერ პეტროს გვარი
და სახელი
ამოიკითხეს.
— ამხანაგებო!
„მხნედ იყავით!“
პეტროს ხმა დასძევს.
„ბესარაბიაც
ოქტომბრის ცეცხლს
ვერ აიშორებს.
იკოდეთ ყველამ:
რომ სიცოცხლეს
ვეწირავთ მომავალს.
ამხანაგებო!
ვეამბოროთ
ძმურათ ერომანეთს“!..

თავი მხატვა

სმონის დარბაზი
მორთულია
წითელ დროშებით,—
კედლებს ამშვენებს
წარწერები
ყველა ენებზე.
რა ამბავია?
ვის ხვდებიან,
რომ ალტაცება
აელვარებით
გამოსჭვივის
ყველას სახეზე?
აი გამოჩნდა
წინამძღოლი
რევოლუციის.
მას ტრიბუნაზე
მიაცილებს
ტაშის გრილი.
გაისმის ნელი
მისი ხმა და
სიტყვები ცეცხლის.
ყველა მას უცქერს,—

მისკენ ყველას
უჭირავს თვალი.
„ამხანაგებო!
მებრძოლთა შტაბს—
ინტერნაციონალს
კომუნისტურს
გახსნილად ვთვლი
და გთხოვთ პატივი სცეთ
იმათ ხსოვნას,
ვინც დიად აზრის
და მშრომელ ხალხის
სამსხვერპლოზე
მკერდით სისხლს ღვრიდა.
ვინც თავი დასდო
ბრძოლის ველზე
ბესარაბის,
ვინც ვერ გადურჩა
პირსისხლიან
რუმინელ ჯალათს.
ეფციავთ სახელით
ყველა ქვეყნის
მშრომელი ხალხის,

რომ მათ საფლავზე
ჩვენ ავმართავთ
ოქტომბრის ალამს!*

გლოვია ჩამოწვა
და დარბაზი
შეირბა წუთით.
ფეხზე ადგომით
პატაეს სცენმდენ
მებრძოლთა ხსოვნას.
მოაგონებდენ
პეტროს სახელს
გულის დათუთქვით:
„მტერს მივზღასო“

მაგიერი...
იყო მოთხოვნა.

დარბაზში სმენას
კვლავ სიჩუმე
გაამახვილებს —
შრომის სამყაროს
პენიის ხმა
ისევე გაისმის.
მომხსენებელი
იმ აზრს იცავს —
ყველას აჯერებს:
ხუთ მექვსედზეც
აინთება
ცეცხლი ოქტომბრის.

თ ე მ

I

რიკულებიან აივანზე გადამდგარი ყაფლან კოპებ შერეული გაცქეროდა ლიხის სადგურამდე თოსმისავეთ წერილ და დაკლავნილ ბილიკს.

ბილიკი შუაზე სკრიდა ოქრომოსხურებულ პურის მოლადანე ყანების კიდურს, ზევით ჩაუდიოდა რკინის გზა, ხოლო გადაღმა მაღალ ტრიალ მინდორზე გათვისებული იდგა პატარა სადგური, წინ ჩამწყრივებულ უმწყვრვალეს ალვის ხეებით.

სადგურის მარცხნივ აღმართული იყო სურამის უღელტეხილი, იმერ-ამერთა სამანი და ზედ ბროლის კოშკებივით დაშენებულ ღრუბელთა ტულებს ჩამავალი მზე ავარაყებდა.

მარჯვნივ მოსჩანდა სოფელი სავანე, აქეთ მარაოსავეთ იშლებოდა ქართლის ბარაქიანი ველი, ვრცელი და უბორცვო, რომელსაც მტკვარი ტაშის მთებიდან ყოფდა და ნაპირზე ვერცხლის ქობასავეთ უვლიდა.

თვით სოფელი ქვიშებით გაშენებული იყო მთაწმინდის შეფენებაზე და მის დაეკებულ კალთებს თვალუწყვდენ ველიდან ირიბათ კვეთავდა ბორჯომის რკინის გზა.

ამრიგათ, ქვიშეთს, ორივე კედაროს მატარებელი უდგებოდა, რის გამო გარეშეებისათვის სოფელი მეტად დასამაარს წარმოადგენდა. იმავე დროს ადვილის მკვიდრთაც გაიოლებული ქონდათ მიმოსვლა ხაშურსა და სხვა დაბაქალაქებში.

გარემო ეხლაც ხშირ ქარიანია, მაგრამ ამისთანავე იმდენათ სასერიო, უხვია და გასაძღისი, რომ მალე იცის შეგუება.

ყაფლანის სამყოფოდან, რომელიც სავანეგებოთაია აგებული სოფლის შუა ამოხნეჟილ არეზე, ყველაფერი ცხადათ მოსჩანდა.

ლილისურად შელებილ მოაჯირზე ნიდაყვებ დაყრდნობილი ყაფლან, ნელა მარცვლავდა მომსხო გიშრის კრილოსანს და თან ცდილობდა ბილიკზე შიშავალნი გამოეცნო.

როცა აივანს ხურჯინიანმა გლეხმა უბრათ ჩაუარა, ყაფლანი ისე ერთბაშათ შეატოკა მატარებლის კივილმა, რომ გაუხსნევებულ მგზავრის გვარიც ველარ მოიგონა.

მატარებელი ჯერ შურდულივით მოქროდა, მაგრამ დაესაბრუნა თუ არა სადგურის, სისწრაფეს უკლო და ცოტახნის მერე კიდევ შეჩერდა. ეხლა ორთქლ-მავალი, როგორც ლახვარსობილ ვეშაპის თავი, ისე ქმინავდა და ბორგავდა.

თითქმის რიკულზე შემდგარი ყაფლან განაბული ადევნებდა თვალს იქაურობას, მაგრამ ვერავის ამჩნევდა, ხოლო როცა მატარებელი ჰოლოკ მოხვედრილი ნაგავივით ისევ აკივლდა და წიფის გვირაბისაკენ გაიქცა, სადგურის წინ გამოჩნდა ახაბაკებული მგზავრები და დამხედურები, რომლებიც იმგვარად ფუს-ფუსებდნენ და ირეოდნენ, თითქო ცეცხლ წაქიდიბულ სახლიდან ყოფილიყვნენ გამოკვენილნი.

სოფლისაკენ რამდენიმე მგზავრის დაწინაურებისთანავე, ყაფლანმა აღრინდელი სიმარდით ჰოგრიტი გამოიტანა და ბილიკზე უკვე წეროებივით გამწკრივებულ მგზავრებს თვალღერება დაუწყა.

— დასწყველოს ღმერთმა, დავბრუციანდი თუ რა მომივიდა, გულნაკლულათ ჩაილაპარაკა მან და უფრო მოხერხებულათ მოიმარჯვა ჰოგრიტი.

ნაირ სამოსიანი მგზავრები ლელეს გამოღმა აქეთ-იქით შუგბში უხვევდნენ, ზოგნი კი ყაფლანის სახლისაკენ ახლად გაჭრილ შარახე მოემართებოდნენ ხმა-ნაღალი ლაპარაკით.

მათ შორის ყაფლანმა როგორც იყო გაარჩია თავის ორი მოახლე. ისინი თავის ტოლ ბიჭებს ფეიცხებოდნენ და აღიზიანებდნენ. არც თუ ბიჭები რჩებოდნენ ვალში და სურვილი რომ დაეოკებიათ, ატყრიალებულ გოგოებს ყოველმოსახვევში აშკარათ ეტმასნებოდნენ.

მაგრამ როგორც კი შარას დაადგენ, გოგოებმა სიარულს უმატეს და საღერღელ აშლილი ბიჭები უკან ჩამოიტოვეს.

ყაფლანმა აიენის კუთხიდან, ჰიშკარში ჯერ კიდევ შემოუსვლელ ქალებს მკვახეთ გადასძახა:

— როგორ მარტონი მოდიხართ!

— არ ჩამოსულან ბატონო. ერთხმათ და ქელვით უბასუხეს ქალებმა.

— იქნება ბორჯომის მატარებლით გეახლონ. გაუბედავით დაუმატა უფრო მოწიფულმა თუთიამ.

— არა, რაღაც ფათერაკია მათ თავზე, თორემ რატომ ღამე სიარული ღნდა ერჩიათ. წარმოსთქვა ყაფლანმა და სკამ-ლოგინზე უფუნებოთ ჩამოჯდა.

გოგოები, რომელთაც სიციხისაგან და უფრო კი ბიჭებთან კურკურის გამოლოყები წითლად უღვივოდათ ფეხაკრეფით გაეშურენ საჯალაბოსაკენ და თან საკინძეებს იხსნიდნენ, რომ უბეები ქარს გაეგრილებია.

ყაფლანი დიდხანს იჯდა კვიმატ ფიქრებს აყოლილი. მას გამოეპარა მთვარის ამოსვლა, რომელსაც სიამით ეგებებოდა ყოველთვის და რომლისაგანაც მოსირმულ მტკვარს, ხანდახან შემოღამებული ტივები მყარდს რომ უსერავდნენ, შორიდან ანდობდა თავის მარტოობის ფიქრებსა და ზრახვებს.

მოახლებმა დაამირეს აივანზე გასვლა და დაროგების გამოთხოვა, მაგრამ ვერ გაბედეს და მოურავს ეხვეწებოდნენ მოციქულობას. მოურავიც ყოყმანობდა,

რადგან დაკდილი ქონდა ყაფლანის ხასიათი. მან იცოდა, რომ ბატონის მხრით სიყუჩეს შეიძლება რისხვა მოყოლოდა. როგორც უეცრად დამტკბარ ამინდს ქუჩილი ამიტომ აყოვნებდა ბატონთან გამოცხადებას.

ყაფლანი იჯდა მოღუშული და დამარტყულ თითებით ებლა გამალებით მარცვლავდა გიშრის კრიალოსანს, რომელიც მთვარის შუქზე ისე ჭვიოდა და კიაფობდა, თითქო გაუხედნაე ზაქების თვალთა გუგები ყოფილიყო აცმული ყაითანზე.

ყაფლანს უნდოდა მიხვედრილიყო მათი ჩამოუსვლელობის მიზეზს, მაგრამ გუჰანი ვერაფერზე შეეჩერებია.

— იქნებ ავითაა. ან ხიფათი რამ შეეშთხვა. ყველაფერი მოსალოდნელია ამ ამტუტებულ დროში.

გაივლო უეცრათ და ამირიზა. აღრენილი წამოდგა და ვალიაში დაძწეული ფოცხვერივით დაიწყო წრიალი აივანზე, შემდეგ დარბაზში შეიჭრა და გაღებულ ფანჯრიდან მოურაეს გადასძახა:

— ფილო, ჰა ფილო!

მოურავის მაგიერ ყაფლანს თუთია გამოეხმაურა და მოახსენა, რომ ფილო ქალბატონის შესაგებებლად წასულიყო.

ყაფლანს არაფერი უთქვამს. ერთი თვალი ვადაავლო მიდამოს და რადგან კარი ფიანდებოდა, ფანჯარა მიხურა.

თუთიას დღეს გამსჭვირვალე მწვანე ფაიფურის საბურავიანი დიდი ლამყა აენტო. ლამყა რკინის მაღალ სამყეხზე იდგა შუა დარბაზში და იქაურობას სადღესასწაულო ელფერს აძლევდა. დარბაზი ფართე მოცულობის იყო და გემოზე მორთული. სამარეთით ფანჯრებს შუა გაკრულ ხალზე, რომელიც წიღებოდა იქვე დადგმულ ატლასის მუთაქებიან და რბილ ტახტს, ეკიდა: მოვერცხლილი ხმალი, სიათა, დაშნები, ზუჩი, ჯაქვის პერანგი, ფოლადის სანიდაყვეები, სამაჯურები და სამუხლები, ფარები, მოკლე შუბები, ხანჯლები და ძველი ყალიბის სხვა იარაღები.

ტახტის წინ, შავი ხის მაგიდასთან ელაგა გამოხარატებული შავი ხასყე რამდენიმე ხმელი სავარძელი, დანარჩენი სავარძლები და სკამები აქა-იქ ეწყო კედლებთან.

ვასწვრივ, კუთხეში იდგა მუქი ხავერდის ჩარსავიანი როიალი, იმავე კედაროს, დასავლეთით, დარბაზს ქონდა ერთი ფანჯარა და ეზოში გასავალი და უცხოთა მისაღები კარი, მარჯვნივ კი ორი კარი გადიოდა საინჯრო, მოსასვენებელ და სამუშაო ოთახებში.

აიენიდან შემოსავლის მარცხნივ ეკიდა კედლის სიმაღლე სარკე, ჩასმული მოვარაყებულ სქელ ჩარჩოში. მის ორივე მხარეს, ფანჯარებთან, ოქროს ფერისაყე მომცრო აწვდილ მაგიდებზე იდგა ქაშანური ყელგანიერი სავარდე სურები.

ყაფლანი ჩაჯდა სავარძელში და კვლავ ფიქრებს მიეცა. მას ჯერ კიდევ არ გაუცუდებოდა ახოვანობა და იერი, თუმცა მოგროძო სახეზე ერთ დროს ყორნის ბოლოსავით შავი წვერი, სანახევროთ შევერცხლოდა და მაღალი, ოდნავ

კეთხოვანი შუბლი მრავალჯონის დაეღარა ხანდაზმულობას თუ განმარტობას. ზოგჯერ დღევანდის ლამის შეუჭრე მისი უპიკე განიჭრი კუკუნახი თვალნი ამ საღამოს უცნაურად კვესავდა და მოკაუჭებული ცხვირის ფართე ნესტოები კიდევ უფრო ებერებოდა, რაც ყაფლანის ცუდ ხასიათზე ყოფნას ამჟღავნებდა.

ყაფლანმა უნებურათ მხერა როიალთან დაკიდებულ მუხლის სურათს მიაპრო და გაიღურსა. ოთახში ისმოდა მხოლოდ კრილოსანის მარცვლების ერთი-მეორეზე დაცემის დროს გადენილი სუსტი ხმა. რომ უფრო ცხადათ წარმოედგინა მუხლის სახე და მასთან მოძოვილი ხანი, სავარძელში გადაწვა და თვალეზი მიღულა.

ყაფლანმა შორიდან დაიწყო. ჯერ მოიგონა რუსეთში ყოფნა, იქიდან თავის დაბრუნების ამბავი, შემდეგ გაიხსენა თინათინის პირველი ხილვა, რომელიც მოხდა ქსანში, თავის დეიდის მიერ გამართულ წვეულებაში და მოგონებას კვალში ჩაუდგა.

თინათინს ბევრის გული ქონდა დაბევებული, მაგრამ ჯერ ვერავის დაეძლია მისი გოროზობა.

მისი მოგრო, ფარულ მოგიზგიზე, ოღნაშოსფერი თვალეზი, დაყარული გრძელ მიჯრილ წამწანებით; შეერთებული და საფეთქლებამდე ბოლოებ წამახული წარბები; შოთი ცხვირა; სუფთა, ცოტა ლალ-გამჯღადარი ლაწები; თხელი, მუდამ ნაპიანი წითელი ბაგე, ღიმილის დროს წერილ, ოღნაე დახარულ და თვტრათ მოქათქათე კბილებს რომ აჩენდა; აზიზი ნიკაპი და შუაზე გადავარცხნილი წაბლისფერი თმა, — თინათინს უზადოს ხდიდა და მისმა შევნებამ ყაფლანი ერთბაშათ გათასმა, მაგრამ იმაე დროს დევებთან საბრძოლველი ძალაც შემატა.

როცა თამადამ, მანუკა ერისთავმა — თინათინის ბიძამ ტ გამზრდელმა, — როგორც სასიქადულო მამულიშვილს — ყაფლანს ხოტბა შეასხა და სადღეგრძელო ჯიხვის რქით შესვა, თინათინი რატომღაც თავისათ დასახა ყაფლანმა და სიბარულით აივსო.

შუა ვახშაში ზურნა აწრილდა და ღვინო გაბენილ და თინათინის ეზბით აყვანილ ყაფლანს, რომელსაც 5 წლის შემდეგ ჩოხა და მესტები პირველად ეცვა, ერთანტელმა დაუარა, მაგრამ თავი განორჩევით ექირა და ვერ ბედავდა სურვილის გამოაშკარავენას.

ბოლოს მაინც ვეღარ მოითმინა და სუფრიდან ისარივით გადმოეშვა გოცებულ და გახარებულ ტაშებთან ერთად.

ყაფლანი დიდხანს ცეკვავდა ცალფათ და განკებ ეძებდა არიფს. ის ხან ერთს ამოიღებდა ნიშანში, ხან მეორეს აუტოკებდა გულს და როცა ქალი დააპირებდა პატიყისათვის ყასიდათ უარობას, ყაფლანი დამფრთხალ ქორივით გაფრინდებოდა, რომ ეხლა სტვა შეეცდინა და გაეწიბილებია.

განაწყენებული ქალები არ იმჩნევდენ ყაფლანის ვერაგობას და უფრო მეტი სიციხოველით ადევნებდნენ თვალს მის სიჩაუქეს, თან ჩუმათ, თავისთვის მისნობდენ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო რჩეული.

აი ყაფლანმა კიდევ ერთხელ შეკრა კამარა და... თინათინის, წყნების ცერებზე მზრიალასავით დატრიალდა, ანთებულ თვალებით ერთი შეხედა თავის მურაზს და დამნაშავესავით თავი ჩაკიდა.

თინათინმა გულწრფელად მოინდომა—ვაეი გაეგუნებია, მაგრამ მოძალადე, გაქვავებული იდგა. დიასახლისმა და სტუმრებმა ხომ თავარა გაუჩინეს ჩხედაც საკირეში მოხვედრილს. უარი რომ არ გაუყვიდა, ვაუბედავით წამოდგა და წრეში შეშინებულ გედვიით გაცურდა.

აქამდე ლოდინში დამცხრალი ზურნა ვაფიცხდა და ახავთდა. ზურნასთან ერთად ვახურობულმა ტაშებმა თინათინს სითამაშე შემატა.

ყელმოღერებული და წელში გადახნეკილი თინათინი, რომელსაც კულულები ჩამოხურდოდა და პატარა ვარდისფერი ყურები სულ დაეფარა, ხოლო მკერდის ბორცვები უფრო გამოჩენოდა,—პირველ ხანად ყაფლანს არ იკარებდა. გარე-გარე რომინებდა და ლერწამივით ირბეოდა.

მაგრამ როცა რიდმა საესებით გაუფარა, თავის შოლტივით მკლავები ყაფლანის ჯვარზე ვასაკრავივით ვაშლილ ბელებს, ზურგ შექცევით დაატოლა და მისკენ სახე მობრუნებულმა თვალი თვალში გაუყარა.

ყაფლანმა იგრძნო ქალის საამური ფშვინვა და თქოების სიახლოვე თუ არა. მუხლები მოეკვეთა—წუთი და შესაძლებელი იყო ყაფლანს ქალი აშკარათ დაემისებია, რომ თინათინი უეცრათ გაუსხლტა და ბრუდაბეველი ყაფლანი წრეში მარტო დატოვა.

ქალმა მერცხალივით გარს მეორეთ ჩამოუქროლა, როცა ყაფლანი გამოერკვა და მიმინოსავით დაედევნა.

ამიერიდან ქალი არ ეთვისებოდა, მაგრამ ყაფლანი არ აძლევდა საშველს და ცდილობდა გზა გადაეჭრა, ან კამარაში მაინც მიკარებოდა.

დამკვრელებმა შეატყვეს—ქალი ქიშპობას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა და ზურნა კიდევ ერთხელ გაუიცხდა, შემდეგ შენეღდა, დაცხრა და მოღეკურენიც გაშველდენ.

აღტაცებულთა ყუთინმა და ტაშების უჩვეულო ტკრციალმა ქერი შეარყია. თინათინს სახეზე აღმური ასდიოდა და მკვრდი ისე უტოკავდა, თითქო უბეში მტრედები ყოლიდა დამწყვდეული.

მაღე წვეულნი ვაჭირვეულდენ, და როცა ჯიხვის რქები სუფრაზე გამრავლდა, ყაფლანი და თინათინი მოკრძალებით ვაგიდენ გარეთ. თინათინის დამე იყო, მშვიდი და მფეარიანი. ისინი დიდხანს დადიოდენ უბრათ თვლებს შორის და ბაღის ნაწიბურებზე.

ყაფლანს უკვირდა თავის ასეთი უსუარობა.

— ალბათ დაიღალეთ თინათინ!

მზრუნველობით შეეკითხა კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ყაფლანი და შესდგა. ქალი უხნოდ ჩამოჯდა ყაფლანთან ერთად ნამორზე.

ყაფლანი ეხლა სულ დაბნინდა თინათინის სიახლოვემ და სითბომ.

— არ დავიწყნიათ ცეკვა და ჩერქეზულის ხმარა თავადო, მიამიტათ ვამოელაპარაკა ქალი.

— არც თუ წინათ ვიყავი სანაქებო მოლექორე, მაგრამ ^{საქართველოში} ~~საქართველოში~~ მაღლა მართლა რომ ფრთები გამომისხა.

— ალბათ ნანობთ დაბრუნებას. აქ ყოფნა უთუოთ გეხამეშებათ. რუსეთში უფრო სხვა ცხოვრებას შეეჩვეოდით. აუკრა სიტყვა ქალმა და გვერდულით ვაზნდა.

სახლიდან მოისმოვია: „პაი, შენ ჩემო თეთრო ბატო“... და სიმღერის სხვა სიტყვები. მახლობელ ეზოებში ხეებზე სხვა ქათმებთან ერთად შებუღრული მამლები ყიოდნენ. სადაც ძაღლები ვაწიწმატებელი ყვედენ და იღრინებოდნენ.

— არა, თინათინ, თუ თქვენი ხილვა არ მომეშალა, ამაზე უფრო კარგ ადგილს სად ვიპოვი.

ქალმა ვლავ იგრძნო მოძარბული ისარი და გაიღურსა, რომ მოეფიქრა, რით შეეცვალა მუსაიფის კილო.

მაგრამ ამ დროს უეცრათ თინათინი ვაჟის მკლავებში მოეწყვდა.

...ყაფლანი ამ მოვონებამ მთელი ტანიო შეარყია და კრიალოსანი ხელიდან გაუვარდა. ბურანიდან ნახევრათ გამორკეული ყაფლანი ზანტად დაიხარა, მაგრამ ერთი მარცვალი ძირს დაცემის დროს შუაზე გამობილიყო და კრიალოსანის ალებითსანავე ნაპობები იატაკზე დაცვინდა.

ამ დროს ეზოში გაისმა ქალის კრიალა ხმა და მის გაგონებაზე ყაფლანს დაეიწყა, როგორც მოგონებით გამოწყვეული ტყვიელები, ისე კრიალოსანის მარცვლის გატებით გულის გაკაწერა და ცუდათ ნანიშნი.

II

ყაფლანს დიდი შემამულის სახელი ჭონდა. მის სამნებში მოქცეული იყო ბორჯომის ნახევარი ხეობა. რუსეთიდან ყაფლანი დაბრუნდა იმ წადილით, რომ სოფელს დახმარებოდა თავის ცოდნით, მოეწყო კულტურული მეურნეობა და ამით წაეჭებებია გლეხები, რომლებიც ჯაფას უდოვლათათ ეწეოდნენ.

მაგრამ იმდენათ ვრცელი იყო მისი მამული და კირნახული უხეი, რომ განზრახვა ნადრევათ მიიჩნია, ხოლო თინათინის შეუღლებამ და უზრუნველმა ყოფამ, ადრე ნაოცნარი დანდათანობით დაეიწყა..

ახლად დაჭორწინებულებმა უცხოეთი მოიარეს და დაბრუნების შემდეგ, სამშობლოს გარეთ ნახულის მსგავსათ, ოჯახი თბილისში გამართეს.

მამულს მამამისი ყორლანი განავებდა და სარჩოს არ აკლებდა თავის ვალელებულ პირშოს.

თბილისში მსუყე ცხოვრებით მოსავებულნი, ზაფხულს რუსეთის რჩეულ კურორტებზე ატარებდნენ, სადაც ცოლქმარი ერთიმეორის სააღერსოთაც ვერ იცლიდნენ, ისე იყვნენ გართულნი ნადიმებითა და ახალ ნაცნობებთან თავის გამოჩენის სურვილით.

მამის სიკვდილის შემდეგ ყაფლანმა სოფელში დამკვიდრება არჩია, უფრო იმიტომ, რომ თინათინმა დაჟინებით მოისურვა რამდენიმე ხნით მაინც განრიდებოდა ქალაქს, მუდამ სტუმრიანობისა და ბაღებზე სიარულით დაქანცვის გამო.

გარჯას მიუჩვეველი ყაფლანი სოფელშიაც არ იჩენდა ფრასს და კრუხველაც არ ცდილა თავის პირვანდელი განზრახვა სისრულეში მოეყვანა. შამის მაგიერ, კარმიდამოს ეხლა ერთგული მოურავი ფიქო უვლიდა და ყველაფერი რიგზე მოსჩანდა.

წვეულებები ყაფლანმა ვერც სოფელში მოიშალა და მისას ყოველ ცისმარა დღეს სტუმრები უღლევი იყო. ყაფლანის პურღვინო და შექცევა სალაპარაკოთ ქონდათ იმ დროში.

მუდამ მოღბნილი ყაფლანი, სტუმრების საამოთ და გასაკვირათ, ზაფხულის მთვარიან ღამეებში, ქვიფს ხან ტაშის კართან დაბმულ საკუთარ ტივებზე მართავდა, ხან ბულბულის ციხესთან და ხან კიდევ ტყეში, სასერიო ნადირობის შემდეგ.

ერთხელ, თეოს ნათლობის მეორე დღეს, ყაფლანმა ნამდვილი ღრეობა მოაწყო მთაწმინდაზე, ნიშთან, სადაც ზაფხულობით შერი სიგრილეა და საიდანაც მთელი ქართლი, შემდეგ იალბუზი, დასავლეთი და სხვა მხარე საგანგებოთ მოსჩანს.

ღამე თეთრათ გაათენეს. მოღბე გაშლილ სუფრას უფრო ანტანი სტუმრები შერჩენ, სხვები კი ნიშთან მიწვევ ნაბდებში გახვეულნი, ხოლო მანდილოსნებმა სახელდახელოდ დადგმულ კარებს შეაფარეს თავი.

როცა მზე ამოიწვერა და პირველი სიხვი ნიშს ესროლა, ზურნამ საარი დაუკრა და მოქვიფენი ცას ეწიენ შერი სიანიო.

შის ხალასი შუქი უხვათ ეფინებოდა დაცვარულ სიერცეს და ორწოხებში ჩამდგარ და მთების მწვერვალებზე ლეჭაქეთი შენიბურვილ ნისლს თანდათან ცხრილაედა.

იარალ ახსნილ და ქამარ მოსადავეებელ ყაფლანს თეთრი აბრეშუმის ახალუხის საკინძეც ვაეხსნა და ჯიბის რქებს არაქათდალეულ სტუმრებს ძალით აჩრიდა ხელში. გვერდით ედგა უძილობით გაბურბუსალეებული ბორჩალოელი მუსულმანი ბიჭი მირზა და ყანწებს უესებდა, თან ბატონის სურვილზე სხვადასხვა ბაიათებს მღეროდა.

შენახირეები, რომელთაც მთაზე საქონელი აღრიანად ამოვრეკათ, ბურქებს ამოფარებოდენ და ისე ადვენებდენ თეალს იქაურობას, იმავე დროს შენატროდენ მომღერალ ბიჭს, რომლის დაღლილი და ნალველიარევი, მაგრამ შინც წკრიალა და სუფთა ხმა, დაბლა სოფელშიაც კი ისმოდა.

აისს აყოლილ ფრთოსნების ქრიამულთან ერთად მირზამ წამოიწყო თუ არა ახალი ბაიათი, ყაფლანი ერთბაშით ხეზე წამოიჭრა და მუხის ტოტზე დაკიდებულ ხმალს მიწვედა.

შეშინებულმა ბეშემა სიმღერა შესწყვიტა, ხოლო გაოცებული სტუმრები, რომლებიც ყაფლანს ვერ მიუხედნენ გუმანს, დაიბნენ და დამუნჯდენ.

ყაფლანმა ქარქაში გვერდზე ისროლა, შიშველი ხმალი ერთი ჰაერში ააშხვილა და სუფრას თავზე გადაახტა.

ელვის სისწრაფით მიჭროდა ყაფლანი ტ ბორიოსაგან აფრიალებული ჩოხა-ახალუხის კალთები უკვე შიშს იწვევდა მაყურებლებში.

ყაფლანი თვალის დახამბამების უმაღლეს მინდორის ბოლოში ვაჩნდა. სადაც ნახიბის გამოთიშული კრელი მოზვერი ცეროიან ბალახს მდიანად სმოცდა. შიახ-ლოვებისთანავე დამფრთხალ მოზვერს ყაფლანმა კისერზე ხმალი ზეღიზედ დაპკრა და ცხოველი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, რომ თავი ძირს ეგდო.

სუფრიდან წამოშლილი სტუმრები ეხლა სიცილით და შეძახილით გაეშურენ ყაფლანისაკენ, რომელსაც ხმალი კვერთხივით დაებიჯებია და კმაყოფილებით ილიმებოდა.

მაღე სხვა ქალებთან ერთად კარავიდან თინათინიც გამოვიდა და ყველანი ყაფლანს გარს შემოეხეიენ. თინათინმა რომ დაინახა თავმოკრილი მოზვერი და ამაყათ მდგარ ყაფლანის ფეხებთან ამოხალმულ ალაფზე დაგუბებული სისხლის ტბა, ტუჩები ჩიიკვნიტა და გაფითრებული უხმოთ გატრიალდა.

თინათინის გულა ბუდიანათ შეარყია ყაფლანის ნამოქმედიარმა და გამოამეტველებამ.

ყაფლანის უკანასკნელმა საქციელმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა თინათინი, რომ ის მოსტყუდა არჩევანში, და რომ ყაფლანი არაფრით არ განსხვავდებოდა იმ ახალგაზრდებისაგან, რომელთაგანაც გათხოვებამდე თავი ქონდა მას მობეზრებული.

თინათინს თან გაჰყვა მირზაც, რომელმაც იცნო მოზვერი და გული ეთუთქებოდა.

ყაფლანმა მზარეთლებს და მოახლეებს უბრძანა, მოზვერი აუქნელად, ასე მთლიანად შეეწვათ და თვითონ თინათინის კარვისაკენ გაემართა ახალი ქეფისათვის ჯანის მოსაქრებად.

ასე მოიტყენ მისთან ღამენათვეი სტუმრებიც, ქეიფი მხოლოდ გამოძინებულებმა განაგრძეს.

III

— გამარჯობა გიორგა!

— აი გაგმიმარჯოს...

ხალისით უპასუხა გიორგამ კიშკარზე მომდგარ მენისრე თანდილას, რომელიც ღამე ნამუშევარი ხაშურიდან ბრუნდებოდა.

— გიორგა, თუ კაცი ხარ, ცოტა ხნით მნახე.

— გადმო, გადმო, როგორ ვიგინდარასივით ირჯები.

თანდილამ კიშკარი შეაღო და შემოგებებულ გიორგას უთხრა:

— შენი მოცდენა სწორედ ცოდია, ისე გულით მუშაობ. არც მე ვარ მესაიფის ზასიათზე, თვალებს ძლივა ვახელ, მაგრამ ცოტა სათხოვი მაქვს, დიდხანს არ გაგაჩერებ.

— რა გეპოდიშება თუ ღმერთი გწამს. დღე და ღამე თუ გაერთიანებული გეაქვს, რაში გვეტყობა, თავი ძლივს გაგვაქვს. ჯანის დაუზოგველობაც არ ვარგა. მა, მართალი ვარ თუ არა?

— მართალი ხარ, მართალი, მაგრამ, ასე რომ არ ვირჯებოდეთ, სიმშლიში ამოგვხედება სული. ხელის ჩაქნევით უპასუხა თანდილამ და მიუახლოვდა თუ არა გიორგას სამუშაო ალაგს, ალტაცებით წამოიძახა:

ოქროს ხელი გაბია მელანქიმა ღმერთმა, მომეტებულს მძღვენი შიშს კონტრებული, ყველაფერი რო გუეერებმა! ერთ ოჯახათ ეღირება პირდაპირ შენი რეში.

თანდილამ კიდევ ერთხელ შემოღარა კობტად გამოკოპიტებულ, ჯერ დედზე შეუღებელ ხელნას, რომელსაც გიორგა ჰალეებს უკეთებდა და მერე გულდასპით გასინჯა იქვე გაგორებული იფნის ღერძზე მორგებული ბორბლები და კაკლის ხეზე მიყუდებული რკინის ტაპიკებიანი უღელი.

როგორც ხელნა, ისე უღელი, გიორგას ცეცხლში გამოეწეა და შემდეგ დათვის ქონით გაეგლისა, რომ წვიმას არ გაეცონა, ხოლო ბორბლები ღურჯათ შეეღება.

ნასიამოვნები თანდილა ჯირკზე ჩამოჯდა და თუნუქის სათლთუნე ამოიღო, ძველი გაზეთის ნაფელეთზე თუთუნის ბლომით დააყარა და წარმოსთქვა:

— შოვითავებია რალა, ხარების შებმის მეტი არაფერი უნდა.

პასუხის ნოლოდინში, თანდილამ მსხვილათ დაგრეხილ პაპიროსს ნაწიბური ჯერ კბილებით დაუღეცა, შემდეგ ენის წვერით კარგათ გალოკილი, შეუკრა და მოუკიდა.

— ურემი კი მალე შექნება მზათ, მაგრამა როდის ავაპრიალეზ კი არ ვიცი.

— რატომ, ცალი ხარი ხომა გავს, ცალიც შე კარგო კაკო შენა, ვახში აიღე და იყიდე, თუ სხვა საშველი არ მოგეძება. შენი ამბავი რო ვიცი, გავიკირდება მისი ვადახდა.

— ნეტამც აგრე იყოს, მაგრამა, მაგოდენი წელი ჯერ სადა მაჭვს. გუშინ დაუბრუნდი ოჯახს. ამ გარეთ ყოფნის დროს, მართალია, ცოტა ღურგლობა კი ვისწავლე, მაგრამა, ისე კარგათ როდი ვიცი, რომა მართო მით დავირჩინო თავი.

— ნუ გეშინია ბიჭო, შენისანა კისმათიან და გამრჯე კაცისათვის ვალი რა სახიფათოა. ხარ-ურემს აამუშავებ, ცოტას ხელობითაც იშოვი, წელში გასწორდება და ვალსაც ყველზე ვადაიხბი.

— სულ რომა სავალებელი არა მქონდეს, აქამდეც ვავებდავდი, მაგრამა, რაც შემონახული მქონდა სულ ამ ვერანა სახლს დაეყარე და ხომა ხედავ, კიდევა შიგ არ დაიდგომება. ეს ურემიც ფული დამიჯდა. ამ სიტყვებით გიორგაც ჩამოჯდა ხელნახე.

— მე მაინც მგონია, ვალის აღება სჯობია მოცდენას.

— საუუათო რჩევია, მაგრამ თვენის ოდენა სარგებელს ითხოვენ ე უღმერო თოები. არა და ხო იცი ჩემი მოხვერის ბადალს კარგი უნაი უნდა, მეცოდება, ცული გამწევი შეეუბა.

— მართალია, შენი მოხვერი ი'ეთი ხარი დადგება, რომა დასტურ ვავიკირდება მისი საფერის შოვნა იოლად.

— მაინც უნდა ვავებდო. უხაროთ ცაში ვარ გამოკიდებული—ყანა მე არ მაქ და ზეარი. თუ ღმერთმა ხელი მომიმართა, მინდა ვეწიო პარემ რამეს.

ამ დროს თანდილამ დაინახა ბოსტნიდან მომავალი მხარზე თოხგადებული თებრო.

— ე დღდაშენიც დიდი გამოჯე ჰალია. ღმერთმა უშველს... სწორედ, თითოთი საჩვენებელია.

— დედი, დედი მოგვხედე ადამიანო.

მიადანა გიორგამ ბოსელში ცალ ფეხ შემდგარს. თებრომ შვილის დაძახებაზე უკან სწრაფად მოიხედა და როცა სტუმარი დაინახა, მაშინვე გამობრუნდა, თოხი ბოსელის გამოღებულ კარზე მიაყუდა და კაბისა და თავსაფარის სწორებით მათკენ გამოეშურა.

— დილა მწვიდობისა... ხომ კარგათ ბრძანდებით... რალაც უხერხულათ შეეკითხა თებრო თანდილას და თან უყვირდა ასე ადრე მისი სტუმრობა.

— რა მიშავს, ვარ რალა, არც ავათ, არც კარგათ. გიორგა კი მოვიციდინე ამ დილით და, ლაპარაკს შევიჩიოთ და რაზედაც მოველი, ჯერ კიდევ არ მითვამს. პატარა დასაქვალბელი საქმე მაქვს.

— თუ საქმე არ გექნა, ისე როდი ვახსოვართ. საყვედურის კილოთი და თვის უნებურათ უბასუხა თებრომ.

— ჰაი, ჰაი, დრო არ მანებებს, თორემა თქვენზე უფრო კარგი სამეზობლო ვინა მყავს.

— დედი-ჯან, ამ კაცის დატუქსვას თავი ანებე და ერთი შენი განჯინა გახსენ, ყელი გაგვასველებინე. ჰა! პირდაპირ სულზე მოგვესწრება. ნულა აყოვნებ.

— ეხლავე შევილო— და მიუხედავათ თანდილას თავპატივისა, თებრომ სწრაფად გასწია სახლისაკენ.

თებრო კვლავ ჰარნავათ იხედებოდა. ეტყობოდა ადრე ლაზათიანი იყო და ჯანიანი.

თანდილას ბავშობიდან ახსოვდა თებრო, რომელიც ყაფლანის მამის კარზე აღიზარდა და დაქალდა. მასზე ბევრ ჯეულს ეჭირა თვალი, ნათ შორის თანდილასაც, მაგრამ ქალბატონი არ ეღვრდა, — საყვარელი პირისფარეში იყო მისი.

თანდილამ ერთხელ კაციც მიუგზავნა კორდანს, მაგრამ ცივი უარით გამოისტუმრა. მიუხედავათ ამისა, თანდილა იმედს არ კარგავდა და თებროს თავისად სახავდა. თანდილას გუმანი თებრომაც იცოდა და როცა კი შეხედებოდა, ყოველთვის გაბრწყინებული თვალებით გაუღიმებდა ხოლმე.

თანდილას ჰაემანიც კი ქონდა მისთან. იმ საღამოს ცოლქმრობის პირობა შეკრეს და მომავალ ბედნიერებაზე ფიქრით გაბრუებულნი ძლივს გაშორდნ ერთმანეთს. დაკიდდნ იმ იმედით, რომ ხვალ თუ ზეგ ბატონს დაიყაბულდნ და საკუთარ კერას გაიჩენდნ. მაგრამ ამის შემდეგ სააღერსოთ აღარ უნახავს თანდილას თებრო, რომელიც ერიდებოდა მის დანახვასაც კი.

გაოგნებული თანდილა ამაოთ ცდილობდა გაეგო თებროს განდგომის მიზეზი.

მალე თებრო მიათხოვეს ვინმე უსახლკარო გლეხს, რომელსაც მზითვათ სოფლის ბოლოში ერთი დღიური სამოსახლო ადგილი მოუჭრეს და შიგ პატარა ქოხი დაუდგეს, სადაც ეხლა გიორგა აპირებდა ახალი ოჯახის მოწყობას.

ჯვარისწერის ერთი კვირის შემდეგ თებროს ქმარი უკვალად დაეკარგა. ამის გამო სოფელში მრავალკვარი ქორი გაერცელდა, მაგრამ საქმის ვითარება უეჭველად არავე იცოდა.

თებრო ცრადებოდა მეზობლებთან მსგელობას, განააკეთრებით თანდილას და მის ნათესაებს ეკრძალებოდა. ცხოვრობდა გარისხულივით, მაგრამ როცა გიორგა დაებოდა, აღარაღის გაუბოდა და ეაქცივით ნუშაობდა, თუმცა არც შემდეგ გაუსწორებია შინსათვის თვალი.

— ხო და, — განაგრძო გიორგამ, როცა დედამისი გაბრუნდა, თუ რამე გაეაწყვე. მინდა ყანა გამოეყარათყა საღალთო გუმბათიანთ და ჩემი ჯანი ჩემსავე ოჯახს მოეხმარო, სულ ხომ ნოჯამაგირეობაში არ ვაგატარებ ჯველობას.

თუმცა ყაფლანის გვარის ბუნება თანდილას არ ეამა, მაინც მოუწონა ახრი გიორგას და უთარა:

— კარგათ ლაპარაკობ, როგორც კაცი. ცოლშვილსაც უნდა მოეცილო, დრო არი. ყმაწვილობის ყველი გაგდის. უკვე დამდგარი ვაქცი ხარ. დედაშენსაც უნდა შემდარე თუ არა. ცოდრა ქალი.

და შემდეგ არაყიან ბოთლით ხელში მოახლოებულ თებროს შეეკითხა:

— გლახა რჩევა ძალო? დრო არი შენი ბიჭი ვაგვირგვინოთ.

— მეც მაგას ჩაეჩიჩინებ, მაგრამ შეტად ჯიუტია და ვაუგონარი.

შეწითლებული სახით წარმოსთქვა თებრომ და ბოთლი შვილს მიაწოდა.

— რა დროს ეგვებია, ცოლის თხოვას ათასი დავიდარაბა მოსდევს. მე კი ერთი კოდი ჰური არა მაქვს, ჯერ საქმეს მოვაბა თავი და შემდეგ ჰო, ბერათ შედგომას კი არ ვაპირებ მართლა.

იხუმრა გიორგამ და თანდილას არყით სავსე მოზრდილი სასმისი გაუშვირა.

ორთავემ დაილოცეს და არაყი თვალმოხუტული გადაკრეს.

— ჰო, ჰო, ცეცხლია სწორეთ, ცეცხლი. ჩაილაპარაკა თანდილამ და ჰურის ნატები პირში იტაცა.

— ნამდვილ ეს არაყი თებროის ნახელარია, აი!

— ხა, ხა, ხა, რაზე ატყობ, თანდილა, ა.

თანდილამ პასუხის ნაცვლად გაიღიმა და სათუთუნე აწოდილო.

— აბა ავეები არ იყოს. ორივე ქერიები კი ხარო, მაგრამა კურკური მაინც აღარ შეგფერთ.

თებრო დამნაშავესაყით გაწითლდა და შვილს ამორძიკებულ ეხი უსაყველურა უადგილო ხუმრობა.

თანდილამ თებროს მკდელი თვალით შეხედა და გული დაეჰმკა. რადგან თებროს წყენა შეატყო, კილოს გამოცვლა სცადა.

— რაღაი თხოვება-ვათხოვებაზე ჩამოყარდა სიტყვა, მართლა უნდა ვაგიმელაენოთ ჩემი წადილი.

თებრო შვილის გვერდით აპირებდა დაჯდომას, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე უცბად გაბეჯდა, თანდილას გასაწყლებული თვალეებით გადახედა და მწარეთ გაიღიმა.

— თქვენ იმუსაიფეთ, მე კი მოზვევრს ბაგას ვაუსუფთავებ.

— ერიბა, აქ საიგავოთ აღარაა საქმე. მოიცა დედი, ნუ გოცხვენიბა. პიოველი მაყარი მე ვიქნები, აი.

— ჰო, შენი დასტურიც საჭიროა ..

მაგრამ თებრომ თანდილას სიტყვა აღარ დააცალა, მოიბოდიშა და იქაურობას ცივად გაშორდა.

— რათ გამიჯავრე კაცო ე ადამიანი. სიცილით მიუბრუნდა გიორგა თანდილას და სასმისი ხელახლა აფუსო.

— დაიცა, ჯერ ეს მითხარი, ამ პაპანაქებაში მოზვევრს ბოსელში რათა ხუთავ, აჰ!

— რა ვიცი, ღამე ათასი გარეწარი დადის, შეშინია.

— სიფრთხილე საჭიროა, მაგრამა ეს მეტის-მეტია. უპასუხა თანდილამ და გიორგას თვალბში შეაცქერდა.

— იცი, რა უნდა შეთქვა?

გიორგა შეიშეშუნა, როცა დაინახა, რომ თანდილა აღარ ხუმრობდა.

— შეუამავალი რა საჭიროა.— მშვიდათ დაიწყო თანდილამ, — ჩვენ ერთი-მეორეს კარგათ ვიცნობთ. შეილივით გიცქერი. დედაშენიც არ მძულს იცის ღმერთმა. ჰო და თუ ქკუაში დაგიჯდეს, შეირთუ ზემი ვოვო, ისიც შენსავით გამრჯვა და კეთილი. თვალტანადათაც არ არის დასაწუნი.

გიორგა დაიბნა. არ მოელოდა თანდილასავან ასეთ რამეზე აშკარათ სიტყვის ჩამოგდებას.

გიორგას დიდიხანია გულში ჭონდა თანდილას ქალის ტრფიალი, მაგრამ განხელა ვერ გაეხედა. ეხლა კი თვითონ თანდილა დამდგარიყო შეუამავლათ და ურჩევდა თავის ქალის შერთვას.

თანდილას ქალი საშური საპატარძლო იყო. ხაშურში გაზრდილი, კრაკერვის მცოდნე და მოზღენილი.

თანდილამ შეატყო, რომ გიორგა სიხარულით მუსაიფეს ველარ ახერხებდა და განაგრძო:

— ორი შეილილა მეყეს. ი ბიჭია და სალდათშია. დამიბრუნდება მშვიდობით თუ არა, ვინ იცის. ამ ქალზე ამომდის მზე და მინდა ისეთ კაცს მივცე, რომელიც არ დამიჩაგრავს, მხარს მიცემს. ასეთათ შენ მეგულეები. რაც შეეხება ზემ ქალს, ამაზე მე შენდე. ღმერთს გაძლე თაედებათ, რომა არაფერი ხინჯი შას არა აქვს. მე ვარ და რაც შემეძლება დაგეხმარებით. დანარჩენი შენი გუნების საქმეა. მე ძალას როდი გატან შეილო. მოიფიქრე, აწონ-დაწონე და ისე მოიქეცი.

თანდილა ესლა ლაპარაკობდა როგორც უფროსი და დარბაისელის კილოთი, რაც კიდევ უფრო გაუბედავთ ხდიდა წელან ასე თამამათ მოსაუბრე გიორგას.

— კი, მაგრამა ქალს შეიძლება არ მოეწონა ჩენი ნააზრევი. შეიძლება, ჰო, ღმერთმანი, ვინ იცის, სხვაზედაც აქვს გული. მის უყაბულოთ ამ საქმის მოზღენა არ ივარგებს.



— ჰო! ამის შესახებ თვითონვე მოველაპარაკებო ჩემს ამდებულ ვარ, რომ გაუხარდება.

— შე კიდევ დედას გავენდობი. საჭიროა მისი დესტურიც.

— უთუოდ. დედა უნდა დააფასო. დიდი ამაგი აქვს შენზე. შენს მეტი ვინა ყავს საცოდავს. ეხლა იმის შესახებ უნდა გითხრა, რისთვისაც მოგაცდინე ამდენხანს. ალბათ იცი ჩემო ვიორჯო, რომ ქობის გამოცემა მაქვს განზრახული. სახლი კიდევაც ნაყიდი მაქვს სავანეში, მაგრამა დღემდე გადმოტანა ვერ მომიხერხებია. ჰო და იმ კვირაში ვაპირებ შეუდგე საქმეს. თუ მოიცლი და დაშლაზე მომეხმარები, ერთობ დამაჯალეებ.

— რატომაც არა. გადმოტანაზედაც ვაგიწყობდი ხელს, რომა ჩემი ხატულა ცალათ არ მყავდეს.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ ჭიშკარში შემოვარდა მენახირე-ბიჭი, გაღვითქული და სირბილით გულ-ამოვარდნილი.

— რა იყო სოსია, რა ამბავია, ვინ გდევს ბიჭო! შესძახა გაცეცხულმა ვიორჯამ და წამოხტა. თანდილაც იდგა. ბავში სულს ძლივს ითქვამდა და ხმის ამოდებას ვერ ახერხებდა.

— აღარ იტყვი ბიჭო რა მოგივიდა?

— ხატულა და...და...კლეს. და ბავშს ტირილი აუვარდა, იმიტომ უფრო, რომ მოხვერი მას ებარა და თავს დამნაშავეთ გრძნობდა.

ვიორჯა გაქვავდა. ერთბაშათ თვალები ჩაულრმავდა, ცხვირის ნესტოები გაეცრიკა და აუთამაშდა. ყველაფერი წისკვილივით დატრიალდა, ყველაფერი აირია ერმანეთში—მისი საყვარელი მოხვერი, ხელნა, სახლი, დედა, მენახირე. თანდილა, მთელი ეზო, საბედო. კარგა ხანს იდგა ასე, შემდეგ ყრუთ, შირიდან იკოხა:

— ვინ დამლუბა. ვინ დამაქცია...

— ყაფლანა დაკლა... ჰო, ღმერთმანი, ჩემი ბრალი როდია. თავს იმართლებდა აბუზული მენახირე და თან სხელოთი ცრემლებს იწმენდა.

ვიორჯასაც ჩაქვევრებული თვალები ცრემლებით აეცსო, მაგრამ ისეც მალე დაუწდა, თანდათან აუგიზგიზდა. ტუჩები ჩაუფიცხდა, მზით დამწეარ დაწვებზე სიფითრე შეეპარა, მაგარი, სოღემივით დათლილი კბილები საშინლად გააკრავუნა და წალდს ხელს დაავლო, ერთი იქაურობას თვალი შეავლო და ახლად გაკეთებულ მესერის ღობეს ლეკვ მოტაცებულ ვეუხეივით გადაუქროლა.

მენახირეც უკან დაედევნა.

თანდილა კი მთლიად აცახცახებული ერთ ადგილზე ისე უხმოთ იდგა.

— რა ამბავია თანდილა, საით გარბის ასე გახელებულად ი ბიჭი.— ქლოშინით მიმართა თებრომ, რომელსაც გოდრით ნაკელი მოსტანში ჩაეტანა.

— არ ეცი.

შენდეგ სასომიხდილი ხმით დაუმატა:

— მგონია მოხვერი დაუკლავს ყაფლანს.

— უი, უი, უბედურ ჩემს თავს.

უკიდურული

იკვილა თებრომ და იქვე ჩაიკეცა. მიწაზე განართხულნი კაფურის მარცხენა და მარჯვენა თავეულებლათ შეენახლა:

— ახლა მაინც დამისხენი უბედურებისაგან, მიშველე, მიშველე თანდილა. — ცოდვა არ დატრიალდეს... გადავირჩინე ბიჭი... ვააგებთ იმ ვერაგს, რომ ძმები .. ძმე...ბი ა...რი...ან... და თებროს ხმა ჩაუწყდა.

IV

გიორგამ ჰირდაპირ აკრა მთა. ციკაბოები ისე სწრაფად აირბინა, თითქო ფრთები ქონდა გამოსხმული.

აივსა თუ არა, შემოესმა ზურნის ჭიკინი და სალალბო ხმები.

გიორგა სირბილითვე მიუახლოვდა ნიშნ და უწინარეს თვალში ეცა ბუჩქზე ნაქრის საბანივით გადაკიდებული თავის საესავო მოზვერის ტყავი.

იქვე ენით მოაქლებული ცეცხლი და საენიან შამფურზე ახლად წამოგებული მოზვერი შუშეთ იწყვოდა.

შამფური გადებული იყო მაგრად დასობილ ორთითა ჯობებზე, თავსა და ბოლოში გაკეთებული ქონდა ჯარას ტარის მსგავსი სახელურები და ორი კაცი ძლივს ატრიალებდა.

ისინი ჩაოქილი იყვნენ და ბბოს ხორცივით გაფიცებულ და შეწითლებულ სახეზე ოფლი ცვარ-ცვართ სდიოდით.

გიორგა მოსავდა, მოდუნდა, მაგრამ მალე ისევ ღონე მოიკრიბა და ბუჩქის ძირთანვე დადებული მოზვერის თავი აიღო. შუბლზე ვარსკვლავივით გამოხატულ თეთრ ხალზე ეამბორა და ბავშივით ატირდა.

გიორგა გამოარკვია სუფრასე ერთბაშით ატეხილმა ხმამალამა სიცილმა და გაშილაემა ხმაურმა. მას თვალები ისევ ნალერდლებათ ექცა, მოზვერის თავი გვერდზე ისროლა და რამდენიმე ნახტომით სუფრასთან გაჩნდა:

— სად, სად არის ჩემი ხატულას დამკლელი, მაჩვენეთ თორემა, გამზენს ვფიცავარ, მასავით ყველას თავებს დაგაყრევიანებთ.

და გაათრებულმა გიორგამ წალდი შეშართა.

სუფრა აფორიაქდა. ყაილის მოყვარულები ფეხზე წამოცვიდნენ, მაგრამ გიორგას აბრიალებული თვალები და საპართებლივით გაღესილი წალდი, გამბედაობას უნელებდათ, რის გამო მომხდურის დათურვენა ვერცერთ მათგანს ჯერ ვერ ეკისრა და შორიდან იქადნებოდნენ.

ამ ანბის დამნახველმა ქალემმა, რომელნიც ახლად მოკაზმულიყვნენ და სუფრის მოშორებით, ქოლგასავით გაშლილ ქანდარის ჩრდილში მუსაიდობდნენ, კივილი მორთეს, თანაც უფრო გამბედავები სუფრისაკენ გამოიქცნენ, რომ ნათესავები ზივათისაგან გადაერჩინათ.

ხმაურზე კარაიდან შემფოთებული ყაფლანი გამოიჭრა.

გიორგამ თვალი შეასწრო თუ არა ახალუბის ამბრა და ნამძინარე ყაფლანს, მაშინვე მისკენ გაექანა.

ფათრაკის მოლოდინში ყველამ ხმა გაკმინდა.

ყაფლანმა იგრძნო მოახლოებული საფრთხე და გაქცევას მიაჩვენა მასწავლებელი ამჯობინა.

— რომ დაგამშინა ასე შე სევდო, რომა საუღლვე ხარი დამიკალი.

ცივი ხმით შეუტია გიორგამ სახემოღრეცილ ყაფლანს, რომელსაც ცალი თვალი კარვის წინ დაგდებულ ხმლიაყენ ეჭირა.

ხმალს ჯერ ისევ არ შეშრობოდა მოზვერის სისხლი და მცხუნვარე მზის შუქზე ლაპლაკი გაუდიოდა.

თინათინი აპირებდა ყაფლანს გაყოლოდა თან, მაგრამ გიორგას ბობოქარი ხმა რომ გაიგონა, შუა კარავეში შესდგა და სახე ჩანაცრებულმა შიშისაგან გაუფართოებული თვალები კარავეზე კარის მაგიერ ჩამოკიდებულ ყავისფერ ფარდას მიაპყრო.

ჩაკარაბაკებულ ფარდას ნიავი არხვედა, რის დროსაც მოსჩანდა ყაფლანის კლდოვანი ზურგი და უფრო ახლო ისმოდა მისი ქმენა.

თინათინს საფეთქლები ებორცვებოდა და გული მახეში გაბმულ ჩიტოვით უფართოვლებდა.

ის გრძნობდა, რალაც საშინელი უნდა მომხდარიყო, მაგრამ მისი გარკვევით წარმოდგენის უნარი აღარ ქონდა და აცახცახებული ხელებით საკინძე გახსნილ შვერდზე მტრალ თვოს მაგრათ იხუტებდა.

ყაფლანმა მოინდომა რიხით გაეტება თავბედი და ყბადაღებულათ შესძახა:

— ვის ედაყები ბრიყვო...

ყაფლანის უკმეზობამ გიორგა ფალიასავით ააფეთქა. ის ეხლა ნიწანში ამოღებულ მტრის გარდა ველარაფერს ხედავდა. გული ბუდიდან უფარდებოდა, სახეზე ალმური მოკიდა, თვალები კიდევ უფრო დაეკაკლა და... ისე ძლიერად მოუქნია წალდი, რომ... უეცრათ ხელიდან გაუცურდა და მოკაშტებული წვერით მის უკანვე მიწაში ყუანდე ჩაერჭო.

გიორგა შედრკა და ჰაერში შემართული ცარიელი ხელი ნალე ნოჭრილი ტოტივით ჩამოუფარდა.

სამარისებური სიჩუმე დამევიდრდა. მოსისხარნი ეხლა თვალებით კორტნიდენ ერთმანეთს. აქამდე ანჰასავით მდგარი ყაფლანი, რომელსაც იმედის შუქმა ელვასავით გადაურბინა გალურჯებულ სახეზე, უცნაურათ შეიჩხა და ხმალს წაეტანა.

გიორგამ იგრძნო ვილაცის ცაეი შეხება და მყისვე მოიაზრა, რომ საჭირო იყო მტრისათვის წელში გამართვა არ ეკლია, ისე წახრილს ხელდახელ დატაკებოდა და ადვილიდან დაიძრა, მაგრამ ყაფლანმა მოასწრო და ცელურათ მოქნეულმა ხმალმა თვალისდახამამების უმაღლ თავი მოათიბა.

ტანმა ნაინც განავრძო მოძრაობა და ყაფლანს ეცა. თავმოკვეთილმა გიორგამ ისე მაგრათ ჩასკიდა ხელები, რომ შიშისა და ტკივილებისაგან ყაფლანმა ყვირილი დაიწყო.

ყაფლანი წაბორძიკდა და გიორგას ტანს ქვეშ მოყვა.

ყაფლანის უსასოო ყვირილზე თინათინმა ალაგი მოინაცვლა და სკადა გასულიყო გარეთ, მაგრამ ამ დროს, აფართხალებულმა ყაფლანმა, რომელსაც

გულზე გიორგას ტანი ლოდინით დაწოლოდა და მის კისრით მისი მოძრაობის სისხლი სახეზე ესხმოდა, ცალი ფეხი მოკვეთილ თავს უკანადად მოხვედრა და კარაქში ბურთით შეაგდო.

გიორგას თავი თვალებს კიდევ ახელდა და პირს შაშვის ბარტყით ალბდა.

მის დანახვაზე თინათინს რეტი დაესხა და შეკვივრებაც ვერ შესძლო, ისე უგონოთ ჩაიკეცა.

თავმოკვეთილ გიორგას და ყაფლანის კიდილის მაცქერალნი გამოლენებულნი იდგნენ და ასე სწრაფად და საარაკოთ მომხდარი ამბავი სიზმარი ეგონათ.

მაგრამ როცა ყაფლანმა შესძლო თავის დაღწევა და დაფეთებული გავრი და უკვე ძალაგამოღებულ გიორგას ტანს, მხოლოდ მაშინ გამოერკენ და აბარბაცებულ ყაფლანს ზოგი მხრებში ყავარჯენათ შეუდგა და ზოგმა უაზროთ დაიწყო ბორიალი.

ქალებმა ისევ ასტეხეს ვაება, თანაც თვალს არიდებდნენ ყაფლანს, მას ეველაფერი სისხლით ქონდა მოსერილი და ისეთი შესახედი იყო, თითქო სახეზე კანი ძალათ გადაეძროთ.

ღბინ ჩაშხამებულებს თინათინი მანამ არ გახსენებიათ, ვიდრე არ დაინახეს მირზა, რომელიც კარავიდან აკივლებულ თვოს მოარბენინებდა.

V

პირველად კარაქში მამუკა შეიჭრა და თინათინი ატატებული გამოიყვანა. თინათინი მოსხლეთილი იყო. კლავები თასმებივით ეკიდა და თავი მოწყვეტით ქონდა გადაგდებული.

მამუკამ კადარის ქვეშ გაშლილ ნაბადზე თინათინი ფრთხილად დააწვინა და ჩაოქებულმა უნუგეშით დაუწყო ცქერა.

თინათინის დედობილმა ხეარანზემ კვიელი შეწყვიტა და გონდაკარგულს ყურის ძირები და საფეთქლები არაყით დაუსრისა, შემდეგ მირზას მიერ მათარით მოტანილი წყალი ნაძვის პეტარა ტოტით აიაზმასავით ასხურა და მანდილის სველი ყურე გულზე დააფინა.

იმედგადაწყვეტილი მამუკა დაგუბებული ქვითინით მოშორდა მომაკვდაუს და ნიშნი შევიდა, ლეთისშშობლის წინ სამეტანიოთ მუხლები მოიყარა და ხატს თვლები სასოებით მიაპყრო, შემდეგ თავი მიწამდე დაიღო, რომ ცრემლები არავის დაენახა და ატირდა.

დიდხანს იყო ასე მამუკა.

ნიშის ღია კარიდან მოსჩანდა თუ როგორ უცახცახებდა მიწაზე დამობილ მამუკას, ზვიადსა და ყიფიან მოხუცს, ადლიანი მხრები, მაგრამ ეხლა მისი გულჩვილობა მნახველს არ აკვირებდა, რადგან იცოდნენ, რა ძვირად უღირდა მას, უძეოს და ბერწ მამუკას, თინათინის სიცოცხლე.

თინათინი ისევ უძრავად იწვა. ეხლა სიფითრის მაგიერ სიღურჯე მორეოდა და სათუთი ლოცები დაბევილ ვაშლებს უგავდა.

ხვარამზემ გარს შემორკალული ქალ-კაცი სღობე დაშალა, რომელიც წიგნდროდა ავადქცეულს, შემდეგ კრიკა გაუხსნა და ჩანალველებულ ტუჩებში წყალნარევი ღვინო ძალით ჩაასხა.

მალე თინათინს ლაწვებზე სიწითლე შეეპარა და თვალები ოდნავ გაახილა. ხვარამზეს და ყველას გულზე მოეშვათ.

ყაფლანი წყაროზე წაყვანათ და ხელ-პირს აბანინებდნენ. ციკმა წყალმა ყაფლანს ძალა დაუბრუნა და თვალებზე გიორგას სისხლთან ერთად ბინდი გადააცალა.

ის იქვე კარდზე ჩამოჯდა და თავი ჩაყიდა.

თუ დილას მარჯვის თავის მოთიბვის გამო სიამაყე და სიამე იგრძნო, ეხლა გიორგას უთავო ტანის წარმოდგენა და მასთან ჭიდილი ქრუნტელს გერიდა.

— თინათინი... სადაა... რა დაემართა... ყრუთ იკითხა ყაფლანმა.

— ცოტა შეშინებულია. გაუქლის. შენ გჭირია დამშვიდება. რა უცოთ მერე.

ნაწყვეტ-ნაწყვიტათ უპასუხეს.

— ნანახეთ!

დაერდომილივით მოისურვა და ძლიეს წამოდგა. თინათინი უკვე მოსულიერებული იყო, მაგრამ ცნობა ჯერ კიდევ არ დაბრუნებოდა, ხვარამზეს მკლავზე გადაეწვინა და ეალერსებოდა.

ყაფლანის მოახლოებისას მაცქრაღნი განზე ვადგენ და გაყურდნენ.

ყაფლანს უნდოდა რამე ეთქვა თინათინისათვის, მაგრამ თინათინმა როგორც კი დაინახა, დაგესლილივით შეინძრა, უბეები ვაუგანიერდა და გაჭირვებით წამოიღულღულა:

სისხლი... სისხლი... არ მოვიდეს...

და თინათინი ისევე მიიქცა.

ყაფლანმა სისხლიან ახალუხზე დაიხედა. ვაშრა. გახელდა. მან იგრძნო. თინათინის ზიზღი და უცხოობა, იმ თინათინის, რომელიც მისთვის ასე ძვირფასი და იშვიათი იყო.

— წამიყვანეთ...

მწარეთ წარმოსთქვა და უსასოოთ გამობრუნდა.

ზინაკაცებს თინათინისათვის საკაცე უკვე გატყუებიათ.

ამ ზნის განმავლობაში მითანწმინდაზე მთელი სოფელი აკრიბა, ყველა ვაოცებული იყო და შეძრწუნებული.

ამის შემდეგ თინათინი ლოგინიდან არ ამდგარა. არც ვინმეს ნახვა ახარებდა და არც თუ რამე სწყინდა.

ღამეებს თვალღია ათენებდა, როგორც კი ძილი მოერეოდა, ბოდვას დააწყებინებდა და აკივლდებოდა. მამუკა და ხვარამზე მის სასთუმალს არ შორდებოდნენ და ზუმი გოდებით შესცქეროდნენ სასიკვდილოთ განმზადებულს.

თინათინის დაზაფრებამ ყაფლანი მთლად მოშალა და გააგარეულა. მთელი დღეობით ვარე დადიოდა, სოფელს განაპირებული, მიუვალ ადგილებში.

სალამოს მოვიდოდა გვიან, იკითხავდა თინათინს და აისვენდა. აივანზე ზანდაზან ასე მყოფს თუ ჩაეძინებოდა.

ყოფილანს ცოტა მაშინ დაუბრუნდა სააქაო იერი, როცა სასამართლოში დაიბარეს, მაგრამ როგორც კი დამტკიცდა მისი „უდანაშაულობა“, ისევ ნაღისიანი იყო და გამოლენდა.

თინათინი დღითი-დღე იღველდებოდა და დნებოდა. სხეულსა და სახეზე ზაფრანას ფერი დაედო. ცხვირი ისე გაუთხვლდა, რომ ნესტოებში სინათლე ატანდა. ნამიანსა და ადრე მოგიზგიზე თვალებშიაც სიყვითლე ჩასდგამოდა.

მამუკამ არ დააკლო საცდელი. ყოველ დღე თბილისიდან მატარებელთა ორი-სამი ექიმი მოყვებოდა, მაგრამ თინათინს უკეთობა არ ეტყობოდა.

ახალი ჩამოთოვილი იყო. სუსხიანი ქარი ქროდა. ერთ ღამეს, როცა გარეთ ნამქერი ხეთა კენწეროებს წედებოდა და ქარი სახლებს ფუჭმდე არყვდა, თინათინმა თეო მოინატრა.

მამუკამ თავის ხელით გამოიყვანა ბავში მეზობელ ოთახიდან და ლოგინში მკლავზე დაღწვინა.

თეოს მირზაც გამოყვა და სასთუმალთან აიტუხა.

თინათინმა მოიხედა. თავი წამოიღო და გაყურებულ ბავშს მოღერიალე თვალებში ჩააცქერდა, შემდეგ გულზე მიიკრა და გაფიცებული ტუჩებით აკოცა.

ცოტახნის შემდეგ თინათინმა მირზას ანიშნა წინ დადგომოდა და მოახლოვებულს თავზე ხელი გადაუსვა. შემდეგ პირი მოარიდა ყველას და გაირინდა.

თინათინს ჩასთვლიმა.

ხვარამზემ ბავში თრთხილათ ააცალა და გამდელს მირზაც თან გააყოლა. შემდეგ შემობრუნდა, თინათინს სასთუმალი გაუსწორა და ავადმყოფს პირიპირ დაუჯდა.

ძიღმორეულ თინათინს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

სუროს ფოთლოვან საბანში მისი შხვართი ტანი აღარ ჩანდა. სახე და საბანზე დალაგებული ხელები ისეთი ყვითელი იყო, თითქო თაფლის სანთელით ყოფილიყო გაკეთებული. წამწამები დაგძვლებოდა და თმა ბალიშზე დაფანტოდა.

მამუკამ ველარ გაუძლო მის მხერას და ბუხრის წინ სავარძელში მოშვებული ჩაჯდა.

ბუხარში მუხის ჯირკები დანაკვერცხლდა და თანდათან დაფერულვა იწყა. მამუკა მუხლებზე დაეყრდნო, თეთრი წვერი ტუჩებთან ამოიკეცა და ფიჭრებს აედევნა.

თინათინი მისი მკვიდრი ძმის შვილი იყო, მამუკასთვის დვიძლ შვილზე უფრო საყვარელი და საესავი.

ადრე დაობლებული თინათინი უნაშვირო მამუკას გულის ნაწილად იქცა და ამიტომ იყო უმძიმდა მას მისი სიკვდილის წარმოდგენაც. ოთახში ბაიბური არ ისმოდა.

უცებ მამუკამ ავადმყოფისაკენ მიიხედა და ერთბაშათ ფეხზე წამოხტა: თინათინი ლოგინზე წამომჯდარიყო და თვალებს აცეცებდა.

ხეარაშეს თაფაქინდრული ეძინა.

თინათინმა მამის მაგიერს სიყვარულით შეხედა, რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო და მის მკლავზე თავი უღონოთ გადაკიდა.

მამუკამ ჩახლერილი ხმით გააღვიძა ხეარაშეს, რომელმაც რა შეებო ხელი თინათინს, გულის გამშობი კივილი აუშვა.

მამუკამ თინათინი დაასვენა, გაასწორა, ხელები გულზე დაუკრიფა, ღიათ დარჩენილი თვალები დაუხუჭა და ზედ დაემხო.

მამუკა დასაკლავ ხარივით აბლავდა.

მალე შეშინებული შინაურები შემოცვივდნენ და ოთახში საშინელი ზრიალი ატყდა.

ამ დროს კარები გაიღო და გამოჩნდა უქუდოთ, სულ დათოვილი ყაფლანი. ღია კარებიდან დაქროლილმა ქარმა ლამეა ჩააქრო და ოთახში სიცივე შეიტანა.

VI

მამუკა და ხეარაშეს ყაფლანის უბრათ წივიდნენ და თან წაიყვანეს თეო.

სახლი სულ დაკარიღდა, დაყრუვდა.

ყაფლანი კიდეე უფრო გაგარეულდა და გულჩათხრობილი შეიქნა.

ალარც მირზას ბაიათები გაუკონია ვინმეს. მისი დარდის გამქარებელი ეხლა სალამთრი იყო, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა დამბაჩასავით წელში გარკობილს.

ის უბალისოთ აძოვებდა მახლობელ იალაღებზე ჯოგს, როველშიაც ერია მიწამდე ჯიკნებ დაკიდებული ძროხები, თხები, ცხვრები, რამდენიმე ცხენი და ხარ-კამეჩი.

მირზა სხვა მწვემს ბიჭებისაგან განცალკევებული და თავის სარგო კომბალზე დაყრდნობილი, ხშირად ვალენდებოდა, როცა წარმოიდგენდა თავმოკელილ გიორგას და ყაფლანის ქიდილს, მომაკედავ თინათინს და მის უკანასკნელ საღბუნს.

— რა კეთილი იყო. როგორ ვუსყვარდი. ეხლა ვინღაა ჩემი მეარველი.

გაიღვივებდა მირზა და შავი დიდრონი თვალები ცრემლებით აევსებოდა, მალე ცრემლები მაგარ წამწამებით შემოსარულ უბეებიდან გარდმოხეთქავდა და მზით დამწვარ ლაწვებზე ანკარასავით დაედინებოდა.

გვერდით წამოკლტკნული წკურა დანაღვლიანებული ადევნებდა თვალს ჯოგს, მაგრამ როგორც კი მირზას ხშიანი ქეითინი აუვარდებოდა, ჯერ გარს შემოუბრუნდა, მას, მერე წინა თათებით გულზე შეადგებოდა და თვალებში დაუწვებდა ცქერას.

რამდენჯერ შეუმჩნევია მირზას, რომ მის საყვარელ წკურასაც აქეთ-იქით, აცქვიტელ ურუმბისაკენ, ცრემლები მძივებივით დაკიდებია.

— ჩემო წკურა, ჩემო წკურა!

წამოიძახებდა მირზა და ძალღს ძმასავით მოეხვეოდა. ძალღის სიყვარულით და სათნოებით კიდეე უფრო გულაბუყებული მირზა დიდხანს ზღუქუნებდა, რომელსაც თან ერთვოდა წკურას საცოდავი წკმუტუნნი.

ტირილით გულნაჯერები მირზა წყურას აღერსით მოეზოდნენ და გათან-
ტულ ნახირს თავს დაუვლიდა.

ესლა წყურა გახარებული დასდევდა უკან მირზას და ენმარებოდა ტყეში
შელაღულ საქონლის გამორეკაზე.

მირზა უსუსური ჩამოიყვანა ბორჩალოდან მამამისმა მამუკა ერისთავის კარზე.
მირზას მამა ალი ალალი კაცი იყო, გამრჯე და ამისთანავე ბატონის ბეჩაეი მო-
რჩილი. მას ბორჩალოში ცოლი და მირზა დატოვებული ყავდა ძმების ანბარად.

ალის ერთ მკაცრ ზამთარში ცხვარი გაუწყდა და მას შემდეგ ხან მოჯამა-
გირეთ მუშაობდა, ხან ტვირთის მზიდავად თბილისში, ვიდრე მამუკას მცველი
არ გაბდა.

ამგვართ ნაშონ ფულის ნაწილს ოჯახს უგზავნიდა, ნაწილს ინახავდა,
რომ ისევ თავის საკუთარი ფარა ყოლოდა.

მეგრამ ბორჩალოში მალე დაბრუნების სურვილი ვაგებათ შეეცვალა ალის.—
ერთ დღეს ძმებმა აცნობეს საყვარელი ცოლის სიკვდილი და სახლის დაწვა.

ნიადაგ გამოცილილ ალის მამუკამ და ხეარამზემ ურჩიეს ბაეში თან ჩამოე-
ყვანა. ამით მათ სურდათ ალი უფრო მოეშინაურებიათ და ოჯახის თავდადე-
ბულ ქომაგათ გაეხადათ.

ამის შემდეგ ალი დღე-ღამეს ასწორებდა ბატონის საამოთ.

მალე მამუკამ ალის მოურავობა უბოძა და მთელი ოჯახი ჩააბარა.

ბატარა მირზამ განსაკუთრებით თავიშეაყვარა მასავით ობოლ თინათინს,
რომელიც შეილივით ელოლიაფებოდა მას და ანებებრებდა.

ამის გამო ნამოურავალმა ტატომ ხმა დაარბია ალის და თინათინის ფარულ
სიძეაზე, მეგრამ ამ ძრახვას მამუკას ყურამდე არ მიულწევია.

მამუკას გლეხები მომდურავი ყავდა. თავისაანებში გულლია და ტკბილი
მამუკა, გლეხებთან მკაცრი იყო და განუკითხავი.

მამუკა გრძნობდა ხალხში დავუბებულ ბოლმას და მის დასამებათ ჯერ
გამოუთქმელ, უნმო მეჭარას, მეგრამ ესლა ლმოზიერება ქედმაღალ ბატონს
დამცირებად მიანდა და ამიტომ მარჯვენას ერჩია ალი, რომელიც ყოველ
წუთს მზად იყო, იარაღით გასწორებოდა ბატონისათვის ცუდის მკადრებლებს.

ერთხელ მამუკა და ალი სადღაც წავიდნენ ცხენებით. სალამოს კი ქვეი-
თად მარტო მამუკა დაბრუნდა შინ სამოს დაფლეთილი და დაბანჯლული, აღარც
ცხენები ჩანდა და მირზას აღარც მამა უნახავს მას შემდეგ.

მაშინ მირზა 5 წლის თუ იყო და ეს ამბავი სიზმარივით ახსოვდა.

თინათინი მირზას აღარ იშორებდა, თავის ოთახში აწვენდა და თვითონვე
უვლიდა.

როცა გათხოვდა, თან წაიყვანა ყაფლანის ოჯახში. მეგრამ თინათინს იმ-
დენი საღავათი აღარ ქონდა, მირზას წინანდელი აზიზობით მოაპრობოდა.

თინათინის მიცვალების შემდეგ კი მოურავმა ფიდომ მირზა ჯოგს გაატა-
ნა. ამ დღიდან მოყოლებული მირზას შემაქცევარი იყო წყურა და სალამური.

ასე გავიდა რამოდენიმე წელიწადი. მირზას მღორე ცხოვრებას ახალი შუ-
ქი მოჰყინა თეომ, რომელიც წამოზრდის შემდეგ ყაფლანს მოგვარეს.

თეო პირველ ხანად მამას ეუცხოებოდა, მაგრამ მალე შეეფიცა და მისმა ცქრიალმა და გულუბრყვილო ტიტინმა ყაფლანი ჯურღმულიდან ამოიყვანა, ბაგე აუხსნა.

სახლში ისევ დაიწყეს სიარული გარეშეებმა. ყოველივე ჩვეულებრივ იერს იღებდა. მაგრამ ყაფლანის თვალში ცხოვრებას მაინც აკლდა უშთაფრესი — თინათინი. თეო უფრო მეტად შეეწყო მირზას, რომელიც ბავშს სამწყვსურიდან ხან მარწყვს მოუტანდა, ხან ველურ ყვავილებებს თაიგულს და ხან გულჭრელა ჩიტებს მოუყვანდა.

თეოს სიხარულს ზღვარი არ ქონდა, როცა ერთხელ მირზამ პატარა ციყვი მოუყვანა, რომელიც თვალებს სასაცილოდ წკურავდა და თავის ტოლა ჩიჩილაკის მაგვარ კვდს უცნაურათ პრიხავდა.

მირზამ ზღაპრებიც ზეგრი იცოდა და თეო სულ განაბული უსმენდა ყოველ საღამოს დაბალი ხმით უცნაურ და ლამაზ ამბების მომყოლს.

მეგობრები ვათიშა ყაფლანის დამ რუსუდანმა, რომელმაც თეო თბილისში წაიყვანა სასწავლებლად.

მირზას მთელ სიცოცხლეში ახსოვდა ის დღე, როცა თეო თბილისისაკენ გაიტიცა მატარებელში.

შემოდგომა დგებოდა. იმ დღეს წყნარი ამინდი იყო და განელებული მზე აშუქებდა.

მეორე ზარი დაკრეს და თეო კვლავ მირზას ეხვია კისერზე.

ბოლოს როგორც იყო ატირებული ბავშვი ძლივს მოაშორა თვითონ ყაფლანმა და მატარებელმაც ფეხი აიდგა.

გაძვავებული მირზა ვერაფერს ვეღარ ხედავდა, მხოლოდ შორიდან ესმოდა მატარებლის ბორბლების რახ-რახი და შევივლება.

მალე ყველაფერი მიწყდა და სადგური დაკარიელდა.

მირზა ისევ ერთ ადგილს იდგა და სიერცეში უაზროთ იცქირებოდა.

— რას გამოლენჩებულხარ ბიჭო, რატომ არ წაეთრევი სახლში. საქონელს მიხედვა უნდა თუ არა, გასწი ებლავე და გარკვე. კიდევ მოასწრებენ ფერდების ამოცებას.

მირზას ხმა არ გაუღია.

— დაყრუვდი თუ რა მოგივიდა შენ...

მირზა უცნაურად შეიჩხა და ისეთი თვალებით შეხედა ფილოს, რომ მან უნებურათ უკან დაიხია.

მირზამ მუშტები მოკუმშა. კისერიც დაეძარღვა, მაგრამ თავი შეიკავა და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გასწია.

— უყურეთ ერთი ამ ურჯულოს, რა ამბავშია, თითქოს კაი კირისუფალი იყოს, ისე იქცევა. — ჩაილაპარაკა ბრაზმორეულმა ფილომ.

— არა, ასე რაფერ მიიჩნევა მაინც ი ბავშვი? აქ რალაც სხვანაირი საქმეა — ნამდვილ მოჯადოებული ყავს მიგ უწმინდურს, თორემ ასე დედას არ გაეტირება ამოდენა ბავში. იკურთხა ღმერთო შენი სახელი! კისრიდან თვითონ ბატონმა ძლივ მოგლიჯა ამ ეიგინდარას საკუთარი შვილი. ფუი ეშმაკს. — გაიფიქრა ფილომ და გვერდზე ვადააფურთხა.

გზაში ფილომ განაგრძო ფიჭრი და თან თვალს არ აშორებდა მირზას:

— ვიცი, ვიცი, შეილოსა, რატომ იხმარე ჯადო, ისიც ვიცი, რაც გიძეეს გულში შე შურტალო. მამაშენის ხერხებს ხმარობ, რომა ჩემი ადგილი გელირსოს. ფრთხილად, თორემ, თუ ფილომ ვყოფილვარ, მამაშენივით დაგიბნელებ მზეს. არა, კაცი დაებურებულვარ ამ ოჯახში და ახლა ვილაყ გადამთიელმა ღლაპმა უნდა ამიკრას ბარგი? ვაი დედასა!

ფილომ მჯილი გულზე დაირტყა და ნაბიჯს მოუჩქარა, მაგრამ მალე ისევ შეანელა, რადგან მირზა შესდგა და სადგურისაკენ მომავალ თანდილას მუსაიფი დაუწყუო.

მირზა ეხლა 18-19 წლის ვაჟაკი იყო, ფართე მხარ-ბეჭიანი, შავგვრემანი და მომზიდველი შესახედაობის.

მირზა უყვე აღარ ეპუებოდა ფილოს და ხშირათ აიძულებდა მას გვერდი აექცია მისთვის. განსაკუთრებით შირშანს აქეთ ვახდა ასეთი უქმეხი და ფილოს ურჩი.

ფილომ მაშინ ლალას აგროვებდა. ერთ გლენს, რომელმაც ავადმყოფობის გამო საღალო ყანა დროზე ვერ მოშქა და მოსაყალი სანახევროთ დაიღუბა, ფილომ მოუნდომია ლალაში წაერთმია გადაარჩენილი მოსაყალი და წინააღმდეგობის გაწყვეისათვის, ცოლშვილის დამშევის შიშით გამწარებულ გლენს მათრახი მოუქნია, მაგრამ ზეული ისე მაგრად დაუჭარა იქვე შემთხვევით მყოფმა მირზამ, რომ მაჯა ერთ კვირას სტკიოდა.

ფილომ იმ დღესვე მოახსენა ბატონს მირზას თავხედობა. მაგრამ თინათინის ბსოენის პატივისცემისა და თეოს გულსთვის, ყაფლანმა ყური მოიყრუა.

დამცირობული მოურავი ამის შემდეგ იყო ერიდებოდა მირზას, მაგრამ იმავე დროს დღე-ღამე ფიჭრობდა, თუ როგორ მოეშორებია მეტოქე.

თანდილამ და მირზამ გზას გადაუხეიეს და მოფარებულ ბორცვზე ჩამოჯდნენ.

ფილოს უკვირდა, თუ რა უნდა ქონოდა მათ ასეთი საგულდაგულო და ხანგრძლივ სალაპარაკო.

კარგახნის დგომის შემდეგ ბრაზით გულ გასიებულმა ფილომ გზა განაგრძო და თან ათასგვარი ფიჭრები უტრიალებდა.

ფილოს ლეკრათ გაახსენდა თანდილას და თებროს სიყვარული, რის შესახებაც მან პირველად აცნობა დიდ ბატონს—ყორლანს, შემდეგ ისიც ცხადად მოაგონდა, თუ ერთ ღამეს, როცა ქალბატონი ყაფლანით თავის საბლს იყო სტუმრათ, როგორ ძალით შეუყვანა ბატონს ოთახში თებრო. როგორ გაწბილებული დარჩა თანდილა. ფილოს აგრეთვე გაახსენდა გიორგას ამბავი და დაასკვნა, რომ თანდილა, რომელმაც აღბათ იცოდა ყველაფერი ეს, მირზას აქეზებს და აგულიანებს ჩენს წინააღმდეგო.

იმ ღამეს მირზა შთაღამემდე არ მისულა სახლში. ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ფილო თავის ეჭვებში და გადასწყვიტა ფრთხილად ყოფილიყო, თვალყური ედევნებია ორთავისათვის.

(გაგრძელება იქნება).

ი ა ლ ლ უ ჯ ა *)

V

მეგობრები

გამბარა და ჩირახი ერთმანეთს ხურჯინის თვლებსავეთ გადაებნენ. მათი მეგობრობა დამალული არ იყო, მთელმა სოფელმა იცოდა და თალიფა ეხლა საქინას ბიძას შორს იჭერდა. ეს წინააღრი მტერ-მოყვარე უფრო სახიფათო იყო, ვიდრე გარეული ჩირახი.

— გამბარას გულის მუწუტი ჩირახმა იცოდა: ძმის აღლებელი სისხლი რომ აწუხებდა. ისიც იცოდა, მარტოა გამბარა და ვერასა ჰყვარავსო. ქალის საქმეში გამბარა მისი იყო და ჩირახისათვის შეუძლებელი იყო, თუ თითონაც ისეთ მეგობრობას არ გაუწევდა.

— აქამდე ან კი რა გამაჩერებდა, მაგრამ ნამდვილი არ ვიცი ვინ იყო. — თავი იმართლა ერთხელ გამბარამ მეგობრის წინაშე.

— როგორ არ იცი, კაცო! მთელმა მაზრამ იცის, აღიას უფროსი ძმები იყვნენ. შენ არაფერ გეტყვოდა, გადადებული თავი ვისა აქვს. შენ თუ ვითხრან და გაიყვანდეს, მოქმელს გადაეკიდებიან მკვლელები.

— მერე და ქვეყანამ რაღა იცის? იმ დამეს მთელი სოფელი ცეცხლს აქრობდა. მაშამდე ოღლები თითონ ზომ არ იტყოდნენ.

— იმ დამეს მთელი სოფელი ცეცხლს აქრობდა, მაგრამ ბინებიდანაც გარბოდა ხალხი სოფელში, თქვენსაკით.

— მერე?

— წერე-და ისა, რომ ორივე ძმა მწყემსებს ენახათ, თოფებიანი გარბოდნენ. მარნეულის ბოლოზე ბიძაშვილები დაუსვდნენ. თოფები ჩამოართვეს, მარნეულელ მოლას მაიბარეს. მკვლელები ცხენებით ტფილისს წავიდნენ: ვითომც იმ დამეს აქ არ იყვნენ.

— შენ რაღა იცი?

— იმ დამეს მამა ჩემს შეშა მიჰქონდა ტფილისში ურმით და იმის დასწვოდნენ. სულთანოვები იყვნენ ამ საქმეში გარეულნი. იმათი ცველას ეშინიან და შენ არაფერ არას გეტყვოდა.

— შეც სულ იმათზე მქონდა ეჭვი.

*) იხილეთ ჟურ. „წათობი“ № 5.

უკაცხვარი

— იმათი მოწყობილია საქმე, ალიას მოკვლის ამბავი სულთანოვებს, ხალილ ალას ამბავიც. შერე სულთანოვები დაუმეგობრდნენ მაჰმად ოღლებს. ძროხებიც აჩუქეს. თოჯები ალიბეგ აღმა უშოვნათ. სულთანოვებს მისცა და იმათ კიდევ ალიას ძმებს. თოჯები ოსმალური იყო. ალიას ძმებმა ის თოჯები შერე გაჰყიდეს. ერთი ჩემმა ბიძაშვილმა იყიდა, ერთი ტანა მისცა. ის თოჯი ეხლაცა აქვს. მეორე შულავერლებმა იყიდეს ოიხ შულო ამრეშუმად და ოც ფუთ ყურძინად.

გამბარა დაფიქრდა. აქამდე თუ საკუთარ თავის წინაშე ვასამართლებელი საბუთი ჰქონდა, ნამდვილის ფეოდიანარობა, ეხლა ეს მოისპო. ეხლა უმკველად უნდა აიღოს სისხლი.

მაჰამედ ოღლები კი დიდი ხანია მშვიდად არიან. თოთხმეტი წელია ვასული მას შემდეგ. მოსისხლე, აშკარაა, ვერასა ჰბედავს. პირველ ხანად ბრთხილოზდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, თანდათან ამ სიბრთხილეს უკლებს და ბოლოს სულაც დაივიწყეს.

დარწმუნდნენ, ხიფათი არსაიდან არისო. სულთანოვების იმედიც ჰქონდათ: თუ მაჰამედ ოღლებს ახლებდნენ ხელს, პასუხი სულთანოვებსაც მოეთხოვებოდათ. მათი მეთარელობა კი ყველაფერი იყო, როგორც ძლიერებისა.

გამბარას ეხლა ორი რამ გაუჩნდა საფიქრებელი: ერთი ჩირახისა და საქინასი და მეორე ძმის სისხლის აღება. მაგრამ ამ ბოლო დროს მესამეც გაუჩნდა: თამამას ალიბეგა დატინებით თხოულობდა, ორჯელ გამოგზავნა კაცი. ერთხელ სოფლის მოღასაც წერილი მოსწერა, თამამას ძმასთან, ჯათარ დურსუნ ოღლისთან შუამდგომლობასა სთხოვდა. თამამა კი უარს იყო, თავს ეკლავდა. ვის უნდა გაჰყოლოდა ცოლი? ალიბეგ აღას, რომელსაც ხელები ფაშას სისხლში ჰქონდა მოსერილი. ფაშა იმისი მსხვერპლი იყო, იმის გულისათვის ჩავარდა უბედურებაში და იმას შესწირა თავი, ეხლა მისი ღალატია არა ჰსურდა.

ქალის სახება თან გაჰყავს სისხლით ჰვარბ ყაჩაღს და აღარ ასვენებდა. განასხვავდა აღარავინ იყო თამამასთანა ლანაში, განა უფრო ახალგაზრდას ვერ იშოვნინდა, მაგრამ იმ ერთი ნახვით მისი ნდომა ჩაუჯდა სხეულში. თამამასი სწინე კი დაახსოვდა სიბერის კართან მისულს. თუ თამამა არა, სხვა ველარავინ დააყურებდა მის ნდომას.

ძმა ჯათარა შეადგა თამამას. გათხოვებას ურჩევდა. ადილა შენი შეილი არ არის, ქალი გათხოვდება, შენ შინ მარტო რაღას უნდა დაურჩეო.

გამბარა კი ხელებს ასივსავებდა. ძმის მკვლელს რძალს როგორ მისცემდა! მთელი გვირა შეადგა თამამას, ეს კი არა ტყდებოდა და მხოლოდ მაზლი ჰყავდა ზურგის მიშკენი. მაგრამ ეხლა სისხლის აღების საქმემ მთლად გაიტაცა გამბარას ურადლება და სხვა საქმეზე ველარა ჰვიქრობდა.

სისხლის აღების გეგმა მთლად ჩირახისა იყო. რასაც ჩირახი ეტყოდა, ყველაფერი ჰკუთანი უჯდებოდა.

პირველი სადარდებელი გამბარას ისა ჰქონდა, რომ არ იცოდა, ვიზე ეძია სისხლი: მკვლელთაგანი უმცროსი ძმა მოკვდა, უფროსი კი მოხუცებულია და ფაშას სისხლად არა ღირს.

— მივით გვარში ჰყავთ ერთი ბიჭი. ოცი თუ ოცდაუფუფი ქლეცყველიას სულ უფროსი ძმის შვილია. ობოლი გაიზარდა თავის პაპასთან, დედის მამასთან. ის ფაშას არაფრით ჩამოუღვარდება.— უთბრა ერთხელ ჩირახში გამზარას.

— შენ ისას ამბობ?

— სწორედ.

— იმას ჩემი დეიდაშვილის შვილი ჰყავს ცოლად. ნათესაობა გვაქვს.

— არაფერია. სისხლის ნათესაობა არ არის. მაგისტანა რამეს თუ გამოუდგები, სისხლს ვერ აიღებ.

ფაშასავით გამკრიბია ვერ იყო გამზარა. იმას თავში შოლოდ ერთი აზრი ჰქონდა: სისხლის აღება, მაგრამ როგორ აიღებდა სისხლს, ამას ვერა ჰფიქრობდა; ჩირახში იცოდა, გამზარა სადმე საჯაროდ უფრო ადვილად შეეხებოდა მტერს, ვიდრე სიბრთხილით და მალვით მოახერხებდა რამეს.

ეს ხომ დიდი სისულელეა: კაცმა მტერი მოჰკლას და თითონაც შიგ გაიბას.

— ჩირახ, ნოდი, შენს ბიძაშვილს თოფი რომ ჰქონია, ის მაყიდვინე. რასაც მთხოვს მიეცემ. კარგია კაცმა სისხლა იმავე იარაღით აიღოს.

— არ გამოდგება.

— რატომ?

— თოფის ყიდვის ამბავს ყველა გაიგებს, ყველას ეცოდინება, რომ თოფი შენ იყიდე და ადვილად გაიგებენ ყველაფერს.

ეს ბიჭი, თორმეტი წლით გამზარახე უმცროსი, მუდამ უფრო ფხიზლად საზრისობდა.

— მაშ როგორ?

— ხანჯლით.

— სად მოვატანო?

— მოვიფიქროთ. საჩქარო არაფერია.

VI

ბამბათმბული ბაქილი

შპალიერ გაკრული, პატარა, ფიცრული, გაქონილი კარები კრიალით და ერთბაშად გაიღო და ისევე ერთბაშად, თავისთავად მიიბურა. პატარა, გაქონილივე ბიჭი ჭამაბზანის მაგიდებ შოა გაბერა და ქუჩაში გავარდა. კარებთან, ქუჩის ფილაქანზე წვრილი ფული დაეფანტა და წკრიალით გაგორდა. ჭამაბზანის სტუმრებმა ბიქს თვალი გააყოლეს. თავები გადაიქნაიეს. ზოგმა ბურტყუნი დაიწყო, ზოგმა გაიღიმა. ამ ბურტყუნსა და თავის ტნევაში ან აშლილი ეშხი იფარებოდა ან შური და ან გულისწყრომა.

ჭამაბზანის ტერმა დაიკრიალა. ეტყობოდა, ვიღაცამ გაიარა. ცოტა ხნის შემდეგ კიბეების კრაქუნით გაისმა და იმევე კარებში ერთი აბმახი, გამზდარი, თვალ ჩაწრეტილა, წითელი კაცი გამოჩნდა. უღვაშები გაფშეილი ჰქონდა, წვერი ახლად მოპარსული. ტყავის მაღალი ქედი ეხურა. უავისფერი შალის ჩოხა

ეცვა. ხარაზულ ჩუსტებსა და ლასტიკის მოკლე შარვლის ტუტებს წინდები უჩანდა. შევერცბოლილი ხანჯალი თავის წვრილ ქამარზე ეკიდა. კარგ-ბში გამოვიდა და ქამარს და ჩოხის კალთებს ურცხვად ისწორებდა. უღვაშებზე ხელი გადისვა და თავისიუფალ მაგიდას მიუჯდა.

ერთი კიქა ჩაი. — დაიძახა მან. — მაგარი იყვეს.

ეს იყო ჰასან ალა, მეტ სახელად ქორ ჰასანა, ხან სარსალ ჰასანა და ხან სარი ჰასანა, წითელი ჰასანა. ქერა ჰასანა. — ჩაი თითონ დუქნის პატრონმა მიართვა.

— ჰასან ალავე — ჩურჩულით უთხრა საყვედურის კილოთი სპარსელმა მედუქნემ. — რამდენჯერ მოთქვამს შენთვის, იქ, ზემოდ რაც გინდა ჰქენი, მაგრამ საკვირვაროდ ნუ იცი საქმის ვახდომია. უკან კარი ხომ არის. შენმა ბიჭმა ეხლა დუქანზე გაიბრინა. შენი მიცემული გროშება ქუჩაში დაეფანტა. მუშტრებმა შეაშნიეს.

— ჩემს ფეხებს თუ შეამჩნიეს. — უპასუხა ჰასანამ, მაგიდის ქვეშ ფეხები გაშოტა, ჩაის კოფე მოურია და უშმაწურად შეიგინა.

— მე მუშტრისა არა მცხვენიან. — უპასუხა მედუქნემ: — სახიფათოა, პოლიცია გაიგებს და ხათაბალას გადავეციდები.

ჰასანამ პოლიციასაც შეაგინა. ჩაი შეხვრიბა და ერთი ყლუპით კიქას მეოთხედი დააკლო. ზაფხულის ცხელი საღამო იყო, ქუჩის მტვერი დუქანში შედიოდა. შეითან ბახრის ვიწრო ქუჩებში ბული იდგა. ამ ბულში ცხელი ჩაი სასიამოვნო იყო.

— შენ შენი მიიღე და სხვა რაში გეკითხება.

— ვერც ჩემსას ვიღებ, ვალად გრჩება და ხათაბალაც მელის.

— რამდენი ხანია შენი მუშტარი ვარ, ჩემგან ხათაბალა გინახავს რამე?

— როგორ არა, მედუქნეს ბეფრი ხათაბალა უნახავს ამ ალასაგან.

— ხანდახან ჩხუბი იცი ხოლნე.

— ჩხუბი? როცა მთერალი ვარ. მაშინაც მე ხომ ირა ვჩუბობ, მე მკჩხუბებიან ხოლმე. კიდევ! — დაიძახა ჰასანამ და ეარიელი კიქა მაგიდაზე მედუქნისაკენ გააკურა. მეორე კიქა რომ მიართვეს ჰასანამ უთხრა:

— შენ ეს მითხარი, ამაღამ ბიჭები იქნებიან?

— კიდევ გინდა? — გაუვირდა მედუქნეს.

— არა, იმას არ გეუბნები. იქნება ვინმე ამაღამ... ჰასანამ მარცხენა ხელის გულს მარჯვენა ცერი გაუსვა.

— რა ვიცი. ალბად გამოჩნდება ვინმე.

— წუხელის რიგამ ყვავის ტუზიანი დახია. შეავსეთ?

— ჰო, მაგრამ არ იჩუბოთ. ჩემი ფული კი ეხლავე ჩამოდი და მერე ვინც გინდა წოიგოს, ჩემი საქმე აღარ იქნება.

ჰასანამ მანეთიანი გადაუჯდო.

კრიტიკი მამის შვილი სარი ჰასანა მელანგავი, ლოთი და გარყენილი გამოვიდა. მამა ფულს არ აძლევდა, მაგრამ ჰასან ალა მაინც შოულობდა. ცოლი ცემით მოკლა და შხითფევი შეუტამა. ამის შემდეგ ყველა ერიდებოდა და ქალს

არაგინ აძლევდა. მისი ხელობა წერილ-წერალი ქურდობა გახდა. ბუღალტრული ბუღალტრული ჰყავდა მეზობლები: ქათმები, ინდოურები, თითო-ორი ცხვარი, ღამე მინდორში დარჩენილი საქონელი თუ ცხენი, ყველა მისი ლუქმა იყო. მამას ეჯავრებოდა ეს შვილი, იმოდენა ვაჟკაცს სცემდა და ხშირად ავდებდა სახლიდან, მაგრამ დედა ჰმფარველობდა. ჯიბე თუ ცარიელი ჰქონდა, შინ იჯდა და იქიდან ათვლიერებდა საქურჯალს ჩაივდებდა ხელში რაბეს და გაჰქრებოდა. საღმე სოფელში თუ იყო სახელ-გატეხილი ქალა, ჰასანაც იმისი მეგობარი იყო, ქორ ჰასანასთვის ცალიერ-ტარიელ ქალსაც კი არაგინ იმეტებდა და ფულის ხარბი მამა მისა მზითვიანს ვერ იშოვნებდა. ამიტომ იყო, რომ საქინას დაადვა თვალი. ქონება ზომ ხელში ჰქონდა და ამას სამუდამოდ დაჩემება და იყო საქირო. კანონით ჩემს ხელშია ქალიცა და ქონებაც, პასუხის მგებელიც მე ვარო.—ესე ჰფიქრობდა თალიფა.

ჰასანას ლოდინი დიდხანს არ დასჭირდა. მართალია ამ ლოდინში ათი ქიქა ჩაი დალია, მაგრამ ამფსონები მალე მოვიდნენ. დუქნის ზედა ოთახში ფორას თამაშობამ გათენებამდე მიიღწია. ჰასანა ჯერ იცებდა. მერე ქალაღლი შებრუნდა და წაგება დაიწყო.

დიდი ზანია რაც დაიკეტა ქაბაზხანა, სპარსელ მედუქნეს უკანა ოთახში ეჭინა. ზემო ოთახში კი, თითომის ქერტვეშ, ხის უბრალო, გრძელ მაგიდაზე გაქონილი სათამაშო ქალაღლი ხელებსა და ხელებ შუა დაცოცავდა, თითებს და ისევე გაქონილ მაგიდის ფიცრებს ეკროდა და თავის მოულოდნელ უეჯიათობით და თავნებობით მოთამაშეთ აბრაზებდა. ქერში ჩამოკიდებული ჰატარა ლამფა თავის ხუთ ხაზიან პატრუქით მთელს ოთახს ყვითლათ ანათებდა: მოთამაშეებს, გაწაფებულ მაგიდას, კედელსა და ტაბტზე გაშლილ ხალიჩებს, და ფატალი შახის სურათს, მოთამაშეებს თავზე რომ დაჰყურებდათ.

მოთამაშეების წინ ბლომად იყო დაგროვილი შაფე და თეთრი ხურდა. ქალაღლის მანეთიანები და ზან სამმანეთიანებიც კი, ჰაერში დაფარფატებდნენ. ჰასანას წინ კი ფული არ ეწყო. ფულს ის ჯიბეში ინახავდა; ესე სწამდა: თუ წინ დაეიწყობ ფულს, წაეგებო. მთელი ლამის ნათამაშევი სამი თუმანი იქნებოდა. თამაშობა კი გააფთრებული იყო.

ჰასანამ რაკი ჰნახა წაგებაში ვარო, ქალაღლის ჰარვა დაიწყო. ჯერის ცხრიანით კაი ათიანი მიჰყავდა, რვიანის ერთ თვალს თითს დააფარებდა და ხუთიანი და ორიანი მიჰყავდა. ამხანაგებმა რამდენჯერმე დაიჭირეს ქურდობაში. გალანძღეს. ისმოდა დედ-მამის გინება. აგინებდნენ ქალაღლს, ერთმანეთს, ფულს, იგინებოდნენ ისე, გულის მოსაფხანად. გინება ხმა ამალღებულმა ლამარაკმა შესცვლა, ამას ხელების ქნევა მოჰყვა. ჰასანამ ვილასაც ყბაში გაარტყა. მედუქნი ჩაერია საქმეში, ქალაღლი წაართვა და მოთამაშეები გარედ გაიყვანა.

ჰასანა მარტო დარჩა დუქანში, როგორც დროებითი მღვმური. გაბრაზებული დაწვა ტაბტზე, გაიქიმა, ხელები თავ ქვეშ დაილაგა, ქული თვალებზე ჩამოიფარა და ძილი დააპირა. მაგრამ ძილი არ ეკარებოდა.

წაგება ბევრი არა ჰქონდა, მაგრამ რალაც არ ასვენებდა.

მედღქნეს ლამფა ჩაეჭრო. მიხურულ დარაბების ქუქურუტანებში ტილის გაფითრებული შუქი შედიოდა. ოთახში ქონის, ოფლის, წუწის სუნი და თამბაქოს ბოლი იდგა. ქუჩაში მისი ამფსონების ლაპარაკი ისმოდა. ქვაზე დავარდნილმა ფულმა დაიწკრიალა: აღბად მოგებას იყოფდნენ.

აზრები აერია: ამ ერთი კვირის წინედ მოპარული ძროხის ფული ოხრად წავიდა.

ქუჩაში გავიდა. მისი ამფსონები უკვე მოედანზე იყვნენ.

— სულემიან, გიგოლ!— დაუძახა ჰასანამ.

განიერ შარვლიანი და ცისფერ ხალათა ბიჭი გაჩერდა, ფეხები გალაჯა და ჰასანას შეაგინა. სარსაღმა ფეხი გამოსდო, სილა გააჩრტა და წააქცია. კინტო მარდად წამოხტა, ჰასანამ ხანჯალზე გაისვა ხელი.

ქუჩის ბოლოში სტვენა გაისმა. ნამძინარევი პოლიციელი მობრძოდა. საიდანაც მეორე გამოჩნდა. მოჩხუბარნი და გამშველბეღლნი ერთმანეთში აირივნენ. ჰასანამ ერთბაშად ჩაიკეცა, თვალები გადაატრიალა და ქუჩის ფლაქანზე დაჯდა. მარცხენა ფერდში ბებუთის შავი ტარი ამოსწროდა. ცისფერ ხალათა ბიჭი საღდაც გაჰქრა.

VII

საზღვარზე

თალიფ ალას შვილის დატუსაღების ამბავი მართლაც არ მისულია. ალიბეგ ალა სწორედ მიუხედავ: გაეპარა თალიფა. შვილის დაჭერა ტყუილი მოიგონა, მაგრამ ეს ტყუილი დაჭერაზე უარესად გამართლდა. გამოეპარა ხალილოვს თალიფა და არ კი იყოდა სად წასულიყო, ჩავიდა ბარში. სოფელი ცარიელი იყო. ცხელოდა კიდევ. სხვა საქმე აღიარა ჰქონდა და ჰასანას მონახვა გადასწყვიტა. აჩქარება იყო საჭირო, ეს ღორი თუ არ დააბრუნა სახლში და საჭინა მალე არ გადაკვიდა, თალიფას ყველაფერი ხელიდან წაუვცა.

დიდი ხანია თალიფამ შეითან ბაზარს ცვლილება შეატყო. აქლემის ზარების წყრიალა რაკუნმა იკლო. ეს ცხოველი ტფილისის ყოველ-დღიური სტუმარი აღარ არის. მისი ბღავილი სოღანლულის მხრიდან ქარის მოტანილმა მატარებლის წივილმა შესცვალა. ხალხიც სულ სხვა ჯურისაა შეითან ბაზარში: ძველი სოფდაგრების მაგივრად ეხლა „კუპეწები“ გამჩაყლდნენ. აღარც იმდენი ურემი ირევა ბაზარზე. ეხლა ისეთი ხალხი ტრიალებს აქ, ვისაც წინედ ტფილისი სიზმრად არ ენახნა.

თალიფამ დაიარა შეითან ბაზარი, ჭაბაბჩები, ჩაიხანები და შვილის ამბავს ჰკითხულობდა.

ჰასანას ამბავმა თალიფა გააბრაზა. იმ წუთის ხელში რომ ჩავარდნოდა, თითონვე დააბრზობდა. იმ ღორის დაჭრა კი არა, სიკვდილიც არ დააღონებდა, მაგრამ ეს ამბავი უდროო-დროს მოხდა: სწორედ ეხლა იყო ჰასანა საჭირო და ის კი ლოგინად ჩავარდა. ეხლა, როცა ქალმა გაპარვა დააპირა, როცა ქალი ალიბეგამ ითხოვა, როცა აჩქარება იყო საჭირო, ეხლა დაატყდა თავს ეს ამბავი.



პასანა თუ მოკვდებოდა, ჯანაბას მისი თავი, მაგრამ ქონება დატოვებდა. სხვა ვაჟი შეილი აღარა ჰყავდა თალიფას. რამდენჯერმე იფიქრა: თითონ შეერთო საქინა, მაგრამ ვერა ჰბედავდა: იცოდა კანონი ნებას არ მისცემდა მისი სამეურვეო ქალის შერთვისას, არც ესე გამოაშკარავება უნდოდა საქმისა.

მამამ შეილი საავადმყოფოში ინახულა, გაიგო არ მოკვდებოდა, ფული დაუტოვა და ისევ მთაში დაბრუნდა. აქ კი სასიხარულო ამბავი დაუხვდა, ისეთი, რაც ალიბეგას სამშობლოში მობრუნებას დიდი ხნით დაუშლიდა.

სადგურ სანდარაზე თალიფამ ჩირაჭი დაინახა. მხარზე რკინის კეტი და წერაქვები გაედო და ლიანდაგზე მოდიოდა. ძალაუნებურად შეადარა ეს ბიჭი თავის სულელ შეილს.

— რასაკვირველია, ქალი ამის თავს ირჩევს. — გაიფიქრა თალიფამ და თვალი გააყოლა. მიღალი, კოხტა ბიჭი სადგურის ჰაქანზე ავიდა და სკამზე ჩამოჯდა.

— რას იტყვის ეს ბიჭი, როგორ იმართლებს თავს? — გაიფიქრა თალიფამ, — დატუქსავს საქირა.

— შენ, რაებხსა ჰბედავ. — გაჯავრებით და მუქარის კილოთი უთხრა თალიფამ ჩირაჭს.

— რა იყო აღავ?

— შენ არ იცი, ქალი მე მამარია და პასუხს მე მომთხოვენ. არ გეშინია?

— რისა უნდა მეშინოდეს. ალიბეგ აღას არ ეშინიან და მე რა დავაშავე? იმისავეთ ხელმწიფის კაცი ზომ არ მოგკალი.

— როდის მოგკლა, რას ამბობ?

ჩირაჭმა ახალი ამბავი უამბო.

ფერმის გაცარკვის შემდეგ ალიბეგ აღა პირდაპირ საზღვრისაკენ წავიდა. გაცარკულებმა მხოლოდ მეორე დღეს მოახერხეს პოლიციისათვის ეცნობებით ის ამბავი. მდევარი მაშინვე წავიდა. მოსაზღვრე ჯარმა ცხენოსნები დაადგენა. საზღვრის პირას მიატანეს. თხუთმეტამდე კაცი მიაცილებდა ყაჩაღს. ხალილოვი მიუვალ მთებზე მიდიოდა, ამ მთებზე ისე დაჰყავდა ცხენები, როგორც შარაზე. მდევარმა კვალის და მიმართულების ძებნაში დრო დაჰკარგა და გზა სწორედ ვერ მოუჭრა. მაგრამ მიტანებით კი მიატანა. ალიბეგა თავის კაცებით ქედზე მიდიოდა, ზემოდან ვადმოხედა და მდევარი დაინახა. ალიბეგა არ დაიბნა. სეტყვასავეთ წამოვიდა ტყვია, ყაჩაღი მშვიდად დახედა. კარგა გაზომა მანძილი, ადგილის მდებარეობა და არ აჩქარდა. კაცები ჩამოაქვეითა, ცხენები სამ კაცს გაიტანა, დანარჩენი ჩაასაფრა გაფანტვით და სროლას სროლითვე უპასუხა. ალიბეგას ანგარიში იყო: მდევარი ახლოს არ მიეშვა, შეეკავებინა და ცხენები სამშვიდობოს გაეცვანა. საზღვრამდე რაღაც ორიოდ ვერსი და იყო.

სროლა გაჩაღდა. ყაჩაღების ტყვია მაღლიდან კარგა მოდიოდა. მოპასუხეებს მთაზე მანძილის გაზომვა უჭირდათ და ნიშანს ვერ სწელებოდნენ. ორივე მხარემ დაინახა, სროლას სიშორისა გამო მნიშვნელობა არ ჰქონდა, ტყვია უბრალოდ იკარგებოდა. ალიბეგასაც ეს უნდოდა: კაცი არ მოგკლა და მდევარი კი შეეჩერებინა. ეს აზრი ჰქონდა, როცა პოზიციებს იჭერდა. რამდენიმე სალდათმა თავი გამოიღო და მთების კალთებზე დაიწყო აჩიჩება. მათ სხვებიც მიჰყვნენ.

მაგრამ ერთს ტყვია მოხვდა ფეხში და დაგორდა, დანარჩენებიც დაშრდნენ. ალიბეგამ ივარაუდა, რამდენი ხანი მოუნდებოდნენ ცხენები საზღვრამდე მივლას და უკან დაიწყო დახვევა. თავის კაცები სათითაოდ გააპარა. მთების ნაკეცებში ჩაიმაღლნენ. მღვდარმა ამ მთებში დევნა ველარ გააპბედა: ალიბეგას შეეძლო სადმე ჩასაფრებულიყო და ათას კაცს ადვილად ამოსწყევტდა. სროლის ხმაზე ოსმალთა მესაზღვრენი მოგზოვდნენ. გაიგეს თუ არა ალიბეგას სახელი, ცხენები გაატარეს. ერთი ხუთ მანეთიანი რუსული ოქრო იყო ოსმალთა ეფენდის ხელში ჩასრიალებული.

ხალხში მალე გაეფარდა ეს ამბავი. მართალს ბევრი რამ მიემატა, აგორდა გამირობის და ყოჩაღობის სახელი და ალიბეგას შარავეანდელი დაადგა.

ყველაფერი ეს გაიგო ალიფამ და გაეხარდა. მაგრამ ისიც თუ გაეგო, რაც გუნებით წაიღია ალიბეგა, ვინ წაიყვანა გულში ჩასმული საქინა თუ თამაში, მის სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, მაგრამ ამას საით გაიგებდა.

VIII

დავით-შვილის დაადო

ავგისტოში დაბრუნდა თუ არა ხალხი მთიდან, თალიფამ საქინა თავის სახლში მიიყვანა და ჩაკეტა. დედას აღარ ანდო. თან შვილის მორჩენას ელოდა. პასანას კი კრილობა გაუარჯლდა: ჯანში გამჯდარმა ციებამ იფეთქა. უკვე ორი თვეა საავადმყოფოში წვეს და თალიფას ჯიბიდან მხოლოდ ფული გადის. მის ლოდინში საქინა, დამწყვედული და ქვეყანას მოშორებული იმავ ქვეყანას სწყველიდა. თამაში ძმებს სთხოვდა შველას. მაგრამ ძმები ამ საქმეში ჩარევის ერიდებოდნენ. ძმა ჯაფარა თავს იკავებდა და თავის ხალხის ადით-ჩვეულებაში და მტრობა-მოყვარეობაში ვარჯეა არ მსურდა. მამის ხასიათს მისდევდა: არ გაერეოდა არაფერში. 'ამაში მამას გადააჭარბა კიდევ. მხოლოდ შრომით, მომჭირნობით და მუყაითობით იძენდა ქონებას. მის საქონელში კაცი ვერც ნაქურდალს ჰმხავედა, ვერც ქურდ მწყემსს და მოჯამაგირეს. სხვა ალაღარები ყოველთვის იფარავდნენ კაცის მკვლელებს, ქურდებს და ყაჩაღებს. მათთან თავშეფარებული პოლიციას ემალეობდა, მტრები ალაღარების ხათრით და რიდით ფერას უბედავდნენ. ჯაფარა კი მწყემსებს და მოჯამაგირეებს არჩენით ქირაობდა პატიოსნებს, ერთგულებს და არც თითონ იყო ხოლმე მათთვის ცუდი. მოჯამაგირეს ბევრს არ დაუნიმნავდა ჯამაგირს, მაგრამ პირ-ნათლად უსწორდებოდა. მოჯამაგირეებმა ეს იცოდნენ და ყველა პატიოსანი და უშარო კაცი იწას ეტანებოდა.

ამიტომ იყო, რომ ერიდებოდა თალიფას და მის საქმეში აშკარად არ ერეოდა. მართლაც და თალიფას გადაკიდებას შირის გადაკიდება სჯობდა. პასანას მიუსევდა და გაუწყვეტავდნენ საქონელსა და ცხვარს, ქათამსა და ინდაურს. მიხდორში აღარც თავის დაუყენებდნენ და აღარც ძნას. შარები და უთაებოლო ჩივილი სხვა იქნებოდა. ჯაფარამ ერთხელ სკადა მოლაპარაკებოდა ბიძას, მაგრამ ბიძამ კანონი დაამუქრა, როგორც მეთრევემ.



ჩირახმა და გამბარამაც ამ ბოლო დროს ყური მოიყრუეს. ჩინურად ვერა ჩნდებოდა. გამბარა ანობდა, მე მეგ საქმეში ვერ ჩავერევიო. აქავე ჩნდა ცხელი და ცილი თალიფას. რიაც სავაპრო საქმეები გაიჩინეს, ხშირად იყო ხოლმე თალიფასთან. დედაკაცი მარტო დარჩა თავის სახლში, საქინა დამწყვდეული და ორივეს გული დარდით ჰქონდათ სავსე. ესე იცის ქვეყანამ: ქვრივი და ობოლი უმჯობესად უნდა დაიბრუნოს. აღილა მთლად დაბრეყებული და დამონაგებული ჰყავდა თალიფას: ცხვარს არ აშორებდა.

უძილო ღამეები ხშირი ჰქონდა საქინას. ზენო სართულის ერთ პატარა ოთახში დამწყვდეულ ქალს ყარაულად ერთი ბებერი დედაკაცი ჰყავდა. მზის ჩასვლისას დაწებებოდა და გათენებამდე მკედარსავით ეძინა ხოლმე.

შემოდგომის პირის გრილი ღამე იყო. საქინას ოთახში მთვარის შუქი იატაკზე ვერცხლის ფერს ღაჭადად იღო. გატეხილ ფანჯარაში სიო შემოდოდა და სიგრილე ისედაც დაკარგულ ძილს აბრთხობდა. ქალი სარკმელს მიადგა. შემოდგომის ნათელმა ღამემ მიიზიდა. მსუბუქი იყო დედამიწა, პაერი ლურჯი და შორს შავად გამჟვირვალე. თუთის ხის დიდრონი ტოტები სახლის სახურავზე გადაწოლილიყო და ფოთლები სარკმლის შუშებს ეალერსებოდა. ასეთი ბუნების ცქერა დარდს უფრო ამძინებდა.

ქალმა ჩუმი ტირილი დაიწყო. მამა, უჩალი მამა, დაბრეყებული წვესსაფლავში. სისხლის ამღები არავენ არის. ბიძა გამბარა აქამდე უყვარდა საქინას. მაგრამ ეხლა იღარ უყვარს: ვერც ძმის სისხლი აიღო და ვერც თითონ საქინას უშველა. აღილა არაფრად აღიარა. ნეტავი ვაჟაკი ვიყვე... მაგრამ რა უნდა: თუ სისხლის ამღები ვაჟაკი არ არის გვარში, ქალსაც შეუძლიან აიღოს სისხლი: მტრებს ხომ ჰყავთ ქალები. ჩირახიც გაიჟმდა... ჰასანას ცოლობას არ გაუწევს. პირველ ღამესვე წაახრჩობს ძალიერით. სახლს გადასწავს...

ხარხებეს ვილაიცის ჩრდილი მიადგა. ძაღლებმა უფა დაიწყეს. საქინამ თვალეზი დააჭიკტა: ვინ უნდა იყვეს. ჩრდილი ხარხებში გაძვრა და გულადად წამოვიდა. ძაღლებმა ნაცნობსავით მიუალერსეს. ქალმა იცნო დედის მოახლე.

— რა ამბავია, ზობრაგ. — დაჰკივლა ზემოდან საქინამ.

— არაფერი, დაიძინე.

რა მოხდა სახლში? რა ამბავია? იქ დედის მეტი არავენ არის. — ქვემოდან კარის კაკუნი და ლაპარაკი გაისმა. კბეებმა დაიკრაჰუნა და ოთახის კარებში თალიფა გამოჩნდა:

— დედაშენი გეძახის.

საქინა გოგიეთ გავარდა. გარბოდა, ტიროდა, დედა უკვე მკედარი ეგონა. თალიფა ძლიერს მისდევდა.

— სად მიხვალ ბიძიავ— შეტყვირა საქინამ ბიძია ჯადარას, რომელიც ეზოში ცხენებს ჰკაზმავდა. პასუხს კი არ მოუცადა და ოთახში შევარდა.

— შულავერში— მიამახა ბიძამ.

დედა ავად დაუხედა. ლოგინში იწვა და ღამაში სახე გაშავეებოდა. მეორე ოთახში მოლა აბრეშუმის ჩერებში ლეჩაქყურად დაკეცილ ლოცვას ახვევდა და



ბამბის ძაფს აბანდა. ბიძა შელაფერნი წაეიდა. ექიმს მოიკეთა და მკურნალობა გაკეთებული და საქინას მხოლოდ ტირილი-ღა დარჩა. სწინების წინა კისრებს.

ალიბეგ აღამ ჯათარას შემოუთვალა, თუ თამამას არ მოშათხოვებთ, მოვიტაცებო. ეს კი დიდი ზიფათი იყო. რასაც ისურვებდა ალიბეგა, იმას აასრულებდა. მასთან ბრძოლა შეუძლებელი იყო: ორში ერთი—ან მისი სურვილი, ან სიკვდილი. ეს ამბავი უთხრა თუ არა ძმამ თამამას, მას გული წაუფიდა და თელი საღამო გულწასული იყო.

შულამისას ციება დააწყებინა, მერე სიციხე მისცა, და შეიღო მოითხოვა. ნერვიულ ციებაზე შემოდგომის მალარიამ იფეთქა და თამამა დიდი ხნით ჩააწვინა ლოჯინათ.

თალიფა ამწვილებდა ავადმყოფს: ალიბეგ აღას მე მოვუვლი, დაეიყო-ლიებო. იმას დედის მოსყიდვა ჰსურდა, ეგებ გაეტეხნა და საქინას გათხოვებაზე და ჰასანას სიძეობაზე, ჰო ეთქმევიანებინა, მაგრამ თამამამ იცოდა, რომ თალიფა უძლური იყო ალიბეგასთან. ცოტათი მოკეთდა თუ არა თამამა, თალიფამ საქინა ისევ დაამწყვდია.

ბაშინი პატარხალი

დასუსტებული და ნაავადმყოფარი ჰასანა დაბრუნდა და თალიფა საქმეს შეუდგა. ქალმა უარი უთხრა და თალიფამ სხვა გზას ძებნა დაიწყო. ჰასანა ბოლოს მიუხვდა მამას წადილს, მიხვდა, რომ საქმე მხოლოდ ქონების ხელში ჩაგდებას ეხებოდა და თანახმა გახდა ქალი ეთხოვნა. სულ ერთია, ეს ქალი თავის ჩვეულ ცხოვრებაში ხელს ვერ შეუშლიდა.

გამბარამ და ჩირახმა შეატყვეს, რომ ამ ბოლო დროს თალიფა თავის მეზობელს კურბან აბბას ოღლის დაუახლოვდა. აქამდე ნახუბრები აყენენ, მაგრამ თალიფა ეხლა ზწირად ელაპარაკებოდა და რალასაც ევაქრებოდა. მეგობრებმა ყურები სცქვიტეს.

გამბარამ ერთ ღამეს კარები გაშაგებით დაუკაკუნა რძალს და გაღება არც კი აკალა, ისე შევარდა ოთახში.

— რა ამბავია, გამბარ!!

— რა და თალიფას ღორობა და მამაძაღლობა. ეს არის ეხლა გავიგეთ. მთელი კვირაა თვალს ვადევნებთ და მხოლოდ ეს არის ეხლა გავიგეთ: სამი თუმანი მოუტია კურბან აბბას ოღლისათვის. იმისი ქალი მორთეს და ეხლა მოლას აჩვენებენ. გოგამ საქინას მაგივრად უნდა უთხრას თანხმობა მოლას, მერე ქებინა დასწერავენ. ატყუებენ კაცს.

თამამამ თავში ხელი შემოიკრა. მართლა კარგი ბერბი უხმარნია თალიფას. საქინა მოლას თანხმობას არ ეტყოდა. ეს იცოდა თალიფამ, ამიტომ სხვა ქალი აჩვენეს მოლას. მოწმეებიც თავისი ხალბი ეყოლებათ, მერე ვინ იცის რას დასწერენ ქებინაში, მთელი ქონება შეუძლიათ ჩაიგდონ ხელში.

— იქნებ ტყულია?—ჰკითხა თამამამ.



— რის ტყუილი. თალიფას რა გაუქირდება? რისა შერცხვება? იქა ჰყავთ ეხლა, მოლაც და მოწმეებიც.

— მოლა გაეაბრთხილოთ.

— დილაზე. ეხლა არ იქნება.

— დილაზე? დილაზედ ყველაფერი მოხდება. — თამამას მსხვილ-მსხვილი ცრუ-მღები წამოსცვიდა.

— ეხლა ვერას ვახდები. ძალადობა არ ვარგა. მოლა მოსყიდული არა ჰყავთ. მოლამ არაფერი იცის. ის არც შენს ჭალს იცნობს, არც კურბანასას.

თამამა ძმასთან გაიქცა და მაზლიც თან გაიტაცა. ჯაფარასაც ვაეგო ეს ამბავი. მშვიდად კი იყო: არა პლეღავდა. თამამას ლანძღვა დაუწყო:

— დედაკაცები სულელები ხართ. კაცი თავის ყისმათს ვერსად წაუთა, მაგრამ ეგ ამბავი მეც ეხლა გავიგე და რაღას მოვასწრობდი. საქინას ყისმათი თუ პასანაა, ჩვენ ვერას ვაგვხდებით და თუ არ არის, თალიფა ვერას ვაიტანს. დილაზე ვაპირებდი შენთან მოსვლას და მოლასაც მოველაპარაკებოდი.

— დილაზე გვიან იქნება!

— არა. ქებინს დილაზე სწერენ. ამ შუალამისას ხომ არ დასწერენ. ამაღამ მხოლოდ ქალის თანხმობას ეძებენ.

— მერე, მოლა დაგვიჯერებს?

— დაგვიჯერებს. ფრთხილი კაცია. ერთი თუმანი და იმისი ჯანი. დაქრთამული არა ჰყავთ მოლა და თუნდაც ჰყავდეთ, რაკი გახმაურდება საქმე, ველარას² იზამს. რა დაამშვიდებდა თამამას? მამა და მაზლი კი არა, მთელი ქვეყანაც რომ შესდგომოდა, ვერას ვახდებოდა.

შინ რომ მოდიოდნენ, მთელი გზა ტირილით გამოიარა, თან მაზლს ეჩხუბებოდა და ჩირაბს ლანძღავდა: რათ დიანება ქალს თავიო.

ჩირაბი კი არ იყო მშვიდად, ის საქმეს აწყობდა და ქალის მოტაცების გეგმა მზადა ჰქონდა. ხელს უწლიდა უიარაღობა და ძმის ავადმყოფობა, რომელიც დახმარებას დაჰპირდა. ერთი თოფი ჰქონდა, მაგრამ ხუთი კაცი აპირებდა წამოსვლას და კიდევ იყო საჭირო თოფის შოვნა. იცოდნენ, თალიფა კარგა იყო შეიარაღებული და მოჯამაგირეები ყველა ყაჩაღები და კაცოკლოები ჰყავდა. მტერი ელოდა მას და მზად იყო. თოფების შოვნა გასჭირდა. ყველას ვერა სთხოვდა, საქმე გახმაურდებოდა.

თამამას ესენი სჯეროდა კიდევ და არცა სჯეროდა. ბოღმა და ბრაზი აღრჩობდნენ. იმისთვის გაუგებარი იყო: იქვე, ორი ბიჯის მანძილზე დიდი დანაშაული და თაღლითობა ხდებოდა, ეს იცოდა ორმა ვაჟაცმა, ორმა მახლობელმა და ვერას ახერხებდა.

— წავიდეთ. ეხლავე წავიდეთ, შევუარდეთ თალიფას, საქმე ეხლავე ჩავეუფუშოთ იმ ღორის შვილს.

— მაზლი ამშვიდებდა.

თალიფას ლიბეს რომ ჩაუარეს ფანჯარაში შუქი დაინახეს. იქ, ზემო სართულში შვილი დამწყვდეული ჰყავდა და ქვემოდ კი იმისი ბედი სწყდებოდა.

ქვემო სართულში მოლა კურბანას ქალს ელაპარაკებოდა.

— თანახმა ხარ, პასიანას ცოლი გახდე?

პირმოპირული ქალი თავსა ჰლუნავდა, გაფითრებულ სხეულს უკანადა.

— დიახ. — უპასუხა ქალმა. — მაშა თავს ედგა და ამისი მხოლოდ აქ ყოფნა იყო საქმარისი, რომ ქალს ტყუილი ეთქვა, შვად კი იყო წამომხტარიყო, ეტირნა, გაქცეულიყო.

— ესენი იქნებიან შენი მოწმენი. თანახმა ხარ? ეკითხებოდა მოლა.

— დიახ.

ერთბაშად ფანჯარაში შუშამ დააეღრიალა. ნამტვრევები ოთახში გადაეცვივდა და ტახტზე გაშლილ ხალიჩაზე გაიფანტა.

თამამა მაზლს გაუსხლტა, კატისავეთ გადაეგლო ღობეს და თალიფას კარებს ეცა. კარები დაკეტილი დაუხვდა. მუშტი ჰკრა ფანჯრის შუშას და ჩაღვწა. შინ მყოფნი შეკრთნენ. ქალმა ტირილი დაიწყო. თამამა კი თავისავე მოქმედებამ შეაკრთო და ხმა ჩაუწყვიტა. გონებაში კი უტრიალებდა სიტყვები: ღორებო, ღორიშვილებო. გატყუებენ მოლავე. — თითქოს არჩევანშიც იყო, რომელი სიტყვა დაეცვირნა. სიძრავემ და სიანჩხლემ სუნთქვა შეუკრეს. ხაურობაზე პასანა გამოეარდა, დაინახა თამამა, მიხვდა ყველაფერს, ერთბაშად წაუჭირა ყელში, ხელი პირზე დააფარა და ფანჯარას ნოაშორა. ქვითინი და ღმუილი თამამასი ერთმანეთში აირია. საქინამ ფანჯარაში გადაიხედა, მაგრამ ვერა დაინახა რა: თამამა სახლის უკან გაატარეს და გააპარეს.

მოლამ ყურები სცქვიტა. იგვები შეეპარა, ხომ არ მატყუებენო. მის წინ მუდომი ქალი კი კანკალმა აიტანა. არ იცოდა რა მოხდა, მაგრამ უცბადემა ხმაურობამ, ჩოჩქოლმა, ერთბაშად ჩაქუმებულმა ყმუილმა, იმის დაშინებული და დარცხვენილი გული აუშვეს და ტირილი დააწყებინეს.

მოლამ საქმეს თავი დაანება, ხელ იყოსო.

— შენ სულ წაახდინე საქმე. — უსაყვედურებდნენ მაზლი და ჩირახი თამამას. — თალიფა ისედაც ბრთხილია და ეხლა თავგევიით დაიწყებს ბრთხილობას. ქალის მოტაცების საქმე გაძნელდება.

თალიფასათვის კი ნათელი გახდა: ვიდრე თამამა არის, მე ჩემს საწადელს ვერ ავირსულებო.

მეორე მარცხი

ისედაც დარდიან საქინას ძილი მოლად გაუკრთა, რაც იმ ღამეს შუშების წკრიალი ვაიგონა მოსვენება დაჰკარგა. დედის ხმა ღმუილით კარგათ იცნო, მაგრამ რა მოხდა ის კი არ იცოდა. ორი დღე ვაეიდა, დედა არ უნახავს. ფანჯრიდან კი ჰხედავს, შორიდან, თამამა ეზოში რომ დადის. იცის, რომ კარგათ არის დედა, მაგრამ იმ ღამის ამბავი მოსვენებას არ აძლევს.

პასიანაც აღარსადა სჩანდა. იმას გული ეხლა სხვაგან ჰქონდა. რაკი რიგამ სისხლი აღინა, ის სისხლი მოსვენებას უკარგავდა. რიგა ტუსალი იყო, მაგრამ პასიანას იმედი ჰქონდა თავდებობით გამოუშვებენ და სისხლს ავიღებო. სოფელ-



ში გული აღარ დაუდგა. ველარც ტუილი ქორწილი მოხერხდა და შეჯერა და ქალაქს გაიპარა.

ებლაც ფანჯარას მისდგომია საქინა და სამშობლო სახლს გააკურებს. ბნელა მის ფანჯარებში. გარედაც ბნელა. შემოდგომის უკვე ცოვი და უმთვარო ღამეა. ხეებს მური გადასხმია, ჩაწვეებული მთელი სივრცე და მწვავი ნიაფი დაჭქრის. უძილო საქინას არა სცივა. გასცქერის ქვეყანას და ბრაზობს. ამ წუთს ყველა და ყველაფერი ეჯავრება, თავისი თავიც, დედაც, ბიძაც, ჩირახიც, რომელიც გაჩუმებულია, არას ვმოქმედებს.

ერთბაშად თუთებში ძალებმა შეჭყეუეს, რალაცას ეძგერნენ და შემდეგ გაიფანტნენ. ესეთი ყუფა საკვირველი იყო: რისა შეეშინდათ ძალებს, თუ რამე ნაძხეს, რალას გაიფანტნენ?

ხეებს შუა შავი შალალი აჩრდილი შეინძრა, შეტოკდა და საქინას ფანჯარისაკენ წამოვიდა. შიშმა ქალი ფანჯარას მიაკრა. რალაც გამოურკვეველი მოდიოდა ჩქარა, თანდათან იზრდებოდა და ხეებს რომ გამოსცილდა, საქინამ შეაკივლა ჩუმიად, სიხარულით და შიშით. ერთი გადახედა მძინარე დედაკაცს ოთახში ყარაულად რომ ჰყავდა და ერთბაშად, ყოვლის მოურიდებლად, ყველაფრისათვის მოემზადა. თვლით კი არა გულით იცნო: ჩირახი მოდიოდა. ცხენდაცხენ მოადგა ფანჯარას და ქალს ხელები გაუწოდა, ისიც გადაწვა ფანჯარაზე, ხელები ვაყის მხრებს დააყრდნო და გაინაბა. ფეხები ფანჯარაში ჰქონდა, ხელები ჩირახის მხრებზე. წუთით სუნთქვა შეეკრა. გული კი ისე უცემდა, რომ ჩირახსაც ესმოდა. ეაქმა წელზე ხელი მოხვია და ცხენი გააბრუნა. ყველაფერი ეს ერთ წუთში მოხდა და უსიტყვოდ.

რამდენიმე წამის შემდეგ უკვე ქალაში იყვნენ.

საქინამ აქ თავისი ბიძა ნახა, ოთხი სხვა ბიჭი და ერთი თავისუფალი ცხენი. უნაგირზე დედის დიდი თბილი შალი დაინახა.

სად წაიყვანდნენ, რას უშადებდნენ, საქინას არ უკითხავს. არც არავის ამოუღია ხმა. ჩუმიად გავიდნენ ქალიდან და მდინარეს გაჰყვეს.

ქალის გულის ცემა წუთებსა სთვლიდა, და ეს გულის ცემა, საფეთქლებში რომ ხმაურობდა, საქინას ახარებდა. საქინამ იცოდა, რაც უფრო მეტს დაჰყრავდა გული მით მეტი დრო გავიდოდა, რაც უფრო მეტი დრო გავიდოდა მით უფრო შორს წავიდოდნენ, უკან რჩებოდა ხიფათი, წინ ბედნიერება მოდიოდა. არხებთან გამზარამ ცხენი შეაჩერა.

— დილაშდგა საქმე ჩირახ! მერე ნუ გეშინიან. რაკი წყალს გახვალთ ვზა მშვიდობიანი გექნებათ. მეც ჩემს საქმეს მივხედავ, დროა.

— გასწი. ეხლა კარგი დროა. მეწისქვილე ბიძაჩემი მზად არის და ყველაფერი იცის.

გამზარამ ცხენი წისქვილისაკენ დააბრუნა.

— სად წავიდა ბიძა? ჩვენ თავი რად დაგვანება? — წიჩორჩოლა ქალმა.

— დიდი საქმე აქვს.

— ამაზე დიდი?

— შენთვის და შენი გვარისათვის ამაზე დიდი საქმეა.

— მიიხარ წისკეილში რა ამბავია.

— მამიშენის სისხლი.— წასჩურჩულა ჩირახმა.

საქინას ეგონა, რაც ქვეყნად ბედნიერება არის, ეხლა. ამ ცივ შემოდგომაში ღამეს ერთად შეკრებილი და ერთად დამესხა თავსაო.

— რა ყოჩაღია ბიძა გაგზარა. მეც ვამიწყო საჭმე და მამაჩემის სისხლსაც გამოუდგა. ამაზე უკეთესი რა უნდა იყვეს: მოტაცებული თავი, აღებული სისხლი.

მამლის ყვილია, თამამა დერეფანში სდგას და წაასულთა გზას გააყურებს. ქალის წაყვანას თავიდანვე ადევნებდა თვალს და ეხლაც არ მოჰშორებია თავის საგუშაგოს. დედის გული შვილის გულის ძგერას შორიდან იმეორებს. თალიფამ ღამეში ორჯერ-სამჯერ იცის გამოსვლა და კარმიდამოს დათვლიერება. ამისი ეშინიან თამამას და ამას ჰყარაულობს. გათენება ჯერ შორს არის, მაგრამ სიცივემ უმატა. დედაკაცს შიშის კანკალი სიცივემ გაუძლიერა, მაინც სდგას. იცის რამეც რომ მოხდეს, ვერას უშველის, მაგრამ ფეხები მიწას მიეკრა და ადგილიდან ვერ იძვრის.

ღობის იქით ხეებს შუა თეთრმა გაიფლავა. თამამამ თალიფას ქულაჯა იცნო. აგერ ხარხებებს მოადგა და დააკეჭრდა. ერთი ხარხა ჩამოგდებულა, დააკეჭრდა, გაასწორა დაფიქრდა.

— ძაღლები რატომ არ სჩანან? გაციფიქრა თალიფამ.

ბის ქვეშ ერთი ძაღლი რალაცას ეგაჯგურებოდა.

— ჰაი!— წიხლი ამოჰკრა მყეფარს. ძაღლმა შეპლრინა, მაგრამ გაიქცა. თალიფა დასწვდა ძაღლის ნაწოლს და ხელში ახლად დაკლული ცხვრის ხორცი მოხვდა.

— საიდან?

მეორე ძაღლი ბედლის ქვეშა ღრინავს. თალიფა პირდაპირ სახლისაკენ წავიდა და საქინას თანჯარას შეხვდა.

თალიფას ღრილმა და ყვირილმა მთელი სოფელი დააყენა ფეხზე, მის ეზოში შეტყარა, მაგრამ გონება არ დაჰკარგა და ყველაფერი ერთბაშად მოისახრა. თამამაც მუხლებში იცემდა ხელებს. ეზოში უყვანი და მოძრაობა იყო. იკაზმებოდა ცხენები. ხალხი იარაღს იხამდა.

უყვანზე და ხმაურობაზე განზარაც აქ გაჩნდა. თალიფას ეს არ გაუყვირდა. ეს მოწყობილი აქეთ გზების ასაბნეველი.

თალიფა იმან ვააკვირვა, რომ ამ ღამეს ადილა სოფელში დაუკითხავად წამოსულიყო ბინიდან და თავის ოჯახში ეძინა. მდეგრის მზადებაში გართული თალიფა ადილსაც უყვიროდა, რად წამოხველი უჩემოდ ცხვრიდანაყო. არა სჯეროდა, რომ სიციხე მისცა იმ დღეს.

მდეგარი გავიდა ყოველ მხრივ საიდანაც კი შესაძლებელი იყო.

თალიფას იმის იმედი ჰქონდა, რომ მალე ვაიგო ქალის მოტაცება. ძაღლებს ხორცის შეჭმა ჯერ ვერ მოესწროთ, ალბად ორი სამი საათი გავიდოდა მეტი არა, გაქცეულები დიდი სიჩქარით ვერ ივლიან, ალბათ უგზო-უკვლოდ მიდიან. ჯერ შორს ვერ იქნებიან წასულნი. მათი მიმართულება კი იცოდა თალიფამ— უახახისაკენ წავიდოდნენ. ასეა მუდამ.

ესა გაფითრებული იყო, თალიფამ გატყუებულს გზა, რომელსაც მხოლოდ დანვე აუტყებდა სროლა. აღილა და სამი მოჯამაგირე გვერდით მიხედვდნენ. ჩირახმა სროლით უპასუხა, საქინამ ერთბაშად ხელი შეუშალა, ცხენი გააბრუნა და მღვერისაკენ გაიქცა:

— თავს უშველეთ არ დაგზოკონ.

ეხლაც ისე მოიქცა საქინა, როგორც მაშინ, როცა საქინა ჩირახს ალიბეგ აღამ გააგდებინა. მაშინაც კარგათ შეაფასა სახიფათო მდგომარეობა და ეხლაც ჩირახს და მის ამხანაგებს ისლა დარჩათ, რომ თავისთვის უშველნათ.

ორი მკვდარი

შუა დღე მოტანებული იყო, როცა დაღლილი ცხენები, გულმკვდარი ქალი და გამარჯვებული თალიფა სოფელში შევიდნენ. სოფლის თავშივე შემოესმათ კივილი და ტირილი. ხალხი მამედ ოღლის უბნისაკენ გარბოდა.

— რა ამბავია მამასახლისო! წუხელის მე ყურადღება არ მომაქციე და ეხლა რამ ჩამოგიყვანა? შიამბა თალიფამ მამასახლისს, რომელიც განქარებული გარბოდა.

— სწორედ შენს საქმეზე ჩამოვედი და აქ სხვა ამბავი დამიხვდა. წუხელის წისქვილში ისას ყელი გამოსჭრეს.

საქინას გული გაუქანდა. ბიძიამ ის საქმე ხომ მაინც მოახერხა თუ ჩემი ჩაიფუშო.

თალიფამ ჩაიკინა. ეს ჰლბად გამბარას საქმეა. განა არა წუხელის, მის ყვირილზე ხალხი პერანგისა და ჩოხების ამირა გამოვიდა, გამბარა კი მთლად ჩაცმული და ცხენიც შეკაშმული ჰყავდა. მავრამ ამის ფიქრისათვის აღარ ეცლა. ან რა მისი საქმეა სხვათა საქმეში ჩარევა. გამარჯვებული მოდის.

საქინას შინ მოყვანამ თამამას გული გაუხეთქა და გამბარასაც.

მისთვის ნათელი იყო, ამას თალიფა მარტო ვერ მოახერხებდა. მწყემსებმა და მოჯამაგირეებმა უშველეს. კარგათ იცნობს გამბარა თალიფას მოჯამაგირეებს: სადაც ყაჩაღი, კაცის მკვლელი და ქურდია, ყველა თალიფას ჰყავს მოჯამაგირედ. აქ არიან გამოცდილი ყაჩაღები, აღი ზეგ აღას მარჯვენა ხელები. თალიფაც ესე უყურებდა საქმეს: პატიოსანი კაცი მწყემსად არ გამოდგება. ესეთი მწყემსი აღას დაუკლავს ცხვარს და შეუქამს, ქურდი მწყემსი კი სხვათა ცხვარს მოიპარავს, აღას ბინაზე მრტანს, თითონაც ირგებს და აღასაც არგებსო—ამბობდა ზოლზე თალიფა.

თალიფას ხმა არ გაუცია არც საქინისათვის, არც იმის დედისათვის მხოლოდ ურემი შეგამბეინა და სადღაც გაგზავნა.

გამბარა ეხლა ორ რამეს ადევნებდა თავლ-ყურს: თალიფას მოქმედებას და უფრო კი იმ ტირილს, რომელიც სადღაც, სოფლის თავში ისმოდა.

ურმის გაგზავნამ ყველანი გააკვირვა.

— გაიგებთ.— უპასუხა თალიფამ გამბარას— ეხლაც ნახავთ ჩვენი ქაქის ბოლოს და სასიძოს კი კაცობას.

თან რალაც სამზადისში იყო. წუხანდელ ამბავს აღარად ავღებდა და არც თვითონ ისვენებდა, არც სხვას ასვენებდა. მოუსვენრად დადიოდა, ხანდისხან სრულიად უახროდ მოქმედებდა და ღარაკობდა.

მოდი, შენი ქალი მნახე, მოგიყვანე.— გასძახა თალიფამ თამაშის, რომელიც გიყვივით მოვარდა თალიფას ეზოში და ქალის მხრებზე კვითინი დაიწყა. ქვეყნათ ყველაფერი დაავიწყდა და შვილის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაამბობს ყურს უგდებდა.

გამბარაც საბუჯე შეშლილი იყო. შავი აღმური ასდიოდა. თალიფას გზოში ხალხი ტრიილებდა და ხალხთან ერთად ისიც სკამში იმ ზორცს, რაც თალიფამ მღვეიარს შიართვა დახმარების სამაგიეროდ. მაგრამ მისი ყურადღება ერთმა პატარა ამბავმა მიიპყრო: თალიფამ თავისი ერთი მოჯამაგირე განზე გაიხმო და ფულუბი მისცა. ბლომად მისცა ფული. გამბარამ წითელ, თქმნიანების ბლუჯის მოპკრა თვალი. მოჯამაგირემ უბეში რომ ჩაიღო.

ნაშუადღევს თამაშის ეზოში ურემი შეიტანეს. ეს ურემი საქინას ოთახიდან დაინახა თამაშამ, გული გაუქანდა და შინ გაიქცა.

ურემზე ადილა ესვენა.

დილას, რომ მაჰმედ-ოღლების უბანში ღრიალი ისმოდა, ის ღრიალი ესლა იქეთ უბანში ვისმა, თუმცა ადილას მარტო ორი დედაკაცი დასტიროდა— დედინაცვალი და დაი.

თალიფა კი დასჭყოიდა საქინას:

ეგე, ნახე რა გიყო შენმა საყვარელმა, ძმა მოგიკლა. ეხლაც გაქვები?

არაფინ იცოდა, სად, როგორ მოკლეს ადილა.

გამბარამ კი თავი ვადიქნია: წელან ნახულმა ფულმა თვალებით აუბილა, მეურვემ დრო იშოვნა ადილა, მღვერად გაიყოლა და მწყემსებს მოაკვლევინა. თავიდან მოიშორა.

ქალის მოტაცების ამბავმა, ადილას მოკვლის შესახებ თალიფასაგან დაგდებულ ხმამ პოლიცია ფეხზე დააყენა და ჩირაბი დაატუსაღეს.

გამბარა კი ისევ ხანჯალს ღესავდა: წუხელის ერთი სისხლი ძლივს აიღო და ეხლა მეორე გაუხდა ასაღები. თალიფას ქურდ და ავაზაკ მწყემსებში გამბარას გაცემულმა ფულმა საიდუმლოებას ფარდა ახადა და ადილას მოკვლის ვკებები გაამართლა.

ყველაფერი გათავდა

ისევ ბნელი ღამე იყო. ისევ ბნელოდა გარეთ. ისევ ბნელოდა საქინას ოთახში, ბნელოდა საქინას გულში. ერთი კვირაა არა სძინებია. გული ისე უძიძის, თითქმის მთელი ქვეყნის დარდი იქ ჩირქად ჩამდგარიყოს.

ქვემოდ მასანასი და თალიფას გამუდმებული ჩხუბი ესმის. მამა-შვილი ჩხუბობს, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღამარაკი ესმის საქინას.

— კანონი! კანონი მე მომთხოვს პასუხს, შენ რა გიჭირს? შეგიძლია თუ შენ თალიფა.

— კანონი მე არ ვიცი, თუ საქმის ვაკეთება გინდა, კანონს აღარ უნდა უყურო.

რას აპირებს მამა-შვილი, საქინამ არ იცის, ის კი იცის, რომ დაეა ისევ იმაზე. თალიფას ოჯახს სხვა სადაო აღარაფერი აქვს.

იმ ღამეს ის კი მოხდა, რის იმედიც საქინას არა ჰქონდა.

კიბის ქურდულ კრიალზე იცნო ჰასანას ფეხის ხმა და როცა ცალთვალა ჰასანა თავზე დაადგა, ქალმა არც კი შეხედა. მხოლოდ რაღაცას ელოდდა. საშინელ სიტყვებს, ცემას. ბევრჯერ გაუგავა ჰასანას ნათქვამი მამასთან: მიბეგვე და დაგმორბილდებო. ეხლა ამისთვის მოვიდა. საქინა იჯდა ტახტზე და დაკვრას ელოდდა. სცემონ, მოჰკლან. ეს ურჩევნია ეხლა ყველაფერს.

ბიძაშვილმა ხელი წაავლო და წამოაყენა. მერე ნიკაბი იფრია და ტუჩებში აკოცა. თამბაქოს სუნი შეეფრქვა ქალს და წვერ-ულვაშმა სახე დაჭაბულა და ზიზღმა დაუღრია, მაგრამ ქალი მაინც არ გაინძრა. თავის ბედის წინ სრულიად გულგრილი იდგა და ბრძოლის არც თავე ჰქონდა, არც სურვილი. საქინა საკუთარ თავს აღარ გეუთვნოდა და ვინ დაიფუღებდა, მისთვის სრულ ერთი იყო. ეხლა ბრძოლა მაინც ვეღარას უშველიდა. თვალ-ყურსაც კი აღარ ადევნებდა იმას, თუ რას უშვებოდა მას მისი სამუდევლი კაცო. პირიქით, თითქოს შველოდა კიდევ, როცა ღილები გაუხსნა და კაბა მბრებზე ააძრო. საქინამ სახელოებში ხელები თითონ ამოიღო. შიშველ მკლავებზე ვაკეაცის თითები შემოეჭირა. მძლავრი იყო ეს მოკერა, თითქოს ძვლებს შეეხო თითები, მაგრამ ქალმა არც დაიკინესა. ისევე ნებისად დაჰყვა ჰასანას ხელების მოძრაობას, რომელმაც მისი ტანი ლოგინისაკენ გადასწია და ქალი ხმაიმოღლებლივ დაწვა. და როცა მამაკაცმა თავისი ჰქნა, საქინას ტუჩებს მხოლოდ გულამღვრეულობის და ზიზღის ცნესა მოსწყდა.

ყველაფერი გათავდა. ამის შემდეგ საქინამ მოლას და მოწმეებს საქორწინო ქალადის დაწერის თანხმობა ერთი სიტყვით განუცხადა:

— დიას.

თამამა მხოლოდ ტიროდა და ვეღარ მოქმედებდა. მთლად დაიღუპა კარგი ოჯახი ფაშისი, აღარაფერი დარჩა თამამას სანუგეშო.

— რა გატირებს დედაკაცი!— ეუბნებოდა გამბარა რძალს—სატირელი ეხლა შენი თავე გაქვს და შენ თავს უშველქ. ის რაც მოხდა, მოხდა... ილაღარებთან ბრძოლა ძნელია.

თამამამ მაზღს შეხედა.

— განა კიდევ შელის უბედურება? რაღა დამრჩა, საიდლან უნდა ვამაუბედურონ?

— წადი გაარიდე თავე აქაურობას. თალიფამ წერილი მისწერა ალი ბეგ აღას და მოტაცებას ვიპირებენ. ალიბეგის კაცები ამ კვირას აქ იქნებიან, შენს თავს უშველე.

უკრძანებელი

თამაზამ ერთბაშად დაჰკარგა გონება. გაიუმდა და ხმამაღლა წაიკითხა: „რად გადავიცილენ ასე ძალიან ფაშას ოჯახს? სულველიაფერი წაიღეს, დახოცეს, შეურაცკვეს. ერთად ერთი ეს ქერიფი ღარჩა, რომელიც ფაშას ხსოვნას გულში ინახავდა და ამის წარუყენაც უნდათ.“

როგორღაც გაუძლიერდა თამაზას წინააღმდეგობის სურვილი. რაც უფრო მეტი იერიში მიჰქონდათ მასზე, მით, უფრო ჯიუტობდა. რომ დაეცლიათ ნებისად რომ ემოკმედათ, თამაზა იქნებ გატეხილიყო და აშდენი უბედურება არ დატრიალდებოდა, ეხლა კი...

დილით თამაზა გომში იპოვეს თავებზე აპეტრიტ ჩამოკიდებულნი.

დანახარული

ხალილოვმა რუსეთ-იაპონიის ომამდე ითარგმნა. წვერი გაუთეთრდა ყაჩაღობაში. სახლი კი ქონებით გაიყვანა. დრო იყო დაესვენა და ნაშოვნით ტკბილად ეცხოვრნა. დროებამაც შეუწყო ხელი. დაიძრა ბორჩალოდან სასუქები, დაქვილი ფულები, ხალიჩები, ამით ყველგან შეატანეს სადაც კი საჭირო იყო. ყველა ამას თან უქვეშევდრმესი თხოვნა გაჰყვა ხელმწიფის სახელზე.

შეცოდება დიდი ბაქეს. მაგრამ კაცი არ მომიკლავს, ხაზინა არ განიკარცეია, მაპატიე ყველაფერი და შენს სამსახურში დაგვდე სულსო. ჩემის ბარჯით წავალ ომშიო — სწერდა ხელმწიფეს. ამ თხოვნას თან გაჰყვა შესაფერი შუამდგომლობანი. ხალილას პრაპორშჩიკის პაგონები დააკრეს და დიდმა ყაჩაღმა შორეულ აღმოსავლეთისაკენ გასწია მდევისა და საშობლოს დასაცავად, მაგრამ ომს ვეღარ ჩაუსწრო. ზაყი ჩამოვარდა. ნაყაჩაღარი დაბრუნდა თავის ქვეყანაში. 1905 წელმა ისევ გააძევა ოსმალეთში. რეაქციამ ისევ დააბრუნა ბორჩალოში. ოკროს ფერ პაგონებს არ იშორებდა, ამავობდა, როგორც ამ პაგონებს ისე თავის სიმდიდრეს. მის წარსულზე ხმის ამოდება კი არაიის შეეძლო.

სეტყვობდა იმდენ ხანს სანამ მის სოფელზე წითელ-ვარსკვლავიანი მუხარადები გაივლიდნენ.

ყველაფერი ამოკვამა. ყველაფერი მოიხნა დიდმა ყაჩაღმა, ხოლო ამ მუხარადების ნახვა ვერ აიტანა.

მისი სიკვდილის ამბავს ბორჩალოში სხვათა შორის ამბობდნენ, სალაპარაკო ეხლა სხვა ბეყრი რამ იყო.

ერთი კულის აზგავი

1.

არცერთ ქულს, რაც უნდა დაძველებული იყოს, ისეთი საბრალო შეხედულობა არ ექნება, როგორც „კატელოკს“.

ბზოს ნაღველით, თავვის მიერ დაღრღნილ ფალსივით, ძაფები გამოშვერილი, გარშემო ოფლისა და მტერის ნარევი ქუჭყის ზოლი.

რბილი ქუდები კი ასეთი როდია. ისინიც, გაგვიხარიათ, ქუჭყიანდებიან, ისრისებრიან, იხვრიტებიან, მაგრამ არაოდეს ისეთი შეხედულობა არ აქვთ, როგორც კატელოკს.

შეიძლება ეს იმიტომ იყოს, რომ რბილ ქუდებს განსაკუთრებული პრეტენზია არა აქვს ელევანტობისა.

ეს ქუდი, რომლის შესაბამაც ახლა უნდა გიამბოთ, დიდა ხნის წინედ, სხვა მრავალ ქუდთან ერთად, პარიზიდან იყო მოტანილი.

მაგრამ მოთბრობა ცუდად დავიწყე.

მაგ ქუდზე ილაპარაკო და სტეპან ხრისტეფოროვიჩი კი დაივიწყო, ეს შეუძლებელია, მეტადრე იმიტომ, რომ ეგ ქუდი მას ეკუთვნის.

ერთი რამ თავიდან არ დაიწყო, არაფერი გამოვა.

პარიზიდან მან, — სტეპან ხრისტეფოროვიჩმა — თან ქუდების, ფეხსაცმელების, აბრეშუმის წინდების, ვალსტუკებისა და ტანისამოსის ისეთი შეწინიერი წყება ჩამოიტანა, რომ მთელს ქვეყანაზე უმდიდრეს მსახიობს შერს აღუძრავდა.

პარიზში რისთვის წაეიდა და იქიდან რისთვის დაბრუნდა, ამას რიგზე მოგითხრობთ.

— რისთვის წაეიდა?

— ეჰ, რა თქმა უნდა, სასწაულებლად.

— რაო?..

— ეგ უკვე სულ ერთია.

ვიდრე პარიზს მივიდოდა, იგი ორ წელს ეპარია გერმანიის ქალაქებში. ექვს თვეს ბერლინში დარჩა, შემდეგში კი გერმანიის ყველა, ცოტად თუ ბევრად ცნობილ ქალაქებში ერთ კვირიდან ოთხ თვემდე იყო. ბერლინიდან ორჯერ ფოტოგრაფიული სურათი გამოგზავნა, ფერადი ლენტით შორთული ქუდითა და იმავე ფერის ლენტით მკერდზე. სურათიც ფერადი იყო, რათა ლენტის ფერები მკაფიო ყოფილიყო.

შინ, მისიანებმა გადასწყვიტეს, რომ ეს უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო და დედა სიხარულით ყველას უჩვენებდა, კვებულობდა, ხეში შეილი საზღვარგარედ სწავლობსო.

მამას კი არა სჯეროდა, რომ იგი რასმე ისწავლიდა, და არც თუ სწუხდა ამის გამო.

დღე, იქეიფოს, ვიდრე ახალგაზრდაა, სულ ერთია, ფილოსოფოსი არ გამოვა. დე ქვეყანა ნახოს, აქ დარჩენით, უსაქმოდ რა უნდა ექნა, იქ უსაქმო ხეტილითაც ადაპიანი რასმე ისწავლისო, — ასე ჭეიქრობდა მამა.

ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სტიოპას, გიმნაზიის მეოთხე კლასში სამი წლის ჯდომისა და ერთი წელაწადიც ქუთუბის ტყეპნის შემდეგ, ნება დართეს საზღვარგარედ წასულიყო.

თვით სტიოპას ცოტა გადაპარბეული აზრი ჰქონდა მამის სიმდიდრის შესახებ.

„ზღვიდან ციკცვით წყლის ამოღებით, ზღვას რა დააკლდებაო“?

ძლიერ გაეხარდა, რომ ბოლოს განთავსუვლდა გიმნაზიიდან.

მართალი რომ ეთქვათ, სწავლა საწყლებიანთისაა საჭირო, რათა ერთი ლუკმა პური იშოვნონ, ამას კი, მადლობა ღმერთს, რა უჭირს? მის მამას ისეთი სიმდიდრე მოუგროვებია, რომ არამც თუ მხოლოდ თვითონ, მეშვიდე თაობასაც შეუძლია უდარდელად იცხოვროს. როდესაც სტიოპამ საზღვარგარედ წასვლის თანხმობა მიიღო, სიხარულით ცას დაეწია.

ახლა, რად დასტოვა გერმანიის უნივერსიტეტი და რად გადასახლდა პარიზს?

მოდით, აქ მეტ ცნობისმოყვარეობას ნუ გამოვიჩენთ, წავიდა, რადგან აგრე ინდომა.

პარიზში რვა წელიწადს დარჩა, ეგ რვა წელი რვა დღესავით გავიდა და მის ხსოვნაში მუდამ წარუხოცელი დარჩება.

სრულიად არ ჭეიქრობდა კავკასიაში დაბრუნებას, მაგრამ ერთს შეენიერ დღეს მამის სიკვდილის დებეშამ აიძულა გამომშვიდობებოდა პარიზსა და სამშობლოში დაბრუნებულიყო: მამის დატოვებულ სიმდიდრეს დაპატრონებოდა.

დარწმუნებული იყო, რომ ძლიერ მოკლე ხნით სტოგებდა პარიზს, ჭეიქრობდა, საქმეები მალე მოეწყო, ბლომა ფულებით დაბრუნებულიყო პარიზში და თავის გემოზე ეცხოვრა, რაც მამის კრიყინგობის გამო ვერ მოეხერხებინა.

მაგრამ სტეპან ხრისტეფოროვიჩს ვერ ელირსა ხელახლა პარიზში დაბრუნება.

2.

— პარიზი!.. პარიზი!..

ბზოდავდა სტიოპა.

დღეები თვეებს მისდევდენ, მაგრამ ის კვლავ აქ იყო.

მამის საქმეები როდი იზიდავდენ. იძულებული იყო ცოტა ხნით გართობილიყო მამის საქმეებით, მაგრამ ესეც მალე მოსწყინდა. სცხვენოდა, „კომერსანტად“ არ გამოეყვანათ: ამა რა ვაჭარი იყო იგი?



ერთავად დედას არწმუნებდა, რომ ყველაფერი გაეყიდნათ და შარხუბს გადასახლებულიყვენ, მაგრამ დედა აუხიბრდა და არ ეთანხმებოდა.

დედა, დეიდები, მამიდები სცდილობდნენ მისთვის ქალი შეერთოთ: ძლიერ მდიდარს, ლამაზ ქალებს ასახელებდნენ, წვეულობას წვეულობაზე უმართავდნენ, აცნობდნენ; ეგონათ, იქნებ ამით მაინც დაფუკავშიროთ იგი ოჯახსა და მგელივით ერთავად ტყისკენ სკერა მოვაშლევინოთო.

მაგრამ იგი ყურსაც არ იბერტყავდა: თვალ წინ სულ პარიზი და პარიზელი ქალები ედგა.

მამის საქმეები მიტოვებული იყო. დედის ხეყწნა, ნათესავების რჩევა ერთი ყურიდან შესდიოდა, მეორედან გამოსდიოდა. რამდენიმე ამხანაგთან ერთად სცდილობდა ამ ნახევრად ველურ ქვეყანაში ცხოვრება ოდნავ ასატანი გაეხადნა.

რამდენიმე ამხანაგთან ერთად მან მოახერხა პარიზის ერთი კუთხე გაეჩინა. განუწყვეტლევ პარიზზე ოცნებით, თვითონაც ვერ გაიგო როგორ ვაყიდა პირველი წელიწადი.

სტიპან ბრისტეფოროვიჩი უანგარიშოდ ხარჯავდა, ამაში არც მისი დები რჩებოდნენ უკან.

ყველანი დიდრონი ციციებით იღებდნენ ზღვიდან, რომელსაც შესავალი მდინარეები აღარ ჰქონდა.

საქმეები ნელ-ნელა შეჩერდა. თანხიდან მიღებული სარგებელი ბედოვლათ ხარჯებს აღარ აკმაყოფილებდა, ისე რომ მალე დაიწყეს თანხის ხარჯვა.

სტიპანამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ სცნო საჭიროდ ცილინდრი სხვა ქულებზე გამოეცვალა. ცილინდრის შემდეგ ყველაზე საყვარელი ქუდი—კატელოკი გახდა, ვიწერივით შავი, უმანკო.

ყოველთვის ელეგანტი, ყოველთვის სუფთა, ამაყად თავდაპერილი გაივლიდა ხოლმე ქუჩაში, არც კი შეხედავდა გარშემო მოფუსფუსე ხალხს. თუ ფეხით იყო, რაც ძლიერ იშვიათად ხდებოდა, ყოველთვის სცდილობდა არაფერ დასჯახებოდა.

როდესაც შეუძლებელი იყო რომელიმე მეორე ხარისხოვანი ნაცნობის მისალმებას მორიდებოდა და იძულებული იყო ხელი ჩამოერთმია, საჩქაროდ ხელს ჯიბისაკენ წაიღებდა და სცდილობდა ხელი შეუშინეველად ცხვირსახოკით გაეწმინდა. როცა თავისი ორსართულიანი სახლიდან გამოვიდოდა, ეტლი ყოველთვის კარების წინ იყო გაჩერებული და შეეტლევ, რაჟი დაინახავდა, თავის ალაგას გაიჭიმებოდა და ბრძანებას არ დაელოდებოდა, ისე შეუტევდა ცხენებს.

ეტლში ორი ხელით ვერცხლისტარიან ჯოხს დაყრდნობილი განუწყვეტლევ მარჯვენით და მარცხენით იჭირებოდა, მიყურებენ თუ არაო. რა მოხდენილი სალაში იცოდა! ქუდთან საჩქაროდ ხელს მიიტანდა, ქუდს შეუშინეველად მალა ასწევდა, მერე, გამოცდილ ჯამბაზივით, მარად ჩამოიწევდა თავზე ისე გაწვრთნილად, რომ გაოცდებოდი, როგორ ახერხებს, რომ ქუდი არაოდეს აუცურდება და, თავზე დახურვის მაგიერ, ან ეტლს არ ახედვრებს, ან ხელიდან არ უფარდებაო.

3.

ერეკლესიის
მეცნიერების

იმ დღიდან, რაც ის პარიზიდან დაბრუნებულიყო, 1914 წლამდე სამმა წელსა განელო. მსოფლიო ომი თითქოს იმიტომ დაიწყო, რომ სტეპან ბრისტეფოროვიჩის პაზიზში დაბრუნების გეგმა სამუდამოდ შეემუსრათ.

ომი ვრცელდებოდა და რამდენი ხანიც გადიოდა, უფრო ვრცელდებოდა და უფრო საშინელი ხდებოდა. არავითარი წინასწარმინობა ომის მალე გათავების შესახებ არ გამართლდა, პირიქით, დღე-დღეზე უფრო ვრცელდებოდა, ენთებოდა და იმედაც არ იყო გამოცენათ რითი გათავდებოდა. ნეტავი როდის დადგებოდა ის დღე, რომ ხალხები შესწყვეტდნენ ერაზმანეთის ხოცვას.

ცხოვრება თანდათან ძვირდებოდა, ფულის ღირსება ეცემოდა.

რუსულ ბანკებში ფულის მქონენი სიღარიბის კარების წინ იღვწნ.

სტეპან ბრისტეფოროვიჩი უიმედო მდგომარეობაში იყო: გრძნობდა, რომ ეს ომი დიდ ხარალს მოუტანდა და ბნელი ფიქრების გასათანტავად დროს ტარება დაიწყო.

მეგობრები ურჩევდნენ, ცდილობდნენ რაიმე საქმისთვის ხელი მოეკიდებინებინათ.

მუშაობის უშველებელი ასპარეზი იყო, ფული ჰქონდა, დეე, ერთს ვისმე ამ ხანავი გაუხდეს, იჯარები აიღოსო.

იმდენი უჩიბინეს, რომ დაარწმუნეს. მის თავშიც შევიდა და ამხანაბი გაუხდა რამდენიმეს. ემ! ძნელი არ იყო მისი მოტყუება, მაგრამ ვიდრე მიხედებოდა, რომ მოტყუებული იყო, დიდი ფული დაჰკარგა. გადასწყვეტა ამისთანა სისულელე კელავ აღარ ჩაედინა.

პარიზიდან მოტანილი ქუდებია ნელ-ნელა ხუნდებოდნენ, ჰეწსა ჰკარგავდნენ და ისეთი ელგანტი შეხედულება აღარ ჰქონდათ,—ხედ ლაქებიც გამოჩნდნენ.

ცილინდრი, როგორც ერთი რამ მეთი ნივთი, მიგდებულა, ხოლო მისი, კოლოფი გამტყვერიაინებული იყო.

ტანისამოსიც ვერ გადაურჩა დროების განადგურების ძალას. ტანსაცმელთან ერთად სტეპან ბრისტეფოროვიჩიც ხუნდებოდა.

4.

მეფისა და დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ სტეპან ბრისტეფოროვიჩის არ სჯეროდა, რომ ბოლშევიკები დარჩებოდნენ, თორემ ის დიდბინის წასული იქნებოდა საზღვარგარედ.

ხედავდა, რომ ტვილისის მდიდრები გარბოდნენ, თვითონაც რამდენჯერმე დააპირა გაეყიდნა ყველაფერი, აეყვანა დედა და დები და წასულიყო, მაგრამ გაქცევის სისულელედ სთვლიდა; გადასწყვეტა, ადგილიდან არ დაძრულიყო და ვალიუტა მოეგროვებინა.

ადამიანი არ იყო, რომ რამე არ გაეყიდნა, გამყიდველსაც ხომ მყიდველი უნდოდა, და სტეფან ბრისტეფოროვიჩი გაჩნდებოდა ეგ მყიდველი.

და გულმოდგინედ ჰყიდულობდა ოქროს, ვერცხლს, ძვირფას თვლებს, ხალებსა და უმთავრესად კი ნავთის აქციებს.

ხელში უკვე ისეთი სანდო ვალიუტა ჰქონდა, რომ ყოველ შემთხვევაში მისი გაყიდვა, როდესაც კი მოესურვა.

გაგზარბიან, იგი ერთ წუთსაც არ დარჩებოდა აქ, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ეგ „ვინდალები“ მოვიდოდნენ.

თვითონაც კარგად არ იცოდა რატომ, მაგრამ სძულდა ისინი.

ბოლშევიკების ამბები მათზე ადრე მოსულიყო და ამიტომ მათზე თქვირც კი შიშა ჰგვრიდა.

— მართლა რომ მოვიდნენ ცულებით შეიარაღებულნი, (მას სხვაფრივ ვერ წარმოედგინა ბოლშევიკები) ყოველისფერს ხომ ფეხქვეშ გასთელავენ, ააოხრებენ.

ისეთს არაჩვეულებრივ სურათებს ხატავდა მისი ფანტაზია, რა თქმა უნდა, არ დარჩებოდა, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, თუ შტაკიცდ დარწმუნებული არ ყოფილიყო, რომ დენიკინი და კოლჩაკი კლდესავით სდგანან. ბოლოს, დამნაქლები—მათი ჯგუფის უფროსები, ყოველს იმათგანს მართო შეეძლო გამოსეკლა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც ჯერ იარაღის ხმარება უნდა ესწავლა... იქ კიდევ ანტანტა... ანტანტა...

რამდენადაც საშინელი უნდა ყოფილიყო მის მიერ წარმოდგენილი ბოლშევიკები, ის მაინც კიდევ მაგრა იჯდა თავის ილაგას: ნთლიანად შეფარებული დიდებულ ლაშქარსა და ანტანტას...

ის ვალიუტას აგროვებდა და დასცინოდა კიდევ იმ შვიშრებს, რომელთაც იმდენი სისულელე გამოიჩინეს, რომ ზღაპრებს დაუჯერეს, მკორე ფასად ჰყიდდნენ ყველაფერსა და გარბოდნენ.

რას თუ ჩენი დიდებული ჯარი გაეტეხნა, ეს ბოლშევიკები ხომ ქვისაგან არ არიან ნაკეთები, ისინიც დაღლილან, გაბეზრებულან. იმათაც უნაბავთ სიკვდილის ელდა, აუტანიათ იგივე ტანჯვა, და დღე დღეზე ცუდს მდგომარეობაში ვარდებიან.

— ტიტველ-შიშველი, მშიერი!.. ადამიანი სულელი უნდა იყოს, რომ დაუჯეროს მაგ სულელ ამბებს.

ფიქრობდა ის და თავის თავს ამხნევენდა.

— მერე, რომ მოვიდნენ?..

— არ მოვლენ, არ შეუძლიანთ მოსეკლა.

უბასუბუნდა თავის თავს, სწრაფად აიღებდა ქუდს, ჯოხს და თავის ორსართულიანი სახლის განიერი კიბის საყუბურებით ჩავიდოდა ბირკაში წასასვლელად.

სარკესთან გაჭერდებოდა. მიიჩანდა ხელს, რომ უღვაშები დაევრიბა, მაგრამ სიცილი უკან დასწევდა, მოაგონდებოდა, რომ რამდენიმე დღის წინედ უღვაშები გაეკრიჭა ამერიკულ ფორმაზე.

თავიდან ფეხებამდე, სარკეში იხედებოდა, კმაყოფილი იღიმებოდა, კატელოკს გაინწორებდა, ნამდვილად კი ცოტა უფრო დაიხრბოდა, თმების ერთ ფუნჯს ვითომ დაუდევრად გაფანტავდა შუბლზე და ქუჩაში გავიდოდა.

რუსულ ბანკებში ფულის მქონენი გაკოტრების პირს იღვენ.

ეპიკური

სტეფან ბრისტეფოროვიჩი კმაყოფილი და ბედნიერეულად ცხოვრობდა. ერთი შორეული ნათესავის რჩევას დაუჯერა და მისი დახმარებით თავისი სიმდიდრე დაიხსნა.

მას ახლანდელი ვალიუტა ჰქონდა, არამც თუ უფასო ქალაქის ნაკუწები. თავმოყვარეობა კვლავ დაუბრუნდა: ხელახლა ილიშებოდა ამასად.

პარიკმახერები, მეეტლეები, სასტუმროს მოსამსახურენი შორიდან დაინახედნენ თუ არა, ღიმილს დაიწყებდნენ, და როდესაც შევიდოდა, ისეთი უნახავი პატივისცემითა და სიყვარულით მიიღებდნენ, რომ იგი უნებურად გულუბებობას გამოიჩენდა.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ეს მისი აზრით, კვიციანი და შორსმკვრეტელი კაცი ასე ბეცი გამოდგა?

ბაჟო უკვე ბოლშევიკებს ჩაეგდოთ ხელში.

ტფილისში მენშევიკური მთავრობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა, უკანასკნელი ღონით უიმედოდ იცავდა თავის მომხიბვლელ ხელისუფლებას.

სტეპან ბრისტეფოროვიჩი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიანდა იყო.

ყველანი ზურზურით ლაპარაკობდნენ, ოთხივე მხრით აღესილი ყურები ეჭირათ. ორი-სამი კაცი რომ გაჩერებულყო ერთი წუთით ქვაფენილზე, მაშინვე მივიდოდა მილიციონერი და ტლანქად უბრძანებდა გაფანტულიყვენ.

სრულიად მოულოდნელად, უცებ ხელადი რომ გარს შემორტყმული ხარ. ვისაც ვინაობის ქალაქი არა ჰქონდა, ანუ საეჭვო პირად ეჩვენებოდათ, იჭერდნენ და მილიციაში მიჰყავდათ.

გაი მას, თუ ვინმე ბოლშევიკის მგზავს იწებოდა, (როგორი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკი და რა იყო ბოლშევიკის მგზავსი, თვითონაც არ იცოდნენ). საკმარისი იყო, რომ ვინმეს ხმაშიღა ელაპარაკა, ან მისი სახე არ მოსწონებოდათ:

— Особный отряд...

ბოლშევიკები ტფილისს უახლოვდებოდნენ, ხალხი ყველგან აჯანყებულყო, შერთებულყო წითელარმიელებთან და ტფილისისაკენ მიდიოდნენ.

ქალაქის მოსახლეობა ძლივს შალავდა სიხარულსა და გულის თანცალთ ელოდა ბოლშევიკებს; მდიდრები კი შეშინებულნი აქეთ-იქით ეხლებოდნენ, შალავდნენ ოქროულს, ძვირფას თევლებს, ხალებს...

ტფილისი, რომელიც ომის განმავლობაში ბელშეუბებელი დარჩენილიყო, დღეს მის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა და სამოქალაქო ომის მოლოდინში იყო.

ფრანგები, ინგლისელები, ანტანტის ყველა წარმომადგენელი სტოვებდა ქალაქსა და ბათომით გარბოდა.

— მაშ საქმე სერიოზულია, რომ ანტანტაც მიდის.

იფიქრა სტეპან ბრისტეფოროვიჩმა და პირველად იგრძნო შიში. მას ისეთი უიმედობა ეწვია, რომ არაფრად ეჩვენებოდა ის აუარებელი სიმდიდრე, რომელიც დღემდე დაეგროვებინა.

— უცებ შეუძლიათ შემოცვივდენ: გაცარცვავენ, ააოხრებენ, ააოხრებენ და ტიტველს ქუჩაში გააგდებენ თითონაც, დედასაც, დებსაც.

კიდევ კარგი, თუ მაგითი დაქაყაყაფილდენ და ცოცხალი დასტოვეს.

ყველაფერი, რაც მის მამას ოფლით, მოტყუებით და ძარცვით, სხვების ყველგვით ათეულ წლების განმავლობაში შეეძინა, რათა შეიღებოს უზრუნველად ეცხოვრათ, (მას რა ენაღლება, მამას რა საშუალებით ჩაეგდო ხელში სიმდიდრე) ახლა იკარგებოდა.

დედა, დები ერთავად საყვედურს უცხადებდენ, რომ ახირდა, თავის დროზე არ წაფილდენ და ამ ცეცხლში დარჩენ.

უფროსმა დამ რომ ინგლისელების წასვლა დაინახა აბატია მოუვიდა, საათობით იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა, მელანქოლიას შეეპარო, ძნელი იყო ცნობა იმ მზიარული უდარდელი ქალისა, რომელიც, გარდა ტანსაცმელისა, სხვა რამისთვის არასოდეს ფიქრით თავს არ იტყვივებდა.

ინგლისელი ოფიცრების წასვლის შემდეგ მისთვის თითქოს სულ ერთი იყო, ვინ მოვიდოდა და რა იქნებოდა...

უმცროსი და კი უფრო ჭკვიანი იყო.

როდესაც ინგლისელები წავიდნენ, ისიც გაპჭრა. მთელი ოთხი დღე ქალაქი გადააბრუნეს, მაგრამ ვერ იპოვეს, დაკარგულიყო. მეხუთე დღეს დაბრუნდა დასიებული, გაწითლებული თვალებით, დედას გულში ჩაეკრა და ჩუმად დაიწყო ქვითანი. ბევრი ეცადნენ, რომ ერთი რამ შეეტყუათ, მაგრამ არ იქნა, დედის ზეწენას ტირილითა და ქვითანით უპასუხებდა.

— დარიშხან!... დარიშხანა მომეცი, დედილო... აღარ მინდა სიცოცხლე.

უფროსმა დამ იცოდა, რომ ის გაპარულიყო ინგლისელებთან ერთად, იცოდა, რომ შეეყარებული იყო, მხოლოდ ის კი ვერ გაეგო, თუ ნახევარ გზიდან რად დაბრუნებულყო და ისიც მაგ მდგომარეობაში.

ერთი-ორი დღის შემდეგ, უმცროსმა დამ უფროს ტირილითა და წყველით უამბო, თუ იმ მაწანწალამ, ვისთვისაც მან ყველაფერი დაივიწყა, როგორ უსინდისოდ მოატყუა.

უამბო, რომ ერთ-ერთ სადგურზე უკანა ვაგონი, რომელიც განსაკუთრებით ქალებისათვის იყო, ინგლისელ ოფიცრების შეყვარებულ ქალებისათვის, ადგილიდან არ დაიძრა და სადგურზე დარჩა. სხა ვაგონები კი რახრახით გასრიალდნენ და თან წაიყვანეს კომედიის ის გონიერი ავტორები... არხენიანდ, ოხუნჯობით დასტოვეს თავიანთა შეყვარებული ქალები და სამშობლოში წაფილდნენ ზოგი ცოლთან, ზოგი დანიშნულთან, ზოგიც შეყვარებულთან; დასტოვეს დროს გასატარებლად დროებით შეყვარებული ქალები, უიმედოდ, ბრაზმორეთული, ისტერიკაში ჩაეარდნალი.

იმ ვაგონში ოთხი სული იყო, ოთხი ახალგაზრდა, ლამაზი განებივრებული ქალწული, რომელთაც დიდხანს არ ესმოდათ, რაც მათს თავზე ხდებოდა, მაგრამ როდესაც გაიგეს, გვიანლა იყო ტირილი; გოდება, ისტერიკა... ვერაფერი ეშველათ და ვატანჯული. განადგურებული დაბრუნდნენ მშობლების სახლში.

ქართული

ამ მდგომარეობაში იყვენ დები. დედა უმწეო, წიწი უმეც და მოსვენება კრუხივით აქეთ-იქით ედებოდა უაზროდ და თვითონაც არ იცოდა რა ექნა.

სტებან ხრისტოფოროვიჩს არ აინტერესებდა არც დედისა და არც დების საბრალო, სამწუხარო მდგომარეობა.

იგი მხოლოდ ერთი ფიქრით იყო ატაცებული, რაც დღე-ღამე მოსვენებას უკარგავდა. სიმდიდრე... სიმდიდრე, კეთილი ცხოვრება შორდებოდა მას, ყველაფერი იკარგებოდა, ქარიშხლის სისწრაფით ანლოვდებოდენ ისინი...

შუა ოთახში იდგა, თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა, თუ როგორ მოხდა, რომელმა ვერა ჰყრა წიხლი, რომ აქ დარჩა. მაგრამ ჯერ იმედი არ გაეწყვიტა, ნისლში ერთი უცნობი, გამოურკვეველი სახე... ერთი იღუმალი ხმა, ყურში წასჩურჩულებდა:

— ყოჩაღად იყავ!.. უბრალო რამეა... ვინ გაბედავს შენ თმას წვეხოს...

მას თვალები დაეჭკიტა, მხედველობას ძალას ატანდა, მაგრამ პირდაპირ სარკეში თავის თავს ხედავდა და ბრაზმორეული წამოხტებოდა და კედლებს ეჯახებოდა.

— შეუძლებელია!.. შეუძლებელია... რა იქნა დენიკინი? სად დაიკარგა კოლჩაკი... მენშევიკური არმია... მერე დაშნაკელები... შეუძლებელია, შეუძლებელია! მათ როგორ შეეძლოთ სტიოპას იმედი დაეთქათ, რა უფლება ჰქონდათ მათ, უმწეო ხალხი დაეტოვებინათ ამ ნადირების ხელში! არა, არა, აქ ერთი რამ არის, რაც თვითონაც არ ესმის. შეიძლება ეს მანება ბოლშევიკების დასამწყვდევად და უკანასკნელ კაცამდე თავიანთ სისხლის ზღვაში დასაბრძოლად. არ შეიძლება, რომ ყველამ თავისი თავი იხსნას და უმწეო ხალხი კი მაგ ცოფიან მგლებს წისკეს პიროში.

ჯარი დაშლილი იყო.

მთელი ღამე მიდიოდნენ.

ნიჰქონდათ ვისაც რისი წაღება შეეძლო. საწყობები და ცარიელებული იყო. სტებან ხრისტოფოროვიჩმა იმ ღამეს ტანისამოსი არ გაიხადა, არ დაწვა, არც დაჯდა: ხაფანგში გაბმულ მგელივით კედლებს ეჯახებოდა.

ტურქიდან შემოსულ ხმებისა მას არაფერი გაეგებოდა, ეშინოდა თანჯარასთან მისულიყო.

— იქნება ბოლშევიკება შემოდინ ქალაქში. ეს რა ხმაურობაა? თითქოს მძიმე ზარბაზნები მიაქეთ...

ზოგჯერ მის ყურს ცხენების ფეხის ბაგი-ბუვი ხედებოდა... თითქოს ათასობით ხალხი გარბოდა ტურაში... მაგრამ გაჩუმებულნი რად არიან? ადამიანის ხმა არ ისმის...

თენდებოდა.

გარედან მოსული ხმები თინდათან მიყრუვდა და ცოტა ხნის შემდეგ შესწყდა.

— რა მოხდა იმ ღამეს? ნუ თუ ბოლშევიკები ქალაქში შემოვიდნენ, თუ მენშევიკების ჯარმა ქალაქი დასროვა?.. იქნებ პოზიციისკენ წაივდნენ... იქნებ მალე გაისმას ზარბაზნების ხმა... შეიძლება ჯერ კიდევ დაიპარებონ და ნება არ მისცენ ქალაქში შემოსვლისა.

ფანჯარას მუხლოვდა, დარაბა ნახევრად გაიღო და ქუჩაში წაქაქაქაობდა. ყველაფერი სდუმდა.

არავეითარი არავეულობრივი. თითქოს ყველაფერი სიზმარში ენახა.

მეპტრის დექნის წინ, ჩვეულებრივ რიგზე იდგენ კაცი, ქალი, დიდი, პატარა...

— გასულელებულან თუ რა?..

— რატომ არ გარბიან, არ იმალებიან?... სჩანს არაფერიც არ არის, თვითონ მოსწვენებია, პალიუტინაცია, თორემ ეს ხალხი ასე არზენინად როგორ დადგებოდა პურისთვის. თითქოს არაფერიც მომზადარა, არაფერი შეცვლილა. იქნებ ჯერ ქალაქში არ შემოსულან, დამარცხებულან და უკან დაუბრუნათ... კარგი, მაგრამ ვინ იყვენ, მთელი ღამე რომ ისე საჩქაროდ გარბოდენ... სჩანს, ჯერ ქალაქში არ შემოსულან... ყოველ წუთს შეუძლიათ ზომ... ეგ სულელები რისთვის დამდგარან აგრე გულგრილად და ელოდებიან ერთ ნაჭერ ტალახის მსგავს პურს? ნუ თუ სულ ერთი არ არის—სიკვდილია წინ მუცელში ერთი ნაჭერი პური იქნება თუ არა?

წუთით ფიქრმა გაუარა, გავლო ფანჯარა და ხმა მალა დაეკვიდა:

— გაიქცეთ! რას უდგებართ... ბოლშევიკები!..

მაგრამ უმაღლე გონს მოვიდა, ფანჯრის დარაბა ნახევრად ღია დასტოვა და დადუნებული დაცა ახლო მდგარ სკამზე. უძილობისაგან, კონიაკისაგან და ნერვიულ ღამის შემდეგ მკვდარივით ფერწასული იყო.

ფანჯრის ნახევრეტიდან სინათლის ერთი ზოლი მოხვდა, თვალები დაბუკა მზის სინათლეზე, უშლიდა ეს სინათლე.

დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში.

უცებ მოაგონდა ქუჩაში პურის რიგზე მდგომი ხალხი და ერთ წუთს თითქოს სიკვდილი მოშორდა მას.

— ტყუილია!.. ზღაპარია!.. რის ცული! რის რა?.. ნუ თუ ისინიც ადამიანები არ არიან?..

ამ წუთას აცრემლილი შემოვიდა დედა, ღელვისაგან თრთოდა, ძლივს ჩურჩულებდა:

— ჩვენები გაქცეულან! ისინი უკვე ქალაქში შემოსულან. დაშა ქუჩიდან მოვიდა, მას ენახა ისინი. დაშა ამბობს, მათ ცულები არა აქვთო.

მენშევიკებს ქალაქი უბრძოლველად ჩაეპარებინათ. გზა და გზა სოფლები იქნა აჯანყებულებიყვენ, შეერთებულებიყვენ წითლებთან და წითელი დროშებით ქალაქში შემოსულიყვენ.

— უუურვ, ქართველებიც არიან წითელ არმიელთა შორას, ყველანი მხიარულად არიან, გლიშებიან, თითქოს დღესასწაულია. არ მესმის! არ მესმის! ეგ დაშაც თვალში სხვანაირად მეჩვენება, მას უნდა ვერიდოთ. ადექი, ადექი, წავიდეთ, ერთი ჩარა უყავთ, უნდა დაემალოთ.

ჭიპნოზიანივით იდგა, თვალები ერთი წერტილისათვის მიეშტერებინა.

— ბოლშევიკები მოვიდენ...

— ცულებით?.. დაუწყიათ?..

— დაშა ამბობს, ცული არ აქვთო. ერენის მოედანზე ^{სტეფან} ხსენებენ, ხალხი გარს შემოხვევიათ, ეკითხებიან, პაპიროსს უთავაზებენ. სიტყვის ამბობენ... მხიარულობენ... თითქოს დღესასწაულია... ადექი! ადექი წავიდეთ, ერთი ჩარა უყოთ... უნდა დავმალეთ.

სტიოპა გაბუმბული, გაოცებული დედას უყურებდა. დედამ მას მკლავი დაუჭირა და შეარყია.

— სტიოპა!..

შეშინებული შერიყა, გონს მოვიდა, აქეთ-იქით მიიხედა, ძლივს წარმო-სთქვა „დედილო“-ო და გულში ჩაეკრა.

— მოისვენე! მოისვენე! გონს მოდი! გულხელდაკრეფილი ჯდომით არაფერი გამოვა, ადექი, წავიდეთ! გათავდა, აღარაფერი გეშველება, დაერჩით! ვეცადოთ მიინც, რომ მავ უღმერთოებმა მშვიერი არ დავტოვონ, ადექი წავიდეთ, რაც გვაქვს და არა გვაქვს სულ დავმალეთ... დაშაც სახლიდან სხვაგან გავხანჯე... თვალში სხვანაირი მეჩვენება, არ უნდა ვენდოთ მას.

სტეპან ხრისტეფოროვიჩის ყელა იმედი, გეგმა პაერში გაიფანტა, წინა-სწარმისნობა შეცდომა გამოდგა და ახლა მომხდარი ფაქტის წინაშე იდგა.

ისინი უკვე ქალაქში იყვნენ.

მას თავი დაეკარგა, ისეთი სიცალიერე იყო მის თავში, რომ არ შეეძლო დამოუკიდებელი ერთი ნაბიჯი გადაედგა.

დედის სიტყვებმა ნექტარის გავლენა იქონია მის ნერვებზე. ერთი რამ იმედი გაუბრწყინდა თავში—იქნება ჯერ უველაფერი არ დაკარგულა. გაიცინა სულელური, ნერვიული მოკლე სიცილით და ისე წამაძლია დაიყვირა, თითქოს პირდაპირი მდგომი ყრუ იყოსო.

— დედა!.. ნუ თუ ჯერ კიდევ შეიძლება? მაგრამ როგორ? სად?..

— შენ წამოდი, მე ვიცი!

ქვემო სართულის ნახევრათ ბნელ მარნებში ჩავიდნენ, დედამ ჯიბიდან ამოიღო სანთელი, აანთო და მისკა სტიოპას ხელში, თვითონ კი მიუახლოვდა კედელთან დაგროვილ უვარგის სახლას ავეჯეულობის ყუთებს, ფიცრის ნაჭრების გროვას და გაჩერდა.

— ეს ყოველი ერთ მხარეს უნდა ვავწიოთ, სანთელი ერთ ილივას დაამაგრე. სტიოპა გაუნძრეველი იდგა, უყურებდა დედას და თავლებს ახამხამებდა.

დედამ მკლავები დაიკაპაწა და საჩქაროთ დაიწყო ნივთების ლაგება.

— სანთელი ერთ ალაგას დაამაგრე და მიშველე, მაგიდა ერთ მხარეს გავწიოთ.

ორივემ სისწრაფით იწყეს ნივთების აქეთ-იქით ლაგება. მალე გამოჩნდა ერთი ნახვრეტი, სადაც კაცი ძლივს გაეტეოდა.

დალლილნი ოდნავ შესდგნენ.

— აი!..

— დედა, დავისხენით, დაიკვილა სტიოპამ და დედას გადაეხვია, მაგრამ ჩაპოცნა, მერე გაიქცა ახლად გაღებულ ნახვრეტისკენ, სანთელი იღო და თავი შიგ შეტყო.

მედიცინული

მის თვალწინ ერთი პატარა სენაკი იყო, არ ვიცი საიდან დაიწყო, მაგრამ ვიცი, რომ შიგ შევიდა, ორი წუთის შემდეგ გამოვიდა სულ შეცვლილი, აღარაფერი უგავდა წელან ნახვრეტში შესულს, შიშისგან ფერწასულ სტიოპას, სახე სიზარულისგან უბრწყინავდა.

— დედა!.. დედა!.. დავიხსენით... ჰა, ჰა, ჰა!.. დე, ახლა მოვიდენ.

ზევიდან ჩამოიტანეს ძვირფასი ნივთები, ორი პატარა ზანდუკი პატოსანი თელვებითა და ძვირფასი ქაღალდებით.

როდესაც ყველაფერი შეაწყეს, ნახვრეტი ავუბრებით დახურეს. ფრთხილად, რომ არავის დაენახა, ერთი ვედრო წყალი მოათრეს, ხელით მიწა მოთხარეს და ტალახი აზილეს. სტიოპა თავის ჭიკოცხელში პირველად ასრულებდა შავ საქმეს, ისე ვართული იყო ამ საქმით, ისეთის აღფრთოვანებით მუშაობდა, რომ ვერც კი შეაჩნნია ტანისამოსის ვასერა, გამტვერიანება, დაჩოქილი, ხელებით, ფრჩხილებით მიწის სათხრიდა და ორმოს ავსებდა, სადაც ტალახი სქელდებოდა. თავდავიწყებაში იყო; ერთის წუთით რომ გონს მოსულიყო, უთუოვ ძლიერ გაუკვირდებოდა და არ დაიჯერებდა, რომ მთლად ტალახით იყო მოსვრილი და კარგიც იყო, რომ ამ თავდავიწყებამ დიდხანს გასტანა.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ნაფოტები, ქაღალდები, ფიცრის ნაჭრები მოაგროვეს ახალგაზღვსი კედელთან და სანთელი შეუწათეს.

ალისგან ვაწითლებულ სტიოპას, თვალები ცრემლით ავსებოდა, ალტაცებით უყურებდა კოკონს.

დედა კი გრძელი ლატანიით ცეცხლს აძლიერებდა.

სტიოპა ალტაცებით უყურებდა თავის დედის ვაშლისგან დაღმეკილ მოღიპარე სახეს.

— დედი, რა მოხერხებული ხარ! მოდი ერთი გაკოცო!..

— მოიცა, მოიცა, სტიოპა, მაგის დრო არ არის.

კედელი სრულიად გახმა და გაშავდა კვაშისგან: სიყალბე დამალა.

სტიოპას ეგონა საქმე დამთავრდაო, მაგრამ დედამ ვედრით წყალი შეასხურა ნაცარსა და ვედრო სტიოპას გადასცა:

— კიდევ მოიტა წყალი... ფრთხილად, დაშამ არ დაინახოს!

სტიოპა ერთის წუთით ვაშტერებული უცქერდა დედას ამ უაზრო მოთხოვნაზე, მაგრამ იმ წუთსვე მიხვდა მომენტის სერიოზულობას და საჩქაროდ გარეუღავარდა.

ხუნვით მოიტანა წყალი, დედამ ნაცარს დაასხა და ფეხებით დაუწყო ტკეპნა, რომ ხანძარი არ მომხდარიყო.

სტიოპამ თავისუფლად ამოისუნთქა.

მაგრამ ამაოდ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ გათავებულყო. დედამ უთბრა, ნივთები კვლავ თავის ალაგას უნდა დაეყარათო.

რამოდენიმე საათში მათ თავიანთი სიმდიდრე მახლობელ განსაცდელისგან იხსნეს.

ახლა საქმე გათავებულ იყო, უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ისე, რომ არავის დაენახა, ეკვი არავის მიეტანა. ამიტომაც, რაც შეიძლებოდა, მტვერი დაი-

ბერტყეს, ტალახი გაიწმინდეს. ერთმანეთის დახმარებით ცოტად დასუფთავდნენ და უსუფთველი სახით ჩუმად გამოვიდნენ სარდნფიდან. ქურდივით აქეთ იქით უწრებით ავიდნენ თავიანთ ოთახებში, ძლიერ შეიკავეს მღელვარება, მღელვარე სამოვარივით რომ მღელვებდა და უნდოდა გარედ გადმოღერილიყო.

7.

როგორ მოხდა, რომ საზღვარგარედ ვერ წავიდა? როგორ მოხდა, რომ ბანკეტში ფულის ღირსება დაეცა? როგორ და ან სად დამალა სიმდიდრე?

ეს ყოველივე კარგად იცით, მხოლოდ ჯერ კიდევ არ იცით, რა მოხდა შემდეგ, როდესაც ის სიმდიდრესა და თავის თავს დახსნილად სთვლიდა.

ძვირფასი ნივთების სარდაფში დამალვის შემდეგ, ის თავის თავს საკმაოდ მშვიდად ჰგონებდა, ისე აღარ ეშინოდა ბოლშევიკებისა, მეტადრე როდესაც გაიგო, რომ ცული არ ჰქონდათ.

გავიდა ბოლშევიკების მოსვლის პირველი დღე, მეორეც, არაფერი, არავითარი ცვლილება მომხდარა, თითქოს დავიწყებოდნენ კიდევ ეს ამბავი და სტიჰოპაც დღე-დღეზე გულს უფრო იმაგრებდა.

სამი დღე სახლიდან არ გამოსულა, ფანჯრების დარბაზების გაღების ნებასაც კი არავის აძლევდა.

პირველი ორი დღე ყოველს უბრალო კაქუნზე თრთოდა, წამოხტებოდა და შეშინებული გარშემო იყურებოდა. ეგონა, შემოცვივდებოდნენ ცულეებითა და არც მუდარას, არც ტირილს შეეძლო მათი გულის მორბილება. უწრადღებდას არ შიატყევდნენ დაიოქილასაც რომ ეხვეწნა, დაეზოგათ მისი სიცოცხლე, წაეღოთ რაც უნდოდით, მხოლოდ სიცოცხლე ერუქებინათ, ხოლო თუ მისი სიკვდილი დაუბრუნებლად გადაწყვეტილი იყო, შეიბრალონ მაინც და მოჰკლან, მხოლოდ უტულოდ.. ხორცი ხომ არ იყო, ან შეშა, რომ ქულით დაეკრათ?

ამ კრიზისმაც განვლო და დადგა ერთი გამოურკვეველი, აპათური მდგომარეობა.

ძლიერ უყვირდა, რომ ასე იგვიანებდნენ, რომ ჯერ ისევ ცოცხალი იყო და დაიწყო ეპვიანობა: იქნებ ტყუილია და ჯერ არც კი მოსულან. ან იქნებ გადაკარბებული ამბებია, რომლებიც მენშევიკებს გაუფრცველებიათ.?

აჰ, ნუ თუ ისინი ადამიანები არ არიან?.. აგრე ვერაგნი, მაგდენად მრისხანე და უწყალო რად უნდა იყვენ?

— გაგებარია, რომ ტყუილია.. სულაც მოკონილია, შეთხზული ამბავია, იქნებ იმათ ხელში უფრო კარგიც იყოს.

თავისთვის ლაპარაკობდა, თავს იმედს აძლევდა, თანდათან კარგ გონებაზე დგებოდა, სახეზე ღიმი გაუჩნდა. მაგიდიდან ერთ სიგარა აიღო. კბილებით წვერი მოპლიჯა და ჩნის დახმარებით ერთ მხარეს გადისროლა. მოუკიდა. რა სურნელოვანია! ჩამდენიმე დღე იქნება, რაც ასე საამური არ ყოფილა.

ამ რამდენიმე დღის განმავლობაში სტიჰოპა გამხდარიყო, ფერი დაეკარგა. ბოლშევიკებისა და სიკვდილის ლოდინში რომ უფრო გაბედვით დახვედროდა.



სიკვდილს, იგი ერთთავად სვამდა, კონიაკის პოთლები მაგრამ წყლის ნაცხით იყო გამწკრივებული.

კონიაკისგან თავბრუ ეხვეოდა, იძინებდა, მაგრამ ვერ ითრობოდა.

სიგარით ხელში რამდენჯერმე გაიარა ოთახის სივრცეზე, სრულიად უნებურად შესდგა გარდერობის წინ. კარადის სარკეში თავისი თავი ვერ იცნო, იმდენად უცხო ეჩვენა საკუთარი სახე: „ნუ თუ ეს მე ვარ“, გაიფიქრა მან, რა დაინახა თავისი აწეწილი თმები, უგალსტუკოდ, თვალმდრისივანი...

მაგრამ ეს მხოლოდ ერთის წუთით, მერე ხელი ჩაიქნია, თავი გაიქნია და გამოერკვა: მოაგონდა რომ ორი დღე იყო, რაც პირი არ დაეხანა, თავი არ დაეგარცხნა, პირი არ გაეპარსა, მერე კარადა გააღო და კვლავ გაუნძრევლად შესდგა. ყველაფერი თავის ალაგას იყო.

არ ფრიაკი, სმოკინგი, ტაკეტი, ფერადი ტაკეტ-ფანტეზი, კოსტიუმები სხვადასხვა ფერისა, ყველას ისეთი მზიარული სადღესასწაულო შეხედულება ჰქონდა, რომ ეგონა ეს უსულო ტანსაცმელები დასციროდნენ, მასხარად იგდებდნენ ასეთი სიმზდალისთვის.

— ნუ თუ კიდევ ეღიბება მათ ჩაცმას?

გაიფიქრა მან და კინალამ ატირდა, თვალები ატყრემლდა და დაღონდა. კარადა დახურა, მიუახლოვდა ფანჯარას, რომლის ნაპრალიდან მზის ერთი სხივი დაცემულიყო შეზღონზე. იქვე ჩამოჯდა.

პირველად მოიგონა ამ საში დღის განმავლობაში თავისი დედა და დები, რომლებიც აუწყრელ მწუხარებაში იყვნენ და მას კი არ შეეძლო ერთი სანუგეშო სიტყვა ეპოვნა მათთვის, რადგანაც თვითონ იმათზე ნაკლებ არ იყო მოდრეკილი, რა ვუყოთ, რომ ის ვაიკაცი იყო!

ერთი გაიფიქრა, ამდგარიყო, მათთან მისულიყო და ეცადა, ოდნავ მაინც გული გაემავრებინა მათთვის, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრულიყო.

8.

ბოლოს მოხდა ის, რისიც ისე ეშინოდა და რასაც ყოველ წუთს ელოდა.

ბოლშევიკები მოვიდნენ.

ოთხნი იყვნენ, ხუთნი, თუ შეიძინა—მას არ შეეძლო ნამდვილად ეთქვა. უყრებდა და ვერ ხედავდა. მისი დაქვეტილი თვალების ბაიები შიშით გაყინული იყვნენ ერთ წერტილზე. არ იცოდა დაეჯერებინა თავის თვალმდრისთვის თუ არა. არც ერთის ხელში ცული არ სჩანდა... იქნებ დაემალათ... არა, არ ჰქონდათ... შეიძლება ცულიანები უკან მოსდევდნენ, მეორე ოთახში იცდიან, რომ პირველი სიგნალის მიცემის თანავე დაეცვენ და დახოცონ.

გავიდა რამდენიმე წუთი, საუკუნესავით მძიმე და ხანგრძლივი.

სტიოპას თვალწინ იდგა რამდენიმე კაცი სამხედრო ტანისამოსით, მათგან მხოლოდ ერთს ეცვა ტყავის ტუფურკა.

სტიოპას ის აღერსიანი ეჩვენა, რომ მათს დანახვაზე გული ცოტათი გაიმავრა, მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა. კვლავ გააცია, როდესაც ძლიერ ზრდილობიანად უთხრეს, სახლი უნდა დასცალოთ, თან უნდა წაიღოთ აუცილებლად

საჭირო და ისიც განსაზღვრული რაოდენობის ნივთები, თეატრის და ეზოს მეორე ბოლოში გაეცალკევებულს ერთსართულიან სახლში უნდა გადახვიდეთო.

როგორ იცხოვროს იმ ოთახში, სადაც ერთ დროს მისი საკუთარი მეეტლე-ცხოვრობდა? თვითონ, დედა, დები იმ ორ საკანში... ეს შეუძლებელია, როგორ დაეტყვიან? კარგი, ერთი სტიოპას, მეორე დედას, დებს კი? სასადილო ოთახი? სასტუმრო? კარგი, სასტუმრო ოთახი საჭირო არ არის, სასადილო ოთახი, ხომ საჭიროა? ხომ არ შეიძლება საწოლ ოთახში ისადილონ?

სტეპან ბრისტეფოროვიჩი ფერწასული იდგა და თვალებს ახამხამებდა, უნებურად იღვებოდა.

ყველა, რაც მის ყურს ესმოდა იმდენად სულელური, იმდენად გაუგებარი ეჩვენებოდა, რომ ეძნელებოდა გაგება, რას სთხოვდნ მას?.. არ შეიძლება მოხდეს, რომ ვაგონილი სერიოზულ რამეს ნიშნავდეს. იქვე რომ მოეკლათ თვითონაც, დედაც, დებიც. ამას ყველაფერს ძლიერ ბუნებრივად ჩასთვლიდა, ხოლო არაბუნებრივად სთვლიდა მას, რასაც ხედავდა, ესმოდა სუნთქავდა. ეგ მოთხოვნა კი, ვაგინარია, რომ ხუმრობაა, მათ არ შეუძლიათ მაგისტანა სულელური რამ მოითხოვონ.

რამდენჯერმე ფერი იცვალა, ამ რამდენიმე წუთში ისე ბევრი იცხოვრა, რომ საკვირველი არ იქნებოდა, შავი გიშერივით თმა სრულიად გასთეთრებოდა, მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა.

ერთი ვაიფიკრა, დაეჩოქა მათ წინაშე, ერთხოვნა, რომ სიციცხლე ეჩუქებინათ, ყველაფერი წაეღოთ, მხოლოდ ხელი კი არ ეხლოთ. ერთიც, მათა ზრდილობიანი, წყნარი ქცევით წაქეზებულს უნდოდა დაეყვირნა. ებრძანებინა, რომ დაეტოვებინათ იქაურობა და თავიდან მოსწყდომოდნ.

ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა ებმებოდა, კერაფერს ამბობდა ადგილიდანაც კი არ იძვროდა.

დედამ სკადა ეთხოვნა, უფროსი და სავარძელში იჯდა, სტიროდა, თავი ვერ აეწია.

უმცროსმა დამ უფრო მეტი გულადობა გამოიჩინა და გაბედვით მძვიდა ტყავის ტუფურკიან ქაბუკთან. ცოტა ფერწასული, ლელვისგან მორთოლვარე ჩააცქერდა თვალეში და უთხრა.

— თქვენი მანდატი?..

— გთხოვთ!.. თქვენი სახლს დაწესებულებებისთვის ვიღებთ, ორი საათის შემდეგ უნდა წახვიდეთ.

— რისი წალემა შეგვიძლია თან?

ტყავის ტუფურკიანმა კაცმა ჩამოსთვალა.

ვიდრე ის ჩამოსთვლიდა, ქალი თანდათანობით რეზინის ბუსტივით იჩუტებოდა, ვიდრე დადუნებული არ დაეცა სკამზე და თავი უმწეოდ ჩაჰკიდა.

დაიწყო ტირილი, ხევწნა, მუდარა, მაგრამ ვერაფერმა ვერა უშველა, ბრძანება იმდენად გადაჭრილი იყო, რომ ყველამ იგრძნო, არაფერი გამოვაო.

ბოლოს სტიოპა მიხვდა რასაც სთხოვდნ და სიხარულისაგან მზად იყო ისტერიულად ეტირნა, ეცინა, რომ არ ჰკლავდნ, მაგრამ უკვებ მებდაცმული-

ვით გაშეშდა... ამ აზრისგან ისეთი ელდა ეცა, რომ სიკვდილზე დასწრებულად უფრო კარგი იქნებოდა მოეკლათ იგი, თუნდაც ცუდი... როგორ შეუძლია დასტოვოს ის სახლი სადაც დამარბულია მისი არსება, სული? რა საკირო იქნება მას შემდეგ სიციოცხლე? ერთხელ რომ აქედან წავიდეს, ნებას ვილა მისცემს სარდაფში ჩასვლისას?

თავბრუ დაეხევა, თვალი დაუბნელდა და შეზღონზე დაეცა.

9.

ჩემი მიზანი არ არის ფეხდაფეხ ვდიო სტეპან ბრისტეფოროვიჩს და მოგიტხოვთ როგორ მიიღწია იმ წერტილს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ დედა ორი წლის შემდეგ მოუტედა, უფროსმა დამ მოახერხა თავიანთ სახლში მყოფ დაწესებულებაში ერთი პატარა სამსახური ეწოვნა. უპცროსი და ინგლისელებთან მომხდარი შემთხვევის შემდეგ, თუმცა ისინიც სძულდა, მაგრამ კიდევ ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ თვითონ სამსახური შეეძლო ეწოვნა ბოლშევიკებთან... არა! ის არასოდეს არ იზამს ამას, თუნდაც მშვიერი ჰკედებოდეს.

მაგრამ უფრო საკვირველი ის იყო, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ერთი მათგანი შეიყვარა და კიდევ გაჰყვა, ხოლო შეფულების შვიდი თვის შემდეგ შეფულე სამართალს მისცეს და სამი წლის ციხე გადაუწყვიტეს.

სტეპან ბრისტეფოროვიჩი კი ერთობ დაპატარავებულიყო და საბრალო გამხდარიყო!

ღის გათხოვებამ კომუნისტზე ცოტათი გაამხნევა. იქნებ მისი საშუალებით სარდაფში როგორმე ჩასულიყო. მაგრამ ჯერ ვერ უბედავდა სიძეს საიდუმლოს თქმას, ვინ იცის, რა კაცი იყო, დე ჯერ დარჩეს.

სიძის საშუალებით ერთი სამსახური მოახერხა, მაგრამ ერთი ორი კვირის შემდეგ ისევ „შეამოკლეს“. რაკი მისი სრული უყარვისობა დაინახეს.

მან რამდენიმე სამსახური გამოიცვალა და ყველგან რამდენიმე დღესა თუ კვირის შემდეგ ისტუმრებდნენ.

თვით სტიობას როდი უკვირდა, რომ დიდ ხანს არ ინახავდნენ სამსახურში. ჩვეული არ იყო არც გონებრივ, არც ფიზიკურ მუშაობას. ისე როდი იყო აღზრდილი... იგი, ერთი მისი შესაფერისი სამსახური რამ ყოფილიყო, მაგალითად, ბანკის დირექტორი, რომელიც მხოლოდ ხელს აწერს წარდგენილ ქალაქებს, ეგ სულ სხვა საქმე იქნებოდა.

დიდ გემს დიდი ზღვა უნდოდა, ის კი პაწია ტაშტში მოეთავსებინათ.

უფულოდ, უსალსროდ თავის თავს აღამიანად არ სთვლიდა, უბედური იყო და დღე-დღეზე უფრო საბრალო ხდებოდა. ხოლო თუ უიმედობისგან თვით მკვლელობას არ მიამართავდა, ამის მიზეზი სარდაფში დამბლული სიმდიდრე იყო; ჰყვირობდა სიძის საშუალებით ამოელო და საზღვარგარეშ გაქცეულიყო.

ეპ, ესეც ასე მოხდა, საბრალო უბრალოდ დაამატიმრეს.

სიძის უბედურების შემთხვევის შემდეგ, ის სიზმარში ხშირად ხედავდა, რომ ბოლშევიკები გაქცეულიყვნენ და ის ხელახლად სახლის პატრინი იყო, აი აქცევს კედელსა და რას ხედავს? სულ ოქროთ, ბრილიანტათ, გადაქცეულა. მუჭებით იღებს, ბრწყყვილა ოქროები სასიამოვნო წკრიალით იბნევა, ოქროს გროვებზე ასობით, ათასობით ნიკოლოზის თავები აღმართულა...

გაიღვიძებდა და ხელახლად იმედს ჰკარგავდა. მთელს ღამეს იმედოვნებდა და ნერვებამშლილი.

ერთხელაც იქნება ეგ დღე დადგება. ესენი ხომ საუკუნოდ არ დარჩებიან? ერთი თვე, ორი თვე, ბოლოს ერთი წელიწადი და დაჰკარავს ხსნის ეამი, კვლავ შედნიერი იქნება, კვლავ მხიარული...

მფიქრობდა იგი, მაგრამ ამ შესაშვ წელიწადია, ისინი მტკიცედ სხედან და წასვლაზე არც კი ფიქრობენ. გარედანაც არავითარი დახმარების იმედი არ არის, თითქოს სველანი დახოცილან და ის სიბრაზით იფურთხება მათ მიმართ რომ ასე ავციანებენ.

მთლად გახუნდა.

თავის თავს თვითონაც არ სცემდა პატივს, სხვისაგან რა პატივისცემა უნდა ჰქონოდა. უფულო კაცი რა კაცია?.. არაფერი! მხოლოდ ერთი დიდი ნულია, უფულოდ მას დაეკარგა ადამიანის შეხედულება, ღირსების გრძობაც სრულიად მომკვდარიყო მასში. როდღია სცხვეროდა დამკვდარიყო კაფეებში და ელოდნა, რომ ვისმე ერთ კიბე ყავებზე, ან ჩაიზე მიებატიენა. სადილის დროს რესტორანში შევიდოდა, თავისუფალ მაგიდას მიუჯდებოდა და ჩასაფრებულ კატასავით უყურებდა შესაველს. და როდესაც ნაცნობს დაინახავდა, თავის გაადევენებდა, ვიდრე ის მაგიდასთან დაჯდებოდა და იმ წუთს გასწორებდა დასრესილ კატელოვს, საბრალო ღიმილით მიუახლოვდებოდა, დაჯდებოდა, მეგობრულად თავს დაბრბდა და წყნარად წასწრჩულებდა:

— შეიძლება დღეს სადილად დამპატიოთ? ვალგადაუბდელი არ დავრჩები.

სადილის შემდეგაც ორ-სამ მანეთს ესესებოდა, მაღლობას გადუხდიდა, ხელახლა დაარწმუნებდა, რომ ვალს მალე გადუხდიდა, სწრაფად იდიებდა კატელოვს და სხვა მიზნით მოსაქმე კაცივით საჰქაროდ გავიდოდა სასადილოდან.

10.

ფუფუნებაში აღზრდილს, თავის სიცოცხლეში გიქირებდა არ ენახა. არ იცოდა რას ნიშნავდა, ერთი რამ მოესურვა და არ შესძლებოდა მისი ასრულება.

უანგარიზოდ ფლანგავდა, ერთ წუთასაც არ ჩაფიქრდებოდა საიდან, რა საშუალებით მოეგროვებინა მამის ამდენი სიმდიდრე. რამდენი კაცის სისხლითა და ოდლით იყო მოგროვილი ის ფულა, რომელსაც ისე ადვილად, ნაკავივით ჰყრიდა ქალაქის თამაშობაში, ქალებზე, დარდიმანდ ამხანაგებთან.

ჯერ კიდევ იმედს არ ჰკარგავდა, ჯერ ისევ სჯეროდა, რომ დაჰკარავდა ხსნის ეამი. ასე ხუნდებოდა თანდათან, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

ერთ დღეს, როგორც იქნა, მოახერხა სარდაფში ჩასვლა, და სიხარულით კინალამ გასცა წინინდა საიდუმლოება. სამალაფი შეუმჩნეველი იყო ბოლშევიკების გამოკვლევე თვალთაგან და დარწმუნებული იყო, რომ ერთ დღეს ხელში ჩაიგდებდა. გულის სიღრმეში იღიმებოდა და ელოდა მათ წასვლას.

მენშევიკების დროს, მართალია, ის არ იყო, რაც მეფის დროს, მაგრამ კიდევ იყო დიდება, ხოლო ამ „გამოუსადეგარა“ ყოფა ყოველ ზომის გადასცილდა.



* * *

უკვე შეიძლება წელაწილი ვასულყო, მაგრამ ბოლშევიკები ისევ აქ იყვნენ და სტეპან ბრისტეფოროვიჩის აღარ სჯეროდა მათი წასვლა...

იგი უკვე შერიგებოდა თავის ბედისწერას.

ყოფილ სტიოპას აღარ ჰგავდა: საღ წივიდა მისი შიკი, მისი სიამაყე, იმ სტიოპასი, რომლისთვისაც სხვები მუწაობდნენ, ფუსფუსებდნენ მის ფეხებზე და მას შეეძლო თავის სურვილისამებრ გაეთელა, გაენადგურებინა ისინი.

სტეპან ბრისტეფოროვიჩს ისეთი საბრალო შეხედულება მიეღო, რომ არავითარი შედარება აღარ შეიძლებოდა ყოფილ სტიოპასთან: წინაღობა რომ ეზინოდა ქუჩაში არავის მოხვედროდა და არ გაეკუჭყიანებიათ, ახლა ისე გაკუჭყიანებული, გაგანგლული იყო, რომ ყოფილი ნაცნობები მისგან მობეზრებულნი იყვნენ, პირს არიდებდნენ, მაგრამ მას არ სწყენდა, არ შეეიღო, ნება არ ჰქონდა სწყენოდა, რადგანაც მდიდარი აღარ იყო. უფულო კაცი კი ხომ კაცი აღარ არის, არამედ ერთი რაღაც ქვემძრომი, რომელსაც ერთგვად ძრომით უნდა ეშოვნა თავისი საზრდო; და ისიც დასცოცავდა, იღინებოდა, თავს უჭონავდა, ელატუტებოდა, რომ სიმშლით არ მომკვდარიყო.

თავის დროზე რომ საზღვარგარედ გაქცევა ვერ მოახერხა, გაგინაბიან, თუ სკოდნოდა, რომ ამ დღეში ჩაჯარდებოდა, თავს მოიკლავდა, მაგრამ იმდენად შიშვედ, იმდენად შეუშინებლად მობდა ეს ცკლილება, რომ ვერ შეამჩნია როგორ მივიდა ყოფილი სტეპან ბრისტეფოროვიჩი იმ მდგომარეობამდე, რომ მოკრუნჩხული, დაჩხვლეტილი კატელოკით ყურებამდე ჩამოუხატული, საათობით იჯდა ხოლმე ბუღვარზე და აღარც ოცნებობდა, აღარც პეტიქრობდა, აღარც სწუხდა... იჯდა, მზის სხივებით ბრფედებოდა და იკვებ იძინებდა.



საქართველოს
ქვეყნური ბიბლიოთეკა

ტკივილია მღვთისმადობა
უპოვო ტკივილია

ეკლექტიზმის ახალი სახე

(პროფ. შალვა ნეტყბიძის ალეთოლოგიის გამო)

პროფ. ნეტყბიძე გამოდის ფილოსოფიურ აზროვნების წინაშე „ახალი“ სისტემით. მისი „ალეთოლოგიის საფუძვლების“ პირველი ნაწილი—ქეშმარიტების პრობლემა—წარმოადგენს პირველ ნაწილს „მთელი რივი გამოკვლევებისა“, რომელთაც ვეპირდება ავტორი¹⁾ და რომელთა მიზანია „აზროვნების ყოველმხრივი შესწავლა“. საუბედურთა, ჯერ ვერ ველირსეთ სხვა ნაწილებს იმ გრანდიოზულ თხზულებისა, რომლითაც უნდა იქნას ჩამოყალიბებული ეს „ახალი სისტემა“. რასაკვირველია, დაპირებული წრომები რომ გამოსულიყო, ჩვენ ვიქნებოდით უფრო ხელსაყრელ პირობებში, მაგრამ, რამდენაი „ახალი“ მსოფლმხედველობის პრინციპული მხარე ჩვენის აზრით გაშუქებულია თხზულების ზვე გამოსულ ნაწილში—შესაძლოთ მიგვაჩნია იმის მიხედვით მთელი მიმართულების შეფასება. გარდა ამისა, მთავარი აზრი „მეცნიერების თეორიისა“ უვე გაშუქებულია ერთ უწინდელ ნაწარმოების უკანასკნელ თავში²⁾.

წარილის ჩარჩოები არ გვაძლევენ საშუალებას, დეტალურად ვაჩერდეთ სხვადასხვა მოაზროვნეთა „ალეთოლოგიაზე“ გაუღენის საკითხზე, აქედანვე აღვნიშნავთ, რომ ალეთოლოგია ყველაზე ნაკლებ ორიგინალურ აზრებით და პრინციპებით ხასიათდება. ის შეადგენს სხვადასხვა მოწინააღმდეგე პრინციპების მექანიკურ შეერთებას და ამდენად ღებულობს გარკვეულ ეკლექტიკურ სახეს. როგორც ავტორი აღნიშნავს, „მეცნიერების თეორია“ წარმოადგენს უმთავრესად ბოლცანოს აზრების გადაღავებას და ააალ ინტერპრეტაციას³⁾. ჩვენ ვფიქრობთ კიდევ, რომ „ალეთოლოგიაზე“ ბოლცანოს ვაგლენა მიღებულია Nusseri-ის გზით. ამ საკითხსაც რამოდენიმედ უფრო ახლო ჩვენ შევცებით ქვემოთ. ჩვენი უშუალო მიზანია, ავტორის პრინციპების შინაგანი ლოგიკური კრიტიკა. რამდენად ჩვენ სავსებით ვიზიარებთ დიალექტიკურ მატერიალიზმის პოზი-

¹⁾ „ალეთ. საფუძვლები“—წინასიტყვაობა.

²⁾ პროფ. ნეტყბიძის გერმანულ წიგნს ჩვენ აქ არ ვიხილავთ, რადგან ის მის „ალეთოლოგიის საფუძვლებთან“ შედარებით ახალს არაფერს შეიცავს.

³⁾ იხ. თავი VIII ხსენებ. პრობისა „Теория истины и теории науки“. Вопр. фил. 117 стр. 151 и след.

⁴⁾ Том-ли стр. 169.

ციას, პრინციპული კრიტიკა, რასაკვირველია, უკანასკნელის მიხედვით უნდა იქნებოდეს მთლიანი. მკითხველი იშვიათად შეხედება ამ წერილში დიალექტიურ მატერიალიზმის პრინციპების და დებულებების პოზიტიურ დაღივებას. ამდენად ჩვენი ამოცანა უმთავრესად ნეგატიურია. მაგრამ ცხადია, რომ ყოველგვარი კრიტიკა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ თვალსაზრისის მიხედვით. მასთან აღვნიშნავთ, რომ თხზულების საინტერესო და უმრავლეს შემთხვევაში სწორ კრიტიკულ ნაწილზე ჩვენ ვერ გაჯერდებით—ჩვენ გვიინტერესებს თვით ავტორის შეხედულება პოზიტიურ ფორმულიროგავაში—რა თქმა უნდა, ამ წერილს სრულებით არა აქვს სისტემატიური კრიტიკის პრეტენზია, რაც მოითხოვდა უფრო ვრცელ გამოკვლევას „ალეთოლოგიაში“ აღძრულ საკითხების სამრავლის გამო. ამ წერილის ამოცანაა „ახალი“ თეორიის უმთავრესი დებულებების გარჩევა, რამაც უნდა ცხადპყოს მისი ეკლექტიური და იდეალისტური ხასიათი).

რასაკვირველია, ჩვენთვის სავალდებულო არ არის ავტორის აზრთა თანმიყოლილების დაცვა და თუნდაც ეს სავალდებულო იყოს, ჩვენ მაინც შეუძლებლათ მიგვაჩინოა, ვინაიდან საქმე გვაქვს პრობლემების ისეთ შერევისთან, რომ მთელი წიგნი წარმოადგენს კალიდოსკოპს, სადაც არც ერთ პრობლემას არ უკავია თავისი განსაზღვრული და საბოლოოდ გარკვეული ადგილი. მიუხედავად ამისა წიგნში გატარებულია გარკვეული თვალსაზრისი, რაც მას აძლევს სისტემატიურ ხასიათს და რაც ჩვენც გვაძლევს საშუალებას მთლიანი კრიტიკისა.

ჩვენ თავიდანვე გვიინტერესებს, თუ როგორ ირჩევა ობიექტიური რეალობის პრობლემა, რამდენათ ამ პრობლემის გადაჭრის მიხედვით ხასიათდება ყოველი ფილოსოფიური მიმართულება. პირველი შეხედვიდან მკითხველი იფიქრებს, რომ ნუსტებიძე ამტკიცებს ობიექტიურ რეალობას. ის აცხადებს მაგალითად, რომ „ქეშმარიტების აზროვნებიდან გამოყვანა არ შეიძლება, რადგან იგი სინამდვილესთანაა დაკავშირებული; მაშინ სინამდვილეს აზრიდან უნდა აშენდეს. ასეთი ცდა... უნაყოფოდ უნდა გათავდეს“...¹⁾ თვით ქეშმარიტების ბუნებას ავტორის გაგებაში ჩვენ ქვემოთ შევხებით—აქ კი აღსანიშნავია, რომ ავტორის შეხედულებით „სინამდვილის აზროვნებიდან გამოყვანა უნაყოფოდ უნდა გათავდეს“. ამით თითქოს გამოხატულია სინამდვილის აზროვნებისაგან დამოუკიდებელი არსებობა. თვით ავტორი თავის შეხედულების უწოდებს რეალობის, მაგრამ საჭიროა შემდეგი განმარტება, თუ როგორია ეს რეალიზმი. მოუსმინოთ, ავტორის განმარტებას: „...ჩვენი შეხედულება რეალისტურია, რამდენად არსებული ქეშმარიტებაა და ქეშმარიტებაც არსებული, მაგრამ იგი არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ანუ დოგმატიურ რეალიზმისაგან, რადგან ჩვენ ვამტკიცებთ არა არსებობას საზოგადოთ მის დაპირისპირებაში ცნობიერებისათვის (პ. შ.), არამედ ქეშმარიტების არსებობას, ე. ი. ჩვენ

¹⁾ ჩვენ არ გვქონია საშუალება გავცნობოდით ბაქრაძის წერილს ალეთოლოგიის შესახებ. მოთაყვებულს „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში. მაგრამ როგორც ვიცით, თვით ბაქრაძე არ დგას მარქსისტულ პოზიციაზე და ამდენად მისი შეფასება ტენდენციური უნდა იყოს.

²⁾ „ალეთ. საფუძ.“ გვ. 6.

ემტიყებთ არსებულის არაქვეშმარტად (პ. შ.), არამედ ქვეშმარტებად არსებობას. ამიტომ ჩვენი რეალიზმი ალეთთლოგიაური რეალიზმი¹⁾. აქედან სჩანს, რომ ვინც ამტიყებს „არსებობას საზოგადოდ მის დაპირისპირებაში ცნობიერებისათვის“ ე. ი. უფრო გარკვეულად რომ ითქვას, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ არსებობას ის, ნუცუბიძის განმარტებით „დოგმატიური რეალისტიკა“. უკანასკნელი წოდება ავტორისთვის „მატერიალიზმის“ სინონიმი, უნდა იყოს, რადგან სწორეთ მატერიალიზმი ამტიყებს ყოველგვარ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ არსებობას. ჯერ-ჯერობით ნუცუბიძის მიერ „ნაწყენი“ მატერიალიზმი განზე დავტოვოთ, და უფრო ახლო გავიაჩიოთ, თუ რას წარმოადგენს არა დოგმატიური „ალეთთლოგიაური რეალიზმი“. უკანასკნელი, ავტორის მოწმობით, არ ამტიყებს სინამდვილის ქვეშმარტად არსებობას, არამედ მის ქვეშმარტებად არსებობას, ე. ი. ქვეშმარტების არა რეალურ, არამედ იდეალურ არსებობას. ეს არის უძველეს ჩვეულებრივ იდეალიზმის ბოლცანოს და ჰუსერლის ტერმინებით გამოთქმა. იდეალიზმი, პლატონიდან დაწყებული სულ იმას ამტიყებდა, რომ გრძნობის მისაწყდომ სამყაროს იქით არსებობს სინამდვილე—ქვეშმარტება. რაც შეეხება ობიექტობას იდეალიზმის თვალსაზრისით, რასაც, სხვათა შორის, ნუცუბიძეც ამტიყებს,—უნდა ითქვას, რომ უკანასკნელის (ობიექტიობის) დაშვება არის ძირითადი პრინციპების დარღვევა, ლოგიკური გადახტომა. „ობიექტიური“ და „სუბიექტიური“ იდეალიზმის გამოსავალი პრინციპი ერთი და იგივეა—ობიექტის და სუბიექტის გაიგივება სუბიექტის ნიადაგზე. უფრო მარტივათ რომ ვთქვათ, სუბიექტიურ იდეალიზმს გარდაიქვს მთელი არსი სუბიექტში, [„მე“-ში, ან „ჩვენ“-ში) ობიექტიური იდეალიზმი კი პირიქით „სუბიექტს“ უსაზღვროთ აფართოებს და აცხადებს სამყაროს შინაარსად²⁾. ლოგიკურად უფრო კანონიერი იდეალიზმი, თუმცა ლოგიკურ თანამიმდევრობის დაცვით იგი იძულებულია მივიდეს სოლიპსიზმის ჩიხში.

მატერიალიზმის თვალსაზრისით სინამდვილე არის დამოუკიდებელი ყოველგვარი სუბიექტიდან, ის არის თვითარსი ამ სიტყვის აბსოლუტურ მნიშვნელობით, ის არის, როგორც იტყვადს პინოზა, „causa sui“ შემცირებისაგან დამოუკიდებლად აღებული ის არ არის არც ქვეშმარტება და არც არა ქვეშმარტება. ქვეშმარტება, როგორც ასეთი, განიმტიყების სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში, უფრო სწორეთ, შემეცნების და მისი ობიექტის დაპირისპირებაში, შემეცნები-

1) „ალეთთლოგიის საფუძვლები“ გვ. 14.

2) „ალეთთლოგია“, როგორც თვით ნუცუბიძე აღნიშნავს, მას აქვს გადმოღებული დანბერტისაგან.

3) ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია ტელიორის ახრი იმის შესახებ, რომ იდეალისტურ ფალსოფიას კავშირი აქვს პირველყოფილ ანიმიზმთან, რომელსაც პლენანოვი აძლევს უფრო გარკვეულ განმარტებას. იმ. ამის შესახებ: А. Деборн, „Введение в философию диалектического материализма“, ГИЗ М.-И 1933—Предисловие Психолога стр. 9-10 и сл.

სიგან დამოუკიდებლად აღებულ სინამდვილის „ჭეშმარიტებებს“ და „ჭეშმარიტებებს“ თერმინებში გამოხატვას აქვს გარკვეული იდეალისტური მხარსი. 1) ამას უფრო ნათლად დაეინახავთ „თავის-თავად ჭეშმარიტების“ გარჩევის დროს. ამდენად „ალეთოლოგიური რეალიზმი“ იგივე იდეალიზმიცაა, მხოლოდ იდეალიზმი თავისებური, რომლის კონკრეტი დახასიათება შემდეგში იქნება.

რამდენად უმართებულოდაა მიჩნეული არსებობის ცნობიერებისათვის დაპირისპირება, — იმდენად უმართებულოდ მიჩნია ნუცუბიძეს შეშეცნების პრობლემის სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში დაყენება. ეს აზრიც ბოლცანოს და განსაკუთრებით ჰუსსერლის შემდეგ ახალი არ არის. განვიხილოთ ჯერ, თუ როგორ სჭირს ავტორი სუბიექტ-ობიექტის მიმართების საკითხს. რაც შეეხება შეშეცნების პრობლემის სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარეშე დაყენებას, ჩვენ ქვემოთ დაეინახავთ, რომ რამდენად ეს საზოგადოდ შეუძლებელია, ნუცუბიძემაც ვერ შესძლო მისი დასაბუთება და ისევე დაუბრუნდა სუბიექტ-ობიექტის მიმართებას, თუნცა უფრო უბირო ფორმულიროვნაში.

„მე“ და „არა მე“ კორრელატი ცნებებია... მათი დაპირისპირება, როგორც არსის ნაწილების — ონტოლოგიურია 2). აი სწორედ ეს ონტოლოგიზაცია სუბიექტ-ობიექტის მიმართებისა, ჩვენ მიგვანია სრულიად უმართებულოდ საკითხის ასეთ დასმავში. თუ იქნა დაცული ლოგიკური თანამიმდევრობა, — აუცილებელია დუალიზმი, რომლის ნიადაგზე შეუძლებელია შეშეცნების შესაძლებლობის დასაბუთება3); მაშინ ობიექტიურადაც უნდა არსებობდეს სუბიექტი და ობიექტი, იქნება თუ არა ეს დეკარტეს მატერიალური და სულიერი სუბსტანციების გამოხატულება, თუ პლატონის იდეების და გრძობის საწყაროს მიმართება, ან და კიდევ არისტოტელეს ფორმის და მასალის, აკტუალობის და პოტენციის მიმართება4). საკითხის პრინციპიულ ასახებას ოდნავადაც არ სცვლის. ჩვენ ქვემოთ დაეინახავთ, რომ ნუცუბიძე უთუოდ ვერ ასცილდა ასეთ დუალისტურ გზას. არის კიდევ მეორე გზა: ონტოლოგიურის ელლიმინაცია. ნუცუბიძე, რომელსაც საუბედუროდ ნაკლებად ახასიათებს თანამიმდევრობა, ამ გზასაც ადგია. ამის გამოხატულებაა სუბიექტ-ობიექტის კორრელატივობა, რომლის თვალსაზრისით არა მარტო სუბიექტი განიმტკიცების ობიექტის მიმართ — პირუკუც, ობიექტიც განიმტკიცების სუბიექტის მიმართ.

1) ამის საილუსტრაციოთ შეგვიძლია თვით ბოლცანოს აზრი მივლენათ. ბოლცანო ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება არის მიმართებითი ცნება და მისთვის ჭეშმარიტება თავისთავად, ე. ი. შეშეცნების სუბიექტისაგან დამოუკიდებელი, დეტალებზე ცნობიერებას შეადგენს. აგრეთვე ჰუსსერლმაც იძულებული დაუშვას დეტალები ცნობიერება, როგორც მისაზღვრე (пределное) ცნება. იხ. ამის შესახებ III. НУСУБИДЗЕ „Вопросы и теория науки“, Вопр. филол. наук, 1913 г. т. II, с. 75. საზოგადოთ ამ შრომაში ნუცუბიძე მეტად გულმოდგინედ იბრძვის ბოლცანოს ნააზრევის იმ ადგილების წინააღმდეგ, სადაც „его мышление испытывает неуклонное стремление к реализму“. იხ. იქვე Вопр. филол. наук, 1913 г. т. II, с. 93.

2) „ალეთ. საფუძვე.“ გვ. 59, 60.

3) ამ საკითხს უფრო სწორად შეეხებათ შეშეცნების ბუნების გარჩევის დროს.

4) რა თქმა უნდა, ჩვენ ოდნავადაც არ უარვყოფთ მათ შორის განსხვავებას და მათ თავისებურებას. აქ ჩვენ შედეგობაში გვაქვს მხოლოდ პრინციპიული მხარე.

ქტის მიმართ. საკითხის ასეთი გადაჭრა გამოხატულია ავენანტის (საქართველო) წ. „პრინციპიალ კოორდინაციაში“, რომელსაც ნუცუბიძე აშკარად ეთანხმება 1).

საკითხის ასეთ გადაჭრის ჩვენ იმიტომ უწოდებთ ონტოლოგიურის ელლი-მინაცია, რომ ამ თელსაზრისით ობიექტი კარგავს თავის უმთავრეს დახასიათებას—ყოველგვარ სუბიექტისაგან დამოუკიდებლობას. ამიტომაც იყო, რომ ლენინმა დაახასიათა ავენარიუსის „პრინციპიალი კოორდინაცია“, როგორც სუბიექტიურ იდეალიზმის ერთ-ერთი სახე 2). საკითხის სწორი გადაჭრა სხვანაირია. სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება გნოსეოლოგიურია და არა ონტოლოგიური. სუბიექტ-ობიექტი იხსნებიან აბსოლუტურ ობიექტში. რადგან ონტოლოგიურათ არსებობს ერთი სინამდვილე. შეშეცნების სუბიექტი იგივე ობიექტია, რამდენად ის შეადგენს არისის ნაწილს. აქედან ოდნავიდაც არ გამომდინარეობს, რომ ყოველი ნაწილი არისისა წარმოადგენს შეშეცნების სუბიექტს, „სუბიექტია“ მხოლოდ უმაღლესი ფორმა მატერიალ არსებობის ორგანიზაციისა. ადამიანი თავის უმთავრეს დახასიათებით — აზროვნებით, რაც წარმოადგენს შედგეს საწარმოო პროცესის განვითარებისა 3). ადამიანის „შე“-ობა, სუბიექტიობა არ არის სულიერი არსება ამ სიტყვის მეტაფიზიკურ სუბსტანციულ მნიშვნელობით. სულიერი არის შინაგანი მდგომარეობა უმაღლეს ფორმის ორგანიზაციის მოძრავ მატერიისა, როგორსაც წარმოადგენს ადამიანის ნერვულ-ტვინიერი ორგანიზაცია. ობიექტიური სინამდვილე, რა შხრითაც არ იყოს იგი გამოკვლეული, არ იძლევა სულიერის წარმოდგენას—საზოგადოთ სულიერის წარმოდგენა არის ანალოგია ადამიანის არა სწორად გაგებულ შინაგანი არსებისა და ამდენად მართალია ყოველგვარ იდეალიზმის პირველყოფილ ანიმიზმთან კავშირი, რასაც ზემოდ აღვნიშნავდით 4). აქედან ცხადია, რომ სუბიექტ-ობიექტის დაპირისპირება არის სხვანაირი გამოხატულება საზოგადოთ აზრის და არისის, სულიერის და მატერიალურის დაპირისპირებისა, ე. ი. ენგელსის სიტყვით იმ დიად საკითხისა ყოველ ფილოსოფიისათვის, რომლის მიხედვით ხასიათდებიან სხვა და სხვა ფილოსოფიური მიმართულებანი 5).

1) იხ. „ალუთ. საფუძ“ გვ. 59.

2) Ленин. „Материализм и эмпириокритицизм“, собр. соч. т. X стр. 49, 50 след.

3) ამ მეტად საინტერესო საკითხზე აზროვნების წარმოშობის და განვითარების შესახებ ჩვენ დეტალურად ვერ ვაჭერდებით. ავღენიშნავთ მხოლოდ, რომ ეს საკითხი პოულობს მეტაფიზიკურ განმარტებას მხოლოდ მარქსიზმში. იხ. ამის შესახებ: Маркс и Энгельс „О Feuerbach“, Архив Маркса-Энгельса. Москва 1924 г. кн. I, в особенности стр. 220—221.

4) რა თქმა უნდა, ჰეგელის აბსოლუტურ იდეას, ჰუსსერლის „Dasein“-ს, ან და მალე ნუცუბიძის სინამდვილის „თეოლოგიურ აზრს“ არა აქვს არავითარი უშუალო მსგავსება ჩამორჩენილ ადამიანთა „სულიერ არსებებთან“ და პაწია „ღუთაებებთან“, მაგრამ მარქსიზმის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მათ შორის კავშირის ძალი გვაგვათ.

5) იხ. Ф. Энгельс „Людвиг Фейербах“ Русск. перевод Плеханова, изд. „Кр. Нов“. 1923 г. Москва стр. 41. საზოგადოდ უნდა აღინიშნას, რომ მატერიალისტები და ყოველი მარქსისტები, ნუცუბიძეს არც კი მიაჩნია ყურადღების ღირსად და ამაშიაც იგი მტკიცეთ იცავა.



დუალიზმი იჩენს თავს უპირველეს ყოვლისა სპეციალურ მეცნიერებების და ფილოსოფიის (ნუცუბიძის თეორიოლოგიით „მეცნიერების სპეციალური კონსტრუქცია“) დაპირისპირებაში. „სპეციალი მეცნიერება ყოველთვის არსებულის განხილვისაკენ ისწრაფის“, იგი ხედავს თავის მიზანს „სინამდვილის ნაწილთა შორის მტკიცე დებულების დაფუძნებაში, მაგრამ ამით არ თავდება შემეცნების მთელი საქმე. გამოთქმულ სინამდვილეს თან ახლავს სინამდვილის გამოთქმა. ერთ შემთხვევაში შემეცნებულთა... სინამდვილის ნაწილების დამოკიდებულება, მეორე შემთხვევაში კეშმარიტება“¹⁾. აქედან სჩანს, რომ ავტორის აზრით, სინამდვილის შემეცნება არ შეიცავს კეშმარიტებას, მაგრამ შემეცნების მიზანს შეადგენს სწორედ კეშმარიტება; უნდა არსებობდეს სხვანაირი შემეცნება, რომელიც სწვდება ამ კეშმარიტებას, „მეცნიერების საქმეა სინამდვილის შემეცნება. ის არსებულის მეცნიერებაა. მის გვერდით ან მის ზეგით (პ. შ.) უნდა არსებობდეს უფრო მაღალი მეცნიერება, რომელიც მეცნიერებათა შემეცნებას თავის ძიების საგნად გაიხდის. ეს იქნება მეცნიერებათა მეცნიერება ანუ მეცნიერების თეორია“²⁾. ამ დებულებით მეცნიერება უპირისპირდება „მეცნიერების მეცნიერებას“ ანუ ფილოსოფიას. თუ სპეციალი მეცნიერება სწავლობს სინამდვილეს, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, რა დარჩენია მეცნიერების მეცნიერებას? ალბათ სინამდვილზე მეტი. „შემეცნება არ უნდა შეიცავდეს არაფერს იმის გარდა, რაც არის—ასეთია მეცნიერების იმპერატივი; არსებულის შემეცნება იმაზე მეტია, რაც არის, ასეთია შემეცნების შეზღუდვის იმპერატივი“³⁾. როგორ ეთანხმება ეს ავტორის დებულებას, რომ „ფილოსოფიის საგანი იგივე მეცნიერების საგანია“? საქმე იმაშია, რომ „მეცნიერება მას (საგანს, პ. შ.) არკვევს როგორც ემპირულ მოცემულობას—ფილოსოფია—ამ მოცემულობის გარკვეულობას. მეცნიერებას აინტერესებს რეალ მოვლენათა შორის არსებული რეალი დამოკიდებულება—ფილოსოფიას—არსებულში განსახიერებელი კეშმარიტება, ანუ არსის კეშმარიტების ფორმით „განსახიერება“⁴⁾. ნათქვამი იყო, რომ ფილოსოფია ანუ „შემეცნების“ შემეცნება „ცხება იმაზე „მეტს“, რაც არის. ახლა ირკვევა, რომ ეს „მეტი“ არის თვით კეშმარიტება გარკვეულობის სახით. ამით თვით სინამდვილე ორად იყოფა: ერთია „ემპირიული“ სინამდვილე, მეორეა სინამდვილე „კეშმარიტება“ (სინამდვილის გარკვეულობა). სპეციალ მეცნიერს, რომელიც „ემპირიულ“ სინამდვილეს სწავლობს, შეუძლია მხოლოდ „ეპექტიური“ კეშმარიტების ჩამოყალიბება, რომელიც პრინციპით უნდა განსხვავდება „ფილოსოფიურ“

ძველ პროფესორის ტრადიციებს. ჩვენ არ ვეცდებით იმის მტკიცებას, რომ ნუცუბიძე არაა განუყოფელი მარქსისტულ ფილოსოფიას, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის უენაური მოვლენა, რომ ამ საკითხის შესახებ ენგელსის მიერ 1884 წ. გამოთქმულ აზრს იგი აწერს რიკერტს რომელმაც ეს განიხილა 1915 წ. საზოგადოდ მარქსისტული ფილოსოფია და მისი კლასიკური წარმომადგენლები არცერთი ნაბუნების ნუცუბიძის თხზულებაში.

1) „ალფა. საფუძ.“ გვ. 1.

2) იქვე გვ. 5.

3) იქვე გვ. 3.

4) იქვე გვ. 29.

ქეშმარიტებისაგან. ამ განსხვავებას ნუცუბიძე გამოხატავს, როგორც „განსხვავებას“ „ქეშმარიტ საგანსა“ და „ქეშმარიტება-საგანსა“ შორის¹⁾. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ აქ გარკვეულ დუალიზმთან გვაქვს საქმე. თითქმის იგივე თერმინებითაა გამოხატული პლატონის „ემპირიულ“ და „იდეალურ“ რეალობათა დაპირისპირება²⁾.

ფილოსოფია სწავლობს იდეალურ სინამდვილეს, სპეციალი მეცნიერება კი ემპირიულს. ამ საკითხს ჩვენ კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებით. ახლა გავარჩიოთ კიდევ ერთი საკითხი. „...მეცნიერება იღებს თავის საგანთა არსებობას და მის (არსებობას, პ. შ.) არ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებებს საგნად...“ „არის“—ში შემეცნებას მიზნად აქვს არსებული და არა არსებობა. ეს დანაკლისი ფილოსოფიამ, ან როგორც ვიტყვით, მეცნიერების თეორიამ უნდა შეავსოს³⁾. ამით არსებულის არსებობა იქცევა ლოგიკურ პრობლემათ. ამ თვალსაზრისის მიხედვით სინამდვილე თვით არ გულისხმობს არსებობას, უკანასკნელი ლოგიკურად უნდა იქნას დასაბუთებული. არსებული, როგორც ფაქტი, დამოკიდებულია ქეშმარიტების არსებობისაგან. თუ რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი, გავიგებთ შემდეგში—ახლა კი ცხადია, რომ ჩვენ გვაქვს საქმე არსებობის, (როგორც ქეშმარიტების) დასაბუთების მეტაფიზიკურ ცდასთან. ეს ცდა იმდენად ძველია, რამდენად ძველია თვით მეტაფიზიკა:

ელეატებიდან დაწყებული—ის იყო მთავარი შინაარსი იდეალისტური მეტაფიზიკისა⁴⁾. ობიექტიური რეალობის არსებობა არაა პრობლემური, ის გამოსავალი წერტილია ყოველგვარი მეცნიერების და ფილოსოფიისათვის. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება თვით შემეცნების პრობლემის დასმაც. ამდენათ ყოველგვარი მეცნიერება, თუ ის ნამდვილად მეცნიერებაა და არა ფანტაზია, უნდა ეყრდნობოდეს მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. ობიექტიური პრინციპი ყოველგვარ იდეალიზმის ნიადაგზე ლოღიკური კონტრამანდა რამდენად გამოსავალ წერტილში გაიგივებულია აზრი და უფაღობა აზრის ნიადაგზე, მაგრამ ეს ლოღიკური კონტრამანდა აუცილებელ საპირობებს წარმოადგენს სოლიპციზმის გაუფაღობის ასაცილებლად. გავიხსენოთ ბერკლი თავის «esse-percipi»-ით, რომელიც ბოლოსდაბოლოს იძულებულია დაუშვას ობიექტიური პრინციპი, თუნდაც ღვინის საშუალებით ან ფიხტეს „აქტუალური დაპირისპირება“ ან და ჰეგელის „იდეის სხვა გვარად უფნა-არსებობის ლოგიკურ პრობლემით გარდა-

¹⁾ „აღეთ. საფ. გვ. 1. შედარებით ჰუსსერლეს განსხვავება საგანსა და „ქეშმარიტება-საგანსა“ შორის. В. Гуссерль „Логическое исследование“, Русск. перевод Берштейн СПб 1909 1 стр. 201—202.

²⁾ პლატონის გაგონა ნაშუაველია ჰუსსერლეს მიერ, რომელმაც პლატონის იდეის ლოღიკურ დასკვნაზე მიიყვანა.

³⁾ „აღეთ. საფ.“ გვ. 53—22

⁴⁾ ელეატების მეტაფიზიკა არ იყო იდეალისტური ელდინური ფილოსოფია, იდეალისტურ განწყობამდე ამაღლდა მხოლოდ პლატონის ფილოსოფიანი. ელეატებმა მხოლოდ ნაშავეს იდეალიზმი ემპირიულ სინამდვილის აზრით მისაწვდომ უფაღობის დაპირისპირებით.

ქცევა ბოლოსდაბოლოს მისი აზროვნებიდან გამოყვანას ნიშნავს. სტრუქტურაცი-
ოთ შეგვიძლია ავიღოთ ჰეგელის წინინდა აზრი¹⁾ და „წმინდა სინამდვილის“ არის
წინამძღვარი ყოველივე ფილოსოფიისა და მეცნიერებისა.
უწინამძღვარო მსოფლშედეგელობა შეიცავს შინაგან წინა-
აღმდეგობას, რადგან ელემენტობა მხედველობას მსოფლიოს
გარეშე.

რამდენად გაწყვეტილია კავშირი ემპირიულ და იდეალურ რეალობათა
შორის, იმდენად გაწყვეტილია კავშირი სპეციალ მეცნიერებისა და ფილოსო-
ფიას შორის. ასეთი თვალსაზრისი ახასიათებს ყოველგვარ იდეალიზმს და დუ-
ალიზმს). როგორც დავინახეთ, ნუკუბიძე სწორეთ ამ გზას აღგია. სინამდვილე
ში კი საქმე სულ სხვანაირადაა. არსებობს მხოლოდ ერთი „ემპირიული“
სინამდვილე, რომელიც შეადგენს პრინციპიულ ერთიანობას და კონ-
კრეტიულ მრავალსახიანობას. იგი არ არის განყენებული იგი-
ვეობა, არამედ მთლიანობა მრავალსახიანობისა. სპეციალ მეცნიერ-
ებათა განსხვავება (ერთი-მეორესაგან) სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ თი-
თოეული მათგანი სწავლობს რომელიმე ერთ განსაზღვრულ მხარეს ამ მთლიანო-
ბისა, მაგრამ არც ერთი მათგანი ამ მთლიანობას საბოლოოდ არ სწვდება. ამ-
დენად ყოველი მეცნიერება არის სინამდვილის რომელიმე ერთი მხარის შემეც-
ნება. გამონაკლისს არ შეადგენს ფილოსოფიაც, რამდენად მას აქვს მეცნიერული
პრეტენზიები და არ უზრუნდება ძველ მეტაფიზიკას. ფილოსოფიის საგანია იგივე
სინამდვილე მხოლოდ მისი მთლიანობის მხრივ, ამდენათ ის მჭიდროთ შე-
კავშირებულია სპეციალ მეცნიერებებთან — ის არის საერთო მეთოდოლო-
გია. ყოველგვარი შემეცნება მოქმედობს ლოგიკური კატეგორიებით, რომელ-
ნიც წარმოადგენენ აბსტრაქციას კონკრეტ სინამდვილისაგან. აზროვნება
საზოგადოთ შესაძლებელია აბსტრაქციის ფორმებში. ამით, უმთავრესად, გან-
სხვავდება აზროვნება საზოგადოდ ცნობიერებისაგან²⁾. ფილოსო-
ფია არის აზროვნების და მისი კანონების თეორია. ჩვენ აქ
განზე ვტოვებთ ფილოსოფიის მსოფლშედეგელობითი მხარეს, რომელსაც უდიდესი
წინაშენელობა აქვს კლასობრივ ბრძოლის პროცესში.

ამრიგად, როგორც ეხედავთ ფილოსოფიას გააჩნია თავისი საკუთარი
ობიექტი, ე. ი. სპეციფიური მხარე სინამდვილისა, რომელსაც ვერ არ-

1) შედარათ პლატონის შემეცნების თეორია არის ტოტელეს დედშეცია, ნო-
ლი საშუალო საუკუნეების რეალიზმი, ახალ დროში ბოლცანო და განსაკუთრებით ჰეს-
სერლე.

2) ჩვენ აქ ვერ შევჩვენებთ თვით აბსტრაქციის თეორიას სხვადასხვა ნიმართლებე-
შა, აქ ჩვენ ვფიქრობთ აბსტრაქციის მეტაფიზიკურ თეორიას, რომლის მიხედვით აბსტ-
რაქტი წარმოადგენს რეალ საგნების და მოვლენების კომპო თვისებებიდან განყენებას და
საერთო თვისებების ფიქსაციას. აბსტრაქტი მიუღებელია, და მხოლოდ ებედელ არსებობს
ის არსებობს კონკრეტში იდეალისტურ თვალსაზრისში ჩვენ საქმე გვაქვს ლოგიკურ აბსტ-
რაქციის ჰიპოტაზის აციასთან მათთვის დამოუკიდებელ „იდეალურ“ ყოფილობა
მინიჭებასთან. Husserl-ის აბსტრაქციის „აბალი“ თეორია ამ მხრივ არ განსხვავდება სიშეღა-
საფუძვლების რეალიზმისაგან.

ჩვენ ვერც ერთი სპეციალი მეცნიერება. ამიტომ ის არ ითვლება სპეციალ მეცნიერებაში და ამდენად კანონიერია დიალექტიური მატერიალისტების გალაშქრება თანამედროვე მექანიკისტების წინააღმდეგ.

ნუცუბიძე გამოდის იმ ფრიად შემცდარ აზრისაგან, რომ სპეციალი მეცნიერება სდგას ყოველგვარი რეფლექსიის გარეშე, „მეცნიერებას არ ესაჭიროება რიელ მონაცემისაგან გამოსვლა და მის გამო დამატებითი რეფლექსია, ის ყოველთვის უშუალო, ინტუიტიურია“¹⁾. ამ საკითხში ნუცუბიძე არ ეთანხმება არც ბოლცანოს და არც ჰუსერლს, რომელნიც უშვებენ მეცნიერულ რეფლექსიას, რა თქმა უნდა, განსხვავებულს ფილოსოფიურ რეფლექსიისაგან²⁾. ჩვენის აზრით უშუალოა არა სპეციალი მეცნიერება არამედ პროფ. ნუცუბიძის შეცდომა ამ საკითხში, საჭიარისია გავიჩიოთ სპეციალ მეცნიერების რომელიმე ერთი დებულება, რომ ამაში უფრო ნათლად დავრწმუნდეთ. ავიღოთ თვით ავტორის მიერ ხშირად ხმარებული მაგალითი: „ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია“. ინტუიტიურია განა ეს დებულება? სათითაოდ არც ლითონის, არც ელექტრობის, როგორც უშუალო ფაქტების შეგრძნება ჩვენ არ მოგვცემს ამ დებულებას. თუ მე ვიგრძენი ელექტრობა, მაგალითად მავთულის შეხებით—როგორც უშუალო ფაქტი—ერთის მხრივ მაქვს მავთული, მეორე მხრივ რაღაც გალიზიანების გრძნობა. ვერ კიდევ ამ ორ ფაქტებს შორის კავშირის ჩამოყალიბება ყოველად შეუძლებელია რეფლექსიის გარეშე, მით უფრო ამ კავშირის განზოგადობა (обобщение), უშუალო ფაქტების უბრალო გროვა სრულიად არ შეადგენს მეცნიერებას, ეს ასე რომ ყოფილიყო, საზოგადოთ ცნობიერების მქონე არსებებს, მაგ. ცხოველებს უნდა მიეწეროს შემეცნების ნიჭი. გარდა ამისა, თვით მეცნიერება, როგორც მთლიანობა, შეუძლებელი იქნებოდა ფაქტების ამოუწურავ სიმრავლის გამო. ყოველა მეცნიერება შეიცავს ზოგად დებულებებს და როგორც აღნიშნეთ, რეფლექსიის გარეშე შეუძლებელია არამც თუ ზოგად დებულებების, არამედ უშუალოდ მოკლებულ ფაქტებს შორის კავშირის ჩამოყალიბებაც. ფილოსოფიური რეფლექსიაც არ წარმოადგენს პრინციპულად სხვის მეცნიერულ რეფლექსიის მიმართ³⁾, წინააღმდეგ შემთხვევაში ფილოსოფიის, როგორც საერთო მეთოდოლოგიის გამოყენება სპეციალ მეცნიერებისათვის შეუძლებელი იქნებოდა და თვით ფილოსოფია უსარგებლო სქოლასტიკად გარდიქცეოდა. ახლისევე დაუბრუნდეთ მთავარ საკითხს: შესძლო თუ არა ნუცუბიძემ შემეცნების პრობლემის გადაჭრა სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარეშე და რა სახეს დებულობს უკანასკნელ შემთხვევაში თვით კონშტრუქციების თეორია.

მთავარი არგუმენტი შემეცნების სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარეშე

1) „ლეთ. საფ.“ გვ. 53.

2) იხ. შ. ნუცუბიძე: „Видиано и теория науки“. Вопрос философии. 1913 г. кн. 116, ст. 81—82, и кн. 117 ст. 150—151, и 168. შედარეთ აგრეთვე ჰუსერლი—3. Гусерль „Философия как строгая наука“. Логос, 1911 г. кн. 1, ст. 12. ჩვენ აქ ვერ გავტყობებთ ჰუსერლს და ბოლცანოს აზრების გაბრუნებას. ჩვენ ისინიც შემცდარად მიგვაჩნია.

3) მეცნიერულ და ფილოსოფიურ რეფლექსიების პრინციპულ განსხვავებაზე შენუბიძე ბუსერლს „ფენომენოლოგია“.



დაყენების სასარგებლოდ მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტობის მიმართებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ შემეცნების პროცესში და არა დამთავრებულს მსჯელობაში. „შემეცნება, როგორც ფსიქოლოგიური პროცესი, შეიცავს შემეცნებულ სუბიექტს და შესაძლოა ობიექტს, მაგრამ ეს ვრცელდება, ვიდრე არ დამთავრებულია შემეცნების პროცესი, ვიდრე საქმე გვაქვს მის გენეზისთან. დამთავრებული მსჯელობა არ საჭიროებს სუბიექტს ისე, როგორც ობიექტს... სუბიექტი და ობიექტი ერთად განამტკიცებიათ და ერთად შეიძლება მოხსნილი იქნან... სუბიექტის და ობიექტის მოხსნა შემეცნების პროცესში თვით ამ პროცესის შეჩერებას ნიშნავს, მაგრამ შემეცნების პროცესის დამთავრებისას, ისინი იხსნებიან თავისი ფუნქციების დამთავრების გამო“¹⁾, აქ რაც სიტყვაა, გაუგებრობას იწვევს. შემეცნების პრობლემა უნდა იდგეს სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარეშე, ასეთია თეზისი. ეს თეზისი „მტკიცდება“, იმით, რომ სუბიექტ-ობიექტის მიმართებას ადგილი აქვს მხოლოდ შემეცნების პროცესში. მაგრამ ხომ ცხადზე უცხადესია, რომ შემეცნების პრობლემა მდგომარეობს თვით შემეცნების პროცესში. დამთავრებული შემეცნება თვით შემეცნების პრობლემის მოხსნას ნიშნავს, რადგან ის არის უკანასკნელი შედეგი შემეცნებისა. ეს დებულება იმდენად აშკარაა, რომ მისი დასაბუთებაც ზედმეტად მიგვაჩნობ, მაგრამ რამდენად პროფ. ნუსტუბიძე საწინააღმდეგო დებულების დასაბუთებას ცდილობს—ჩვენც უნდა მოვიანდომოთ რამდენიმე სიტყვა ამის გარჩევას.

ავიღოთ თვით ნუსტუბიძის მავალითი: „მაგნოლიას ხუთმეტრი ყვავილი გაუშლია“. ჩვენ აქ საქმე გვაქვს დამთავრებულ მსჯელობასთან²⁾, მაგრამ სანამ ამ დამთავრებულ მსჯელობას მივიღებდით, თვით ავტორის მოწმობით, „მას წინ უსწრებდა რთული პროცესი“³⁾, მაგრამ მისი აზრით, ეს საკითხს არ ეხება „რადგან არც სუბიექტი და არც ობიექტი განცალკევებით და არც მათი მიმართება არ შეიცავს შემეცნებას“. რომ ვიკითხოთ, რატომ არ შეიცავს, ვთქვათ სუბიექტი შემეცნებას?—ავტორი გვიპასუხებს: „სუბიექტში არაა შემეცნებას ცხადია (73 შ.); არც თავის თავად აღებულ ობიექტშია იგი, მაგნოლია თავის თავად არ არის შემეცნება—ეს თუნდაც იქიდანაა ცხადი, რომ მისი ყვავილების რაოდენობა ჯერ კიდევ არაა ცნობილი. რაც შეეხება სუბიექტ-ობიექტის მიმართებას—იგი არ მოიპოვება მსჯელობაში: მაგნოლიას ხუთმეტრი ყვავილი გაუშლია—რადგან აქ ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი ამ მიმართებაზე“³⁾, ამ დებულებაშიაც რაც სიტყვაა, გაუგებრობას შეიცავს. ვიკითხოთ: რა არის თვით შემეცნება? „შემეცნება არის თავის თავად

1) „აღფთ. საფ.“ გვ. 62—63.

2) გაუგებრობის ასაცილებლად აღვნიშნავთ, რომ ეს მსჯელობა დამთავრებულია მხოლოდ იმ პირობით, როცა შემეცნების მიზნად დასახულია მაგნოლია და მისი ყვავილების დამოკიდებულება. შეიძლება სხვა მრავალი მიზნებიც იყოს, მაგ., მაგნოლია და მისი ყვავილების მორფოლოგიური კლასიფიკაცია და ს. შ. მაშინ, რა თქმა უნდა, დამთავრებული მსჯელობაც სხვა სახეს მიიღებდა.

3) „აღფთ. საფ.“ გვ. 63.

გამომკლავნებაა¹⁾— გვიპასუხებს ნუცუბიძე და ამას არსებითად შევნიშნავდეთ. თუმცა ფორმულიროვნა არაა სწორი. მაგრამ რას ნიშნავს „საქმისათვის“ ვად არსის გამოკლავნება? თავის-თავად არსის გამოკლავნებას ჩვენთვის. ნუცუბიძე უნდა დაგვეთანხმოს, რომ ეს „ჩვენ“ წარმოადგენს შემეცნების სუბიექტს და სრულებით არაა სავალდებულო მისი (სუბიექტის) „მე“-თ წარმოდგენა, ამიტომ არაფერს არ ამტკიცებს ნუცუბიძის განცხადება, რომ დამთავრებული მსჯელობა, „ოდნავადაც არაა დამოკიდებული, გამოსთქვამს მას ერთი თუ ათასი ვინმე“²⁾ „მე“ და „ჩვენ“ შორის თანხმობა (აუცილებელი თანხმობა) დამოკიდებულია აზროვნების საერთო კანონებზე, რომელსაც უფრო ახლო აქვერ შევხებით. ამ რიგად, თუ შემეცნება, როგორც მას ნუცუბიძე ახასიათებს, თვით არსის ჩვენთვის გამოკლავნებაა—თვით შემეცნების პრობლემა იმაში უნდა მდგომარეობდეს, თუ როგორაა შესაძლებელი ეს გამოკლავნება დამთავრებულ მსჯელობაში, სინამდვილე (თვით არსი) უკვე გამოკლავნებულია და მას იქით შემეცნებას არაფერი არ დარჩენია თვით ავტორის დახასიათებითაც. სწორედ ეს „გამომკლავნების“ პროცესია შემეცნების პროცესი. გარდა ამისა თუ დამთავრებულ მსჯელობაში სუბიექტ-ობიექტის „ფუნქციები“ მოხსნილია, ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ აქ მოხსნილია თვით სუბიექტ-ობიექტი. მართლაც და, ჩვენი მსჯელობა: „მავნოლიას ხუთმეტრი ყვავილი გაუშლია“—სრულებით არ ამოწურავს თვით მავნოლიას და მის ყვავილებს, როგორც ობიექტიურ სინამდვილის ნაწილებს, როგორც ონტოლოგიურ ცნებებს. ჩვენი მსჯელობა არის ჩვენი (ობიექტზე) წარმოდგენების შეთანხმება და ის იმდენადაა სწორი, ადეკვატი, რამდენად სწორია თვით ჩვენი წარმოდგენა ობიექტზე, რამდენად შეესაბამება ის თავის ობიექტს. თვით საგნები, ობიექტები, არსებობენ დამოუკიდებლად ჩვენი, თუ გინდ ადეკვატი წარმოდგენებისა მათზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემეცნება იქნება ნიშნავდეს შემოქმედებასაც—ამით ვკარგავთ ყოველგვარ ობიექტიობის პრინციპს და ვღებულობთ ბერკლის ტიპის ფენომენალიზმს. შემეცნების და მისი ობიექტის გაიგივება არის ონტოლოგიურის ლოიკაში გათქვეფა, არსის და აზრის გაიგივება აზრის ნიდავზე ე. ი. ნამდვილი იდეალიზმი³⁾. ეს მხარე სუბიექტ-ობიექტის მიმართების საკითხისა უშუალოდ დაკავშირებულია მოცემულობის პრობლემასთან, რასაც უწევთ შევხებით რამდენიმე სიტყვით—ახლა კი მოყვანილ შენიშვნებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ შემეცნების პრობლემის სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარეშე დაყენება სრულიად უმართებულოა. კიდევ მეტი, თვით ნუცუბიძე სცილდება ამ გზას, რამდენად ის სიტყვიერად მაინც უშვებს ობიექ-

1) „აღუთ. საფ“.

2) იქვე 63. ამ დებულებას ნიშნავლობა აქვს მხოლოდ შემეცნების აქტის და შინა-არსის გარჩევაში. ასეთ არგუმენტით სარგებლობს, მაგალ. ქუსსერდემ ფსიქოლოგისტბთან ბრძოლაში.

3) შედარეთ მაგ. ბეგელის კონცეპტია, სადაც ლოიკა უდრის ონტოლოგიას, შემეცნებით პროცესს წარმოადგენს შემოქმედებითი პროცესი.



ტიურ პრინციპს. შემეცნების პროცესის და დამთავრებულ მსჯელობებს გარჩევა არ სცვლის მდგომარეობას, ვინაიდან, როგორც იყო აღნიშნულ მსჯელობების პრობლემა მდგომარეობს სწორედ შემეცნების პროცესში.

რამდენად პროფ. ნუტუბიძე სიტყვიერად მაინც უარყოფს შემეცნების პრობლემის სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში დაყენებას, საინტერესოა გავვეცნოთ, თუ როგორ საბეს ღებულობს მისი თვალსაზრისით შემეცნება.

მსჯელობის პროცესის და დამთავრებული მსჯელობის გარჩევა არის იგივე გარჩევა მსჯელობის აქტის და შინააარსისა. მსჯელობას შინააარსი შეადგენს, ნუტუბიძის თვალსაზრისით, ქეშმარიტებას, რომელიც შეადგენს შემეცნების ობიექტს. შემეცნება ყოველშემთხვევაში გულისხმობს ორ მომენტს—არა მარტო შემეცნებას, არამედ შესაცნობსაც. თუ ამ ორ მომენტად სუბიექტ-ობიექტი უარყოფილი იქნა, უნდა გამოანახოს ახალი მომენტები, რომელთა შორის უნდა გაიშალოს შემეცნების პროცესი¹⁾. თუმცა ნუტუბიძის აზრით, დამთავრებული მსჯელობა არ შეიცავს არავითარ სუბიექტიურს, მიუხედავად ამისა „თვით მასში ჩვენ გვაქვს ფრიად მნიშვნელოვანი ორი მომენტი: გამოთქმული და გამოთქმული სინამდვილე... შინააარსის მარცხ... მსჯელობაში ერთი ქეშმარიტებაა, მხოლოდ ნოლოვანობად ორი: ქეშმარიტება თავის თავად და ქეშმარიტება ჩვენთვის“²⁾. აი, სწორედ, ამ ორ მომენტს შორის უნდა გაიშალოს, ნუტუბიძის აზრით, შემეცნების პროცესი. „ქეშმარიტება ჩვენთვის გამოთქმული მსჯელობაა, ამ მსჯელობის შინააარსში გადაშლილია მეორე მომენტიც, რომელიც აუცილებელი იყო შემეცნებისათვის. ეს მომენტი ქეშმარიტება თავის თავად. აი, ამ ორ მომენტს შუა იშლება შემეცნების პრობლემა შემეცნების თეორიის თვალსაზრისით და არა სუბიექტ და ობიექტს შორის“³⁾. ჯერ განზე დაეტოვოთ თვით ქეშმარიტების ბუნება და ვიკითხოთ, როგორი დამოკიდებულებაა თავისთავად და ჩვენთვის ქეშმარიტებათა შორის? ქეშმარიტება თავისთავად, როგორც იყო აღნიშნული, არის შემეცნების ობიექტი⁴⁾. ის უნდა გარდიქცეს ქეშმარიტებად ჩვენთვის, ე. ი. სუბიექტისათვის. პრობლემა მდგომარეობს, სწორედ იმაში, თუ როგორ ხდება ეს გარდაქცევის პროცესი. ცხადია, რომ ეს პროცესი ხდება სუბიექტის აქტების მეოხებით. შემეცნების პრობლემა თავისთავად ქეშმარიტების ჩვენთვის ქეშმარიტებად გარდაქცევაშია, ე. ი. გარდაქცევის პროცესში, რომელში სუბიექტ-ობიექტის მიმართების უარყოფა არც პროფ. ნუტუბიძეს უცდია. ამ რიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ შემეცნების პრობლემის დაყენება თავისთავად და ჩვენთვის ქეშმარიტებათა შორის არის სხვა (უნდა ითქვას უსწოროდ და უბერიოდ)

1) იხ. „აღლ. საფ.“ გვ. 71—72.

2) იქვე, გვ. 73.

3) იქვე, 84.

4) ნუ დავივიწყებთ ნუტუბიძის შეხედულებას, რომ სუბიექტ-ობიექტი კორრელატი ცნებაა. როგორც დავინახეთ, „არსებობა საზოგადოდ მის დაპირისპირებაში ცნობიერებისათვის“. ე. ი. ობიექტიური არსებობა ამ სიტყვის ონტოლოგიური მნიშვნელობით აღეთვალაგის ნიადაგზე უარყოფილია. (იხ. „აღლ. საფ.“ გვ. 14).

ფორმაში გამოხატვა სუბიექტ-ობიექტის მიმართებისა¹⁾. ამასთანავე უმეტესად სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარეშე შემეცნების პრობლემის დასმას სასაგადოდ შეუძლებელია, ნუცუბიძე იძულებულია ბევრი ლოგიკური ხერხების შემდეგ ხელახლავე ამ მიმართებას დაუბრუნდეს.

* * *

ახლა განვიხილოთ თვით კეშმარიტების ბუნება ნუცუბიძის ინტერპრეტაციით. დასაწყისში კეშმარიტება ხასიათდება, როგორც შემეცნების შემეცნება, ანუ სინამდვილის შექმნებითი ასახება. შემდეგში ირკვევა, რომ კეშმარიტებას შეადგენს არსის გარკვეულობა, ე. ი. არსებობაზე წარმატებული. „არსის გარკვეულობა შეადგენს შინაარს კეშმარიტებისა თავისთავად... ავი ზედ აკრია სინამდვილეს“²⁾. კეშმარიტების ობიექტიობის საკითხი დასაწყისში თითქოს დადებითად იჭრება, რადგან „კეშმარიტების აზროვნებიდან გამოყვანა არ შეიძლება“³⁾. გარდა ამისა, როგორც ვხედავთ, კეშმარიტება თავისთავად შეადგენს შემეცნების ობიექტს. მაგრამ ჩვენ დიდად შემიძლია ვიჭნებოდით, თუ ვიფიქრებდით, რომ ნუცუბიძის თვალსაზრისით, კეშმარიტების ობიექტიობა გამოდის ლოგიკურ სფეროდან. ეს ხომ შეუძლებელია, რადგან, როგორც დავინახეთ, ალეთოლოგიის გამოსავალ წერტილში ჩვენ საქმე გვაქვს ონტოლოგიის ელემენტარულიდან. კეშმარიტება არის არსის არსებობის, არა როგორც ფაქტის, არამედ როგორც იდეალობის გამოხატულება. ასეთი იყო ბოლცანოს და მის შემდეგ ჰუსსერლის აზრი. მათთვის კეშმარიტება არის ზედროული და ზევრცეული, ის არის იდეალური ყოფადობა⁴⁾. კეშმარიტების სუბიექტისაგან დამოუკიდებლობა, რასაც ამტკიცებს ნუცუბიძე (ბოლცანო და ჰუსსერლთან ერთად) ოდნავადაც არ სცელის მდგომარეობას, რადგან ყოველგვარი იდეალიზმი იძულებულია დაუშვას ობიექტიური პრინციპი თუნდაც ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევით, რამდენად, როგორც იყო აღნიშნული, ობიექტიური პრინციპის გარეშე შეუძლებელია შემეცნების პრობლემის დასმაც. ფორმალურად ობიექტიური იყენებს პლატონის ცდებიც, საშუალო საუკუნეების იდეალისტების ღვთაებრივი აზროვნებაც, კანტის ტრანსცენდენტალი მთლიანობა აპერცეპციისა, ჰეგელის აბსოლუტური იდეაც, მაგრამ არსებითად ისინი განიშტკივებიან მხოლოდ სუბიექტის მიმართ. მივიღებთ თუ არა სუბიექტად „მე“-ს, „ჩვენ“-ს ან და თვით ღვთაებას. ან ობიექტიური პრინციპის დაშვება თუნდაც ლოგიკური თანმიმდევრობის დარღვევით, ან სოლიპსიზმის გაფლავი ჩიბი—ასეთია დილემა, რომელიც სდგას ყოველგვარი იდეალისტის წინაშე. ალეთოლოგიაშიაც ჩვენ გვაქვს საქმე ასეთ შინაგან წინააღმდეგობასთან, მაგრამ უკერძოობით ამას შეუროგდეთ

1) ამ საკითხშიც ნუცუბიძე სდგას ბოლცანოს თვალსაზრისზე. შეად. III. Нуссербазе: „Болцано и теория Науки“. Вопр. фил. 1913 г. кн. 116, стр. 80. {

2) „ალეთ. საფ.“ გვ. 83.

3) იქვე გვ. 45.

4) შეად. III. Нуссербазе -- „Болцано и теория Науки“ Вопр. фил. 1913 г. кн. 116, стр. 75, 96 და სხ. შეადარ. აგრეთვე Husserl-ის „Logischellntersuchungen“ I s 117 || 128, 190 და სხ.

და მივიღოთ მისი კეშმარიტება. როგორც ობიექტიური პრინციპი, როგორც ასეთი, ის გამოდის შემეცნების ობიექტად. „ეს ფაქტზე დანართი მისი ბუნებაზე წარმატებული მომენტი გარკვეულობისა არის შემეცნების ის სავანი, რომელსაც ჩვენ უწოდებთ კეშმარიტებას თავისთავად“¹⁾. ამით კეშმარიტება გნოსეოლოგიიდან ონტოლოგიაში არის გადატანილი, რაც შეიცავს უდიდეს შეცდომას²⁾. ამ შეცდომისაგან გამომდინარეობს მეორე დიდი შეცდომა კეშმარიტების კრიტერიუმის შექმნისას შესახებ. ამ საკითხშიაც ნუცუბიძეს არ მიუძღვს ორიგინალობა. თუმცა მისი პოზიცია ამ საკითხში განსხვავდება ბოლცანოს შეხედულებისაგან, მაგრამ ცერდნობა ჰუსსერლის³⁾. თუ კეშმარიტება არის ის რაც არის (არა როგორც ფაქტი, არამედ როგორც გარკვეულობა), ის თვითონ უნდა შეიცავდეს თავის კრიტერიუმს. „კრიტერიუმი ერთსა და იმავე დროს ცოდნასაც უნდა შეიცავდეს და ყოველივე ცოდნის საზომიც უნდა იყოს“⁴⁾. ნუცუბიძე მართალია, როცა ის უარყოფს კეშმარიტების წინასწარ კრიტერიუმს, მაგრამ ამ უარყოფას იგი აფუძნებს უმართებულო დებულებაზე და იძულებულია პრინციპულად უარყოს კეშმარიტების კრიტერიუმის საზოგადოთ შესაძლებლობა. სინამდვილეში კი კეშმარიტების პრობლემა არჩევა არა ონტოლოგიაში, არამედ გნოსეოლოგიაში და მდგომარეობს ჩვენი ცოდნის მის ობიექტთან შეთანხმებაში. კეშმარიტების წინასწარი კრიტერიუმი შეუძლებელია სწორედ იშტომ, რომ თვით კეშმარიტება კონკრეტია, როგორც იტყვოდა ჰეგელი და არა აბსტრაქტი, განუცნებელი. მაგრამ წინასწარი კრიტერიუმის შეუძლებლობა სრულიად არ ნიშნავს კრიტერიუმის საზოგადოდ შეუძლებლობას. ასე რომ იყოს, კეშმარიტების და საზოგადოდ ცოდნის ობიექტიური ხასიათის დასაბუთება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა⁵⁾. მართლაც და შესძლო თუ არა პროფ. ნუცუბიძემ კრიტერიუმის უარყოფით სუბიექტივიზმის აცილება და კეშმარიტების ობიექტიურ, სავალდებულო ხასიათის დასაბუთება? სრულებით არა, იგი თვით სეაშს ამ საკითხს და ემაყოფილებდა ზოგადი მსჯელობებით, რომელნიც არაფერს არ ამტკიცებენ. „იბადება საკითხი—ამბობს ნუცუბიძე—თუ კეშმარიტების კრიტერიუმი იმ თვითვე ხელთ არა აქვს ფილოსოფიას, მაშინ ზომ აღარ არსებობს საშუალება

¹⁾ „აღმთ. საფ.“ გვ. 173.

²⁾ „ონტოლოგიაში“ აქ ჩვენ ვმართობთ პირობითი მნიშვნელობით, რამდენად ონტოლოგიური, როგორც ამას ჰეგელმა დაეწინაბათ, ალფილოლოგის დელსაბრისით არ შეიძლება შემეცნებულ იქნას.

³⁾ შეადარ. ნუცუბიძის პოლემიკა ბოლცანოს წინააღმდეგ: „Эту попытку Болцано доказать истину—особенно нужно иметь в виду. Она весьма отрицательно отозвалась на многих сторонах научно-учения (Вопр. фил. кн. 116 стр. 81). შეად. აგრეთვე Husserl „Logische Untersuchungen“ I s 15—17 Русск. перевод „Логические исследования“ СПб 1909 стр. 9-12.

⁴⁾ „აღმთ. საფ.“ გვ. 8.

⁵⁾ ბოლოს და ბოლოს თვით ავტორი უბრუნდება ამ თვალსაზრისს, რამდენად ის ასაბუთებს შემეცნების ობიექტიურად სავალდებულო ხასიათს... „სავალდებულოდ უნდა ჩაითვალოს სწორ შემეცნებისათვის დამოუკიდებელ და ობიექტიურ საზომთან შესაბამისობა“ („აღმ. საფ.“ გვ. 160).



ქვეყნის

ობიექტიურად ქვეშარიტების გარჩევისათვის და მთელი ეს სპეციალური შემთხვევის საქმედ იქცევა. ასეთი საშინაოობა მოჩვენებითი ხასიათისაა და გერდნობა იდუმალად დაშვებულ თეორიას შემეცნების და მისი საგნის განცალკევებისათვის. კრიტერიუმის საკითხი იზადება, როდესაც ერთი მეორეს უპირისპირდება შემეცნება და მისი საგანი¹⁾. ეს არის უბრალო დეკლარაცია და შეტი არაფერი. კრიტერიუმის საკითხი მართლაც მაშინ იზადება, „როცა ერთი მეორეს უპირისპირდება შემეცნება და მისი საგანი“. მაგრამ ეს სწორედ ასეა და ნუცუბიძეს არ შესძლება ამის უარყოფა, როგორც ეს ზემოდ დავინახეთ სუბიექტ-ობიექტის მიმართების გარჩევის დროს. შემეცნების პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „შემეცნება და მისი საგანი“ ან და, როგორც ჩვენ ვიტყვით, სუბიექტი და ობიექტი გნოსეოლოგიურად (და არა ონტოლოგიურად) უპირისპირდებათ ერთი მეორეს და ამ დაპირისპირების მოხსნა ნიშნავს თვით შემეცნების პრობლემის მოხსნას.

კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს მეორე არგუმენტი, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ ფილოსოფია ღებულობს ქვეშარიტებას, როგორც კვლევა ძიების მასალას, სპეციალ მეცნიერებისაგან²⁾. როგორც ზემოდ დავინახეთ, სპეციალ მეცნიერების და ფილოსოფიის განსხვავება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ პირველი არ სწვდება ქვეშარიტებას და არჩევს სინამდვილეს, როგორც ფაქტს³⁾. იქნებ ავტორმა გვიპასუხო, რომ იქ ნათქვამია არა იმაზე, თითქოს მეცნიერება არ შეიცავს ქვეშარიტებას, არამედ იმაზე, რომ იგი მას (ქვეშარიტებას) არ გამოსთქვამს. თუნდაც მივიღოთ ეს ღებულება, (თუცა ეს ყოველად შეუღებელია) საქმის მდგომარეობა სრულიად არ იცვლება. ხომ ავტორის აზრით, ფილოსოფიის როლი მარტო იმაში არ მდგომარეობს, რომ მეცნიერების მიერ მიღებულ ღებულებას ან „პო“, ან „უარი“ უთხრას, არამედ მასში განსახიერებულ ქვეშარიტების გამოჩვენებაში და დასაბუთებაში. ვაეიხსენოთ კიდევ, რომ ნუცუბიძის ავალანაზრისათ მეცნიერება ინტუიტიურია და სდგას ყოველგვარ რეფლექსიის გარეშე. მასში განსახიერებული ქვეშარიტება თვით მის (მეცნიერების) ფარგლებში უცნობია, თუცა ის ამ ქვეშარიტებას თავიდანვე ემყარება, „თეორია ფაქტიურ ქვეშარიტების საფუძველს არ არკვევს, რადგან ვერ არკვევს. რეალ ფენომენებში გამოთქმული სინამდვილე მეცნიერების მასალაა და არა ქვეშარიტება და ამიტომაც აქ არც იჭრება თეორია. აქ მეცნიერება საკუთარ თავის ამარაა, მაგრამ რა პირობებშია შესაძლო მისი მსჯელობები ისე, როგორც ქვეშარიტება, საამისო სრულიად საკმაო საბაზი (? პ. შ.) არსებობს იმ წუთსავე, რა წუთშიაც მეცნიერება თუნდაც ერთ ღებულებას გამოსთქვამს, როგორც ქვეშარიტ მსჯელობას“⁴⁾. თუცა ამ დეკლარაციაში გაურკვეველია, თუ რაში გამოიხატება ეს „საკმაო საბაზი“, მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქედან ცხადია, რომ „რეალ ფენომენებში გამოთქმულ სინამდვილის“ შემსწავლელი მეცნი-

1) „ალფთ. საფუძვ.“ გვ. 7—8.
 2) იქვე გვ. 9—10.
 3) იქვე გვ. 2—3.
 4) „ალფთ. საფ.“ გვ. 56.

ერება თეორიულ ხასიათს ღებულობს იმდენად, რამდენად მასში განსახიერებელია კეშმარიტება¹⁾. თუ რაში მდგომარეობს უკანასკნელი, უნდა სწორედ მეცნიერების ანუ კეშმარიტების თეორიამ გაარჩიოს. რეფლექსიის გარეშე მდგომ მეცნიერებაში კეშმარიტება განსახიერებელია ინტუიტიურად. ხომ შეუძლებელია, რომ ყველა დებულებები მეცნიერებისა კეშმარიტებას შეიცავდნენ ყოველ მეცნიერებაში მოიპოვება პიპოტეტიური მხარე²⁾. ამას რომ თავი დავანებოთ, საიდან ვიცით, რომ ესა თუ ის დებულება მეცნიერებისა კეშმარიტებას შეიცავს? თუ ის ინტუიტიურად ცხადია, მაშინ რა როლი რჩება კეშმარიტების თეორიის? გარდა ამისა ხომ საკითხავია, რა ნაირად უკავშირდება მარადიული ბუნების კეშმარიტება წარმავალი ხასიათის რეალ. ფენომენებს? ყველა ამ საკითხებზე ალეთოლოგიის ნიადაგზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, როგორც ეს შეუძლებელი იყო პუსსერლეს ფენომენოლოგიის ნიადაგზე. ლოგიკურ თანმივდევრობამ ნუცუბიძე უნდა მიიყვანოს ინტუიტიურ გონების და უშუალო ცოდნის თეორიამდე, რომელიც ჯერ კიდევ ჰეგელმა მისცა გამანადგურებელ კრიტიკას³⁾. ჯერ ყველა ამას თავი დავანებოთ და დაუბრუნდეთ უშუალოდ გასარჩევ საკითხს, ნუცუბიძის თვალსაზრისში, როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს იმას, რასაც ლოგიკაში ეძახიან *petitio principii*-ს. ჯერ კეშმარიტების თეორია გამოდის სპეციალ მეცნიერების კრიტიკრიუმად, მაგრამ რამდენად თვით მას (კეშმარიტების თეორიის) არ გააჩნია ობიექტიური დასაყრდნობი (რამდენად უარყოფილია ობიექტთან შესაბამისობა) ისევე უბრუნდება მეცნიერების კეშმარიტებას. მაგრამ თუ ფილოსოფია იღებს კეშმარიტებას სპეციალ მეცნიერებისაგან, მისი როლი ან „ჰო“ და ან „უარის“ თქმაში უნდა მდგომარეობდეს. თუნდაც ეს ასე იყოს (თუმცა ეს არ შეესაბამება ავტორის გამოსავალ პრინციპებს), თვით „ჰო“ და „უარის“ იქმაც მოითხოვს კრიტიკრიუმს, რის შეიხებით მე უარყოფ, ან ვადასტურებ ამა თუ იმ დებულებას, ავიღოთ მაგ. დებულება: „ლითონი ელექტრობის კარგი გამტარებელია“. ამას რომ ან „ჰო“, ან „უარის“ უთხრა, უნდა გამაჩნდეს რაიმე ობიექტიური საბუთი, წინააღმდეგ შემთხვევაში რა მიზლის ვამტყიყო საწინააღმდეგო დებულება, მაგ. „ლითონი არაა ელექტრობის კარგი გამტარებელი“ და „ზე ელექტრობის კარგი გამტარებელია“. ამ რიგად, ნუცუბიძის თვალსაზრისიდან არის შოლოდ ერთი გამოსავალი—კეშმარიტების უშუალო ინტუიტიური სიცხადე⁴⁾, რაც უარყოფს პრინციპიულად მეცნიერულ გამოკვლევების საჭიროებას, რამდენად ეყრდნობა უშუალო ცოდნის თეორიას.

¹⁾ სწორედ ასეთი განზრახვა ჰქონდა დასაწყისში პუსსერლეს ფენომენოლოგიას. მას უნდა გამოემყუდება სხვა და სხვა სპეციალ მეცნიერებათათვის აქსიომათა უსისტიტმა, რომლითაც ისინი წელმდგანდობდნენ.

²⁾ ნუცუბიძე საზოგადოდ უარყოფს პიპოტეტიურის მნიშვნელობას—*Гипотетическая часть в науках в соображение не принимается*. (იხ. „Вопр. философии и психол.“ 1913 г. кн. 117, стр. 169.

³⁾ იხ. Hegel *Sämtliche Werke* Bd. VI *Enzyklopedi*. § 62, 63 და სხ.

⁴⁾ შეადარეთ პუსსერლეს.

ეკონომიკა

ამ შენიშვნებით შეგვეძლოს ამოგვეწერა კრიტიკიუმის [საქართველოს] მხარეა ამის შესახებ ნუცუბიძის თვალსაზრისი შეიცავს მეორე, მეტად საინტერესო მხარეს რომელზედაც რამოდენიმე სიტყვებით უნდა ვაჩვენოთ. ეს საინტერესო მხარე მდგომარეობს იმაში, რომ ნუცუბიძე უარყოფს ჭეშმარიტების კრიტიკიუმის შესაძლებლობას თეორიულ სფეროში¹⁾. ამ დებულებას ჩვენ სრულებით დავეთანხმებით, თუმცა ჩვენი არგუმენტაცია პრინციპითაა განსხვავდება ნუცუბიძის არგუმენტაციისაგან. თეორეტიკულ სფეროში ჭეშმარიტების კრიტიკიუმში შეუძლებელია არა იმიტომ, რომ „კრიტიკიუმი ერთსა და იმავე დროს კონდასც უნდა შეიცავდეს და უოველივე კონდაც კრიტიკიუმიც უნდა იყო“²⁾, არამედ იმიტომ, რომ თვით ჭეშმარიტება მდგომარეობს არა ჩვენ აზრთა და წარმოდგენათა ურთიერთშორის შეთანხმებაში, როგორც ფიქრობენ ცალმხრივი რაციონალისტები და ფსიქოლოგისტები, არამედ ჩვენ აზრთა და წარმოდგენათა ობიექტიურ სინამდვილესთან შეთანხმებაში³⁾. უკანასკნელის დასაბუთება შეიძლება მხოლოდ პრაქტიკაში. ეს საკითხი დავაშორებულა გნოსეოლოგიის მეორე დიდ საკითხთან შემეცნების წყაროს და პროცესის შესახებ, რომელზედაც აქ ვერ ვაჩვენებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დიალექტიკურ მატერიალიზმის თვალსაზრისით თვით შემეცნება მქადროთ შეკავშირებულია პრაქტიკასთან და ამდენად მისი კრიტიკიუმიც პრაქტიკაშია. ნუცუბიძე თავის დებულებით მხოლოდ აღნიშნავს ფაქტს, მაგრამ მისი სათანადო განმარტება არ შეუძლია, რადგან სდგას პრინციპითაა არა სწორ პოზიციაზე. თეორია მოწყვეტილია პრაქტიკას და წარმოადგენს თავისთავად დირებულს. მას არ ეკადრება პრაქტიკასთან კავშირი. ვაუგებრობის ასაცილებლად აღვნიშნავთ, რომ თეორია და პრაქტიკის შორის დამოკიდებულების შესახებ ასეთი აზრები გამოთქმულია არა „ალეოლოგიის საფუძვლებში“, არამედ ბევრჯერ ნახსენებ უფრო ადრინდელ შრომაში ბოლცანოს შესახებ. „ჭეშმარიტება აბსოლიუტურ სტატუკური ვაგებაა, უარყოფა ყოველგვარი ფინალიზმისა, ყოველგვარი გენეზისისა“⁴⁾ ამბობს იქ ნუცუბიძე. ამ დებულებაში ჭეშმარიტებას ენიჭება მეტად განყენებული ბუნება და ამდენად მისი კრიტიკიუმის საკითხიც მოკლებულია მნიშვნელობას. „უპირველეს ყოვლისა უნდა გვეკონდეს მხედველობაში, რომ ჭეშმარიტების კრიტიკიუმზე ლაპარაკი ნიშნავს საკითხის თეორეტიკულ სფეროდან პრაქტიკულ სფეროში გადატანას“⁵⁾. ამ დებულებით ნუცუბიძე გამოსთქვამს იმ მარტივ აზრს, რომ თეორიულ სფეროში კრიტიკიუმში შეუძლებელია, ვინაიდან თვით თეორია უნდა იქნას შესწორებული. მაგრამ შემდეგში ნუცუბიძე მიდის სხვა გზით. —

1) იხ. ამის შესახებ „И. Нунубидзе: „Бол. и теор. науки“. Вопр. фил.“. 1913 г. кн. 117. стр. 149 и сл.

2) „ალეო. საფ.“ გვ. 7.

3) ამ საკითხშიაც ნუცუბიძე სდგას ბოლცანოს პოზიციაზე. უკანასკნელი უარყოფს შემეცნების ობიექტთან შეთანხმების თეორიას იხ. „Вопр. фил.“. 1913 г. кн. 116. стр. 81.

4) „Вопр. фил.“. 1913 г. кн. 117. стр. 131.

5) „Вопр. фил.“. кн. 117, стр. 159.



„ქეშმარიტების დადებითი განმარტება შეიძლება მხოლოდ პრინციპულად—ამ მხრივ პრაგმატიზმის უარყოფა შეუძლებელია... უსწორო მსჯელობა მშენებლობა ჩვენს თავს სინამდვილის წინაშე კდის და შესწორების საშუალებით“, მაგრამ ასეთი ქეშმარიტება თეორიას არ აინტერესებს, რადგან იქ, სადაც ჩვენ ვმოქმედობთ, შემეცნება არ არის თეორიული“¹⁾. ცხადია, რომ აქ უარყოფილია პრაქტიკის მნიშვნელობა შემეცნების პროცესში, იმ მიმართულებას, რომელიც თეორიას უკავშირებს პრაქტიკას, ნუცუბიძე უწოდებს პრაგმატიზმს, რომლის თვალსაზრისით „ის, რაც „სასარგებლოა“ ჩვენს მოქმედებაში, რაც კარგად მუშაობს“, არის ქეშმარიტება“²⁾.

პრაქტიკის და თეორიის ერთიანობას ამტკიცებს დიალექტიური მატერიალიზმი, უკანასკნელს კი არაფერი საერთო არა აქვს ბურჟუაზიულ სუბიექტივიზმთან, რომელსაც პრაგმატიზმს უწოდებენ და რომლის წარმომადგენლებია პირსი, ჯემსი, შილდერი და სხვ.³⁾ ნუცუბიძე კი არ არჩევს ამ მიმართულებებს. ის ამბობს მაგალითად: „შემკვიდრად სთვლიან პრაგმატიზმის დამაარსებლად ამერიკანელ ფილოსოფოს პირსს. პირსზე დიდათ უფრო ადრე პრაგმატიზმის თეზისი გამოთქმული იყო კ. მარქსის მიერ თერთმეტ თეზისებში ფეიერბახის შესახებ“⁴⁾. ჩვენ აქ ვერ შევხებით საკითხს იმის შესახებ, რომ მარქსისში პრინციპულად განსხვავდება პრაგმატიზმისაგან. განსხვავება მათ შორის ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ოდნავად მაინც ვიცნობილია მარქსისტულ ფილოსოფიას.

პრაგმატიზმის საფუძვლებზე შეუძლებელია ობიექტიური თეორიის ჩამოყალიბება—მარქსიზმი კი სწორედ ასაბუთებს ობიექტიურ თეორიას. პრაგმატიზმში ბურჟუაზიული პრაქტიციზმი, დიალექტიურ მატერიალიზმში (მარქსიზმში) თეორიის და პრაქტიკის ერთიანობა—სწორედ ამ ერთიანობას თეორია და პრაქტიკისა გამოხატავენ მარქსის თეზისები ფეიერბახის შესახებ და სხვა არაფერს. აი, მაგ., პირველი თეზისი: „Главный недостаток всего предшествовавшего материализма—до фейербаховского включительно—заключается в том, что предмет действительность, чувственность рассматривается только (პ. შ.) в форме об'екта или в форме созерцания, а не как чувственно-человеческая деятельность, не в форме практики“...⁵⁾ ჩვენ ხაზი ვაუსვით სიტყვის, „только“, რათა ცხადი გვეყოს, რომ აქ ოდნავდაც არ არის უარყოფილი თეორია.

1) „Вопр. фил.“. 166.

2) Там-же 166.

3) პრაგმატიზმი აღნიშნულ გაკვებით უარყოფს ობიექტიურ თეორიას და ქეშმარიტებას, ეს ადვილად გასაგებია, რადგან ობიექტიური თეორია გამოთქვამს ისტორიულ განვითარების ობიექტიურ კანონებს, რაც ცხადყოფს ბურჟუაზიის ბატონობის წარშაველ ხასიათს.

4) Вопр. фил. кн. 117. стр. 166.

5) „Архив Маркса—Энгельса“. кн. I и. 1924 г. стр. 200.

სწორეთ თეორიის და პრაქტიკის ერთიანობის ნიადაგზე დადებული იდეალიზმი ისტორიაში, როგორც სამართლიანთ აღიზნავს ენგელსი თავის „ლუდვიგ ფეიერბახში“. ამ ერთიანობას გამოხატავს მარქსის მეროე თეზისი იმის შესახებ, რომ „вопрос о том, свойственна-ли человеческому мышлению предметная истина, вовсе не есть вопрос теории, а практический вопрос“¹⁾. ენგელსის „the proof of the pudding is in the eating“ ამ დებულების უფრო მარტივი გამოხატვაა. მართლაც სქოლასტიკაა, როგორც სამართლიანად აღიზნავს მარქსი, ისეთი „შემეცნება“, რომელიც სინამდვილეს არ გამოხატავს. მარქსის გენაოსობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან სწორეთ პრაქტიკის და თეორიის ერთიანობის ნიადაგზე ჩამოაყალიბა რეკოლუციონური თეორია. „Философы лишь различным образом объясняли мир, но дело заключается в том, чтобы изменить его“²⁾. ვისაც ნათლად არ წარმოუდგენია ეს მომქმედი მხარე მარქსიზმისა, იმან მარქსის სახელი არც კი უნდა ახსენოს. მარქსიზმი უარყოფს როგორც იდეალისტურ სუბიექტივიზმს, ისე პასსიურ ობიექტივიზმს. გაეხსენოთ ლენინის კრიტიკა სტრუვეს ობიექტივიზმისა.

ნუცუბიძე გვეტყვის, რომ ყველა ამას მნიშვნელობა არა აქვს წმინდა თეორიისათვის, მაგრამ ჩვენ ვუპასუხებთ, რომ „წმინდა თეორია“ არც კი არსებობს. შემეცნებითი მოღვაწეობა არ არის წმინდა თეორიული მოღვაწეობა³⁾, როგორც ფიქრობენ ცალმხრივი რაციონალისტები, ის არის პრაქტიკული მოღვაწეობაც „чувственно-человеческая деятельность“ როგორც იტყოდა მარქსი.

ნუცუბიძის „მარადიულ ბუნების“ ქეშმარიტებისათვის⁴⁾ პრაქტიკის კრიტიკიუმს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ საქმე სწორეთ იმაშია, რომ ჩვენ ფარველოთ ქეშმარიტებას „მარადიულ ბუნებას“ და „წარმოვალ“ პრაქტიკას ვამაღლებთ თეორიულ ასახებად. თეორიის სფეროში კრიტიკიუმის შესაძლობის უარყოფა (რაც მართალია) და იმავე დროს თეორიის პრაქტიკიდან მოწყვეტა, თვით თეორიის განადგურებას ნიშნავს. ნუცუბიძე ფიქრობს თეორიის ხსნას მეტაფიზიკური დებულებით, რომ „შემეცნება იმდენად არსებობს, რამდენად იგი დასაბუთებულია, ე. ი. ერთი დებულება გამოიყვანება მეორე დებულებიდან საქმეო სიცხადით და მისაღებობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი აზრი ძველს ემყარება, ძველი კიდევ უფრო ადრინდელს და ასე მანამდე, ვიდრე უმაღლეს საფუძვლამდე არ მივაღწეოთ“⁵⁾, ე. ი. დასაბუთება მდგომარეობს წმინდა რა-

¹⁾ „Архив Маркса-Энгельса“, кн. I, М. 1924, ст. 200.

²⁾ Там-же, стр. 202.

³⁾ ყველა თეორიული დებულებები, რომლებით მოქმედობს თანამედროვე მეცნიერი თავის კაბინეტში, არიან პრაქტიკული ცდის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგი. ოდნავადაც არ სცვლის საქმის მდგომარეობას ის გარემოება, რომ ისტორიული განვითარების შედეგს ჩვენ ვღებულობთ როგორც გამოუსაყვალ წერტილს და არ გვჭირია მისი თავიდან დასაბუთება.

⁴⁾ იხ. „ალეთ. საფ“. წინასიტყვაობა.

⁵⁾ იქვე გვ. 80.

კონალისტურ-დედუქტიურ მეთოდით¹⁾ ერთი აზრის მეორედ დასაფიქსირებლად სიტყვებით და მისაღებობით“ გამოყვანაში. ამ თვალსაზრისით „უმაღლესი საფუძველი“ უნდა იყოს უმაღლესი კრიტერიუმიც. რაში მდგომარეობს ეგ უმაღლესი საფუძველი? „ქეშმარიტებას თავის თავად არა აქვს განსაკუთრებული ობიექტი, მას აქვთ აღარაფერია, რომელსაც იგი უნდა ეფარებოდეს... იგი უპირველესი ელემენტია, რომელიც შემეცნების უმაღლეს საფუძველს შეადგენს“²⁾. მკითხველმა წარმოიდგინოს ამ ცრუ ლოგიკურ წრეში ბეტაალის ნაყოფიერება. შემეცნების დასაბუთების უმაღლესი საფუძველი უნდა იყოს შემეცნების ქეშმარიტებას უმაღლესი კრიტერიუმიც, მაგრამ ასეთ „უმაღლეს საფუძველად“ გამოდის თვით ქეშმარიტება. თავის წინამორბედათ ნუცუბიძე აცხადებს ამ საკითხში არისტოტელს³⁾, მაგრამ რათ ავიწყდება ღვთის მოყვარე მალბერანშიც. („Все воспринимается и познается в бoге, как в начале всех начал“).

უკანასკნელად უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ნუცუბიძეც ვერ აცდა ქეშმარიტების კრიტერიუმის აუცილებლობას, რამდენად შემეცნებაში დაპირისპირებულთა ქეშმარიტება თავისთავად და ქეშმარიტება ჩვენთვის. სადაც დაპირისპირებაა, იქ შესაბამისობა აუცილებელია დამოუკიდებლად დაპირისპირების მომენტების ხასიათისა. ნუცუბიძის კონცეპტიაში სუბიექტ-ობიექტის მაგიერ შემეცნებაში დაპირისპირებულია ქეშმარიტება თავის თავად და ქეშმარიტება ჩვენთვის და ამდენად აუცილებლად იბადება მათი შესაბამისობის საკითხი, მათი „საზომის“ საკითხი. ამას ადასტურებს თვით ევტორი, როცა ის აღნიშნავს, რომ „...სადაღებულად უნდა ჩაითვალოს სწორ შემეცნებისათვის დამოუკიდებელ და ობიექტიურ საზომთან შესაბამისობა“⁴⁾.

ამ შენიშვნებით განვსაზღვრავთ საკითხის პრინციპიულ მხარეს. ახლა რამოდენიმე სიტყვით შევეხებით ნუცუბიძის ვანტთან პოლემიკას სწორედ ქეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ⁵⁾. ამ პოლემიკაში, ჩვენის აზრით, ნუცუბიძე არ არის მართალი. ნუცუბიძეს უყვირს კანტის დებულება, რომ ქეშმარიტების დადებითი კრიტერიუმი მდგომარეობს შემეცნების მის საგანთან შეთანხმებაში. „რას ნიშნავს ქეშმარიტების განმარტება, როგორც შემეცნების საგანთან შეთანხმება?—ამბობს ნუცუბიძე—კანტის კომპრომიული პოზიკია ხომ შეუძლებელს ხდის შეთანხმების მომენტების ისეთ წარმოადგენას, თითქოს ერთის მხრივ გვაქვს თვითარსა საგანი, საკუთარ ფორმების მქონე, და მეორეს მხრივ შემეცნება, რომელიც ამ საგანთან შეთანხმებული უნდა იყოს. ეს წინაქანტიელ ფილოსოფიისაკენ დაბრუნება იქნებოდა“⁶⁾.

1) მეთოდის შესახებ რამოდენიმე სიტყვას ვიტყვით ქვემოთ.

2) „აღლეთ. საფ.“ გვ. 83—84.

3) არისტოტელეს „უმაღლესი ფორმის“ გაგებაც უახლოვედა მაშინდელ წარმოდგენის დეტალებს.

4) „აღლეთ. საფ.“ გვ. 160.

5) საზოგადოთ კრიტიკული ნაწილი თხზულებისა მეტად საინტერესოა, საინტერესო და სწორია ბევრ შემთხვევაში თვით კანტის კრიტიკაც.

6) „აღლეთ. საფ.“ გვ. 46.

ჩვენ სრულებით არ ვაპირობთ კანტის შეხედულების დებულებას, რომელიც იმდენად ის ნამდვილად შეიცავს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენ გვინდა და დავიცვათ ისტორიული სიმართლე. ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ კრატერაუმის საკითხი იბადება მაშინათვე, თუ ჩვენ დაუშვებთ შემეცნების ობიექტს, რომელსაც ეს შემეცნება უნდა შეესაბამებოდეს. კანტმა ეს კარგად იცის, როცა ის აღნიშნავს, რომ „კონდა შეიცავს სიცრუეს თუ ის არ შეესაბამება იმ საგანს, რომლისკენაა მიმართული“ 1).

ნუცუბიძე ფიქრობს, რომ აქ კანტს დარღვეული აქვს ლოგიკური თანმიმდევრობა, რადგან „ან საგანი აშენებულია, როგორც შედეგი შემეცნების მასალის და გონების ფორმის სინთეზისა და მაშინ აღარ რჩება მასთან შესადარებელი შემეცნება—ან და კატეგორიული სინთეზები შეადგენენ შემეცნებას, მაგრამ მაშინ უფორმოდ დარჩენილია „მატერია“ აღარ იძლევა საგანს, რომელთანაც შეთანხმებული უნდა იქნას შემეცნება“ 2). ერთში უაქველად ვეთანხმებით პროფ. ნუცუბიძეს, იმაში, რომ კანტის ფილოსოფიის ლოგიკური დასკვნაა უსაგნო შემეცნება და სწორედ ამ გზით მიდის, მაგ. მარბურჯის სკოლა, მაგრამ თვით კანტის ფილოსოფიის ასეთი ინტერპრეტაცია მისი ისტორიული როლის და ადგილის განადგურებას ნიშნავს. ტრანსცენდენტალი ლოგიკა, კანტის აზრით, სწორედ იმით უნდა განსხვავდებოდეს წინაკანტიელ ლოგიკისაგან, რომ უკანასკნელს არც კი ინტერესებდა ლოგიკურ ფორმების საგანთან შეთანხმება 3). ფორმული ლოგიკა ცალმხრივი რაციონალიზმის გამოხატულებაა, რომლის თვალსაზრისით შემეცნება წმინდა აზროვნების პროცესისა, დამოუკიდებელი ყოველგვარი ცდისაგან. მეორეს მხრივ, ცალმხრივი ემპირიზმი უშუალო ცდას ამაღლებს თეორიამდე და უარყოფს აზროვნების როლს შემეცნებაში, უარყოფს უშუალო ცდის „რაციონალ“ გადაშეშებებას. სწორედ თავის ტრანსცენდენტალ ლოგიკის ნიადაგზე მიაჩნდა კანტს შესაძლებლად მათი სინთეზი, ე. ი. აზროვნების ფორმების ემპირიულ მოცემულობასთან შეთანხმება. ვისაც ეს ნათლად არ წარმოუდგენია, მისთვის ტრანსცენდენტალი ფილოსოფია შემთხვევითი მოვლენად უნდა ჩათვალოს ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ისტორიულად ტრანსცენდენტალი ფილოსოფია სდგას ფორმალ ლოგიკის დიალექტიკურ ლოგიკაზე გარდასვლის გზაზე. გაუგებრობის ასაკილებლად განმეორებით ხაზს უსვამთ, რომ ტრანსცენდენტალი ლოგიკა არ არჩევს თვით ემპირიულ წინაარსს, ის არჩევს მხოლოდ გონების ფორმების ემპირიულ მოცემულობასთან შეკავშირების შესაძლებლობას.

1) „Kant, Kritik der reinen Vernunft“. Русск. пер. Лосского, изд. 1915 г. стр. 65.

2) „აღმთ. საფუძვ.“ გვ. 47

3) ჩვენ არ ვაპირობთ იმის მტყიცებას, თითქოს კანტმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ფორმალ ლოგიკასთან. კანტის სიკვდილის შემდეგ ეწეის მიერ გამოცემული მისი ლოგიკა (რაც იქვს ფუნს მის შინაარსს), ახალ დროში ფორმალ ლოგიკის საფუძვლადაა მიჩნეული, მაგრამ ჩვენ ვღებულობთ კანტის დებულებებს, როგორც ისინი გამოხატული არიან „გონების კრიტიკაში“.

წარმართული

როგორც მოყვანილ დებულემაში, ისე სხვა ბევრ ილაგასაც ნუცუბიძე უსაყვედურებს კანტს, რომ გაურკვეველია, შეიცავს თუ არა ტრანსცენდენტალი ანალიტიკა საგნის თეორიას, თუ შემეცნების თეორიას. მისი აზრით—ან საგანი ან შემეცნება. ესეც არ გამოხატავს კანტის ფილოსოფიის ისტორიულ შინაარსს. კანტის ფორმები არ არიან ფსიქოლოგიურ-ემპირიულ სუბიექტის ფორმები. ტრანსცენდენტალი სუბიექტი ობიექტიური პიქოლოგიურ სუბიექტის მიმართ. გონების ფორმები ამ ტრანსცენდენტალ სუბიექტის ფორმებია—ისინი კი (ფორმები) უშუალოდ, ინტუიტიურად არ გვეძლევიან საგნის აღქმას ერთად—საჭიროა შემეცნებითი პროცესი, რომელიც ემპირიულ ცდასთან დაკავშირებულია. ამაზე დაფუძნებული განსხვავება შეთვისების მსჯელობასა და ცდისეულ მსჯელობას შორის. ამავე კონტექსტში გასაგები კანტის განცხადება „გონების კრიტიკის“ წინასიტყვაობაში, რომ ჩვენ შევიცნობთ ბუნებაში მხოლოდ იმას, რაც თვითონ ჩაგვიღვია მასში. რასაკვირველია, ყველა ამაში ჩვენ ვეხდავთ შინაგან და უძღველ წინააღმდეგობას—მაგ. ამ თვალსაზრისით ბოლოს დი ბოლოს ჩვენ შევიცნობთ ისევე მხოლოდ ფორმას და არა შინაარს და სხვა—მაგრამ, როგორც ჭეჭიოდ დაინახავთ, ასეთი შინაგანი წინააღმდეგობის დალი ამჩნევია ნუცუბიძის ნააზრევსაც.

კანტმა ვერ შესძლო ფორმალ ლოღიკის დაძლევა სწორედ იმიტომ, რომ გამოსავალ წერტილში პრინციპიულად დაუპირისპირა ერთი მეორეს ფორმა და შინაარსი, აზრი და არსი და ამით მოიკვეთა გზა მათი სინთეზისათვის. მის ნააზრევში საბოლოოდ არ არის ცხადი, როგორ ეგუებოდა ერთი მეორეს პრინციპიულად დაპირისპირებული შეგრძნება და გონების ფორმები. ამ მიზნით შემოღებულია ტრანსცენდენტალი სქემატიზმი საქმის გართულების მეტს არაფერს არ იძლევა. თვით ავტორი აღნიშნავს ამ საკითხში მეტის მეტ სიბნელეს და გაუგებრობას¹⁾.

ჩვენც ვამტკიცებთ, რომ კანტმა ვერ შესძლო ფორმის და მასალის სინთეზი, როგორც ამას საპართლიანად აღნიშნავს თვით ნუცუბიძე—მაგრამ ეს სხვა საკითხია. აქ ჩვენ გვაინტერესებდა, რომ კანტის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაესაბუთებია შემეცნება სწორედ გონების ფორმების შინაარსთან, სინამდვილესთან შეთანხმებით და ამით გადაეღება დუალიზმი და რაციონალიზმ-ემპირიზმის ცალმხრიობა. ამდენად კანტის „კოპერნიკული“ პოზიცია არამც თუ არ უარყოფს შემეცნების ობიექტთან შეთანხმების საჭიროებას, არამედ მიმართულია სწორედ ამის დასაბუთებისაკენ.

ეს თუნდაც იქიდანაა ცხადი, რომ კანტის აზრით საგნის შინაარსი (შეგრძნება) სრულებით არ არის სუბიექტის (თუნდაც ტრანსცენდენტალ სუბიექტის) შემოქმედება—ის არის ობიექტიური მოცემულობა. სწორედ

¹⁾ იხ. კანტის წერილი ბეკის მიმართ 1791 წ. 1 ივლისიდან, სწორედ ამ საკითხს შესახებ. წერილი თავდება შემდეგი სიტყვებით: „Замечу, что я сам себя недостаточно понимаю и желаю вам счастья, если вы можете пообратить“. ი. თ. დ. Цитирую у Паульсона „Измамуля Кант“, русск. пер. Лосского, изд. 1905 г. стр. 170.

ამიტომაც კანტი აღნიშნავს, რომ ქვეშარიტების დადებითი ობიექტიური კრიტერიუმი ლოლიკურ ნიადაგზე შეუძლებელია¹⁾, „ქვეშარიტების წინადასახული-კური კრიტერიუმში, სახელდობრ ცოდნის საერთო და ფორმალ კანონებთან შეთანხმება, არის მართლა, *conditio sine qua non*, ე. ი. უარყოფითი პირობა ყოველგვარი ქვეშარიტებისა, მაგრამ ამის იქით ლოლიკა ვერ მიდის, მას არ შეუძლია მოვეყეს არაფითარი ნიშანი, რათა აღმოჩენილ იქნას შეცდომა, რომელიც ეხება არც ფორმას, არამედ შინაარსს²⁾, მაგრამ თუ ლოგიკა იძლევა მხოლოდ უარყოფით კრიტერიუმს, სად უნდა ვეძიოთ კანტის აზრით, მისი დადებითი კრიტერიუმი? ლილიკის გარეშე, „...რამდენად მხოლოდ ფორმა ცოდნისა, თუნდაც ის სრულიად ეთანხმებოდეს ლოლიკურ კანონებს, სრულგზით არ არის საკმარისი, რათა მიანიჭოს ცოდნას მატერიალური, (ობიექტიური) ქვეშარიტება, არავის არ შეუძლია გაბედოს საგნებზე მსჯელობა მარტო ერთი ლოლიკის საშუალებით და მათზე რამე ამტკიცოს, თუ წინდაწინ არ შეუძენია მათზე საფუძვლიანი ცნობები ლოლიკის გარეშე³⁾. ეს აზრი გამომდინარეობს კანტის მეორე აზრისაგან, რომ საგანი შეიცავს არა მარტო ფორმას,—მშინ ის სუბიექტის შემოქმედება იქნებოდა—არამედ ობიექტიურ შინაარსსაც.

რომ კატეგორიული სინთეზები არ შეადგენენ შემეცნებას, ამაზე კანტი გარკვეულად ლაპარაკობს: „ვიდრე არ არიან თვალსაჩინო წარმოდგენანი, ცხადი არ არის, ვაზროვნებთ თუ არა ჩვენ კატეგორიების საშუალებით ობიექტს, ან და შეიძლება თუ არა საზოგადოთ მათ შეესაბამებოდეს რომელიმე ობიექტი; ამრიგად მტკიცდება, რომ კატეგორიები თავის თავად სრულიად არ შეადგენენ ცოდნას, ისანი არიან მხოლოდ აზროვნების ფორმები იმისთვის, რათა მოცემულ თვალსაჩინო წარმოდგენებისაგან შეიქნას ცოდნა“⁴⁾.

აქ ჩვენ ამოცანაში არ შედის კანტის ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობათა გარჩევა. მოყვანილ შენიშვნებით საკმაოდ დასაბუთებულად მიგვაჩნია ქვეშარიტების კრიტერიუმის აუცილებლობა კანტის ფილოსოფიაში, რამდენად მისი თვალსაზრისით შემეცნება არის ობიექტის შემეცნება. ჩვენ დაბეჯითებით უსვამთ ზახს იმ მდგომარეობას, რომ კანტის ობიექტიური პრინციპი ურყევად მიაჩნდა, თუმცა ლოლიკური თანამიმდევრობის დაცვა მას მიიყვანდა ობიექტის უარყოფამდე და თვით შემეცნებამდე, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნუტებიე⁵⁾. კანტის ფილოსოფიის შემდეგი გადამუშავება უმთავრესად ამ გზით წაივდა.

* * *

ახლა გადავიდეთ მოცემულ ობიექტის პრობლემაზე. თუმცა ავტორის აზრით მოცემულობის პრობლემის თუნდაც მაქსიმალურად გადაჭრას შემეცნებო-

¹⁾ ამ დებულების მიხედვით შედლო პროფ. ნუტებიეს ენაბა კანტში თავისი „თანა-ზოაზრე“, მაგრამ კანტის პოზიცია განსხვავდება იმით, რომ ის არ უარყოფს ამ ნიადაგზე კრიტერიუმის საზოგადოდ შეუძლებლობას და რაც მთავარია, მისი (კრიტერიუმის) საჭიროებას.

²⁾ „Крит. чист. разума“. Пер. Лосского, 1915 г. стр. 65.

³⁾ „Крит. чистого разума“, стр. 65.

⁴⁾ Там-же стр. 170.

⁵⁾ „აღვთ, საფ.“

სათვის და მის ბუნებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მისი მნიშვნელობა ამისა, ამ პრობლემის გარჩევას ის ანდომებს ბევრ დროს და აღვივებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოცემულობის პრობლემას, როგორც ლოლიკურის და ონტოლოგიურის მიმართების გამოხატულებას, მეტად დიდი, თუ გნებავთ, გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემეცნებისათვის. მართალია, თვით მოცემულობის პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია ყოველ ფილოსოფიის ძირითად საკითხის—აზრის და აზრის მიმართების გადაჭრისაგან, მაგრამ თვით ამ პრობლემაში იჩენს თავს მისი არა სწორი გადაჭრა და აქედან გამომდინარე წინააღმდეგობათა რიგი. მიზეზს შევიცნობთ შედეგში—ამაში არავითარი გასაოცარი მომენტი არ არის. ჩვენ ქვემოთ დავინახებთ, რომ თვით „აღეთოლოგიისათვის“ ამ პრობლემას გარდამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„სუბიექტ-ობიექტის მიმართებით გაშლილ შემეცნების პროცესს აუცილებლად ელოდება წინ ერთი დაბრკოლება: როგორ ხერხდება სუბიექტიდან ობიექტზე გადასვლა და პირიქით. კიდევ უფრო ნათლად იგვეჩვენოს შემდეგნაირად დაისმის: როგორ ხერხდება გარემყარო (პ. შ.) საგნების ათვისება-შემეცნება“?) აქ აღძრული საკითხი მართლაც ძირითადია შემეცნებისათვის და მასში გარკვეულობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ნუცუბიძის მიერ შენიშნული დაბრკოლება გამომდინარეობს გამოსავალ წერტილში დაშვებულ დიად შეცდომისაგან, რომ აზრი და არსი (რომელთა გამოხატულებაც სუბიექტი და ობიექტი) ორ, ერთ-მეორესაგან პრინციპიულად განსხვავებულ სუბსტანციით არის მიჩნეული, რომელთა შორის კავშირი მართლაც შეუძლებელია. ჩვენ ვიტყვი კატეგორიული დებულების სახით, რომ დუალიზმის ნიადაგზე შემეცნების დასაბუთება სრულიად უნაყოფო ცდას წარმოადგენს. ეს საკმაოდ დამტკიცებულია ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიაში. გავიხსენოთ ოკაზიონალიზმის ცდა კარტეზიანიზმის ნიადაგზე შემეცნების დასაბუთებისათვის¹⁾. რაც შეეხება იდეალისტურ მონიზმს—როგორც იყო აღნიშნული, ჟანასკენელი, თანამიმდევრობის დაცვის პირობით სრულიად ხსნის შემეცნების პრობლემას, ვინაიდან ვამოდის აზრის და არსის | გაიგივებისაგან (აზრის ნიადაგზე) იდეალისტური მონიზმის თვალსაზრისით, ობიექტიური „გარემყარო“ პრინციპი—ლოლიკური კონტრაბანდაა. შემეცნება მის თვალსაზრისით თვითშემეცნებას უნდა ნიშნავდეს.

შემეცნებას ასაბუთებს მხოლოდ მატერიალისტური მონიზმი—დიალექტიკური მატერიალიზმი, რომლის თვალსაზრისით სუბიექტი არა პრინციპიულად, არა ონტოლოგიურად უპირისპირდება ობიექტს, არამედ გნოსეოლოგიურად. სუბიექტ-ობიექტი არ შეიადგენენ ორ დამოუკიდებელ „სუბსტანციებს“, რომელთა შორის „როგორმე ხიდი უნდა გაიდოს“, ისინი შეიადგენენ ერთიანობას ობიექტის პრიმატით. შემეცნების სუბიექტი არ არის აბსტრაქტი „სულიერი“ „მე“ ის არის კონკრეტი—სპეციფიურ ფორმის ორგანიზაციის მოძრავ მა-

1) „აღეთ. საფ“, გვ. 85.

2) ეს დებულება მიეკუთვნის აგრეთვე ლოკს, კანტს და სხ. მაგალითები ბევრია.



ტერიის შინაგანი მდგომარეობა. მოძრავ მატერიის ფორმის ორგანიზაციის წარმოადგენს ადამიანის ნერვულ-ტვინიერი სისტემა. თვით ადამიანი (არა აბსტრაქტი, არამედ კონკრეტი, მთლიანი), როგორც სპეციფიური ფორმა მატერიალ ორგანიზაციისა უშუალოდ განიცდის გარემუარ სხვა მატერიალ საგნების და მოვლენების ზეგავლენას (ВОЗДЕЙСТВИЕ). ამით მოხსნილია სუბიექტ-ობიექტ შორის „ზიდის“ საჭიროება, მით შორის კავშირი დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისით უშუალოა. „სუბიექტი“ იმავე დროს ობიექტსაც წარმოადგენს, როგორც იტყოდა ფიქერბაბი.

ამრიგად, საკმაო სიკბადით ირკვევა იმ „დიდ დაბრკოლების“ ბუნება, რომელსედაც მოვეითხრობდა პროფ. ნუცუბიძე. თურმე დაბრკოლების მიზეზი ყოფილა არა შემეცნების პრობლემის სუბიექტ-ობიექტის მიმართებით გაშლაში, არამედ სუბიექტ-ობიექტზე შემცდარ წარმოდგენაში.

ახლა საინტერესოა, თუ როგორ სჭრის მოცემულობის პრობლემის თვით ალეთოლოგია.

„ყველა ეს საკითხები (სუბიექტ-ობიექტის მიმართების შესახებ, პ. შ.) იმდენად უჩერხულ მდგომარეობას ქნნიდა შემეცნების ბუნების ძიებისათვის, რომ იუცილებელი შეიქნა სუბიექტ-ობიექტის მიმართების გადასინჯვა. ამ გზით ჩაისახა და განვითარდა ტრანსცენდენტალი ფილოსოფია, ემპირიოკრიტიციზმი, ინტუიტივიზმი და სხვა“¹⁾. ამ ციტატიდან ცხადია, რომ სუბიექტ-ობიექტის მიმართებას ნუცუბიძე დებულობს იმ სახით, როგორც ის არსებობდა წინაქანტიელ ფილოსოფიაში. ეს ახალი არგუმენტია ჩენი დებულების სახარგებლოდ, რომ „დაბრკოლება“, რომელსედაც ამბობს ნუცუბიძე, აღმოცენებულია დუალისტურ პრინციპზე. მაგრამ რაც უფრო აღსანიშნავია მოყვანილ ციტატაში, — არის ის, რომ სულ არაა ნახსენები დიალექტიური მატერიალიზმი და ეს იმ დროს, როცა სუბიექტ-ობიექტის მიმართების საკითხი მხოლოდ უკანასკნელშია რადიკალად დასვა და სწორად გადასჭრა. იქნებ ავტორი გულისხმობდეს მას (დიალ. მატერ.) „და სხვ.“-ში, მაგრამ მაზე შემდეგ არაფერია ნათქვამი. რადგან ავტორი კატეგორიულად ამტკიცებს ხსენებულ „დაბრკოლების“ დაძლევის შეუძლებლობას, ის ვალდებულია გაარჩიოს ყოველგვარი ცდა ამ საკითხის გადაჭრისათვის და დაასაბუთოს მათი უმართებულო ხასიათი. ჩენც დავეთანხმებით ნუცუბიძეს იმაში, რომ არც წინაქანტიელ ფილოსოფიას, არც კანტს, არც ემპირიოკრიტიციზმს და ინტუიტივიზმს (და არც ალეთოლოგიას — დაუმატებთ ჩვენ) არ შესძლებიათ ამ საკითხის მართებული გადაჭრა, მაგრამ მის „კრიტიკულ“ მახვილს ასცილდა სწორედ ის მიმართულება, რომელმაც, ჩენის აზრით, ერთადერთმა გადასჭრა სწორედ ეს ძირითადი საკითხი.

ნუცუბიძის მთავარი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შემეცნებასა და შესაცნობს შორის მოიპოვება საერთო რამ. „თუ შემეცნებასა და შესაცნობს შუა არაფერია საერთო, ისეთ

¹⁾ „ალეთ. საფ.“ გვ. 85.

პირობებში შემცნება განუხორციელებელია¹⁾. ამით დაკანონებულია დღევანდელი შემცნება და შესაცნობ: პრინციპულად დაპირისპირებულია (თუმცა თვით ავტორი გვაფრთხილებდა ამის შესახებ) და მით შორის ხიდი უნდა იქნას გადებული „გარკვეულ არსის და შემცნების შუა პირდაპირი კავშირი კეშმარიტების მეობებით ხდება და თვით შემცნების შესაძლებლობისათვის ესაა მთავარი. ერთი და იგივე ელემენტი არსსა და აზრს შუა ხიდიც, (პ. შ.) რომლითაც მიდის შემცნება. სადაც ეს ხიდი ჩატებულია, იქ შემცნების მაგიერ სხვა რამეზეა ლაპარაკი²⁾. ასეთ დუალისტურ გამოსავალს აუცილებელი შედეგია ან აზრის არსისთვის დამორჩილება, ან პირიქით, რადგან, როგორც იყო აღნიშნული, დუალისტურ პრინციპზე შემცნების დასაბუთება შეუძლებელია. ალეთოლოგიის ავტორი, როგორც დავინახავთ, წავამოვრე, იდეალისტური გზით, ე. ი. არსის აზრისთვის დამორჩილებით.

აქ კი მთავარი ისაა, რომ მოცემულობის პრობლემას თვით ალეთოლოგიაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ალეთოლოგიაც არ სცილდება აზრის და არსის დაპირისპირებას.

განვიხილოთ, თუ როგორ სწყეტს ამ საკითხს ნუტუბიძე? (ჩვენს გონებაში შემოდის არა ლითონი, როგორც მასსა, ნივთიერება, არამედ როგორც ფორმა, როგორც გარკვეულობა³⁾). შემოდ დავინახეთ, რომ ეს „გარკვეულობა“, როგორც კეშმარიტება, არის „საერთო ელემენტი“ შემცნებისა და შესაცნობს შუა, „ეს საერთო რამ არის გარკვეულობა არსისა, რომელიც შეადგენს კეშმარიტებას თავის თავად“⁴⁾. გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ შემცნება იშლება თავის თავად და ჩვენთვის კეშმარიტებათა შორის, გამოდის, რომ თვით არსი ნუტუბიძის კონცეპციით არც ნოცემულია და არც შეცნობილი, ამით შემცნების ამოცანა, რომელიც სწორედ არსის შეცნობაში მდგომარეობას, უირამალა სდგას.

კოტა ზევით ვხედავდით, რომ კეშმარიტება თავის თავად, როგორც შემცნების ობიექტი, იმყოფება თვით შემცნების სფეროში, ის არის ლოგიკური და არა ონტოლოგიური ცნება, და თუ მიუხედავად ამისა ის შეადგენს თვით არსის გარკვეულობას—ამით დაკანონებულია უსაშინელესი დუალიზმი ფორმისა და მატერიას შორის, არსსა და მის გარკვეულობის შორის და ამით ყოველგვარი ფასი ეკარგება ნუტუბიძის მიერ ტარებულ საინტერესო კრიტიკას ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის ფორმის და მატერიის დუალიზმისა, სკამის მდგომარეობა ოდნავადაც არ იცვლება იმით, რომ „ფორმის პრობლემასა ნუტუბიძე იღებს ამისი სპეციფიური მნიშვნელობით, როგორც სხვა გვარად არ ყოფნის გამოხატულებას და, მაშასადამე, მატერიას შეუძლია იყოს მხოლოდ გარკვეულობა ან არაფერი“⁵⁾. სწორეთ ნუტუბიძეს კონცეპციაში მატერია უნდა

1) „ალეთ. საფ.“ გვ. 90.

2) იქვე, გვ. 91.

3) „ალ. საფ.“ გვ. 90.

4) იქვე გვ. 90.

5) იქვე გვ. 91.

ვახდეს ან არაფერი“, ან შეუცნობელი, რადგან მისი გარკვეულობა მისი ფორმა (ავტორის კონცეპციით მხოლოდ ამ „ფორმის“ შეცნობა შეიძლება) იმყოფება შემეცნების სფეროში, თვით „მატერია“ კი როგორც არსი, იმყოფება შემეცნების გარეთ.

თვით ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „როდესაც ფორმა ერთ-ბელ მოსცილდება მასალას, მათი შეერთება ყოველთვის საბედისწერო ზღვრა მოაზროვნეთათვისა¹⁾. მაგრამ თვითონ ვერ იცავს თავის დებულებას, რამდენად გამოსავალი წერტილი შემცდარია.

მოცემულობის საკითხში ნუცუბიძის წინ იბადება შემდეგი დილემმა: ან ფორმა უნდა მოსცილდეს მასალას, რათა არ გაქრეს ობიექტი, თუ მკალა „გაბრეყარა“ მასალის“ სახით ან და ფორმა და მასალა განუყრელია, მაგრამ მაშინ ორივე უნდა იყოს შემეცნების სფეროში და ამდენად განიავებული იქნება ობიექტი და დაკანონებული იქნება თავისებური ფენომენალიზმი“).

ნუცუბიძე სამართლიანად უსაყვედურებს კანტის შემეცნების და მისი ფორმების პრინციპის დაშვების გამო, მაგრამ კანტის უდიდეს დამსახურებათ მიაჩნია შემეცნების და შესაქნობის ერთგვარობის პრინციპის ჩამოყალიბება. ჯერ ერთი, რომ ერთგვარობის²⁾ პრინციპი კანტამდე გამოუსტევა სპინოზამ, რომლის თვალსაზრისით ვრცელდება აზროვნება ერთი და აკვივ სუბსტანციის ატრიბუტებია, — მეორე მხრივ, ჩვენის აზრით კანტი მხოლოდ მოითხოვდა ერთგვარობას. მაგრამ თვით ერდგვარობა მას არ დაუსაბუთებია. მის ნააზრევში შეგრძნება და გონების ფორმები, რომელთაც სინთეზი უნდა იყოს საგანი (მოვლენა) პრინციპიულად სხვადასხვა ბუნებისანი არიან. მათი შეერთება მხოლოდ პოსტულიატიკა კანტის ფილოსოფიაში და არა დასაბუთებული დებულება. კანტი მრავალჯერ აღნიშნავს, რომ შეგრძნება უშუალოდ არ უკავშირდება გონების ფორმებს და სწორდეთ მათი შეერთების მიზნით მან შემოიტანა ე. წ. ტრანსცენდენტალი სქემების ცნება. უკანასკნელმა არამც თუ არ შეასრულა თავისი დანიშნულება შეგრძნების და გონების ფორმის სინთეზისა, არამედ ის თვით ვახდა მესამე,

¹⁾ „აღვთ. საფუძ.“, გვ. 25.

²⁾ „ფენომენალიზმი“ ჩვენ უწოდებთ ყოველგვარ მიმართულებას, რომელიც უშუალოდ მოცემულობას აცხადებს ერთად ერთ სრულყოფილად, „ობიექტიური“ იდეალიზმში წარმოადგენს გადაბრუნებულ ფენომენალიზმს (არა ემპირიულ, არამედ რაციონალიზმურ პრინციპებზე) ფენომენალიზმის კლასიკური წარმომადგენელია ბერკელი მარქსისტულ კრიტიკა აცხადებს ემპირიოკრიტიციზმსაც ფენომენალიზმის ერთ-ერთ სახედ (ლენინი). ახალი ტიპის ფენომენალიზმია ნეოგეალისმი, რომელიც ამტკიცებს, რომ ლოდიკური და ონტოლოგიური, სუბექტიური და ობიექტიური ერთი და იგივეა — ცნობიერების ფუნქცია. ობიექტიური იდეალიზმის და ნეოგეალისმის საერთო პრინციპების გამოწვევას ცდილობს L. P. Chambers-ი თავის წერილში: „The search of seriality“ „The Momist“ vol XXXVIII Chicago, October 1928 y. p. 482-483. ამ მხრივ მისი წერილი მეტად საგულანძნია.

³⁾ ერთგვარობას“ ავტორის გაგებაში ჩვენ ქვემოთ შევხვებით.

უფრო გაუგებარი ელემენტის შემცენებისა. ეს განსაკუთრებით არ არის, რამდენად კანტი გამოდიოდა დუალისტურ პრინციპიდან. მისი გიგანტური ცდა შემცენების დასაბუთებისათვის უნაყოფოდ დარჩა სწორედ იმიტომ, რომ მან თავიდანვე სწორათ ვერ გადაჭრა სუბიექტ-ობიექტის მიმართების საკითხი.

რამდენად დუალიზმი შემცენებას შეუძლებელს ხდის, რჩება ან არსის პრიმატი, ან გონების პრიმატი, ან მათი იგივეობა. კანტი წაყვია მეორე გზათ ე. ი. გონების პრიმატით. ამის აუცილებელი შედეგი იყო არსის გონებისათვის დამორჩილება, მაგრამ მაშინ შემცენება კარგავს ობიექტიურ ღირებულებას. კანტის ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობის აცალბება შეიძლება ორი გზით—ან სუბიექტის ობიექტისათვის დამორჩილებით, ან ობიექტის სრული ელიმინაციით. პირველი გზა—მატერიალისტურია, მეორე—იდეალისტური¹⁾. სინამდვილეში ტრანსცენდენტალი ფილოსოფიის განვითარება წაყვია მეორე გზით.

ჩვენ გვიანტერესებს ახლა, თუ რომელი გზით მიდის ალეთოლოგიის ავტორი. „კანტმა დაარღვია დაგვარობის გამოყენების მთავარი პირობა: დაგვარ ელემენტის მქონეთა სწორი ღირებულება, ანუ თანასწორობა. ერთი და იგივე ელემენტის ქონება დაახლოვების მიწვედომის გზაა და არა დამორჩილების—ანუ სხვა გვარად რომ ითქვას, ეს კოორდინაციის გზაა და არა სუბორდინაციის²⁾. ამ დებულებაში ნუკუბიძე იცავს დუალისტურ პრინციპს: აზრი და არსი. „თანასწორუფლებიანები“ არიან და მათ შუა უნდა გამოინახოს საერთო ელემენტი. საკითხავია, თუ რომელ მათგანს მიეკუთვნის ეს საერთო ელემენტი? კანტი რომ გახდა ნუკუბიძის საყვედურის ტირისი იმიტომ რომ, მან ეს საერთო ელემენტი, ე. ი. ფორმა, მიანიჭა მხოლოდ გონებას და მატერია უფორმოდ დატოვა. „ეს ასე არ იქნებოდა,—ამბობს ნუკუბიძე—გონებასა და სინამდვილეს რომ ისეთი ელემენტი აღმოაჩენოდა, რომელიც ორივესაგან დამოუკიდებელი იქნებოდა და იმავე დროს ორივესათვის სავალდებულო³⁾. აქედან სჩანს, რომ ეს „საერთო ელემენტი“ ორივესაგან (აზრი და არსისაგან) დამოუკიდებელია, ის არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება, რა არის ამით მიღწეული? მივიღეთ სამი ელემენტი შემცენებისა 1) არსი, 2) შემცენება, 3) მათ შორის საერთო ელემენტი. უნებლიეთ იბადება ანალოგია კანტის ფილოსოფიასთან, სადაც ჩვენ ვაქვს სამი ელემენტი 1) ნივთი თავის თავად 2) მოვლენა, 3) შემცენების სუბიექტი⁴⁾.

1) ამით აიხსნება ო რ მ ს რ ი ე კ რ ი ტ ი კ ა კ ა ნ ტ ი ს ფილოსოფიისა „Критика сознания“ = „критика слеза“ იმ. Лопин „Материализм и эмпириокритицизм“, Собр. соч. т. X, стр. 160 и след.

2) „ალეთ. საფ.“ გვ. 119.

3) იქვე გვ. 121.

4) რომ კანტთან ანალოგია უსაფუძვლოთ არ არის, მოწმობს შემდეგი ადგილ ნუკუბიძის-თხზულებისა: თუ [კანტის ფილოსოფიაში პ. შ.] გონების ფორმების შესუბიექტიურ ინტერპრეტაციას მივიღებთ, მაშინ ტრანსცენდენტალი მთლიანობა, როგორც წესი ყველა წესების სისტემაზე გაერთიანებისა, ადვილად მიიღება საბეს, „პრეშარიტების თავის თავად“ შემცენება მაშინ იქნებოდა ინდივიდუალ ცნობიერების ამ შესუბიექტიურ ცნობიერებისთვის შესაბამისობა, ამ გზით გეშარიტების თავად კეშარიტებზე ჩვენთვის გარდაქცევა და პრეშარიტების ლოლი-

მოცემულობის პრობლემა ამით აღვლილდან არ ინძრევა, ^{ენციკლიკის} საკითხივით მიღებულ სამ ელემენტთა შორის დამოკიდებულება. ^{კვეთის} ზენ დავინახავთ, რომ ასეთ ელემენტურ პოზიციასზე მდგომ ნუსუბიძემ ან მთლად უნდა გააფქმოს არსი, როგორც ონტოლოგიური ცნება და ამით, «დაასაბუთოს» პუსესერლეს (და არა პეგელის) ტიპის პანლოლიზმი ან და თვით არსი უნდა გახადოს კანტისავით შეუცნობელ ნივთათ თავის თავად.

წინაკანტიელ ფილოსოფიის უმთავრესი ცოდვა ნუსუბიძის აზრით, შემეცნების ობიექტის ტრანსცენდენტობაში მდგომარეობდა, კანტის უმთავრესი დამსახურება მისივე აზრით იმპანენტოზმის დამყარებაშია. მისი (კანტის) შეცდომა—საგნის გონებისთვის დამორჩილებაში. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იმპანენტოზმის პრინციპი აუცლებლად მოითხოვს საგნის გონებისთვის დამორჩილებას და ამდენად კანტის უმთავრესი შეცდომა ამ იმპანენტოზმის დავანონებაშია. გაუგებრობის ასაცილებლად განმეორებით ხაზს უსვამთ იმ გარემობას, რომ თვითონ კანტი არ აღვია აბსოლუტურ იმპანენტოზმის გზას, მაგრამ სწორეთ ამიტომია დაუძღველი მისი ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობა. კანტის თანამიმდევრებმა „მოაცილეს“ მის ფილოსოფიას წინააღმდეგობა ობიექტიურ პრინციპის მოცილებით.

არც ენტუტივიზმი ასაბუთებს ნუსუბიძის თვალსაზრისით შემეცნებას, ვინაიდან მისი თვალსაზრისით შემეცნება გაიგივებულია თვით შემეცნების საგანთან!).

გავარჩიოთ, თუ როგორია თვით ავტორის თვალსაზრისი? სჯანს როგორც ასეთს, აქვს ორი სახეობა: ერთი ონტოლოგიური, საარსებო, მეორე კი შემეცნებითი... საგანი და მისი შემეცნება ერთი-მეორესთანაა დაკავშირებული ორივეს სწორუფლებიანობის დაცვით (პ. შ.)². სრულიად გაუგებარია ეს საგნის „ორი არსება“, რას ნიშნავს ეს მოცემულ ობიექტის პრობლემის ასპექტში? „საარსებო სახეობა“ უნდა იყოს ობიექტიური, გარემყარო, „შემეცნებითი“ „სახეობა“—სუბიექტიური, ანდა ავტორის ტერმინებში პირველი „სახეობა“ ტრანსცენდენტური, მეორე-კი იმპანენტური. ჩვენ უკვე ვიცით, რომ „შემეცნებითი სახეობა“ გარკვეულ ობიექტს, ფორმას, ისევე იბადება ფორმის და შინაარსის დუალიზმი. ისევე სრულიად გაუგებარია, თუ როგორ ეძლევა „სწორუფლებიანი“ საგანი სწორუფლებიანი“ შემეცნებას? ნუსუბიძე გვიასუბნებს: კემპარტების მეოხებით—მაგ-

კა“ც მართლა აღუთოლოგიის გზას დაადგებოდა“ [„აღ.“ „საფ.“ გვ. 51]. აქ არამც თუ ანალოგია, არამედ სრული თანამობაა კანტის ფილოსოფიისთან, ვინც თუნდაც ელემენტარულად გაცნობილია კანტის ფილოსოფიას—იცის რომ თვით კანტი აძლევს გონების ფორმებს ზესუბიექტიურ ინტერპრეტაციას. ამაზეა დამყარებული მისი „შეთვისების“ და „ედისფულ“ მსჯელობების განსწავლება.

1) ჩვენ აქ ვერ გავჩერდებით ნუსუბიძის მიერ ტარებულ ინტუიტიზმის დეტალურ კრიტიკაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი კრიტიკა არ არის მთლად მართებული, რ. ი. შინაარსი ლია არა იმას, საითკენ უნდა მიიზაროდეს ჩვენის აზრით ნამდვილი კრიტიკა.

2) „აღეთ. საფ.“ გვ. 155.

რომ როგორც გამოირკვა, თვით კვშიარიტება არის გარკვეული ან სისხლი და არა თვით არსი. მაინც საკითხად რჩება: როგორ სწვდება არსის გარკვეულობა შემეცნების სფეროს? ხომ გამოირკვა, რომ ეს გარკვეულობა, როგორც „საერთო ელემენტი“, იმყოფება ობიექტ და შემეცნებას შუა? თუნდაც ამ გაუგებრობას თავი დავანებოთ, და მივიღოთ ნუცუბიძის პატიოსანი სიტყვა, როგორც მეცნიერული არგუმენტი (თუმცა მეცნიერებამ არ იცის პატიოსანი სიტყვა), ამ შემთხვევაშიაც ვლებულობთ შემდეგ სურათს: მოცემული შეიძლება იყოს არა თვით არსი, ობიექტი, არამედ მისი გარკვეულობა. უკანასკნელი, როგორც ვიცით, არის ის „ზედმეტი ელემენტი“, რომელიც „ზედ აკრია“ სინამდვილეს. რომელსაც გამოვყვართ თათოვეულ საგნის ბუნებიდან და შევყვართ, დამოკიდებულებათა სისტემაში“. ნუცუბიძეც არ უარყოფს იმ დებულებას, რომ შემეცნება შუა შეიძლება იქნას მხოლოდ მოცემული, ამ რიგად, ნუცუბიძის კონცეპციით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დამოკიდებულებათა სისტემის შემეცნება და არა თვით საგნის არსებობა.

ამ საკითხს უფრო ახლო შევხებით შემეცნების ბუნების გარჩევისას, ახლა კი მოვყვანილ დებულებებიდან ცხადი უნდა იყოს, რომ „იმმანენტურ ტრანსცენდენტისმ“ მოცემულობის პრობლემა ადგილიდან არ დაუნძრევია. ჩვენ უბრალო დეკლარაციით მიგვაჩინა ნუცუბიძის შემდეგი განცხადება: „ალეთოლოგიაში უნდა მოგვეცეს საშუალება ავიციდნოთ, როგორც შეცდომები ტრანსცენდენტისმისა, ისე ცალმხრობა იმმანენტისმისა და სინთეტური მეთოდით დავასაბუთოთ ერთად-ერთი მისაღება დასმა-გადაჭრა შემეცნების პრობლემისა—ტრანსცენდენტური იმმანენტისმით“¹⁾. სინთეზი სრულიად არ მდგომარეობს მოწინააღმდეგე პრინციპების შექანაკურ შერთებაში. ასეთ შექანაკურ შეერთების ნამდვილი სახელია ეკლექტიზმი.

ახლა განვიხილოთ თვით შემეცნების საგანი ნუცუბიძის კონცეპციაში. ეგებ ჩვენი დასკვნა უკანონო იყოს და ავტორს გააჩნდეს რამე სხვა გამოსავალი არა ბარტო არსთა (საგანთა) შორის დამოკიდებულების, არამედ თვით საგნების არსების შემეცნების დასაბუთებისათვის.

„ჩვენის მტკიცებით შემეცნების საგანი სისტემა და არა ფაქტი... შემეცნება შეიძლება ისეთი რისამე, რაც შემეცნებისდაგვარია, ე. ი. შემეცნების საგანი აუცილებლად ისეთი ბუნების უნდა იყოს, რაც გამოითქმის შემეცნების ენაზე. ასეთია, ჩვენი აზრით, კვშიარიტება თავის თავად“²⁾. მაშასადამე, თუ ჩვენ შევიცნობთ, როგორც ამ ციტატიდან სჩანს—მხოლოდ ფაქტზე დანართს, მხოლოდ მის გარკვეულობას, რომელიც მას ზედ აკრია“ (ასეთია თავის თავად კვშიარიტების ბუნება)—თვით ფაქტი შეუცნობელი უნდა დარჩეს. ეგებ გარკვეულობა, ფორმა ნუცუბიძეს აქვს წარმოდგენილი არისტოტელესავით, როგორც მომქმედი, აქტუალი, მატერია კი როგორც პოტენცია, უბრალო შესა-

¹⁾ „ალეთ. საფ.“ გვ. 158.

²⁾ იქვე, 83-177.

ძლებლობა? ასე თუ ისე ის ვარდება ფორმა და შინაარსის დამატებით, რაც ახასიათებს ყველა ეკლექტიურ სისტემებს.

„იმმანენტურ ტრანსცენდენტობის“ საშუალებით ნუცუბიძე ვერ შესცვლის მდგომარეობას, ვინაიდან ეს ეხება არა საგანს, როგორც ასეთს, არამედ შემეცნების საგანს ნუცუბიძის გაგებაში, ე. ი. კემპარტება თავის თავად კიდევ მეტი, ეს „ტრანსცენდენტ-იმმანენტობა“ თვით არ არის დასაბუთებული და წარმოადგენს უბრალო დეკლარაციას. „შემეცნება ყოველთვის ტრანსცენდენტურია, რამდენადაც იგი მიმართებულია იმისკენ, რაც ჯერ შეუცნობელია—საგანი ყოველთვის იმმანენტურია, რამდენადაც იგი შემეცნებისათვის მოცემული არის“¹⁾. სხვის რომ თავი დაეხრებოთ, ამ მოკლე ციტატაში მოთავსებულია შინაგანი წინააღმდეგობა. მართლაც—და, ტრანსცენდენტურ იმმანენტობის თვალსაზრისით საგანის თვით მოცემულობაში უნდა ახასიათებდეს ორივე მხარე—ტრანსცენდენტურიც და იმმანენტურიც. მოყვანილ ციტატაში კი იმმანენტობა მოცემულობაშია, მაშინ ტრანსცენდენტობა „მოუცემლობაში“ უნდა იყოს, რაც ეწინააღმდეგება ავტორის ძირითად დებულებას. გარდა ამისა ხომ შეიძლება საგანი მოცემული იყოს და არა შეუცნობელი? ყოველ შემთხვევაში თვით ავტორი ბევრჯერ აღნიშნავს, რომ მოცემულობა იგივე შემეცნება არ არის²⁾. ესაა მისი მთავარი არგუმენტი ინტუიტივიზმის წინააღმდეგ და ეს მართალიცაა—წინააღმდეგ შემთხვევაში შემეცნება გადადიოდა მოცემულობის პრობლემაში. მოყვანილ ციტატაში ტრანსცენდენტობა არა საგანს ჯერ მოუცემლობაშია, არამედ მის ჯერ შეუცნობლობაში. არა თვითსაგანია ტრანსცენდენტ-იმმანენტი, რის დამტკიცებას კისრულობს ეს დებულება, არამედ საგანი ყოველთვის იმმანენტურია. შემეცნება ტრანსცენდენტურია, რამდენად მიმართულია შეუცნობლისაკენ. ასეთი შინაგანი წინააღმდეგობა აუცილებელი იყო იმიტომ, რომ შემეცნებისთვის ჯერ მოუცემელი საგანის დაშვება ნიშნავდა შემეცნებისაგან დამოუკიდებელ საგანს (ეკსისტენციულობის მხრივ) დაშვებას, რაც „ალეთოლოგიურ რეალიზმს“ „დოგმატიურ რეალიზმში“, ე. ი. მატერიალიზმში გადაიყვანდა. „საგანი არ შეიძლება შემეცნების გარეთ იყოს... შესაცნობი საგანი შემეცნების სფეროში უნდა იყოს“³⁾.

მსჯელობის ანალიზით ფიქრობს ნუცუბიძე დაასაბუთოს თავისი ტრანსცენდენტური იმმანენტობის. „როდესაც ჩვენ უკვე დამთავრებულ მსჯელობასთან გვაშვს საქმე, საშუალება გვძლევს გადარჩიოთ, როგორია მისი საგანი, ე. ი. შემეცნების საგანი. ამ მსჯელობაში ჩვენთვის გადაშლილია ის, რაც მეორეს მხრივ სინამდვილის ნაწილია“⁴⁾, ე. ი. გადაშლილია კემპარტება თავის თავად.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ამ საკითხში ნუცუბიძის შეცდომა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ არჩევს დამთავრებულ მსჯელობის შინაარს,

¹⁾ „შეიძლება საგანი მოცემული იყოს, მაგრამ მხოლოდ ამიტომად შესაცნობი, ე. ი. იგი მოცემულია, ჯერხმობით შეუცნობელი“ („ალ. საფ.“ გვ. 163).

²⁾ „ალეთ. საფ.“ გვ. 162.

³⁾ იქვე, გვ. 161.

⁴⁾ „ალეთ. საფ.“ გვ. 161.

როგორც ჩვენს წარმოდგენას (გაგებას) ობიექტზე უარყოფითად აღსანიშნავს, რომელიც დამოუკიდებელია ამ მსჯელობის შინაარსიდან და რომელსაც უკანასკნელი (მსჯელობის შინაარსი) უნდა შეესაბამებოდეს. თუ შემსჯელობ, მაგალ. „მაგნოლიას ხუთმეტრი ყვავილი გაუშლია“, ამ ჩემს მსჯელო ბაშის არ იმყოფება თვით მაგნოლია თავისი ხუთმეტრი ყვავილით—ეს უთუოდ იქნებოდა მათი, როგორც ნივთიერების, მასის შექრა ჩემს ცნობიერებაში—არამედ ეს ჩემი მსჯელობა (რამდენად ის სწორია) გამოხატავს მისგან დამოუკიდებელ მაგნოლიას და მისი ყვავილებას დაშოკიდებულებას. ონტოლოგიური სლოგიკური ში გათქმევა ყოველგვარი იდეალიზმის დამახაიათებელია და ამ გზას არ სცილდება ალეთოლოგიის აქტორი. „ალეთოლოგიურად ჩვენ გვაქვს ერთი კომპლექსი, რომელიც ერთის მხრივ თავის თავადაა, მეორეს მხრივ ჩვენთვის და შემეცნების საგანიც კორივე მხარეს გულისხმობს, ორივეს მხრივ ხასიათდება¹⁾. მკიოხველშა წარუოიდგინოს ამ დებულების მიხედვით, თუ როგორ დამოკიდებულებაშია „ალეთოლოგია“ ემპირიოკრიტიციზმთან²⁾.

„ფიზიკურ ფენომენში არაა არაფერი შემეცნებისდაგვარი, შემეცნებასთან საერთო. შემეცნების საგანია ის წყობა მსოფლიო ელემენტებისა, ის გარკვეული დამოკიდებულება მის ნაწილებს შორის, რომლის შედეგია მოვლენა“³⁾. აქ გარკვეულადაა ნათქვამი, რომ ჩვენ შევიცნობთ არა ფიზიკურ ფენომენებს, როგორც ასეთებს, მაგ. არა ხეს და მის თვისებებს, არა ლითონს და ელექტრობას მათი თვისებებით, არამედ მათ შორის დამოკიდებულებას, ამ თვალსაზრისით საგნის შინაგანი სტრუქტურა შეფენობელია. ნუტუბიძე გვეტყვის, რომ „შემეცნება მეტია, ვინემ თითოეული მოვლენა“, მაგრამ ეს გამოხატავს სინამდვილის მთლიანობას და მეტ არაფერს. რა თქმა უნდა არ არსებობს ერთი, გამოკვეთილი საგანი, ანუ მოვლენა, რომელიც თავის თავად უნდა იქნას შეცნობილი—სხვა მოვლენებს თავი რომ დაეანებოთ—შემეცნება გულისხმობს შემეცნებელს. საზოგადოთ ერთის განმარტება გულისხმობს სხვებს და ამდენად სწორია სპინოზას *omnis determinatio negatio*“, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ თავის თავად ალბუღი, გამოკვეთილი საგანი თვით თავის ფარგლებში (в себе) არ წარმოადგენს რეალობას, ის სრულებით არ არის „მითი“, „თვის მოტყუება“, როგორც ფიქრობს ნუტუბიძე. ყოველი საგანი ანუ მოვლენა თავის თავად ალბუღი არის ნაწილობრივ, „causa sui“ იმდენად, რამდენად ის არსებობს. რა თქმა უნდა, მისი არსებობა დაკავშირებულია სხვა არსებობასთან, რამდენად სინამდვილე შეადგენს მთლიანობას. მიხეზობრობის (причинность) კავშირი არ უნდა იქნას გაგებული მექანიკურად, თითქოს ერთი საგანი ანუ მოვლენა მხოლოდ სხვებთან დამოკიდებულებაში ამტკიცებს, თავის არსებობას—ასე-

¹⁾ „ალათ. საფ.“ 162.

²⁾ გივიზსენოთ ნუტუბიძის თანხმობა აცვენარიუსის „პრინციპილ კოორდინაციასთან.“

³⁾ „ალათ. საფ.“ გვ. 174.

თი შეხედულება აუცილებლად მიიყვანს იმ დასკვნამდე, რომ სინამდვილე მთელი სამყარო, როგორც მთლიანი და მოკიდებულია მის გარემყარ მიზეზთან.

ერთი გამოკვეთილი საგანი, მაგ. პროფ. ნუცუმბიდის წიგნი, რომელიც ჩემს წინაშე დევს, თავის გარკვეულობას და განმარტებას პოულობს სხვა წიგნების მგ. ბოლცანოს „Wissenschaftslehre“ და ჰუსსერლეს „Logische Untersuchungen“-ის მიმართ—რომლებთან მას საერთო აზრები აქვს—ან და ენგელსის „ანტი-დიურინგის“ და ლენინის მატერიალიზმში და ემპირიოკრიტიციზმის მიმართ, რომლების მთავარ იდეებს იგი ეწინააღმდეგება, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ნიშნავს, რომ მას, თავის თავად აღებულს, არ გააჩნია რეალი (თუნდაც შემცდარი) შინაარსი, რომელსაც შეუძლია იქონიოს რეალი (თუნდაც ცუდი) გავლენა მრავალ რეალ ტვინებზე. შინაგანის და გარეგნულის, ნაწილის და მთელის, ერთის და მრავალის და სხვ. ასეთების მიმართების საკითხის მეცნიერული განმარტება შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკის ნიადაგზე, რომელიც სრულიად არ სწავს პროფ. ნუცუმბიდეს და ამაშიაც იგი მტკიცედ იცავს ბოლცანოს და ჰუსსერლეს ტრადიციებს.

ამრიგად, ჩვენ დაეინახეთ, რომ შემეცნების საგანი „დამოკიდებულებათა სისტემა“. რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი? „თვითარსებული დამოკიდებულებათა სისტემა არის ჰეგელიანური თევისთავად, იგი ფაქტი ანუ სინამდვილე კი არაა, ამ სიტყვის ეიწრო მნიშვნელობით, არამედ ფაქტის გამო ანუ ფაქტის ირგვლივ გაშლილი სისტემა დამოკიდებულებათა... ამ რიგათ... შემეცნების საგანი მეტია, ვიდრე ფაქტი ანუ მოვლენა... უნდა არსებობდეს სისტემა ისეთ დამოკიდებულებათა, რომლის გამოთქმა მსჯელობაში ან სხვა ლოგიკურ ფორმებში შესაძლო ხდება“¹⁾, ე. ი. დამოკიდებულებათა სისტემა არ არის ფაქტი ანუ სინამდვილე ამ სიტყვის „ეიწრო“ მნიშვნელობით. ჩვენ საუბედუროთ, არ ვიცით სინამდვილის „ეიწრო“ ანუ „ფართე მნიშვნელობა“. ვიცით მხოლოდ, რომ სინამდვილის იქით არაფერი რა მოიპოვება. თუ თავის დებულებით ავტორს უნდოდა გამოეთქვა ის მარტივი აზრი, რომ მთლიანი სინამდვილე არ არის ფაქტების უბრალო გროვა—ეს ტავტოლოგია იქნებოდა. სინამდვილე არის ერთიანობა (პრინციპის მხრივ), მრავალსახიანობა (ზარისხების (качество) მხრივ) და მთლიანობაც, ამდენად „დამოკიდებულებათა სისტემა (თერმინი „სისტემა“ უბერო გამოთქმა) არ გამოდის სინამდვილის ფარგლებიდან, თვით სინამდვილეში იფულისმება—ნუცუმბიდის აზრით კი ის (დამოკიდებულებათა სისტემა) შეადგენს სინამდვილეზე „მეტს“, მასზე „დანართს“ გარკვეულობის ანუ ჰეგელიანური რიტების სახით. „...ფაქტზე დანართი, მისი ბუნებაზე წარმატებული მომენტი გარკვეულობისა არის შემეცნების ის საგანი, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ჰეგელიანური რიტებას თავის თავად“²⁾, რომ ეს „დანართი“ არის დამოკიდებულებათა სისტემა, ცხადია ავტორის შემდეგი განცხადებიდან: „არსებობა, როგორც კონკრე-

¹⁾ „ალფთ. საფ.“ გვ. 175—176.

²⁾ იქვე, გვ. 173.

ტიულობა. მოკლებულია არსებობაზე წარმატებულს, დაქვემდებარებულია (პ. შ.) გარემოებათა¹⁾.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ნუკლებიდის კონცენციაში ფაქტი, სინამდვილე ხდება შეუცნობელ „ნიეთად თავის თავად“. შართლაც და, მისი თვალსაზრისით, გარკვეულთა ფაქტისა არ არის განუყოფელი თვით ფაქტისა. გან, არამედ „ფაქტის გამო და მათ ირგვლივ (პ. შ.) გაშლილი სისტემა დამოკიდებულებათა“, ამდენად ჩვენ არა გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ გარკვეულობის შეცნობით თვით ფაქტებსაც შევიცნობთ, რადგან „ფაქტი თავის თავად ალოგოური (პ. შ.) ცნებაა“²⁾. ჩვენ კი, ავტორის შეხედულებით, შეგვიძლია შემეცნება მხოლოდ იმისა, „რის გამოთქმა შეიძლება მსჯელობაში ან სხვა ლოლიკურ ფორმებში“.

როგორ გამოდის ნუკლებიდ ანთ შინაგან წინააღმდეგობიდან? ის გვაგზავნის პონტიისაგან პილატესაკენ, „არსებობას, როგორც ასეთს, სპეციალი მეცნიერება სწავლობს და როდესაც სხვადასხვა გნოსეოლოგიები არსებულის „მოწესრიგებას“ „წმინდა აღწერას“ „შედარება განსხვავებას“ სხვაგვანა შემეცნების საქმედ, შემეცნების შემეცნება შეუძლებელი ხდება და ფილოსოფია მეცნიერების დონემდე ჩამოქვეითდება“.³⁾

ჩვენ სრულებით არ გვინდა ნუკლებიდის ფილოსოფიის შეურაცყოფა მივაცენოთ „მეცნიერების დონემდე ჩამოქვეითებით“, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მოყვანილ დებულებაში საკითხი ოდნავადაც არ არის გადაჭრილი. ნაცვლად იმისა, რომ ფილოსოფიამ, როგორც „მეცნიერების თეორიამ“⁴⁾ დაასაბუთოს მეცნიერება—მათ შორის შენდება გუჯალი ჩინური კედელი.

მეცნიერების და ფილოსოფიის ასეთი გათიშვა და პრინციპილი დაპირისპირება ჩვენთვის თავიდანვე ცხადი იყო. მეცნიერება სწავლობს არსებულს, ფილოსოფია—არსებულზე წარმატებულს ქვეშაობების საბით და ამით გამოყოფილია მათი ასპარეზები, მათ შორის კავშირი გაწყვეტილია იმდენად, რამდენად გაწყვეტილია კავშირი ფაქტსა და მის გარკვეულობის შორის, არსებობასა და მასზე „წარმატებულს“ შორის. მეცნიერებას გააჩნია ობიექტად ერთი სინამდვილე არსებულის საბით, ფილოსოფიის კი მეორე—ქვეშაობების ანუ დამოკიდებულებათა სისტემის საბით. მეცნიერება ყოველგვარ რეფლექსიის გარემოება, მისი შემეცნება აბსოლიუტურად სტიქიურია—ფილოსოფიური შემეცნება კი რეფლექტიურია. ფილოსოფიური რეფლექსიის საგანი არ არის თვით სინამდვილე, რომელსაც სწავლობს მეცნიერება და ამდენად ავტორის მტკიცება დასაწყისში, რომ ფილოსოფია და მეცნიერება ერთი და იგივე სინამდვილეს ეხებიან,—დაუსაბუთებელ პოსტულიატად დარჩა, რადგან გამოსავალი დუალისტური პრინციპი მოითხოვდა თავის ლოლიკურ დასკვნას.

1) „რადეთ. საფუძ.“ 227.

2) იქვე, გვ. 228.

3) „რადეთ. საფ.“ გვ. 235.

4) იხ. В. Нучубидзе „Бошано и теория Науки“ Вопр. фил. 1913, кн. 116 и 117.

ე. ი. ჯ. ჯ. ჯ. ჯ. ჯ.

ამრიგად გამოირკვა, რომ ნუცუბიდის „ტრანსცენდენტ-იმპანენტლურული“ ლებლად გადადის იმპანენტისში, რამდენად უარყოფილია საგნის შემეცნები-საგან დამოუკიდებლობა და მისი გარემოდებარეობა. „ტრანსცენდენტ-იმპანენტობა“ შემეცნებითი დამოკიდებულების გამოშატეულია. ტრანსცენდენტობა ისე, როგორც იმპანენტობა, არავითარ არსებებს არ გამოხატავს და პირველ შემთხვევაში უმართებულა დაბოლოებული ჩემი ცდის გარემოდებარეზე და გარედგარსებულზე (ავტორები) ისე, როგორც მეორე შემთხვევაში იმავე ცდის სფეროში არსებობაზე¹⁾. როგორც ვხედავთ საბოლოოდ დაცულია „ალეთოლოგიური რეალიზმი“-ს მთავარი თეზისი, რომელიც ამტკიცებს „არა არსებობას საზოგადოთ მის დაპარისპირებაში ცნობიერებისათვის“, ე. ი. ჩვენი, მატერიალისტური განმარტებით, დაკანონებულია იდეალიზმი.

ახლა რამოდენიმე სიტყვით შევხვით საკითხს შემეცნების სუბიექტისათვის ნუცუბიდის ინტერპრეტაციაში. შემეცნების კომპლექსში შედის, როგორც ვიცით, არსებობაზე წარმატებულთა მთელი სისტემა, რომელთა შორის ერთი ელემენტი, ჩვენი ადამიანის არსებობაზე წარმატებული შლის ჩვენთვის საწვდომად სხვა არსებობაზე წარმატებულს²⁾, ე. ი. შემეცნების სუბიექტია ადამიანის არსებობაზე წარმატებული. უნდა ვიფიქროთ, ადამიანის აზროვნება, მისი ბუნება ნუცუბიდის თბუღლებაში უფრო ახლო არ არის გარკვეული და განმარტებული.

შემეცნების ობიექტია „სხვა არსებობაზე წარმატებული“, რომელიც „შემეცნების მომენტის გარეშე აღებული არის ჭეშმარიტება თავის თავად“³⁾. ეს შემეცნების ობიექტი, როგორც გამოირკვა, ყოველთვის „შემეცნების სფეროში უნდა იყოს. როცა მას დაერთვის „ჩვენი არსებობაზე წარმატებული“, ე. ი. „შემეცნება, ვლტებლობთ „ჭეშმარიტებას ჩვენთვის“. ამ ვხით „ტრანსცენდენტური“ გადადის იმპანენტურში. ახლა უფრო გარკვეულადაა ცხადი, რომ ნუცუბიდის კონცეპტიაში შემეცნება არის არა არსებულის, არამედ „მათზე წარმატებული“-ს შემეცნება. ამ არსებობაზე წარმატებულის ბუნება ირკვევა „ადამიანის არსებობაზე წარმატებული“-ს ანალოგიით, რამდენად შემეცნების უმთავრესი პირობაა შემეცნების და შესაცნობის „ერთგვირობა“. მაშასადამე, როგორც შემეცნება, ისე შესაცნობიც—ორივე ლოდიკურციკებაა, ობიექტი არაა ვრცეული, რადგან ის შემეცნების სფეროში უნდა იმყოფებოდეს, იგი ზედროულია, რადგან ყოველთვის ერთი და იგივეა. ის არის „აზრი სინამდვილისა არა ანტროპოლოგიურად გაგებული, არამედ ნოოლოგიურად“⁴⁾. თვით არსება საგნისა მისი არსებობის გარეშე იმყოფება. აზრი სწვდება არა არსს, არამედ ისევე აზრს: ანტროპოლოგიური აზრი (ჩვენი არსებობაზე წარმატებული) სწვდება ნოოლოგიურს, ე. ი. სხვა არსებობაზე წარმატებულს (სინამდვილეზე წარმატებულს).

1) „ალეთ. საფ.“. 228.
 2) იქვე. 228.
 3) იქვე. 228.
 4) „ალეთ. საფ.“. გვ. 85—85.

ნუცუბიძის თხზულებაში გარკვეული ისიც არაა, თუ **ნუცუბიძის** მიწოდება ეს მიწოდება—მისი კონცეპციის მიხედვით მიწოდება უშუალო ინტუიტიური უნდა იყოს.

სრულიად გაურკვეველია აგრეთვე სინამდვილის და „მაზე წარმატებულის“ დამოკიდებულება, როგორც გაურკვეველი იყო პლატონის გრძნობი სამყაროს და იდეათა სამეფოს, ან და ჰესსერლეს „იდეალურ ყოფილობის“ და რეალ ფენომენების დამოკიდებულება.

ნუცუბიძე უსაყვედურებდა კანტს, რომ მან არ გამოჰყო შემეცნების თეორია საგნის თეორიისაგან. თვით ნუცუბიძის ნააზრევში შემეცნების ბუნება, როგორც ფილოსოფიაში, ისე სპეციალ მეცნიერებაში, სრულიად არ არის გარკვეული.—ნათქვამია მხოლოდ, თუ როგორ სწვდება ჩვენი არსებობაზე წარმატებული სხვა არსებობაზე წარმატებულს, რაც მიეკუთვნის მოცემულობის და არა შემეცნების ბუნებას.

რაც შეეხება სპეციალ მეცნიერებას, აქ მოცემულობაც არ არის დასაბუთებული. მეცნიერება სწავლობს არსებულს და არა მაზე წარმატებულს—მოცემული შეიძლება იყოს მხოლოდ ეს წარმატებული. თუ ნუცუბიძე გულისხმობს, რომ ამ წარმატებულის მეოხებით გვეძლევა თვით რეალი ფაქტებიც. ამას გარკვეულად ეწინააღმდეგება მისივე განცხადება, რომ „წარმატებული არც არსებულის წინაარსს გამოხატავს და არც მათ დამოკიდებულებას; იგი საყვებით ეკუთვნის საგანთა და მოვლენათა ალეთოლოგიურ ასახებას“¹⁾.

ამრიგად მეცნიერების საზოგადოდ შესაძლებლობა ნუცუბიძის კონცეპციაში გაუგებარია. ხომ არ შეგვიძლია ავტორის თვალსაზრისით დაუშვათ ისეთი შესაძლებლობა, რომ ჩვენი არსებობა უშუალოდ სწვდება სხვა არსებობას, როგორც რეალ ფენომენს, როგორც ფაქტს. ეს იქნებოდა დარღვევა ავტორის ძირითად დებულებისა, რომ ფაქტში, როგორც რეალ, ფიზიკურ ფენომენში, არ არის არაფერი შემეცნების დაფიქრო და ის არ შეიძლება იქნას არც მოცემული და არც შეცნობილი.

ახლა ორიოდ სიტყვა მეთოდზე. ამ საკითხის შესახებ ბევრი რამ არ არის ნათქვამი თხზულების გასარჩევ ნაწილში. ავტორი დიდი ხანია გვიპირდება ლოგიკის და მეთოდოლოგიის რეფორმის²⁾ და ალბათ შეასრულებდეს იქნება თავის დაპირებას—მაგრამ იმ მოკლე შენიშვნებიდან ამ საკითხის შესახებ, რომელიც მოიპოვება გასარჩევ თხზულებაში, შეგვიძლია აქედანვე შევადგინოთ მთელი „ახალი“ მეთოდი.

უპირველეს ყოვლისა ნუცუბიძის თვალსაზრისი ანტიისტორიულია. „რაც შეეხება თვით შემეცნების წყობას, არქიტექტონიკას, იგი ერთხელ და სამუდამოდ ერთი და იგივეა და ამ სახითაც უნდა შეისწავლებოდეს ფილოსოფიური თვალსაზრისით“³⁾.

¹⁾ „ალეთ. საფუ.“ 228.

²⁾ იმ. III. Нуцубидзе. „Большая и теория науки“. Вопр. фиа. 1913. 117. стр. 169. იმ. აგრეთვე „ალეთ. საფუ.“ გვ. 233.

³⁾ „ალეთ. საფუ.“ გვ. 237.



ნუცუბიძე „ეთანხმება“ ტრანსცენდენტალიზმს იმაში, რომ შემეცნების განხორციელებისათვის მისი ერთგვარი ნაწილი უკვე იმ თავითვე მოკმეული უნდა იქნას. ნუცუბიძის აზრით „კანტის ტრანსცენდენტალიზმში ასეთი აპრიორული შემეცნება შესაძლებელია საგნის ნაწილობრივ დახასიათებას შეიცავს“, თვითონ კი აფართოებს აპრიორულ პირობებს მთელ საგანმდე¹⁾; ე. ი. თუ კანტის თვალსაზრისით საგანი იყო ლოდიკურის (აპრიორულ ელემენტების) და ანტოლოგიურის (შეგრძნების მასალის) სინთეზი, ნუცუბიძისთვის შემეცნება არის მხოლოდ ლოდიკურის შემეცნება.

„შემეცნება არის „შეცნობილისაგან შეუცნობისკენ გარდასვლა“ და ამდენად შემეცნების შინაგან წუბობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი განსხვავება არაა გენეტიკური და არა გენეტიკური თვალსაზრისის შორის“²⁾. რას ნიშნავს „შეცნობილისაგან შესაძლებლობისკენ გარდასვლა“ ნუცუბიძის კონცეპტიაში? ეს ნიშნავს იმას, რომ „ახალი აზრი ძველს ეწყობება, ძველი კიდევ უფრო ადრინდელს და ასე მანამდე, ვიდრე უმაღლეს საფუძვლამდე არ მივაღწიოთ“³⁾. ცხადია, რომ აქ ჩვენ გვაქვს საქმე ლოდიკურ აქსიომატიკასთან, რომლის ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ დედუქციის და არა ინდუქციის დასაბუთება. ინდუქციის და დედუქციის ერთიანობის დასაბუთება შეიძლება მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით. ნუცუბიძის „რედუქტიური“ მეთოდი პრინციპულად ეწინააღმდეგება დიალექტიკას და მის ნიადაგზე შეუძლებელია ინდუქციის და დედუქციის ერთიანობის დასაბუთება, რომლის საჭიროებას ბევრჯერ უხედავს ხაზს ავტორი. მართლაც—და რას ნიშნავს „რედუქტიური“ მეთოდი თვით ავტორის განმარტებით? „მეცნიერების თეორია ვალდებულია გაარჩიოს მეცნიერების ძირითადი მეთოდები—ინდუქცია და დედუქცია—გამოააწვარავს თითოეული მათგანის არა დამოუკიდებელი ხასიათი და პერსპექტივის თეორიის საფუძველზე გაანეითაროს უმაღლეს რედუქტიურ მეთოდის ცნება“. ასეთია უფრო ადრინდელი განმარტება. ასეთივე დეკლარაციასთან გვაქვს საქმე გასარჩევ თხზულებაშიაც—„პერსპექტივა თავის თავად, როგორც პირობა შემეცნებისა... როგორც ერთი საფუძველი მთლიანად აღებული შემეცნებისათვის მოითხოვს და ასაბუთებს ერთ ძირითად მეთოდს, რომელიც, როგორც დედუქციის, ისე ინდუქციის საფუძველს წარმოადგენს. ამ მეთოდს ჩვენ რაბინიძემ წლის წინათ რედუქტიური მეთოდი უწოდებო“⁴⁾. აქ, მართლაც, მართა „წოდების“ მეტი არაფერია ნაჩვენები, მაგრამ საერთო შეხედულების მიხედვით, დასკვნა აშკარაა. რამდენად პერსპექტივა თავის თავად წარმოადგენს „საფუძველს, როგორც ინდუქციის, ისე დედუქციისა“, უკანასკნელნი მეკანტიურად უნდა იქნან გამოყვანილნი ამ უმაღლეს საფუძველიდან“. თუ როგორაა შესაძლო ინდუქციის „გამოყვანა“ ამ უმაღლეს საფუძველიდან,

¹⁾ „ალფ. საფ.“ გვ. 231.

²⁾ იქვე, გვ. 232. შეად. Видальбанд „Прежиди“ статья „О категориях“. ვინდელბანდი ცდილობს აპრიორიზმში შეურიგთ ევოლუციონიზმს.

³⁾ „Вопр. фил. и псих.“ 1913 г. кн. 117, стр. 169.

⁴⁾ „ალფ. საფ.“ გვ. 238.

ჩვენთვის სრულებით არ არის ცხადი და ეს თვით ავტორისავე *„პრობლემატური“* ჩვენის აზრით, „შემეცნების უმაღლესი საფუძველი“ ასაბუთებს მხოლოდ დედუქციას, რადგან, ერთი აზრი მეორედან უნდა გამოიყვანებოდეს, ეს ძველი ჟიჯრო აღრიზნელისაგან და ასე მანამდე, ვიდრე უმაღლეს საფუძველამდე არ მივაღწევთ. ინდუქციის დასაბუთება მის ნიადაგზე ყოვლად შეუძლებელია—ამისთვის სრულიად საკმარისია არისტოტელეს მიგალითი ¹⁾. ამიტომ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, თუნდაც ავტორის საწყენად, რომ ის არ გამოდგება „ინდუქციის არისტოტელეთ“ ²⁾, თუმცა ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ინდუქციის არისტოტელეთ აღმოაჩენილიყო ჩვენი თანამოქალაქე (არ დავეძალავთ პატრიოტულ გრძობას).

საერთო დასკვნა, რომელიც გამოგვეყვას ამ მოკლე ანალიზიდან, მდგომარეობს იმაში, რომ ნუკლებიდის კონცეპციაში შემეცნება და მისი ობიექტი ყოველგვარ ისტორიულ პროცესის და მოძრაობის გარეშე დგანან. შემეცნების ბუნება, მისი წყობა და არხიტექტონიკა „ერთხელ და სამუდამოდ ერთი და იგივეა“.

თუ რაში მდგომარეობს თვით შემეცნების ბუნება, საბოლოოდ გაურკვეველია ნუკლებიდის ნაზრევეში. შემეცნების სუბიექტ-ობიექტის „მოხსნის“ შედეგ, როგორც ვხედავდით, დარჩა მათი ანალოგიები, თავის თავად და ჩვენთვის კუმშვარტება გაურკვეველია, თუ როგორ ხდება პირველის უკანასკნელში გარდასვლა, რაც ნუკლებიდის კონცეპციაში შეადგენს შემეცნებას. ავტორის ძირითადი პრინციპების მიხედვით ეს გარდასვლა უშუალო, ინტუიტიური უნდა იყოს (თუმცა ავტორი ამას უარყოფს), მაგრამ ამით იხსნება თვით შემეცნების, საზოგადოთ ყოველგვარ მეცნიერების და მეთოდოლოგიის პრობლემა ³⁾ და თვით ავტორის მიერ დაპირებული გრანდიოზული წრომა ამათ უნდა დარჩეს.

ნუკლებიდე ხედავს ბოლცანო და ჰუსსერლის შეცდომის იმაში რომ „კუმშვარტება თავის თავად მათ მარტოოდენ ინტოლოგიის ნიადაგზე მისაღებად მოაჩნდათ და იმავე დროს შემეცნებაში გენტიურ მეთოდს იღებდენ ⁴⁾. ესაა მათი მთავარი შეცდომა თუ სხვა რამე—ამ საკითხზე ჩვენ აქ ვერ გაგებრ-

¹⁾ არისტოტელეს შესახებ იხილეთ „აღეთ. საფ.“ გვ. 80-81. ავტორს თვითონ მოჰყავს ანალოგია. ჩვენი აზრით ანალოგია იგივეობაში გადვადის.

²⁾ „აღეთ. საფ.“ 232.

³⁾ უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის „ორიგინალი“ შეხედვლებით *Знание не есть проблема—оно осуществленный истинный*. შემეცნების პროცესის უშუალოთა, სტიქიური კუმშვარტება უშუალოდ მოცემულია მეცნიერებაში. „*Сетивное знание дано в науку*“. თვით სინამდვილე არის კუმშვარტება *действительность есть истина, а истина—исходственно дано как осуществленное знание*. მაშასადამე, თუ შემეცნება სტიქიურია, ინტუიტიური, სადაც არ იჭრება თეორია“—რაწა უნდა მდგომარეობდეს „მეცნიერების თეორიის“ დანიშნულება? უკანასკნელმა *post-factum* უნდა გამოაშკარავოს თვით ეს ფაქტი. სწორეთ „ორიგინალურია“ ეს ფილოსოფიური „*хвостик*“-ი (იხ. „*Болж. истор. науки*“, *Вопр. фил.* 1913 г. кн. 117, стр. 158, 168, 169, 171). საინტერესო იქნებოდა ნუკლებიდის თვალსაზრისით კანტის „აპრიორულ ცოდნასთან“ დაპირისპირება.

⁴⁾ „აღეთ. საფ.“ გვ. 75.

დებით—მაგრამ ცხადია ერთი რამ; ჰუსსერლმა, რომელიც ადრევე დასაბუთებდა „თავის წმინდა ლოლიკას“ და „იდეალურ ყოფადობას“ (დეკლარაციის სახით) გაიზღართა დაუძლეველ წინააღმდეგობათა რიგში, „ფენომენოლოგიაში“, სადაც ნამდვილად უნდა დაესაბუთებია თავისი დებულებები. ასეთი ბედი უნდა ეწვიოს აუცილებლად „ალეთოლოგიასაც“, რომელიც ჰუსსერლიანიზმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს¹⁾, როცა ის შეუდგება თავის დეკლარაციების კონკრეტ დასაბუთებას. ამას სინამდვილეში დაეინახავთ, თუ ავტორმა შესარულა თავისი დაპირება და გამოუშვა შემდეგი ნაწილები „ალეთოლოგიისა“ რომელიც უშუალოდ შეეხებოდნენ მის დებულებათა დასაბუთებას.

* * *

ნუსკუბიძის თხზულება წარმოადგენს ინტერესს არა დადებითი შინაარსით, არამედ იმით, რომ ის გამოხატავს უკიდურეს კრიზისს თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფიისა.

თუმცა თავის თხზულების წინასიტყვაობაში ავტორი გვპირდება „დასავლეთის ინტელექტუალ მონობის ბოლოს მოღებას“, მაგრამ თხზულების შინაარსთან გაცნობა ცხადყოფს, რომ სწორედ რეაქციონური შხარე დასავლეთის ინტელექტუალ განვითარებისა შეუთვისებია ავტორს. ანტიდიალექტიური მიმართულება ახასიათებს დასავლეთის მებატონე იდეოლოგიას სწორედ იმიტომ, რომ დიალექტიკა არსებითად რევოლუციონურია.

ჰეგელის უდიდესი დამახაზრება იმაში მდგომარეობს, რომ მან დიალექტიკა გამოაცხადა ერთადერთ სამეცნიერო მეთოდად. მისი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ დიალექტიკური მეთოდი შეუკავშირა იდეალისტურ სისტემას—სინამდვილის მოძრაობას და განვითარების პროცესები გამოაცხადა „წმინდა აზრის“ მოძრაობის და თვითგანვითარების პროცესისათ. ამით აიხსნება დაუძლეველი შინაგანი წინააღმდეგობა ჰეგელის ფილოსოფიისა. ანტიდიალექტიკა, რომელიც ეგუება მხოლოდ მატერიალიზმს, ანტიდეალიზმი. ჰეგელის კომპრომისი იყო იმდროინდელ გერმანიის ბურჟუაზიის კომპრომისის გამოხატულება შემდეგში—ერთი მხრივ ბურჟუაზიის პოზიციის გამაგრებამ, მეორე მხრივ—პროლეტარულ იდეოლოგიის ჩასახებამ მოითხოვა დილემის გადაჭრა. ბურჟუაზიულ იდეოლოგიამ შეითვისა ჰეგელის ანტიდეალიზმი—პროლეტარულმა—მისი დიალექტიკური მეთოდი. სწორედ ბურჟუაზიის მიერ თავის კლასიურ როლის გამორკვევის ხანაში გაიხმა ძახილი ოტტო ლიბმანის ხმით: „უკან კანტისაკენ“, რამდენად შეგნებული იყო ჰეგელის (დიალექტიკური) მეთოდის რევოლუციონური ხასიათი.

ბოლცანოს ანტიდიალექტიკური განწყობილებაც არ იყო შემთხვევითი ხასიათისა. შოპენჰაუერის ფანატიზმი ჰეგელის ფილოსოფიის, განსაკუთრებით, მისი დიალექტიკური მეთოდის წინააღმდეგ იყო ამ ტრადიციის გაგრძელება, თუმცა სხვა ფორმებში. ნეოკანტიანიზმი განავრძობდა „მეტაფიზი-

1) უფრო სწორი იქნებოდა ვფიქვამ, რომ „ალეთოლოგია“ წარმოადგენს ბოლცანოს, კანტის და ჰუსსერლის პრინციპების შეერთებას.

კასთან ბრძოლის“ ფორმით დიალექტიკასთან და მატერიალუზმფუნქუბრძოლას, ვიდრე ნატორპის სახით არ დაუბრუნდა დამახინჯებულ მატერიალუზმურ მეტაფიზიკას.

ამ მიმართულებებთან დაკავშირებით აღმოცენდა ჰუსერლის მეტაფიზიკა, რომელმაც პლატონიზმი უკიდურეს ლოდიკურ დასკვნამდე მიიყვანა. როგორც პლატონიზმი იყო საბერძნეთის მომაცდევ არისტოკრატიის იდეოლოგიის გამოხატულება—ისე ჰუსერლიანიზმი არის უკანასკნელი სიტყვა თანამედროვე ბურჟუაზიის მომაცდევ იდეოლოგიისა. როგორც პლატონი—ისე ჰუსერლიც ეძებს დასაყრდნობს ბუნებრივი-ისტორიული პროცესის იქით—იდეალური არსის სფეროში. ამით ცდილობს ჰუსერლც, დასაბუთოს თუნდაც ილლიუზორული ობტიმიზმი ბურჟუაზიის ბატონობის მუდმივი ხასიათის შესახებ, თითქოს გათვალისწინებული კონდეს შპენგლერის პესიმიზმი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კულტურაზე. ან სუბიექტივიზმი და რელატივიზმი. ან და ილლიუზორული, იდეალური ობიექტივიზმი—ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გამოსავალი, რადგან ნამდვილი (მატერიალისტური) ობიექტივიზმი, რომელიც ცხადსჰყოფს ობიექტიური-ისტორიულ განვითარების კანონების ნიადაგზე ბურჟუაზიის ბატონობის წარმავალ ხასიათს—მისთვის სრულიად არ არის ხელსაყრელი.

საუბედუროთ, ნუცუბიძეს მხოლოდ ამ მიმართულებით წარმოუდგენია დასავლეთის ინტელექტუალი განვითარება და, რაც უარესია, მის გაელენის ქვეშ მოქცეულა. მას აშკარად უგრძნია ამ მიმართულების კრიზისი და მისი თხზულება წარმოადგენს გულახდილ ცდას ამ კრიზისიდან გამოსავლის ძიებისა, მაგრამ მისი ცდა უნაყოფოდ უნდა დარჩენილიყო, რადგან მას არ დაუძლევი იდეალიზმის ძირითადი პრინციპები.

მოსკოვი—სამეცნიერო ფილოსოფიის ინსტიტუტი.

„დანგრეული გუდაეგი“-ს მხარე

ნიკოლოზ კვიციანიძე

ნ. ლორთქიფანიძის მოთხოვნათა წიგნს, რომელიც გამოცემულია 1927 წელს, აქვს შემდეგი სათაური: „ნანგრევთა სურნელება“. იქვე გარეჯანზე გამოხატულია ციხე-კოშკი, ქართველი ქალის თავებურვა და სხვ. ეს შემთხვევითი არ არის.

ამ წიგნის სათაურით და გარეჯანიუ ნ. ლორთქიფანიძე გარკვეულაო იძლევა თავისი შემოქმედების და მსოფლმხედველობის credo-ს: ფეოდალურ საქართველოს იდეალიზმს.

და მართლაც, ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ყოველი ფურცლიდან მოსმანს უკვე დიდი ხნის წინად ისტორიას ჩაბარებული, ასპარეზიდან გასული ყოფა. შეგვიარებული და გულდაწყვეტილი მისტირის ნ. ლორთქიფანიძე თავად-აზნაურულ ცხოვრებას. ფეოდალურ საქართველოს ზედაპირს დატრიალებს მისი ფიქრები და მისწრაფებები. მისთვის ძვირფასი და მიწიდანველი გმირები თავადები და აზნაურებია. ყოველივე ამის გამო თამაზათ შეიძლება ითქვას, რომ თავად-აზნაურობის იდეოლოგია ჩვენს ლიტერატურაში ისე ძლიერათ არ გამომეტყველებულა არც ერთ მწერალში, როგორც ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

ნ. ლორთქიფანიძის თავად-აზნაურული შემეცნება მტკიცეთ უკავშირდება „ისტორიზმს“. მისი „ისტორიზმი“ მოსმანს განსაკუთრებულ ლტოლვაში, ძლიერ ინტერესში ფეოდალურ საქართველოს სურათების გაცოცხლებაში. მთელ რიგ მხატვრულ ფაქტებში ის გვესაუბრება რამდენიმე საუკუნის წინად არსებულ საქართველოს შესახებ: „რაინდებში“ ნ. ლორთქიფანიძე ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი წრის, იმერეთის მეფის და მისი სახლობის ცხოვრებას, განცხრომას და ომს გვაცნობს; „მრისხანე ბატონი“—ვიღაც დიდი თავადის ლევანის თავგადასავალს შეეხება; „ეთამთა საივე“ ისევ თავად აზნაურობის, მეფის და მისი სახლობის ცხოვრების ისტორიაა და სხვა.

როგორც ცხოვრებას ატარებდნენ ნ. ლორთქიფანიძის მოთხოვნების მიხედვით მეფეები, თავად-აზნაურები და სხვა გაბატონებული წრეები:

„ბატონი გამოვიდა აივანზე.

— „უ, რომ მცოდნოდა საყურდლეს წაეიდოდი, ჩემი ასკირეი დამეხეტება; რამდენი ხანია, აბა, სანადიროთ არ ეყოფილვართ...“

— ორი კვირეა, ბატონო.

— მართლა, ლაბაშა რას შერება.— მიუბრუნდა ბატონი ჯორჯიანი.

— ზანგს კიდევ არ მოუგია კვიცი?— გადაჰხედა ბატონმა მეჯინიბეს.

— არა, ბატონო. დღეს მოუწევს დრო.

— სტყუა. ჩემი ანგარიშით გუშინ უნდა ყოლოდა.

— არა ბატონო. შარშან 28 მარტს გავიდა „კოკო“, თქვენ „ფეფუნა“ გახსოვთ. ის კი ჯორით არის მიყე («ქრისხანე ბატონია»).

ნ. ლორთქიფანიძის წარმოდგენით წინად მხოლოდ თავადები და აზნაურები იყვნენ რაინდები. ისინი ყველგან „მაგარ შეგრძნებებს“ იძიებდნენ და სხვ. მაგრამ ნებისთენე თუ უნებლიეთ ნ. ლორთქიფანიძე მაინც იძულებულია გვიჩვენოს ამხალხის რაინდობის (!) სურათები, რომელიც შეტის შეტი პრინციპულ და ცხოველურ ფორმებში ხორციელდებოდა:

„შეფის ძმა არჩილი ჩამგდარიყო და ხმაღს ფეხებში უწენველა ახოვან კაცს, რომელიც ყოველ მოქნევაზე ხტებოდა: სასხლიც აწნდა აქ-იქ, უცნაურ ჯამბაზს...“

— არჩილ, ღეთის გულისათვის, გაუშვი, რა დაგემართა!

— ახლავე, ქალბატონო, ახლავე...

არჩილი წამოდგა ოდნავ ვასისხლიანებული ხმალი ბიჭს გადასცა.

უცნობი ვაჟი შეჩერდა, სული მოითქვა. უცერად მის ყურებთან დამბაჩა გაეარდა... ვაჟკაცი ერთი შეკრთა, მაგრამ ცდილობდა არ შეეშინია თავისთვის.

— ახლა დაისვენე... ფეხები დაიბანე და არაყი გაღისეი არა გიშავს რა.— ბრძანა არჩილმა.

— რა ამბავია ქალბატონო,— დაეკითხა ოთახში მყოფი დედოფალს.

— სასაცილო ამბავი. სასაცილო, ჩემო გიორგი. ამას წინათ ბატონი და არჩილი დანაზღვედნენ, არა ჩემი ყმები უფრო ვაჟკაცები არიან და არა ჩემიო... ბატონმა აი, ახლა რომ არჩილი აწვილებდა, ის გამოიყვანა, არჩილმა—ახალგაზრდა პირტიტველა მესხი. რაფა გვეგონა, ამხელა მუტრუქს თუ ტუჩზე რძე შეეშრობელი დაიჯიბნებდა...

... დედოფალი ამ სურათმა გამოაცოცხლა. პირზე ღიმი მოუვიდა, ფეხზე წამოდგა.

... როცა მესხმა იძრო ხმალი და დატრიალდა, ეს ღვინომეღი ხესავით და დგა, ძლივს ამოიღო ზანჯალი, დაბუჭა თვალი, დაიწყო ღრიალი: „ხუთი ნუ მოდიხარ, ერთი მოდი! ხუთი ნუ მოდიხართო!“ სიცილით დაეხივარჩიით... შეფე გაჯავრდა, ასწია და ის კაცი არჩილს აჩუქა. არჩილი ახლა იჩემებს: «რა ვაჟკაცი მჭვია, თუ ერთი ლაჩარი ვერ გავაგულადეო». ამიტომ აწამებს ურისავით» («რაინდები»).

გზადაგზა ნ. ლორთქიფანიძე გვიხატავს თავად-აზნაურობის, ფეოდალურ არისტოკრატიის განცხრომას და ფეფუნებს, ჭეიფსა და ნადირობას, მხეცობას და გაუტანლობას. აგრეთვე, გვაცნობს მათ შორის არსებულ ჯგუფებს, რომლებიც იბრძვიან გავლენისათვის.

ეკონომიკური

აი, ამ ხალხს და სამყაროს დასტრიალებს ნ. ლორთქიფანიძის წყევლები. ის ცდილობს ღია ფერებით გადაგვიშალოს მათი ცხოვრება. ის თითქოს ვერც კი გრძნობს რომ ამ ხალხს ახასიათებს: ცხოვრება წყრილმანი იდეებით, უხეშობა, კარჩაეტილობა და სხე.

სინამდვილეში ნ. ლორთქიფანიძის შეფხვები, თავადები და აზნაურები ყველანი ერთმანეთის მსგავსნი არიან, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. ისინი ერთპიროვნების მრავალი სახენი არიან. მათი იდეები, მათი მისწრაფებები ისეთივე მოცულობისაა, როგორც მათი ზოოლოგიური ცხოვრება: — იბრძვიან იმისათვის რომ ბევრი მომზრეები იშოვნონ და ძალა-უფლება მოიპოვონ. მათ მაღალი გრძნობების, ემოციების არავითარი ნასახიცი არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ ინსტიტუტებით მოქმედებენ და არ ფიქრობენ, არ განიცდიან.

ნ. ლორთქიფანიძე აი, ასეთი ხალხის და ცხოვრების სრულ იდეალიზაციას ახდენს. ამის დამანტიკციებელი ფაქტები მის შემოქმედებაში მრავალი მოიპოვება. მაგ. „მოსახანე ბატონში“ ასეთ საუბარს შეხედებით ბატონსა და მის ბელქვეითს შორის:

— „იცი რა, ზალიკა! წადი ესლავე, ჩემი ხუთი ბიჭი წაიყვანე, გზას გაგაკვლივენ, თვარა ძნელია ამ შალალ თოვლში გატენვა, რაც მოსახლე ნახო, ყველა გამოიწვიე, ვისაც ღომი და ჭადის-ჭადი ექნეს, წაიღე მთაში და დაუყარეთ ჩათლულ ირმებს.

— „ნუ გამირისხდები, ბატონო, ეს არ მართებს სოფელლებს.

— „არა, წესათ არ შემომაქვს.—დამეხმარონ. ორ წილათ დაგებრუნებთ: ყველას გავანთავისუფლებთ სამი წლით ღომის, ჭადის ჭადის და ჩალის გადასახადიდან. თქვენს ეკლესიას ზარი სჭირდება, იმასაც მე გამოვიაზენით.

— „გადღეგრძელა ღმერთმა“.

როგორც ვხედავთ, ნ. ლორთქიფანიძე იდეალურ სამოსში ხევის ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას, მაშინ, როდესაც სინამდვილეში ასეთი რამ არ ხდებოდა.

ან კიდევ: ერთ-ერთ უკანასკნელ ესკიზში („აზნაურ დევდარიძეების ქარაგმა“) ნ. ლორთქიფანიძეს თავადები ბატონყმობის მოწინააღმდეგეთ გამოყავს. ეს ხომ ისტორიულად არ არის მართალი.

გ. პლენხანოვი თავის წერილში ლ. ტოლსტოის შესახებ სწერდა: «ტოლსტოი იყო არა მარტო ჩვენი არისტოკრატიის შვილი, არამედ დიდი ხნის განმავლობაში—მისი იდეოლოგიც, თუქცა არა ყველაფერში. თავად-აზნაურობის ცხოვრება მის მიერ გამოხატულია თუმცა ყალბი იდეალიზაციის გარეშე. მაგრამ მაინც თავისი კარგი მხრით. მწერლის დაუძლეველი კონსერვატიზმი გამოჩნდა იმაში, რომ ამ ყოფის საზიზღარი მხარე—მემამულეთაგან გლეხობის ექსპლოატაცია—თითქოს ტოლსტოისათვის არ არსებულებო. თვით მაშინაც კი, როდესაც ტოლსტოიმ ყურადღება მიექცია თავად-აზნაურულ ყოფის უარყოფით მხარეებს,— ის მაინც თანაგრძნობით იყო გამსჭვალული მკვლევართადმი და არა გაყვლენულთადმი. ტანჯული გლეხობა მის ყურადღებას ნაკლებად იპყრობდა, ვინემ ისინი, ვინც აიბულებდნენ მათ ტანჯვას, ე. ი. მისი საკუთარი წოდება. წოდებ-

რივი თვალსაზრისით გამსჭვალულია ტოლსტოის მთელი მოქმედება (იხ. მისი *Карл Маркс и Лев Толстой*).

გ. პლენანოვის ეს სიტყვები სრულიად შეეფერება ნ. ლორთქიფანიძესაც. ისიც თავად-აზნაურულ ყოფა-ცხოვრების გამოხატვას ცდილობს თავისი «კარავი» მხარით. ამის გამო მის ნაწარმოებებში თეოდალური წარსული გამოიყურება შეღამაზებული ფერებით.

ასეთი იყო ნ. ლორთქიფანიძის წარმოდგენით თავად-აზნაურობა წარსულში. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა ძირუფესვიანათ იცვლება. ეხლა უკვე დაცემის გზაზე დამდგარ ხალხთან გვაქვს საქმე.

განადგურებული ოდების, დანგრეული ქიშკრების და გაღაენების სურათების მოცემით ნ. ლორთქიფანიძე გვიშლის ქართული თეოდალიზმის დაცემის და გადაშენების ეპოქიას.

მოთხრობათა სერია: «დანგრეული ბუდეები» წარმოადგენს უკვე ნეკროლოგს «გარდაცვლილ» კლასისათვის.

«დანგრეული ბუდეები»-ს «გმირები» აღარაფერს კარგს არ მოელიან მომავალში, ასინი მხოლოდ იგონებენ წარსულს. ამ «გმირებმა» არ იციან პროტესტი, მათი გონებაც დაჩლუნგებულია. ისინი დამორჩილებული არიან თავიანთ ხვედრს და ელიან ფიზიკურ სიკვდილს.

თუ წინად თავად-აზნაურები შორსულ მანძილებზე ძვირფასათ მორთული, საკუთარი ცხენებით დაჰქროდნენ, დღეს უკვე დიაკნიდან სამ აბაზათ უხდებათ დღეში დაშავებული ჯორის ქირაობა, ბაღში გამოხვეულ უნაგირზე ჯდომა. ის ადგილი, სადაც ერთ დროს თავად-აზნაურები «ცხოვრობდნენ, დროს ატარებდნენ». უკვე სხვა სურათს წარმოადგენს: «ორი ცაცხვი, წყაროს, რომ ვადაპყურებს, დასუსტებულია და გაჩაჩანაკებულია... სასეირნოთ დატოვებულ მინდორისათვის ყოველის მხრით ჩამოგვლოთ და დანარჩენი სივიწროვის განო ურმებს ატეხა. ხმა არასაიდან ისმოდა. სანთელი არ სჩანდა. კაცი არ შემხვედრია. მიყადექ ბიძა ჩემის სახლს. არავინ გამომგებებია. გაწყვეტილა საძაღლეთიც» («წინასიტყვაობასავეთ»).

ამ მომაკედავ წოდებას მომავალში აღარაფერი წილი უძეცს. ისინი მხოლოდ წარსულით ინუგეშებენ თავს: «წინ აღარაფერია ჩვენთვის თუ უკანიდან არ შემოგვეყურებს წინაპრის მკაცრი, უღმობელი სახე—ტრადიცია»-ო, ამბობს «ალბუმის» მომქმედი პირი.

ამ ყოფილ ხალხს, რომლებიც დანგრეულ, გაპარტახებულ და გაველურებულ ციხე-კოშკებს და სასახლეებს აფარებენ თავს, ის-ღა დარჩენიათ ნუგეშით, რომ ამზეურებენ თავიანთი წარსული «დიდების» ნაშთებს.

«დანგრეულ ბუდეებში» ეხლა ცხოვრობენ დავრდომილი, მომაკედავი ხალხი, რომლებსაც სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენიათ: «ტახტზე გაგდებულ კუქკიან, დაგლეჯილ ლეიბზე იწევა ახალობიანი მოხუცი და გამოხუნებული პიკის საბანი ეხურა თავს... მოკლე საბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქსოვ წინდის ნაფლეთებში გახვეული ფეხები... ფეხებთან ტახტზე ეგდო გატეხილი კები, აბეანდე-

ბი და უკანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა, სევდიანი ვერცხლისა და წყობილი ავშარა"... („მოხუცი იმ ქვეყნიდან“).

თავად-აზნაურობა დაიღუპა. თავისი კლასის დაღუპვა ნ. ლორთქიფანიძეში მწუხარებას იწვევს. ის სევდით შეპყრებს იმათ, „ვისაც სახლ-კარ-მიღამოში მთელი გვირის ლეგენდები, ზღაპრები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩაუმარბაეს და სახლის გაყიდვისთან, წარსულის დაშორებასთან ერთად ეკარგება მომავალი“. ყოველივე ანის გამო უსახლგრო უიმედობით არის შეპყრობილი მწერალი: „ფრთოსანი ყვავი სჯობია ათასწილ ყვავს—ადამიანს. შავი ყვავი ამოგკორტნის თვალებს და გათავდა. ყვავი ადამიანი კი სძიძვის მთელს სულს, ყველაფერს, რაც კი გაპტრა და რაც დაარჩა ადამიანისაგან“...

ნ. ლორთქიფანიძე არის წარმომადგენელი და პროდუქტი განსახლერული კლასის—თავად-აზნაურობის. ამიტომ მისი აზროვნება და შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, განსახლერულია ამ თავისი მიკუთვნებით თავად-აზნაურთა კლასისადმი. ეს კლასი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში კრიზისს განიცდიდა. ისპობოდა ნატურალური მეურნეობა და მის ნანგრევებზე მტკიცდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა. თავად-აზნაურობა უკვე კარგავდა თავის გავლენას და სიძლიერეს, მის ადგილს ახალი კლასი იკერდა. ამ პროცესს მთელი სიმწვავეთ გრძნობს და განიცდის ნ. ლორთქიფანიძე.

უიმედობასა და სევდაზე აშენებს ნ. ლორთქიფანიძე ნოველების მთელ სერიას („ტაბაკელა“, „ბუნება“, „მამულის სული“, „მგლოვიარენი გული-სა“, „საფლავის ვარდი“ და სხვ.), რომელიც არსებითად წარმომადგენს ძველი ყოფის გამოტირილს და მისგან შექმნილ განწყობილებების გამომწვეურებას. (სწორედ ნ. ლორთქიფანიძის განწყობილებების მატარებელ ხალხის სახელით ლაპარაკობდა ა. პერცენი, როდესაც სწერდა: „ჩვენ ჯერ კიდევ გვენანება ძველი წესწყობილება; აბა, ვის უნდა დაენანოს ის, თუ არა ჩვენ? ჩვენ მისი შექმნილი ვართ, ჩვენ მისი საყვარელი შეილები ვართ, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ის უნდა მოკვდეს, მაგრამ არ შეგვიძლია დავაკლოთ მას ცრემლები“).

სოციალურ ჩვეულებათა ძალი დიდია. კლასიური მდგომარეობა, კლასიური ფსიქოლოგია განსახლერულ შეხედულებებს უმუშავებს ადამიანს. ძნელია ჩამოშორება იმ აზროვნებისაგან და განწყობილებებისაგან, რომელიც მრავალი წლების განმავლობაში შეუშუშავდა ადამიანს კლასიურ ცხოვრების პირობებში, მაშინაც კი, როდესაც ის სასიკვდილოთ არის განწირული. ნ. ლორთქიფანიძეს უმძიმს შერიგება ცხოვრების აუცილებელ განაჩენისადმი და ამიტომ მწუხარება და სევდა იპყრობს.

ზოგჯერ ნ. ლორთქიფანიძე იძულებულია მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს და არსებითი მპრით დიგანახოს ბატონ-ყმობის გადაყარდნის შემდეგ დროინდელი თავად-აზნაურობა. მაშინ თავად-აზნაურობა „გამათრახებული“ გამოდის. ჭონებრივად განადგურებული და დაცემული თავად-აზნაურობა უკვე „შესაბრალის“ არსებებს წარმოადგენენ. ისინი კაპიკის გულისათვის, თამბაქოს გაყოფის დროს თითებს სჭრიან ერთმანეთს („ფეოდალები“), ან მოსჩანან, როგორც უფიცილები („აზნაურ დეგდარიძეების ქარავმა“).

იმგვარათ, სინამდვილე ნ. ლორთქიფანიძეს აიძულებს აზნაურის განსჯის და დაცემა კლასიურათ მისთვის ნახლობელი ადამიანების — თავადებთან და აზნაურების. მაგრამ ამ დროსაც ნ. ლორთქიფანიძე მეტის-მეტად ფრთხილად იქცევა. ამ მხრე მავ. დიდი განსხვავებაა მისსა და დავით კლდიაშვილს შორის. როგორც ვიცით დ. კლდიაშვილის შემოქმედებაც უმთავრესად თავად-აზნაურობის ცხოვრებას შეეხება, მაგრამ მის შემოქმედებაში თავად-აზნაურობა გამაორახებულია. გატიტვლებულათ არის წარმოდგენილი ისტორიის სამსჯავროს წინაშე მთელი თავისი არარაობით, სიბეცით და დაცემულობით. ნ. ლორთქიფანიძე კი ასე არ მოქმედობს. ის მაინც ცდილობს დაფაროს თავად-აზნაურობის სიტიტვლე და მათდამი მკითხველთა სიბრაალული გამოიწვიოს.

აღსანიშნავია, რომ ფეოდალურ საქართველოში ნ. ლორთქიფანიძე მხოლოდ გაბატონებულ წოდებას ხედავს. ამიტომ გლეხობის ცხოვრების დახასიათებას მის შემოქმედებაში შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. მათი ყოფის დამახასიათებელი მომენტების გამოხატვა ნ. ლორთქიფანიძეს შემთხვევით და ზერელეთ აქვს, მაშინ, როდესაც თავად-აზნაურობის „ქარგი“ ცხოვრების არც ერთ დეტალს არ სტოგებს უფურადღებოთ. იქაც კი, სადაც ნ. ლორთქიფანიძე ეხება გლეხობას, მაშინაც მასში უპირველეს ყოვლისა ვგრძნობთ ფეოდალს, — მწერალს, რომელიც მტკიცეთ არის შეკავშირებული ფეოდალურ ყოფასთან. ნ. ლორთქიფანიძის მიერ მოცემული გლეხები ან, ქურდები არიან („რაინდები“, „ეამთა სიავე“ და სხვ.), ან, გაუტანელები („მრისხანე ბატონი“, „ეამთა სიავე“ და სხვ.).

უკანასკნელ ხანებში ნ. ლორთქიფანიძემ ერთგვარი ნაბიჯი წარსდგა წინ. მან განიზრახა : 905 წლის და მისი მომდევნო პერიოდის ზოგიერთი მომენტების მხატვრული ასახვა. ამის შედეგათ მან მოგვცა საკმაოთ დიდი მოთხრობა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ (იხ. „მნათობი“ № 8—9, 10, 11—12, ვასული წლის).

რას შეიცავს ეს მოთხრობა? კონკრეტულათ რა მოვლენების შესახებ არის მასში ლაპარაკი? როგორი თვალთახედვით უდგება ავტორი მოვლენების გაშუქებას?

მოთხრობის დასაწყისში ნ. ლორთქიფანიძეს გადაყვევართ სოფლად. აქ „წელმაგარ“ გლეხ ოდანიია სარგველაძესთან ერთად ბრავლად არიან ლარიბი და შეუძლო გლეხები. ფარნაოზა მარგველაძეც ლარიბი გლეხია. ფარნაოზას ოჯახში ვეცნობით მის ძმას პარმენას, რომელიც ქალაქიდან არის ჩამოსული და გაიოზ ლამპარდავს, მთავარ სახელოსნოების მუშას, ბოლშევიკს, რომელსაც განზრახული აქვს სოფლად მუშაობა.

ფარნაოზა, პარმენა და გაიოზ, ოდანიია სარგველაძესთან ერთად მიდიან ტყის საჭრელ სამუშაოზე. აქ ფარნაოზა მარგველაძე იღუპება.

ამ ხანებში ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა და ქალაქად ფართე მასები ებმებიან თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შემდეგ ავტორს გადაყვევართ ქალაქში. აქ თავდადებულ რევოლიუციონერებთან ერთად ვხვდებით ჯაშუშებსაც (ლადიკო ნორაბიძე), „მორევოლიუციონერო“ შეპაბუღესაც და სხვ.



რევოლუციონერი

რევოლუციონერი მუშაობის ცენტრალურ ფიგურებათა გვერდებზე გამოხატავს ლამბარდავას და პარმენას, რომლებიც მოძრაობის დამარცხების შემდეგ უკვე სატელალოებში არიან.

აი, ყველაფერი ის, რაც მოგვცა ნ. ლორთქიფანიძემ „ბილიკებიდან ლიანდაგზე“-ში.

მოთბობის მოქმედი პირებისაგან განსაკუთრებით გამოირჩევა გაიოზ ლამბარდავა. ის თავდადებული, უანგარო და უშიშარი მეტროპოლი—ბოლშევიკია. ასეთი ლამბარდავები 1905 წლის დროს არც ისე ბევრი იყვნენ, მაგრამ მშრომელი მასების წინამძღოლები და ხელმძღვანელები რევოლუციონერ მოძრაობაში სწორედ ისინი იყვნენ. მისი სიტყვა ფარნაოზა მარგველაძის დასაფლავებაზე მთელი რევოლუციონერი პროგრამაა.

გაიოზა ინდენათ გატაცებული და აქტიური რევოლუციონერია, რომ ზოგჯერ აჯობებს კიდეც (მაგ. ლ. ნორაბიძის მკვლელობა და სხვ.).

ნ. ლორთქიფანიძე საკმაოდ ვერ ახერხებს ლამბარდავას მოქმედებაში მოცემას. ის უფრო „ავიწროს“ მის მოქმედებას და მუშაობას. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ მისთვის ასეთი თემა „პირველი ხილია“.

სიმპატიურ და ენერგიულ პირათ გამოიყურება პარმენაც. ისიც რევოლუციონერი მოძრაობის აქტიური მონაწილეა.

საერთოდ „ლიანდავიდან ბილიკებზე“-ს აქლია პერსპექტივა. ნ. ლორთქიფანიძე რევოლუციის მოვლენებს სტატიურათ იხილავს, ის ვერ ხედავს მიზეზობრივ კავშირს მოვლენებს შორის.

ბშირად მისთვის გაუგებარია მოვლენათა და ფაქტთა სხვადასხვაობა.

„ბილიკებიდან ლიანდაგზე“ ნ. ლორთქიფანიძისათვის დიდი წინსვლაა, როგორც იდეოლოგიურათ, ისევე ფორმალურათ, მაგრამ ეს სრულებით არ სცვლის მისი შემოქმედების ძირითად მიმართულებას, ძირითად იდეას. ასეთი მოვლენის შესახებ სრულიად სამართლიანად სწერდა გ. პლებანოვი ერთ-ერთ თავის წერილში: „თუმცა „მონადირის წერილებმა“ საკმაოდ დიდი და დადებითი როლი ითამაშა ჩვენი „სახოვადოების“ განვითარებაში, მაგრამ არა ის ახასიათებს ტურგენევის ნიქს და არა ის განსაზღვრავს მისი მხატვრული შემოქმედების ხასიათს. „მონადირის წერილებს“ სრულიად არ შეუშლია ხელი ტურგენევისათვის დარჩენილიყო ისეთივე ყოფითი მწერალი „თავდა-ბნაურობის ბუდეებისა“ და ასეთივე განმარტებული მისი მცხოვრებლების სულიერი ცხოვრების, როგორიც იყო პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი და მრავალი უფრო პატარა სიდიდის სხვა მნათობები“ (იხ. ტ. მე-10).

გ. პლებანოვის ეს სიტყვები ვერ-ვერობით სრულიად ძალაში რჩება ნ. ლორთქიფანიძის მიმართაც...

როგორია ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების ფორმა?

ნ. ლორთქიფანიძის სტილი ლაკონიურია. მას არ უყვარს მრავალსიტყვიანობა, მსგავსად ზოგიერთი ჩვენი თანამედროვე მწერლისა. ის აზრს მოკლეთ და სბარტათ გამოხატავს. ეს მოვლენა კი უსათუოთ დადებითია ყოველი მწერლისათვის.

ქვეყნისუფალი

ნ. ლორთქიფანიძეს ნაწარმოებში არ შეაქვს „ლირიკა“ — ეს უფრო მეტად პოეტურია. რომელშიაც ესა თუ ის მოქმედება ხდება. ის ცდილობს ყოველთვის გარემო „გაგვიანათოს“ მოქმედ პირთა სულისკვეთებით, საუბრებით და თავგადასავლით.

წერის ხასიათით ნ. ლორთქიფანიძე ეკუთვნის ჩვენი კლასიკოსების რეალისტურ სკოლას, ვხადავხა მისი რეალიზმი „შეფერადებულია“ იმპრესიონიზმით.

ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ფართე ადგილი აქვს დათმობილი couleur locale-ს, ე. ი. ადგილობრივ კოლორიტს. იმერეთი და იმერული ენა არის გაბატონებული მის შემოქმედებაში. ასეთი კეთილური „პატრიოტიზმი“ არ შეიძლება ჩაითვალოს დადებითად. დროა ჩვენმა მწერლებმა თავი დააღწიონ ამ მოვლენას და უფრო ფართე ვახავე გამოვიდნენ.

ნ. ლორთქიფანიძეს ახასიათებს ერთი განსაკუთრებული მხარე: როდესაც გულდასმით ეცნობით მან, ი. ჯავახიშვილის, ვ. წიგნაძის, ე. ნინოშვილის და სხვა კლასიკოსებს ნაწარმოებების შინაარსს, უსათუოთ შეამჩნევთ, რომ მათში არის ცენტრი, გმირი, საიდანაც და საითყენაც მიემართება ნაწარმოებში ყველაფერი. ეს გმირი ყოველთვის წინაა წამოწეული. მკითხველიც მას ხედავს. სულ სხვა გეგმად ამოწმებს ნაწარმოებს ნ. ლორთქიფანიძე. მკითხველი ვერც ერთ მას ნაწარმოებში ვერ შეხვდება გმირს, ცენტრს (ამ საუბრის სრული მნიშვნელობით). მას არ უყვარს გმირები, რომელთა ეგოლიტიზმაც ვეცნობოდეთ ნაწარმოებების მიხედვით.

ამასთანავე ნ. ლორთქიფანიძე თავის ნაწარმოებების მოქმედ პირებს ნეტის-მეტად უბრალოდ და პრიმიტიულად გვიხატავს. მათი ფსიქიკაც ელემენტარულია. მათ არ აქვთ შინაგანი ცხოვრება, უმალესი სახის ემოციები. ნ. ლორთქიფანიძე ამ ხალხის მხოლოდ „ფიზიოლოგიურ“ ემოციებს (მრისხანება და სხვ.) გვიხატავს. მათი ცხოვრება, პერვერსიუების გამოთქმა რომ ვინმართ, „რალაც გარეგან ხასიათს ატარებს. ისინი უფრო მეტს ლაპარაკობენ და მოქმედებენ, ვინც ფიქრობენ და გრძნობენ“...

როგორც აღვნიშნეთ, ნ. ლორთქიფანიძეს ენერგება გამართული წერა, აქვს კარგი სტილი და წერის სიღრმე, მაგრამ ნიუხედავით ამისა, ის მაინც მკითხველთა ვაწრო ფენის მწერლად რჩება. მას არ უყვარს ფართე, მასიური მკითხველი. რით უნდა ავხსნათ ეს მოვლენა? — ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ნ. ლორთქიფანიძე ემოქიდან გაქცეული მწერალია. მისი შემოქმედების თემები შორეული საუკუნეებია. მათი გაშლენაც არ არის თანდროული...

ასეთია, ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების შინაარსი და ფორმა საერთოდ.

რა გვეთქმის საბოლოოდ: ნ. ლორთქიფანიძე არ არის თანამედროვეობის მწერალი. ის მთლიანად წარსულის პირშია შეილია. ის ფეოდალურ საქართველოს „რაინდაა“, მისი შემოქმედება ფეოდალური კულტურის ნატეხია.

ნ. ლორთქიფანიძე ძველი, თავად-ახნაურული საქართველოს უკანასკნელი მაგიკანია.

მრი სტილი*)

ზურაბ ნაზარისძე ანტონოვი (1820—1854.). ამ ნიქიერ დრამატურგს, რომელიც ერთგულ ძმასავეით ამოუდგა გვერდით გ. ერისთავს, ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსები გვერდს უვლიან, ან და რალაც ცალკეად იხსენიებენ. მე მგონია, რომ ეს უსამართლობაა: ყოველი გულწრფელი და ნიქიერი შემოქმედი ღირსია იმისა, რომ შესაფერი ადგილი დაიჭიროს ისტორიის ფურცლებზე. ვაი, თუ სიტყვამ „შესაფერი“ ეჭვი გამოიწვიოს მკითხველში! მე შტეცელები შეძლებისდაგვარად გავაცნო მკითხველს ეს მწერალი და დასკვნა თითონ გაპოიტანოს. მაშინ გავიგებთ ღირსია თუ არა ანტონოვი იმ ყურადღებისა, რომელსაც ჩვენ ვაპყრობთ მას.

ანტონოვს დაწერილი აქვს სულ შვიდი დრამატული ნაწარმოები, აქედან ოთხი ქალაქურ და წვრილ-ბურჟუაზიულ ფონზეა მოცემული; ამავე დროს ეს პიესები—განსაკუთრებით სამი („მე ვინდა კნეინა გავებდე“, „განა ბიძიმ ცოლი შეერთო?“ და „მზის დაბნელება საქართველოში“) ყველაზე საუკეთესოა თემატიკისა და მხატვრულის მხრივ. ამ პიესებში თავიდან ბოლომდე მაშინდელი ქალაქური ცხოვრების ყოფაა მოცემული. აბა რა უნდა ყოფილიყო მაშინდელი ჩვენი ქალაქები, როცა მათი მოსახლეობა ძალზე განსაზღვრული იყო! მაგრამ ანტონოვის ნიქიერმა თვალმა უსათუოდ ტიპიურად გადმოგვცა იმ პრიმიტიული საჯაქრო და გონებრივი ცენტრების სახე.

ანტონოვის პიესების არა მარტო ტიპაჟი, არამედ უმეტესად ქალაქური სურნელება იმით აიხსნება, რომ იგი დაბადებით და აღზრდით ქალაქს ეკუთვნოდა: მამა მისი გორელი ვაჭარი იყო, ჯომით სომეხი და თავისი შვილი ვაჭრულ ატმოსფეროში აღზარდა. სოფელი და მისი მიდამოები ანტონოვისათვის მხოლოდ შემთხვევითი გარემოება იყო, მისი აკვანი ქალაქში წაირწო და, როგორც ბავშობის, ისე ყმაწვილობისა და ვაჭრობის (რომ არ დასცალდა! სულ 34 წლის გარდაიცვალა ძალღის კბენისაგან გაკოფებული) საუკეთესო შთაბეჭდილებანი აქ ჰქონდა შეთვისებული. გ. ერისთავის მიერ ქალაქის მიღება უფრო მონათქვამები იყო, ვინემ ნაგრძნობი, უფრო თავის მიერი, ვინემ გულის მიერი, ანტონოვის შესახებ კი პირიქით ითქმის.

ანტონოვის ქალაქი მოვეუსტესე და მრავალფეროვანი ადგილია, აქ განუწყვეტლივ ხედებიან ერთმანეთს სხვადასხვა ჯურის ადამიანები; ეს შეხედება

მოკლე და წუთიერაა, ერთ მომენტში ერთნაირი სურათი იშლება. მერვესე კულ სხვა გვარი. გამახვილებულია ნეუვები, მხედველობა, სმენა. ირგვლივ მოძრაობა, ნაირნაირ ინტერესების დაჯახება, მოულოდნელი შეხვედრანი, სხვადასხვა ხასიათების შეჯიბრი, ძველი, ახალი, დიდი, პატარა, ქალი, კაცი, მოსაქმე და უსაქმური, ნაირნაირი ერის შვილები, პატროსანი მშრომელი და გაიძვერა, ნამირალი... ყველა ერთმანეთში არეულა და მუდმივ ფუსფუსშია. ვნახოთ მარტო „ზნის დაბნელებაში“ რამდენი ჯურის ადამიანია სცენაზე გამოყვანილი:

| | |
|--------------------------------------|------------------------------------|
| გეურჯ კარაპეტოვი, | ძველი ვაჰარი. |
| რეფხიშვი. | მისი ცოლი. |
| მარტხ, | ქალი ამათი. |
| ნენე, | დედა გეურჯასი. |
| სვიმონიკა, | ბიჭი ამათი. |
| პორუჩიკი გრიგ. ჩეშმაკოვი, | მდგმური გეურჯასი. |
| მიკირტუმ შინასოვი, | ნათლია გრიგოლისა. |
| თავადი ინდო შერმანიძე | გეურჯას მეგობარნი, მოხუცებულნი. |
| აზნაური ზაალ პინტრიშიძე | |
| გლეზი ბერუა დაბანაშვილი | |
| ტფილისის მოქალაქე. | |
| რუსის ჩინოვნიკი. | |
| რუსის მუჟიკი გრიშა. | |
| ავდოტია, | მისი ცოლი. |
| გლეზი | ცოლშვილ. |
| ივანე | ტფილისელი შარლატნები. |
| მანო | |
| გეო | |
| დარჩო | |
| მეზურნეები. | |
| საზანდრები. | |
| შაყურებელი ხალხი სხვადასხვა გვარისა. | |
| მახარობელი. | |
| ნემეცი. | |

აი, რა რთული სურათია მოცემული ამ პიესაში: სხვა და სხვა ტაქები, სხვა და სხვა ერების წირმომადგენლები, ნაირნაირი მდგომარეობის ხალხა. ყველა ესენი შედარებით ჩუხად იხრაკებოდენ ძველი ფეოდალური ეკონომიკის რღვევისა და ახალი ვითარებით შექმნილ ტაფაში, აქ ატყვილებდენ ერთმანეთს, შარლატანობდენ, გაიძვერობდენ, ვალიანდებოდენ და კოტრდებოდენ. მაგრამ ჩვენმა ავტორმა კიდევ უფრო მეტ სააშკარაოზე გამოიყვანა ისინი: ეკონომიურ ცხოვრება დაბნელებულთ, ახლა მზის დაბნელებით დასცა თავზარი და მათი ნერვიულობა კიდევ უფრო გაამახვილდა, მათი თავდაცვის ინსტინქტები კი-

დღე უფრო ამოძრავა, არსებობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გავაძლიერებ, თუ ვინაა ვინაა? სოფლებიდან ფულის სისხსებულად ჩამოცვენილი ძველი თავადები, გზა დაბნეული ქართველი და რუსის გლეხნი, ამსუნაგებული შარლატანები, და ყველა ისინი, ვისაც აგრე ემარჯვება მღვრიე წყალში თევზის ქერა და წუმპლიობა.

გ. ერისთავის ტიპებივით, ანტონოვის თავადებიც მარჯვნივ და მარცხნივ ფულებს სესხულობენ. ახლაც კარს შოადგენ გეურქას ოქროებიან ქისას. „ტყვენი ფულების მგლები ხართო“, ეუბნება მათ გეურქა, რომლის თვალში არც ერთი თავადი უკვე ჩირადაც არ ღირს: ჭონება მით არ აქვთ და კაცური ღირსება. ეს უკანასკნელი კიდევ რომ ქონდით, კაპიტალის დაწყებითი დაგროვების უკულტურო გმირის—გეურქას თვალში მაინც რა მნიშვნელობა უნდა ექნეს!

გეურქების ქისას თავადებს ვარდა სხვაც ბევრი აუშსუნაგებია: ნაძირალები, აფერისტები, ნემეცი, რუსი, მოხელე და უსაქმური. ყველა ფერხულს უელის „ოქროს კერპს“ და ყველა მოწადინებულია, რომ მშის დაბნელების წინ—მათი აზრით ეს ქვეყნის დაქვევაც იქნება—ცოტაოდენი სიტკბოება წაიღოს ამ ცოდიელ წუთისოფლიდან...

კომედიიში შიგა და შიგ ჩართულია ახალი ყოფის, „გავერობიელების“ შემოსელის მომენტები: ძველებური სუფრის მაგიერ მაგიდების შემოღება, ჯიხვის რქის მაგიერ ტიქები, დანაჩანგალი, საქმელების თევშებით ჩამოტარება, ჩაისსმა, პაპროსის მოწევა და სხვ. თათქარიძის ღორბუცელა წინაპრებს განსაკუთრებით არ მოსწონთ ისა, რომ სუფრაზე თხლად დათლილი პური მოაქვთ.

— მთელი პური დასდონ, რასაც შევჭამ, შევჭამ, რასაც არა და იქვე დარჩებათ,—ამბობს ერთი ნათვანი.

— ზოგს ნიკაპზე გამოუშვია პატარა წვერი თხასავით, ზოგს ყბებზე გაბანჯგლული დათვივითა, ზოგს სადა და ზოგს სადა... ამ თმებზედაც რაღაცას იგლესენ, ფერი კი ღორის ქონის აქვს და არ ვიცი თუ რა არისო,— ჩივის ზაალი, რომელიც ვერაფერის გზით ვერ შეგუბია „ამდენ სიახლეს“.

მეორე პიესაც—„მე მინდა კნეინა გაეხდე“—ქალაქის არემარეშია გაშლილი. მომქმედ პირთა ცენტრში დგას ბებრუხანა, კბილებ ჩაცვენილი ბარბარე, რომელსაც გარდაცვლილი ქმრის ქონება კისერში ამოტირის. ახალი ღროის კერპმა—ოქრომ, ამასაც გონება აფრია, თავისი თავი ახალგაზრდათ წარმოდგენია და დაქვრივების უმაღლე მეორე ქმარს ეძებს, კნეინაც უნდა ვახდეს, ახალი ცხოვრების დაწყებას ეპირება, გააფასა, ვისაც უთქვამს: „თავსა ახლად ვერვიინიშობსო“. განა თუ კი ფულები აქვს, ამას ვერ შესძლებს!

ვაჭარმა შაკულოვმა ღირსეული საქმროც მალე გამოუნახა: ეს პატივცემული გეამი ვახლავსთ გილარბიბეული ქართველი თავადი სერაშიძე, რომელსაც ძველი დიდებიდან მარტო თავადის სახელი და ზოგიერთი რაინდული თვისებები შერჩენია,—ეკონომიური უპირატესობა კი კარგა ხანია გამოკლია ხელიდან. ოღონდ კი ისევ დაიბრუნოს ეს უპირატესობა და მზადაა უკბილო ბემბრუცუნა შეირთოს, მზადაა ხელი აიღოს ფეოდალურ რაინდობაზე—გულის სატროფოთ ბაჯბაჯა დედაბერს ისვამს. დიდის ამბით ემზადება ღირსეული ნეფე-დედოფალი

საქორწილოდ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ირკვევა, რომ ჩვენი საქართველო გვარიანი გაიძვერა და ბელადი ყოფილა: მახლის ქონება მიუთვისებია და მახლის შვილი — კველა, მშრალზე დაუტოვებია. ბარბარე ქონებასაც კარგავს და საქმროსაც. კი კველა ბედნიერდება — ფულსაც იშოვის და ღამაზ სატრფოსაც შეირობავს. ბოროტება ისჯება, დევნილი სიკეთე იმარჯვებს... სწორეთ ისე, როგორც ეს ხდება ევროპის ბურჟუაზიულ ნიადაგზე შექნილ „ბურჟუაზიულ ან კრემლიან“ კომედიაში.

ერთ და ამავე საზოგადოებრივ კლასს — თუნდაც სხვადასხვა ქვეყნებისას — ერთნაირი აზროვნება და ლიტერატურული ფორმები ახასიათებს. საგულისხმო გარემოება: ჰგავს, რომ ჩვენმა ატონოვმა კარგად იცოდა, თუ ვისთვის უნდა მიეძაბა!

„განა ბიძიამ ცოლი შეირთო“? მშენიერი კომედიაა, რომელშიც გამოყვანილია მეტის სიმდიდრით წონისწორობიდან გამოყვანილი ვაჭარი — გალუსტი თანდოვეი. ბებრუკუნა ქვრივის — ბარბარეს მსგავსად სიბერის ეპოს ამასაც დაეთრები აებნა და ღამაზ საცოლეს ეძებს: იცის, რომ სიმდიდრეს მიწაში არ ჩაკულებენ და მოწადინებულია თავისი ქონება ან თითონ შექაშოს, ან და საკუთარ შვილს — სიბერის დროს რომ ღამაზ ცოლთან შექაშებია — იმას დაუტოვოს. გალუსტის ყავს ერთადერთი შემკვიდრე — მანუჩარი, რომელიც დღე-ღამეზე მოელოდა ბიძიას უძეოდ სიკვდილს. მანუჩარი ბორჯომში დაუახლოვდება ერთ ღამაზ ქალს, რომელიც თურმე მის ბიძას — გალუსტის უნდა შეართოს და სააგარაკოთ გაუფხავნია. ნდგომარეობა ფრიად კომიკურია, როგორც მოხუც ბიძის, ისე მანუჩარისა და ქალისათვის. მაგრამ საქმე კეთილად ბოლოვდება ორთავეათვის: მანუჩარი თავის სიყვარულს უკვებ სხვაზე გადაიტანს.

აქაც ბედნიერად დასრულებული კოელიზია — „ცრემლიანი კომედიის“ ნიშანდობლივი თვისება. ზენი ჩარჩიც ისე ეტრფის ტკბილ ცხოვრებას და მუდროებას, როგორც ევროპის ბურჟუა, სატრავედიოთ არც ერთი არ გამოდგება, ბრძოლა და ხიფათი არც ერთს არ უნდა, თავიანთ ძვირფას სიცოცხლეს სარისკოდ არც ერთი არ იმეტებს, ისინი მხოლოდ საკომედო მასალას წარმოადგენენ.

გაიძვერა ჩარჩის სახეა მოცემული აგრეთვე კომედიაში „ქორწილი ხეესურათა“: კაკოლა თინაოვი წურბულივით შეძრომია მიყრუებულ შთიულეთს და ვისაც კი წაეწევა, ყველას ტყავს აძრობს. ამ კომედიაში მოცემულია ეტნოგრაფიული მასალა ხეესურათა სახეებით და მათი ღამაზაქის კილოს დაცვით. ნინიკო ფანტელაური, ბესო ქვაყორაული, ქალთაშზე ლუქსაური, ბოსრო სეთაგაური, ხინჩლა, ლეკია, ძაღლია და სხვები ხეესურათა კილოთი ღამაზაკობენ და ადგილობრიობის სურნელვებს მშვენიერად იცავენ.

— ბესოო, ბესოო! თუ გიყვარან ზენ და სალოცაეები, დამხესენ, შენი კენესა მე, არა მცალს ცხორთა საპატრონოდო, კმუნვა რაიმე მეწვეიეს ჩემდა ტანჯვად, — ამბობს ნინიკა ფანტელაური.

— სატანა რაიმე შემოგდებიაო, თუ რაიაო, კრისტიან ხარ, განაი თათარო ახსენე აი ჩვენდა სალოცაეებო და მათ გარი დონო შენდა მოდებული მაცთურაო.

ინტონოვი

ასეთნაირადია მთელ პიესაში ვადმოცემული მთიულთა კულტურის კვლევა. ჩვენს მწერლობაში ბრუდსა და მართალს ენაზე აკერია: მთიულტებს პირველად ილია ქავჭავაძე შეეხო „მგზავრის წერილებში“. ფაქტი კი სულ სხვას ღალადებს: თითქმის ათი წლით ადრე მთიულთა სხე ინტონოვს მოუტია. რას იტყვიან ამაზე ჩვენი ლიტერატურის „ღრმა მცოდნენი?“

ორ მოქმედებიან კომედიაში, რომელსაც ინტონოვი ნამდვილს უწოდებს, და, რომლის, სათაურია „ტივით მოგზავრობა ლიტერატორთა“, აწერილია ინტელექტუალთა საქმიანობა—წერილ ბურჯუაზიული წრე, რომელიც არაფრით არ ჰგავს ფეოდალური ცხოვრების ანარქულს, ეს ლიტერატურული ფაქტიც დამახასიათებელია.

ინტონოვიც გ. ერისთავის მსგავსად თითქმის ყოველ პიესაში იძლევა იმპრული ბიჭების ნაბაზებს: ვიორგას, პეტრიკას, სიმონიკას...

ასეთია ინტონოვის მიერ ასახული პორტრეტების ხეივანი, რომელშიც მოუსვენრად დაფუსფუსებენ ეს ახალი დროისა და ახალი ტიპის ადამიანები: მთლიანობას მოკლებულნი, გაბზარულნი, გატეხილნი და გაბრუნდულნი, რომელთაც არც წარსული გააჩნიათ და არც ხელაწინდელი დღე აინტერესებთ. მათი ინტერესი მარტო მიმდინარე ყოველ დღიურობაზეა მიბმული, მათ არ იციათ რა არის მალალი ინტერესი, აღმაფრენა და ადამიანური აღტაცება. მთელი თავის სიცოცხლით დახურდავებულნი არიან და მარტო კომედისის მეორე ხარისხივან გმირებად თუ გამოდგებიან.

მოულოდნელ ნიაღვარივით მოვარდნილმა ახალმა გეონომიურმა ტალღამ ძირიან ფესვიანად შეაჩრია მათი დასაყრდნობი ნიადაგი, ლუკვაპურის პირიდან გაფარდნის შიშმა ერთიანად დაცხრილა მათი სული და გული, ქალაქი და მისი ქუჩები ენაფოტად გადატყეულია მათთვის.

ინტონოვის პერსონაჟების ენაც ისეთია, როგორც მათ მდგომარეობას შეეფერება: უბრალო, სადა, მარტივი, მრავალფეროვანი, ცოცხალი და სურათოვანობით შეზავებული. არსად თავადური პოზა და გამგერება, არც ერთ ადგილას არა სჩანს საქლეთო წერილის უბრალო გავლენაც კი. ავტორს მშვენიერად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი სურნელების გადმოსაცემად ენის თავისებურობას, ეს გარემოება განსაკუთრებით სჩანს „ხევსურთა ქორწილში“ და „ქმარი ბუთი ცოლისა“-ში.

ამ ნაირად ინტონოვი ნიჭიერი განმამტკიცებელია გიორგი ერისთავის მიერ ჩვენს ლიტერატურაში დაკავებულ პოზიციების და თავისი შემოქმედების ძირითადი მოტივებით—შინაარსით და ფორმით ანუ საერთოდ, რომ ესთქვათ—სტილით, ერლიანად განირჩევა ელ. ქავჭავაძისა, გრ. ორბელიანისაგან და სხვებისაგან. ინტონოვის შემოქმედება წარმოშობილია ქალაქური ცხოვრების მიდამოებში, თავადური ხოდაბუნები მისთვის შორეული წალკოტებია, იქაურობის პოეზია მას არ ხიბლავს.

ინტონოვი ნიჭიერი არტისტიც იყო, გრ. ერისთავის მარჯვენა ხელი იყო და რომ უდროოდ არ დაღუპულყო, კიდევ უფრო დიდ ამაგს დასდებდა ქართულ ლიტერატურას და საზოგადოდ კულტურას. მისი პიესები დიდხანს

აცოცხლებდა ჩვენი სცენას. „მზის დაბნელება“ ახლაც იდგმება, მაგრამ უკვე მისი კომედიები მის დროს ცალკე წიგნებად იბეჭდებოდა, უკანასკნელად კი პიესათა კრებული ცალკე წიგნად 1876 წელს დაიბეჭდა.

გრიგოლ რჩეულიშვილი (1820—1877). რჩეულიშვილი პირველ სტრიქონიდანვე იწვევს მკითხველის ყურადღებას. არ შეგვიძლიათ მისი მოთხრობა დაუსრულებელი მიატოვოთ. ეს დიდი ბედნიერებაა მწერლისათვის. თუ არ ვცდები, ჩვენი კრიტიკოსები ნაბრტყ იმისათვის აფასებენ მას, რომ თავის დროის მკითხველს საინტერესო საკითხავ მასალას აწვდიდა და მით კითხვას აჩვევდაო. მე კი მგონია, რომ რჩეულიშვილის მნიშვნელობა უფრო ღრმა არის და თანაც მისი შემოქმედება საინტერესო საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს. ვეცდები ნათელეყო ჩემი აზრი.

ეს მწერალი რაღაც განცალკევებულად დგას სამოციანი წლების დასაწყისის ლიტერატურაში; ერთის შეხედვით თითქოს ისე სჩანს, რომ მის შემოქმედებას ძალიან ცოტა სცხია ქართული ელფერის; მეორე მხრივ კი არც იმის უარისყოფა შეიძლება, რომ რჩეულიშვილიც სხვებივით გულდასუწავი პატრველია და მთელი მისი გულისყური და ცეცხლოვანი ტემპერამენტი იქითაა მიმართული, რომ მშობლიური ლიტერატურა გაამდიდროს და რაც შეიძლება მალე გააცნოს ყველას თავისი სანუკვარი გრძნობები და აზრები.

მისი დროის მწერლობა წაინცადამანც დიდათ არ აფასებდა მას, არც შემდეგ თაობას შეუყვლია ასეთი მდგომარეობა, მას მარტო „თამარ ბატონიშვილის“ და ხანდინჯან „ანუკა ბატონიშვილის“ ავტორად თუ იხსენიებენ. ამ ბოლო წლებში კიდევ „ქვრივის ლიმონების“ გამოცემით მოიგონეს. ეს მოთხრობები ეროვნული რომანტიკის სამსხვერპლოზე მოტანილი ხარკია. მე კი ეფიქრობ, რომ რჩეულიშვილის შემოქმედების პათოსი ამ მოთხრობებში არაა ჩამარხული. ენახათ, რას გვეტყვიან ლიტერატურული ფაქტები.

რჩეულიშვილი დიდინის ავადმყოფობის შემდეგ გამოპროვოვების გზაზე შემდგარ აღამიანს მაგონებს. ასეთი აღამიანის დაშვული სხეული უამრავ საკმელს მოითხოვს და ისიც განვლული ჭამს. ხან ერთ საკმელს მივარდება, ხან მეორეს, როცა ერთს სჭამს, მეორეს ხელით მიითრევს ახლო და შესამუს კიდევ ანერწყვებული თვალებით მისჩერებია.

რჩეულიშვილი დიდ უბედურებას თავზე გადახდის საქართველოს შეილია, იმ ქვეყნის, რომელმაც დიდი სისხლის ღვრისა და აფორიაქებათა შემდეგ, როგორც იყო ცოტათი მოსვენება და ქონებრივად შედარებით მოღონიერებასთან ერთად, ფიზიკურადაც წელში გასწორდა... მიიხედ-მოიხედა და რა დაინახ ირგვლივ?

დაწინაურებული ქვეყნები, კულტურული ერები, უჩვეულო ცხოვრება, რუსეთის გზით მოხეტიალი ახალი ნიაღვარი... ხოლო შინაობაში კი საშინელი სიღარიბე, უკულტურობა, ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა. მაგრამ... მაგრამ იმავე დროს დიდი სურვილები, დიდი შესაძლებლობანი!.. იმიტომ, რომ საქართველო კულტურული ერი იყო, დიდი წარსული ჰქონდა... დიდი როლი უთამაშნია მკირე აზიაში; გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, სააკაძე,

ერეკლე... შოთა რუსთაველი, ჩახრუხადე, მოსე ხონელი, საბამსურის მამულიანი, გურამიშვილი, ბესიკი, ანტონ ქათალიკოსი...

ეს ამრდილები არ ასვენებდნენ რჩეულიშვილის დროის საქართველოს, არ ასვენებდნენ თითონ რჩეულიშვილსაც... იგი ხარბად ეწაფება ყველაფერ იმას, რაც მის ქვეყანას აკლია... ქონებრივად და ფიზიკურად სულმოთქმულ ქვეყანას სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც მოუწონდა, მისი საუკეთესო შვილები მოწადინებულნი არიან, რომ ეს სულიერი შიმშილი დაიკმაყოფილონ რჩეულიშვილი ერთი ამბოჯანით.

ევროპაში ამ დროს უდიდესი ლიტერატურული მოძრაობა იყო, ბურჟუაზია დაეაჯყაცებულ კლასი იყო, უკვე რევოლუციითა მთელი რიგი ჰქონდა გარდახდილი და გამარჯვების გვირგვინით მიაბიჯებდა წინ. გონებრივი შემოქმედების თითქმის ყველა პოზიციები მის ხელთ იყო და მის წიაღში შექმნილი ლიტერატურაც მთელ მსოფლიოს რწყავდა. საქართველომდეც აღწევდა ამ დიდი მდინარის ტალღათა ტლაშანი... გამალებით ეწაფება ამ ზვირთებს გრიგოლ რჩეულიშვილიც... იგი ხან თარგმნის, ხან მოთხრობებს გადმოაკეთებს, ხანაც ორგინალურ მოთხრობებს სწერს წაკითხულის მიბაძვით... თხზავს ლექსებს, პატარ-პატარა ამბავ-ანეკდოტებს. კერესელიძის „ციკლის“ თანამშრომლებიდან იგი ყველაზე ნაყოფიერი, ცოცხალი და ენერგიული მწერალია. ნიჭითაც საკმაოდ არის დაჯილდოებული.

როგორც ვსთქვით, რჩეულიშვილის მისაბაძი საგანი ბურჟუაზიული ლიტერატურა იყო. უნდა ითქვას, რომ ამ ადამიანის ტემპერამენტი საესებით შეეგუა ამ ლიტერატურის ერთერთ დამახასიათებელ მომენტს—ჰსიჭოლოგიზმს—ნიეთთა მოძრაობით გამოწვეულ და შექმნილ ნერვიულობას და მოძრაობას. ვერცხლის წყალივით თრთოლავდა და მუდმივი ქახცახი რჩეულიშვილის მოთხრობების დამახასიათებელ მომენტს შეადგენს. მისი ტიპები ერთობ ნერვიული ხალხია, აჩქარებულად მოქმედებენ და აზროვნებენ. რჩეულიშვილის მოთხრობები კინემატოგრაფიულის სისწრაფით ვითარდება.

ეტყობა, რომ რჩეულიშვილი ალტაცებული იყო საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობის შემოქრით. ერთი მისი, საკმაოდ ლამაზი, ორგინალური მოთხრობა—„შეწლილი“, ასეთნაირად იწყება:

საზოგადოთ საქართველო და საკუთრად ტფილისი ბევრით არიან დაელებულნი განსვენებულის ფელდმარშლის თავადის ვირონიციისაგან. 1845 წელსა გადმოვიდა ვირონიციეი საქართველოში ნამესტრიკად და მაშინვე შეუდგა ის განხილვასა მისს საქართველისასა, ჰპოვა საქართველო იარს დაშობილი მრავლის წყლულებისაგან. მხოლოდ ამის შემძლებელს მარჯვენას შეეღო იმ ეამად საქართველოს აღდგინება და იმის დიდაკერმა სიუბევმ არა დახოვა რა ამ წყლულების განხსაკრნებლად. მან დააწინაურა ვაქრობა, გლეხთ გაუჩინა მეშაკობა, ობოლთ და ოხვრთ შეფარებინა თავი სასწაულებლბებში, კეთილშობილთ დაანახვა კეთილშობილური გზა ხელშეიდის სამახურისა; აგრეთვე არა დაიშურა რა საზოგადოს სიამოვნებისათვის; ამის გამო მან დააფუძნა ქართული თეატრი. კეთილი საკმე თავადის ვირონიციისა არ დარჩა უნაყოფოთ: მრაველთა მისის წყენებით იწარმართეს და ჰპოვეს წარმატება, ევროპიული ცხოვრება შემოვიდა ჩვენში. ახალი ახრები დაგვებადნენ; ერთის სიტყვით გაიღვიძა რა ხალხმა ძილიდამ, სრულიად უსწაულელნი თითქმის განვითარდნენ; უცებ მოულოდნელად დაიბადნენ წარჩინებულნი კომი-

კერძი მწერალი, რომელთა შორის ბრწყინავს თავ. გიორგი ჯრისთავი, ცხატაძე, ასკიორ-ნი, რომელთაც გააჩირებს ევროპელები:

ამ აკტიორებშია და აკტიონების შორის იყენენ იმ დროს ორნი საჯაროები სა-ზოგადოებშია: აკტიორი გიორგი და აკტიონა ვეკე..."

ასეთი ჰუმლიციტური შესავალის შემდეგ იწყება გიორგისა და კეკეს სი-ყვარულის ამბავი, რომელიც სხარტულ დიოლოგებში ვითარდება. კეკეს ეცილე-ბა მეორე არტისტი ქალი — ანა, რომელიც ამბობს, რომ მას „უნთია გულში შე-მქმელო ცეცხლი გიგოხადმი“. ევ „შემქმელი ცეცხლი“ თავისას შეება და საბედ-ნიეროდ გამზადილ ახალგაზრდებს სამუდამოდ გააუბედურებს.

შე არ შეგუდგები მოთხრობის, შინაარსის გადმოცემას, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ნაწარმოები იძლევა წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებას და პსიქოლოგიურ განცდება, თავდება სანტიმენტალური ლიტერატურული მიმდინარეობის მოთხრობების მსგავსად გულჩვილობით და სასაფლაოს ქვებ შორის „ნაწის ნაბიჯით“ სიარულით. მოთხრობა დაბეჭდილია 1862 წლის „ციცკარის“ № 4.

წვრილ ბურჟუაზიული წრე და განცდება მოცემული აგრეთვე მეორე მო-თხრობაში — „ლუნატკი“ („ციცკარი“, 1860, № 9), რომელიც ეხლაც დიდის ინტერესით იკითხება.

„ეს იყო თებერვლის თოთხმეტსა, 1855 წელსა უკანასკნელს დღეს ყველი-ერისასა, როდესაც, დღისით სადილს უკან, არდგინდენ იტალიანურს ოპერაში, ტფილისში, საძლო ლუნატკისა...“

ასე იწყება ეს მოთხრობაც, რომელშიც აწერილია ერთი ინტელიგენტის, თავ. ბაგრატიის, უბედური სიყვარულის ამბავი. მომაკვდავი უღაბაზო ცოლი შინ ეგულდება და იგი თეატრში სიყვარულის აღში გაეხვევა, ლამაზმა ქერიმმა დაე-თრები აუბნია. შინ როცა მოდის და მომაკვდავ ცოლს დააშტერდება, გულში მისი სიკვდილის სურვილი გაურბენს, ტკივილების დასაწყნარებლად მომარაგე-ბულ ბანვს თვალს აშორებს. „ეშმაკს შეაფურთხებს“ და თავის ლოგინში წვება, ბაგრატიის აზრი და გრძნობა ცოლისა და სატრუფოს გარშემო ტრიალებს. ბოლოს მან „დაიძინა ღრმის და მძიმეს ძილით“.

„რა მეორე დილას გაიღვიძა, მან იგრძნო, რომ თავი მძიმეთა აქვს და თით-ქოს სრული სხეულიც დაეცეილი. ლოგინის აქოთების კვლად მან იფიქრა, რომ ღამე გაუტარებია მძიმედ და მოუსვენრად. მიგრამ რა საბით გაოცდა იგი, რო-დესაც მან ნახა სტოლზედ, თავის კრავოტთან, მინა ბანვითა, ის მინა, რომელიც: გუშინ ღამ იმას ენახა თავის ცოლის ოთახში...“

ბაგრატი გაოცებული შედის ცოლის ოთახში და... პოი საშინელებაც! ცო-ლი გარდაცვლილი დახედება... თავისით მოკვდა, თუ ბაგრატი მოსწამლა? ბაგ-რატს არ ახსოვს, რომ თითონ მოეწამლოს და ამნაირად გზა გაეკაფოს სატრუფო-სთან საბედნიეროდ. მაშ რა მოხდა: საიდან გაჩნდა ბაგრატიის მაგიდაზე საწამ-ლავეი? უცხო ვინმე არ ყოფილა ოთახში... აშკარაა, რომ ბაგრატი რაღაც საში-ნელება მოიმოქმედა მისი ნებისყოფის გარეშე...



ქართული
ლიტერატურა

ეს მონენტი, რომლის გადმოცემაზე ჩვენ ვანგებ შეერთდით, ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ვეროპის ბურჯუაზიულ კლასის ფსიქოლოგია-სა, რომელსაც დეკადენტური მიმართულების მწერლები ხატვენ. ვანა სწორეთ აგრე არ იქცევიან ვეროპიული მოდერნიზმის დამამშვენებელის — ქნუტ ჰამსუნის ნერვებად გადაქცეული გმირები! მოვიგობათ მისი „მისტერიების“ გმირი ნაპე-ლი, რომელსაც ერთიანად ვასწყალებია გონება — ნებისყოფა და გრძნობებს აყო-ლილი სრულიად შეუგნებლად მოქმედებს. იგი ხშირად ვარდება ბაგრატიონებურ მდგომარეობაში.

მე სრულებით არ მინდა იგივეობის ნიშანი დავსვა რჩეულიშვილსა და ჰამ-სუნს შორის, მაგრამ ჩემი აზრის ნათელსაყოფად არ შემედლო არ მომეყვანა ეს საინტერესო მსგავსება. რჩეულიშვილი შორსაა მოდერნიზმზე, მაგრამ არ მგონია, რომ მის „ლუნატიკზე“ ხელი არ მოაწეროს თუნდაც პირველად მოხვედრილმა კულ ამრეხილმა დეკადენტმა მწერალმა...

რჩეულიშვილის შესამე მოთხრობაშიც — „მოტყუებული ბრილიანტიკი“, — ახალ ეკონომიურ პირობებში წარმოშობილი აფერისტების სახეებია მოცემული. კვაკი კვაქანტირადის შორეული ნათესაეები, რომელთა პროფილები ანტონოვის პიესებშიც ჩანან, ჩვენს კვაკიზე არა ნაკლების მოხერხებით წყმპლაობენ ჭალაჭის პირობების ამღვრეული წყლის ტალღებში. ბურჯუაზიული ჭალაჭი არაა ფეოდა-ლური კარმიდამო, სადაც ადამიანები დაბადებიდანვე პირადად იცნობენ ერთ-მანეთს და სადაც უცხო ვინმე ფეხსაც კი არ დაადგამს, აქ, ჭალაჭში, მიღეთოს ხალხი ირევა, ვინ გიცნობს, ვინ იცის შენი ავკარგი, საით მოხველ, სად მიხვალ!.. ამიტომ მოტყუილებაც იოლი საქმეა, ათასნაირი ნიღაბით შეგიძლია იარო: აქ ბატონსან კაცად დაისახები, იქ ივანიძერებ... ვინ შეგატყობს, ვის სცალია ყოვე-ლი შენი ნაბიჯის და მოქმედების ერთი მეორეზე გადასამბელად. აქ ხომ სოფე-ლი არაა, სადაც სულ ერთი ქუჩაა ორღობებში გაწოლილი და ბუხის გაფრენაც კი არავის გამოეპარება...

„მოტყუებული ბრილიანტიკის“ გმირებმა კარგან იციან ყოველივე ეს და მოხერხებულათაც აღწევენ მიზანს.

რჩეულიშვილს აქვს აგრეთვე ნათარგმნი თუ გადმოკეთებული მოთხრობები: „მასკარადში შეცდომილება“ და „კოლის სიყვარული“. ორივე ამ მოთხრობაში ნკითხველის თვალწინ იშლება ბურჯუაზიული წრეების ავან-ჩავანი და სულისკვე-თება. რჩეულიშვილის პსიქოლოგიური განწყობილების შესაცნობად დამახასია-თებელია ის გარემოებაც, რომ იგი სწორეთ ასეთი შინაარსის მოთხრობებს თარგმნის.

გ. ერისთავის ვანზილვის დროს ჩვენ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენდა რჩეულიშვილის წრის მწერლებზე თავდაზნაურული არე-მარის შემოქმედება. ეს გავლენა ვანსაკეთრებით თვალსაჩინოა გრ. რჩეულიშვილ-ზე, რომელიც სხვებზე ნაკლებად არ გრძნობდა საქართველოს ეროვნულ ტრაგე-დიას. მის ცეცხლოვან ტემპერამენტს მოსვენებას არ აძლევდა მისი ჭეყენის, რო-გორც აწმყო, ისე წარსული. ეროვნული რომანტიკის ცეცხლი ვანსაკეთრებულის სიძლიერით გიზგიზებდა მის არსებაში. ამ თემაზე მას დაწერილი აქვს სამი მო-

თბრობა: „თამარ ბატონიშვილი“, „ანუკა ბატონიშვილი“ და „ქვეყნის კლიმატი“.

ეს უკანასკნელი მოთბრობა ერეკლე მეორეს შეგებმა და უნდა ითქვას, რომ ძალზე სუსტებია და ნაკლებად ახასიათებს რჩეულიშვილის ნიქს. მოთბრობა ვერ იძლევა სინამდვილის ილიუზიას: დაუჯერებელია, რომ ღვაწლით მოსილი მოხუცი ერეკლე ნეფე ასეთ მდაბიურ დარბაზობებს ეწეოდა და თავისი თავისადმი პატივისცემა ისე უმნიშვნელოდ ჰქონდა სულსა და გულში გამჯდარი, რომ რაღაც ბავშური კონედიის ვათამაშებამ თითონვე აკისრებდა თავის თავს. ეს მოთბრობა ამას წინეთ გამოსცა გამომცემლობა „შრომამ“. ეფიქრობ, რომ არჩევანი არ ყოფილა მართებული.

„თამარ ბატონიშვილი“ და „ანუკა ბატონიშვილი“ ისტორიული მოთბრობებია, თუმცა ისტორიულ ყოფა-ცხოვრებას და კოლორიტს იქ ძალიან ნაკლებად ნახავთ. ხშირად ისტორიული ფაქტიც კი დამახინჯებულიადაა გადმოცემული. ეს საყვედური სიცოცხლეშიც ხშირად ესმოდა რჩეულიშვილს. მე ვგონია, რომ ეს აზრი მხოლოდ იმდენად იყო საფუძელიანი, რამდენად რჩეულიშვილი თავის მოთბრობებს ისტორიულს არჰქმედდა. ხოლო თუ ამ ნაწარმოებთა მთავარ ტენდენციას დავაკვირდებით, ამ საყვედურის დოზას უსათუოდ უნდა დავუკლოთ. ორივე ამ მოთბრობას, განსაკუთრებით „თამარ ბატონიშვილს“, ახასიათებს უსიკოლოგიზმი და კინომატოგრაფიული მოძრაობა. მოთბრობა განსაკუთრებულის სისწრაფით ვითარდება და მთავარი პერსონაჟი—შალვა—ისე ნერვიულობს და თრთის, როგორც რჩეულიშვილის „შეშლილისა“ და „ლუნატიკის“ გმირები. აჭქარებული მოქმედება, აჭქარებული აზრი და გრძობა, მოულოდნელი შეხვედრანი, სხარტული ღაპარაკი... ყოველივე ეს ნაკლებად შეეფერება იმ ზღაპრულ თ მიმავალ ცხოვრებას, რომელშიც ეს მოთბრობა ვითარდება. მე-12 საუკუნეში მონურ-ფეოდალური ვითარება მიეფობდა: ჯგზობა, უმოძრაობა, შინ ჯდომა, კონსერვატიზმი, შშვიდი და წყნარი ცხოვრება... ნერვების მაგიერ მეთულები, შინაგან განცდებზე კუნთების მოძრაობის ბატონობა და ზედა და ქვედა კიდურების მეფობა. მაშინდელი ადამიანი უშუალოდაა დაკავშირებული ბუნებასთან და მისი თანდაყოლილი, თუ შენაძენი ინსტიქტები შეუფერებლად ამკარავდებიან; შინაგანი სულიერი მოთმინებითი წვა და განცდა მაშინდელ ადამიანს არ ებერება ეს მიდრეკილებანი ბურჟუაზიული ეპოქის ადამიანის ნიშანდობლივი თვისებებია, უსიკოლოგიზმი და ნერვიულობა მისი დამახასიათებელი ნიშნებია, „თავმდაბალთა საუნჯის“ ფილოსოფია გორის მეტერლინკმა ბურჟუაზიული ბელგის პირობებში შექმნა.

რჩეულიშვილს კი ყველა ეს თვისებები ფეოდალური ურთი-ერთობის ადამიანებზე გადააქვს და ეს იმიტომ, რომ თითონ რჩეულიშვილს ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი აბალი ბურჟუაზიული ეპოქის სუნთქვა და მაჯის ცემა. ასე რომ მისი ისტორიული მოთბრობების სურნელება და სული და გული წმინდა ბურჟუაზიულია, გარეშე ქარგა კი ისტორიული. „თამარ ბატონიშვილის“ და „ანუკა ბატონიშვილის“ გმირები, ჩემის აზრით, ღვიძლი ძმებია „ლუნატიკისა“

და „შეშლილის“ პერსონაჟების, სულ ტყვიად დააწორა ავტორმა მისი ქრონიკის რამდენიმე საუკუნით.

ზევით ვსთქვით, რომ რჩულიშვილს სანტიმენტალიზმის ელემენტებიც მოეპოვებოდა. ეს სიტყვა მე შემთხვევით არ წამომცდენია: სანტიმენტალიზმის გავლენა საკმაოდ ძლიერია ამ მწერალზე, მისი ცნობილი ლექსი:

ახ, მთვარე, მთვარე, დამწვართ იმედო,
მსურს ჩემი ტანჯვა შენ გავიბედო...

თავიდან ბოლომდე სანტიმენტალურია. ცრემლები — ხშირად ხელოვნურიც კი, ნაზი მთვარე, სასაფლაო, მწუხრი და სხვა ასეთები ამ სკოლის მწერალთა გულის ამარჯუებელი საშუალებებია, ევროპიელ მწერლებიდან ნასესხევი. ეს თვისებები რჩულიშვილის კალამსაც ახასიათებს.

რჩულიშვილის ენა თუმცა ყურია საბოლოოდ დახვეწილი და ხშირად განიცდის იგი საეკლესიო ენის გავლენას, მაგრამ საერთოდ—ბოლო ხანების შინა, ერთობ სადაა და მხატვრული. მას ახასიათებს სხარტული გამოთქმანი, მოქმედების შესაფერი მოკვეთილობა და დიალოგის შესანიშნავად დაწურვა. ასე რომ ხშირად მისი მოთხრობები პიესასაც კი მოგაგონებენ. ყოველივე ეს ხშირად მშვენივრადაა შეხამებული მისი მოთხრობების საერთო ტემპთან.

ლავრენტი არდაზიანი (1818—1870). არდაზიანი სუბიექტიურად კონსერვატორი იყო და ფეოდალურ ურთიერთობას არც ისე ემტერებოდა. იგი მაგრად იყო ჩამჯდარი კერესელიძის „ჯოჯოხეთის კარად, მონათლულ „ციცქარის“ რედაქციის მამაპაპურ სანგრებში და დაშკლავებული ებრძოდა თერგდალეულთა რაზმს. ამავე დროს არდაზიანი ჰკვირავდა მწერალი იყო და თავის რომან „მეჯღანთა-შვილში“ საუბრადღებო მხატვრული ნიჭიც გამოიჩინა. სწორედ ამ მხატვრული ნიჭისა და გულწრფელობის მეოხებით დაუახლოვდა იგი მისი დროის სინამდვილის გამომაცოცხლებელ ცხოვრების ფაქტებს და, შეიძლება თავისი სურვილის წინააღმდეგაც კი, ახალი გრძნობების და აზრების ადამიანებში ამოყო თავი.

ასეთი „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ ხშირია ლიტერატურაში: გოგოლი მიწერ-მოწერაში ბატონ-ყმობას გუნდრუქს უკმევედა, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურაში ძირს უთხრიდა საბაკევიჩების სამეფოს. შატობრიანი პოლიტიკაში რეაქციონერი იყო, ლიტერატურაში კი რევოლუციონერი შეიქნა.

გ. ერისთავისა და ანტონოვის მსგავსად არდაზიანის ყურადღება ფულიანი ხალხისკენაა მიქცეული. განსაკუთრებულის დაკვირვებით მიუღდა იგი ასეთი ხალხის ყოფისა და სულიერი ეითარების შესწავლას და „მეჯღანთა-შვილში“ შესანიშნავი ტიპი მოგვცა. მის მიერ დახატული ადამიანი ერთიანად განირჩევა ფეოდალური ურთიერთობის მესვეურთაგან და ახალი ცხოვრების მიჯნაზე დგას.

ის ეკონომიური ნიადაგი, რომელზედაც დიდი წვისა და დაგვის შემდეგ ფეხი მოიდგა სოლომონ მეჯღანთა-შვილმა, მუდმივ მერყევი და დაუდგრომელაა. მისი სიმადრე—ფული, ისეთი თვისებისაა, რომ მუდამ უნდა მოძრაობდეს და მიმოდიოდეს. ამიტომ მისი მფლობელიც ასეთი უნდა იყოს: უძრავ მიწა-წყალ-

ზე ქონათ დანძიმებულ მემართლესავეთ მუცელზე გდება მის ამაზრზეგმა... ჩელიც გამახვილებული უნდა ჰქონდეს და კეკა-გონებაც, ფეხაც მაქონდეს... უნდა ჰქონდეს კამოძროის და ენაც. ამავე დროს ის უნდა იყოს მეთოდურად მომქმნელი კაცი, გვგმით მომუშავე, ტაქტიანი, გამჭრიახი, შორს მჭკრეტელი. უნდა შეეძლოს თავის გართმევა ცხოვრების სირთულეში და მრავალ-ფეროვნებაში, უნდა ღრმად ჰქონდეს შეგნებული, რომ „ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგან თქმითაც დაშავდება“...

ყველა ამ თვისებებით საცმაოდ არის შემკობილი მეჯღანუაშვილი, რომელიც უფროს-უკაპეიკოდ გამოვიდა ცხოვრების მოედანზე, მაგრამ ახალ ცხოვრებას მალე გაართვა თავი და მილიონერი შეიქნა.

ამ უეცრ და უჩუტუტრო არსებას ქონებრივად ნოლონიერებასთან ერთად კულტურული მოთხოვნებიც გაუჩნდა და, მიწნურიდან გამოძრომის შემდეგ, მშვენიერ სახლ-კარში მოკალათებულმა თეატრებშიც კი დაიწყო სიარული. კიდევ შემდეგი საუბერი და ჩვენი მეჯღანუაშვილი პოლიტიკურ უფლებასაც კი წაებოტინება, ნაციონალ-დემოკრატების პარტიაში ჩაეწერება. აქი მისმა სისხლმა სისხლთაგანმა კლასმა ევროპაში კომუნელები და მირაბოები წარმოშვა! ასეთია ბურჟუაზიის ბუნება, მაგრამ ძალიან საეჭვო კი არის, რომ მეჯღანუაშვილის სულიერ მამას—არდაზიანს ნათლად ჰქონდეს შეგნებული ეს ისტორიული როლი. ამ გვეს გვიბადებს რომანში ფეოდალური განათლებული ბატონის სოლომონისათვის დაპირისპირება.

ეს ბატონი არის თავადი რაინდაძე, რომელსაც თავის ქონება მამაპაპათაგან ვადმოცემია და ბატონ-კაცურ ცხოვრებას ეწევა: მაგრად აზის ყმებს და ბატონ-ყმობისაგან დაძებულ სოფლის ორღობებში ეტლით დასეირნობს თავის მფლდლესთან ერთად. ამავე დროს ვითომ რალაც ახალი ტენიაც შეაქვს სოფელში, რის გამო „ყმას შეუმსუბუქდა ერთი ნახეჯარი სამსახური და მადლობელი არის“, მაგრამ არსებითად იგი თათქარიძის ინტელიგენტური წინამორბედი და, არდაზიანის აზრით, მეჯღანუაშვილებმა ერთგვარი აღზრდა და ზნეობრივი განსპეტაკება მის ოჯახში უნდა შეიძინონ. არდაზიანის აზრით, ეს ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ეკონომიური მოვლენის ადამიანება შეთანხმებულად უნდა სცხოვრობდნენ რათა ამით არსებული წესწკობილება გაამაგრონ.

რაინდაძე ხანდახან თათონ არდაზიანის აზრებსაც გამოსთქვამს, ერთ ადგილას ის ამბობს: „ფრანცია მცირე ეამს გადაუდგა ქრისტეს სახარებასა და ჩავარდა სიბნელეში, რომლის გამო მოხდა საშინელი არეულობა და როდესაც ამის შემდეგ ფრანციაც ცხადად მოვიდა სახარებასა, ისევ განათლდა“. ერთის სიტყვით რაინდაძე—არდაზიანის აზრით ისე გამოდის, რომ საფრანგეთი დაღუპა რევოლიუციამ და გადაარჩინა რეაქციამ.

ასე ცდილობს არდაზიანი გაამაგროს რაინდაძე და მისი ბატონობა, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ მის მიერ მონახული ფონი მშვენიერი იქნებოდა—ერთ ადგილას რომ არ ახჩობდეს: რაინდაძე ნელ-ნელა სესხულობს ფულებს მეჯღანუაშვილისაგან და ეს უკანასკნელიც თბუნელასავეთ შესძრომია მის ადგილ-მამულს. იმუშავე თბუნელავე, მომავალი შენია!

არდაზიანს აქვს მეორე რომანიც — „მორჩილი“, რომელიც უკვე აღწერილია ცნობილი. ეს ნაწარმოები ქალაქის ფონზეა ამოქარგული და თუმცა ბევრით ჩამოუვარდება მეჯღანუაშვილს, მაგრამ ზოგ რამეში უსათუოდ საინტერესოა. რომანში ერთის მხრივ გამოყვანილია სათნო და დედ-მამის მორჩილი ქალი. აღგსანდრა და, მეორეს მხრივ, ახალ ეკონომიურ ვითარებაში წარმოშობილი აფერისტები და შარლატნები. ჰგავს, რომ ეს ორფეხა არსებანი საკმაოდ მომრავლებულან იმ ხანებში, რომ ასე ხშირად ხატავენ მათ მეორე სტილის წარმოადგენელი მწერლები!

ამ გაიძვერებიდან ყველაზე საინტერესოა თეამურაზი, რომელიც ქალაქის პირობებში წარმოშობილი ტაპია და შეთვისებული აქვს ქალაქის მხოლოდ უარყოფითი თვისებები: გარყვნილება, გაიძვერობა, ორპირობა და სხვ. საერთოდ რომანში დაპირისპირებულია ძველი და ახალი ცხოვრება, ავტორის სიმპატია უსათუოდ ძველისკენაა და ახლებს ხშირად უარყოფითად ნათლავს.

არდაზიანი ძველი სოციალური ურთიერთობის გვერდით ეკლესიასაც გვირჩიან შაგრათ ებლაძეშა, მისი საყვარელი ტიპები ერთობ ღვთის მოსაენი არიან და, სააქაოს ტკბილად მცხოვრებნი, საიქიოსაც იმკვიდრებენ.

მეორე სტილის მწერლებიდან არდაზიანი ყველაზე უფრო მეტად განიცდის თავად-აზნაურული წრის მწერლების იდეურ მოვლენას. ის ვაორებული მწერალია, რომელიც ცალის თვლით ახალს ეტრფის, მეორე ძველისთვის ვერ მოუწყვეტია.

არდაზიანის ენა საერთოდ სრულიად ახლია და მოხდენილი, მართალია ავერ-ვევრ ვერაა გამართული, მაგრამ ერთიანად ხალხური ელფერი აქვს და ცხოველ მყოფელობით სჩქეტს. წერის მანერაც საკმაოდ გრაციოზული აძევს და თავის დროის მწერლებთან შედარებით პირველთა რიცხვში უნდა დაეთმოს ადგილი.

* *

დანიელ ჰონჭაძე (1830—1860). ბატონ-ყმური ურთიერთობა ბურჟუაზიულ კლასისათვის ბორკლია, ინგლისის რევოლუციებიდან (1649, 1698 წ. წ.) მოყოლებული, საფრანგეთის (1789, 1830, 1848 წ. წ.), გერმანიის (1848 წ.) და ბოლოს რუსეთის ორი რევოლუცია (1905 წ. და 1917 წ. თებერვლის) ამ ბორკილების დასამხზვრევედ დატრიალდა. ფეოდალური უღლის სიმძიმე გლახობას და საზოგადოდ წერილ ბურჟუაზიას აწვა კისერზე, პირველი საპროტესტო ხმაც სწორეთ ამ წრის მწერლებიდან უნდა წარმოთქმულიყო. ჩვენ უკვე გავცინათ გ. ერისთავის მიერ დასმულ საზოგადოებრივი განეითარების პროგნოზს: ფეოდალიზმმა გზა უნდა დაუთმოს კაპიტალიზმს, ანდლუყაფარების მეურნეობა კარაპეტეშმა უნდა შესყვალონ, მეტი გზა არაა, ჩენი თავად-აზნაურობა უნდა გარდაიქმნას, ახალ ეკონომიურ საფეხურზე უნდა გადავიდეს.

ეს, ასე ვსთქვათ, საკითხის ლიბერალურად გადაჭრაა, ნელ-ნელა, ევოლიუციონურად. ჰონჭაძე კი საკითხს პირდაპირ რევოლუციონურად უდგება და ბატონ-ყმური ურთიერთობის სისტეკ სურათს იძლევა. მაგრამ ეს არაა სტატიური სურათი, რომელიც პომეროსისებურის სიღინჯით ხატავდეს სინამდვილის საში-

ნელებას. არა, „სურამის ციხე“, თავიდან ბოლომდე დინამიკურად გატეხილი მოთხრობაა და, ობიექტიური სიწყნარის გვერდით, უდალესი ძალის აფეთქებებას იძლევა.

მოთხრობა თავიდან ბოლომდე თავისუფლებისათვის ბრძოლით არის გატეხილი. დურმიშხანის მთელი ყურადღება იქეთაა მიქცეული, რომ რაიმე გზით მისი პიროვნების და ნიჭის შეზღოვებული ბატონობა მოიშოროს და თავისუფალ ცხოვრებას დაეწყო. ნოდარ-ოსმან ალა და მისი დედა იძულებულნი ხდებიან მათ უნებურად ჩაებან პირადი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ნატურალური მეურნეობის პირობებში სახელმწიფო ორგანიზაციის გასამარცხელი საშუალება—ბატონ-ყმობა, უკვე დრომოკმულ ინსტიტუტად გადაქცეულა და ერთ დროს ყმების თავშესაფარი ინსტიტუტი, დღეს მათივე საპყრობილეთი შექმნილა; ცხოვრების დიალექტიკამ თავისი გაიტანა, ეს რეჟიმი დროა, პირველ დავამოს.

გ. ერისთავი, ანტონოვი, რჩეული შვილი და არდაზიანი შორიდან ესიყვარულბოდენ ბურჯუაზიას, მათ კეთილის სურვილებით უნდოდათ ამ ურთიერთობის ჩვენში დამყარება და ის კი არ იცოდნენ, თუ ვის და რომელ რეალურ ძალას შეეძლო მისთვის გზის გაკაფვა.

ჭონჭაძემ კი რეალურად დააყენა საკითხი და პირდაპირ მიუთითა იმ ძალაზე, რომლის ბრძოლითაც შეიძლებოდა ჩვენში ბურჯუაზიის დამკვიდრება. ეს ძალა იყო ყმებში, რომელთა რევოლუციონური ბრძოლა გზას უკაფავდა ახალ ვითარებას.

უკვე ჩამორეკა საათმა, ძველი უნდა წავიდეს, ახალი უნდა დაშვარდეს: ერთი დროის პროგრესული ეკონომიური საფეხური, დღეს ქვეყნის დამღუპველია,—იღუპებიან ყმებიცა და ბატონებიც. ოსმან ალამ ბატონის მთელი ოჯახობა ამოწყვიტა და თითონაც სამუდამოდ დაიღუპა, მშობლიურ ჯოჯობითიდან გაქცეულ ოსმალითის დესპოტიკაში დამარხავსაც კი ვერ შოულობს. ტყვილა გააბენდინერა დურმიშხანი ამ სულითა და ხორციტ განაწამებმა აღამიანმა: ბატონ-ყმურ პირობებში გაქნილმა არსებამ, რომელსაც პირადი კეთილდღეობის მეტი არაფერი ახსოვს, ხელიც კი არ გაინძრია მისი კეთილისწყოველის დასამარხავად და იმ დროს, როდესაც ნოდარ-ოსმან ალას გვამი ქუჩაში იხრწნებოდა, დურმიშხანა საქონლით დატვირთულ გემის გარშემო ოცნებობდა.

თავისუფლებისაკენ ყმების მისწრაფებას შეუბრალებლად სდევნიდენ როგორც ბატონები, ისე საზღვდელოება და მთავრობა. ეს სამება ხელი-ხელ ჩატედებული მიდიოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩაეკლა ახლისადმი მისწრაფება. ბატონის სისასტიკისაგან გაქცეული ნოდარ-ხოსმან ალას დედა, რომელიც ქალაქის პირობებში საკუთარის ოფლით ირჩენდა თავს, სულიერმა მამამ გაამკლავა და საპყრობილეთიდან გამოქცეული, ისევ მონობის ბორკილის სატარებლად ვადასცა მთავრობას. ამ უკანასკნელმაც მზრუნველობით მიგვარა იგი თავის ბატონს კვერში შესაბამად.

შრომისა და მშრომელის განთავისუფლება,—ი რას მოითხოვს ბურჯუაზიული ეპოქა. დანიელ ჭონჭაძემ მშვენიერად შეიგნო ესა და მისი მოთხრობაც ამ მიზანს ემსახურებოდა.



ჭონჭაძე სრულიად თავისუფალია პირველ სტილის წარმომადგენელ-ქვეყნისა და გაელენისაგან, მათ შორის უფსკრულია. თავად-აზნაურული კარმიდამო ჭონჭაძის წარმოდგენით სამუდამოდ უნდა დაიღუპოს, ამას მოითხოვს მშრომელთა დიდი უმეტესობის ინტერესი, ამას მოითხოვს ქვეყნის კეთილდღეობა და წინმსვლელობა. არდაზიანისებური კომპრომისები ჭონჭაძისათვის მიუღებელია, ბატონსა და ყმას მისი აზრით შოლოდ ბრძოლა აერთებს, ისინი მოსისხლე მტრები არიან.

საუბედუროდ, ჭონჭაძე როგორც მხატვარი არაა მაინცა და მაინც დიდი ღირსების, მართალია ცხოვრების სინამდვილე მან სწორის ალლოთი და ყოველ მსრიეობით გადმოგვცა, — „სურამის ციხე“ უსათუოდ ფართოდ მოხაზული მოთხრობაა, მაგრამ ტენიკის მხრივ საგრძნობლად მოიკოჭლებს, ენას აკლია დახვეწილობა და საშლეთო წერილის გაელენასაც განიცდის. ჭონჭაძე რომ ადრე არ დაჰკარგოდა ქართულ ლიტერატურას, ეჭვი არ არის, რომ იგი მაღე მოიწორებდა ამ ნაკლსაც და მის მიერ ახალ დროის სიღრმიდან ამოგლეჯილი სახეები ახალის ენითა და ტენიკით უფრო უკეთ იქნებოდა მოცემული. ამის თავდებია „სურამის ციხის“ არქიტექტონიკის ორიგინალობა.

თანამედროვე ქართული მხატვრობა*)

ფორმალურად თანამედროვე მხატვრობა ჩვენში სამი მიმართულებით მიდის: პირველს ახასიათებს ბიზანტიურ-სპარსულ ხერხების მოდერნიზაცია (ლადო გუდიაშვილი), მეორე მიმართულება ძირითად მომენტებში აღადგენს რუსულ „პერედვიჟნიკების“ მხატვრულ ტრადიციებს (ნოსე სოიძის შკოლა), ხოლო მესამე მიმართულება მიდის ფრანგული კუბიზმის გზით (დ. კაკაბაძე). ისტორიული წყარო ქართული მხატვრობისა უნდა იქნებოდეს ძველ საეკლესიო ფრესკაში, გადასახიდ ხატებსა (СТАНКОВАЯ ИКОНА) და მინიატიურებში. ყველა ამით აღმოსავლური მხატვრობის ძლიერი გავლენა განიცადეს, კერძოდ ბიზანტიისა და სპარსეთის. უშუალოდ ბიზანტიამ გავლენა იქონია საეკლესიო ფრესკებზე, ხოლო სპარსულ გავლენას მოექცა ქართული მინიატიურა; ბარელიეფებისა და აგრედვე ძველი ეკლესიების დეკორატიულმა მორთულობამ განიცადა ასირი-ბაბილონის გავლენა, ხოლო არაბული კულტურა შემოიტანა ქართული ორნამენტის შინაგან სტრუქტურაში (მცენარეულობის მ-ტივი). უნდა აღინიშნოს გაკერით აქ ის გარემოება, რომ პირველი ავტორნი მცენარეულობის მოტივისა იყვნენ არა არაბები, არამედ ეგვიპტელები. არაბებმა გადმოიღეს მათგან მცენარული ორნამენტი მხოლოდ რელიგიოზური მოსახრებით: ყურანა მათ უკრძალავდათ ადამიანის ფიგურის გამოსახვას, რის გამოც მათ მიმართეს გეომეტრიულ და მცენარეულობის მოტივს ორნამენტულ ხელოვნებაში.

აღმოსავლურ კულტურის გავლენის პერიოდში ქართველ ოსტიტების დამოუკიდებლობა ძლიერ შემოფარგლული იყო. ხშირად ისინი მიმართავდნენ ქართულ რეალიზმს და ცდილობდნენ მიეცათ სიუჟეტურ მასალის ახალი ტრაქტოვკა. უმთავრეს შემთხვევაში კი ქართველი მხატვრების დამოუკიდებლობა შელანდებდა იმ გარემოებაში, რომ მათ ზოგ მხატვრულ კომპოზიციაში შეჰქონდათ ქართულ ნატიურ-მორტის მოტივების (მაგ. „სერობა“-ში ჩვენ ვხედავთ რედისკას და შწანეულობას) ან და „წმინდა გიორგი“ ტრადიციული შუბის მაგიერათ ქართული ხელით ებრძვის გველეშაპს და მრ. სხ. მეთვრამეტე საუკუნეში ქართული მხატვრობა თანდათანობით თავისუფლდება აღმოსავლურ მხატვრობის გავლენისაგან, მაგრამ ამასთან ერთად მან ამოსწურა შემოქმედების ყოველგვარი ფორმალური შესაძლებლობანი და დაიწყო დაქვეითება: სპარსეთის და ბიზანტიის მიერ შექმნილი შემოქმედებითი ნიადაგი, რომელიც ანოჟიერებდა ქარ-

*) ავტორის მიერ დამზადებულ წიგნიდან: „Письма о грузинской живописи“.

ეკონომიკური

თელ მხატვრობას, მოისპო, რის გამოც ფორმალური ძიება მხატვრობის შესწედა.

საქართველოს შეერთებამ რუსეთთან (1802)—დასახა თითქმის ახალი პერსპექტივები. მაგრამ ეს უფრო ენებოდა მხატვრულ ლიტერატურას, ვინემ სახეითი ხელოვნებას. ისტორიულმა სიუჟეტებმა ამოსწორა საეცებით თავის თავი მხატვრობაში. ახალი თემა იმათ ვერ იპოვეს; ფორმალურათ მხოლოდ აქ ადგილი დაურჩა რუს „პერსპექტივების“ ტრადიციების შემოჭრას ქართველ ოსტატთა შეაოქმედებაში. მაგრამ ამ ტრადიციებმა ოდნავათაც ვერ შესცვალა ქართულ მხატვრობის ინერტული მდგომარეობა, ვერ მოაპოვებინა მას თავისი ინდივიდუალობა და მამასადამე ვერ დასახა ნისთვის ახალი გზები გაჯანსაღებისათვის. იყო ცდები გეროამის კულტურასთან დაახლოების, მაგრამ მან ვერაფრითარი შედეგი ვერ მოიტანა. ამ რიგად: ვერც ვეროპაზე ორიენტაციის ცდამ, ვერც „პერსპექტივების“ კავშირმა ვერ შესძლეს ქართული მხატვრობისათვის ახალი პერსპექტივების დასახვა: ობიექტიურათ ქარული მხატვრობა მოემწყვდა ჩიხში. ბუნებრივად დაიბადა საკითხი ახალი თემატიკის შესახებ, რომელშიც მოცემულ უნდა ყოფილყო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შტრიხები და რომლის მხატვრული ასახვა მოამზადებდა ნიადაგს ფორმალურ ძიებისათვის. მაგრამ სად უნდა ვეძიოთ ეს თემატიკა? როგორი შინაარსით უნდა იყოს ის გაცდენილი?

საქართველოს შეჭრას რუსულ გაელენის სფეროში, თან ახლდა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება. სავაჭრო კაპიტალი ობიექტიურათ თავს ესხმის ძველ ყოფა-ცხოვრების ტრადიციებს. ჩნდება ბაზარი, გროვდება ფუფუნების საგნები, იქმნება ვეროპიული ცხოვრების ილიუზია. ფულის გაჩენამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ნატურალურ მეურნეობას. მსხვილ ეაქრებთან ერთად იქმნება კატეგორია წერილი ეაქრების—„ფეხზე მოვაქრების“, რომელთაც ობიექტიურათ, ძლიერი კონკურენციის გამო, არა აქვთ გამდიდრების ტენდეცია. ისინი გრძნობენ და აშკარად ხედავენ თავის უძლურებას კონკურენტულ ბრძოლაში, ამიტომაც მათი „შემოსავალი“ არ შეიძლება იქნეს წყაროს დაგროვებისა. ამიტომ მათი მიზანი ერთია: ქეიფი და „დროს გატარება“. ამ გარემოებამ შექმნა თავისებური „ქალაქური ბოგემა“, რომლის მთავარ სუბიექტათ იყო დეკლასიური ტიპი ქარველ ხელოსნებისა—კინტო“. ქალაქის დეკლასიურმა ნაწილმა შექმნა თავისებური ლიტერატურა და ზნე-ჩვეულებანი და მით გაუნოყიერა ნიადაგი საინტერესო პოეტურ ფოლკლორს. ამ სწორეთ ეს ბოგემა ერთის მხრივ და ხალხური შემოქმედება მეორეს მხრივ გახდა იმ ფაქტორათ, რომელმაც ქართული მხატვრული კულტურა გაცხოველებისა და განახლების გზაზე შეაყენა. ამ ეპოქის საუკეთესო წარმომადგენელი არის გენიალური მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი.

ნიკო ფიროსმანიშვილმა პირიელმა შექმნა ტრასტირული ფრესკები და დუქნების დარაბები (вывески) ორგინალური წარწერებით. მას არაფრითარი შეკოლა

*) დაწერილებით კინტოების წარმოშობის შესახებ შემდეგ წერილში.

არ ჰქონდა გავლილი. მისთვის უცნობი იყო გალღერეები და „ზღაპრების“ ის „უფიცო“ იყო აგრეთვე როგორც ფერთაწერის, ისე ნახაზების ტექნიკის. მის მხატვრულ კულტურას ამსოლიუტური თვით-მყოფობა (САМОБЫТНОСТЬ) ახასიათებს. მისი სტიქია ეს იყო ბოგემა და ამიტომაც თავის სურათებს ის სცვლიდა ღვინოსა და პურში—ღუჭუნებში ხეტიალის დროს. ბავშური გულუბრყვილობით და რაღაც შემოქმედებითი სიყვარულით იმ გენიალურმა „ველურმა“ შეხედვა მსოფლიოს, მისი ტილო თითქოს „გაცხოველდა“, ის არ იყო პრიმიტივისტი, როგორც წარმომადგენელი პრიმიტივისტული მიმართულების. პირიქით, ის სრული განსახიერებაა პრიმიტივიზმის. მისი მხატვრობა არ არის ხელოვნური შედეგი „შემოქმედებითი ტანჯვის“, ფიროსმანიშვილი ჰქმნიდა სურათებს სრულიად ბუნებრივად, თითქოს ასრულებდა რაიმე აუცილებელ ბიოლოგიურ მოთხოვნებს, მის ძლიერ უყვარდა ნატიურ-მორტების (მკვდარი ბუნების) წერა და ტენიკურათ ისინი თითქმის უძლეველია. ფიროსმანიშვილის ნატიურ-მორტები (განსაკუთრებით) და პეიზაჟები ჰქმნის თავისებურ „მანტიესტურ“ შთაბეჭდილებას; აქ განდევნილია მკვდარი ბუნების ილღიუზია, და ხილი, მწვანელოზა (შინაარსი ნატიურ-მორტების) დასახულია, როგორც ორგანიული ელემენტი ბოგემის: ხედავთ მის ნატიურ-მორტებს და გრძნობთ, რომ ისინი უცდიან თავის მომხმარებლებს და ეს მომხმარებლები კი არიან მოქეიფე კინტოები.

ძირითადი მომენტია ნიკოს თემატიკისა იყო კინტო ქეიფობას დროს. მაგრამ პარადელურათ ამასთან ფიროსმანიშვილი თავის კოლექციას, ისტორიული სიუჟეტებითაც ავსებდა („გიორგი სააკაძე ანთავისუფლებს საქართველოს მტრებისაგან“, „შამილი თავისი მკველით“ და სხ. და სხ.). მის „შემოქმედების სტიქიას არ გამოეპარა აგრეთვე ცხოველებიც. მისი „საიდგომო ბატკანი“ იშვიათი ფსიქოლოგიური განცდითაა დაწერილი. საესებით შეუცნობლად, ინსტიქტიურათ ის განაცდიდა აგრეთვე აღმოსავლურ ხელოვნების გავლენას. მაგალითად ფიროსმანიშვილის „შავი ლომი“ მოგვგაგონებს ასირიულ ბარელიეფებს, ხოლო „კინტოს ქეიფი მეარღანე დათიკო ზემელთან“ გაკეთებულია ბიზანტიურ მხატვრობის ბერბებით.

ფიროსმანიშვილის შემოქმედების უმთავრესი ღირსება იმაშია, რომ ის ყოველგვარ ფორმალურ გრეხილების გარეშე ჰქმნის იშვიათ მხატვრულ სიმარტივეს და ავსებს მას შინაგანი სითბოთი და დაჯერებით. ის ინსტიქტიურათ ებრძვის ესთეტიზმს და სამაგიეროთ იძლევა ძლიერ გამოსახვას (ВЫРАЗИТЕЛЬНОСТЬ); ამ მხრივ შედეგათ უნდა ჩაითვალოს მისი „დოორნიკი“, ხედავთ ამ სურათს და გრძნობთ მაილ „სამოქმედო პროგრამას“ პოლიციელის „მოღვეწილობისას“, აქ უარყოფილია ფოტოგრაფიული პორტრეტობა, სამაგიეროთ ფსიქოლოგიურათ გაშიშვლებულია ტიპი და მით მოცემულია მისი შინაგანი ექსპრესია.

მართალია, როგორც აღენიშნეთ, ნიკოს არ გააჩნდა „აკადემიური ცოდნა“ მხატვრობის ტექნიკის, მაგრამ ამისდამიუხედავათ მის შემოქმედებას საესებით დამორჩილებული ჰყავდა როგორც ფერი, ისე ხაზებიც: მან შექმნა საკვირველი მონუმენტალური კომპოზიცია და განავითარა ის სტატიურ ხაზებში. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ პერსპექტივიზმის გადმოცემა ნიკოს უძნელდებო-

და, ასე რომ მისი მონუმენტალური კომპოზიციის სტრუქტურა ორგანულია და ფაქტიურად. სრულიად ელემენტარული და ისიც ძლიერ განსაზღვრული ხერხებით ნიკო ფიროსმანიშვილი აღწევს უძლიერეს ეფექტებს: ამ მხრივ ის შემარცხნენ მხატვარია, მხატვარი ევროპული მასშტაბის. ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრულ პრიმიტივობას წინაშე სახსრებით იზრდილება საფრანგეთის ცნობილი მხატვარი ანრი რუსსო, რომელიც თავის შემოქმედებას, მართალია, პრიმიტივობის ხაზებში ანეითარებდა, მაგრამ რომელსაც ამავე დროს არ შეეძლო არ ესარგებლა იმ დიდი მიღწევებით და კულტურით, რაც საფრანგეთის მხატვრობას გააჩნდა, ვინაიდან ანრი რუსსო სცხოვრობდა მსოფლიო მხატვრობის ცენტრში—პარიზში, ხოლო ნიკო ფიროსმანიშვილი არ გასცილებია თბილისს და უფრო სწორედ კი—თბილისის დუქნებსა და მეარღნებს.

ფიროსმანიშვილი ქართული მოსახლეობის დეკლასიური ნაწილის ტიპური წარმომადგენელია. თავისი წრის ყველა დამახასიათებელი შტრიხები მან იშვიათი გულწრფელობით განიცადა და მხატვრული სისწორით ასახა თავის ტილოზე. ფიროსმანიშვილმა სწორად დაიქირა ფსიქოლოგიური ტონი თავისი წრის და მით შექმნა სტილი თავისი ეპოქისა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ფიროსმანიშვილი თითქოს განიცდიდა „დაღლილობას“ და ბოგემურ ცხოვრების უფარვისობას. ის თითქოს ინსტიქტიურად გრძნობდა და ხედავდა კიდევ, რომ ბოგემა საზოგადოების სოციალურად მოუწყობლობის შედეგია; მაგრამ მან, როგორც წერილმა ბურჟუაზ ვერ შესძლო აეღო აეღო ცხოვრებისათვის, ვერ შესძლო დაენახა ახალი კლასობრივი დიფერენციაციის ტენდენციები, როგორც შედეგი სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებისა. ამ რივად, ერთის მხრივ ბოგემის სოციალური მოუწყობლობა, მისი უარყოფითი როლი საზოგადოებრივ განვითარებაში, აბსოლიუტური შეუძლებლობა არსებულ საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლისა ბოგემის საშუალებებით, და მეორეს მხრივ სუბიექტიური შეუძლებლობა ამ ჩიხიდან თავის დახსნის, პერსპექტივების უქონლობა—აი ძირითადი კვანძი იმ წინააღმდეგობისა, რომლის წინაშე იდგა ნიკო ფიროსმანიშვილი. ასეთმა მდგომარეობამ თავისი გამოხატულება პპოვა მხატვრის შემოქმედებაშია: ფიროსმანიშვილის ბევრ სურათებს მისტიციზმის იერი გადაჰკრავს. ეს მისტიური ათვისება მოვლენების მით არის დამახასიათებელი, რომ იქ არ არის არც ტირილი და არც სიხარული, არის რაღაც გაუგებარი გაკვირვება, რაღაც შიში, რომელსაც მხატვარი იძლევა ტაბების ელდასებური მდგომარეობის გადმოცემით. ამ მხრივ აღსანიშნავია „მალანების ქეიფი“, სადაც ქეიფის „პათოსის“ ნაცვლად მოცემულია მისტიური შიში და გაკვირვება.

როგორც შემოთ აელნიშნეთ, ნიკო ფიროსმანიშვილი ინსტიქტიურად ებრძოდა ყოველგვარ ესთეტიზმს. მისი მთავარი ამოცანა იყო მოეცა მეტი გამოხატვა, მეტი ექსპრესია ტიპის, რომ მით მიეღწია თავისი ობიექტის სრულ დახასიათებას. ამისათვის ის მიმართავდა უმთავრესად მხედველობით ორგანოებს, რომლის ხასიათით ის განსაზღვრავდა ადამიანის მთელ შინაგან, ფსიქოლოგიურ სამყაროს, ამასავე ემსახურებოდა აგრეთვე ფიგურების და კოლორიტის შესაფუ-

რისი ორგანიზაცია, რომლის გზით, როგორც აღვნიშნეთ, მან შემოქმედებული შინაგანი სტატიური მონუმენტალური კომპოზიცია.

შემდგომი, ბუნებრივი განვითარება ამ ხერხებისა თითქოს კარნახობდა გრაფიკულ გამოსახვის საჭიროებასაც, რომ შემოქმედებითი ობიექტის შინაგანი სამყარო გაიშვლდეს არა მარტო ე. წ. „კოლორიტულად“, და „ფაქტურულად“, არამედ კიდევ ხაზობრივადაც. ამას თხოვლობდა ადამიანის ექსპრესიის მოცემის სრული მთლიანობა. მაგრამ ყოველივე ეს უარყოფდა მხატვრობაში ტრადიციით განმტკიცებულ პროპორციას და ჰქმნიდა ტეხილ ხაზების სისტემას. დაისახა წვრილ-ბურჯუაზიულ ბოგემის გრაფიკულ ტრაქტოვკის, გრაფიკულ მოდერნიზაციის შესაძლებლობა. ყოველივე ამან გაუნოყიერა ნიადაგი ახალ ფორმალურ გზებს სახებითი ხელოვნებაში. ნიკო ფიროსმანიშვილის თემათიკის ასეთი ფორმალური მოდერნიზატორი არის მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

ლადო გუდიაშვილი ყველასაგან აღიარებულია, როგორც ერთი უშესანიშნავესი მხატვარი მთელ საბჭოთა კავშირში; ქართველ მხატვართა შორის კი ლადო გუდიაშვილი გამოირჩევა თავისი მეტად ორიგინალური მხატვრული მიგნებით, და „ინტუიციის“—შემოქმედებითი აფეთქებით, მხატვარი აგრძელებს ნიკო ფიროსმანის ტრადიციებს: მოქეიფე—კინტო, დუქნის ნატუ-მორტი, დუქნების ქალაქური ყოფა, მოარზიყე კინტოები და კეკელა ქალიშვილები—ი რა შეადგენს გუდიაშვილის პირველ დაწყებით თემატიკას.

თავის შემოქმედებას გუდიაშვილი ანვითარებს ტეხილი ხაზებით,—ის არღვევს ტრადიციით განმტკიცებულ პროპორციას; მაგრამ მისი ხაზი ფრიალ და მჯერებელი და დინამიურია, მასში არის დიდი ემოციონალური ძლიერება, რის მეოხებითაც შიშვლდება შინაგანი ექსპრესია განსახიერებულ ტიპისა და იქნება შესაფერისი განწყობილება.

თავისებური, მკაფიო ხაზმოსმის მხრივ, გუდიაშვილი შეიძლება ჩაითვალოს იშვიათ ოსტატად, რომელიც ზოგჯერ უდრის თვით ლეონარდო და ვინჩისაც, მაგრამ ლეონარდო და ვინჩის ხაზი მატემატიკურად სწორი კატეგორიაა: ყოველი ტეხილი მისი ხაზებისა, ყოველი გადახრა მისი ხაზობრივი კონსტრუქციისა, ყოველი ცალკეული მომენტები მისი „გრაფიკულ გაფრენის“—ლოგიკურად შეკავშირებულნი არიან ერთმანეთთან და თითქოს ინტელექტუალურად (წინააღმდეგ ირრაციონალურისა) განმტკიცებულნი. ამიტომ ლეონარდო და ვინჩის შემოქმედება თითქოს საესებით განმწმენდილია ემოციონალური მომენტებიდან; იქ მოცემულია ელემენტთა გრაფიკული დამოკიდებულების მხოლოდ ცივი მათემატიკური ანგარიში, რის მეოხებითაც ჩვენ ვლვებულობთ ანატომიურად სწორ სურათს.

გუდიაშვილი სდევნის სურათიდან ინტელექტუალიზმს, გვერდზე ავდებს განსახიერებელის ანატომიურ სისწორეს, ჰქმნის ხაზების საოცარ „კაოსს“, რათა მიიღოს ძლიერი დინამიკა და ელენთავს მას ემოციონალური მომენტებით. გუდიაშვილის ხაზი ექსპრესიულია, ფსიქოლოგიურად მართალი, მაგრამ ალოგიური უფრო ირრაციონალური და ანატომიურად უსწორო.



ლენინარდო დაენინის ხაზი პირველყოელისა არის ინტელექტუალური, კლო-
დიკური და ანატომიურად სწორი.

პირველ შემთხვევაში ხაზობრივი გამოხატულება არის ემოციონალური, მე-
ორეში—ინტელექტუალური, გონიერი.

ხაზობრივი ექსპრესიის ემოციონალური ძლიერებით გუდიაშვილი იძლევა
შხატელობის სრულიად ახალ გაგებას, ჰქმნის რა ამასთანავე ერთად ორიგინალ-
ურ გრაფიკულ სტილს.

გუდიაშვილმა განიცადა დიდი გავლენა ნ. ფიროსმანის; განსაკუთრებით
ძლიერად სჩანს ეს გავლენა დუქნის ნატურ-მორტის გაგებაში. ამ შხრივ აღსა-
ნიშნავია მისი ნამუშევარი „ქეიფი განთიადისას“. აქ ხაზგასმულია არა მარტო
საგნობრიობა ნატურ-მორტის, არამედ ნაჩვენებია აგრეთვე „გამოცოცხლებული“
მოქმედება „მკელარი ბუნებისა“,—ეს სპეციფიურობა ფიროსმანის ნატურ-მორ-
ტისა. ფიროსმანს განსაკუთრებული ხაზები არ შეუქმნია, ღარიბია აგრეთვე მი-
სი ფერების გამა. გუდიაშვილი ასწორებს ფიროსმანს და „პურ-მარილიანი კა-
ცის“ განწყობილებას (შემოქმედებითი კულტი ფიროსმანის) ასახავს არა სწორი
ხაზებით, რომლის დროსაც დაცულია ტრადიციული პროპორცია, არამედ და-
გრძელებული და ტენილი ხაზებით, ამ გზით გუდიაშვილი იმიჯნება როგორც
„პერედვიჟნიკულ“ და კუბისტურ მხატვრობისაგან ისე მოვლენების ფოტოგრა-
ფიული ათვისებისაგანაც.

გუდიაშვილი ინსტიქტიურად აწარმოებს ბრძოლას ფოტოს წინააღმდეგ,
რათა განსაკუთრებული ხერხების იპოვოს მხატვრობის ინდივიდუალური სახე,
მაგრამ ამ ინდივიდუალიზაციისაკენ სწრაფებაში მხატვარი იმყოფება აღმოსავ-
ლურ ხელოვნების ძლიერი გავლენის ქვეშ, კერძოდ, ბიზანტიური მხატვრობიდან
მომდინარე ქართული ფრესკების და სპარსული მინიატიურის.

სურათში „მოქეიფე კინტოები“—მხატვარი ხმარობს ბიზანტიურ ხერხს;
ხატავს რა სახეებს ანფასათ ის ანათებს მათ ყოველი შხრიდან და ცდილობს
გადმოგვეცეს ფიგურის რეალური ხაზები ნათელ-ჩრდილის (СВЕТО-ТЕНЬ) საშუა-
ლებით. მაგრამ ფიგურების ფსიქოლოგიური ტრაქტოგვის დროს, ჩვენ ვხედავთ
აქ ფიროსმანისებურ მისტიციზმის შტრიხებს: ქეიფობს კინტო, მაგრამ არ არის
სიხარული, არ არის ღზინი, აქაც ისე როგორც ფიროსმანის სურათებშიაც, არ არის
შიში. არის მხოლოდ რაღაც გაუგებარა, შეუცნომელი განცვიფრებად, ეს აიხ-
სნება იმ მდგომარეობით, რომ გუდიაშვილი, კიდევ უფრო, ვინემ ფიროსმანი,
გრძნობს ბოგემის სოციალურ ბოროტებას, მაგრამ მისი პერსონაჟები (კინტოები)
ვერ კპოებენ გამოსავალს ამ ბოროტებიდან, არა აქვთ უნარი აითვისონ ეპოქის
იდუური ტენდენციები და არ შესწევთ ძალა დაისაზონ უცეთესი პერსპექტივები,
და გუდიაშვილი გადმოგვეცემს ასეთ განწყობილებას სახის «მისტიური» ტრაქ-
ტოგვიტ, რომელიც შეღავენდება სისიხარულო და ნათელი საწყისების უარყო-
ფაში, და „უეცარი გაკვირვების“ კონცენტრიული მომენტების ხაზგასმაში. ნა-
ხატის მდიდრულ საქარმაგვას და ხაზობრივი კონტურების მრავალსაბიობასთან
ერთად, გუდიაშვილის პალიტრა ღარიბი და მკრთალია. ის უარყოფს მხატვრო-
ბას, რომელიც ემყარება ფერების კონტრასტებზე. ფერების ორგანიზაცია მას

გაქვებულები აქვს ტონალობის პრინციპზე; ის ხაზს უსვამს მხარყოფილ მხარეებში ტონის სინათლის თუ სიმუქის ხარისხს, ნახულობს რა ხანდახან ერთი და იგივე ტონს სხვადასხვა ფერში.

ფერი გუდიაშვილის ხელში ეს მხოლოდ ქრომატიული შეფარდება საგნის; აქედან: გუდიაშვილი არის ტონალური მხატვრობის ოსტატი. ამასთან ერთად, ეს ხშირად იყენებს ნათელ ჩრდილს, ე. ი. გაპყავს განსაზღვრული გრადაცია სინათლესა და ჩრდილს შორის ხაზობრივი კონტურის შიგნით. ნათელ ჩრდილით გუდიაშვილი ჰქმნის მოკლენის სრულ ილიუზიას და აღწევს უფრო ძლიერ ეფექტს, ვინემ სხვა რომელიმე მხატვარი ფერების კომბინაციებით, ამ მხრივ გუდიაშვილი ფრიად ოსტატურად სარგებლობს პოლანდიური სკოლის ტრადიციებით. აქ უნებლიეთ ადარებთ გუდიაშვილის და ლეონარდო დავინჩის ერთი და იმავე სახელწოდების სურათს: („ასული კლდეთა შორის“), გარდა გეომეტრიული პანქუთხედისა ლეონარდო დავინჩის სურათში, რომელშიაც ის აქცევს სურათის მთელ სიუჟეტს, აქ ხაზგასმულია საოცარი შეხამება შავი ფერისა მოკაშვავზე ნათელ ტონთან. ეს შეხამება სპობს ამ ორი ტონის ძლიერ კონტრასტს და მათი გადასვლა ერთი მეორეში უზრუნველყოფილია თანდათანო ნიჟანებით.

გუდიაშვილის ნახატში უარყოფილია სამკუთხედის გეომეტრიული სქემა, მაგრამ სამაგიეროთ ნათელი ჩრდილი გამოყენებულია მაქსიმუმამდე: ნათელ ჩრდილით ის იძლევა სრულ ილიუზიას მოცულობისა და სიშორის: ქალის პორტრეტი და მთელი ფონი გარემოცულია ჰაეროვანი პერსპექტივით. აქ ასულიც და აღდევც ჩამოსხმულია როდენისებური პლასტიურობით—ქმნის რა ამასთან ერთად კომპოზიციის სფერულობას, რომელიც ნათელ ჩრდილის მოხერხებული თამაშით სტოვებს „მათემატიკურად“ სწორ და მხატვრულად მართალ კომპოციის შთაბეჭდილებას.

ყოველი ხაზი, ყოველი ნიჟანის პორტრეტისა და სურათისა უნდა ხელს უწყობდეს განსახიერებულის შინაგანი სამყაროს ფსიქოლოგიურ გამოაშკარავებას, მისი ექსპრესიის გამოვლენებას, მისი სულის გაშიშვლებას. ამ თვალსაზრისით გუდიაშვილის ნამუშევრებში ყველა მომენტები ხაზობრივი და ფერადობრივი კონტურებისა, ფუნქციონალურად გამართლებულია: ყველა ისინი ამვლენებენ ან კინტოს „სანტიმენტალურ“ სიამაყეს, როცა ის ქალს „ეაოვიყება“ ან პროფესიონალი ლოთის დეგენერატიულ სახეს, ან „გმირულ“ განწყობილებას მოქიფე დეკლასიურ „მოქალაქეთა“, ან მეშხანურ სიხარულს შარნანკით რომ დადიან და სხვ... და სხ....

გამოდის რა აქედან გუდიაშვილის შემოქმედებით სტიქია უარყოფს ყველაფერს, რაც არ ასრულებს ამ ფუნქციონალურ ამოცანას: რაც არ ემსახურება ტიპის ინდივიდუალური განკერძოებულობის გამოვლენებას.

ამიტომ არის რომ გუდიაშვილი უარყოფს კაცის ყურების დახატვას, ვინაიდან მისი მხატვრული ინტუიცია ვერ ნახულობს ადამიანის ყურებში უნარს რომ გამოამჟღავნოს ის სპეციალური, ის განსაკუთრებული, რითაც ხასიათდება მხატვრის შემოქმედებითი ობიექტი.

ყურს არ შეუძლია მოგვეცეს ფიქიკის გამომკლავება და მისი ნაშთი რო ხელოვნებისათვის ის სრულებით არაა საჭირო, და გულისხმობს იმისათვის ოსტატობით, სინახაობითი ილიუზიის დაურღვევლად, სახეებს ხატავს უყუროთ.

გუდიაშვილის თემატიკაში მხახველის ყურადღებას იპყრობს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზომაზე მეტი დაგრძელება ფიგურების და ხანდახან ბუტაფორიული დაწვრილება, ფეხის, აგრედვე არა რეალური ტრაქტოვკა ცხოველების, ეს ხერხი ცნობილია სპარსელ მინიატურისტების შემოქმედებაში.

არღვევს რა ხაზის ლოგიურ პროპორციას, სტებს მის „წონასწორობას“, სპობს ხაზობრივი კონტურის მათემატიკურ სიზუსტეს და საერთოდ ახდენს რა განსახიერებულის დეფორმაციას, გუდიაშვილი თავის დაუცხრომელ შემოქმედებითი ფუნქციის ანაორციელებს (ხიზოიყაერ) ხან საშინელ, ხან კი მისტიურ სახეებში, ამავე დროს ეს აღწევს დამაჯერებელ რიტმიულობას, მაგრამ რიტმიულობას უფრო „სპირალურს“, ვინემ სწორხაზობრივს.

აქ გუდიაშვილი ეგოცენტრიულია, მაგრამ მისი ეგოცენტრიულობა გადადის ექსპრესიონიზმში, თუ ექსპრესიონისტულ მსოფლ-შეგრძნობის სპეციფიკად ჩავთვლით განსახიერებელის დეფორმაციის მეთოდს.

ხანდახან გუდიაშვილი იძლევა სპარსული და ბიზანტიური ხერხების სინთეზს, ინარჩუნებს რა ამავე დროს სურათის ორიგინალურ მთლიანობას, რომელიც (ხერხების გამოყენება) პრინციპიალურად არ არის არც ალოკიური და არც ეკლექტიური („განსიერება ცხენებით“ და „ტაძრის დღეობა“); მაგრამ სურათში „ტბასთან“ მოცემულია ნახაზობა ქალის ფიგურისა და ირმის, სპარსული მანერით და სიუჟეტის მთელ სხემას იძლევა უცხოელ კოლორიტზე, რომელიც არის სპეციფიური ნიშანი სპარსული ხელოვნების.

გუდიაშვილი მოდერნიზაციას უშვრება ნიკო ფიროსმანის თემატიურ პრინციპს: მოდერნიზაცია ხდება სპარსული ხაზების და ბიზანტიური ფორმალულობის მეთოდის გამოყენებით: მაგრამ ეს გამოყენება არ არის მექანიკური სარგებლობა აღმოსავლურ ხელოვნების ხერხებით: ამ ხერხებში გუდიაშვილს შეაქვს თავისი, სპეციფიური, რაც გამოიხატა ამ ხერხების ახალ (აღმოსავლურ მხატვრობისათვის) თემატიურ მასალაზე გამოყენების ტრაქტოვკაში.

აღმოსავლურ მხატვრობის ხერხები ისეთ ბრწყინვალე გამართლებას ვერსად ვერ პოულობენ როგორც გუდიაშვილის ყალამში, როცა ის ამ ხერხს იყენებს წერილ-ბურეუაზიულ ბოგენის თემატიკის დასამუშავებლად: სპარსულ მინიატურას ის იყენებს როგორც ფიზიკური დეფორმაციის გზას, როგორც საშუალებას გადმოგვეცეს „განწყობილებანი“, ბიზანტიური ფრესკები კი ემბარება გუდიაშვილს თავისი შემოქმედებითი პერსონაჟების მისტიური სახის ვაფორმების საქმეში. და მხატვრის გამარჯვება იმაშია, რომ ის ამ გზით მართლად გადმოგვეცეს განსახიერებელ ტიპების სულის დინამიკას, და ქმნის შემოქმედებას, რომელსაც შეიძლება დაერქვას: „მოდერნიზაცია ქმნილი ექსპრესიონიზმი ქალაქის პრინციპის ხაზებში“. საერთოდ მთელი შემოქმედება გუდიაშვილისა ემორჩილება მის მგრძობილობას: ხდება მხატვრის გარდაქცევა თავის სახეებში და სულიერ სიმახინჯეს ქალაქის წერილ-ბურეუაზიული დეკლასიური ფე-

ნებისა (კინტო) ააშკარავენს თავის სახეების ფიზიკურ კომპლექსურებას. ზღვება თავისებური მატერიალიზაცია განსასახიერებელი ტიპების ფსიქიკისა, რის შედეგებითაც კინტოს სულიერი არარაობა წარმოდგენილია ესთეტიური ფენომენის ასპექტში.

გუდიაშვილმა, ქართულ მხატვრობაში, პირველმა შექმნა სიმბაზინჯის ესთეტიკა. ერთად ერთი და სწორი გზა რომელიც გუდიაშვილმა აირჩია ამისათვის არის შემოქმედებითი დეფორმაციის გზა, მაგრამ კინტოს თემატიკის და სიმბაზინჯის ესთეტიკით გუდიაშვილი ახდენს დემონსტრაციას თავისი რეტროსპექტიული „სიყვარულის“ წარსული საქართველოს მიმართ, რომელსაც ის რომანტიულად გრანობს და მისი შესაფერი ასახვისათვის იჩენს იშვიათ მხატვრულ გემოვნებას.

ამ იშვიათ ოსტატობაში ცხადდება ნამდვილი აღმოსავლეთი და უმთავრესად სპარსეთი, ასე რომ შეგძარია აზრი, თითქოს გუდიაშვილი იყოს დასავლეთის ორიენტაციის მხატვარი.

პარიზში ყოფნის დროს გუდიაშვილი არ მოჰყვა პარიზის ხელოვნების გაველენის ქვეშ და მან შესძლო შეენარჩუნებია თავისი ინდივიდუალური მხატვრული სახე.

გუდიაშვილის შემოქმედების რეტროსპექტიულობას წვრილ-ბურჟუაზიული ბოგემის მიმართ და მის მხატვრულ განსახიერებას სიმბაზინჯის ესთეტიკის ხაზებში, სპარსული და ბიზანტიური ხერხებით, შეეძლო გადაექცია მხატვარი ნამდვილი დეკადანსის წარმომადგენლად, რომ მისი შემოქმედება შეჩერებულიყო და განსაზღვრულიყო წვრილ-ბურჟუაზიულ ბოგემის სფეროთი. მაგრამ ამის შესახებ ქვევით.

ნიკო ფიროსმანის თემატიური და ფორმალური პრიმიტივობა ლადო გუდიაშვილმა გარდაქმნა ნამდვილ პრიმიტივიზმად: ფიროსმანის პრიმიტივობამ მასკა სასიცოცხლო ნაკადი გუდიაშვილის პირველდაწყებით შემოქმედებას: პრიმიტივობის მასალა დამუშავებული არა პრიმიტიულათ—ამ გუდიაშვილის პრიმიტივიზმი და მისი განსხვავება ფიროსმანისაგან. და ასეთი ორიენტაცია პრიმიტივზე აახლოვებს მას დასავლეთ-ევროპის დეკადენტზმთან, რომელიც ხასიათდება თავის შემოქმედებითი შესაძლებლობათა ამოწურვით და პირველყოფილობისაკენ საერთოდ და კერძოდ განგების კულტურისაკენ ტენდენციით.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ბიზანტიურ-სპარსული ხელოვნების მეთოდები იყო ნაკარნახევი იმ მოსაზრებით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დეკლასიური კინტოს ეკსპრესიის ყოველმხრივი გამოჩინება. ამ ექსპრესიის «სტრუქტურა», როგორც შეგავსება ფსიქოლოგიურ მოვლენათა:—ნებისყოფა, ხასიათი, განწყობილება,—იყო არსებითად «ალოგიური» და ამიტომ თავისი „ფიზიკური“ გაცხადებისათვის თითქოს მოითხოვდა ფიზიკურ ორგანიზმის პროპორციის დარღვევას.

კინტოს ექსპრესიის ასეთ ხასიათს საეცებით შეეფერებოდა ბიზანტიური ფრესკა და „გრაფიკული“ ტეხილები

სპარსული მინიატურისა. და გუდიაშვილი დიდის ხელისუფლების სპარსულ-ლობს ამ ხერხებით, ფიზიკური დეფორმაციის ხაზებში თავისი შემოქმედების სახის ფსიქოლოგიური გაცხადებისათვის.

ამ რიგით თემატიკის ხასიათში განსაზღვრა ფორმალური ხერხების ხასიათიც; კინტოს თემატიკა გამოწვეული იყო საქართველოში საეკლესიო კაპიტალის შემოქრით. ანალოგიური მდგომარეობაა გუდიაშვილის პალიტრის მიმართაც.

ლადო გუდიაშვილი მხატვარია ზღვის პაეიანი მხარის, რომელიც მდიდარია უხვი მზის ელვარე სხივებით, თვალწარბეცავი მცენარეებით შემკული მიდამოებით და საერთოდ განსაკვიფრებელი კოლორიტით.

თითქოს მხატვარს უნდა ჰქონდეს მდიდარი, ნათელი, ფერადოვანი პალიტრა.

მაგრამ მიუხედავად გეოგრაფიული და კლიმატიური გარემოს ფერადებით სიუხვისა, მიუხედავად საქართველოს ბუნებრივი პეიზაჟების სიმდიდრისა და ნათელი ატმოსფეროსა—გუდიაშვილი ძუნწია ფერადებში და მისი პალიტრა მუქია და ხანდახან ერთფეროვანიც.

ეს თვალსაჩინო ფაქტი ერთხელ კიდევ მკერმეტყველურად ამტკიცებს ტენის თეზისის პრინციპიალურ უილაჯობას, რომლის მიხედვით ხაზობრივი და ფერადობრივი მხატვრობის კანონზომიერება უნდა ეფიოთ მხარის „გეოგრაფიასა“ და „პაეაშია“. მაშ, რით უნდა აეხსნათ სიღარიბე, უფრო სწორად რომ ესტემათ მუქი ფერადები გუდიაშვილის პალიტრისა?

უმთავრესი მიზეზი ამის უნდა ეფიოთ იმ საზოგადოებრივ თემატიკაში, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივ ურთიერთობის განსაზღვრულ გამოხატულებას, და რომლის კონკრეტულ საბეებში, ხდებოდა შემოქმედებითი გადასვლა მხატვარი გუდიაშვილისა.

ცენტრალური მომენტი ამ თემატიკის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო დეკლასიური კინტოს ტიპი, მისი განწყობილებანი, მისი განცდა და მისი „სოფლმეგრძენბა“.

იყო რა მოქცეული განვითარების გზაზე დამდგარი საეკლესიო კაპიტალის მუხრუშში, კინტო—ეს „ტელიოსის მოქალაქე“ ჰკარგავდა თავის ცხოვრების ეკონომიურ ბაზას და მასთან ერთად ყოველივე პერსპექტივას.

ერთად ერთი გზა მისთვის იყო გზა ქალაქურ ბოგემისა, ერთად ერთი ვასართობი—შარმანკა და ზურნა, ერთადერთი „წმინდათა წმინდა“ და ერთად ერთი სიმდიდრე—მძიმე, ნოვერცხლილი რკინის ქაშარი, ერთად ერთი იდეალი—„თეთრი დუქანი“ და მეარლნე დათაყო ზემელი.

და მხატვარ გუდიაშვილსაც იტაცებს «ტეხილებიანი» დინამიკა კინტოს სულისა, რომელსაც ის ამკლავებდა გიჟური ქეიფის დროს, «რაინდული» კრივის დროს, ან და ქალთან «დარდინმანდული» არშიყობის დროს.

მაგრამ ცხოვრების განვითარების ლოდიკა შორს რიყავს კინტოებს.—რომლებიც წარმოადგენენ, გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალების მსახურთა ნაშეიერებს, ისერის მით ისტორიულ წარსულისაკენ და დღევანდლობის თვალსაზრისით ისინი ხდებიან საესებით ზედმეტნი.

კინტოს სულიერი სიმახინჯე ყოველ ნაბიჯში მელანდრეზმად და მსგავს მისი ძირითადი ტენდენცია იყო ფსიქიური ბრძოლა ყოველგვარი კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ.

ამ მხრივ კინტო ობიექტიურად შეიძლება ჩაითვალოს პრიმიტივის წარმომადგენელად, მაგრამ პრიმიტივის არა რუსოს გავებით, არამედ ქალაქის სპეციფიურ ბოგემის შინაარსით.

კინტო არ ჰქვნივს ისტორიას, ის მხოლოდ ისტორიული «დოკუმენტია» ბოგემური ძველი ტფილისისა.

და მხატვარი გუდიაშვილი მშვენივრად გრძნობს ყველაფერ ამას: ის სცბოვრობს ერთდამთავრად დროს ორ განხორციელებაში: როგორც მოქალ. ლ. გუდიაშვილი თმცა ითვისებს წვრილ-ბურჟუაზიულ ბოგემის და ღვრიდალურ «რაინდების» წრეს, რომანტიკულ რეტროსპექტიულ «შეყვარებულობის» პრიზმით, მაგრამ მიუხედავით ამისა მას არ შეუძლია არ დაინახოს კინტოში ისტორიის და პროგრესის შავი ლაქა ვინაიდან მისი რომანტიკული გადასვლა წარსულში იახსნება მხოლოდ იმით, რომ მხატვარს უნდა ნახოს შესაფერო თემატიკა, რომელსაც მოუდგებოდა მეთოდი ქართული ფრესკებისა და მინიატურების, რომელთა ატმოსფეროში მხატვარი გუდიაშვილი იზრდებოდა და ამიტომ ის, როგორც მხატვარი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ «ცოცხალი ლაქის» ფსიქიკას, სცდილობს დაიჭიროს ის და შექმნას შემოქმედებითი სახე მოდერნიზაციაქმნილ აღმოსავლურ მხატვრობის ხერხებით.

პირველდაწყებითი თემა გუდიაშვილისა იყო «ავადმყოფურია» არაჯანსაღი და ამით უნდა ავსნათ სიმახინჯის სიმფოლიკა, რომელსაც გვაწოდის ის მუქ ფერებში.

მისი მუქი პალიტრა, ამ რიგით ნაკარნახევი იყო დეკლასიური ბოგემის იდეური სიბნელით.

ამ დებულებას ამტკიცებს კიდევ მისი მეორე, მონუმენტალური ტილო: «პარიზის კომუნარების დახვრეტა» (ეპიზოდი როცა ბავშვს მიაქვს ყალიონი თავის მამისათვის და ბრუნდება უკან დასახვრეტად).

გამბეცებული შავნელი რეაქცია ხვრეტს პარიზის კომუნარებს, რომელთა შორის (წინა პლანზე) იმყოფება პატარა ბიჭი, შვილი ძველი კომუნარის. კონტრ-რევოლუციონერი ოფიცერის დამცინავ კითხვაზე: «შენ გეშინია დახვრეტისა?» ყმაწვილს მიუგებს: «არა, არ გეშინია, მე მხოლოდ მიუტან მამას (უკანა პლანზე) ყალიონს და დაგბრუნდება».

გუდიაშვილი ხატავს ამ გაცოფებულ რეაქციას მუქი ჩაბნელებული ფერებით, რომლითაც ხაზს უსვამს ევრსალის შავნელი რეაქციის სისაძაღლეს, მხატვრული სამართლით ასახავს ბავშვის ექსპრესიის და ბავშურ გულუბრყვილობას და გვაჩვენებს დასახვრეტად გამზადებულ კომუნარების რევოლუციონურ გულგრილობას.

მდიდარი, ფერადოვანი პალიტრა, რომელიც გადმოგვცემს სიხარულს და ისტორიულ ოპტიმიზმს ამომავალი კლასისა, ვერ შესაძლებდა ევრსალის სიხეციის გადმოცემას. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, კულტურულ-ისტორიული წარ-

სული საქართველოსი წარმოადგენს სხვადასხვა კულტურათა გადარჩენას — ბიზანტიის, სპარსეთის, არაბეთის, ასურეთ-ბაბილონის.

ლადო გუდიაშვილის — ამ უთუოდ დიდათ კულტურულ და იშვიათ ოსტიტის — შემოქმედება ემორჩილება ამ გავლენებს; და ამიტომ არაა საკვირველი, რომ მის ნამუშევრებში ჩვენ ვგრძნობთ მოდერნიზაციამწილ ბიზანტიურ ფრესკასაც და სპარსული მინიატურის მოზაიკურ სიჭრელესაც.

მაგრამ რაც გინდა მოდერნიზაცია უყოთ ფორმალურად — აღმოსავლურ ხელოვნების თემატიკურ ხერხებს — თანამედროვე მხატვრობას არ შეუძლია იაროს ამ გზით, ვინაიდან ეს ხერხები გამართლებულია წვრილ-ბურჟუაზიულ ბოგემის თემატიკის მიმართ, რომელიც თხოულობდა თავის შესაფერ პალიტრას.

ბოგემაში არ შეიძლება ვეჭოთ ქართული სტილის სპეციფიკა, ვინაიდან ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ უკუაგდო ეს ბოგემა და გადაისროლა ისტორიულ დაეიწყებაში. საზოგადოებრივ ცხოვრების სარბიელზე გამოდის მუშათა კლასი, ახალი მსოფლშეგრძნებით და ბრძოლის ახალი მეთოდებით, ყოველივე ეს თხოულობს განსახიერების ახალ ხერხს, რომელიც უნდა იქნეს ეპოქის იდეური ტენდენციების მტკიცე გამტარებელი.

ამ მდგომარეობით ნაკარნახევა თემატიკური განახლების აუცილებლობა, რომ ვეჭოთ, ნაციონალური კოლორიტი არა მცხოვრებთა დეკლასიურ წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებში, არამედ ახალ ადამიანებში, პროლეტარებში, წითელარმიელებში, მუშთაკლებში, კომკავშირელებში, პიონერებში — რომელნიც ჰქმნიან ახალი, სოციალისტური ცხოვრების პათოსს, ჰქმნიან ეპოქის ახალ სტილს და ანხორციელებენ მოწინავე კაცობრიობის იდეალს.

ახალი თემატიკა გამოიწვევს ახალ შემოქმედებითი ხერხებს, და მაშინ გაიხსნება ის გორვალი აღმოსავლურ ხეივლთა, რომლის ხაზებშიაც ხდებოდა გუდიაშვილის შემოქმედებითი ზრდა.

გუდიაშვილი ამ ემად იმყოფება ძიების პროცესში, ის მწვავედ განიცდის თემატიკურ განახლების აუცილებლობას.

უკანასკნელ ხანებში ის ჰქმნის ტილოებს, რომელნიც ახლო სდგანან თანამედროვეობასთან; მათ შორის აღსანიშნავია: „ქვის მთლენი“, „დაჭრილი მუშის გადაყვანა“, „მთესველი“ და სხ..

მაგრამ თემატიკასთან ერთად მხატვარი ეძებს ახალ პალიტრას; ამ მხრივ აღსანიშნავია მისი სურათი: „მერძევე ქალები“.

პალიტრის ძიება სწარმოებს ტონების სინათლის ხარისხობრივი ამალღებისა და გამდიდრების ხაზით.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ფერადოვანი ზედაპირის დამუშავების ახალი მანერა, რომლითაც მხატვრობაში უნდა შევიდეს ფაქტურული შინაარსი.

მხატვრის წინ დიდი ამოცანაა: თემატიკურად ასახოს სოციალისტური აღმშენებლობის ძირითადი მომენტები და ეძიოს მისი შესაფერისი გაფორმების ხერხები.

ახალი თემატიკა საჭიროებს ახალ ფორმას, ახალ გავებას, რათა (ის იყოს დამაჯერებელი, ექსპრესიული და ფსიქოლოგიურად მართალი.

გუდიაშვილის ძლიერი მხატვრული ინტუიცია და მისი წარუქცობადი სულიერი გათვალისწინებით თანამედროვეობა, სრული გარანტირება იმისა, რომ ეს ამოცანა მხატვრის მიერ დაძლეული იქნება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს აქვე ის გარემოება, რომ თავისი პირვანდელი თემატიკით და სპარსულ-ბიზანტიურ ხელოვნების იდეალიზაციით, ლადო გუდიაშვილმა შექმნა თავისებური „ჩიხი“ ქართულ მხატვრობაში. წამოიჭრა დილემა: ან სენტიმენტალური წასვლა წარსულში, როგორც ეს ახასიათებდა მხატვრებს „Мир Искусства“-დან, ან და კავშირის გაწყვეტა აღმოსავლურ ტრადიციებთან და მით სრული განახლების (როგორც თემატიკური, ისე ფორმალური) აუცილებლობა. ამ დილემის გადაჭრას, განახლების მიმართულებით, ემსახურება თვით ლადო გუდიაშვილი თავის უკანასკნელი ნამუშევრებით, რომლებიც როგორც აღინიშნეთ თანამედროვეობას უახლოვდებიან. მაგრამ სრულიად ორგინალურათ მიუხედავად ამ დილემას მეორე დიდი მხატვარი დავით კაკაბაძე, რომელიც თავის შემოქმედებას უმთავრესად ფრანგული კუბიზმის გზით ანეითარებს. დავით კაკაბაძის შემოქმედება ორ უმთავრეს პერიოდით იყოფა: პირველ პერიოდში მხატვარი თავის შემოქმედების ობიექტად ხდის იმერეთის „მცენარეულ გამშას“, რომელიც თავის გამოხატულებას კპოულობს შესაფერისს პეიზაჟებში, ნატიურ-მორტებსა და პორტრეტებში. მეორე პერიოდს ახასიათებს უსაგნო მხატვრობა, სივრცის ახალი კონცეპტია და კუბისტურ მსოფლ-მხედველობის გამოყენება მხატვრულ პრაქტიკაში.

პეიზაჟის პრობლემას მხატვარი მიუდგა სრულიად ორგინალურათ და თავისებურათ. მან შექმნა საკუთარი „პეიზაჟური“ სტილი და ამ მხრივ დ. კაკაბაძე განირჩევა ყველა თანამედროვე ხელოვანისაგან როგორც ჩვენში—საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაშიაც. მან უარპყო მთელი ტრადიცია ძველი მხატვრების და დასაბა სრულიად ახალი გზები პეიზაჟურ ხელოვნებაში. დ. კაკაბაძის შემოქმედებაში პეიზაჟი მოკრძეულია, როგორც ერთტონური (однотонный) გავლენა. აქ მან უკუაგდო ცის გამოსახვა, რომელსაც იძლეოდნენ შესაფერისს (ცისფერი) ფერებში და რომელსაც ერთ ფუნქციონალურ ამოცანას აკისრებდნენ: მოეცა სრული ილიუზია სივრცის და საერთოდ პერსპექტიული დაცილება საგნების. ტრადიციის მიხედვით პერსპექტივის გამოსახვათა მხატვრება მიმართავენ შემდეგ ხერხს: პარალელურ ხაზებს თანდათანობით აახლოვებენ, ღია ფერადობა (яркая красочность) თანდათანობით ცისფერ ტონებში გადადის და საგნების სიდიდეს ასეთივე გზით ამცირებენ. ყოველივე ეს ჰქმნიდა საგნების სივრცულ დაშორების ილიუზიას და მით, მაშასადამე, შესაძლებელი ხდებოდა პერსპექტივის პრობლემის გადაჭრა. ყველა ამის დავით კაკაბაძე აღწევს სულ სხვა გზით: ის კი არ ასახავს პეიზაჟს, არამედ აშენებს მას; ეს კონსტრუქტიული ხასიათი პეიზაჟების წარმოადგენს თავისებურ რეაქციას მხატვრობის ეტიოლოგიურ განხრების წინააღმდეგ, რომელიც (ეტიოლოგიური განხრა) თითქმის დამკვიდრებულია თანამედროვე ხელოვნებაში, ეს კონსტრუქტია ჰქმნის სრულ ილიუზიას სივრცისა და სიღრმის, რაიც ავიწყებს მაყურებელს ორგანოზომიდან სიბრტყეს, როგორც ფაქტობრივ მატარებელს ასახულისას; იქმნება თავისებური „ოპტიკური სივრცე“.

რომელიც ოდნავათაც არ ვნებს ესთეტიურ ათვისებას, ვინაიდან „სეზანიზმი“ ნამდვილი მხატვრული სიმართლეა. დ. კაკაბაძე ებრძვის ფორტოგრაფიულ სიმართლეს პეიზაჟებში, ის ებრძვის აგრეთვე „პეიზაჟურ ესთეტიზმსაც“, ძლიერი გამოსახვა, ძლიერი ექსპრესია ბუნების—აი რა იპყრობს მაყურებელს კაკაბაძის პეიზაჟებში.

ყველა მხატვრები სეზანამდე პეიზაჟურ ხელოვნებას ნათელ-ჩრდილის ბაზებში ანვითარებდნენ. სეზანი კი უმთავრეს უზრადლებას აცქეცეს საგნების მოცულობას და მათ დაშორებას სივრცეში. სეზანი უარყოფს ნათელ-ჩრდილს, სამაგიეროთ ის იშვიათის ოსტატობით იყენებს ფერთა კონტრასტებს. დ. კაკაბაძე წინ უსწრებს სეზანს: მან უკუაგდო როგორც კონტრასტული ფერები, ისე ნათელ-ჩრდილიც. მის პეიზაჟებში ერთი პლანი არ არის დაცვილებული მეორესაგან, როგორც ეს არის სეზანის მხატვრობაში. ფაქტურაც არ თამაშობს რაიმე როლს; აქ ის საგნებით იმიჯნება აგრეთვე პიკასოსაგან, რომელმაც ზედაპირის ორგინალური დამუშავებით შეიტანა პეიზაჟურ მხატვრობაში ფაქტურული შინაარსი. დავით კაკაბაძის პეიზაჟი მთლიანი კონსტრუქციაა. საფუძვლათ ამ კონსტრუქციას უდევს ერთტონური ფონი, ეს ფონი დაყოფილია ძლიერი ექსპრესიული შტრიხებით, ამასთან ერთათ უარყოფილია ხაზგასმული კონტურები, ამ გზით მიღწეულია სრული ილიუზია და სივრცეული პრობლემის გადაჭრაც, —სრულიად ახალი სიტყვა პეიზაჟურ მხატვრობაში!

ნატურ-მარტების ტრაქტოვკაში დ. კაკაბაძე უფრო რეალისტია. მისი ნატურ-მარტი განთავისუფლებულია ყოველგვარ სტილიზაციისა და პირობითობისაგან. ნატურ-მარტის საგნები გარკვეული და პლასტიურია. დ. კაკაბაძის ნატურ-მარტი გამოდის ნივთობრიობისაგან (вещность), როდესაც მის პეიზაჟებში ნივთობრიობა უკუგდებულა.

ასეთია სქემატიურათ დ. კაკაბაძე თავის შემოქმედების პირველ პერიოდში. მეორე პერიოდს, როგორც აღვნიშნეთ, ახასიათებს კუბისტური მსოფლ-შეგრძნება. კუბისტებისათვის მსოფლიო ჭაოსს წარმოადგენს. შემთხვევითობა გარემოსი (სინათლის მხრივ, სივრცის მხრივ და სხ.) შეუძლებელს ხდის გარკვეული ფორმების დაქერას. გამოსავალ გზას ან დ რ ე ს ა ლ მ ო ნ ი ნახულობს შემდეგ ფორმულაში: „უნდა მოისპოს ნივთები, როგორც ოპტიურ ნატურალური შთაბეჭდილებანი, როგორც ერთიანი მხედველობითი სისტემა“. კუბისტები მიმართვენ ანალიტიურ გზას, რომ იპოვონ ობიექტური ქვეყნის გარკვეული ძირითადი ფორმები, განთავისუფლებული ყოველგვარ ყალბ ილიუზიისა და გრძნობად მომენტებისაგან. ამ ძირითადმა ფორმებმა უნდა გამოამლანონ აგრეთვე მოვლენათა „პლასტიკა“. კუბისტების აზრით ბუნების მოვლენათა „შემთხვევით“ ინდივიდუალურ ფორმებს საფუძვლათ უდევს სრულიად განსაზღვრული რაოდენობა უბრალო სქემების, რომლებიც გეომეტრიულ ფორმების ხასიათს ატარებენ. ეს გეომეტრიული ფორმები არსებობენ მეტანიურ კულტურის ელემენტებში და წარმოადგენენ კუბს, ცილინდრს, კონუსს და შარს.

აი სწორეთ ამ გეომეტრიულ ფორმებთან უნდა დაყვანილ იქნეს ყოველგვარი მოვლენა ბუნების. ამ რიგად მსოფლიო განთავისუფლებული იმპრესიონის-

ტების შთაბეჭდილებებიდან, განთავისუფლებული ყოველგვარი შეზღუდულობისა და მხედველობითი სიყალბისგან—წარმოადგენს გეომეტრიულ სტრუქტურის კრებულბას, რომლის გამოვლინება მთავარი ამოცანაა ხელოვნების.

დ. კაკაბაძე ძირითად მომენტებში სცნობს კუბისტების ამ დებულებას. კაკაბაძის აზრით „ყოველი ეპოქის ხელოვნება ხასიათდება იმით, თუ როგორია სივრცის განცდა და როგორია მატერიალური საშუალებები მისი გადმოცემის“. „მაშინაში ძირითადი ნერვია თანამედროვე ეპოქის. მაშინა განსახლებრავს ჩვენს სივრცხლეს. ამიტომაც თანადროულბასახასიათებს დინამიური სივრცე“ (დ. კაკაბაძე). ამ დინამიური სივრცის ექსპრესიის გადმოსაცემათ საჭიროა, კაკაბაძის აზრით, გაბრწყინვალებული ზედაპირი და ფერადობა. კაკაბაძე ამუშავებს ზედაპირს შუშის ნაჭრებით და სხვადასხვა „ბრწყინვალე“ ნივთებით, სივრცე მთავარი ობიექტია კაკაბაძის შემოქმედებაში. მაგრამ ეს სივრცე—იყვეს ის დინამიური თუ სტატიური—წარმოადგენს გეომეტრიულ ცნებას და ამ მხრეე ჩვენი მხატვარი აწარმოებს ისეთივე გეომეტრიულ ოპერაციის მსოფლიოზე, როგორც ვველა კუბისტები. კაკაბაძის „განსხვავება“ კუბისტებისგან შეიძლება ვეძიოთ მხოლოდ „ფაქტურის“ დაამუშავების პრობლემაში, ამ გეომეტრიზაციით დ. კაკაბაძე აბდენს ნატურის დეფორმაციას და ამყარებს „ქიოტიურ მსოფლიოში“ კანონზომიერებას.

დ. კაკაბაძემ ფორმალურ ტექნიკური ხერხები აბსოლუტურ პრინციპათ გადააქცია და მასთან ერთათ სრული იგნორაცია უყო იდეურ-სიუჟეტურ მომენტებს ხელოვნების ნაწარმოებში. ხელოვნურმა დაპირისპირებამ იდეისა და სიუჟეტის შექმნა თავისებური „ზაუმნიერო“ მხატვრობა, რომელიც გაუგებარი ხდება თვით უმაღლეს სპეციალისტებისათვისაც. ამით აიბნენბა, რომ დ. კაკაბაძის მხატვრობა მიულწეველია „საშეილო“ მკურნებლისათვისაც კი.

დ. კაკაბაძე ჰფიქრობს, რომ „დინამიურ სივრცის“ გადმოცემით ის პლასტიურათ განიცდის ნაშინიზმის ეპოქას. სივრცის კულტი მხატვრობაში სოციოლოგიურათ სავსებით გამოხატავს ნივთობრივ ფეტიშიზმს. თუ ნივთი თავისი „მისტიური თვისებებით“ აბსოლუტურათ გამოხატავს ადამიანთა ურთიერთობას და ამიტომაც „ნივთი“ (ე. ი. თანამედროვე მაშინა, როგორც კერძო საკუთრება კაპიტალისტის) მუდმივი კატეგორიაა. ასე ჰფიქრობს ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა. დ. კაკაბაძის შემოქმედებაში სავსებით დავიწყებულია ის გარემოება, რომ თანამედროვე ეპოქას ახასიათებს არა თვითმუობადი ძლიერება ნივთის, არამედ მუშათა კლასის ბრძოლა კერძო საკუთრების წინააღმდეგ მხარეზე „ნივთობრივ ფეტიშიზმს“ ჰქმნის თვით ფაქტი კერძო საკუთრებისა, ხოლო ბრძოლა მის წინააღმდეგ არის ბრძოლა მთელი კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგ.

არა ნივთის სიძლიერე, არამედ მუშათა კლასისა— აი რა ახასიათებს თანადროულბას. სრულიად შეუგნებლათ კაკაბაძე იმყოფება ნივთობრივ ფეტიშიზმის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

კუბიზში მსხვილი კაპიტალისტური კულტურის შედეგია. საქართველოს სინამდვილეში კუბიზში ყოველგვარი ნიადაგს მოკლებულია.

საქართველო

დ. კაკაბაძის შემოქმედება მხოლოდ ექსპერიმენტის თვალსაზრისით ვერა-მართლებელი. ერთათ ერთი სფერო, სადაც კაკაბაძემ გამოიყენა თავისი მხატვრობის პრინციპები—ეს არის თეატრალურ-დრეკორატიული მხატვრობა. მაგრამ აქაც ზოგ მომენტებში ეს პრინციპები ესთეტიკაში ვარდება, მაგრამ დაწვრილებით ამის შესახებ სხვა დროს.

კუბიზში ხელოვნურია საბჭოთა სინამდვილეში. ის მოკლებულია ემოციონალურ გავლენის შესაძლებლობას. კუბიზმის გზით აბზოლიუტურათ შექმნილი ხდება მხატვრული პროპაგანდა იმ იდეების, რომლითაც სკოცხლობს და მოღვაწეობს მუშათა კლასი.

თუ ლადო ვუღიაშვილმა ბიზანტიურ-სპარსულ ხერხების გამოყენებისათვის მიმართა ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ თემტიკას, და აითვისა ობიექტური სამყარო მხატვარის შემოქმედებითი პრიზმით, დ. კაკაბაძემ „ფილოსოფიურათ“ შეხედა მსოფლიოს და შიგ ქაოსს მეტი ვერაფერი დაინახა. მყარი, ობიექტური ფორმები, სადაც ბოცემულ ყოფილიყო ბუნების მოვლენათა „პლასტიკა“, საჭიროებდა „მხედველობითი სიყალბიდან“ განთავისუფლებას და გარემოს ყოველგვარ „შენთხვევით“ მომენტებისაგან თავის დახვევას. ამ „პლასტიკრობის“ ძებნაში დ. კაკაბაძე მიიყვანა სივრცის კულტამდი, რომლის „გადმოცემა“ მან ხელოვნების გენერალურ ამოცანათ დისახა. მაგრამ ამ გარემოებამ შექმნა „სისტემა“ უსაგნო ხელოვნების, მოკლებული როგორც ცხოველ ნიადაგს ისე ფსიქოლოგიურ დაჯერების უნარს და ემოციონალურ გავლენის შესაძლებლობას.

სულ სხვა გზით წავიდა მოსე თოიძის და მისი ჯგუფის მხატვრობა.

მოსე თოიძემ ალაღვინა თავის შემოქმედებითი პრაქტიკაში „პერედვიენიკების“ ტრადიციები. უმაღლესი ფორმა „პერედვიენიკებისა“ არის რეპინიზმი. რეპინმა შექმნა ნატურალისტური მხატვრობა. ნ. რეპინისათვის ყოველ წვრილ-მანს, ყოველ შტრიხს განუთხოვლი წინშენელობა აქვს. მისი აზრით მხატვარმა უნდა მოახდინოს სრული ასახვა ბუნების. მხატვარის შემოქმედება ნატურის სრული მონა-შორილია. მხატვარი კი არ არკვევს, ინტერპრეტაციას უშვება ბუნებას, არამედ იძლევა ბუნებას ისე „როგორც ის არის“. ამ გულუბრყვილო რეალიზმის გზით მხატვარის როლი განისაზღვრა პედანტ კარესპონდენტის როლით, რომელსაც შეუძლია გადმოგვეცხს ისტორიული სიმართლე, მაგრამ არას დროს ფსიქოლოგიური, არას დროს მხატვრული. ძირითადი ხაზი, რომელიც არის დახასიათება მთელი მოვლენის, ნატურალისტური შკოლისათვის არ არსებობს: მისთვის ყველა მომენტი თანასწორ ღირებულია და მასსადამე ასეთივე წინშენელობის მქონე მხატვრულ შემოქმედებაში. „ახრმა“ საფუძვლათ მიიღოს რეპინის მხატვრული პრაქტიკის პრინციპები. სიახლე „ახრ“-ში არის მხოლოდ თანამედროვე თემა. მაგრამ ამ თემასთან ის მიდის ძველი გზით. გატაცებული თემატური სიახლით, „ახრის“ პრაქტიკაში არ სჩანს ძლიერი შემოქმედებითი მუშაობა ფორმალურ ხერხებზე. აქედან: კონსერვატიული ხელოვნება.

ჩვენში ძლიერ უახლოვდება „ახრ“-მოსე თოიძე. როგორც ავღნიშნეთ „ახრმა“ გააცოცხლა რეპინის ხერხები. მაგრამ ამ გზით მან შექმნა მხატვრობის უდიდესი კრიზისი: რათ არის საჭირო „ფოტოგრაფიული ხელოვნება“, როდესაც

თვით ფოტო არსებობს. ნატურალისტური შკოლა იარაღს პყრუას ქვეთუდა წინა-შე. მაგრამ როდესაც ფოტო საბოლოოთ გადასჭრის ფერის პრობლემას, მაშინ მოხდება ნამდვილი დასასრული, სრული კაპიტულიაცია „ფოტოგრაფიული“ მხატვრობის.

მოსე თოიძის მხატვრობა ასეთ საშინოებებს წინაშე დგას. მისი „მცხეთო-ბა“ რეპინის ტრადიციით არის გაკეთებული. თვალსაჩინო ფერადობა ამ სურათის ააშკარაებს ავტორის მდიდარ პალიტრას. ზედაპირის დამუშავებით მოსე თოიძე პეიჟაჟს შეიტანოს მხატვრობაში ფაქტურული შინაარსი. მეორე მისი სურათი „სამოვრის ილიუზია“—ნამდვილ ფოტოგრაფიულ სურათს წარმოადგენს. უკანასკნელ დროში მოსე თოიძე პეინის სურათებს, სადაც თანამედროვე თემია მოცემული. თემატიკათ მოსე თოიძემ გაასწრო სხვა მხატვრებს, მისი საზოგადოებრივი თემატიკა გაეღწეოდა მუშათა კლასის რევოლუციონური პათოსით და შემოქმედებითი ენტუზიაზმით. საკიროა მხოლოდ ახალი თემის ახალ ფორმებში მოცემა. აქ ბუნებრივით იზადება საკითხი მხატვრობის ახალი სტილის პრობლემის შესახებ, რომლის გარეშე მხატვრობა ვერ შეასრულებს იმ საზოგადოებრივ ამოცანას, რომელიც მას აქვს დაკისრებული.

არა ასახვა ბუნების, არამედ მისი გამოსახვა—აი რა უნდა იყოს გზა ახალი სტილის და რაც საბოლოოთ გადაარჩენს მხატვრობას ფოტოს ძლიერი კონკურენციისაგან.

ასეთია სქემატიკათ თანამედროვე ქართული მხატვრობა მის უმთავრესს წარმომადგენლებში. თუ როგორია როლი და ამოცანა მხატვრობის კულტურულ რევოლუციის დროს—ამაზე სხვა დროს.

მარქსიზმის ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები*)

ამხანაგებო! უკანასკნელი ხუთი წელი დახასიათებულია იმ მკაცრი ბრძოლით, რომელიც გამართული იყო მექანიციტებსა და დიალექტიკოსებს შორის. ჩვენ შევედით ისეთ „უცნაურ“ ხანაში, როცა მარქსიზმის ძირითადი დებულებანი მთელი რიგი ამხანაგებისათვის „პრობლემეტიური“ და „სადისკუსიო“ შეიქნა. ამასთან დაკავშირებით პრობლემების ისეთი საგრძნობი მასა დაგროვდა, რომ ყველაზე ლაპარაკი ერთი მოხსენების ფარგლებში და მათი გეროვანი გაშუქება, ძალიან ძნელი საქმეა. ამიტომ მე გადავწყვიტე შევაჩერო თქვენი ყურადღება ზოგ ცენტრალური მნიშვნელობის პრობლემებზე; ავიჩივო ისეთ პრობლემებს, რომლებიც ერთის მხრივ, ჩვენი კამათის საგანს შეადგენდნენ და მეორეს მხრივ, ფილოსოფიისა და ბუნებათმეცნიერების დაახლოებისათვის არსებითი მნიშვნელობისა არიან.

მარქსიზმმა საზოგადოებათმეცნიერებაში დიდი ხანია საჭე ხელთ აიღო, აქ ჩვენ ვაბატონებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მართალი უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ სფეროშიაც ჩამოვრჩით, ცნობილია, რომ პრაქტიკა თეორიას წინ უსწრობს, ცნობიერება ხშირად არსს უკან რჩება. ცხრვრება მედგარი ნაბიჯებით წინ მიდის, თეორეტულად კი ჩვენ კიდევ ვერ გავრკვეულვართ, ვერ შეგვიგნია ცხოვრების მიერ წამოყენებული პრობლემების მთელი სირთულე, რომლებიც მოითხოვენ სერიოზულ მეცნიერულ დამუშავებას. მე მიმანია საჭიროდ და აუცილებლად ეს ტრიბუნა გამოვიყენო და განვიცხადო, რომ ისტორიული მატერიალიზმის თეორია შეიძლება საგრძნობლად გამდიდრებულიყო ახალი საზოგადოებრივი ფორმაციისაგან წარმოშობილი ურთიერთობისა და მდგომარეობის სერიოზული კვლევა-ძიების ნიადაგზე მიღებული შედეგებით. უნდა ითქვას პირდაპირ, რომ ჩვენ ამ ურონტზე დიდი მიღწევებით თავის ქები არ შეგვიძლია; მუშაობა,

*) მიმდინარე წლის აპრილში მუშაობდა მეორე საკავშირო კონფერენცია მარქსისტულ-ლენინური სამეცნიერო ორგანიზაციებთან. ამ. დ. გ. ბ. თ. რ. ი. ნ. ეს მოხსენება შეადგენდა კონფერენციის ერთ-ერთ უძირითადეს საშუალო საგანს. მანაყენება ერთდვარ შეჯამებას ჯვადღეს იმის გასაცნობათ, თუ რა შედეგებს მივალწიეთ მარქსისტული ფილოსოფიის ნეორევიზიონიზმთან ე. ი. მექანიციტებთან ბრძოლის დასასრულს. ეს ბრძოლა, როგორც ვიცით, მექანიციტების დამარცხებით დასრულდა, რასაც მკითხველი თვით დაინახავს ამ მოხსენების წაკითხვის დროს.

რასაკვირველია, აქაც სწარმოებს, მაგრამ შეუძლებელია ის დაეკავშირებოდეს მივიჩნით, აუცილებელია ყველა საშუალებას მიემართოთ და თეორეტიული მუშაობა ისტორიული მატერიალიზმის სტერეოშიაც გამოვაცოცხლოთ და წინ წაგვიწიოთ.

სხვა საზოგადოებათმეცნიერებაშიაც უამრავი ისეთი მასალა დაგროვდა, რომლებიც სერიოზული თეორეტიული დაბუთება აუცილებელია. ეს ცოტაა, ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა იძულებული ვართ ძველი დისციპლინები ხელახლა ავაშენოთ, ან და ახლები შევქნათ. ძალიან ბევრი რამ დღეს ჩვენ ახალ სინათლეზე ვგეჩვენება, ახალი ფაქტები და ის მსოფლიო-ისტორიული გამოცდილება, რომლებსაც გვიკარნახებს სოციალისტური აღმშენებლობის მთელი მსვლელობა ჩვენს ქვეყანაში ახალ პრობლემებს აყენებს ჩვენს წინაშე. ჩვენს წინ კონკრეტულად და პრაქტიკულად დადგა საკითხი ისეთი მეცნიერული დისციპლინების დაუფლებისა, რომლებსაც უწინ ჩვენთვის მხოლოდ „თეორეტიული“ ინტერესი გააჩნდათ. ამას ისიც მიუმატოთ, რომ ჩვენ მოწამენია ვართ მთელი რიგი დისციპლინებისა, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში სწარმოებს და რომლებსაც შეტ ნაწილად მე თო დის საკითხებსა და შესაფერი მეცნიერების საგნის საკითხებს ეხებიან. ყველა ამ პრობლემას მე ჩემს მოხსენებაში, რასაკვირველია, ვერ შევებები. ახლა ყურადღებას უმთავრესად ფილოსოფიის საკითხებს მივაპყრობ და მათ დამოკიდებულებას ბუნებათმეცნიერებასთან განვიხილავ.

სანამდე ჩემი მოხსენების ცენტრალურ კვანძს შევებებოდე, საქაროთ მამჩნია ორიოდ სიტყვით შევიჩერდე ფილოსოფიური ფრონტის მდგომარეობაზე საერთოდ. ბუნებრივია, რომ პირველი სიტყვა ჩვენს კონფერენციაზე, ჩვენს, ასე ვთქვათ, „სამარაღისო“ მტერს, ე. ი. იდეალიზმს უნდა შევებებოდეს; უდავოა, რომ ჩვენს პირობებში იდეალიზმის აღორძინება გამოშხატველი და უტყუარი სიმპტომია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა. შეიძლება ითქვას, რომ იდეალიზმი, როგორც დარბაზული და გავლენიანი მიმდინარეობა, ჩვენში არ მოიპოვება. ეს ნაწილობრივია ასეა. მაგრამ აქედან იმის თქმა შეუძლებელია, ვითომც ჩვენ არავითარი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ ამ ბანაკის „მოხალისე მეომრებს“ და მათი მეთაურების კერძო გამოსვლებსა და შემოტევებს. აუცილებელია ხაზი ვაუსვათ იმ გარემოებას, რომ ჩვენი კავშირის თავისებური და წინააღმდეგობებსზე დაყრდნობილი განვითარების პირობებში, კლასობრივი ბრძოლა დროგამოწვევით ძალიან მწვავედება, მაშინ, ბუნებრივია, რომ იდეოლოგიური ფრონტის გარღვევა ხდება და მარქსიზმთან მტრულად განწყობილი შეხედულებანი გამოდიან განსაკუთრებული გაბედულობით და თავებდობით. სწორედ ასეთ მომენტში ვიმყოფებით ჩვენ ეხლაც.

იდეოლოგიურ ფრონტზე შემწეულია მარქსიზმის მოწინააღმდეგე მიმდინარეობის დიდი გამოცოცხლება, რაც გამოიხატა მთელი რიგი მწერლების ლიტერატურულ გამოსვლებში, მისტიკისა და იდეალისტი ლოსევიტ დამწყებული და „მეტანისტური მატერიალისტი“ საგნით დამთავრებული. იდეალიზმს ჩვენში რაღაც თავისებური სახე მიუღია, ის მსოფლმხედველობის ზოგად

პრობლემებს კი აღარ ამუშავებს, არამედ კერძო და ცალკე პრობლემებს, ესთეტიკისა, ლოგიკისა, ენის ფილოსოფიისა და... დიალექტიკისა.

ჩემს მიერ დასახელებული ლოსევი იმით არის საინტერესო, რომ ის გვევლინება როგორც დიალექტიკის „რესტავრატორი“.

რომელია ის დიალექტიკა, რომელსაც ლოსევი „რესტავრაციის უშვრება“ ამ საკითხზე ვლენულობთ პასუხს: პლატონის, პროკლის და იამელიზის მისტიური დიალექტიკის. არამც თუ ჰეგელი, არამედ თვით პლატონიც კი მიუღწეველი ყოფილა ლოსევისთვის, რადგანაც ის „რაციონალისტია“. ანტიური დიალექტიკა, როგორც წმინდა დიალექტიკა ლოსევის მიერ დაპირისპირებული აქვს დიალექტურ მატერიალიზმს. „ან უნდა მივსკეთ გასაქანი წმინდა დიალექტიკას—სწერს ეს ფილოსოფოსი—და მაშინ მშვიდობით დიალექტიკურ მატერიალიზმში და მარქსიზმში! ან ეს უკანასკნელი უნდა ავირჩიოთ და მაშინ მშვიდობით ანტიური დიალექტიკაც შენი კოსმოსით და სხვა უფასო დამატებებით!“ („АНТИЧНЫЕ КОСМОС“ გვ. 7). ლოსევი, რასაკვირველია, პლატონისა და პროკლის დიალექტიკას მალლა აყენებს მარქსისა, ენგელსის და ლენინის მატერიალისტურ დიალექტიკაზე და მას ირჩევს.

მატერიალიზმი ლოსევს პოზიტეიზმის სახეობათ შიამნია. ლოსევი ამტკიცებს, რომ თანამედროვე მატერიალიზმის სათავეში მითოსია მოთავსებული. „რომელიღაც მითოლოგია—სწერს ის—დეეს ახალ ევროპულ კულტურის სათავეში, რომლის ყველაზე უფრო ორგინალური თავისებური მიღწევა არის მატერიალიზმი და პოზიტეიზმი საერთოდ“ („Философия имени“ გვ. 216). ასე დააღაგა რა მატერიალიზმის მითოლოგია, ლოსევი აგრძელებს: „მე გვეკითხებით, ნუ თუ ეს მითოლოგია არ არის, ნუ თუ ეს ჩვენი კულტურის ოცნება არ არის, ნუ თუ ჩვენ შეგვიძლია მოგვედეთ, ჩვენ, ახალ ევროპას, თუ ჩვენი ძეგლები მატერიალიზმის გამარჯვებას არ შევსწირეთ? არა, ჩვენ გვწამს ჩვენი მატერია, ვეშახტურებით და თაყვანს ვსცემთ მას და არაიეს არ აქვს უფლება ჩვენ ის წავგვართვას. ჩვენ რამდენი შრომა და სიცოცხლე შევსწირეთ მატერიის ვადარჩენას და თქვენ, იდეალისტები, რომლებსაც მატერიისათვის თავიკ კი არ შეგირწებიათ, ასე ადვალად „აკრიტიკებთ მატერიალიზმს!“ არა, ჯერ მობრძანდით, ჩვენსავეთ გაწვალდით და მერმე ვნახოთ შესძლებთ თუ არა ენა მოაბრუნოთ ჩვენი და მატერიის კრიტიკისათვის“. ლოსევი თავს იქცევს მატერიალიზმის გინებით, საწყალს ჰგონია, რომ მისი მისტიური აბდაუბდა მატერიალიზმს რაიმეს დააკლებს. აბა რა არის, თუ არა მისტიური ბოდეა ლოსევის მტკიცება, რომ „იყო დრო, როცა ქვეყანა არ იყო, და დადგება ისეთი მომენტი, როცა დრო გათავდება“, რომ დრომდე იყო სახელი და დროს შემდეგ დაჩეება სახელი, რადგან ქვეყანა არის... სიტყვა. „თუ არის არის სახელი და სიტყვა—სწერს ლოსევი—ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი მსოფლიო არის სახელი და სიტყვა, ან სახელები და სიტყვები. მთელი არსებული არის ან მეტად ან ნაკლებად ცოცხალი თუ მკვდარი სიტყვები. კოსმოსი სიტყვეერების სხვადასხვა ხარისხების კიბურია. ადამიანი სიტყვაა, ცხოველიც—სიტყვაა, უსულო საგანიც—სიტყვაა. ქვეყანა არის სიმრავლე სხვადასხვა ხარისხის სიცოცხლისა ანუ გამავრებული სიტყვა“.

ეპიქურეული

ყვებისა. ყველაფერი სიტყვით ცხოვრობს და მასზე მიგვითითებენ“ („Философия имени“ გვ. 166). დასაბამი იყო სიტყვა—აი უკანასკნელი სიბრძნე რელიგიურ-მისტიურ იდეოლოგიის „უკანასკნელი“ წარმომადგენელისა. სიტყვებითა და სახელებით შექმნილია ქვეყანა... ბუნებრივია, რომ მოქალაქე ლოსევი თავს ეს-მის მატერიალიზმს!

ლოსევი დიალექტიკოსია, მაგრამ, ცხადია, რომ მის დიალექტიკას არავი თარი საერთო არა აქვს მატერიალისტურ დიალექტიკასთან. მატერიალისტური დიალექტიკის წარმომადგენლებს ის ყოველნაირ საშუალებით ამცირებს, მათ მიმართავს, მაგალითად, შემდეგი სიტყვებით: „გვეცადათ და თქვენ თვითონ მოგვეუქვრებათ და შეგვექნათ(!) ორი სამი თანმიმდევრო დიალექტიური კატეგორია. ჰეგელის „თვისების“ და „რაოდენობის“ იქით, ე. ი. ჰეგელის „ლოგიკის“ პირველ თავს იქით თქვენ არსად გახედვას ვერ ვაბედაეთ და არც შეგიძლიანთ“. („Философия имени“ გვ. 18—19). ლოსევის დიალექტიკას, რასაკვირველია, მარქსისტულ დიალექტიკასთან შედარება არ შეუძლია, მის დიალექტიკას სჭირდება „გამოცხადება“ ან, როგორც თვითონ ამბობს, აბსოლუტური ემპირიზმი. „თუ თქვენთვის დიალექტიკას უშუალო შინაშენელობა არ აქვს (და, ცხადია, არ გულისხმობთ გამოცხადებას), მაშინ უკეთესია სულ ნუ აწვალებთ დიალექტიკას“, გაკვირვებით გვეუბნება ჩვენი მისტიკოსი, და მართლაც, აბა რა არის საერთო ლოსევის მისტიურ დიალექტიკასა და ჰეგელის თუ გინდ იდეალისტურ დიალექტიკას შორის? ლოსევის აზრით დიალექტიკოსისათვის „სავსებით უმნიშვნელოა, რა იაზროვნოს. დიალექტიკის საქმეა ნიეთის წმინდა ლოგიკური კონსტრუქცია, როგორია, სახელდობრ, ეს საგანი—ეს მ.ს.თვის სავსებით რომ საინტერესო არ არის“ („Античный космос“ გვ. 14).

ლოსევის იდეალიზმი და ლოსევის დიალექტიკა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მარქსისტულ მატერიალიზმსა და მარქსისტულ დიალექტიკას, საშუალო საუკუნოების ყველა ელფერს ატარებს. ექვს გარეშეა ის გარემოება, რომ ლოსევის იდეოლოგია გამოხატავს ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო რეაქციონური ელემენტების სულიერ განწყობილებას. ბრძოლა იდეალიზმისა და მისტიზმის წინააღმდეგ არის ჩვენი პირველი და უმთავრესი მოვალეობა.

მე ცოტა დაწერილებით ლოსევზე იმითომ შეგჩერდი, რომ ის ყველაზე უფრო დაუფარავად გამოვიდა და სხვა მისტიკებსა და იდეალისტებსავეთ თავისი შეხედულებანი არ დაუმალავს. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იდეალისტური ფრონტი მართო ლოსევით არის წარმოდგენილი. ლოსევი „რესტავრაციის“ უკიდურესი წარმომადგენელი და იდეოლოგია. იდეალიზმის ყველა წარმომადგენელი მასავეთ შორს არ მიდიან. ამათი იდეალიზმი უფრო „მეცანიერული“ და „თანამედროვე“ ბუნებისა არის. უდროობის გამო მე არ შემიძლია მათ შეხედულებებსაც შევხვო და ისინიც გავაჩირო. იდეალიზმი საუცხოვოთ მოკალათებული კერძო დისციპლინების მივლ რიგში, ფსიხოლოგიაში, ესთეტიკაში, ისტორიაში, ეთიკაში და სხვა, იმის მითითებაც საჭიროა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში იდეალიზმის (ის კი არა მისტიციზმისაც) აღორძინება შემწნეულია ბუნებათმეცნიერულ დისციპლინებში. ეს ტალღა ჩვენთან

ნაწილობრივად დასავლეთიდან მოდის, სადაც ცნობილი ბუნებისმეტყველნი ლმერთის არსებას ეძიებენ და ფიქრობენ ლმერთში ნახონ ყველა იმ სიძნელისა და წინააღმდეგობის მოგვარება, რომელიც ბუნებათმეტყველების განვითარებამ გამოიწვია. ის კი არა, ისეთი ცნობილი ფიზიკოსი, როგორც მილენაია, ფიქრობს, რომ თანამედროვე ფიზიკის განვითარების გაცნობა ჩავეინერგავს ჩვენ შენდობის გრძნობას და ადამიანის გონების განსაზღვრულობის შეგნებას. ამიტომ მისი აზრით ს ა რ წ მ თ რ ე ბ ა მ მეცნიერული კოდნის გვერდით უნდა დაიჭიროს ადგილი. საქმის ასეთ საერთო მდგომარეობის დროს ამა რა ვასაკვირია, რომ ჩვენში სპეციალურ შრომებში— ის კი არა მათემატიკურშიც—ზოგად იდეალისტურსა და მისტიურ შეხედულებებს ატარებენ. ბიოლოგიაში ჩვენ მოწამენი ვართ ეიტალიზმის გაფრცხვებისა, ფიზიკაში, უკვე აღნიშნული რელიგიურ-მისტიური ტენდენციების გვერდით, შემჩნეულია მახიზმის აღორძინება.

ყველა ამ მოვლენის გვერდით აუცილებელია ყურადღება იმასაც მივაქციოთ, რომ ცალკეული ელემენტების შეჯამებისაგან რაღაც თავისებური პოზიტივიზმი დგება. ეს პოზიტივიზმი უფროდება ემპირიზმს და ისიც დიალექტიური მატერიალიზმის მოწინააღმდეგეთ გამოდის.

II

ყველა შემთხვევაში თქმული მეტნაწილად ეხება მარქსიზმის მტერთა ბანაკს, რომელიც, საერთოდ, ან მარქსიზმის გარეშე იმყოფება ან და მის გაღმა. მაგრამ უმართებულო იქნებოდა გვეფიქრა, რომ წვრილბურჯუაზიული და ბურჯუაზიული მიმდინარეობა ფილოსოფიაში და ცალკე მეცნიერულ-დისციპლინები ვერ ნახულობენ საშუალებას და გზებს მარქსისტების წრეში შესასვლელად. ჩვენ უნდა ავლენიშნოთ, რომ ჩვენი პეცენის საერთო განვითარების პირობებთან დაკავშირებით წვრილბურჯუაზიული და ბურჯუაზიულ იდეოლოგიის ზეგავლენა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა მარქსისტულ წრეშიც. ჩვენი შანაგანი ფრონტი ერთგვარ ავადმყოფობის პერიოდს განიცდის. ჩვენ მოწამენი ვართ სხვადასხვა ქანაობის, ამა თუ იმ ამხანაგების დაშორებისა ორტოდოქსალური მარქსიზმის და ლენინიზმის პოზიციებისაგან. ჩვენში ჩამოყალიბდა მთელი მიმდინარეობა, რომელიც ცნობილია მექანიკური მატერიალიზმის სახელწოდებით, და რომელიც ძალიან შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს დიალექტიურ მატერიალიზმთან. მე არ მათვს საშუალება გავაანალიზორო მექანიკური მატერიალიზმის მთელი კონცეპცია; ახლა ეს დიდათ საკიროც აღარ არის; ჩვენი მოწინააღმდეგენი უკვე საქმაოთ გამოტანილნი არიან საშუაროზე და მათი შეცდომები უკვე დღის სინათლეზეა გამოტანილი. მიუხედავით ამისა, ზოგ წერტილზე შეჩერება მაინც აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მითითოთ, რომ ზოგი ამხანაგი მექანიკური ბლოკიდან იდეალიზმის ზეგავლენას განიცდის. საკმარისია ვავიხსენოთ, რომ რამოდენიმე კაცი დასახელებული ამხანაგებისაგან ძალიან სერიოზულად გატაცებული იყვნენ ბერგის ნომოგენებით, მათ ბერგის მოცემულ დარგინიზმის კრიტიკის მიმართ ძალიან ზერელე მიდგომა აღმოჩნდათ. ეს კრიტიკა კი თელეოლოგიური და მეტაფიზი-

კურა თვალსაზრისით სწარმოებდა. ერთი სიტყვით, ეს ამხანაგებზე მეტად აღიზნის ზეგავლენის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. იგივე ამხანაგები ორივე ფეხებით იდეალიზმის ნიადაგზე დგანან მთელ რიგ ისეთ საკითხებშიაც, რომლებიც მარქსისტებისათვის დიდი ხნიდან გადაჭრილათ ითვლებოდა და არავითარ ექსპერტს არ იწვევდნენ. აი, მაგალითად. აიღეთ აშხ. სარაბიანოვის მსჯელობა ობიექტური ჭეშმარიტების შესახებ. „უპირველეს ყოვლისა განვაცხადებთ—სწერს ის — რომ არავითარი ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს“. „ჩემს შრომებში მე ამაზე თითქმის არ შეეჩერებულვარ, რადგან არ ვთვლიდი საჭიროდ გამემორობია ძველის ძველი საანბანო ჭეშმარიტებანი, უბრალოთ მოკვებნოდა, სულელად ხომ არ მიგვანინია ჩვენ ჩვენი მკითხველი!—აბა რაღა საჭირო იყო იმის მტკიცება, რომ ყოველივე ჭეშმარიტება სუბიექტიურია“. ჭეშმარიტად: „აშხ. სტალინს უნდა იხსენიებოდა, რომ ჭეშმარიტება, რომელიც საქმის ობიექტურ მდგომარეობას უდრის, უნდა მიჩნეულ იქნას ობიექტურ ჭეშმარიტებათ, და რომელიც არ უდრის—სუბიექტურ ჭეშმარიტებათ. ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ობიექტური ჭეშმარიტება არსებობს, სწორედ ასე მსჯელობენ. მაგრამ ძალიან ადვილია იმის ჩვენება, რომ ისინი ორივე ფეხებით იდეალიზმის ნიადაგზე დგანან“¹⁾.

გამოდის რომ იდეალიზმის ნიადაგზე დგანან ისინი, რომლებიც საეჭვო მეთანხმებული ლენინთან, შეთანხმებული მარქსთან და ენგელსთან ობიექტური ჭეშმარიტების არსებობას სცნობენ. „ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა ბოგდანოვის მიერ—სწერდა ლენინი—არის აგნოსტიციზმი და სუბიექტივიზმი“²⁾. აშხ. სარაბიანოვი კი ყირამალა აყენებს ყველაფერს. მისი აზრით მატერიალისტი ის არის, ვინც ობიექტურ ჭეშმარიტების არსებობას უარყოფს. ის კი, ვინც ობიექტურ ჭეშმარიტებას სცნობს, ის თურმე „ორივე ფეხებით იდეალიზმის ნიადაგზე დგას. ამის შემდეგ აბა რაღა ვასაკვირია ის, რომ ჩვენ მოწინააღმდეგენი იდეალიზმში ბრალს ვედებენ, ჩვენ ხომ ლენინთან ერთად იმ აზრისა ვართ, რომ სუბიექტური იდეალიზმს მიეყვართ ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფამდე“³⁾. მაგრამ აღარავისათვის საიდუმლოება აღარ არის, რომ აშხ. სარაბიანოვი სუბიექტური იდეალიზმის ნიადაგზე დგას⁴⁾.

1) „Под знаменем Марксизма“ № 6. გვ. 67. 1926.

2) აშხ. სარაბიანოვის პოზიცია ვარჯათია გაშუქებული ა. სტალინის შრომებში: „Диалектический материализм и механисты“ 1928; „Упрощения, механисты и проблема качества“ 1929 г.

3) В. Ленин. Собр. Соч. 1-ое изд. т. X. გვ. 100.

4) აშხ. სარაბიანოვის ნაწერებში ჩვენ ძალიან ბევრ ვასაკვირავს საგნებს ვნაბულობთ. ეს პირდაპირ ვასაკვირავს მწერალს. მას ხეუთი სტრიქონის დაწერაც არ შეუძლია, რომ ერთი მჯობინო არ აუჩიოს, ამაში ის ვასაკვირავს ჰგავს ა. ვარიაშს. აი მოუსმინეთ იმ ადამიანს, რომელიც მატერიალისტისა და დიალექტიკის გავეთილებს აძლევს. „და მართლაც—ამბობს სარაბიანოვი—ნუ თუ შეუძლია მატერიალისტს იმის მტკიცება, რომ არსებობს წარმოდგენები, რომლებიც არ უდრის საგნების ობიექტურ მდგომარეობას? რასაკვირველია, არ შეუძლია. ცნობიერებას ყოველთვის განსაზღვრავს არსი. გამოინაკლისი არ არსებობს. წარმოდგენა ღმერთზე ყოველთვის უდრის ობიექტურ პროცესებს (ხაზგასმა ჩემია ა. დ.). სასაცილოა ვიფიქროთ, რომ აზრები ანგლოზებზე, ეშმაკებზე და ღმერთებზე თავისთავად გველიანებია. ეს არის ობიექტური პროცესები, რომლებსაც უდრის (ა. დ.) ჩვენი წარმო-

საქართველო

საცხები გაუგებარია, თუ რატომ ამხ. სარაბიანოვი მექანიკური მატერიალისტი უნდა იყოს, თუმცა იდეალიზმს მექანიკური მატერიალიზმის სხვა წარმომადგენლებიც უახლოვდებიან. ველგარული პოზიტივიზმისა და მხოვანი ემპირიზმის ნიადაგზე კი ყველანი ერთნაირად დგანან. ყურადღების ღირსია ის გარემოება,

დავუწიო. („Под знаменем марксизма № 6. 1926. გვ. 67) თუ სუბიექტურს და ობიექტურს ტენზიონტებს შორის განსხვავებას არ არსებობს, მაშინ ბუნებრივია, რომ წარმოდგენა ღმერთებზე „ობიექტურ პრინციპებს“ უდრის. თუ თვითღული სუბიექტიური წარმოდგენა ტენზიონტება, ე.ი. უდრის „სუბიექტურ მდგომარეობას“, მაშინ ანგლოზი, ეშმაკი და ღმერთი, რასაცირველია, ობიექტური ტენზიონტებანი არიან. ეს გახლავთ უწინააღმდეგ სუბიექტიური იდეალიზმი. მაგრამ ამხ. სარაბიანოვის კვლილუციის მიხედვით სწორედ ეს გახლავთ მატერიალიზმი. ეს საუკეთესო საბუთია იმის დასაწახვად, თუ როგორ სოფისტიკის საშუალებით შესაძლებელია ყოველნაირი თვალსაზრისის შარყენა. თუ როგორ ადვილია მატერიალიზმის იდეალიზმით გამოცხადება და იდეალიზმის მატერიალიზმით.

სარაბიანოვის სუბიექტიური იდეალიზმის სინათლეზე „გასაგები“ ხდება მისი ასეთი ღრმა აზროვნის მსჯელობაც: „წარმოვიდგინო—სწერს—რომ ბურჟუაზია მეცნიერულად სწავლობს საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, შეიმუშავებს ობიექტურ აუცილებლობას და აუცილებლობასთან ერთად გამოდის ერთად კლასის კლასის წინააღმდეგ. პროლეტარიატი კი გამოდის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ერთი და მეორეც სწორი, მეცნიერული საშუალებით მოქმედებენ. ბურჟუაზიაც მართალია და პროლეტარიატიც მართალია“. „მეფრებელი-ობიექტივისტი—განაგრძობს ეს ზღენი შეუდარებელი „მარქსისტი“—გაიცივრებენ: რას იბრძვიან? ორივე ზომ მართალია. მაგრამ ზენი აქტივისტები ვართ. ჩვენ ვიცყვით: სწორედ იმიტომ, რომ ბურჟუაზია მეცნიერული მეთოდებით მოქმედობს, რომ მისი მიზნები უტოპიური არ არიან, არამედ მეცნიერულად დასაბუთებულნი, იმიტომ ზენი უფრო მტკიცედ უნდა ვებრძვილით ბურჟუაზიას. ქვეყანამ იცის არა ერთი სიმართლე არამედ მთელი რიგი სიმართლისა. მონარქია გონიერია, მაგრამ ბრძოლა მის წინააღმდეგ აგრეთვე გონიერია—სწერს გერცენი.—საკირო ზომ არ არის ამორჩევა?“ („Под знаменем марксизма“ № 12. 1925. გვ. 188-189) გამოდის, რომ ქვეყანაზე ყველაფერი ერთნაირად გონიერია, ერთნაირად ტენზიონტი, ერთნაირად აუცილებელი, ერთნაირად ობიექტიური! და თურქე ყველა ამას გვაწაყვლის მარქსიზმი.

სტალიის შესაგებათ კიდევ მოვიყვანო ამხ. სარაბიანოვის ერთ მსჯელობას ტენზიონტების პირობითობის შესახებ. „ყოველი ტენზიონტება—ამტკიცებს ამხ. სარაბიანოვი—პირობითია, ჩენი რელატივიზობა აბსოლიუტიზობა—სწერს ის—ყველაფერი მიმდინარეობს და ყველაფერი იცვლება, თუ ჩენი მიერ არა განახლებული, სხვა სიწყნარის წერტილი არ არსებობს, და ჩენი, რასაცირველია, რელატივიზმით ვერ შეგვანიშნებ“. „აბსოლიუტიზობა რელატივიზობა—აგრძელებს ის—აბსოლუტური მოყვდა ამა და ამ დღეს, ამბობს გნგელი. მაგრამ ბავდანივი გკითხება: მართლად ამ დღეს მოყვდა ნაპოლეონი? ნუ თუ ასე გუფლებრეყვლია ეს საკითხი? თვით სიყვდილი ზომ პირობითი ენება. ამახ. სტალიანოვის პირობითობის ეწინაა, მას სურს აქ იდეალიზმი დაინახოს მაგრამ სიყვდილი მართლაც რომ პირობითი ენება არის (№ 12. 1925. გვ. 190-192). ნუ თუ ახლა წერა კითხვის მყოფენი მკითხველანათვის ნათელი აღარ გახდა, რომ ამხ. სარაბიანოვი დაუბრუნებლად სუბიექტიური იდეალიზმის კლანჭებში? ყოველივე ტენზიონტება პირობითია, იმეორებს ის, სიყოფილე და სიყვდილი ერთი და იგივეა. სინამდვილეში არც სიყვდილი არსებობს და არც სიყოფილე, ეს უზრალა „პირობითი“ ენებება. ამახ. სარაბიანოვის ხელში დიადეტიკია სოფისტიკაც და გადაიჭა. რელატივიზმია ის მოყვანა აბსოლიუტურ სტატისტიკიზმზე და აგნოსტიციზმზე. ის, რასაც ამ საკითხებზე სწერდენ მარქსისტები და უპირველეს ყოვლის ღენინი, მათთვის უბრალთ დაიკარგა. ის მარტო დარჩა საკუთარი თავის პატრონი, საკითხია მხოლოდ, ნუ თუ სარაბიანოვის შეხედულებანი, მივილი მისი „ფილოსოფიური“ კონცეპცია არის თუ არა მახიზმის გადაამღერება? ნუ თუ მისი „იდეოლოგია“ რაიმეივი განირჩევა წერალებურყვანაზე, ინდივიდუალისტურ, სუბიექტივისტურ და აგნოსტიკური კონცეპციისაგან? სრულიადაც რომ არაფრით.

რომ მექანიკური მატერიალისტები მედრედით აცოცხლებენ, ლეონტიძე იფიქროს მატერიალიზმს და ახლა უკვე ბრძოლას აწარმოებენ გამოცდების თეორიის წინააღმდეგ, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი წარმოდგენილი აქვთ უკიდურესი დამახინჯებული და გაუბრალოებული სახით. საჭირო არ არის გაეიხსენოთ მოკლე კამათი იეროვლიანების შესახებ ლენინსა და პლენანოვს შორის. მაგრამ ამ თეორიის ეხლანდელი წარმომადგენელნი მიდიან პლენანოვზე ვაკილებით იქით და ამის გამო აგნოსტიციზმის მსხვერპლნი ხდებიან.

თუ ჩვენ გარე ქვეყანას იეროვლიანების, სიმბოლოების, რაღაც ნიშნების საშუალებით შევიძინებთ, რომლებიც ჩვენ მხოლოდ გვახსენებენ, რომ რაღაც ჩვენს გარეშე არსებობს, მაგრამ მათთან საერთო არაფერი გვაქვს, ვასაგები რომ ამ გზით ქვეყნის ნამდვილ შემეცნებას ვერას დროს ვერ მივალწევთ. აი რატომღაა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ასეთ ვააფთორებულ ბრძოლას ეწვევიან იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი ცნებება ობიექტური ქვეყნის ასახვებია, რომ ზოგადი ცნება გამოხატულებათა იმ ზოგადისა, რაც თვითონ საგნებშია.

ამის შესახებ მექანიკისტების მეორე წარმომადგენელს მოუსმინოთ — ლ. აქსელეროდი: „კარგევი და მისი თანამოაზრე — დებორინელები — სწერს იგი — ჩჭარი ნაბიჯით თეოდიციეისაკენ მიდიან, უბრალოთ რომ ვთქვათ, ბუცობასთან მიდიან, და ამავე ნაბიჯებით დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ უკან იხევენ. მისი ძირითადი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ჩემს მიერ წამოყენებულ შეხედულებას, ამბობს, რომ „ზოგადი ცნებები, გაერთიანებული ჩვენი აზროვნების მიერ არის იმ ზოგადის გამოხატვა (გამოსახვა), რაიც თვითონ საგნებშია“ — ეს დებულება არის საფუძველი ლმერთის არსებობის ონტოლოგიური დამტკიცებისა. და მართლაც, არსება ლმერთის არსებობის ონტოლოგიური დამტკიცებისა იმაში მდგომარეობს, რომ რადგან არსებობს ლმერთის ცნება, ამიტომ ამ ცნებას უდრის ნამდვილი რეალობა, ე. ი. ლმერთი“ („В защиту диалектического материализма“ გვ. 250).

ამ ავტორს, როგორც ვიცით, მაგარი გამოთქმა და საშიში სიტყვები უყვარს, ამით ის ლოგიკური არგუმენტაციის ნაცვლად ხმარობს, როგორც ხედავთ აქ განხლავთ თეოდიცია, ბუცობა, ლმერთის არსებობის ონტოლოგიური დამტკიცება და რომელი აბდა-უბდა გასურდეთ. მთელი ეს „სიტყვიერება“ დასჭირდა ავტორს იმის დასამტკიცებლად, რომ „დებორინელების“ საწინააღმდეგოთა დამტკიცებია, რომ ზოგადი ცნებები არ არიან იმის გამოხატულება, რაც თვით საგნებშია მოკეპული. ჩვენ ღრმა აზროვან ავტორს მოჰყავს თავისი „გამანადგურებელი“ არგუმენტი ლმერთის არსებობის ონტოლოგიური დამტკიცების შესახებ და ამით სურს არამც თუ ამხ. კარგევის დამარცხება, არამედ ჩვენი, ყველას ფარდის ახდა და იდეალიზმში დაჭერა. ასეთი მეთოდები აქ არ გამოდგება. აბა ვისთვის არ არის ნათელი, რომ ამხ. კარგევის მსჯელობას არაფერი საერთო არა აქვს ლმერთის არსებობის ონტოლოგიურ დამტკიცებასთან. ეს ორი გარემოება სულ სხვადასხვა რამეა. პირველს შემთხვევაში ლაპარაკია ჩვენს ცნობიერებაში იმის გამოხატვაზე რაც არის თვით საგნებში. მეორე შემთ-

ხედავით კი ლაპარაკია ისეთ ცნებაზე, რომელიც არ არის ობიექტური რეალობის გამოხატვა, არამედ არის ნაყოფი ჩვენი სუბიექტური აზროვნებისა. პირველ შემთხვევაში ჩვენ ცნება იმიტომ გვაქვს, რომ წინასწარ არსებობს ობიექტური რეალობა, რომელიც მასში გამოხატულია; მეორე შემთხვევაში კი ღმერთის რეალობა იმიტომ არსებობს, რომ ღმერთის ცნება გვაქვს. გვეგონია საჭიროც აღარ არის ამ აბნეულობაზე კიდევ შეეჩერდეთ.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს ყოველად უბრალო და ანბანური ქეშპარიტების გაგების უნარიც კი ღაეკარგათ. ისინი მუდმივ ჩვენს იდეალიზმზე ჩასჩიბინებენ მკითხველს, ეს ნაწმენდალ საკუთარი იდეალიზმის დასაფარავად. აბა ვინ არ იცის ის პოლემიკა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ერთხელ კიდევ გაჩაღდა საშართლისა და ზნეობის საერთო სავალდებულო კანონების ირგვლივ. ესთეთიკაშიაც იგივე ყველასათვის სავალდებულო ნორმები დაღირებულებანი ვრცელდებიან. ამის მქადაგებელნი კანტის ნიადაგზე დგანან და მარქსიზმის მტერ იდეალისტურ ტენდენციებსა და მიმდინარეობებს უკავშირდებიან. მართალია, რომ ისინი თავიანთ იდეალისტურ შეხედულებებს მარქსისტულად აცხადებენ; მაგრამ, საბედნიეროთ, ამ „მარქსისტებს“ ყველანი არ უჯერიან. უნდა გვეფიქრა, რომ ზოგი ამხანაგი მქაანისტურა ბლოკიდან იმდენ ვაეკაცობას გამოიჩინდა, რომ ამ სავსებით ნათელ იდეალისტურ იდეებისაგან მინც გაიმიჯნებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა. ბლოკი ურთიერთ ამნისტიის ნიადაგზე შემდგარი. და მართლაც, როგორ შეუძლია სარაბიანოვს იდეალიზმის წინააღმდეგ გაილაშქროს ეთიკის და ესთეთიკის სფეროში, როცა თვითონ შეშეცნების თეორიაში ორივე ფეხებით სუბიექტიური იდეალიზმის ნიადაგზე დგას. ამხანაგებმა მქაანისტური ბლოკიდან არ დაინახეს აგრეთვე საჭიროთ ურადლება მიექციით ლ. აქსელროდის გამოსვლებისათვის ტოლსტოის იუბილეუმის გამო. ამ თავის საინტერესო გამოსვლაში, რომელსაც, რასაკვირველია, ორტოლიოქსალურ-მარქსისტულათ ასაღებენ, ჩვენი ავტორი სწერს შემდეგს: „დაბალი და შევიწროებული კლასები, უკვე ტრადიციის და მტკიცე-აუცილებელი კავშირს წინაპრებიდან ნაანდერძევის მიხედვით, მოკლებული არიან ყოველივეს. ერთნაირი და მძიმე შრომა, მუდმივი ვასაქირი, სიღატაკე, ვაჭირვება, ყველაფერი ეს სულ სხვა და სხვა ნაირია წვალების მზრებ, თავს იყრის ერთ დიდი ვასაჭირისა და წვალების მდინარეში, რომელიც არაფერს ნათელს და წარმტაცს მის მოვონებაში არ სტოვებს. სულ სხვა საქმეა მაღალი, ვაბატონებული კლასის ადამიანი, კლასის, რომელიც ასი წლების მანძილზე ბატონობდა და ცხოვრებას შეთაურობდა. აქ ამ კლასის თვითთელი წევრის მოვონება აესილია წარმტაცი და სხვადასხვა ფერადი მოვლენების მოვონებით, ნათელი მოვონება და წინაპართი ვანცხორომისაგან ვადმოკემული ტრადიციები, ყველა ოჯახური ვარემოება, დაკავშირებული ღიდს დღეობასა და აღფრთოვანებასთან—ერთი სიტყვით ეს ფერადი და წარმტაცი ცხოვრება ასეთსავე მოვონებას სტოვებს შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და ამით იქმნება ამ კლასის თვითთელი წევრის თავისებური შინაგანი ქვეყანა,-- განთავისუფლება ამ ქვეყნიდან უკვე უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს. და რამდენათ ამა თუ იმ კლასის წევრი უმალღეს წერტილზე დგას, იმდენათ ძნელია

მისთვის გაწყვიტოს ისტორიულ ტრადიციებთან და მისი ზეგანული მასშტაბით განთავისუფლდეს*. და ქვემოთ: „განბატონებული კლასები, აწარმოებენ რესტრუქციულ ცხოვრებას უცხო რელიგიური ასკეტიზმისათვის, მაინც უფრო ინახავენ რელიგიურ ტრადიციებს, ვიდრე დამონაწევებული კლასები. ეს უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ რელიგია მათთვის ის ერთადერთი იდეოლოგიაა, რომელსაც ისინი მიმართავენ გაქირავების და სიკვდილის მომენტებში. უმაღლესი კლასის წევრებს ყოველთვის მეტად ეშინიათ სიკვდილის, ვიდრე პიროვნებას დამონაწევებული კლასიდან, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. მეორე კატეგორიის ადამიანები, იმით, რომ ცხოვრებიდან მიდიან, ძალიან ნაკლებ რამეს ჰკარგავენ“ (ხაზგასმით ჩემია. ა. დ.). ახა რას იტყვიან თქვენ—ამ უკაცრავით პასუხია—მარქსისტული მსჯელობის შესახებ. მგონია ყველაფერ ამას მარქსიზმთან არაფერი საერთო არა აქვს. მაგრამ ამხ. მექანიკური საჭიროთ არ სცნობენ. გაიმიჯნონ ამ ყოვლად სამოწყალო ფილოსოფიისაგან. სხვათა შორის, როგორ შეუძლიან მათ ამიდან გამიჯნა, როცა თვითონაც მარქსიზმის ყველა ძირითად დებულებას სადაო და საკამათოდ აცხადებენ.

აქამდე მე შევხევე კერძო ხასიათის პრობლემებს, მაგრამ ისინიც საკმაო მასალას იძლევიან მექანიკური ბლოკის ფიზიონომიის გასაცნობად. შენიშნეთ, რომ მე საესებით არ შეგებებიარ მთელ რიგ ასეთ პრობლემებს, რომლებიც ჩვენ დავაში მექანიკურთან ცენტრალურ ადგილზე არიან მოთავსებულნი. ამ საკითხებს მე არ შევხევე იმიტომ, რომ ისინი უკვე უდავოთ ჩვენდა სასარგებლოდაა გადაწყვეტილი და მახე დღეს მეტი შეჩერება საჭირო აღარ არის. მე შეგნებულად ვგმავოფილდებოდი ზოგადი ხაზებით, რათა საერთო სახეებში დამესურათებია მდგომარეობა ჩვენს ფილოსოფიურ ფრონტზე.

სურათის საესეობისათვის აუცილებელია კიდევ მოვავაწიოთ ამხანაგებს მექანიკურების მიერ მოცემული ახალი განმარტება მატერიალიზმის არსებისა, ეს მათი აზრით მექანიკური მიზეზობრიობით არის გამოთქმული. საკითხის ასეთი დაყენება სავსებით შეთანხმებულია მათ საერთო პოზიტივისტურ მიმართულებასთან; მატერიალიზმის ასეთი განმარტება იძლევა საშუალებას მატერიალიზმით გამოვაცხადოთ ყველა მატერიალიზმისათვის უცხო იდეალისტური და ნაბევრად იდეალისტურია, ე. ი. ეკლექტიური მიმდინარეობანი. მექანიკური ბლოკი იჩენს ძალიან ლიბერალურ განწყობილებას ყველა ჯურის რევიზიონისტურია მიმდინარეობის მიმართ. ამაშია მისი თავისებურება. უბრინცობა—ეს მთავარი საფუძველია მექანიკური ბლოკისა. ის შეურთებელ ბრძოლას მხოლოდ დიალექტიური მატერიალიზმის წინააღმდეგ აწარმოებს, ყველა ანტიმარქსისტული მიმდინარეობის მიმართ იჩენს გასაცვირალ „სიმშვიდეს“. ამით აიხსნება ისიც, რომ მექანიკური ბლოკის რიგებში მოუთებულან ის ამხანაგები, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენთვის თავზე მოეხვიათ ფრეიდიზმი, რასაც ისინი მარქსიზმით, თუ მარქსიზმით შესავსებ საშუალებათ სთვლიდნენ. ეს ამხანაგები ტრაქტატების მთელ რიგს სწერდნენ და გვიმტკიცებდნენ, რომ ფრეიდის შეხედულებანი ყველა ძირითად საკითხებში თითქმის ისეთივეა, როგორც მარქსისა და ენგელსის. კიდევ მეტი, ფრეიდიმა და მისმა მიმდევრებმა, სწერს ვარიანში,



„ახალი სინათლე“ მოპუინოს მითოსის და რელიგიის, ადამიანთა მთავარ დღე დაწესებულების, წარმოშობის საკითხს, „სიკვდილისა, ხელის შექცევისა“ და კანონების წარმოშობის პრობლემას“ და სხვ. ფრეიდიზმი აქ მარქსიზმის თანატოლი გამოდის. ბუნებრივია, რომ ჩვენ გამოვედით ამ ტენდენციების საწინააღმდეგოთ. ჩვენ ამისათვის ძალიან გვაგინეს. ჩვენ ბრალს გვდებენ, ვითომც ჩვენ ვაფერხებდეთ მეცნიერების განვითარებას საბჭოთა კავშირში, რომ ჩვენ საბჭოთა ნიადაგზე უფლებას არ ვაძლევთ განვითარდეს დასავლეთის აზრის უდიდესი მიღწევანი. მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ამ, ასე ვთქვათ, პატივცემულ ამხანაგებს არ უწინდით, ჩვენი გზებით მივდიოდით და უნდა ითქვას, რომ შედეგებსაც მივალწიეთ. ჩვენ ვაძულეთ ჩვენ საკუთარ ფრეიდისტებს სცენიდან ჩამოსულიყვნენ. აბა როგორი თქენთავანი იტყვის, რომ ჩვენ მართალი არ ვიყავით? ჩვენ ვერ შეურიგდებოდით იმას, რომ ფრეიდისტები ახალ „მარქსისტულ“ მიმდინარეობას შეჰქმნიდნენ. ფრეიდიზმმა, როგორც სოციალისტური მოძრაობა, რომელსაც ვითომც მარქსიზმი გაემდიდრებია, თუ შეეცალა, ჩვენ საბოლოოთ დავამარცხეთ. შეიძლება მან ახალი ბინა ჭერს ქვეშ მოინახა, მაგრამ, რამდენად ჩვენ ვიცით, ის პოპულიარობით იღარ სარგებლობს.

რასაკვირველია ნათქვამი იმას არ ნიშნავს, ვითომც მე ფრეიდის მოძღვრებას ერთგვარ დადებით მნიშვნელობას არ მივაწერდე, განსაკუთრებით მედიცინის ფსიქოლოგიისათვის. მაგრამ რამდენად ადვილს აქვს ცდას, გამოაცხადონ ფრეიდიზმი უოველივე ამხსნელ მსოფლმხედველობათ ან და სოციოლოგიურ თეორიათ, რომელსაც ვითომც ისტორიული მატერიალიზმის კონკურენციის გაწევა შეუძლია, ამდენად გამოვდივართ და ვიბრძვით ჩვენ ისეთი ცდების წინააღმდეგ და ვიბრძობლებთ მომავალშიაც. გამოვიდნენ თუ არა მექანიკები ჩვენი ფრეიდისტების წინააღმდეგ? არა, არ გამოსულან. წინააღმდეგ, მათ ამხ. ვარიანთან უმტკიცესი კავშირი შეჰკრეს.

ჩვენ მოწინააღმდეგეებს თავიანთი თავი „სპეციალისტებად მიიჩნიათ მახიზმის დარგში. მართლაც, ზოგ მათგანს აქვს ჯეროვნად ბუნდოვანი წარმოდგენა მახიზმზე. ასეა თუ ისე, სიტყვებით ისინი უოველთვის მზათ არიან მახიზმს ებრაძლონ. საუბედუროთ ისინი მახიზმს იქ ხედავენ, სადაც ის არ არის და იქ ვერ ამჩნევენ, სადაც ის ყვავის. მაგ, ჩვენ, დიალექტიკოსებს, მახისტობაში გვდებენ ბრალსა, მიუხიდავით იმისა, რომ ჯერ-ჯერობით ამ შეხედულების დასამტკიცებლად არც ერთი არგუმენტი არ წამოუყენებიათ. ამავე დროს მექანიკების მიერ გამოცემული კრებული, ე. წ. „დიალექტიკა ბუნებაში“ აქრელებულია მახისტური შეხედულებებით და იქ კრიტიკის საგანია... ენგელსის დიალექტიკა. ამ კრებულის მეორე წიგნის მე 255 გვერდზე აი რის წაკითხვა შეგვიძლია:

„უფრო ახალი კრიტიკოსი ბერმანი, რომელმაც შეაკრად გაუმასპინძლდა კლასიკური დიალექტიკის დებულებების მთელ რიგს, როგორც „ენგელსის სქემატიზმის ნაყარს“, მიდის დასკვნამდე, რომ დიალექტიკის მთელი არსება მდგომარეობს არსისა და ცნობიერების ევოლიციონისტურ, ისტორიულ-გენეტიურ გაგებაში; ყველა დანარჩენი, რაც დიალექტიკას უკავშირდა, არის ხელოვნური და არა არსებითი. ბერმანი აღნიშნავს, რომ მაგ. ენგელსი უკვე აფიქრება-

ში“, ერთს სიტყვასაც აღარ ამბობს რიცხვობრივი ოდენობის ეფესურებზე განსხვავებაში გადასვლაზე და არც უარყოფის უარყოფაზე“ და უკაცმღებში კენტრი თვალნათლობით, ვიდრე „ანტი-დიურინგში“ აყენებს „საერთო ევოლიუციის პრინციპს“, რაიც სწორედ ის არის, „რასაც დიალექტიური მეთოდი ეწოდება“. ჩვენ არ ვაპირებთ დასაზღვრული კრიტიკოსების აზრებს ხელი მოვაწეროთ, მაგრამ მათი გამოსვლები, გვეგონია, იმის აღსანიშნავათ გამოვადგება, რაც დიალექტიკაში უდავოა და მყარია. ეს არის „ქცევადობის“ პრინციპი (და გენეტიური კავშირის), რომელსაც დიალექტიკის კლასიკოსები სთვლადენ მის ძირითად ნაწილად, დიალექტიური მატერიალიზმის ცენტრად.

დაბოლოს, ახლა ხან გამოსული კრებული „Marxismus und Naturwissenschaft“ ადღერის სიტყვებით კიდევ უფრო ნათლად გამოთქვამს: „Wir können konstatieren, dass die Bezeichnungen „Materialismus“ und „Dialektik“ bei Marx und Engels sic vollständig mit den Begriffen der modernen Naturwissenschaft „Erfahrung“ und „Entwicklung“ decken“.

ძალიან საინტერესოა, რომ მექანიკების მიერ გამოცემული „დიალექტიკა ბუნებაში“ აკრძალავს მახსიურ იდეებს. ძალიან საინტერესოა მითითება ბერმანზე და ადღერზე. თურმე მექანიკები სოლიდარულად განწყობილი არიან ბერმანთან და ადღერთან დიალექტიკისა და მატერიალიზმის კრიტიკის დროს. ეს ერთად ერთი ფაქტი უკვე იმის ნაჩვენებელია, რომ მექანიკები ძალიან ცუდად იცნობენ მარქსიზმის ისტორიას. სხვათა შორის, ამასაც თავისი ლოლიკა აქვს. მახსიები ენგელსის დიალექტიკისა და მატერიალიზმის წინააღმდეგ ბუნებისმეტყველების „გადარჩენისათვის“ გამოდიოდნენ. იგივე მეორდება დღეს მექანიკების ბანაკშიაც, ისინიც ამავე ბუნებისმეტყველების „გადარჩენის“ მიზნით ეკვეთენ დიალექტიურ მატერიალიზმს. ასეთია ახლანდელი მექანიკების შეხედულება, რომლებსაც აუცილებლად მიაჩნიათ დიალექტიური მატერიალიზმის საფუძვლების გადასინჯვა თანამედროვე ბუნებათმეცნიერების თვალსაზრისით. ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ეს თანამედროვე ბუნებათმეცნიერება არამც თუ ეწინააღმდეგება დიალექტიურ მატერიალიზმს, არამედ იძლევა საუკეთესო საბუთებს მისი სისწორის დამტკიცებისათვის. ჯერხნობით კი მოვაგონებთ ამხანაგ მექანიკებს, რომ კიდევ ოცი წლის წინეთ დიალექტიური მატერიალიზმის წარმომადგენლებში გამანადგურებელი კრიტიკით გაუმასპინძლდნენ ბერმანისა და ადღერის შეხედულებებს, ამ ამანაგებს ის ხომ მაინც უნდა სცოდნოდნათ, თუ რა რიგ გაუმასპინძლდა მათ ლენინი. მექანიკები თავიანთ თავს თუმცაღა ჯერ კიდევ მატერიალისტებს უწოდებენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი დიდი ხანია პოზიტივისტებათ გადაიქცენ, ზოგი მათგანი კი სუბიექტიურ იდეალიზმთანაც მივიდა. რაც შეეხება დიალექტიკას, ეს მათ ჩვეულებრივი ვულგარული ევოლიუციონიზმის სახით ესმით.

III

ჩვენი ხუთი წლის დისკუსიის ცენტრალურ წერტილს მატერიალისტური დიალექტიკის საკითხი შეადგენს. საჭიროა ამ ფაქტის განმარტება. რატომ ტრი-

აღებდა ჩვენი დავა სახელდობრ დიალექტიკის ირგვლივ? შეიძლება ერთგვარად იმით რომ მატერიალისტური დიალექტიკა მარქსიზმის მთავარმა დღევანდელმა წარმომადგენელმა, როგორც ამას ხშირად განსვენებული პლენარული აშხობდა, სულია ყოველივე მეცნიერული შედეგებისა. ამიტომ ბუნებრივია, რომ კამათი დიალექტიკის ირგვლივ სწარმოებდა. ეს, რასაკვირველია, ასეა. მაგრამ გარეშე ამის მოიპოვება მთელი რიგი სხვა გარემოებისა, რომელნიც დღეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ დიალექტიკისადმი. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, თვით ფაქტი პროლეტარული რევოლუციისა. ეს ახალი „მოვლენა“ თავისთავად ახსნას მოითხოვს, ყველაფერი, რაც კი ამ 11-12 წლის განმავლობაში ჩვენში კი ხდება, ყველა მოვლენა, რომლებიც დახასიათებულია ახალი ურთიერთობით, ახალი ტენდენციებით, ახალი ფორმებით, ახალი კანონზომიერებებით და სხ. და სხ., ყველა ეს, ცხადია, რომ იმ მეთოდისაკენ ინტერესს იწვევს, რომლითაც ეს ახალი მოვლენები ახსნილი უნდა იქნან. ძველი კანონზომიერების გადასვლა ახალ კანონზომიერებაში, განვითარება მთელი რიგი თვისობრივად ახალი მოვლენისა, ტენდენციისა, ფორმებისა და სხვ.—ყველაფერი ეს შეიძლება ვაგებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მეთოდის, მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით; ამიტომ აგრძედე ბუნებრივია, რომ ყველა ამისგან დამოუკიდებლათ ჩვენში წამოიჭრა ახალი პრობლემები, რომლებიც ბევრებს სქოლასტიურიც კი ჰგონია,—ეს არის პრობლემები თვისობრივობისა, პრობლემა დაყვანისა, საკითხი მოძრაობის ფორმების შესახებ, არსებისა და მოვლენისა, ფორმისა და შინაარსისა და სხვ. ყველაფერი ეს უსაქმო ფილოსოფოსების ნაყოფი კი არ არის, არამედ ყველა ეს პრობლემა დასმულია თვით ცხოვრების მიერ.

ჩვენ წიგნის მარქსისტები არა ვართ, ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ ჩვენი ეპოქა და ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა. ჩვენ, გვეგონია, სწორედ გავიგეთ, სად არის ცენტრალური წერტილი, ცენტრალური კვანძი, რომელშიაც თავს იყრის ყველა ის თეორიული პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენს აღმშენებლობასთან, მთელს ჩვენს ცხოვრებასთან. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მატერიალისტური დიალექტიკა; ჩვენი ეპოქა იძლევა კავშირის ახალ ტიპს, ურთიერთობის ახალ ფორმებს მოვლენებსა და საზოგადოებრივ ცხოვრების შორის. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ, მარქსისტები ვცდილობთ შევიგნოთ ჩვენი თავი, ჩვენი საკუთარი მუშაობა, საკუთარი მოღვაწეობა, საკუთარი ეპოქა. ჩვენ ბრძანით არ ვმოქმედებთ, ჩვენ შეგნებულად და წინასწარგანზრახული მიზნით გარკვეული მიზართულებით ვმუშაობთ. საუბედუროთ მე არ შემიძლია აქ შევიჩერდე მატერიალისტურ დიალექტიკის, როგორც მეთოდის დამოკიდებულებასზე საზოგადოებათმეცნიერულ დისკალინებთან, აქაც ბევრი რაიმე სალაპარაკო და საკამათოა, მე ჩემ ამოცანას იმით ვაფიქროვებ, რომ ჩვენი დისკუსია უმთავრესად ფალოსოფიის და ბუნებათმეცნიერების ურთიერთობის ფარგლებში მიმდინარეობდა. ჩვენს პირობებში დიალექტიური მატერიალიზმი ისეთ ახალ სფეროებში შეიჭრა, სადაც უწინ ჩვენ არც კი შევიხედავდით. ბუნებრივია, რომ პროლეტარიატის გამარჯვებას და მარქსიზმის მიერ გეგმონიის მოპოვების შემდეგ

ჩვენთვის ბუნებათმეცნიერების დაპყრობა აქტუალური საკითხი მხოლოდ მაშინ არ შეეჩერდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბუნებათმეცნიერებას ტექნიკისათვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მასალის დაპყრობისათვის, ქვეყნიერების დაპყრობისათვის საერთოდ. დღეს ჩვენ ვდგევართ აუცილებლობის წინაშე—რეკონსტრუქცია უქნათ მთელს ჩვენს მეურნეობას. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, აუცილებელია ვიბრძოლოთ ბუნებათმეცნიერების ფრონტზე და აქაც დავიპყროთ საჭირო პოზიციები. და ჩვენც ამ ფრონტს მივცენ დიდთ, მართალია, რომ ჩვენ ძალიან ბრძნულ რჩევას ვაძლევდნენ. ჩვენ გვეუბნებოდნენ: „ნუ ეჩხირებით ბუნებათმეცნიერებაში. ჩვენ კომუნისტი-ბუნებისმეტყველნი არ გვყავს, და თუ გვყავს ძალიან მცირე რიცხვი. რა უნდა გააკეთოთ ამით?“ ჩვენ ამ რჩევას არ ვაგვევებით, მე ქვემოთ გაჩვენებთ, რომ ბევრი ამანაგის შეხედულების წინააღმდეგ,—იმ ამანაგებისა, რომლებიც გვისაყვედურებდნენ, რომ ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ დიალექტიკაზე და ბუნებათმეცნიერებაზე, მაგრამ ძალიან ცოტას ვაკეთებთ პოზიტიურად ბუნებათმეცნიერებისათვის—გაკეთებულია ძალიან ბევრი და გაკეთებულია ძირითადი და თუ ბევრ ამანაგს ამავე საქმის კეთება შეეძლო, მაგრამ მან თანამშრომლობის მაგიერა თ „პოზიციის პოზიციაზე“ დაარჩენა მოისურვა, ეს ჩვენი ბრალი ხომ არ არის.

ჩვენ ხშირად იმაშიაც ბრალსა ვდებდნენ, ვითომც ჩვენ მეთოდოლოგია პოზიტიურ მეცნიერებას დავაშორეთ, რომ ჩვენ ვითომც აზრი გვაქვს ავაშენოთ აპრიორული ფილოსოფიური სისტემა და სხვ. ყველაფერი ეს უბრალო თავის ქცევაა. არაფერს ამის მსგავს ადგილი არ ჰქონია და ის ვინც მართლა ჩვენს მუშაობას თვალს ადევნებდა, მან კარგათ იცის, რომ ამ ფრონტზე ჩვენ ესა თუ ის გამარჯვება მხოლოდ იმიტომ მოვაპოვეთ, რომ დიალექტიკის საკითხები ბუნებათმეცნიერების პრობლემებს დაუკავშირეთ. ჩვენ სრულიადაც რომაა არ ვაშენებდით დიალექტიური სქემის აპრიორულ შენობებს. ორი გარემოება გვაიძულებდა ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით მოვპყრობოდით ბუნებათმეცნიერებას. პირველი, ის რომ თანამედროვე ბუნებათმეცნიერება განიცდის უღრმეს კრიზისს და ეს კრიზისი—ამაში უნდა კარგათ გავერკვეთ—ბუნებათმეცნიერების დაცემის და დაკნინების მაჩვენებელი კი არ არის, არამედ მისი განვითარების. ჩვენ ხელახლა მოწამენი ვართ უდიდესი რევოლუციებისა ბუნებათმეცნიერებაში, რომლებმაც უნდა გადაახალისონ მეცნიერების მთელი შენობა. დღეს წინააღმდეგობა ბუნებათმეცნიერების მიღწევებს შორის და აზროვნების ჩამორჩენილ ფორმებს შორის ისე განწყვედა, რომ პირველ რიგში თავისთავად წამოადგა საკითხი ახალი ლოგიკის, ახალი მეთოდის. დღეს ამას გრძობს თითქმის ყველა დიდი წარმომადგენელი თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა.

რამაა აზრი თანამედროვე კრიზისისა, ანუ როგორც ლენინი იტყოდა, რევოლუციისა ბუნებათმეცნიერებაში? ერთის მხრივ, კრიზისის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თვით ბუნებათმეცნიერებამ წამოაყენა ყველა ძირითადი საკითხი ფილოსოფიისა, მეორეს მხრივ, იმაში, რომ ბუნებათმეცნიერება ამტკიცებს დიალექტიური მატერიალიზმის სისწორეს. სწორეთ

საქიანო

ამით თანამედროვე ბუნებათმეცნიერების დიალექტიკასთან დაკავშირებას შევძლებთ აუცილებლობის სახე მიუღია. ამხანაგა მექანიკები, რომლებმაც წამოაყენეს ლოზუნგი: „მეცნიერება თვითონ არის ფილოსოფია“, ცდილობდნენ დიალექტიური მატერიალიზმის ლიკვიდაციას. ისინი გვეუბნებოდნენ, რომ დიალექტიური მატერიალიზმის საზოგადოებრივ მოვლენების მიმართ ისტორიული მატერიალიზმის სახით გვევლინება, ბუნებათმეცნიერული დისციპლინების მიმართ კი თანამედროვე მექანიკური ბუნებისმეტყველების სახით, ამიტომ ძირს დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფია. მაგრამ რა გამოვიდა? გამოვიდა, რომ დღეს თვითონ მეცნიერება, თვით ფიზიკა დღიურ წესრიგში აყენებს ფილოსოფიურ საკითხებს და უდიდესი ფიზიკოსები გვეუბნებიან, რომ მათ ფილოსოფია სჭირდებათ. მოვიყვანოთ აქ ამ საკითხის გამო პლანკის, იორდანის და ყველა იმ დიდი მეცნიერის აზრი, რომლებსაც ესმით აზრი და მნიშვნელობა თანამედროვე ბუნებათმეცნიერებაში მიმდინარე პროცესებისა?

როგორია ბუნება ჩვენი დროის კრიზისისა ბუნებათმეცნიერებაში? ლენინის „მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის“ ეპოქაში, ე. ი. ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში, ძირითადი პრობლემა იყო, მატერიის რეალობის პრობლემა. ამ პრობლემის გარშემო ტრიალებდა ყველა სადაო პრობლემა და საკითხი. მატერიის ახალი ფორმის აღმოჩენასთან დაკავშირებით ბუნებათმეცნიერების ბანაკში ადვილი მოიპოვა იდეალისტურმა მიმართულებამ, რომელიც ასწავლიდა, რომ მატერიალიზმი დამარცხდა; რადგან მატერიის ახალი ფორმა აღმოაჩინეს — მატერია აღარ არსებობს — დაახლოვებით ასეთი იყო იდეალისტ-ბუნებათმეცნიერების აზრთა მსვლელობა.

ლენინმა შეიტანა ძალიან სერიოზული თავი არამც თუ ფილოსოფიის ისტორიაში, არამედ მეცნიერების ისტორიაში იმით, რომ მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ფიზიკური იდეალიზმი და მოგვცა მარქსისტული გაშუქება იმ დროინდელი ფიზიკის მიერ წამოყენებული საკითხებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ უცხოეთში ძალიან კარგი შეხვედრა მიიღო (რასაკვირველია, არა პროფესიონალი ფილოსოფოსების წრეში, რომლებიც თავიანთი იდეალისტური მედიდურობის გამო მატერიალისტურ წიგნებს არ კითხულობდნენ), რეცენზიები ამ წიგნზე დაიბეჭდა „Monistische Monatshefte“-ში და „Die Naturwissenschaften“-ში. ის კი არა ფიზიკი ფილაზე ფრანკი ლენინის მხარეზე აღმოჩნდა იხარალით ხელში! ამ წიგნის ერთ-ერთ თავს ლენინი ამთავრებდა სატყუებით: „ფიზიკა მშობიარობის პროცესშია. ის დაბადებს დიალექტიურ მატერიალიზმს“. მე უნდა განეაცხადო, რომ თუ ჩვენი საუკუნის პირველი ათი წლის დასასრულს საკითხის ასეთი დაყენება უცხო და გაუგებარი იყო ბუნებათმეცნიერებისათვის, ახლა ჩვენ ამ მიმართულებით იმდენად წინ წავედით, რომ დღეს თვით ბუნებათმეცნიერნი დიალექტიური პროზით ალაპარაკდნენ.

დიალექტიური მატერიალიზმი ეფუძლება უდიდეს ნადავლს. ჩვენ ვიმყოფებით ბუნებათმეცნიერების წიაღში მატერიალისტური დიალექტიკის დაბადების წინ. ჩვენს ეპოქაში ურადღების ცენტრში მატერიის რეალობის პრობლემა აღარ

დგას. მე ამით იმის თქმა არ მინდა, ვითომ ჯერ კიდევ არ დაჩქარდნის იმედი იქნებოდა. ისეთი ბუნებათმეცნიერნი, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდა მატერიის არსებობაში. პირიქით, სულ ახლახან ახალი აღმოჩენის გამო ხელახლა აღაპარაკდნენ იმაზე. რომ ატომი და ელექტრონი რეალობა კი არ არის, არამედ მხოლოდ ცნებაა. ერთი სიტყვით, მახიზმი, იდეალიზმი და მისტიციზმი აღორძინდენ და უშუალოდ ბუნებათმეცნიერებისაგან იკვეთებიან. უკვე აქედან ცხადია, თუ რამდენად მართალნი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ „ფილოსოფია ჩვენი წყლულია“, რომ მისგან მოდის უბედურება, რომ ბუნებათმეცნიერება თავისთავად თავისუფალია იდეალიზმისაგან. არავითარი ამის შესავსი! ლენინი ათასჯერ მართალი იყო როცა სწერდა და ხაზს უსვამდა, რომ სერიოზული ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე არც ერთ ბუნებათმეცნიერულ დისციპლინას არ შეუძლია მოიგერიოს ბურჟუაზიულ-იდეალისტური იდეების იერიში. თანამედროვე „მიმდინარე მომენტი“ ხსიათდება იმით, რომ უდიდესი ფიზიკოსები მისტიციკას, სპირიტუალიზმს და ქაჯებს და სხ. მიეცენ. თანამედროვე ფიზიკის შიგნით მიმდინარე გარდატეხიდან ხშირად იხადება იდეალისტური და მისტიური განწყობილება. ის ძირითადი წერტილი, რომლის გარშემო დღეს ფიზიკის პრობლემები ტრიალებენ, არის მოვლენათა ფორმების კავშირის პრობლემა. მეცნიერებამ აღმოაჩინა მოძრაობის ახალი ფორმები, ურთიერთობისა და კავშირების ახალი ფორმები, ახალი კანონზომიერებანი; ამიტომ ძირითად კატეგორიების და კანონების და კავშირის ახალი ფორმების მთელი რიგი დღეს პირველ რიგში წამოდგენ: დროისა და სივრცის პრობლემა, მიზეზობრიობის პრობლემა, მოძრაობის პრობლემა და სხვ. მთელი თანამედროვე ბუნებათმეცნიერების ცენტრალური კვანძი კი—დაპირისპირებულთა ერთიანობის პრობლემაა. დიალექტიკის ამ ძირითადი კანონის ირგვლივ სწრაზობებს დღეს ყველა დავა და მთელი რიგი ახალი აღმოჩენებისა ფიზიკის სფეროში მშვენიერად ამტკიცებენ ამ კანონის სისწორეს. აი რა საკვირველებანი ხდება ამ ჩვენს ცოდვილს ქვეყანაზე!

ზგონი საჭიროც აღარ არის მოვაგონო ამხანაგებს, რომ ჩვენ ამ სფეროში უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ თეორიული ფიზიკის საფუძვლად დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპი უნდა დადგინდულიყო. ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენ ამისათვის ბრალსა გვდებდნენ იდეალისტობაში, სქელასტიკობაში, ერთი სიტყვით, ყველა მომაკვდინებელ ცოდვაში. ამბ. ტიშირიძეებმა მე „ბუნებათმეცნიერების გამაუქმებლად“ გამოამაცხადო. აბა ვის, თუ არა ტიშირიძეებს უნდა დაეცო ბუნებათმეცნიერება ჩვენი თავდასხმისაგან?

ჩვენი და მექანისტების დავის საფუძვლებს შეადგენს ის, რომ მათ ვერ გაიგება თუ რა ხდება დღეს ბუნებათმეცნიერებაში. ჩვენს მოწინააღმდეგეთ არ ესმათ, რომ თანამედროვე ბუნებათმეცნიერების კრიზისი მისი მეათეოდროგოური საფუძვლების კრიზისია. ლენინი ჯერ კიდევ „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმში“ სწერდა, რომ „თანამედროვე ფიზიკა მიდის ერთად-ერთ სწორ მეთოდისაკენ, ბუნებათმეცნიერების ერთად-ერთ სწორ ფილოსოფიისაკენ, ის ვერ ხედავს ნათლად თავის საბოლოო მიზანს, უახლოვდება მას ჩუმით,

ქანობით, ხან კი უკანდინაც“. „მატერიალიზმისა და ემპირიკობაზის“ შემდეგ კრიზისი დღით დღე მწვავედება, კრიზისის დღეებში მატერიალიზმის თანახმად პირველ რიგში წამოყენებული პრობლემები მიზეზობრიობისა, წყვეტელობისა და განუწყვეტელობისა და სხ. თავისებურება კი თანამედროვე კრიზისისა იმაში მდგომარეობს, რომ დღის წესრიგში აყენებს დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის მიღებას, მათი ურთიერთ დაძლევის კანონს.

ჩვენი აზრით მხოლოდ დიალექტიურ მატერიალიზმს შეუძლია მეცნიერული მოვლა იმ პრობლემების, რომლებიც თანამედროვე კრიზისიდან გამომდინარეობენ და ხშირად რეაქციონურ-იდეალისტურ და რელიგიურ-მისტიურ მიმდინარეობებს წარმოშობენ. ჩვენ გვგონია, რომ მატერიალისტური დიალექტიკა თანამედროვე ბუნებათმეცნიერებისათვის არის ყველაზე უფრო სწორი ფორმა აზროვნებისა. განხეთქილება თანამედროვე ბუნებათმეცნიერების შედეგებს და აზროვნების მეთოდებს შორის უნდა თავიდან მოვიშოროთ და გადავლახოთ. ეს კი მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის საფუძვლებზეა შესაძლებელი. ჩვენ აქ ასალი არაფერი არ აღმოგვიჩინია, ჩვენ აქ მხოლოდ ენგელსა და ლენინს მივყავით. ამიტომ მე კიდევ რამოდენიმე წლის წინად ფიზიკის წინ მდგარი ამოცანა შემდეგი სიტყვებით გამოვხატე: „თეორიული ფიზიკის საფუძვლად დადებული უნდა იქნას მოძღვრება, დაპირისპირებულთა ერთიანობაზე, მათ ურთიერთ დაძლევაზე; მთელი ემპირიული ფიზიკა, შეიძლება ვთქვათ, რომ „დაპირისპირებულთა იგივეობით“ არის გაფხუვებული, მაგრამ ეს დღემდე გაუფხვარი რჩება“. სხვა ადგილზე მე ვსწორდი: „უმთავრესი ამოცანა, რომელიც დღეს თეორიული ბუნებათმეცნიერების წინ დგას, მდგომარეობს იმაში, რომ ბუნების პროცესების დიალექტიური თვისება გაშუქებული იქნება კერძო მაგალითებზე; აქ უნდა ნაჩვენები იყოს „ნახტომი“, იქ კი მაგალითი თვისობრიობის რიცხობრიობაში გადასვლისა და სხ. მიზანი კი ის იქნება, რომ დიალექტიური თვალსაზრისით განვიხილოთ ბუნებათმეცნიერებას მთლიანად. ამისათვის კი საჭიროა ზუსტი დიალექტიური გაფორმულების ძირითად ბუნებათმეცნიერული ცნებისა, პირველ რიგში ეს მოუწოდებდა ფიზიკაში უნდა ჩატარდეს. ფიზიკაში არ მოიპოვება არც ერთი კონკრეტული ცნება, რომელიც არ იყოს დაპირისპირებულთა ერთიანობის გამოხატულება“ („Диалектика природы“, გვ. 238-239).

ამ ზოგად თეორეტიულ და მეთოდოლოგიური მოთხოვნების წინააღმდეგ გამოვიდა ა. კ. ტიშირიაშვილი. ამ რას სწერდა ის: „ახლა ჩვენ მიუახლოვდით ჩვენი უთანხმოების ნამდვილ ფესვებს. ისინი, ვისაც შექანისტებს უწოდებენ, ფიქრობენ, რომ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების კონკრეტული ფაქტების შესწავლა იმ დონემდე უნდა იქნას აყვანილი, რომ ამ პროცესების დიალექტიკა თვით ფაქტებიდან თავისთავად გამოდიოდეს. ჩვენი მოწინააღმდეგენი მოითხოვენ, რათა ბუნებათმეცნიერებისათვის ჩამოვყალიბოთ ისეთი ზოგადი ფორმულები, როგორცაა მაგალითად: „არ არსებობს დადებითი ელექტრობა უარყოფითის ვარეშე; არ არსებობს ენერჯის გაფანტვა, მისი კონცენტრაციის ვარე-

შე; არ არის მოქმედება უკუქცევითი მოქმედების გარეშე დასრულებული. გვ. 59). „ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა დიალექტიური თვალსაზრისით განეხილოთ ბუნებათმეცნიერება მთლიანად“ (ღებორინი, იქვე). ეს ზოგადი და წყალ-წყალა ფორმულები იძლევიან იმის აბსნსს, თუ რატომ ამბ. ღებორინი ჩემს წინააღმდეგ აყენებს ბრალდებას, ვითომც მე ბუნებათმეცნიერებაში მაჩანჩალობას ვჭადაგებდე“ (!!!) აი ასე წერს ამბ. ტიმირიაზევი.

ქვემოთ ჩვენ დაფინახავთ, ამბ. ტიმირიაზევი¹ ა და მისი თანამოაზრეების თვალსაზრისით, მთელი თანამედროვე ბუნებათმეცნიერების განვითარებით ნაკარნახევი საჭიროება მისი დიალექტიური დაძლევისა, „მეგელიანიზმი“ და „იდეალიზმი“. ამბ ტიმირიაზევს ჩემი მსჯელობების ცენტრალური წერტილი, რომ ფიზიკას „საფუძვლად დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპი უნდა დაედოს, არ გაუკრტიკებია, როგორც „მარჯვე“ პოლემისტი, ის ჩემს ცენტრალურს დებულებებს კი არ იხილავს, რომლებიც მისგან თეორიულ ანალიზსა და გაშლქებას მოითხოვდენ, არამედ ჩემი ნაწერებიდან იღებს კერძო ფრაზებს და საილუსტრაციოთ მოყვანილ მაგალითებს. ცხადია, რომ ჩემს მაგალითებზეც უარს არ ვამბობ. მაგრამ, დამახასიათებელია, რომ ჩვენ თეორეტიულ დებულებებს მექანიკები პირდაპირ კი არ აკრტიკებდენ, არამედ გვერდიდან, შემოსავლელი გზით, ამა თუ იმ ილუსტრაციაზე ხელის წაპოტინებით. მაგრამ ამბ. ტიმირიაზევმა მაინც გვიჩვენა თავისი ნამდვილი სახე, როცა ის უარყოფითად მოეპურო ჩემს დებულებას, რომ საჭიროა „დიალექტიური თვალსაზრისით მთელი ბუნებათმეცნიერების ხელთ აღება“. ეს დებულებები ხომ იგივენია, რაც ენგელსის „ნატურდიალექტიკისა“. ან და შეიძლება მექანიკები ფიქრობენ, რომ ენგელსი დიალექტიკით ხუმრობდა? „ნატურდიალექტიკაში“, სახელდობრ განყოფილებაში: „ზოგადი დახასიათება დიალექტიკისა, როგორც მეცნიერებისა“ ენგელსი ატარებს იმ აზრს, რომ დიალექტიკის კანონები არსებითად კანონზე დაიყვანება: კანონი თვისებრიობის რიცხვობრიობაში გადასვლისა და პირუკუ კანონი დაპირისპირებულთა (წინააღმდეგობათა) ურთიერთ დაძლევისა და კანონი უარყოფის უარყოფისა. „დიალექტიური კანონები—სწერს ენგელსი—არიან ბუნების განვითარების რეალური კანონები, ე. ი. ძალაში რჩებიან თეორეტიული ბუნებათმეცნიერებისთვისაც“. ენგელსის ამ თვალსაზრისს, როგორც ცნობილია, იხიარებდენ შარკსი და ლენინი. მაგრამ მექანიკებს სხვა წარმოდგენა აქვთ ამაზე. ამიტომ ვასაგებია, რომ ტიმირიაზევისათვის ჩვენი დებულებანი „წყალ-წყალა“ არიან. მაგრამ რაზე ლაპარაკობს ჩვენი დებულება? ის ამბობს, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი არის ბუნების განვითარების რეალური კანონი, და ამიტომ ის ძალაში რჩება თეორეტიული ბუნებათმეცნიერების მიმართაც. თუ ამბ. ტიმირიაზევს ჩვენი ფორმულა არადამაკმაყოფილებლად შიანია, მაშინ კეთილ ინებოს და მან მოგვაწოდოს უკეთესი. რას უპირისპირებს ის ჩვენს ფორმულას. მექანიკები ფიქრობენო, სწერს ის, რომ „ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა კონკრეტული ფაქტების შესწავლა იმ სიმაღლეზე უნდა იყოს აყვანილი, რომ პროცესების დიალექტიკა მათდანვე გამოდიოდეს“. ეს ტიმირიაზევის ფორმულა სინამდვილეში დიალექტიკის უარყოფას ნიშნავს.

„საქმე სწორედ იმაშია—სწერს ანზ. ტიმირიაზევი—რომ დებორინის აზრით, დიალექტიკა ბუნებათმცნიერებაში ისე კი არ უნდა გამოვიყენოთ, როგორც მას იყენებდნენ მარქსი, ენგელსი და ლენინი საზოგადოებათმცნიერებაში, დებორინის აზრით, საქმეა დავითოვით მარქსისტული დიალექტიკა, ყოველ შემთხვევაში ის მას წინააღმდეგ არ გამოდის, ბუნებათმცნიერებაში საკმარისი ყოფილა ჰეგელის დიალექტიკაც, რომელიც ბუნების კანონებს უკარნახებს და არა მისგან გამოყავს ეს კანონები. დიალექტიკის ბუნებიდან გამოსაყვანათ კი აუცილებელია თვითივე კონკრეტულ შემთხვევაში კვლევა-ძიების იმ დონეზე აყვანა, რომ დიალექტიკა თვით გამოვიდეს, როგორც შედეგი მთელი კვლევა-ძიებისა („Диалектика в природе“ კრ. III, გვ.46—47).

ანზ. ტიმირიაზევის ერთნაირად ბნელი წარმოდგენა აქვს, როგორც მარქსისტულ, ისე ჰეგელიანურ დიალექტიკაზე. როგორც ყველა სხვა მექანიკოსს, მასაც არ ესმის ის ურთი-ერთი კავშირი, რომელიც თეორიას და ფაქტს შორის არსებობს. თვითონ დგას უპრინციპო ემპირიზმის და „მაჩანჩალობის“ ნიადაგზე, ამიტომ ის უარყოფს დიალექტიკის როლს, როგორც კვლევა-ძიების იარაღის და ამიტომ ჩვენი თვალსაზრისი ისე გაუგია, ვითომც ჩვენ „ბუნების მის კანონებს უკარნახებდეთ“. განსხვავება ჩვენსა და მექანიკოსებს შორის იმაშია, რომ ისინი შიშველი ფაქტების ნიადაგზე დგანან, ამიტომ პირდაპირ გაუგებარ შიშს იჩენენ თეორეტიკული აზრის წინაშე, ჩვენ კი ფაქტებს თეორიას უკავშირებთ, მათი მთლიანობა და კავშირი გვესმის. ანზ. ტიმირიაზევი დარწმუნებულია, რომ მარქსი, ენგელსი და ლენინი დიალექტიკას ისე ხმარობდნენ, როგორც ეს მას, ტიმირიაზევს, სურს. მაგრამ ეს ყოველად უბრალო შეცდომაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი დიალექტიკას არ ხმარობდნენ, როგორც კვლევის იარაღს, არამედ მხოლოდ შიშველ ფაქტებს აგროვებდნენ. სხვათაშორის, თუ რა რიგ დაიბნენ მექანიკოსები დიალექტიკის გაგებაში ეს ჩანს, იქიდან, რომ ისინი ლაპარაკობენ დიალექტიკის მოხმარებაზე (ეს ტიმირიაზევისათვის იმას ზომ არ ნიშნავს, რომ „ბუნებას კანონებს უკარნახებენ“) ე. ი. თვით მექანიკოსებმა ვერ გაბედეს იმის უარის ყოფა, რომ მარქსი, ენგელსი და ლენინი დიალექტიკას ხმარობდნენ მოვლენების გამოკვლევის დროს. მაგრამ რას ნიშნავს დიალექტიკის „მოხმარება?“ ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრაობისა და განვითარების უკვე აღმოჩენილ კანონებს მოვიხმართ ახალი მოვლენების შესასწავლათ, რომლებშიც, ნაულისხმევი, რომ იგივე ძირითადი კანონები მოქმედებენ. ამიტომ დიალექტიკის მოხმარება არამც თუ არ ეწინააღმდეგება „კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების შესწავლას“, არამედ თვითონ გულისხმობს ასეთს შესწავლას. კიდევ მეტი, დიალექტიკის მოხმარება, ე. ი. დიალექტიკის გამოყენება, როგორც კვლევა-ძიების იარაღისა, ამ „კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების“ ნამდვილ მცნიერულ შესწავლას მართლაც რომ უზრუნველყოფს.

რა წინადადებას ვეძღვევ მექანიკოსებო? ნუ ვისარგებლებთ დიალექტიკით, როგორც კვლევა-ძიების იარაღით, ეს იმიტომ თურმე, რომ მათი შეხედუ-

ლებით, ამით ჩვენ „ბუნებას კანონებს უკარნახებთ“, ამის მაგივრად ბუნებისა და საზოგადოების მოვლენათა კონკრეტული ფაქტები თურმე უნდა შევისწავლოთ, რომ „დიალექტიკა თვითონ გამოვიდეს იმათგან“. დიალექტიკა კი არ უნდა მოვიხმაროთ, არამედ ბუნებიდან და საზოგადოებიდან ის გამოვიყენოთ. ეს სინამდვილეში დიალექტიკაზე უბრალო უარის თქმას ნიშნავს. მაგრამ დაუშვათ, რომ ჩვენ დიალექტიკაზე უკვე გამოგვაავს ბუნებისაგან. რა ექნათ შემდეგ? ეს „გამოყვანილი დიალექტიკა“ ხომ არ გახდება ამოსავალი წერტილი შემდგომი კვლევა-ძიებისათვის? ვითომც კი. თუ კი, მაშინ ჩვენ ხომ ჩვენი დავის დასაწყის უბრუნდებით, ე. ი. საკითხს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა დიალექტიკა იყოს კვლევა-ძიების იარაღი. მექანიკის ტები, თუმცა ბუნდოვან ფორმებში, მაგრამ მაინც გადაჭრით, უარყოფენ ამას. აი რატომ ისინი ასე გააფთრებულნი მოითხოვენ „ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების კონკრეტული ფაქტების შესწავლას“. ზუსტი და მკაცრი კვლევა-ძიება რომ ყველგან საჭიროა ეს თავის თავად ცხადია. მაგრამ მექანიკის ტები რომ ამ ზუსტი ძიებისა და ფაქტების შესწავლის ქვეშ თეორიიდან, თეორიული ახრიდან დამალვას ფიქრობენ, რომ ისინი დიალექტიკურ მეთოდს უარყოფენ—ესეც თავის თავად ცხადია.

მექანიკის ტებმა იმითვე ვერ გაიგეს ჩვენი მიდგომა, რომ მათ კარგი ხანია კავშირი გაწყვიტეს მარქსიზმთან. ისე როგორც ყველა სხვა რევოლუციონისტები, ამათმაც თავიანთი ესთეტიკის ცენტრი დიალექტიკაზე გადაიტანეს. და რადგანაც ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია გამოვიდეთ დიალექტიკის რევოლუციონის წინააღმდეგ. იანია ბრალსა გვდებენ, ვითომც ჩვენ ჰეგელის, ე. ი. იდეალისტური დიალექტიკით ვიყოთ გატაცებული. მაგრამ, აბა როგორ მოვიქცეთ, როცა ჩვენს დიალექტიკას ამართლებს „ბუნებათმეცნიერების განვითარების მსვლელობა, როცა პრაქტიკა ამტკიცებს ჩვენი თეორეტიული დებულებების სისწორეს. აბ. ტიშირიაზეც ძალიან უყვარს პრაქტიკის დამოწმება, თუმცა, მართალი უნდა ითქვას, მას ძალიან სუსტათ ესმის პრაქტიკის როლი მარქსიზმში. მექანიკის ტებისათვის პრაქტიკა ძალიან ხშირად მეშინაურ საქმიანობასა და მოცემული „ფაქტების“ უშუალო კვრეტას ნიშნავს. ამით აიხსნება ისიც, რომ მათ თეორიის როლი პირდაპირ ფატალურად არ ესმით. როგორც ცნობილია მექანიკის ტებმა ჩვენს წინააღმდეგ წამოაყენეს ბრალდება, რომ ჩვენ უარყოფთ მატერიის შენების ელექტრო-ნუკლეარულ თეორიას. ამ ცხენზე დიდებულათ უკრითობდა აბ. ტიშირიაზეც, რომელიც მე ბრალს მდებდა, ვითომც ვიყო „ბუნებათმეცნიერების“ გამაუქმებელი. მაგრამ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ჩვენმა ბუნებისმეტყველმა ვერაფერი ვერ გაიგო თანამედროვე ბუნებათმეცნიერების განვითარებისა. მე არ მესმის, თუ რატომ ამა თუ იმ თეორიის გაკრიტიკება არ შეიძლება უფრო ზოგადი თეორიის, თვალსაზრისით, ზოგადი მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. ემპირიკოსებისათვის, რომლებიც თავიანთი ნაჭუქით ისაზღვრებიან, თვითველი მოცემული ფაქტი არის „პრაქტიკა“, მეცნიერების თვითველი უკანასკნელი შედეგი—უკანასკნელი ინსტანციის ქეშმარიტება.

რაში მდგომარეობდა ჩემი „კრიტიკა“ მატერიის ელექტრონულ თეორიაში? მე მიუთითებ რომ შეხედულება მატერიაზე, როგორც უმცირესი ნაწილაკების ერთგვარ ჯამზე, არის ძალიან ცალმხრივი. მთელი ჩემი „უარყოფა“ მატერიის ელექტრო-ნუკლეარული თეორიისა მხოლოდ და მხოლოდ ამაში მდგომარეობდა. „მატერიისა და ელექტრონის ატომისტური სტრუქტურა—ვსწერდი მე—არის უდიდესი მონაპოვარა მეცნიერებისა, მხოლოდ გონება განსაზღვრულ ემპირიკოსებს და მექანიკებს არ ესმით, რომ დისკრეტობა მოითხოვს განუწყვეტლობას, როგორც თავის „დამატებას“ და მოპირდაპირეს. წმინდა ატომისტური გაგებას მატერიისა, მიეყვარათ წარმოდგენამდე, ვითომც გაბნეული მატერიალური წერტილები იყოს, რომელთა უბრალო შეჯამებისგან წარმომდგარა მექანიკური მასა. მატერია განუწყვეტელობას ისე შეიცავს, როგორც წყვეტელობას“. დიალექტიკის, როგორც აზროვნების უმაღლესი წესის მთელი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ ის „ასინთეზებს“ განუწყვეტელობას და წყვეტელობას, თვისებრიობისა და რიცხობრიობისა, ექსტენციურობისა და ინტენსიურობისა, მატერიისა და ენერჯიისა და სხვ. თანამედროვე ბუნებათმეცნიერების კრიზისი უმთავრესად იმით აიხანება, რომ ამ დაპირის-პირებულთა შორის მეტაფიზიკური კედელი აფშენებიათ. მხოლოდ უკანასკნელ ხანაში ვაჩნევთ, რომ თვით მეცნიერებაში იწყება ცდები მეტაფიზიკური კედლების გადასალახავათ. რა წამოაყენეს მექანიკებმა ჩვენი შეხედულებების საწინააღმდეგოდ? სრულიად არაფერი. ისინი ჩვენი გინებით იკვან გატაცებული, პირზე დორბლმორეული იცავდენ თავიანთ „ფიფეობითი ნაწილაკებს“ და გვიმტკიცებდენ, რომ „პრაქტიკას“ ეწყარებინ. მაგრამ ერთი ვნახოთ, თუ როგორია მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში. თურმე სწორედ ამ უკანასკნელი წლებას განმავლობაში მომხდარა ამ დარგში დიდი გარდატეხები. მაგალითად ავიღოთ ფიზიკა, აქ დღეს ელექტრონი ნაწილაკების სახით აღარ ესმით. წინააღმდეგობა თეორიულ ფიზიკაში დღემდე გაგებული იყო როგორც განხეთქილება ველის ფიზიკისა და კორპუსკულიარულ ფიზიკის შორის. ტალღის ცნება ორ მოწინააღმდეგე ცნებას—კონტინუუმისა და დისკონტინუუმისა—აერთიანებს, რაც ფორმალური ლოღიკის მიხედვით გაუკვებარი რჩება. ნაწილაკს რელატიურად დისკრეტული (წყვეტელობით) ხასიათი აქვს, მაგრამ ამავე დროს კონტინუუმსაც რელატიურად განუწყვეტელი აზრი მოუპოვებია. აი ეს ახალი გაგება განუწყვეტელობისა და წყვეტელობისა ჩემი აზრით, იმდენა საშუალებას გავივოთ დიალექტიური გადასვლები, ნახტომები და სხვ., უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, თვით ფიზიკაში.

„უმთავრესი მიზეზი—სწერს ჯ. ტომსონი—რომელიც, ჩემი აზრით, გვაიძულებს უარი ვთქვათ უწინდელ შეხედულებაზე ელექტრონის შესახებ, მდგომარეობს იმაში, რომ, როგორც ეს ამას წინათ დაამტკიცეს, მოძრაეს (თანაბრით მოძრაევი) ელექტრონს ყოველთვის თან ახლავს ტალღებიც. ამ ტალღებს ვითომც მოაქვთ ის და აკვევენ მის გზას. ამრიგად მოძრაევი ელექტრონი გაცალებით უფრო რთული ნივთია, ვიდრე უბრალო წერტილობრივი ტენადობა. „კადვე მეტი—გარძელებს ტომსონი—რომ სწორედ ეს სიართულე, ატომის ეს ფაქიზი სტრუქტურა ანიჭებს მატერიას მის ელექტრულ და ქიმიურ თვისებებს. ამ თვისებების ასა-

ხსენალდ საკმარისი არ არის მატერია წარმოედგინათ უმცირეს ნაწილაკების უდიდესი რიცხვისაგან; ეს ახსნა უშუალოდ დაკავშირებულია ამ ნაწილაკების შინაგან შენების საკითხთან, მათ ელექტრონულ სტრუქტურასთან. კვებით ტომსონი გამოთქვამს აზრს, რომ არსებობს ელექტრონების სხვადასხვა ტიპი.

თქვენ ნამდვილად გახსოვთ, ამხანაგებო, თუ რა ბრახით მექანიკები გვიკვეთენ ჩვენ, რადგან ჩვენ უარი ვთქვით მიველო მათი „მატერია როგორც ასეთი“ და მათი „თვისობრივით იდენტიური უმცირესი ნაწილაკები“. მაგრამ კიდევ მოუსმინათ ჯ. ტომსონს: „ელექტრონული ტალღები—სწერის ის—გამოსხივონების სრულიად ახალს ტიპს წარმოადგენენ, რომლის თვისებები სავსებით განსხვავებულია გამოსხივონების დღემდე ცნობილი ყველა ტიპისაგან.“

ისე როგორც სინათლის ნაწილების ცნება საკმარისი არ აღმოჩნდა სინათლის თვისებების ასახსნელად და საჭირო შეიქნა სინათლის ტალღების ცნების მიღება, სწორედ ასე ელექტრონების ნაწილაკების ცნება საკმარისი არ არის ელექტრონების თვისებების ასახსნელად და ამიტომ საჭირო შეიქნა მიღება, რომ ამ ნაწილაკებს თან ახლავთ ტალღების სისტემა. ამრიგათ, ნაწილაკისა და ტალღის დუალიზმი გაბატონებულია ფიზიკის ბევრ დარგში და გვეგონია, რომ საფუძველია თვით ფიზიკის* (იხილეთ: „Успехи физических наук“, 1928 წ. სექტემბერ-ოქტომბერი, ჯ. ტომსონის სტატია: „За пределами электрона“).

ტალღა-ნაწილაკის დუალიზმი, ან უფრო სწორად—მათი ერთიანობა, არის კონკრეტული განუწყვეტელობის და წვეტელობის ერთიანობისა. და გამოდის, რომ ტომსონის თეოსაზრისით და ჩვენი დროის სხვა დიდი ფიზიკოსის თეოსაზრისითაც, ტალღა-ნაწილაკის ერთიანობა, ერთიანობა განუწყვეტელობისა და წვეტელობისა (უფრო განყენებულათ ერთიანობა დაპირისპირებულთა) არის საფუძველი თვით ბუნებისა, ე. ი. არის, ასე ვთქვათ, პირველობითი „ფაქტი“.

თანამედროვე შეხედულებების მიხედვით „ელექტრონი არ არის უკანასკნელი საფეხური მატერიის სტრუქტურისა“—ასე ამბობს ჯ. ტომსონი. ჩვენ ვებრძოდით მექანიკების მეტაფიზიკურ წარმოდგენებს მატერიაზე, როგორც უკანასკნელ იდენტიურ ნაწილაკებზე. ი. ი. სტეპანოვი თითქმის ყველა გვერდზე თვისი წიგნისა იმეორებს, რომ მატერია შესდგება იდენტიურა უმცირესი ნაწილაკებისაგან, სახელდობრ დადებით ბირთვები (ядра) და უარყოფითი ელექტრონები და რომ „მატერია როგორც ასეთი, ჩვენთვის გრძობელობით არსებობს, როგორც უარყოფითი ელექტრონები და დადებით ბირთვი“ (იხ. И. Степанов: „Диалектический материализм и деборинская школа“, გვ. 135—140). ჩვენ ამ დებულებებს ვაკრიტუკებდით მატერიალისტური დიალექტიკის თეოსაზრისით და სწორი აღმოჩნადით. ამისავე თქმა შეიძლება განუწყვეტელობის და წვეტელობის შესახებაც. მატერიალისტური დიალექტიკის თეოსაზრისით სინამდვილის სრული ათვისება შესაძლებელია მხოლოდ განუწყვეტელობისა და წვეტელობის სინთეზის საშუალებით. „ობტურ მოვლენებში—ამბობს ტომსონი—ტალღები თამაშობენ უმთავრეს როლს, ამიტომ აქ ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ტალღების თეორიით;

ელექტრულ მოვლენებში ლაპარაკია ენერგიაზე, ამიტომ აქ ყველაზე უფრო ხელსაყრელია კორპუსკულარი თეორია, რომელიც თავის ყურადღებას ენერგიის ნაწილებს აყრდნობს. როცა ტალღებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვღებულობთ ტალღების თეორიას; როცა ენერგიაზე ვლაპარაკობთ — კორპუსკულარულ თეორიას. ამრიგად თვითვე ეს თეორია ეხება სინამდვილის მხოლოდ ერთ ნაწილს (ხაზგასმა ჩემია. ა. დ.). მაგრამ ზუსტად თუ ვილაპარაკებთ, ყველა ოპტიკურ მოვლენაში, ისე როგორც ელექტრული ნაწილაკების კატოდური x და y სხივების მოძრაობაში, მხედველობაში უნდა მივიღოთ, როგორც ნაწილაკები, ისე ტალღები“. („Успехи физических наук“, სექტემბერ-ოქტომბერი 1928 გვ. 582—583). წინააღმდეგობა სინათლესა და მატერიას შორის, როგორც ამბობს ფიზიკოსი ჰააზი, ატომის თეორიის განვითარების გამო ძალიან შეზღუდულია. „მატერიის არსებითი თავისებურებანი — მისი დისკრეტობა და იმპულსი — ნახულია აგრეთვე სინათლესთან; და პირაქუ: სინათლის ტალღისებური ბუნება აღმოჩენილია მატერიაშიც. კორპუსკულარული და ტალღისებური შეხედულებანი ერთი შეორეს ავსებენ“ (Arthur Haas, Materiemellen und quantenmechanik, 1928 გვ. 144—145).

ყველა ამის ერთად-ერთი დასკვნა ის არის, რომ ბუნების მეტყველების, კერძოდ ფიზიკის განვითარება უკანასკნელ წლებში გვიმტკიცებს დიალექტიკურ მატერიალიზმის სისწორეს. ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტები ულაპარაკოთ ამტკიცებენ, რომ მატერიალისტური დიალექტიკა არის ის ერთად-ერთი მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდი, რომელსაც მართლაც გაანოციეროს შეუძლია მეცნიერება. უსათუოდ ბედის რალაც უცნაურ ირონიას მიეწერება ის გარემოება, რომ დიალექტიკის წინააღმდეგ ასეთი გააფთრებით გამოდის ხალხი, რომელიც თავის თავს მარქსისტებს უწოდებს, გამოდის მაშინ, როცა თვით ბუნებათმეცნიერება იღვება მატერიალისტური დიალექტიკის გზებს.

ჩვენ დღეს არ გვაქვს დრო შეეჩერდეთ სხვა საკითხებზედაც და მათ მავალითებზეც ვაჩვენოთ ჩვენი მთავარი აზრების სისწორე ე. ი. იმის, რომ თანამედროვე ბუნებათმეცნიერება ახალს ფაზას და ამასთან ერთად ახალს კრიზისს განიცდის, რომლის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ პირველ რიგში წამოყენებულია დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის პრობლემა.

მე ორიოდ სიტყვით ქიმიანზედაც შევჩერდები, აქაც ჩვენ ასეთსავე პროცესს ვამჩნევთ. უწინ ფიზიკისა და ქიმიის განსხვავებას იმაში ხედავდნენ, რომ ფიზიკაში გარდაქმნა მიმდინარეობს განუწყვეტლად და შეიძლება მისი შებრუნება, ფიზიკური სისტემას ყველა მდგომარეობა გულანსმობდა წონასწორობას, ქიმიაში, კი პირაქით, ერთი წმინდა ნივთიერების მეორეში გადასვლა ხდება ნახტომის საშუალებით, ნივთიერების შემადგენლობაში მოხდარი განხეთქილებით. აქად. კურნაკოვის მოძღვრება კი გარდაქმნის განუწყვეტელობის იდეას არიგებს ზოგ გაერთიანებებში მოხდარ განხეთქილებასთან. განუწყვეტელობის და წყვეტელობის იდეის სინთეზი კურნაკოვთან გამოხატულია ნივთიერებისა და სივრცის ერთიანობის პრინციპით, რომლებიც ერთმანეთს მსკვალავენ და განუცილებლობის სახეს ლეზულობენ. „იდეა და თანაფარდობა სივ-

რეცესა და ნივთიერებას შორის, რომლებმაც კურნაკოვი მიიყვანა მისი მეთოდი და წვეთელობის სინთეზის იდეაზე—სწერს პროფ. სტეპანოვი—გვაძლევს საშუალებას ღრმად ჩავსწვდეთ სივრცისა და ნივთიერების შენებას, გვაძლევს ახალ იარაღს ამით დასაპყრობათ, გარეშე ამისა, გვაძლევს საშუალებას თანამედროვე სტრატოი ქვენიერების ავიუყვანოთ განზოგადების ვერ არ ნახულ სიმაღლეზე“¹⁾.

ამრიგათ თანამედროვე მეცნიერება ძალიან ფართოდ ხმარობს დიალექტიკას და ვაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე აქამდე. კანონი დაწინააღმდეგებულთა ერთიანობის კონკრეტიზაციაქმნილი გვევლინება როგორც ერთიანობა განუწყვეტელობის და წვეთელობისა, დროისა და სივრცისა, მატერიისა და ენერგიისა და სხვ. ამ სახით მოვლენილი ის თანამედროვე მეცნიერების კანონათ იქცა.

ფიზიკის თანამედროვე კრიზისმა გარეშე ამისა ყურადღების ცენტრში დააყენა მიზეზობრიობის პრობლემა. უნდა ითქვას, რომ სწორეთ ამ პრობლემაზე „ფიზიკის წაიღებეს“ უდიდესმა მეცნიერებმა, რომლებმაც ვერ დასძლიეს ამასთან დაკავშირებული სიძნელეები. ისინი შეეცადნენ ელიმინაცია ექნათ მიზეზობრიობის კანონისათვის. ამის შედეგი იყო გვერის შეტანა მოვლენების დრო-სივრცისებურ კონსტრუქციაში. ზოგი ფიზიკოსი მიემხრო ინდუქტივიზმს და ისე შორს წავიდა ამ მიმართულებით, რომ ელექტრონს „ნებისყოფის თავისუფლება“ ეი მიაწერა. ასე, მაგალითად, იორდანი თავის სტატიაში: „მიზეზობრიობა და სტატისტიკა თანამედროვე ფიზიკაში“ დეტერმინიზმის საკითხის შესახებ შემდეგს სწერს: „უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ფიზიკის განვითარება სულ უფრო და უფრო პირველ რიგში გნოსეოლოგიურ პრობლემებს აყენებს, რელატივიზმის თეორიაში დროისა და სივრცის პრობლემამ წინასწარ მიიღო კანონიერი დასაბუთება. ახალი საკითხები წამოაყენა ქვანტების თეორიამ. ამით რიცხვს განსაკუთრებით მიეკუთვნება საკითხი: გვაქვს თუ არა მიზეზობრიობა ელემენტარულ ფიზიკურ არსში, სავსებით გადაღებულია თუ არა კერძო ატომის ბედი ან და არსებობს თუ არა კაუზალური გარკვეულობის საკითხები ელემენტარულ მოვლენებში?“

დღეს ფიზიკის ეჭვი აღარ ეპარება იმაში, რომ საკითხი შესახებ სრული მიზეზობრიობის არსებობისა შეიძლება მხოლოდ ცდის საშუალებით გადაწყდეს რომ, ამრიგათ, მიზეზობრიობა აზროვნების აპრიორული აუცილებლობა არ არის, მართალია, რომ მიზეზობრიობის ერთგვარი შარაგი არის აუცილებელი წინამძღვარი ფიზიკის მეცნიერების არსებობისა საერთოდ, ისე როგორც ყოველივე კანონზომიერი ადამიანური არსებობისა. საბედნიეროთ ჩვენს მიკროსკოპიულ ქვეყანაში მართლაც ბატონობს გამონაკლისის არ მცოდნე მიზეზობრიობა. მაგრამ ატომების სისხოს სფეროში აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ეს სფერო მიზეზობრივ კანონებს ექვემდებარება მხოლოდ საშუალო სტატისტიკურის სახით. რჩება საკითხი: თვითყული კერძო ატომისათვის მისი ბედი სავალდებულოა თუ არა“.

¹⁾ „Природа“. 1925, № 7—9. „Новый метод в химии и институт физико-химического анализа“.

ეკონომიკა

შევეცდებით რამდენიმე სიტყვით გავარკვიოთ, თუ რა შინაშე სისხმწმდელ კლასიკური ფიზიკის ძირითადი პრინციპი იყო განუწყვეტელობა, რომელიც ბატონობდა მაკროკოსმოსში. განუწყვეტელობის ცნებასთან დაკავშირებულია დინამიური კანონზომიერების ცნება, რომელიც მოვლენის არკვევს აუცილებლად და თანაბრად. მაგრამ განუწყვეტელობის პრინციპი გამოსადეგი აღარ აღმოჩნდა ატომის შინა პროცესებთან, ე. ი. მიკროკოსმოსთან, ელექტრონის მოძრაობას წყვეტელობით ბუნება აქვს და თანაბარი გარკვეულობის კანონებს არ ექვემდებარება. ატომის შინა კანონები ექვემდებარებიან კანონზომიერების თვისებურ სახეობას, სახელდობრ: სტატისტიკურს, რომელიც ერთსახიანი მოვლენისათვის თანაბარი გარკვევის საშუალებას არ იძლევა. თანამედროვე შეხედულებათა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ელექტრონის გარკვეულ ადგილზე არსებობის ალბათობის აღნაშენა. „თეორია ჩვენ საშუალო სიდიდეებს გვაძლევს— გვეუბნება იორდანი—ის ამბობს, რამდენი ქვანტური ნახტომი უნდა მოხდეს განსაზღვრულ დროში, რომელიც აღებული იქნება ბევრი ცალკე ელემენტებისათვის. ე. ი. აქედან შეგვიძლია დაგასკენათ: თეორია ერთსახიანი ქვანტური ნახტომისათვის იძლევა იმის ალბათობას, რომ ის მოხდება წინასწარ განსაზღვრულ მომენტში. და ამიტომ, შეგვიძლო ახლა ჰვევით დაგვესკვნა: ნამდვილი მომენტი ქვანტური ნახტომის დაწყებისა სინაშედილეში დეტერმინაცია ქმნილი არ არის, არამედ არსებობს მხოლოდ ალბათობა ქვანტური ნახტომისა“ (იქვე, გვ. 326). ყველა ეს მოუქრება იმის ნიშნულია, რომ ელემენტარული პროცესები დეტერმინაცია ქმნილი არ არიან და ერთნაირი ალბათობით შეუძლიათ სხვადასხვა საშუალებით იარსებონ. აქედან ზოგი მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ „ელექტრონი“ თავის ნახტომის დაწყების არჩევში თავისუფალია, ეს იმითომ, რომ „შესაძლებლობათა“ გარკვეული რიცხვიდან ის ირჩევს ისეთს, რომელიც მისთვის ხელსაყრელია. ამრიგად, რამდენად ლაპარაკია ატომის შინა პროცესებზე, ე. ი. მაკროკოსმოსზე, ჩვენ მიზეზობრიობის კანონიდან, ე. ი. მოვლენების დროულ და ვრცელ გარკვევისაგან, უარი უნდა ვთქვათ, ე. ი. მიზეზობრიობის კანონის უარყოფას მივეყვართ მატერიალური ნაწილაკების ლოკალიზაციის უარყოფამდე და საერთოდ მოვლენების დროულ-ვრცელ გამოხატვის უარყოფამდე. მაგრამ მდგომარეობა გაცილებით უფრო გართულდება, თუ შევეცდებით გამოვარკვიოთ დამოკიდებულება დინამიური და სტატისტიკური კანონზომიერებისა, ანუ მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის შორის, ხილულ ჰვეყანასა და შინაგან მოვლენებს შორის. თუ ელექტრონების ქვეყანაში ბატონობს არამიზეზობრიობა, მოუწესრიგებელი ქაოსი, მისი შედეგია კოსმოსი, რომელიც მკაცრ მიზეზობრივ კანონზომიერებას ექვემდებარება. ე. ი. დინამიური კანონზომიერების საფუძველი არის სტატისტიკური კანონზომიერება, ე. ი. არამიზეზობრიობა, ელექტრონების „თავისუფალი ნებისყოფა“. კოსმოსის საფუძველია ელემენტარულ მოვლენათა მოუწესრიგებელი ქაოსი, ხილული ჰვეყანა, მაკროკოსმოსი გამოდის როგორც მიკროკოსმოსის „კერძო შემთხვევა“, როგორც საშუალო შედეგი ელექტრონების მოუწესრიგებელი მოძრაობისა. ცხადია, რომ ამ კონცეფციას ძალიან სერიოზული შედეგები თან ახლავს; ის ყირაშალა აყენებს მთელს ჩვენს მეცნიერ-

როლს წარმოადგენას ქვეყნის შესახებ. ტყუილად კი არ ახასიათებენ რაციონალური დღევანდელ მდგომარეობას შემდეგი სიტყვებით: „თუ რწმენა შეურყეველი წესრიგისა ირყევა—სწერს ის—მაშინ ბუნებრივია თუ წარმოიშობა დაეჭვიანება თვით აბსოლუტური სინამდვილის არსებობაში“. „ჩვენი დღევანდელი ცოდნა იმისათვის საკმარისია—აგრძელებს ეს ავტორი—რათა დავეჭვიანდეთ თვითთული დამკვიდრებული ცოდნის სისწორეში, მაგრამ ახალის შექმნისათვის ის საკმარისი არ არის. ფიზიკოსები ვერ შეთანხმდნენ ვერც მათი კვლევადიების შედეგების და ვერც მათი დასკვნების გაგებაში. ერთი მთვანე მიემხრო სპირიტუალიზმს, მეორენი—სენსუალიზმს. რაც შეეხება არაფიზიკოსებს, რომლებსაც რაიმე კავშირი კი აქვთ ცოცხალი სულის პრობლემასთან, ისინი ნელნელა თავისუფლდებიან ბუნების რკინისებური კანონების ზეგავლენისაგან და შედიან მხოლოდ შესაძლებლობათა ბნელ ქვეყანაში, სადაც მეცნიერული თეორიის სახით ყოველნაირი უცნაურობა, ცრუმორწმუნეობა და სხვ. მეფობს.“¹⁾

ჩვენი თვალსაზრისით საქმე ასე ტრალიკულად სრულიად რომაა არ სდვას, როგორც ეს რაციონალურ წარმოდგენაშია. რომ თანამედროვე კრიზისმა ხელახლა გამოაცოცხლა სპირიტუალისტური და მისტიური მიდრეკილებანი, ეს, რასაკვირველია, სწორია. მაგრამ ამისათვის რომ ფიზიკა გაგვესამართლებია და სკეპტიციზმს მივცემოდით, ეს ნაადრევი აჩქარება იქნებოდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ფიზიკის შემდგომი განვითარება კრიზის გადალახავს და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ნახავს. ჩვენ მოწავენ ვართ არა ფიზიკის დაღუპვის, არამედ მისი გაღრმავების. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეცნიერება იწყებს მთლიანი სინამდვილის სინთეტიურ გაგებას. ამიტომ აბა რა გასაკვირია, რომ ძველი ცნებები საფუძვლიან შეცვლას მოითხოვენ. თავისი განვითარების უწინდელ საფეხურებზე მეცნიერებას მეტ ნაწილად საქმე ჰქონდა სინამდვილის ცალკე და ნაწილებასთან, მატერიალური ქვეყნის არსებობის ცალკე ფორმებთან, კავშირების ცალკე ფორმებთან, რომლებიც მთლიანობიდან დამოკიდებული სახით იყვენ გამოყოფილი, ამიტომ იმათ ვსწაელობდით, როგორც ცალკე ფორმებს, ცალკე კავშირებს, როგორც დამოუკიდებელ არსებებს. განვითარების თანამედროვე ეტაპი კი ხასიათდება სინამდვილის სინთეტიური აშენებით, აქედან კი გამომდინარეობს ცდა გრანდიოზული განზოგადოებისა, მისწრაფება ერთიანობისკენ, კავშირის ყველა ფორმის სინთეზისაკენ, სინამდვილის ყველა მხარის გაერთიანებისაკენ, ერთ მთლიან ერთეულში.

მეორეს მხრივ მეცნიერება ამხელს კანონზომიერების სულ ახალ და ახალ ტიპებს. მიზეზობრიობის თეორიის კრიზისი სრულიადაც რომაა არ ნიშნავს მიზეზობრიობის კრიზისს საერთოდ, არამედ მისი ძველი ფორმების კრიზისს. უკანონო იქნებოდა გეგფიქრა, რომ არსებობს ერთად ერთი ფორმა მიზეზობრიობისა, ერთად ერთი ფორმა კავშირის მექანიკური მიზეზობრიობის სახით, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ „სტატისტიკური კანონზომიერე-

¹⁾ იხ. Riezler, Die Krise der Wirklichkeit („Die Naturwissenschaften“ 1928, Heft 37/38.)

ბის“ სახით აღმოჩენილია კავშირის ახალი ტიპი, უფრო მოკლე კანონზომიერება, რომლებიც მოითხოვენ გაცილებით უფრო რთულ ექსპერიმენტალურ კვლევა-ძიებას და შესწავლას. უკვე ლენინი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ჩვეულებრივი კაუხალობა მსოფლიო კავშირის ერთ-ერთი პაწია ნაწილია და რომ „მსოფლიო კავშირის ყოველის ამღები და ყოველ-მხრივი ბუნება კაუხალობით გამოთქმულია ცალმხრივად, ნაწილობრივად და გაკრით“.

სხვა იდგოლზე ამ საკითხის გამო აი რას სწერს: „როდესაც ჰეგელს კითხულობ კაუხალობის შესახებ, გიკვირს თუ რატომ ის ასე ცოტად შეჩერდა ამ კანტიანელების საყვარელ თემაზე. რატომ? იმიტომ, რომ მისთვის კაუხალობა არის მხოლოდ ერთი გარკვევა (განმარტება) იმ უნივერსალური კავშირისა, რომელიც მან გაცილებით უფრო ღრმად და ყოველმხრივ განიხილა უკვე ზევით, მთელ თავის დაღაგებაში, ის ყოველთვის ხაზს უსვამს ამ კავშირს ამ ურთი-ერთ გადასელებს და სხვ. და სხვ. ძალიან კარგი და ჰკუის სასწავლო იქნებოდა დაგვეპირდაპირებია ნეოგემირიზმის (respective) „ფიზიკური იდეალიზმის“ ცდებით ჰეგელის გადაწყვეტილებებთან, უფრო სწორად: მის დიალექტიურ მეთოდთან“ („Ленинский сборник“ IX გვ. 167).

ერთი სატყვიტ, ჩვეულებრივად გაგებული კაუხალობა უნდა განვიხილოთ, როგორც კავშირების ერთ-ერთი ფორმა, როგორც ერთ-ერთი ტიპი კანონზომიერებისა. როცა ბუნებათმეცნიერნი სხვა სახის კანონზომიერებას შეხედენ, უფრო რთულს, მათ უარყვეს დეტერმინიზმი სიერთოდ, უარყვეს სრული დეტერმინიზაცია ელემენტარული მოვლენებისა და გადავიდენ ინდეტერმინიზმის ნიადაგზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ უკვე სერიოზული ცდები არსებობს ამ სიძნელენის ვადისაღაბავათ, და ახლო მომავალში გადაღაბულიც იქნება. მე ეხლა ვერ შევჩერდებო ყველა იმ თეორიებზე, რომლებიც მიზნათ ისახავენ ამ სიძნელენის გადაღაბებას. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის თეორია გაიმარჯვებს, რომელიც უკეთესათ „სათუფელმტკიცე“ ილოონდება დიალექტიური თვალსაზრისით. დაპირისპირება დინამიურ კანონზომიერებასა და სტატისტიკურ კანონზომიერებას შორის ეყარება იმ დაპირისპირებას, რომელიც არსებობს მაკროკოსმიურ მოვლენების განუწყვეტლობით ბუნებასა და შინა ატომიურ პროცესების წყვეტილი ბუნებას შორის. ცხადია, რომ პრობლემის გადაწყვეტა განუწყვეტელობისა და წყვეტელობის დაახლოვებაში ან „შეთავსებაში“, უნდა ვეძიოთ. მაგრამ შემდეგ მოსაზრებებს ამ სავანზე, მე ჯერ-ჯერობით არ გამოვთქვამ. ერთი კი ამ თავითვე ნათელია—ეს ის, რომ ასეთი პრობლემების საუკეთესო გადაჭრა მატერიალისტური დიალექტიკის დახმარებით შეიძლება. ჩვენი მეცნიერული ცნებები შემეცნებას ვალრმავების გამო რთულდებიან და მდილრდებიან, მის შედეგათ ეღებულობთ კავშირების და კანონზომიერების ახალი ფორმების აღმოჩენას.

კერძოთ, რაც შეეხება მიზეზობრიობის ცნებას, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა სფეროში ის სხვადასხვა ფორმას ღებულობს. მექანიკაში ჩვენ ერთნაირი მიზეზობრიობა გვაქვს, ბიოლოგიაში—მეორე ნაირი, ხოლო სოციალური მოვლენების სფეროში კი—მესამენაირი.

VI

აქ საჭიროა ორიოდ სიტყვა ვთქვათ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიური აზრის მდგომარეობაზე. ცნობილია, რომ ისიც ცდილობს ყველა ეს სხვადასხვა მეცნიერების მიერ წამოყენებული პრობლემა თავისებურათ გააოკეოს. არ მაქვს რა დრო, დეტალურად შევჩერდე სხვადასხვა მიმდინარეობაზე ბურჟუაზიული ფილოსოფიის, მე მოგახსენებთ მისი ახლანდელი მდგომარეობის ზოგად მდგომარეობის შესახებ და ცოტა უფრო ვცალად შევჩერდები ე. წ. „დი-ალექტიურ იდეალიზმზე“, რომლის მნიშვნელობა დასაფლეთში თვალსაჩინოთ იზრდება.

უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიული აზრის დღევანდელ მდგომარეობას ახასიათებს აზროვნების ძველი ფორმების და მეთოდების განიყვება, დაბნეულობა და სისუსტე დადებითი მეცნიერების მიერ წამოყენებული პრობლემების წინაშე; ამას მოჰყვება რეაქციონური და მისტიური ტენდენციების ზრდა, რაც გამოწვეულია ერთი მხრად „კრიზისით“ ბუნებათმეცნიერებაში, მეორეს მხრივ კლასთა ბრძოლის გამოწვევებით. სულ ზშირათ ისმის ხმები, რომლებიც დალაღებენ მეცნიერების დაღუპვას და მოითხოვენ გონების უფლების შეზღუდვას რელიგიის გულისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეაქციონურ ტენდენციებს მართა ფილოსოფოსები კი არ აგრეკებენ, არამედ ბუნებათმეცნიერთა მთელი რიგი, განსაკუთრებით კი ფიზიკოსები.

მეორეს მხრივ ფიზიკოსების ერთ ნაწილში რესტავრაციას განიცდის ნიხიზმი, რომელიც ცდილობს რეალურა ქვეყნის უარყოფას და შეგრძნების ერთადერთ რეალობად გამოცხადებას. ამ მისტიკურს და იდეალისტურ მიმართულებებს, რომლებსაც ნიშნდებები საბჭოთა კავშირშიაც ყავთ, ჩვენ უნდა შევებრძოლოთ უმკაცრეს საშუალებათ და მთელი ჩვენი ძალ-ღონით; ისინი ბურჟუაზიისა და წყრილ-ბურჟუაზიის რეაქციონურ სულისკვეთებას გამოხატავენ, ეს რეაქციონური სულისკვეთებანი კი აფერხებენ მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებას.

ამ მიმართულებებს გარეშე უკანასკნელ წლებში შექმნეულია, რომ ფილოსოფია „დიალექტიკისკენ“ პირის მებრუნებას აპირებს. თუ მხედველობაში მივიღებთ ბუნებათმეცნიერებაში მიმდინარე პროცესებს, ეს საეცებით ბუნებრივი მოვლენაა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბუნებათმეცნიერების მიერ წამოყენებული პრობლემები სწორად მხოლოდ დიალექტიკური მეთოდის დახმარებით შეიძლება დავემუშავოთ. აქედან მოდის ისიც, რომ ფილოსოფოსების ერთი ნაწილი უდიდეს ინტერესს იჩენს ბუნებათმეცნიერების მეთოდოლოგიური პრობლემების მიმართ (ისე, როგორც ზოგი ბუნებათმეცნიერი ძალიან ცხოველ ინტერესს იჩენს ფილოსოფიის მიმართ). თავის მხრივ თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიზისი გამოწვეულია კრიზისით აზროვნების ფორმებში და შეგნებით „ახალი ლოგიკის“ საჭიროებისა. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ფილოსოფოსებს, რომლებიც ფილოსოფიის და ბუნებათმეცნიერების დამოზილებიანათვის ნუშაობენ, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ფილოსოფიური განზოგადება ზუს-

მეცნიერული

ტი მეცნიერებიდან მიღებულ შედეგებზე ააშენონ. ჩვენ შევხვდებით მათ, რომლებმაც შეიძლება „დიალექტიური იდეალიზმის“ სახელწოდებით მოგვეჩვენათ. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ინტერესი დიალექტიკისადმი და კერძოდ ჰეგელისადმი ძალიან გაიზარდა. დიალექტიური იდეალიზმის წარმომადგენლები ატარებენ იმ აზრს, რომ შეუძლებელია არ მოვიხპაროთ „კატეგორიების ახალი ტაბლიცა“, ასე ამბობს ერთი, საჭიროა „ახალი ლოგიკა“—ასე ამბობს მეორე, „ახალი დიალექტიკა“—ამბობს მესამე. ბურჟუაზიული ფილოსოფოსები მთელი რიგი შრომებით ამტკიცებენ, რომ აუცილებელია დიალექტიკის აღორძინება. თავისთავად ცხადია, რომ მათი დიალექტიკა, რამდენად ის უკვე მოცემულია, ძალიან უცნაური რამ არის. ამ „დიალექტიკოსების“ მისწრაფება იქითკენ არის მიმართული, რათა დიალექტიკა გასცალონ რევოლუციონური შინაარსიდან. გადაიქციონ ის ფორმალისტურ სისტემად და ცხოვრების ნისტიკურ ფილოსოფიად (მოიგონეთ საბჭოთა „დიალექტიკოსი“, ლოსივი). ან და მსჯელობის და მტკიცების ხელობად. უმეტეს შემთხვევაში „ახალი დიალექტიკის“ დაფუძნების ცდები კანტონიზმისა და ჰეგელიანიზმის სინთეზს წარმოადგენს. ჰეგელის დიალექტიკა იმიტომაც მიუღებელი, რომ ის უკვე გამსჭვალულია „ოპტიმიზმით“ და „პარაონიზმით“. „იდეა პარაონიზმისა და ჰუმანიზმისა—სწერს არტურ ლიბერტი—ჰეგელს გამოუღდის იქედან, რომ მას სწამს ისტორიის საზღვრებში დაბოლოებული მიზანის განხორციელება“. ეს იქნება უნდა ნიშნავდეს, რომ ჰეგელის დიალექტიკის ნაკლულოვანება მის მიერ წინააღმდეგობათა გადალახვის ცდაში უნდა ვეძიოთ: ისინი ამბობენ, რომ ჰეგელის დიალექტიკა წინააღმდეგობის გადალახვის პროცესია, თანამედროვე დიალექტიკური იდეალისტების აზრით კი წინააღმდეგობა თავის არსებით უკვე გადაუწყვეტელ რაიმეს ნიშნავს. თუმცა ჰეგელიც ცნობდა პოლიუსების სპეციფიურ სხვაობას, მაგრამ ეს მასთან „ისწინებოდა“, სინთეზში, ე. ი. უმაღლეს ერთიანობაში მორიგებული რჩებოდნენ.

თანამედროვე დიალექტიკა იმით განირჩევა ჰეგელის დიალექტიკისაგან, რომ ის პეიზიზმის ტურ ხასიათს ატარებს, ის იცავს წინააღმდეგობას გადაუწყვეტლობის პრინციპს. ამიტომ თანამედროვე იდეალისტური დიალექტიკის წარმომადგენლები თავიანთ დიალექტიკას ტრადიციულ დიალექტიკას უწოდებენ. თუმცა გვარწმუნებენ, რომ მისწრაფებას განიცდიან „წმიდა პარაონიზმისკენ“, მაგრამ არსებითად ისინი ანტიანოგიზმის და ანტაგონიზმის ფილოსოფიის ნიადაგზე რჩებიან. ნამდვილი ანტიონომების გადაწყვეტა არ შეიძლება, ამტკიცებენ ისინი. თუ ეს ასეა, მაშინ ოპტიმიზმი უადგილოა.

ამრიგად დიალექტიკური იდეალიზმის წარმომადგენლები მზათ არიან იცნონ დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპი. მაგრამ მათთან დიალექტიკა რეაქციონურ სახეს ღებულობს, რასაკვირველია, იმდენად, რამდენად ისინი იტოვებენ კლასთა დაპირისპირების აუცილებლობას და უარყოფენ მის გადალახვის შესაძლებლობას. ამიტომ ისინი თავიანთ დიალექტიკას უპირისპირებენ არამც თუ ჰეგელის, არამედ მარქსის დიალექტიკისთან. ამას ისინი სრულ-

ლიად შევნებულად ჩადიან. „იქ სადაც პოლარობა ისპობა—სწერს ჩრტი მსოფლიანი—
ჭაოსი იწყება“. „კომუნისში არის—აგრძელებს ის—ნამდვილი ქაოსი, ის საბჭოს
სოციალურ პოლარობას ე. ი. კლასობრივ დაპირისპირებას“. ამრიგათ ერთი
უფრო საქვეყნოთ, მეორე უფრო ფარულად ეწინააღმდეგებიან ჰეგელისა და
მარქსის დიალექტიკას, რადგან მას კლასობრივი საზოგადოების გადალახვაზე
ნივეყვართ. დაწინააღმდეგებულთა ერთიანობა მათ ესმით, როგორც უცვლელი,
გაყენული ერთიანობა, რომელშიაც დაწინააღმდეგება ვითომც მარადიულად არ-
სებობს, არ იცვლება და არ ვითარდება.

გარეშე ამისა თანამედროვე დიალექტიკური იდეალიზმი სხვა ბურჟუაზიულ
ფილოსოფიასთან ერთად უსასტიკესი მტერია მატერიალიზმის. მას ქვეყნის არ-
სება გონებაში და სულში ესმის. აქ ის ძალიან ჩამოჰგავს ჰეგელის იდეა-
ლიზმს, თუმცა მათ შორისაც უდიდესი განსხვავებაა, მაგრამ საუბედუროთ ამის
გასარკვევი დრო მე ებლა არა მაქვს.

მე უკვე აღვნიშნე, რომ დიალექტიკური იდეალიზმი ამობატულება ყველა
იმ პროცესებისა, რომლებსაც დღეს ადგილი აქვს, როგორც ბუნებაში მეცნიერ-
ებაში, აგრედვე საზოგადოებრივი ცხოვრების მსგელობაში. ერთის მხრივ თა-
ნამედროვე მეცნიერების განვითარება ბადებს საქირებას ახალი ლოლი-
კისა და ახალი დიალექტიკისა. მეორეს მხრივ, ბურჟუაზიულ ფილო-
სოფიას კლასობრივი ბუნების და კლასობრივი შემოფარგულობის გამო, ამ
პრობლემების გადაჭრა არ ძალუძს.

საქმის ასეთი მდგომარეობა თავისთავად ნათელს ხდის, რომ მხოლოდ დია-
ლექტიკურ მატერიალიზმს ძალუძს ასწიოს მეცნიერება საქირო მალალ საფეხურ-
ზე, რომ მატერიალისტური დიალექტიკა არის ის ახალი მეცნიერული მეთოდი,
რომელსაც შეუძლია მეცნიერება დააყენოს ახალ გზაზე, დაიანახოს მას ახალი
პროზონტი და ახალი პერსპექტივები. ახალი საზოგადოებრივი კლასი მოდის
ქვეყანაზე ახალი მსოფლმხედველობით და ახალი მეთოდებით.

VII

მე შევეკადე მოკლეთ დამხეხასიათებია ფილოსოფიური და მეცნიერული
აზრის თანამედროვე მდგომარეობა. ჩემს მიერ უკვე თქმულიდან ნათელია, რომ
მეცნიერება და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენს წინაშე აყენებს ურთულეს
პრობლემებს; ამასთან ერთად შეზნეულია განიავება ძველი ლოლიკის და მთე-
ლი იდეალისტური მსოფლგაგების, რომლებიც ახალი მოვლენების და ფაქტე-
ბის წინაშე უსუსური აღმონდენ. დადებითი დასკვნა, რომელიც თავისთავად
ხელში გვეჩხირება ერთად ერთია: ეს არის დიალექტიკური მატერიალიზმის გა-
მარჯვება მთელს ფრონტზე.

ერთი ვეკითხოთ, რა მოგვეცენ ახალი ჩვენმა მექანისტებმა? რა მოგვაწო-
დეს იმათმა იმ რთული პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ჩვენს წინ
დგანან. ჩვენ ახლა ხომ ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ მარტო უარყოფით
დაკმაყოფილება არ შეგვიძლია. ერთად ერთი „წინადადება“, რომელიც მექა-
ნისტებმა მოგვაწოდეს, მდგომარეობს დიალექტიკური მატერიალიზმის რევიზია-

ში და მექანიკური მატერიალიზმის „რესტავრაციის“ განხორციელებაში. თავის ძირითად მოკვლეობათ ისინი სთვლიდნენ ეჩვენებიათ, თუ როგორ უნდა გამოეცვალა „ფორმა“ ენგელსის მატერიალიზმს, „დაკავშირებით ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის უახლოეს განვითარებასთან“. ჩვენს ნექანისტებს სრულიად არაფერი არ ესმით „ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის უახლოესი განვითარებისა“; იმათ რომ ამ საქმის რაიმე ესმოდეთ, მიშინ კი არ იტყოდნენ, რომ საქართველო დიალექტიკური მატერიალიზმის რევიაია. ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის უახლოესი განვითარება ჩინებულად ამტკიცებს დიალექტიკური მატერიალიზმის სისწორეს, მექანისტების აზრით, თურმე ამ „განვითარებას“ ენგელსის დებულების უარყოფამდე მიუყვანივართ. ენგელსის მატერიალიზმის რევიზიას თურმე ნივთიერების შენების ელექტრონული თეორია ქვია! მაგრამ, როგორც კარგად ცნობილია, ლენინმა სპეციალურ თეორია დასწერა იმის დასამტკიცებლად, რომ ელექტრონული თეორია კი არ უარყოფს, არამედ ამტკიცებს დიალექტიკური მატერიალიზმის ჭეშმარიტებას. მახისტებიც ხომ იცნობენ ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის“ გადახედვას მოითხოვდნენ, ისინიც ხომ იმას ეყრდნობდნენ, ვითომც ბუნებათმცნიერების განვითარება წინააღმდეგობაში ჩაეარდნდილყოს დიალექტიკური მატერიალიზმთან.

ჭევეთ, ჩას ნიშნავს მატერიალიზმის ფორმის შეცვლა? ყველასათვის ცხადია, რომ ლაპარაკი შეეება დიალექტიკური მატერიალიზმის შეცვლას მექანისტური მატერიალიზმით. სხვა აზრი სიტყვა „ფორმის“ არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ კრიზისი თანამედროვე ბუნებისმცნიერებისა—ეს ხომ უმოივრესად მექანისტური მატერიალიზმის კრიზისია, ის ამის მექანისტური ცნებებისა და წარმოდგენების კრიზისია. და აი გამოზღდნ მარქსისტები, რომლებიც დიალექტიკური მატერიალიზმის რევიზიას სწორედ მაშინ მოითხოვენ, როცა ის უდიდეს და უბრწყინველეს გამარჯვებას დღესასწაულობს. ჩვენ, დიალექტიკოსებს ისინი ყოველნაირი საშუალებით გვათრევდნენ იმიტომ, რომ ჩვენ არავითარ საფუძველს არ ვხედავთ დიალექტიკური მატერიალიზმის რევიზიისათვის. „დებორინელები—სწერდნენ ისინი—ჭეგელისა და ენგელსის ნატურფილოსოფიურ დებულებები გაყინულ და დამყავებულ სისტემად გადააქციეს“. ასეთი ბრალდებანი ჩვეულებრივად მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან გამომდინარეობს. ამრიგად, მექანისტებს არაფერი დადებითი არ მოუციათ. მათ მუშაობას მხოლოდ და მხოლოდ „კრიტიკული“ და უარყოფითი ხასიათი ჰქონდა. მათი თვალსაზრისით „წამოჭრილი საკითხები, რომლებსაც ჭეგელი და ენგელსი უარყოფითი ნიშნებით იძლეოდნენ, დადებითი ნიშნებით უნდა დივსწეროთ და მაშინ ჩვენ მავალეობთ ბუნების პროცესების ისეთ გაგებას, რომლისაკენ მიდისწრაფის თანამედროვე ბუნებათმცნიერება“. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ყველა ამ მითითებას „ელექტრონულ-ნუკლეარულ თეორიაზე მატერიის შენებისა“, რომელმაც ვითომც უარყო დიალექტიკური მატერიალიზმი, არავითარი მნიშვნელობას არ აქვს, ეს უბრალო, ცარიელი სიტყვაობაა.

ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის“ განვითარება თურმე დიალექტიურ მატერიალიზმზე უარის თქმას და მატერიალიზმის ძველი ფორმისაკენ, მისი მექანიკური ფორმისაკენ დაბრუნებას. ენგელსის მატერიალიზმის ფორმის გადათვალისწინება, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, დიალექტიკის უარყოფას ნიშნავს. მექანიკური ამიტომ პირდაპირ აცხადებენ, რომ მათთვის დიალექტიკა ნიშნავს განუწყვეტლობის აღიარებას და განუწყვეტლობის ყოველივე გაგლეჯის უარყოფას, ე. ი. ნახტომების უარყოფას. მექანიკურ ელემენტარულ-ვეოლიუციონისტური თვალსაზრისი დაკავშირებულია მათ მიერ ვერ გაგებასთან დიალექტიკის ძირითადი კანონისა — დაწინააღმდეგებულთა ერთმანეთის კანონისა. ტყუილად როდი მიუთითებდა ლენინი იმაზე, რომ კანონის სწორი გაგება იძლევა გაგებას განუწყვეტლობის გაგლეჯისა, ნახტომისა, ახალის აღორძინებისა და სხვ. ნათქვამთან დაკავშირებით უკვე ნათელია, თუ რატომ მექანიკური უარყოფენ დიალექტიკას, როგორც კლდეა-ძიების მეთოდა და სცნობენ მათთვის უფლებას „გამოვიდეს ბუნებიდან“. დიალექტიკა მათ ესმით, როგორც ამრიორული სისტემა, როგორც ცნებებით თამაში, როგორც სქოლასტიკა, როგორც „დამატება“ ე. ი. როგორც მეორე ხარისხოვანი ნაწილი მარქსიზმისა. საკმარისია მიუთითოთ ლენინის მიერ მოცემულ ჩინებულ განმარტებას დიალექტიკისა, რომ გავიგოთ, თუ რამდენად მექანიკური დამორღვევ მარქსიზმს თავიანთი მტკიცებით, ვითომც დიალექტიკის ძირითადი პრინციპი განუწყვეტელობა იყოს. მთელი თანამედროვე მეცნიერება მათ წინააღმდეგ ლაპარაკობს, მაგრამ იმათმა ძველ პოპულიარულ წიგნაკებში ამოიკითხეს, რომ „ბუნება ნახტომს არ აკეთებს“ და ეს მრავალი მათგანისათვის საკმარისი აღმოჩნდა გამოსულიყვენ და მოეთხოვათ. ენგელსის მატერიალიზმის „ფორმის“, რევიზია, რომელიც ვითომც უკუგდებულა „ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის უახლოესი განვითარებით“. მე აღარ შევწერდები სხვა პრობლემებზე, რომლებიც იყო საგანი ჩვენი დისკუსიებისა: მე მხედველობაში მაქვს პრობლემები თვისობრიობისა, მოძრაობისა, „დაყვანისა“, ფილოსოფიის და ბუნებათმეცნიერების დამოკიდებულებისა, სხვადასხვა ფორმის მოძრაობათა კავშირისა, სხვადასხვა კანონზომიერებისა და სხვ. ყველა ამ საკითხების გამო მექანიკური იცავენ შეწყდარ აზრებს.

მექანიკურების არსება თანამედროვე კრიზისისა ბუნებათ მეცნიერებაში არ ესმით, იმათ არ ესმით, რომ კრიზისის საფუძველს ის წინააღმდეგობა შეადგენს, რომელიც გაშლილია ბუნებათმეცნიერების შინაარსს და აზროვნების ფორმებს შორის, რომელთა საშუალებით უნდა გაგებულყო სწორედ ეს შინაარსები. თავის შედეგების მიხედვით თანამედროვე ბუნებათმეცნიერება თავიდან ბოლომდე დიალექტიკურია, აზროვნების მეთოდის მიხედვით კი ის ჯერ კიდევ მეტაფიზიკის ტყვეა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ გამოსავალი თანამედროვე კრიზისიდან მატერიალისტური დიალექტიკის სწორ მოხმარებაში მდგომარეობს. ამ გზით ნაწილობრივით უკვე მიდის თანამედროვე მეცნიერება. ჩვენი მოწინააღმდეგენი კი ფიქრობენ, რომ დიალექტიკური ბუნების მეტყველება, როგორც ეს ენგელსსა და ლენინს ესმოდათ, „მეტაფიზიკური ნატურ-ფილოსოფიაა და რომ ამიტომ აუცილებელია „მექანიკურ ბუნებათმეცნიერები-

სკენ“ დაბრუნება. რადგან ისინი ამ გზას დაადგენ, ბუნებრივი კანონზომიერებები დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი კანონზომიერებანი და აქტივობები და შეიძლება დაფიქსირდეს „ფიზიკო-ქიმიკო-ბიოლოგიურ-კანონზომიერებებზე. ენგელსს ეს თვალსაზრისი, რომ მალალ ფორმებს თავისი საკუთარი სპეციფიური კანონზომიერება გააჩნიათ და დაბალ ფორმებზე „მექანიურად არ დაიყვანებიან, მექანიკურად გამოაცხადეს ვიტალიზმით, დუალიზმით და იდეალიზმით.

თვისობრიობის პრობლემას უდიდესი აქტუალური მნიშვნელობა აქვს. მექანიკური ადვილად უმასპინძლებიან თვისობრიობას, აცხადებენ მას უბრალო მოძღვრებათ და დაჰყავთ ის რიცხობრიობაზე. იმათ არ ესმით, თუ რას ვგულისხმობთ ჩვენ თვისობრიობის ქვეშ, მათ არ ესმით თვით პრობლემა.

ახალი თვისობრიობის აღორძინების გაგების აუცილებლობა ე. ი. ახალი სტრუქტურების გაგება და ამასთან ერთად თვისობრიობის ბუნებისა საერთოდ, ახალი კანონზომიერების ჩამოყალიბების პროცესების გაგება—ყველაფერი ეს გამოწვეულია, როგორც ჩვენი ისტორიული ეპოქის ბუნებით, ისე თანამედროვე ბუნებათმეცნიერებაში გაშვებული კრიზისის ბუნებით.

ჩვენს ეპოქაში მატერიალისტური დიალექტიკა არის თეორიული იარაღი სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში, რევოლუციის გაკვეთილების გაგებისა და შეგნების საქმეში, მთელი ჩვენი ეპოქის თავისებურების გაგებაში, და ყველა ახლად წარმოშობილი საზოგადოებრივი ფორმაციების, მათი დამახასიათებელი, სპეციფიური თვისობრიობის და კანონზომიერების გაგების საქმეში. მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკა სწავლობს მოძრაობისა და განვითარებას კანონებს, იძლევა საშუალებას ახალი ტენდენციების გასახსნელად, ახალი პროცესების და ახალი ფორმების წარმოშობის გასაგებათ. აუცილებლობა მოძრაობის ახალი ფორმების ყველა თვისობრივი განსხვავებულობის და თავისებურების შესწავლისა, ახალი მოვლენისა, აუცილებლობა მათი შეცვლასა ჩვენი სოციალისტური მეურნეობის შემდგომი განვითარების მსუელელობასთან დაკავშირებით, აუცილებლობა ობიექტიური პირობები სწორი და ზუსტი გამოანგარიშებისა, კონკრეტული მისვლისა ახალ მოვლენებთან, მათ კავშირებთან, ერთი ფორმის მეორეში გადასვლებთან—ყველაფერი ეს არის პირველი და ძირითადი მიზეზი მატერიალისტური დიალექტიკით არაჩვეულებრივი დაინტერესებისა.

ლენინი სამართლიანად სოციალ-დემოკრატების ძირითად მეთოდოლოგიურ ცოდვას მათ მიერ დიალექტიკის უპურადღებოთ დატოვებაში ხედავდა. მასი აზრით ამით იახსნებოდა სოციალ-დემოკრატების დაბნეულობა ახალი მოვლენების ახსნის დროს და ჩვენი ეპოქის მიერ წამოყენებული ახალი ამოცანების გაგების დროს. „გადამწყვეტი მარქსიზმში—ამბობდა ლენინი—მათ არ გაუგიათ: სახელდობრ, მისი რევოლუციონური დიალექტიკა. დღეს კი სოციალ-დემოკრატების თეორეტიულობის დიდი უმრავლესობა, თუ ყველანი არა, პოზიტივიზმისა და ევოლიუციონიზმის ნიადაგზე ღვანან. ისინი იკავენ წმინდა ევოლიუციონისტური და რიცხობრივი ზრდის და განვითარების იდეას, ანუ უკეთ თუ ვიტყვი, სოციალიზმის კაპიტალიზმში თავისთავად შეზრდის

იღებს. სწორედ ამიტომ მათ რევოლუციონური მარქსიზმის მეფეა და და მხედრობა არა მისაღებათ და არა „მეცნიერულად“ მიანიშნებს.

რაც შეეხება ბუნებათმეცნიერებას ის დღეს ისე როგორც არასოდეს მიი-სწრაფება „ბუნებათმეცნიერების ერთად ერთი სწორი მეთოდისაგან და ერთად ერთი სწორი ფილოსოფიისაგან და (ლენინი), ე. ი. დიალექტიური მატერიალიზმისაგან. უნდა გავიგოთ, რომ მატერიალისტური დიალექტიკა თანამედროვე ბუნებათმეცნიერებისათვის არის ყველაზე უფრო სწორი და მისაღები აზროვნების მეთოდი. ჩვენ ამიტომ თავს გვაწევს უდიდესი და გრანდიოზული ამოცანა, გავაერთიანოთ ყველა მიღწევა თანამედროვე ბუნებათმეცნიერებისა მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც მეცნიერების სააზროვნო მეთოდის დროშის ქვეშ.

საზოგადოების და ბუნების მეცნიერებათა მეთოდების ერთიანობა უკვე საესკებით მომწიფებულ ამოცანაა. ჩვენ დღეს ედგევართ ამოცანის წინაშე მთელი მეცნიერება გადაეხალისოთ ერთი ერთიანი მეთოდის საფუძვლებზე, დიალექტიური მატერიალიზმის საფუძვლებზე. ამ ამოცანასთან სავსებით მჭიდროთ მივიდა თვით ბუნებათმეცნიერება.

ამიტომ ცხადია, რომ ჩვენს წინ წამოიჭრა ამოცანა გადავამუშაოთ მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც ერთი ზოგადი და საყოველთაო მეთოდოლოგიური მეცნიერება. ლენინი ჯერ კიდევ 1922 წელს სწერდა: „დაყრდნობით იმაზე თუ როგორ მოიხმარდა მარქსა მატერიალისტურად გაგებულს ჰეგელის დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და უნდა ყოველმხრივ დავამუშავოთ ეს დიალექტიკა“. აუცილებელია მთელი მეცნიერება, როგორც ასეთი დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით იქნას გაგებულნი. მეორეს მხრივ აგრეთვე აუცილებელია დავამუშავოთ თვით დიალექტიური მატერიალიზმი თანამედროვე მეცნიერების სრული გათვალისწინებით, ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა, რომელიც დღეს ჩვენს წინაშე დგას—ეს არის დიალექტიური ლოგიკის დამუშავება, მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის დამუშავება. ამ ამოცანას ჩვენ გვიკარნახებს მთელი თანამედროვე მეცნიერების განვითარება და საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობა. მაგრამ როცა ამზობენ სიტყვებს—„დიალექტიკის თეორია“ ზოგი ამხანაგი მყისვე პანიკას ეძლევა. თეორია დიალექტიკის: ეს ხომ დიალექტიკის სისტემას ნიშნავს, ე. ი. მეცნიერებიდან გადგომას, ბუნებათმეცნიერების უარყოფას. ყველაფერი ის, რის შესახებ მე თქვენ მოგახსენებ მგონია, ამის თავიდან, რომ არავითარ მეცნიერებიდან გადგომას ადგილი არ შეიძლება ჰქონდეს, რომ დიალექტიკის მთელი ჩვენი თეორია, მთელი დიალექტიური ლოგიკა შენდება და უნდა შენდებოდეს მჭიდრო კავშირი მეცნიერებასთან, ცოდნის სრულს შევამბახუ დაყრდნობით. აი როგორ დგას საკითხი. მაგრამ მეორეს მხრივ, საჭიროა გავიგოთ რომ დიალექტიური მატერიალიზმა არც ფიზიკაში და არც ქიმიაში არ ითქვიფება, არამედ არის დამოუკიდებელი დისციპლინა. მატერიალისტური დიალექტიკა ჯერ არ არის, მაგრამ მომავალში მეცნიერებათა საერთო მეთოდოლოგიით უნდა გადაიქცეს.

ასეთია ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დღეს ჩვენს წინაშეა. „მარქსისტული ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები“ არის ჯამი თეორიული პრობლემებისა, ზოგად ფილოსოფიური პრობლემებისა, რომლებიც წამოაყენა მეცნიერების და ფილოსოფიური აზრის განვითარებამ. თანამედროვე ბუნებათმეცნიერების ცენტრში დგას წმინდა ფილოსოფიური, ე. ი. გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემები; ასეთია პრობლემები მიზეზობრიობისა, განუწყვეტელობისა და წყვეტელობისა, შემთხვეულობისა, დროისა და სივრცისა, სუბსტანციისა და სხ. ყველა ეს პრობლემები თუორიულად გაშუქებული და გადაჭრილი უნდა იქნან ჩვენი მეთოდის და ჩვენი მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ „მარქსისტული ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები“ გულისხმობენ ყველა გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხებს, რომლებიც წამოყენებულია ბუნებისა და საზოგადოების მეცნიერებათა განვითარებით.

ამხანაგებომ ხუთი წლის მანძილზე გრძელდებოდა ჩვენი დისკუსია. მებრძოლი „მხარეების“ თვალსაზრისა უკვე სიკვამოდ გარკვეულია. მარქსისტულ-ლენინური სამეცნიერო კვლევა-ძიებითი ორგანიზაციების კონფერენციამ ყველა ეს სადაო საკითხი უნდა გახადოს მსჯელობის საგნათ და გამოიტანოს მათ შესახებ გარკვეული დადგენილება. ჩვენ უნდა შევეცადოთ, შევინარჩუნოთ მთლიანობა ჩვენი რიგებისა, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ამ მთლიანობათ და კოლექტიურ-მეგობრული მუშაობით შევძლებთ, დავსძლიოთ ის უღადესი მნიშვნელობის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშეა მოჭრილან. მაგრამ ასეთი მთლიანობა შესაძლებელია მხოლოდ საერთო შეხედულებათა ქონების დროს, ისეთი პლატფორმის საფუძველზე, რომელიც იქნება გარკვეული, ნათელი და მარქსისტულ-ლენინურად ყოველმხრივ გამართული.



პრისიკა მაცნიერება ჰუმბრისისპრისიკა

3. 0. 1950. თბულებანი. ტომი I და XX. მამია თარხელაშვილის რედაქციით. სა-
ზღვაში.

ესე თარი ტომი—I და XX გამოვიდა ლენინის თბულებათა ქართული თარგმნის. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურული საქმეა ჩვენში. კულტურული რევოლუციის პირობებში ლენინის თბულებათა ქართული გამოცემა მთელი ეპოქაა კულტურულ მშენებლობის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაციონალურ ერთეულებს, გარდა საბჭოთა რუსეთისა და უკრაინისა, მგონი, არც კი აქვთ ჯერ-ჯერობით ლენინის თბულებათა სრული კრებული გამოცემული. ამ შრომე ჩვენი სახელმწიფო განაშენებლობის თაოსნობა ემტკვებად საფურცლებსა, სულ სამიოდე წლის განმავლობაში, ქართველ შრომელ მკითხველს ბელს ცნება ლენინის გენიალური ნაბრევი. ლენინის ნაწარმოებთა 25 წიგნი.

ვინც იცნობს ბეჭდვითი სიტყვის სიწმინდებს ჩვენში, დაგვეთანხმება, რომ ლენინის ქართული გამოცემა მტკნარ-მტკნარ მიმე და სერიოზული საქმეა. ტენიკორ (პოლიგრაფიულ) დაბრკოლებათა გვერდით აქ ჩვენ გვაქვს მივილი რაღი „კულტურული“ სიწმინდე: ქართული მეცნიერულ-გეოგრაფიული თარგმნოლოგიის დაუმუშავებლობა, მთარგმნელთა კადრების სისუსტე და სხვა. ჩვენის აზრით, ანალოგიური სინდრომით აიხსნება ის გარემოება, რომ მრავალ საბჭოთა რესპუბლიკას დღემდე არ მოეპოვება ლენინის გამოცემა ნაციონალურ ენებში. ჩვენც მხოლოდ ორიოდე ტომის გამოცემა მოვახერხეთ, ისიც რამდენიმე წლის განმავლობაში.

ერთი სიტყვით, ლენინის ქართულ ენაზე გამოცემის სიწმინდე უდას დაქტია, მიუხედავად ამისა, ლენინის გამოცემის საქმე წარმატებით მიმდინარეობს, ეს საქმე უსათუოდ გაიმარჯვებს.

საბეჭდოში და რედაქცია ემტკვებად შესტლებენ ლენინის გამოცემის გვერდის შესტლებას. განსაკუთრებით და უაღრესობითა შესტლებული, რომ ამანტ წერა ზედმეტადაც კი მიგანჩნია. თანამედროვე ქართულ თარგმანში ეს გამოცემა აშკარათ განირჩევა თავისი სისწორით, ენის სიწმინდით, ორიგინალთან უაღრესად დაახლოებით. შეიძლება ითქვას, ეს პირველი ნაგალობათა თვით საბეჭდოში ცხოვრებაშია.

რასაკვირველია, არის ცალკე შედეგები, ბუნდოვანი გამოთქმები, თერმინების არც-დარგვა. ყველაფერი ეს არის, მაგრამ—ძალიან ნაკლებათ, თითქმის იშვიათად. და ესაა მთავარი ღირსება ქართული გამოცემის. აქ არ არის რუსიკინში გაბატონებული, თარგმანს არ ეტყობა ზერეღეთ შესტლებება. თითოეული ფრაზა დიდი მუცათობით და საქმის ცოდნითა შესტლებული. გრძელი, პერიოდიული წინადადებები რამდენიმე მოკლე წინადადებათა დანაწილებული. მართალია, ამით რამდენიმე ირუდება ლენინის სტილი. ლენინს ეხერხება სწორედ გრძელი, პერიოდიული გამოთქმები. ქართული ენის ბუნება კი მოითხოვს მოკლე წინადადებებს. მთარგმნელებსაც დაუცავთ ქართული ენის ბუნება და ამით შესტლებებით თვით ლენინის ანდრობ ენის შესტება—დაიკავით ენის სიმარტივეთ. თარგმანს ეტყობა სერიოზული რედაქციაც, ეს აშკარაა.

ტენიკურათ ორივე ტომი მართლაც იმეითი მონდომებითაა გამოცემული. გამოცემლობის კულტურა ფებს იკადებს ჩვენშიაც. ეს არის ნიშანი პოლიტიკ. ფიქლ მრეწველობის საქმით განვითარების, სტამბის შექმნის კვალიდევაციის გაღმგობრების, მაგრამ არა მართა ესაა გამოცემლობის კულტურის აღმარსნების მიზეზი. ჩვენ კვალ-და-კვალ მივდებით საქმითა რუსეთს ვუყვებთ მის მიღწევებს წინგნის გამოცემლობის სფეროშიაც. ამავე დროს უსათოდ აღსანიშნავია გამოცემის ტენიკური რედაქციის როლიც. გამოცემილი ტენიკური რედაქტორის ხელი მაგრათ აღტავია ლენინის ამ გამოცემას.

ტენიკურ შესრულების თვალსაზრისით ორივე ტომი თოქმის უნაკლო ასლია ლენინის თხზულებათა მესამე რუსული გამოცემის.

უდიდეს ღვაწლათ ჩათეულება სახელგანთ აგრეთვე ლენინის თხზულებათა შედარებით

ია ფათ, იათ-ფასებშნ გამოცემის მიხედვით მონდომ-წინი ამ წიგნებს დღეულობენ თვითღირებუ-ღების საქმით დაკლებით. ცნადია, ლენინის გამოცემა დოტაციის მოთხოვნს, ეს დოტაცია კიდევაც მოუშარავებია სახელგანთ. დოტაციის გარეშე ლენინის თხზულებანი ძვირად უნდა გაყიდულიყო, და ეს კი დიდათ შეუშლიდა ხელს ლენინის ნაწარმოებთა გავრცელებას ფართო მასებში.

ფასი ძალიან იათია. ტენიკური გამოცემა მწვენიერია, თარგმანი და რედაქცია ჩინებუ-ღია. ლენინის გენიალური შრომები და წერი-ღები ზომ თანისთავად უადრეად საინტერესთა და ატეიდებელი თითოეული ჩვენგანისათვის.

ნუ თუ ამ გამოცემის ერთი გვებმლიარც კი უნდა დარჩეს სახელგანთის მალახიებთა და სწუ-ღობებში!

ლენინელი.

მოსი მოკიზარით. მეცნიერება და რელიგია. გამოცემლობა „შრომა“, 1929. გვ. 76, ფასი 40 კაპ.

ანტირელიგიური ლიტერატურა ჩვენში ძალ-ზე მოიკოტლებს. რაც გვაქვს ამ დარგში, ისიც ვერ ამაყოფილებს მკითხველს. სერიოზულად, მოფიქრებულად დაწერილი ნაშრომი „რელიგიით-თაც არ მოგვემოება, რასაკვირველია, თუ არ მოვიღებთ მხედველობაში ჭეწრის კუროვისა და ი. სტანაოვის შრომებს, რუსულიდან გადმო-თარგმნილს.

ამ მხრივ ამ. მოსკოვი გი ბ რ ი ძის ბრო-წურა ესათოდ „პრველ შერცხალს“ მოგვა-გონებს. „მეცნიერება და რელიგია“ საქმით მონდომებითა და გრდდევითაა დაწერილი. ბროწურა საცებით გაართლებულთა მარქს-ისისტული თვალსაზრისით, ისტორიული მატერიალიზმი გამოყენებულია საფუძვლიანად. ზოლოდმე დაეღლია მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა. რელიგიის ისტორიის მატერიალისტური გაგება, რელიგიურ პრობლემე-ბი/ მარქსისტული განმალგა, რელიგიისა და მეცნიერების ერთიანობის სწორი ანსა—აი რა არის ამ წიგნაკში უდიდ მთქვენილი.

ჩვენ არ გამოუდგებთ ბროწურის შინაარსის გადმოშლას. ეს საკარო არაა. რაც ესთვეით, არ მოგვანია სადათო. ამაში უმკველად დაგვეთან-ზება ამ ნაწარმოების გულშოდინე და წესა-

ფერისად მომზადებული მიუდგომელი მკითხ-ველი.

ადამიანთა წეკმნა ღმერთი და არა ღმერთთა—ადამიანი, ეს ცნობილი დებუ-ღება ატორის მიერ მომდგნალადაა დასახტუე-ბული.

აქ მოშეღებელია სვერადღებო ფაქტები სუდასხვა მალწების ისტორიიდან. ატორს დიდძალი მასალებისათვის მოუწრია თავი. ატორს ეტყობა აგრევე განსაჯლოებით საბერ-წეთოსა და ძველი რომის სოციალ-კონომიური ისტორია საქმით ცოდნაც. ამ ტომაც ატორ-ასე მარჯვეთ: იღწნებს კვლავ მების მატერია-ლისტურ მეთოდას და რელიგიურ-იდოო-ლოგიურ მომენტებს მარქსისტულად, მეცნიე-რულად ხსნის. ამავე დროს ატორი მეტად სწორ დასკვნამდე მიღის რელიგიის საბო-ღლოდ მოსაბობის საქმთში, რელიგიის აღმოსა-დებერღლად, ატორის აზრით, უმკველად „საკი-რთა მოსაბობს კლასებად დაყოფილი საბოგა-დობა და ამ კვლვად ნამდვილი თანასწორობა დამყარდეს“ (გვ. 71). ამიტომ, ცნადია „ადამიან-ისე მოსაბობს ღმერთს, როგორც მან ის ერთხელ გააჩინა“ (გვ. 73). მას.სადამე, რელიგიის ფესვე-ბის აღმოუწერას ატორი კლასიურ საბოგადოე-

ბის ფუნქციის აღმოფხვრას უკავშირებს. ასეთია ამ მიზნენადასა საზოგადოებრივ მოვლენის სწორი გაგება.

მაგრამ აქედან ავტორის სრულებითაც არ გონივრულად დასკვნა, ვითმც რელიგიასთან გადამჭრელი ბრძოლა ნადრევი იყოს. პირობით, ანტირელიგიური მემოიბის განრღვევა ავტორის მიზნია მორიგ ანთიანად საზოგადოებრივ განვითარების მიმდინარე პერიოდში.

გამსაკლორებელი ყურადღების ღირსია ავტორის მსჯელობა რელიგიის წარმომართზე, როგორც ვიცი, ამ ხაყთხში აბრთა დიდი სივადანსეაობა თვით მარქსისტებს შორის. იმშ. მოსე ნევიბერსი ამ შემთხვევაშიც, ჩუების აბრთა, სწორი ნიადაგზე დგას და ამ პრობლემას სწორათ ამწეებს. ეხადია, ეს საკითხი არ ბჭეს ავტორის ამოწურული ეს შეუძლებელიც იყო ბრთ. შერის ვიწრო ფარგლებში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ავტორი ვერადეუ სტოლებს მოაშთეი ზმის პრობლემას და მის არ ეკავინირებს აბსოლუტიზმის იდეას და პრაქტიკას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თითქმის არცაა მოხსენებული აგრედეუ ავტორიტარული თეორია, რომელსაც აქვს თაყის მნიშვნელობა ანტირელიგიურ აბრთებაში.

ერთი მთავარი საკითხი რჩება, ჩუების აბრთა, ავტორის მიერ დაუსაბუთებელი. ეხადია: რა არის რელიგიური განწყობილების ნიადაგი კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ანტიურ კვეტებში, პირველყოფილ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მეცნიერებისა და ტექნიკის პრიმიტივობაში, ადამიანის აბრთების განვლითარებლობის პირობებში ყოველგვარი იდეოლოგია რელიგიის სახით, ადვილად იყადება ფესს და ვრცელდება. მაგრამ ვლექტორინის, რადიოსა და ავიაციის გამოქაზი რა არის რელიგიის საფუძველი? ხშირათ თვით განთავნელი მეცნიერიც კი შეპრობილია რელიგიური რწმენით და ეს ხელს არ უწლის მას, ავტორის აბრთა, იკითხოს ლექციები ბუნებისმეტყველებაზე. ამ საკითხს ავტორი ხშირათ ადებებს, მაგრამ ამომწურავ პასუხს ვერსად იძლეა. ავტორის აბრთა, ეს აიხსნება „კომპრომიისით“, რომელიც ხდება რელიგიასა და მეცნიერებას შორის, იმ მდგომარეობით, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებას აბასიათებს ეს „შინადასი სობრივე“ ხალხის ფართო მასების მისატყუებლად.

მოდველი და მეცნიერი— ამბობს ავტორი—ორივე სჭირდება კაპიტალისტურ ცივილიზაციას

და ორივე დაპირავებულია მეცნიერებაში ერთ პიროვნებაშიც კი ერთიანება კაპიტალისტური საზოგადოება ეს ორი აუცილებელი სიფრველნივლებელი“ (გვ. 12). ამ კიდევ „ამ კომპრომიის (ე. ი. რელიგიასა და მეცნიერების შეთანხმებას კაპიტალისტურ წყობილებაში. მ.) ის განწინებაც უწყობდა ხელს, რომ ამ დროისათვის ბერეუანია რელიგიუბითი და მესათა ელასის აბრთლით შეწინებული მსათიო ძველ ხარტებთა ზაეი ჩამოეგდო და ამ გზით „მშვიდობიანობა“ უზრტველყო“ (გვ. 18).

შასადადამე, ავტორის აბრთა, კაპიტალისტურ ბერეუანის სჭირდება რელიგია, როგორც საშუალება „რელიუციება და მშუათა კლასის აბრთლითან“ (რატომ „აბრთლი“ და არა რელიონან) საბრძოლველად. აქედან—კომპრომიისც. მოკლეთ: კაპიტალიზმს არ ახასიათებს რელიგიური ცრუმორწმუნეობა, რელიგია არ აბასიათებს ბერეუანის შინაბუნებას. ასეთია ავტორის მოსაზრება, ჩუების ვაგებით.

ეხადია, ეს დებულება სწორი არ არის, ის ვერ უძლებს მებტე კრიტიკასაც კი. რელიგია კაპიტალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი იდეოლოგიის ერთ ერთი, აუცილებელი, ძირითადი ელემენტია. რელიგია აუცილებლად აბასიათებს გაბატონებულ საზოგადოებრივ ელასს კაპიტალისტურ წყობილებაში. ბერეუა კომპრომიისზე“ მართე იმიტომ კი არ სთამნდება, რომ ამ გზით „აბრთებებს“ მასებს. საქმე იმაშია, რომ რელიგიური განწყობილება აბასიათებს თვით კაპიტალისტის ბუნებას. რატომ იმიტომ, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც განვითარებულთა საქონლის მეურნეობა, წარმოების კაპიტალისტური წესი, ანარქია, კონფურენცია, ანდა, როგორც მარქსი ამბობს—გაბატონებულთა საქონლის ფეტე შინაში. აუცილებლად იყადება ფესს ღვისადმი რწმენა-ბერეუანობა არ იყის საქონლის მეტრების კამოწები, ამ მეტრნეობის „საიდუმლოებანი“. როგორც პირველყოფილ ადამიანს არ შეეძლო ბუნების მათელნათა სწორი აბნა და აბრთიმიც „გადამართა“ ეს მოუღენები, სწორეთ ავეუ ბერეუა-კაპიტალისტმა არ იყის საზოგადოებრივ მოუღენათა მამდვილი მიხეზი, არ იყის კრიზისების ნიადაგი, საქონლის მოწრობის ეხონი, წარმოების ფარგლების წინასწარი გაზომვა. აქედან—აბრთული მოქმედება, მეტოქეობა და სასწესბარო ფინალი მრავალთაოების—გაკოტრება. საქონლის ფეტეშიზმით შეპრობილია

მედიკალიზაცია

ბურჯია რაღაც „განგებამ“. ღმერთს ანდობს თავის ბედს და ამ „განგებით“ ხსნის ჩვეულებრივ მოვლენებს, რომლებიც კაპიტალისტურ წარმოების წიაღში ხდება.

ვერტიკალთ, მხოლოდ ამ თავისუფალით შეიძლება პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომელსაც ამბ. გოგინბერიძე აყენებს: „სწორედ ეს სამშობლო კოპერნიკების, გალილეების, ნიუტონების, დარვინების და აინსტინების ჩანაჩინებენ რეალიზაციას და თავისი ქრისტიანობით ამკობენ, სად არის აქ ღვთაება?“ (გვ. 52). დიახ, აქ არის ღვთაება. ეს შენებებითი არაა, არც მოხვედრითი. ამის ღვთაება თანამედროვე კაპიტალისტური მეტროპოლისა, სადა უნდა ღმერთის წარმოება, საქონლის ფეტიშიზმი. ასე გვესმის ეს საკითხი ჩვენ ასე აწიქებენ მას ცნობილი მარქსისტები—ლავროვი, პლენარევი, ლენინი.

ერთი სიტყვით, ავტორმა დასვა მეტად სანატრესო საკითხი, მაგრამ ამ კითხვებზე ვერ გავსცა ამომწურავი პასუხი. ეს უნდა შევნიშნოთ ავტორიდან, მართალია, ავტორი სანატრულიანად აღნიშნავს, რომ მარქსის აზრით „რამის წარმოების მსვლელობა, განსახილველბრძოლებული და განთავსებულბრძოლი ადამიანის გეგმიანი მოქმედების და შეგნებული კონტროლის ქვეშ დადგება, იმ წამდე გაფრთხილება ის ბურჟუაზიის ნისლიანი ზეწარაი, რომელიც საწინააღმდეგობისათვის კაცობრიობას მოუხვევია“ (გვ. 73). აბსალუტურაო სწორი დასკვნაა ეს, სანატრესოა მხოლოდ, საიდან გამოიყენა ავტორმა ეს დასკვნა. რით დასაბუთა ის? სხვა მხრივ მარქსის ამ მოსახრების აღნიშვნა უბრალო ფრაზის შთაბეჭდილებას სტოვებს. თერმინი „სახილველბრძოლი ფეტიშიზმის“ მხარებაც ვერ შევლის საკმისს.

სხვა მნიშვნელოვანი შესწორება ჩვენ არ გვაქვს, სერტოთ დუნდა შევნიშნოთ ავტორი „შემატებ: ავტორი აკრიტიკება—მეტად ჩინებულათ—„დაბადებას“ ქვეყნისა და ადამიანის გაჩენის საკითხში.

„დაბადება“-ში ამ კითხვებზე „მარტივი“ პასუხია გაცემული. სიმარტივე ადვილად გავსება—აი რას ვგრძნობთ სამღვდლოება. გაჩუქითარებელი ადამიანის ელემენტარული გონება ადვილად ითვალისწინებს ამ ხილვებს. ჩვენთვის კი ძალიან ძნელია მარტივად გამოთქმა იმ შეგნებულბრძოლისა, რომელსაც მეცნიერება აყენებს. ჩვენ

არ შეგვიწყნარებთ პოპულარული დებულებების გასაგებათ განათლების ძალისხმევით, ამიტომ ჩვენი განმარტება უმარად ძალიან მძიმე, უბრალო, ბუნდოვანი და დაბალი განათლების ადამიანისათვის გაუგებარი გამოდის. ამის საუკეთესო ნიმუშია ამა. გოგინბერიძის ბროშურის გვ. 24—25 გვერდებზე. როგორ წარმოიშვა ქვეყნებება, როგორ წარმოიშვა ადამიანი? ავტორის მსჯელობა იმდენად აბსტრაქტიულია აქ, რომ თვით მოუხვედრელი მეთაველიც შეიძლება დაიბნეს.

კომენტოთ, ეს ჩვენი საერთო სენიაა, ამით ჩვენ უმარად დათვრ სამსახრის ვუწევთ იმ საკმისს, რომელსაც ვეძიებთ. რელიგიური „ნისლის, ნისლიანი ზეწარაი“ გაფრთხილება-დაფრთხილის ნაკლებად შეიძლება კიდევ უფრო გაფრთხილებული ხილვები ქვეყნისა და ადამიანის წარმოშობის შემატებ, მაშასადამე, გაფრთხილებული მოწინააღმდეგე იდეოლოგია. ამ გაფრთხილებას უნდა მივიაკუთოთ დიდი ვურადლება.

უნდა ვსწეროთ ანტირელიგიურ თემებზე რაც შეიძლება მიახლოებულად, გასაგებათ, ადამიანებულად.

მეცნიერებამ საკმაოთ დაამარტება რელიგია, რელიგიის ბურჟუაზიული გეგმით ჩვენ, რადგან ამ ბურჟუაზიული გეგმით მასა და არა ამ მასის მოწინააღმდეგე რაზმები.

ამიტომ პოპულარულად ვწერა მთავარია ანტირელიგიური ფრთხილბრძოლებული მებრძოლისათვის. ამბ. მოსე გოგინბერიძის ბროშურა კი დაწერილია ჩვეულებრივ მძიმე მეცნიერულ დონეზე, ცნობილი, ავტორის არც შევნიშნოთ მოტყუებულობა სხვათადად. ბროშურაც გათვალისწინებულაო მთავრად ვთვლი მითხველასათვის.

ჩვენის აზრით, ამბ. მოსე გოგინბერიძის ეს ნაშრომი იმდენად საგულისმისოა, რომ მისი მხოლოდ გამოცემა უმარად სასარგებლოა და მისაწინააღმდეგე. აი ამ მეორე გამოცემაში უნდა მოხდეს უნის „დემოკრატიზაცია“. ამით ავტორი მოიგებს, ბროშურა კი—მით უმეტესად.

„მეცნიერება და რელიგია“ თითქმის ერთად ერთი სეროზული ორიგინალური ჭარბული ნაშრომია. ის საკმაოთ მეცნიერი იარაღია თითოეულ ათეისტის ხელში.

მოხკველი.

კარლო კალაძე, „როგორ“. პიესა ოთხ ნაწილათ. სახელგამო. 1929

ბერიანი, მხატვრულად დამუშავებული და იდეოლოგიურად კარგად შესრულებული პიესა იშვიათია ჩვენში. ქართული თეატრების რეპერტუარი მტკად ღარიბია ამ მხრივ. ამავე დროს თანამედროვე, ორ იტალიანულ რეპერტუარის საკითხი საკმაოდ აქტუალურია.

ორი თეატრის (ტუფილის-ქუთაისი) დაარსებამ დადებითი ნაყოფი გამოიღო უსათლად. წარმოიშვა თეატრალური კონკურენცია, სცენიურ გაფორმებათა განვითარებასთან ერთად ამ კონკურენციამ ხელი შეუწყო თვით ძირითად საქმეს—რევოლუციონერი რეპერტუარის განმდიდრებას, განსაკუთრებით—ორ იტალიანულ ორ პიესების თვალსაზრისით.

ჩვენი პროლეტარული მწერლის—და მთელი რიგ სხვა მწერლების—კარლო კალაძის დრამატული შემოქმედება აი ამ გარემოების შედეგია უმთავრესად. მოთხოვნილება წარმოშობს მიწოდებას. ეკონომიის ეს კანონი ძალაში დარბა „სულიერ ცხოვრების“ სფეროშიც, დღეს სამართად დიდი მოთხოვნილებაა ქართულ ორიგინალურ, თანამედროვე პიესებს. ჩვენი მწერლებიც ხელგაშლით ხედეიან ამ მოთხოვნილებას და შეძლებისადაგვარად ამყარებენ რიგეან პიესების წყურვილს.

სიმართლედ უნდა ითქვას, კარლო კალაძეს შეიძლება ეს დებულება იმდენად არც კი ეხებოდეს. კარლო კალაძეს თავისი კალამი და უნარი დრამატურგიულ ხელოვნებაში პირველად არ უყვია. მისი პირველი პიესა „ტრაგედია ობ“ უსათლად ნიჰიურად შესრულებული ნაწარმოები გამოდგა, მაგრამ, სანწყნაროთ, იდეოლოგიურად კარგად სავსებით განმარტებული აღმოჩნდა. კალაძის ეს პირველი ნაბიჯი მარცხით დამთავრდა.

სამაგიეროთ, კარლო კალაძის მეორე პიესას „როგორ“ სულ სხვა ბედი ეწია.

ეს პიესა წარმატებით იდგნებოდა გასული წლის სეზონში ქუთაისისა და ტუფილისშიც. პიესამ გაიმარჯვა უსათლად. კარლო კალაძის „როგორ“ იდეოლოგიურად და მხატვრულადაც გამართლებული ნაწარმოებია უკველად.

ჩვენ არ დავსწრებივით „როგორ“-ის დადგმას, ამიტომ მხოლოდ დაბეჭდილ პიესის შთაბეჭდილებით ეხელმძღვანელობთ. ვინ არ იცის პიესის წაკითხვასა და დადგმის შთა-

ბეჭდილებას შორის ხშირად დიდი განსხვავებაა. რეცისურას შეუძლია კარგი პიესაც გააფუჭოს, შეუძლია—ცუდიც კარგად გამოიყვანოს. აქ რეცისურის ნიჭსა და შემოქმედებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. პიესის სცენიური გაფორმება ხშირად გადაწყვეტილ ამ შემთხვევაში.

რასაკვირველია, „როგორ“ კოტე მარჯანიშვილის რეპერტუარში შედის და ეს ამ თავითვე თავისთავად ლაპარაკობს ამ პიესის მხატვრულ დადგმაზე.

პიესის სიუჟეტი აღებულა 1905 წლის მოძრაობიდან. აქ ახალი, რა თქმა უნდა, არაფერია, ავტორი დრამატულ ხერხით გადმოგვეყვანს იმას, რაც საკმაოთაა მოცემული რომანებსა და მოთხრობებში.

მაგრამ საყურადღებოა ავტორის მეთოდი—ერთგვარი პარალელის გაყვანა ორ ეპოქას შორის: როგორ იბრძოდნენ რევოლუციონარები, როგორ ამწებენ ამ რევოლუციას, ამატრებენ რუტომბრის მომაროვარს. აქ მოედენათა ერთგვარი შედარებაა.

ამხანაგი კობა—მალაროს მღწა, ძველი რევოლუციონერი, ძველი ბოლშევიკი, ამ ენად მალაროს ხელმძღვანელი, უამბობს თავის რევოლუციონერ თავდადასავალს ახანაგებს.

აქა-იქ ავტორი მომაროვანს კინოსაც. ებადია, ზოგი რთული ადგილის სცენაზე გადმოტანა შეუძლებელი იყო.

კონო კი აქ დიდ როლს თამაშობს სურათების მთლიანობის საქნეში. კონოს გამოყენება ახალი არაა თეატრალურ შემოქმედებაში. ამას მიმართავს ვეროპამერიკის თეატრებიც.

ერთი სიტყვით, „როგორ“-ი კარლო კალაძის დიდი გამარჯვებაა, კარლო კალაძეს დღესმევე ეჭირა ერთ-ერთი საპატოთ ადგილთაგანი პროლეტარულ მწერლობაში.

ჩვენს აზრით, კარლო კალაძეს ეველანე შეტი მომავალი და პოტენცია აქვს თანამედროვე ახალგაზრდა მწერლობა შორის.

ასეთია, საერთოდ, კარლო კალაძისა და მისი ახალი პიესის შედგება ჩვენის გაგებით, მოდგომული თვალსაზრისით.

ამყარა; ჩვენ არ ვამბობთ, ვითომც ეს პიესა იდეალურათ იყოს დაწერილი. სრულებითაც არა.

პიესას ძირითად ღირსებასთან ერთად მრავა-

საქართველო

ლი წაკლი აქვს, მაგრამ ეს არ სცვლის პიესის მატერიალ და იდეოლოგიურ ღირსებას.

აღნიშნავთ ზოგიერთ მომენტს.

პიესა კლასიკური რეალიზმის ყაიდაზეა დაწერილი. ეს უარყოფითი არაა. პირიქით, მოსაწონია. მაგრამ, ჩვენის აზრით, ერთგვარი სიმბოლოები (არა სიმბოლოები, ცნობილი) ხერხების გამოყენებაც კარგია. მატერიალ ნაწარმოები რეალიზმის ახალი, ფორტოვრული სურათი არ არის. ძველი რეალიზმი უკვე არ აკმაყოფილებს თანამედროვე მკითხველისა და მწერალის გეგმვებს. ამავე დროს ასეთი რეალიზმი არ არის მებრძოლი, ადამიანის ფიქსიონის და გრძელბრუნის ორგანიზაცია შეუძლებელი ამ გზით, არც მატერიალური შთაბეჭდილება იქნება ღრმა, ემოციონალური.

სილექტი კარგია. მოგვრეული, მაგრამ პიესის ეტყობა სიმშრადე. ამის მიზეზია რევოლუციონერების ყოფი-სოცერების არა საქმით შესწავლა, ყოფი-ცხოვრების მომენტების მიჩნალება, ამ მომენტებზე წელის აღება, ბრძოლას აქვს თავისი ადამა, ეთიკა, ზნე-ჩვეულება. პიესის გმირები ღაპარაკებენ მშრადათ, ნაკლებათ დამაჯერებლათ, მშრათ—უცებლათ. მეტად კრიტიკულ და ტრადიციულ პირობებშია შეღმდებელ რევოლუციონერების მოწოდება—დაბლი ბშირათ უბრალო ტრაფარეტულ ფრაზებშია მოცემული.

ჩვენის აზრით, ავტორი აქ ნაკლებათ განიცდის თავის გმირებს. ეს კი აწულებს საჭირო შთაბეჭდილებას.

რევოლუციონერ პერსონაჟების ცალ-ცალკე შესწავლა, მათი წარმოდგენა ანკარათ, გარკვევით, მოვლი თავისი სიბლიკით, ანთებ-აღწება მათი მოქმედებით. ეს ტიპით, ანწოდებებით—ეს ყველაფერი აუცილებლად საჭიროა მწერლისათვის.

ჩვენ არ ვსაყვედურებთ ამ სიმშრადეს კარლი კალაძეს. ის საქმით ახალგაზრდა მწერალი, რომელსაც მხოლოდ ზღაპრებით გაუგონია რევოლუციონერთა გმირული ბრძოლა და თავანწირვა—გატაცებით საცე ცხოვრება. ეს საერთო სენია, ყველა ჩვენთაგანის, ახალი თაობის. ან „ტენის“ დაწლება შეუძლია მწერალს, თუ გნებავთ, რევოლუციის მუხუმის კარგათ შესწავლით. ეს მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულება სრულებით არაა ჩვენ. მიერ გამოყენებული, რევოლუციის მუხუმები უფრო საინტერესოს, განმაცვიფრებელს, გრძობა-გონების ამა-

ღლელებელ ფაქტებს გაუმჯობესებენ კაბორს* ენიერ ეს მოცემული მის პიესაში.

მწერლისათვის აუცილებელია თითოეული დეტალის ცოდნა, რევოლუციონერთი კონსპირაციის კანონების კარგათ შესწავლა. აი ყოველივე ამის შემდეგ, მოცემული ნაწარმოების ჩაწნა შეესაბნ ხორცს. კალამიც თავისუფლად ათამაშდება, არ გაშრება. შელოფური ფრაზების და მომენტების, ეპიზოდების ძებნა არ დაგჭირდება სრულებით.

პროლეტარული მწერლები ორგანიზულად უნდა დაოცდნარდენ „პარტიის“-ს, უნდა ეთმულობდნენ „რევოლუციის მატინეს“ რაც შეიძლება კულმოდტინეთ. სამწუბაროდ, ბევრმა არც კი იცის, სად არსებობს ასეთი განყოფილება და სად გამოდის ეს ეურნალი...

ავტორი გმირებს მოხერხებულად ათამაშებს. არ არის არეუ-დარევა, შინგანი წინაღმდეგობა ცალკე მოქმედ პირთა შორის. მხოლოდ ერთ ადგილას შეგამჩნიეთ ჩვენ ასეთი „წინააღმდეგობა“. მაგალითად, გოლა, ბოლშევიკი, მეშა, რომელიც მოკლეს ყაზახებმა. გოლა ერთ-ერთი მთავარი გმირია. ის თავდადებული მებრძოლია. მაგრამ, დახეთ, რეაქციის სენსი მობრის მას წელნი. ის მიდის ბოჭულთან და გასცემს თავის აზრანგს—ბეგლარს. გოლა აქ აშკარა მოლაღატეა, გამცემი. ცოტა ქვედათ ეს გოლა კვლად რევოლუციონერებშია და ყაზახებთან ბრალიანი პირულად ადგილზეა. როგორ მოხდა ეს, ანდა რით უმასტებს აზრანგებმა მოლაღატე-პროფოკატორს, ზოლო ასე უებათ როგორ გახდა ეს გამცემი კვლად მებრძოლი—არ არის განუცებელი. ჩვენის აზრით, მოლაღატის ტიპის გამოყენა ძალიან კარგი იქნებოდა. აქ გადაიშლებოდა მოლაღატეობასთან რევოლუციონერების და-მოკიდებულების სურათი. ეს არ იქნებოდა ინტერესის მოკლებული. ზოლო გოლას „ისტორია“ სრულებით ვერ აკმაყოფილებს ჩვენს ცნობისმოყვარობას.

ჩვენ გარკვევით უხერხულად მიგვანია ეს გოლის გამოსვლა სიტყვით—სოც.-დემ. პარტიის გურია-სამეგრელოს კომიტეტის სახელით. სად სოც.-დემოკრატიული კომიტეტი და სად სოც.-რევოლუციონერი, რომელიც გამოდის ამ კომიტეტის სახელით: ამავე დროს თუთ ღეო ძალიან მკრთალათაა მოცემული, თითქმის უადგილოთ.

ანდა აიღეთ შენამულე, ჩვენ ეიცით, ვინ იყო შენამულე საერთოდ. შენამულე—თავადია. ან

პრეცედენტი

ახალწერი, კ. კალაძის შემამულე კი... გლეზია, თუმცა შექმნილი, ავტორის ეს „შემამულე“ ასე ამბობს: „თავა დიშვილი ხომ არ ავარ, შრომით არა მატებს შექმნილი კარმიდამო“-ო. ცხადია, ეს გაღზია, უსათყოფ გაღზია. მენამულე იგივე თავადიშვილი იყო ჩვენში, სერიოზულად მოფიქრებულ პიესაში ასეთ „შენიშვნას“ არ უნდა ექნეს ადგილი.

ნა კარგია, დაბეწილი, ლიტერატურული.

წიგნის დართული აქვს შეფუთვა: ყოველი ტომის—ბეგლარისა და კობას სერათი(მსახ. ჩვიდუ და ლამბაზიან). დართულია აგრეთვე ხალხური მარსელიონისა და ერთი ხალხური სიმღერის ნოტები, თამარ ვახანიშვილის მიერ შესრულებული.

ვამოცემაც ღამაზია.

ს. ანდრიძე.

საკამაქციო კოლმეზია

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

| | |
|--|-----|
| | 33 |
| 1. ტიციან ტაბიძე—პოემიდან „თერაშეტი წელი“ | 5 |
| 2. ნ. ზომლეთელი—ჩენი რწმენა | 14 |
| 3. ვიქტორ გაბესკიჩია—ნოვონებანი | 15 |
| 4. ჭოლა ლომთათიძე—აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას | 17 |
| 5. სერგო კლდიაშვილი—ლიპი | 20 |
| 6. ხანდრო ეული—ზღაპარი და სინამდვილე | 54 |
| 7. რაუდენ გვეტაძე—თუო | 67 |
| 8. ი. ტატიშვილი—იალღუჯა (დასასრული) | 89 |
| 9. მიქ. მანველიანი—ერთი ქულის ამბავი | 103 |

ქრიტიკა, შეხიჩეკება, კუბლიცისტია

| | |
|--|-----|
| 10. პ. ა. შარია—ეკლექტიზმის ახალი სახე | 127 |
| 11. შალვა რადიანი—„დანგრეული ბუდეების“ შწერალი | 167 |
| 12. ვარ. ზურაძე—ორი სტილი | 175 |
| 13. შ. დუდუჩავა—თანამედროვე ქართული მხატვრობა | 190 |
| 14. ა. დებორინი—მარქსიზმის ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემები | 207 |

ბიბლიოგრაფია

| | |
|--|-----|
| 15. ლენინელი—ი. ლენინი—თბზულებანი ტ. I და XX, მამია ორაბელი— შვილის რედაქციით | 242 |
| 16. მოსკოველი—მოსე გოგიბერიძე—მეცნიერება და რელიგია | 243 |
| 17. ს. ანდრიაძე—კარლო კალაძე—„როგორ“. პიესა | 246 |